საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

VI ეროვნული სამეცნიერო
კონფერენცია

“მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები”

კონფერენცია ეძღვნება

საქართველოს ეკონომისტის დღეს

ქუთაისი Kutaisi

2024

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2024 წლის 13 სექტემბერს გამართულ VI ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

Materials of reports read at the 6th National Scientific Conference held at Akaki Tsereteli State University on September 13, 2024

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია: ვლადიმერ პაპავა (მთავარი რედაქტორი) ნანა შონია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), რამაზ აბესაძე, გივი ბედიანაშვილი, ბადრი გეჩბაია, აკაკი ბაკურაძე, მურმან კვარაცხელია, ხათუნა შალამბერიძე (პასუხიმგებელი მდივანი), ავთანდილ სილაგაძე, გიორგი ღაღანიძე, ნიკოლოზ ჩიხლაძე, ვახტანგ ჭარაია, მიხეილ ჯიბუტი

Scientific-editorial Board: Vladimir Papava (chief editor) Nana Shonia (deputy chief editor), Ramaz Abesadze, Givi Bedianashvili, Vakhtang Charaia, Badri Gechbaya, Murman Kvaratskhelia, Khatuna Shalamberidze (corresponding secretary), Avtandil Silagadze, Giorgi Gaganidze, Nikoloz Chikhladze. Mikhail Jibuti

რეცენზენტები: პროფ. მ. კვარაცხელია

პროფ. ნ. ჩიხლაძე

Reviewers: Prof. M. Kvaratskhelia

Prof. N. Chikhladze

© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

© Akaki Tsereteli State University

ISBN 978-99940-52-18-9

VI ეროვნული სამეცნიერო
კონფერენცია

კონფერენციის ჩატარების დრო და ადგილი:

2023 წლის 13 სექტემბერი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
(ქ. ქუთაისი, თამარ მეფის №59)

სამეცნიერო-საორგანიზაციო კომიტეტი

აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - თავმჯდომარე;

პროფესორი შალვა კირთაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი)- თანათავმჯდომარე.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

აკადემიკოსი მიხეილ ჯიბუტი (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია);

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პაატა კოღუაშვილი (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი);

რამაზ აბესაძე (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);

იური ანანიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

გივი ბედიანაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) - პასუხისმგებელი მდივანი;

თეიმურაზ ბერიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

სიმონ გელაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

რევაზ გველესიანი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

ნუგზარ თოდუა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მიხეილ თოქმაზიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მერაბ კაკულია (საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი);
მურმან კვარაცხელია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ელგუჯა მექვაბიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ავთანდილ სულაბერიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი);
მირიან ტუხაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თეიმურაზ შენგელია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ვლადიმერ ღლონტი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ეთერ ხარაიშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).
ნიკოლოზ ჩიხლაძე (ქუთაისის უნივერსიტეტი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ეკონომიკის დოქტორები, პროფესორები:

თამილა არნანია–კეპულაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ბადრი გეჩბაია (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თეა ლაზარაშვილი (პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი);
მანანა ლობჟანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
დავით ნარმანია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ლევან საბაური (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
დემურ სიჭინავა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გიორგი ღაღანიძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
გიორგი ღავთაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი);

ლევან ქისტაური (საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი);
ნანა შონია (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
თეა ხორგუაშვილი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ნათელა წიკლაშვილი (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი);
ვახტანგ ჭარაია (გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი);
ემზარ ჯგერენაია (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

საორგანიზაციო ჯგუფი

აკაკი ბაკურაძე (აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი); **უჩა გოგრიჭიანი** (თსუ); **თემურ გოგოხია** (თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი).

სარჩევი

ვლადიმერ პაპავა - ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!..... 10
პლენარული სექცია 11
ვლადიმერ პაპავა - მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შესაძლო ცვლილებები გლობალიზაციის ტრანსფორმაციის პირობებში და „შუა დერეფანი“..... 12
Vladimer Papava - Possible Changes in the World Economic Order with the Transformation of Globalization and the “Middle Corridor”.....27
პირველი სექცია.....28
იოსებ არჩვაძე - ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენების არეალი….....29
Joseph Archvadze - Index of Economic Discomfort: Essence and area of application..... 37
გულნაზ ერქომაიშვილი - მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში და მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში……..... 38
Gulnaz Erkomaishvili - The role of green hydrogen in strengthening energy security and trends in building the infrastructure for its production in Georgia 44
თამაზი გამსახურდია - ქვეყნის წინაშე არსებული ზოგიერთი პრობლემების გადაჭრის ასპექტები …….....45
Tamaz Gamsakhurdia - Aspects of solving some of the problems facing the country.....58
ხათუნა თოდუა - მდგრადი განვითარების სოციალური იმპერატივები და საქართველო ….....59
Khatuna Todua - Social imperatives of sustainable development and Georgia 65
მეორე სექცია …….....66
გივი ბედიანაშვილი, გიორგი კოხრეიძე, ნინო მიქელაძე - გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ეკონომიკური პოლიტიკა: მაკროასპექტი……...…….....67
Givi Bedianashvili, Giorgi Kokhreidze, Nino Mikeladze - Economic Policy for Global Sustainable Competitiveness and Economic Security: A Macro Aspect …….....81
ნაზირა კაკულია, მანანა ლობჟანიძე - ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელები: თანამედროვე გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში…….....82
Nazira Kakulia, Manana Lobzhanidze - Sustainable development of the economy and business models of the circular economy: Modern challenges in the world and in Georgia 91
მურმან ცარციძე, იზოლდა გაბადაძე, შოთა გაბადაძე - შრომის ბაზარი და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარების თავისებურებანი საქართველოში, ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში …….....92

Murman Tsartsidze, Izolda Gabadadze, Shota Gabadadze - Labor market and peculiarities of the development of social-labor relations in georgia under the conditions of digital transformations..... 105
აკაკი არსენაშვილი - ინვესტიციებისა და მათი განთავსების პერიოდების ოპტიმალური განაწილების ამოცანა ……...106
Akaki Arsenashvili - The Problem of Optimal Distribution of Investments and their Placement Periods 114
მადონა გელაშვილი - ადამიანური კაპიტალი, როგორც ინოვაციური ეკოსისტემის მდგენელი.....115
Madona Gelashvili - Human capital as the creator of the innovation ecosystem …….....126
მეგი გორგასლიძე - საერთაშორისო შრომითი მიგრაცია დსოციალურ-ეკონომიკური შედეგები 127
Megi Gorgaslidze - International labor migration and its socio-economic consequences.....132
მადონა კანტიძე - ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრობლემები საქართველოში 133
Madonna Kantidze - Problems of economic growth and development in Georgia.....139
მესამე სექცია …….....140
სიმონ გელაშვილი, მარიამ ოქრუაშვილი - გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მისი სტატისტიკური შესწავლის დონე საქართველოში.....141
Simon Gelashvili, Mariam Okruashvili - The Problem of Gender Inequality and the Level of its statistical Study in Georgia …….....153
ნანა შონია, დავით მამრიკიშვილი - საპენსიო სააგენტოს 2022-2024 წლების საინვესტიციო პორტფელის და მომგებიანობის ანალიზი.....154
Nana Shonia, Davit Mamrikishvili - Analysis of the investment portfolio and profitability of the Pension Agency for 2022-2024.....165
ქეთევან ვეზირიშვილი - ნოზაძე, მარიამ კუჭავა, ზურაბ ლომსაძე - ენერგეტიკული უსაფრთხოება - საქართველოს მდგრადი განვითარების გარანტი (მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გამოწვევები მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესში) ……166
Ketevani Vezirishvili-Nozadze, Mariam Kuchava, Zurab Lomsadze - Energy security - the guarantor of sustainable development of Georgia (Green economy and challenges of sustainable development in the process of transformation of the world order) …….175
ნაზი გვარამია-აფხაზეთის ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება, თანამედროვე რეალობა და პერსპექტივა ……..176
Nazi Gvaramia - Assessment of Abkhazia's energy potential, modern view and perspective …… 188
ლაშა მგელაძე - კონკურენცია და სახელმწიფო შესყიდვები……189
Lasha Mgeladze - Competition and public procurement ……199

დანართები……...200
ნინო აბესაძე - სასტუმროების სტატისტიკა საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში 207
Nino Abesadze - Statistics of hotels in Georgia under conditions of ensuring economic security 220
ილია (აზიკო) სისვაძე - საქართველოს საგადასახადო სისტემის რადიკალური რეფორმის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები სოციალური ეკონომიკის პირობებში (ნაწილი II. საგადასახადო სისტემის ფუნქციონა ლიზაცია სოციალურ ეკონომიკაში) ……221
Ilia (Aziko) Sisvadze - Radical reform of the tax system of Georgia Theoretical-methodological problems in social economy conditions (Part II. Functionalization of the tax system in the social economy) ……254
მარინა ენდელაძე, ნათია წიკლაური - საზოგადოერივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრევენცია პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდში…..... …… 255
Marina Endeladze, Natia Tsiklauri - Public health policy and prevention in the pandemic and post-pandemic period ……..264
თინათინ ლომსაძე - კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის როლი საქართველოში საწვავის ექსპლოატაციის მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევაში……265
Tinatin Lomsadze - The Role of the Cluster Development Economic Policy to Overcome Fuel Exploiting Challenges in Georgia …… 272
ხათუნა შალამბერიძე-საბანკო რეგულაციები, შესაძლო კრიზისები და მათი დაძლევის გზები ……... 273
Khatuna Shalamberidze-Banking regulations, possible crises and ways to overcome them... 281
გიორგი ფოფხაძე - საწარმოს ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა …… .282
Giorgi Popkhadze - System of indicators for evaluating the financial and property status of the enterprise …… 292
მეოთხე სექცია …… 293
გიგი ელიზბარაშვილი - რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ემპირიული შეფასება საქართველოს მაგალითზე …….. 294
Gigi Elizbarashvili - Empirical Assessment of Regional Economic Development on the Example of Georgia …….. 300
ირაკლი გაზდელიანი - ციფრული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში ……. 301

Irakli Gazdeliani - Prospects for Digital Economy Development in the Context of Ensuring Economic Security ……. 310
გუგული ყურაშვილი, თამარი ბერიძე, ლიკა ბერიძე - ხელოვნური ინტელექტი საგანმანათლებლო სფეროში …… 311
Guguli Kurashvili, Tamari Beridze, Lika Beridze - Artificial intelligence in the educational field……..321
დავით ჭელიძე - სამეწარმეო საქმიანობის შეღავათიანი ზონა როგორც ინვესტიციების (მათ შორის უცხოური) მოზიდვის მასტიმულირებელი ფაქტორი ……..322
Business activity preferential zone as stimulating factor for attracting investments (including foreign ones) …… 333
ხათუნა ბერიშვილი, მარიკა გოგუაძე - ინოვაციური ბიზნესის ზეგავლენა კომპანიების მდგრად განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე …….335
Khatuna Berishvili - Impact of innovative business on the sustainable development and competitiveness of companies …….….346
გოგა გელიტაშვილი, ნინო ჩიკვილაძე, მზევინარ ნოზაძე, მედეა ჭელიძე - „მწვანე“ ბანკინგი მდგრადი განვითარებისთვის …….344
Gelitashvili Goga, Chikviladze Nino, Nozadze Mzevinar - Green Banking for Sustainable Development …….……356
ზურაბ წერეთელი - ბიზნესის მიკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების ძირითადი ინსტრუმენტები …….……..357
Zurab Tsereteli - The main tools for improvement microeconomic environment of business ……..…..367
ლია დვალიშვილი - ატმოსფერული ჰაერის დაცვა- ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი …….368
Lia Dvalishvili - The protection of atmospheric air - is one of the factors determining the ecological security of the country…….….381
თამილა ნუცუბიძე - ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმის გამოწვევები საქართველოში: დამსაქმებლებზე და დასაქმებულებზე გავლენის ანალიზი ……...…382
Tamila Nutsubidze, Mikheili Jikidze - Voluntary Private Pension Reform Challenges in Georgia: An Analysis of the Impact on Employers and Employees ……....…….394
ერეკლე მეშველიანი - თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების გავლენა საქართველოს საფინანსო ბაზარზე ……395
Erekle Meshveliani - The impact of modern financial technologies on the financial market of Georgia …….407

ძვირფასო კოლეგებო, ეკონომისტებო და ეკონომიკური პროფილის სტუდენტებო!

ქართველი ეკონომისტები, 1999 წელს მიღებული გადაწყვეტილებით, ყოველწლიურად, სექტემბრის მეორე პარასკევს, „საქართველოს ეკონომისტის დღეს“ აღვნიშნავთ. ეს დღე დაკავშირებულია იმ ისტორიულ მოვლენასთან, როცა 1918 წელს, სექტემბრის მეორე პარასკევს, პირველი ქართული სამეცნიერო-ეკონომიკური ჟურნალი „საქართველოს ეკონომისტი“ გამოვიდა. 2018 წლიდან დაწყებული კი, ქართველი ეკონომისტები ამ დღეს ერთდღიან ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ, რაც გვაძლევს საშუალებას, რომ ერთმანეთს საკუთარი კვლევის შედეგები გავუზიაროთ.

საქართველოს ეკონომისტთა ეროვნულ კონფერენციებს ტრადიციულად ვატარებთ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, მონაცვლეობთ. I ეროვნული კონფერენცია 2018 წელს ჩატარდა თბილისში, ევროპის უნივერსიტეტში, II ეროვნული კონფერენცია – 2019 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, III ეროვნული კონფერენცია – 2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, IV ეროვნული კონფერენცია – 2022 წელს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში, V ეროვნულ კონფერენცია – 2023 წელს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. 2021 წელს, COVID-19-ის პანდემიის გამო, სამწუხაროდ, ეროვნული კონფერენციის ჩატარება ვერ მოხერხდა.

2024 წელს, 13 სექტემბერს, საქართველოს ეკონომისტის დღეს საქართველოს ეკონომისტთა VI ეროვნულ კონფერენცია იმართება ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონფერენციის თემაა „მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია და ეკონომიკური უსაფრთხოება: საქართველოს ძირითადი გამოწვევები და შესაძლებლობები“. თემის აქტუალურობა 2022 წლის 24 თებერვლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებამ და ამის საპირწონედ დასავლეთის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებამ განაპირობა.

ფაქტია, რომ მსოფლიო წესრიგი ტრანსფორმაციის პროცესშია, როცა დიდია განუსაზღვრელობა, რაც დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემას აყენების. ამ ვითარებაში გადაუდებელია საქართველოს ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების მეცნიერული შესწავლა.

საქართველოს ეკონომისტთა პროფესიულ დღეს ვულოცავ ყველა ჩვენს თანამემამულე ეკონომისტს, მეცნიერს და საჯარო მოხელეს, ეკონომიკური პროფილის სამივე საფეხურის სტუდენტს! დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის მეცნიერ-ეკონომისტები ახალი შემართებითა და მეცნიერული შედეგებით წარმატებით გააგრძელებენ საქმიანობას ჩვენი სამშობლოს, მისი განვითარების სამსახურში!

პატივისცემით,
აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა
13 სექტემბერი, 2024 წელი

პლენალური სესია

მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის შესაძლო ცვლილებები გლობალიზაციის ტრანსფორმაციის პირობებში და „შუა დერეფანი“

ვლადიმერ პაპავა

აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ანოტაცია. *სტატიაში განხილულია მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ცვლილებების თავისებურებები, რომლებიც უმთავრესად განპირობებულია გლობალიზაციის ტრანსფორმაციით. ნაჩვენებია, რომ COVID-19-ის პანდემიამ დაასრულა ჰიპერგლობალიზაცია, რომელიც ჩაანაცვლა ტურბულენტურმა გლობალიზაციამ, რომელიც რუსეთის მიერ უკარიანაში დაწყებულმა ომმა და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა შეცვალა კონფრონტაციული გლობალიზაციით. სავარაუდოდ, კონფრონატციულ გლობალიზაციას ჩაანაცვლებს გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოებით. ამ შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის მომავალი კონტურები დაეფუძვნება ისეთ კონფიგურაციას, როცა შეიქმნება მრავალპოლუსიანი სისტემა, რომელშიც არც ერთ ქვეყანას არ ექნება ჰეგემონიური მდგომარეობა. სტატიაში ასევე განხილულია საქართველოსთვის ე.წ. „შუა დერეფნის“ მნიშვნელობა, რომელიც წარმოადგენს ჩინური პროექტი „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ ერთ-ერთ დერეფანს, და რომელიც გაივლის აზერბაიჯანსა და საქართველოზე. გამოკვეთილია „შუა დერეფნის“ ამოქმედების როგორც მომხრე, ისე მოწინააღმდეგე ქვეყნები.*

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, ჰიპერგლობალიზაცია, ტურბულენტური გლობალიზაცია, კონფრონტაციული გლობალიზაცია, „შუა დერეფანი“.*

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო განიცდის არანახულ ცვლილებებს, რასაც ჯერ კიდევ 2020 წლიდან მოყოლებული COVID-19-ის პანდემიამ ჩაუყარა საფუძველი (Papava, 2020a). 2022 წლის 24 თებრევალს რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა და ამის საწინააღმდეგოდ რუსეთისათვის დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების პროცესი კიდევ უფრო გააღრმავა (Papava, 2022c, 2022d).

ასეთ ვითარებაში მსოფლიო წესრიგი, როგორც საერთაშორისო ნორმატიული სისტემა, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოში არსებულ ძალთა თანაფარდობას და რომელმაც უნდა დაარეგულიროს სერთაშორისო ურთიერთობები, არსებით ტრანსფორმაციას დექვემდებარა (მაგალითად, Gabriel, Hüther, 2022; Hosoya, Kundnani, eds., 2024; Sorge, 2023). როგორც ცნობილია, იმ მსოფილო წესრიგის ჩამოყალიბებაში, რომელიც ძირითადად პირველი და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ასევე საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოიქმნა, აშშ-ს გადამწყვეტი როლი ჰქონდა (მაგალითად, Gabriel, Hüther, 2022). მიუხედავად ამისა, დღეს „ახალი ეკონომიკური მსოფლიო წესრიგის“ ჩამოყალიბების მოთხოვნით თავად აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გამოდის (Bade, 2023). ცალკე აღნიშვნის ღირსია რუსეთის და ჩრდილოეთ კორეის მცდელობა არსებული მსოფლიო წესრიგის ნგრევის საფუძველზე შექმნან მისი ალტერნატივა (Feffer, 2024).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მსოფლიო წესრიგის, როგორც ასეთის, „უკან“ გლობალიზაცია დგას (მაგალითად, Amadi, 2020; Ardalan, 2012; Dimitrijević, Vučić, 2016; Ebo, Yimini, 2022), რომლის ხასიათიც არსებითად განსაზღვრავს ამ წესრიგის თავისებურებებს. შესაბამისად, იმის გასარკვევად, თუ როგორ ტრანსფორმაციას განიცდის თანამედროვე მსოფლიო წესრიგი აუცილებელია იმის გაანალიზება, თუ, როგორ იცვლება გლობალიზაცია COVID-19-ის პანდემიისა და მსოფლიოში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე. აქედან გამომდინარე კი შესაძლებელი იქნება გამოიკვეთოს ის ძირითადი გამოწვევები, რომელთა წინაშეც საქართველოს ეკონომიკა დგას.

გლობალიზაციის ტრანსფორმაცია და მსოფლიო წესრიგის შესაძლო ცვლილებები

ფაქტია, რომ COVID-19-ის პანდემიამ უშუალო ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე (მაგალითად, CIIS, n.d.; Dynkin, Telegin, 2021; Huang, 2021). არანაკლებ ზეგავლენას მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგზე ახდენენ ზოგადად ომები

(მაგალითად, Ekman et al., eds., 2024), და, მათ შორის, რუსეთის ომი უკრაინაში (მაგალითად, Flockhart, 2023; Gottlieb, 2023; Lehne, 2023), ასევე ისრაელ-ჰამასის ომი (მაგალითად, Lau, 2023). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლიბერალური მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის „ჩამოშლის“ პირველი სიმპტომები ჯერ კიდევ პანდემიამდე გამოიკვეთა (მაგალითად, Draghi, 2024), რომ არაფერი ვთქვათ რუსეთის ომზე უკრაინაში და, მით უფრო, ისრაელ-ჰამასის ომის დაწყებაზე. კერძოდ, 2016 წელს განხორციელდა ბრექსიტი, როცა დიდი ბრიტანეთი ევროკავშირიდან გავიდა, 2017 წელს კატალონიაში ჩატარდა ესპანეთიდან გამოყოფის რეფერენდუმი, ხოლო 2018, 2020 და 2021 წლებში კი მსაგვსი რეფერენდუმები საფრანგეთის ახალ კალედონიაშიც ჩატარდა, აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა კი საფუძველი ჩუყარა აშშ-ჩინეთის ეკონომიკურ დაპირისპირებას, რომელიც აშშ-ში ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის დროს კიდევ უფრო გამძაფრდა (მაგალითად, Amadi, 2020).

ხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებელია იმის გაანალიზება, თუ როგორ „ითარგმნება“ გლობალიზაციის „ენაზე“ მსოფლიო ეკონომიკური წესრიგში მიმდინარე ცვლილებები.

COVID-19-ის პანდემიის დაწყება აშკარად მოულოდნელი იყო, ხოლო კორონავირუსის გავრცელების შეზღუდვაში მედიცინა იმდენად უსუსური აღმოჩნდა, რომ ეროვნულ მთავრობებს სხვა გზა არ დარჩა გარდა იმისა, რომ ეკონომიკის ცალკეული დარგების ფუნქციონირება შეეჩერებინა. ეს კი მიწოდების გლობალური ჯაჭვების წყვეტას მოასწავებდა (მაგალითად, Rickards, 2022). პანდემიის საწყის ეტაპზე საეთაშორისო ორგანიზაციების დაბნეულობის გამო ცალკეული ქვეყნები COVID-19-ის პანდემიის უარყოფითი შდეგების შესამსუბუქებლად მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი რისკის ფასად იღებდნენ გადაწყვეტილებებს, რამაც შექმნა იმის განცდა, რომ ახალ მასშტაბურ პროცესს - დეგლობალიზაციას ჩაეყარა საფუძველი, რომელიც საბოლოო ჯამში იზოლაციონიზმში უნდა გადაზრდილიყო (მაგალითად, Derviş, Strauss, 2020).

მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტებისთვის თავიდანვე აშკარა იყო, რომ გლობალური ხასიათის მქონე პანდემიის დაძლევა გლობალიზაციის უარყოფით და, მით უფრო, იზოლაციონიზმის დამკვიდრებით შეუძლებელი იქნებოდა (მაგალითად, Stiglitz, 2020). ამასთან ერთად, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ პოსტპანდემიური ეკონომიკური განვითარება დეგლობალიზაციის პირობებში, რომ არაფერი ვთქვათ იზოლაციონიზმზე, პრაქტიკულეად შეუძლებელი იქნებოდა (მაგალითად, Fung, 2020).

ხაზგასასმელია, რომ გლობალიზაციის დასრულება პრინციპულადაა შეუძლებელი, რაზეც ყველაზე ნათლად არალეგალური გლობალური ეკონომიკის (მაგალითად, ნარკობიზნესი, იარაღით არალეგალური ვაჭრობა და სხვ.) მდგრადობა

მეტყველებს. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი ათეული წელია, რაც არალეგალურ გლობალურ ეკონომიკას ებრძვიან ეროვნული მთავრობები და საერთაშორსიო ორგანიზაციებიც (რომელთა შორის, განსაკუთრებით, ინტერპოლია გამოსაყოფი), ის პრაქტიკულად „დაუმარცხებელია“ (Papava, 2022b). როგორც ფაქტები ცხადყოფენ, სამწუხაროდ, სწორედ არალეგალური გლობალური ეკონომიკა არის დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების გვერდის ავლაში მისი მთავარი „მოკავშირე“ (Papava, 2023). მართლაც, დასავლეთის კომპანიები ამ სანქციების მიუხედავად მაინც ახერხებენ რუსეთთან (ასევე შიგ რუსეთშიც კი) მეტ-ნაკლები წარმატებით ბიზნესის გაგრძელებას (მაგალითად, Atasuntsev, 2023; Berman, 2023; Deen, 2023; Euronews, 2023; Feldstein, 2024; Race, 2024; Rajoli, 2024; Ruehl, 2022).

თუ, გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, ხოლო დეგლობალიზაცია კი, როგორც ასეთი, მოჩვენებითია (Papava, 2021), მაშინ დასადგენია, თუ რასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ რა ტრანსფორმაციულ ცვლილებებს განიცდის გლობალიზაცია.

COVID-19-ის პანდემიის დაწყებამდე გლობალიზაცია, მისი განსაკუთრებული მასშტაბურობიდან გამომდინარე კვალიფიცირებული იყო, როგორც *ჰიპერგლობალიზაცია* (Rodrik, 2011). ამ უკანასკნელის ქვეშ, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური გლობალიზაციის საკმაოდ მაღალი დონე იგულისხმებოდა. იმავდროულად, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ COVID-19-ის პანდემიამ ცხადყო, რომ პოლიტიკური გლობალიზაციის დონე აშკარად ჩამორჩა ეკონომიკური გლობალიზაციის დონეს (Kołodko, 2022), რის გამოც, როგორც ეს ზემოთ უკვე აღინიშნა, კორონავისრუსის გავრცელებას ეროვნული მთავრობები დამოუკიდებლად ებრძოდნენ, მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციები, და, უწინარეს ყოვლისა, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, განსაკუთრებით პანდემიის საწყის ეტაპზე დაბნეულობის გამო უსუსურად გამოიყურებოდნენ. მაშასადამე, COVID-19-ის პანდემიის დაწყებამ განაპიობა არა გლობალიზაციის, არამედ ჰიპერგლობალიზაციის დასრულება, უფრო ზუსტად კი მისი *ტურბულენტურ გლობალიზაციაში* (Papava, 2022e) გადაზრდის პროცესი განაპირობა. ფაქტია, რომ ტურბულენტურმა გლობალიზაციამ ჰიპერგლობალიზაციის თანდათანობით ჩანაცვლება „დაიწყო“ მაშინ, როცა ლიბერალური მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის „ჩამოშლის“ ზემოხსენებული პირველი სიმპტომები გამოიკვეთა (მაგალითად, Carr, ed., 2021; O’Rourke, 2019; Woodward, 2017).

რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყბას და ამის გამო დასავლეთის მიერ რუსეთის მიმართ ეკონომიკუი სანქციების დაწესებამ (BBC, 2024) მსოფლიო ეკონომიკის არქიტექტურა არსებითად შეცვალა, როცა ქვეყნები სამ ჯგუფად - ამ

სანქციების შემომღებად, რუსეთის მხარდამჭერებად და ნეიტრალურ სახელწიფოებად დაიყო (Papava, 2022d). შედეგად, გლობალურმა ეკონომიკამ კონფრონტაციული ხასიათი შეიძინა, ანუ ტურბულენტური გლობალიზაცია *კონფრონტაციულმა გლობალიზაციამ* ჩაანცვლა (Papava, 2022e).

აშკარაა, რომ პანდემიის დაწყებამ არა დეგლობალიზაციას შეუწყო ხელი, არამედ იმ პროცესს, რომელიც უმჯობესია ფსევდოდეგლობალიზაციად იქნას შეფასებული (Papava, 2021).

დეგლობალიზაციის კონტექსტშიც კი ეკონომისტებმა დაიწყეს იმის გაანალიზება, თუ მომავალი გლობალიზაცია როგორი უნდა ყოფილიყო. უკეთესის მოლოდინში აღინიშნა, რომ მსოფლიო დადგებოდა გლობალიზაციის უფრო მაღალი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული დონის ახალი „ტალღის“ წინაშე (El-Erian, 2020), ან „უკეთესი გლობალიზაციის“ (Rodrik, 2022a) წინაშე. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ „გლობალიზაციის ახალი ტალღის“ ან „უკეთესი გლობალიზაციის“ შინაარსობრივი მხარე ამ ფრაზების ავტორების მხრიდან, სამწუხაროდ, განმარტებული არ არის.

ხსენებული „უკეთესი გლობალიზაციის“ არსის გააზრებისთვის აუცილებელია განხილულ იქნას ის ძირითადი პრობლემები, რომელთა აქტუალურობის ზრდას ჯერ პანდემიამ, შემდეგ კი რუსეთის ომმა უკრაინაში და დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების შემოღებამ შეუწყო ხელი. როგორც მოსალოდნელი იყო ყველა ამ ხსენებულმა მოვლენებმა ძალზედ გაამწვავა ზოგადად უსაფრთხოებასთან (Myerson, 2020), ისე, კერძოდ, ენერგეტიკულ (UN, 2021) და სასურსათო უსაფრთხოებასთან (Blair, Kalibata, 2020) დაკავშირებული საკითხები.

სამწუხაროდ, არც თეორიულადაც და არც პრაქტიკულად, სულაც არ არის გამორიცხული გლობალური მასშტაბის მქონე ახალი პანდემიების წარმოქმნა, ისევე როგორც პერიოდულად ქვეყნებს შორის ომების წარმოებაც. თანამედროვე გამოცდილებიდან გამომდინარე კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხები მსოფლიოში სულ უფრო მეტ სიმწვავეს შეიძენს. მაშასადამე, დიდი ალბათობით ხსენებული „უკეთესი გლობალიზაცია“ უნდა იყოს *გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით* (Papava, 2022a). ის დღეს არსებულ კონფრონტაციულ გლობალიზაციას ჩაანაცვლებს. ჩვენი აზრით, გლობალიზაცია ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით ეკონომიკური ნაციონალიზმის თანამედროვე გაგებას დაედო საფუძვლად (Rodrik, 2023).

ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა მიწოდების უფრო მდგრადი გლობალური ჯაჭვების ფორმირებაა (მაგალითად, Marin, 2021; Zeihan, 2022). ამ მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ „რეშორინგი“, ან

„ონშორინგი“ (საწარმოების სხვადასხვა ქვეყნიდან რეპატრიაცია), „ნიაშორინგი“ (საწარმოების შორეული ქვეყნებიდან მეზობელ ქვეყნებში გადატანა), „ფრენდშორინგი“ და „ელაიშორინგი“ (საწარმოების შორეული ქვეყნებიდან იმ ქვეყნებში გადატანა, რომლებიც მეგობრულად არიან განწყობილი და მსგავს ფასეულობებს იზიარებენ) (Kessler, 2022). აშკარაა, რომ საწარმოების ლოკაციის შეცვლა, რაც უსაფრთხოების და არა მომგებიანობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, სხვა თანაბარ პირობებში, ფაქტობრივად ეწინააღმდეგება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს (Rajan, 2022; Zeihan, 2022), და უეჭველად გამოიწვევს წარმოების ხარჯების ზრდას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ნაბიჯები ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის ფრაგმენტაციას (Badré, Tiberghien, 2024; Brandon, 2024), გლობალიზაციის ფორმატში რეგიონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებას (O'Neil, 2022). იმავდროულად, ნათელია, რომ საწარმოების ლოკაციის ხსენებული შეცვლა მიწოდების გლობალური ჯაჭვების მდგრადობის ამაღლებითაა ნაკარნახევი (Krugman, 2024).

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ჯერ კონფრონტაციული გლობალიზაციის და შემდეგ კი უკვე ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე აგებული გლობალიზაციის პირობებში დიდი ალბათობით უნდა ჩამოყალიბდეს მრავალპოლუსიანი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი, სადაც გლობალური სამხრეთის განსაკუთრებული მნიშვნელობა საკმაოდ რელიეფურად გამოიკვეთება (მაგალითად, Artner, Yin, 2023; Darnal et al., 2023; Davies, 2024; Nair, 2022). ვარაუდი იმის შესახებ, რომ აშშ-ის ლიდერობას მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში ჩინეთი ჩაანაცვლებს, უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა (მაგალითად, Dams, Veldkamp, 2024; Gottlieb, 2023). საყურადღებოა, რომ იგივე შეიძლება ითქვას BRICS-ზეც. მართალია, მისი ხვედრი წილი მსოფლიო ეკონომიკაში ბოლო წლებში კი იზრდება (კერძოდ, თუ 1994 წელს „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, იტალია, კანადა და საფრანგეთი) წილი მსოფლიო წარმოებაში იყო დომინანტური, რადგან 45%-ზე მეტს შეადგენდა, ხოლო BRICS-ის ქვეყნების (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა, ეგვიპტე, ეთიოპია, ირანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები) წილი მხოლოდ 19%-მდე იყო, 2023 წელს პირველის წილი 29%-ს მცირედით აღემატებოდა, ხოლო მეორის წილი კი 35%-ზე მეტი გახდა) (Sachs, 2024), მაგრამ BRICS-ი დასავლეთს მთელი რიგი მიმართულებებით მაინც ჩამორჩება დასავლეთს (Collins, 2024). აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთს უკრაინაში ომისათვის დასავლეთმა ეკონომიკური სანქციები დაუწესა, ნავთობი არა მარტო ამერიკულ დოლარებში იყიდება, არამედ ბევრ სხვა ვალუტაშიც,

რაც აშკარად მიგვანიშნებს იმაზე, რომ ნავთობის ბაზარი მარავალ პოლუსიანი იქნება (Moti, 2024).

შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ ე.წ. „ახალ“ მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგში ჰეგემონი ქვეყანა აღარ იქნება (მაგალითად, Artner, Yin, 2023; Khojayan, 2022; Sachs, 2024).

„შუა დერეფნის“ სირთულეები და პერსპექტივები

სანამ 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი უკრაინაში ომს დაიწყებდა ცენტრალური აზიის ქვეყნები და ჩინეთი ევროპას რუსეთზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნით უკავშირდებოდა. ამ ომის დაწყების შემდეგ და ამის გამო რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა რუსეთზე გამავალი ხსენებული სატრანსპორტო დერეფნის დაბლოკვა გამოიწვია. შედეგად, ე.წ. „შუა დერეფნის“ პროექტის ამოქმედების აუცილებლობა გააქტიურდა, რომლის საშუალებითაც აზიისა და ევროპის დაკავშირება საქართველოსა და აზერბაიჯანზე გამავალი დერეფნის გამოყენებით განხორციელდება (მაგალითად, Ismailov, Papava, 2018; Kipiani, 2023).

როგორც ცნობილია, „შუა დერეფანი“ არის გლობალური ხასიათის მქონე ჩინური პროექტის „ერთი გზა, ერთი სარტყელის“ (მაგალითად, Charaia, Papava, 2017) ერთ-ერთი დერეფანია. სწორედ, „შუა დერეფნის“ გამოყენებით არის შესაძლებელი რომ ჩინეთი და ცენტრალური აზიის ქვეყნები ევროპას დაუკავშირდეს. მაშასადამე, „შუა დერეფანი“ შეიძლება განხილულ იქნას იმ სატრანსპორტო დერეფნის ალტერნატივად, რომელიც რუსეთზე გადიოდა და ამ ეტაპზე, როგორც ითქვა, რუსეთის მიერ უკრაინაში ომისა და რუსეთისადმი დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამო დაბლოკილია.

„შუა დერეფანთან“ დაკავშირებით მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ტრანსფორმაციის პირობებში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების, ე.წ. გლობალური „მოთამაშეების“ დამოკიდებულება არაერთმნიშვნელოვანია (მაგალითად, Maisaia, 2024).

აშკარაა, რომ ის ქვეყნები, რომლებიც მონაწილეობენ „შუა დერეფანის“ პროექტში, მისი ამოქმედებით უშუალოდ არიან დაინერესებულნი. კერძოდ, საუბარია ჩინეთზე, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე, აზერბაიჯანზე, საქართველოზე, თურქეთსა და ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნებზე.

ასევე აშკარაა, რომ „შუა დერეფანის“ პროექტის ამოქმედების უშუალო მოწინააღმდეგეა რუსეთი (Papava, 2017), რადგანაც მას უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ ძალიან გაუჭირდება მის ტერიტორიაზე გამავალი დერეფნის კვლავ ამოქმედება.

იმის გამო, რომ აშშ-სა და ჩინეთს შორის მიმდინარეობს სავაჭრო და სავალუტო დაპირისპირება (მაგალითად, Rodrik, 2022b; Woodward, 2017), ვაშინგტონი არ არის დაინტერესებული „შუა დერეფნის“ პროექტის რეალიზაციით, რადგანაც ეს ჩინეთსა და ევროპას შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას გამოიწვევს. სწორედ ამ მიზნით, აშშ ცდილობს ჩინეთის საპირწონედ გაეძლიერებინა ინდოეთი და ამ მიზნით შეიმუშავა კიდეც ინდოეთის სამხრეთ ევროპასთან დამაკავშირებელი დერეფნის პროექტი, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე უნდა გაიაროს (მაგალითად, Rizzi, 2024). ამ დერეფანს კი არავითარი შეხება არ ექნება საქართველოსთან. საყურადღებოა, რომ ბოლო პერიოდში აშშ-სა და ინდოეთს შორის ურთიერთობა გართულებულია, რადგანაც ინდოეთი დასავლეთის მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მიუხედავად აგრძელებს რუსეთთან თანამშრომლობას, და BRICS-ის ფორმატშიც ახერხებს კონსტრუქციული ურთიერთობის შენარჩენებას არა მარტო რუსეთთან, არამედ ჩინეთთანაც (Cunningham, 2024).

აქედან გამომდინარე საქართველოს დაჭირდება სერიოზული ძალისხმევა, რომ შეინარჩუნოს და გაარღმავოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა აშშ-თან და განავითაროს ეკნომიკური თანამშრომლობა ჩინეთთან. ეს ამოცანა ნამდვილად არ არის მარტივი, თუმცა მისი განხორციელება, ჩვენი ღრმა რწმენით, მაინც შესაძლებელია.

დასკვნა

რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა და მის კვალობაზე რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა პროვოცირება გაუკეთეს მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ცვლილების პროცესს, რომლის საფუძველსაც გლობალიზაციის ტრანსფორმაცია წარმოადგენს.

COVID-19-ის პანდემიამ განაპირობა ის, რომ ჰიპერგლობალიზაცია ჩაანაცვლა ტურბულენტურმა გლობალიზაციამ. დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ მიღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა კი ტურბულენტური გლობალიზაციის კონფრონტაციულ გლობალიზაციაში გადაზარდას შეუწყო ხელი.

სავარაუდოდ ტურბულენტურ გლობალიზაციას ჩაანაცვლებს გლობალიზაცია ეკონომუკრი უსაფრთხოებით, რაც გახდება იმის საფუძველი, რომ ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი მრავალპოლუსიანი გახდება.

რუსეთის ომმა უკრაინაში, და რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის მიერ შემოღებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა ხელი შეუწყო „შუა დერეფნის“ პროექტის გააქტიურებას, რომლითაც ჩინეთი და ცენტრალური აზიის ქვეყნები ევროპას დაუკავშირდება.

გამოიკვეთა „შუა დერეფნის“ პროექტის მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც. საქართველოსთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება დააბალანსოს მათი ინტერესები ისე, რომ ამან საქართველოს არ შეუშალოს ხელი სასიციცხლო ინტერესების გატარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Amadi L. 2020. “Globalization and the Changing Liberal International Order: A Review of the Literature.” *Research in Globalization*, Vol. 2, December, <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2590051X20300046>.

Ardalan K. 2012. “Globalization and World Order: Four Paradigmatic Views.” *Journal of Globalization Studies*, Vol. 3, No. 1, <https://www.sociostudies.org/journal/files/jogs/2012_1/039-054.pdf>.

Artner A., Yin Z. 2023. “Towards a Non-Hegemonic World Order – Emancipation and the Political Agency of the Global South in a Changing World Order.” *Third World Quarterly*, Vol. 44, No. 10, <https://www.tandfonline.com/doi/epdf/10.1080/01436597.2023.2251422?needAccess=true>.

Atasuntsev A. 2023. “A Loophole in the Sanctions.” *Verstka*, August 9, <https://verstka.media/a-loophole-in-the-sanctions-sanctioned-goods-of-almost-all-types-worth-billions-of-dollars-are-imported-into-russia>.

Bade G. 2023. “Joe Biden Wants a ‘New Economic World Order.’ It’s Never Looked More Disordered.” *Politico*, May 25, <https://www.politico.com/news/2023/05/25/joe-bidens-economy-trade-china-00096781>.

BBC. 2024. “What Are the Sanctions on Russia and Have They Affected Its Economy?” *BBC*, February 23, <https://www.bbc.com/news/world-europe-60125659>.

Badré B., Tiberghien Y. 2024. “The Global Economy Is More Vulnerable Than It Seems.” *Project Syndicate*, May 20, <https://www.project-syndicate.org/commentary/five-factors-

driving-global-economic-fragmentation-by-bertrand-badre-and-yves-tiberghien-1-2024-05?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=e94676e5af-sunday_newsletter_05_26_2024&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-e94676e5af-93567601&mc_cid=e94676e5af&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Berman I. 2023. "Western Business Is Still Sustaining Russia's War." *The Hill*, January 30, <https://thehill-com.cdn.ampproject.org/c/s/thehill.com/opinion/international/3835419-western-business-is-still-sustaining-russias-war/amp/?fbclid=IwAR3RxedQEewOrlkDaoT7QB7N7cbfN_5z-gQnaM_2-OhOIhhIlayQN8fQsbA>.

Blair T., Kalibata A. 2020. "Building Food Security During the Pandemic." *Project Syndicate*, May 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/four-ways-to-boost-food-security-during-covid19-pandemic-by-tony-blair-and-agnes-kalibata-2020-05>.

Brandon K. 2024. "Transitioning to a New Global Order. At a Time of Growing Geopolitical Fragmentation and Conflict, How Can the World Foster the Kind of International Cooperation Needed to Find the Answers?" *SEI Perspectives*, January 17, <https://www.sei.org/perspectives/transitioning-to-a-new-global-order/>.

Carr E. A. Jr. ed. 2021. *From Trump to Biden and Beyond: Reimagining US–China Relations*. New York: Palgrave Macmillan.

Charaia V., Papava V. 2017. "Belt and Road Initiative: Implications for Georgia and China-Georgia Economic Relations." *China International Studies*, November/December.

CIIS, n.d. *How COVID-19 is Changing the World Order*. Beijing, China Institute of International Studies, <https://www.ciis.org.cn/english/PUBLICATIONS/202009/W020200914505488550839.pdf>.

Collins C. Y. K. 2024. "BRICS' Still Distant Gap With the West." *Eurasia Review*, June 21, <https://www.eurasiareview.com/21062024-brics-still-distant-gap-with-the-west-analysis/>.

Cunningham F. 2024. "Why Modi's India Is Suddenly Getting Washington's Cold Shoulder." *Strategic Culture Foundation*, June 15, <https://strategic-culture.su/news/2024/06/15/why-modi-india-suddenly-getting-washington-cold-shoulder/>.

Dams T., Veldkamp J. 2024. "How China Is Pursuing a New World Order Among the Geopolitical Ruins." *Clingendael*, February 24, <https://www.clingendael.org/publication/how-china-pursuing-new-world-order-among-geopolitical-ruins>.

Darnal A., Acharya A., Murithi T. 2023. "A [New] World Order: What, Why, and How?" *The Henry L. Stimson Center*, July 12, <https://www.stimson.org/2023/a-new-world-order-what-why-and-how/>.

Davies T. 2024. "World Order Transformation from the Grassroots: Global South Social Movements and the Transcendence of Established Approaches to International Change." *International Political Sociology*, Vol. 18, Iss. 1, <https://academic.oup.com/ips/article/18/1/olad023/7529025>.

Deen T. 2023. "Iranian Drones Include US and Western Components." *Eurasia Review*, January 11, <https://www.eurasiareview.com/11012023-iranian-drones-include-us-and-western-components-oped/?fbclid=IwAR3cvzUIiJRQdnljaN-2J5s7KXDRZpz_7lTkmPrSr7wEzjNed__V_o3gRVc>.

Dimitrijević D., Vučić M. 2016. "Globalisation and the New World Order." In *Globalized World: Advantage or Disadvantage*. B. Đorđević, T. Tsukimura, I. Lađevac, eds. Belgrade, Global Resource Management, Doshisha University.

Draghi M. 2024. "Economic Policy in a Changing World." *Business Economics*, May 17, <https://doi.org/10.1057/s11369-024-00357-3 >.

Dynkin A. A., Telegin E. A. 2021. "Globalization and the World Order in the New Realities of the Post-COVID World." *Herald of the Russian Academy of Sciences*, Vol. 91, No. 4, <https://link.springer.com/article/10.1134/S101933162104002X>.

Ebo S., Yimini S. G. 2022. "Impacts of Globalization on Contemporary World Order." *Journal of Research in Humanities and Social Science*, Vol. 10, Iss. 11, <https://www.questjournals.org/jrhss/papers/vol10-issue11/1011115120.pdf>.

Ekman J., Sandomirskaja I., Bolin P., Gradskova Y., Malitska J., Lane T., Demirel C., eds. 2024. *A World Order in Transformation? A Comparative Study of Consequences of the War and Reactions to these Changes in the Region*. CBEES State of the Region Report, March. Malmö, Exakta Print AB, <https://sh.diva-portal.org/smash/get/diva2:1846696/FULLTEXT01.pdf>.

El-Erian M. A. 2020. "Navigating Deglobalization." *Project Syndicate*, May 11, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-deglobalization-two-priorities-by-mohamed-a-el-erian-2020-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=3ce69c95d3-sunday_newsletter_17_05_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-3ce69c95d3-93567601&mc_cid=3ce69c95d3&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Euronews. 2023. "More than 550 Global Companies are Still Doing Business in Russia. Many are European." *Euronews*, January 20, <https://www.euronews.com/my-

europe/2023/01/20/more-than-550-global-companies-are-still-doing-business-in-russia-many-are-european?fbclid=IwAR0c3-2aRZZKMu8UgDT2fVFLBabzhfjxpTjBHCKdaRU8LsPiC428xTo0grs>.

Feffer J. 2024. "Kim and Putin's New World Order." *Hankyoreh*, June, 25, <https://english.hani.co.kr/arti/english_edition/english_editorials/1146421>.

Feldstein S. 2024. "Why Russia Has Been So Resilient to Western Export Controls." *Carnegie Endowment for International Peace*, March 11, <https://carnegieendowment.org/research/2024/03/why-russia-has-been-so-resilient-to-western-export-controls?lang=en>.

Flockhart T. 2023. "Russia's War in Ukraine: A world Order under Transformation?" *Politica*, Vol. 55, No. 1, <https://tidsskrift.dk/politica/article/view/135830>.

Fung V. K. (2020). "The Trade Cure for the Global Economy." *Project Syndicate*, April 22, <https://www.project-syndicate.org/commentary/covid19-crisis-revive-multilateralism-open-trade-by-victor-k-fung-2020-04>.

Gabriel S., Hüther M. 2022. "In Search of a New World Order." *Atlantik-Brüecke*, May 27, <https://www.atlantik-bruecke.org/en/in-search-of-a-new-world-order/>.

Gottlieb S. 2023. "Ukraine and the End of the "New World Order"." *Journal of International Affairs*, Vol. 75, No. 2, <https://jia.sipa.columbia.edu/content/ukraine-and-end-new-world-order>.

Hosoya Y., Kundnani H., eds. 2024. *The Transformation of the Liberal International Order. Evolutions and Limitations*. Singapore, Springer.

Huang Q. 2021. "The Pandemic and the Transformation of Liberal International Order." *Journal of Chinese Political Science*, Vol, 26, <https://link.springer.com/article/10.1007/s11366-020-09698-0>.

Ismailov E., Papava V. 2018. "Caucasian Tandem and the Belt and Road Initiative." *Central Asia and the Caucasus*, Vol. 19, Issue 2.

Kessler S. 2022. "What Is 'Friendshoring'?" *The New York Times*, November 18, <https://www.nytimes.com/2022/11/18/business/friendshoring-jargon-business.html>.

Kipiani V. 2023. "Significance of the Middle Corridor: Underestimation Is Unacceptable and Overestimation Is Impossible." *European Journal of Economics and Management*, Vol. 9, No. 1, <https://eujem.cz/wp-content/uploads/2023/eujem_2023_9_1/03.pdf>.

Khojayan K. 2022. "Reflections on the Transformation of the World Order: Emerging Trends and Impending Perspectives." *Journal of Political Science: Bulletin of Yerevan University*, Vol. 1, No. 2, <https://journals.ysu.am/index.php/j-pol-sci/article/view/8456/7409>.

Krugman P. 2024. "Stuck Ships and Supply-Chain Inflation." *The New York Times*, April 2, <https://www.nytimes.com/2024/04/02/opinion/baltimore-bridge-inflation-supply-chain.html>.

Lau J. 2023. "The Israel-Hamas War and the New World Order." *Internationale Politik Quarterly*, October 18, <https://ip-quarterly.com/en/israel-hamas-war-and-new-world-order>.

Lehne S. 2023. "After Russia's War Against Ukraine: What Kind of World Order?" *Carnegie Europe*, February 28, <https://carnegieeurope.eu/2023/02/28/after-russia-s-war-against-ukraine-what-kind-of-world-order-pub-89130>.

Maisaia V. 2024. "Three "Giants" Geoeconomic Wargame Over "Middle Transit Corridor"." *Azerbaijan Today*, June 8, <https://azerbaijantoday.az/2024/06/07/three-giants-geoeconomic-wargame-over-middle-transit-corridor/>.

Marin D. 2021. "Making Supply Chains More Resilient." *Project Syndicate*, July 27, <https://www.project-syndicate.org/commentary/should-governments-help-to-boost-supply-chain-resilience-by-dalia-marin-2021-07>.

Marin D. 2024. "Europe Needs Chinese Investment." *Project Syndicate*, June 13, <https://www.project-syndicate.org/commentary/how-europe-can-attract-fdi-flows-from-china-by-dalia-marin-2024-06?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=aa8c329396-sunday_newsletter_06_16_2024&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-aa8c329396-93567601&mc_cid=aa8c329396&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Moti A. 2024. "The Petrodollar's Precarious Perch: A Multipolar Future for Oil Trade?" *Eurasia Review*, June 20, <https://www.eurasiareview.com/20062024-the-petrodollars-precarious-perch-a-multipolar-future-for-oil-trade-oped/>.

Myerson R. B. 2020. "How America Should Redefine Its National Security After Pandemic." *The Hill*, October 9, <https://thehill.com/opinion/national-security/520326-how-america-should-redefine-its-national-security-after-pandemic/>.

Nair C. 2022. "The Emerging World Order is Post-Western and Pre-Plural." Institut Montaigne, September 6, <https://www.institutmontaigne.org/en/expressions/emerging-world-order-post-western-and-pre-plural>.

O'Neil S. K. 2022. *The Globalization Myth: Why Regions Matter*. New Haven, Yale University Press.

O'Rourke K. 2019. *A Short History of Brexit*. London, Pelican.

Papava V. 2017. "Belt and Road Initiative, the Russian Factor and Main Challenges for Georgia." *Eurasia Review*, November 27, <https://www.eurasiareview.com/27112017-belt-and-road-initiative-the-russian-factor-and-main-challenges-for-georgia-oped/>.

Papava V. 2020. "Coronomic Crisis: When the Economy Is a Hostage to Medicine." *Eurasia Review*, March 29, <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

Papava V. 2021. "On Pseudo De-Globalization, Silk Road of Global Value Chains and Role of Georgia." *Eurasia Review*, October 18, <https://www.eurasiareview.com/18102021-on-pseudo-de-globalization-silk-road-of-global-value-chains-and-role-of-georgia-oped/>.

Papava V. 2022a. "Moving from Hyper-Globalization." *Eurasia Review*, October 28, <https://www.eurasiareview.com/28102022-moving-from-hyper-globalization-oped/?fbclid=IwAR2pYf4-drq_z0j5oF9mad6BO8SrjxvsRUbd7ebBjdtt6Fp14jYVZiVITq0>.

Papava V. 2022b. "On Illegal Globalization, or Can Globalization Ever End?" *Eurasia Review*, December 19, <https://www.eurasiareview.com/19122022-on-illegal-globalization-or-can-globalization-ever-end-oped/>.

Papava V. 2022c. "On Sanctionomics." *Eurasia Review*. March 14, <https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped/>.

Papava V. 2022d. "On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy." *Eurasia Review*, March 31, < https://www.eurasiareview.com/31032022-on-the-main-challenges-of-the-architecture-transformation-of-the-world-economy-oped/>.

Papava V. 2022e. "Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization." *Eurasia Review*, May 23, <https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/>.

Papava V. 2023. "Illegal Globalization Is Russia's Main 'Ally' Against The West." *Eurasia Review*, February 9, <https://www.eurasiareview.com/09022023-illegal-globalization-is-russias-main-ally-against-the-west-oped/>.

Race M. 2024. "Russian Oil Getting into UK via Refinery Loophole, Reports Claim." *BBC*, February 5, <https://www.bbc.com/news/business-68018660>.

Rajan R. G. 2022. "Just Say No to "Friend-Shoring"." *Project Syndicate*, January 3, <https://www.project-syndicate.org/commentary/friend-shoring-higher-costs-and-more-conflict-without-resilience-by-raghuram-rajan-2022-06>.

Rajoli S. J. 2024. "Are Western Sanctions Against Russia Working?" *ORF*, June 26, <https://www.orfonline.org/expert-speak/are-western-sanctions-against-russia-working>.

Rickards J. 2022. *Sold Out: How Broken Supply Chains, Surging Inflation, and Political Instability Will Sink the Global Economy*. New York, Portfolio.

Rizzi A. 2024. "The Infinite Connection: How to Make the India–Middle East–Europe Economic Corridor Happen." *European Council on Foreign Relations*, April 23,

<https://ecfr.eu/publication/the-infinite-connection-how-to-make-the-india-middle-east-europe-economic-corridor-happen/>.

Rodrik D. 2011. *The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy*. New York, W. W. Norton & Co.

Rodrik D. 2022a. "A Better Globalization Might Rise from Hyper-Globalization's Ashes." *Project Syndicate*, May 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/after-hyperglobalization-national-interests-open-economy-by-dani-rodrik-2022-05?barrier=accesspaylog>.

Rodrik D. 2022b. "Don't Let Geopolitics Kill the World Economy." *Project Syndicate*, November 10, <https://www.project-syndicate.org/commentary/us-china-high-tech-trade-restrictions-by-dani-rodrik-2022-11?utm_source=project-syndicate.org&utm_medium=email&utm_campaign=authnote&barrier=accesspaylog>.

Rodrik D. 2023. "Doing Economic Nationalism the Right Way." *Project Syndicate*, November 7, <https://www.project-syndicate.org/commentary/east-asian-model-vindicates-economic-nationalism-by-dani-rodrik-2023-11>.

Ruehl J. P. 2022. "Sanctions Batter Russia as the Kremlin Attempts to Overcome Them." *Eurasia Review*, December 6, <https://www.eurasiareview.com/06122022-sanctions-batter-russia-as-the-kremlin-attempts-to-overcome-them-oped/>.

Sachs J. 2024. "The Perils and Promise of the Emerging Multipolar World." *Common Dreams*, June 6, <https://www.commondreams.org/opinion/emerging-multipolar-world>.

Sorge H. 2023. "A New World Order in the Making." *Policy Center for the New South*, December 22, <https://www.policycenter.ma/publications/new-world-order-making>.

Stiglitz J. E. 2020. "Plagued by Trumpism." *Project Syndicate*, March 9, <https://www.project-syndicate.org/commentary/trump-coronavirus-failure-of-small-government-by-joseph-e-stiglitz-2020-03>.

UN. 2021. "Enhancing Energy Security in the Context of the Coronavirus Disease Pandemic for a Greener, More Resilient and Inclusive Energy Future in the Region." *UN Economic and Social Council*, February 1, <https://www.unescap.org/sites/default/d8files/event-documents/ESCAP_77_17_E.pdf>.

Woodward J. 2017. *The US vs China: Asia's New Cold War?*. Manchester, Manchester University Press.

Zeihan P. (2022). *The End of the World Is Just the Beginning: Mapping the Collapse of Globalization*. New York, Harper Business.

Possible Changes in the World Economic Order with the Transformation of Globalization and the "Middle Corridor"

Vladimer Papava
Academician
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
vladimer.papava@tsu.ge

Summary

The paper examines the features of changes in the world economic order, changes mainly caused by the transformation of globalization. It is shown that the COVID-19 pandemic put an end to hyperglobalization and was replaced by turbulent globalization, which then gave way to conformational globalization due to Russia's war in Ukraine and the West's economic sanctions against Russia. It is suggested that confrontational globalization will be replaced by globalization with economic security. In this case, the future contours of the world economic order will be based on such a configuration that a multipolar system will be created in which no one country will occupy a hegemonic position. The paper also examines the significance of the so-called "Middle Corridor", one of the corridors of the Chinese 'One Road, One Belt' project, which will pass through Azerbaijan and Georgia. Countries both supporting and opposing the implementation of the "Middle Corridor" have been identified.

Keywords: World Economic Order, Hyperglobalization, Turbulent Globalization, Confrontational Globalization, "Middle Corridor."

პირველი სექცია

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენების არეალი

იოსებ არჩვაძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი
daswreba@yahoo.com

ანოტაცია. *ქვეყნების მაკროეკონომიკური მდგომარეობის დასახასიათებლად მრავალი, კარგად აპრობირებული ინდიკატორი გამოიყენება. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა და გამოყენებითი ღირებულება განსაკუთრებით იზრდება საერთაშორისო შედარებებისა და ქვეყნების რეიტინგების დადგენისას. მეცნიერები და პრაქტიკოსები ეძებენ კომპლექსური, მრავალგანზომილებიანი ინდიკატორების გაანგარიშების მეთოდიკას, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელი იქნება სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კომპლექსური დახასიათება. მაგალითად, ბოლო წლებში დაინერგა ისეთი ინდიკატორები, როგორებიცაა ცხოვრების ხარისხის ინდექსი, ცხოვრებით კმაყოფილების ინდექსი, ბედნიერების საერთაშორისო ინდექსი, მთლიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსი და ა.შ. სულ უფრო მეტად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ არ არსებობს რაიმე სახის „ბერლინის კედელი“ ეკონომიკურ საქმიანობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა ასპექტებს შორის და რომ სავსებით შესაძლებელია ერთ ჭერ ქვეშ, ერთ ინდიკატორში ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ასპექტების მოქცევა. მაგალითად, ცხოვრების ხარისხის ინდექსის ცხრა კომპონენტიდან მხოლოდ ორია ეკონომიკური შინაარსის მატარებელი (მშპ მოსახლეობის ერთ სულზე და უმუშევრობის დონე). ასეთ პირობებში გაცილებით იოლია და გაანგარიშებისათვის სათანადო ინფორმაციის მქონე ინდიკატორი, ეკონომიკის მაკროეკონომიკური სტაბილურობის, მისი ნეგატიური ტენდენციებისადმი მდგრადობის ისეთი მახასიათებელი, როგორიც ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსია, რომლის შემოღება დაკავშირებულია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის არტურ (Arthur M. Okun, 1928-1980 წწ.) სახელთან.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი, უმუშევრობის დონე, ინფლაცია, ედი-ს ბუნებრივი და ზღვრული (დასაშვები) დონეები.*

თავისი ბუნებით, **ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის ზრდა – ნეგატიური შინაარსის, ხოლო შემცირება – პოზიტიური შინაარსის მატარებელია.** – რაც უფრო დაბალია ედი, ეკონომიკის განვითარების ტრენდი მით უფრო პოზიტიურია, ქვეყნის ეკონომიკა მით უფრო სტაბილური და მდგრადია, ნაკლებად მოწყვლადია რისკებისა და გამოწვევებისადმი. შესაბამისად, **ედი–ს ზრდის ტენდენცია საპირისპირო ფაქტორებისა და გარემოებების მომძლავრებაზე – ეკონომის მაკროეკონომიკურ არასტაბილურობასა და არამდგრადობაზე მეტყველებს.**

საქართველოში მეტ–ნაკლებად სარწმუნო სტატისტიკა ინფლაციაზე არსებობს 1996 წლიდან, სამუშაო ძალის გამოყენებაზე – 1998 წლიდან, შესაბამისად, საქართველოში ედი–ს გაანგარიშება შესაძლებელია 1998 წლიდან.

ცხრილი №1

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი (ედი) და
მისი კომპონენტები საქართველოში 2012–2023 წლებში

(საშუალო წლიური დონე; პროცენტი; აქ და ქვემოთ ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებზე მონაცემები აღებულია შესაბამისი ქვეყნების სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური საიტიდან)

	2012 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
ედი	25,8	25,9	23,7	30,2	29,2	18,9
ინფლაცია	-0,9	4,0	5,2	9,6	11,9	2,5
უმუშევრობა	26,7	21,9	18,5	20,6	17,3	16,4

როგორც მოტანილი მონაცემები ადასტურებენ, მიუხედავად იმისა რომ ედი-ს კომპონენტები არ გამოირჩევიან სტაბილურობით, მთლიანობაში ედი-ს (და მის კომპონენტებს), შემცირების ტენდენცია ახასიათებთ. და ეს მიუხედავად კორონავირუსით გამოწვეული კრიზისისა, რომელმაც სერიოზული დარტყმა მიაყენა გლობალურ, და შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკას, 2020-2021 წლებში.

მიუხედავად ცვალებადობისა, ედი-ს ფორმირებაში ლომის წილი უმუშევრობის დონეზე მოდის, რაც გამოწვეულია ძირითადად, საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკით უმუშევრობის „ისტორიულად“ მაღალი დონით და მისი ფაქტობრივად ეგზისტენციური მნიშვნელობით ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

ცხრილი N2

ინფლაციისა და უმუშევრობის წილი ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის ფორმირებაში საქართველოში 2012-2023 წლებში

(პროცენტი; ედი = 100)

	2012 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
ინფლაცია	-	15,4	21,9	31,8	40,8	13,2
უმუშევრობა	100,0	84,6	78,1	68,2	59,2	86,8

უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის მაღალი წილი არ არის საყოველთაო და უნივერსალური კანონზომიერება. - ბევრ ქვეყანაში, სადაც ინფლაციის წილი აშკარად „ჯაბნის“ უმუშევრობის დონეს, რის კარგ მაგალითს იძლევა აშშ, რასაც ადასტურებს ქვემორე ცხრილი.

ცხრილი N3

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი (ედი) და მისი კომპონენტები აშშ-ში 2012-2023 წლებში

(საშუალო წლიური დონე; პროცენტი)

	2012 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
ედი	10	5,1	7,9	8,6	11,6	7,8
ინფლაცია	2,1	0,1	1,2	4,7	8	4,1
უმუშევრობა	7,9	5	6,7	3,9	3,6	3,7

ედი აშშ-ში ქვეყნდება, დაწყებული 1948 წლის მონაცემებიდან. გავლილი 76 წლიდან ამ ქვეყანაში ედი-ს ორნიშნა მნიშვნელობა 27 წლის განმავლობაში ჰქონდა., ამასთან ზედიზედ 12 წლის განმავლობაში - 1973-1984 წლებში. ედის ყველაზე მაღალი წლიური მნიშვნელობა აშშ-ში დაფიქსირდა 1980 წელს (20.8%, მათ შორის აბსოლუტური რეკორდი 1980 წლის ივნისში - 22.0%), ყველაზე დაბალი მნიშვნელობა კი - 1953 წელს (3.7%). (იხ. **Misery index. -** https://inflationdata.com/articles/misery-index/.4).

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესების მიუხედავად, გაცილებით მძიმე „სასტარტო პირობების“ გამო, ედი-ს დონე საქართველოში საგრძნობლად აღემატება აშშ-სა და ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. ცხრილი N4), თუმცა განსხვავებას მათგან აშკარად შემცირების ტენდენცია აქვს.

ცხრილი 4

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი საქართველოში, აშშ-სა და ევროკავშირში 2012-2023 წლებში
(პროცენტი)

	2012 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
საქართველო	25,8	25,9	23,7	30,2	29,2	18,9
აშშ	10	5,1	7,9	8,6	11,6	7,8
ევროკავშირი	13,8	10,3	7,7	9,6	15	9,4

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, 2012 წელთან შედარებით ედის დონე შემცირდა: საქართველოში - 6.9 პუნქტით (26.7%-ით), აშშ-ში - 2.2 პუნქტით (22.0%-ით), ევროკავშირში - 4.4 პუნქტით (31.9%-ით). ამასთან, იმავე პერიოდში მოხერხდა ამ მაჩვენებლით საქართველოს სხვაობის შემცირება აშშ-სთან 4.7 პუნქტით და ევროკავშირთან - 2.7 პუნქტით. იმის გათვალისწინებით, რომ ედი ფაქტობრივად წარმოადგენს მაკროეკონომიკური მდგრადობისა და სტაბილურობის მაჩვენებელს, ამ უკანაკნელის ასპექტში, საქართველოს აშშ-სთან და ევროკავშირთან, შესაბამისად, 2012 წელს 2.6-ჯერ და 1.9-ჯერ უარესი მდგომარეობა ჰქონდა; 2023 წელს საქართველოს მაჩვენებლის თანაფარდობამ აშშ-ს მაჩვენებელთან გაუმჯობესდა 0.2 პუნქტით (2.4-მდე), ხოლო ევროკავშირთან, პირიქით, გაუარესდა 0.1 პუნქტით (2.0 პუნქტამდე).

ბოლო წლების მონაცემთა მიხედვით, ედი–ს სიდიდით საქართველო საგრძნობლად უსწრებს არა მარტო აშშ–სა და ევროგაერთიანებას, არამედ თავის სახმელეთო მეზობლებს აზერბაიჯანს და სომხეთს.

დიაგრამა 1



თუმცა, მოტანილი მონაცემების აღქმა უკრიტიკოდ ნამდვილად არ შეიძლება.

ჯერ ერთი, მეთოდოლოგიის საფუძველზე აზერბაიჯანში და ნაწილობრივ, სომხეთში უმუშევრობის დონეების გაანგარიშებისას გამოიყენება გაცილებით ძველი მეთოდი, რომელიც საქართველოს სტატისტიკის სამსახური 2020 წლიდან აღარ სარგებლობს და რის საფუძველზეც უმუშევრობა ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა შინამეურნეობებში „დასაქმებული“, მაგრამ არა საბაზრო პროდუქციის მწარმოებელი პირების, დასაქმებულებიდან უმუშევართა კატეგორიაში გადაყვანის შემდეგ. მაგალითად, 2010 წელს უმუშევრობის დონე ძველი მეთოდიკით საქართველოში 16.3 პროცენტი იყო, ახალი მეთოდიკით კი უკვე 27.2 პროცენტი, 2011 წელს, შესაბამისად, 15.1 პროცენტი და 27.2 პროცენტი, 2012 წელს - 15.0 პროცენტი და 26.7 პროცენტი, 2015 წელს კი - 12.0 პროცენტი. ფაქტობრივად, ახალი მეთოდიკა რეალობასთან უფრო მიახლოებულია, მაგრამ იგი უმუშევრობის ფაქტობრივ დონეს საშუალოდ 9-11 პროცენტით ზრდის, რაც შემდეგ აისახება ედი-ში. ფაქტობრივად მსგავს სურათს მივიღებთ, თუ სომხეთსა და აზერბაიჯანში უმუშევრობას იმავე მეთოდიკით გავზომავთ, როგორითაც ის საქართველოში იზომება. ამ შემთხვევაში, ედი-ს დონე საქართველოში არა თუ გადააჭარბებს ჩვენი მეზობლების ანალოგიურ მაჩვენებლებს, არამედ მათზე საგრძნობლად დაბალ დონეზე იქნება.

მეორე, საქართველოს ეკონომიკა აღნიშნულ პერიოდში ზრდის გაცილებით მაღალ ტემპს აფიქსირებს, ვიდრე აზერბაიჯანი და სომხეთი. - სავალუტო ფონდის შეფასებით, 2023 წელს საქართველოს მშპ მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით (აშშ დოლარებში) გაიზარდა 120.0 პროცენტით, მაშინ როდესაც აზერბაიჯანისა - მხოლოდ 30.4 პროცენტით, ხოლო სომხეთისა - 113.8 პროცენტით. ეკონომიკის ზრდა კი პირდაპირ კავშირშია დასაქმების ზრდასთან და უმუშევრობის შემცირებასთან.

ედი-ს გაანგარიშება ტექნიკურად სირთულეს არ წარმოადგენს. გაცილებით მეტი კითხვები არსებობს ედი-სა და ფილიპსის მრუდის მიმართებაში, თუ რამდენად „მუშაობს“, რამდენად გამოყენებადია იგი ჩვენს რეალობაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ფილიპსის მრუდი, რომელიც გრაფიკულად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, გამოსახავს ინფლაციისა და უმუშევრობის დონეთა შორის უკუპროპორციულ დამოკიდებულებას, საქართველოსათვის ამ ორ მაჩვენებელს შორის ნაკლებად რელევანტურია. – კერძოდ, ბოლო 8 წლიდან საქართველოში 4 წლის განმავლობაში არ დადასტურდა ეკონომიკური თეორიის დებულება ფილიპსის მრუდის კონცეფციის აბსოლუტური ხასიათი (ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებელთა უარყოფითი კორელაცია). - წინა წელთან შედარებით, 2018, 2016 და 2023 წლებში ედი-ის ორივე კომპონენტი შემცირდა, ხოლო 2020 წელს, პირიქით, გაიზარდა. აღნიშნული ვითარება, ვფიქრობთ,

დიდწილად უნდა აიხსნას საქართველოს ეკონომიკის გარდამავალი პერიოდის თავისებურებებით, სტრუქტურული უმუშევრობის მარალი დონით და სოციალური სტრატიფიკაციისა და სამომხმარებლო კულტურის შედარებით დაბალი დონით, მათ შორის საზოგადოების წევრთა საგრძნობ ნაწილში შემოსავლებისა და სამომხმარებლო არჩევანის შედარებით სუსტი კორელაციით.

ფაქტია, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მიმდევარი ვერც ერთი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ედი–ს ნულოვან დონეს, – ასეთი ეკონომიკისათვის ინფლაციაც და უმუშევრობაც იმანენტური მოვლენებია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, **რამდენი უნდა იყოს ამ ინდექსის მნიშვნელობა, რომ იგი არ იყოს საფრთხეების შემცველი ეროვნული ეკონომიკისათვის და არ შეიცავდეს კრიზისის ღია თუ ირიბ ნიშნებს?**

რადგანაც ედი დამოკიდებულია ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებზე, მისი ნორმალური, „ბუნებრივი“ ზღვრული მნიშვნელობა დამოკიდებულია მისი თითოეული კომპონენტის მაქსიმალურ ზღვრულ მნიშვნელობაზე. მაგრამ, რადგანაც ინფლაციის (ისევე როგორც უმუშევრობის დონის) კონკრეტული და ერთიანი ნორმა არ არსებობს, ედის დონე ინდივიდუალურია ყოველი ქვეყნისთვის და უფრო მეტიც, ყოველი პერიოდისათვის. მაგალითად, აშშ-ში, სადაც უაღრესად განვითარებულია საბაზრო ეკონომიკა, გამოიყენება ეკონომიკის რეგულირების მრავალი ინსტრუმენტი, მდგრადი და ეფექტური განვითარებისათვის საფრთხის შემცველად ფასდება 3 პროცენტზე უფრო მაღალი წლიური ინფლაცია და 4 პროცენტზე უფრო მაღალი უმუშევრობის დონე, ანუ, **ედი–ს ბუნებრივი დონე აშშ–სთვის 7 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.**

ისეთი განვითარებადი ქვეყნისათვის კი, როგორიც საქართველოა, უფრო „შერბილებული კრიტერიუმით“ უნდა ვიხელმძღვანელოთ, ჩვენი აზრით, განვითარების თანამედროვე ეტაპზე მყოფი საქართველოსათვის, რომელსაც აქვს ამბიცია, გახდეს ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ ჯერაც არ მიუღწევია ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების დონის ნახევრამდეც კი (2023 წელს მოსახლეობის ერთ სულზე წარმოებული მშპ, მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით, ევროკავშირის ანალოგიურ მაჩვენებლის მხოლოდ 39.2 პროცენტს შეადგენდა და 50%-იან დონეზე გასასვლელად „სჭირდება“ კიდევ დაახლოებით 6.1 ათასი აშშ დოლარი), **6%–იანი ინფლაცია და 10–პროცენტიანი უმუშევრობა ის დონეა, რომელიც განვითარების თანამედროვე ეტაპზე მყოფი საქართველოსათვის შედარებით მისაღებად უნდა ჩაითვალოს,** ანუ **საქართველოსათვის ედი–ს ზღვრული დასაშვები დონე 16 პროცენტია.**

ვფიქრობ, აღნიშნული ინდექსის „ბუნებრივი, 16–პროცენტიანი დონე“, უმუშევრობის დონის განსაზღვრის საქართველოში (და საერთაშორისო პრაქტიკაში

მიღებული მეთოდიკის გამოყენების შემთხვევაში), მისაღები უნდა იყოს სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებისთვისაც.

ქვემოთ მოტანილია ცხრილი, რომელიც აჩვენებს, თუ რამდენად აღემატება ედი–ს „ბუნებრივ“, ზღვრულ დასაშვებ დონეს მისი ფაქტობრივი მნიშვნელობა საქართველოსა და ამერიკაში (ბუნებრივი დონე: საქართველო - 16%, აშშ - 7%),

ცხრილი N5

სხვაობა ედი–ს ფაქტობრივ და "ბუნებრივ" (ზღვრულ დასაშვებ) დონეებს* შორის 2012-2023 წლებში

(პროცენტი)

	2012 წ.	2015 წ.	2020 წ.	2021 წ.	2022 წ.	2023 წ.
საქართველო	9,8	9,9	7,7	14,2	13,2	2,9
აშშ	0,9	1,6	4,6	0,8	0,9	1,6

** ედი–ს „ბუნებრივი“ (ზღვრული დასაშვები) დონე: საქართველო – 16%, აშშ– 7%.*

ედი–ს ფაქტობრივი მნიშვნელობა კარგად წარმოაჩენს მაკროეკონომიკური ტრიადის (ეკონომიკური ზრდის ტემპი, ინფლაცია, უმუშევრობის დონე) ორ ასპექტს, იმის გათვალისწინებით კი, რომ ეკონომიკური განვითარების, ზრდის დინამიზმი საქართველოში საკმაოდ დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, შეიძლება დავასკვნათ, რომ **საქართველოს ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის შემცირება ობიექტურად ასახავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოზიტიურ ტრენდს და იძლევა შესაძლებლობას, მზარდი სიზუსტით განვსაზღვროთ საქართველოს მოწინავე ქვეყნებისაგან ჩამორჩენის დაძლევის ალბათობა.**

ამავე დროს, ვითვალისწინებ რა ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის დიდ შემეცნებით და გამოყენებით ღირებულებას, იმედს ვიტოვებ, რომ ქართული მედია–საშუალებები, ეკონომისტები და პოლიტოლოგები, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დახასიათებისას „ტრადიციულ“ მაკროეკონომიკურ ინდიკატორებისა და სხვადასხვა რეიტინგულ შეფასებების პარალელურად ფართოდ გამოიყენებენ აღნიშნულ ინდექსსაც.

დასკვნა

ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი იმაზე მეტი ინფორმაციული და შემეცნებითი დატვირთვის მაჩვენებელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. იგი წარმოაჩენს ეკონომიკის საერთო მდგომარეობას მისი უმნიშვნელოვანესი

მაკროეკონომიკური ინდიკატორის - ინფლაციისა და უმუშევართა დონეების აგრეგირების საფუძველზე, დინამიკაში მას მთლიან შიდა პროდუქტზე (მთლიან სამამულო პროდუქტზე) არანაკლებ ობიექტურად ძალუძს აჩვენოს ეკონომიკის განვითარების ვექტორი და დინამიზმი, მოახდინოს შედარება ქვეყანათა შორის და ამით გაამყაროს ბიზნესის, პოტენციურ ინვესტორთა და საზოგადოების წარმოდგენა ეროვნული მეურნეობის საერთო მდგომარეობაზე.

ბოლო წლებში ედი საქართველოში საკმაოდ სწრაფად მცირდება, რაც ეკონომიკის არსებითი გაუმჯობესებისა და ზრდის შედეგია, თუმცა ის მაინც ჯერ კიდევ საგრძნობლად აღემატება მოწინავე ქვეყნების, პირველ რიგში, აშშ-სა და ევროკავშირის ანალოგიურ დონეებს.

ედის გაანგარიშების სიიოლე და ობიექტურობა ზრდის მის გამოყენებით ღირებულებას აბსოლუტურად განსხვავებული კატეგორიის მომხმარებლებისა და მიზნებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. იოსებ არჩვაძე (2011). ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსის შესახებ (აშშ-სა და საქართველოს მაგალითზე). - "პოსტოკონფლიქტური ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის უზრუნველყოფის მექანიზმები". – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 2011 წლის 18 ნოემბერი, გვ. 21-26.
2. იოსებ არჩვაძე (2012). ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი: არსი და გამოყენებითი ღირებულება. "ახალი ეკონომიკა" . - N1 (24), 2012, გვ. 13-16.
3. იოსებ არჩვაძე და ირაკლი არჩვაძე (2024). ეკონომიკური დისკომფორტის ინდექსი ხანდაზმული მოსახლეობისათვის (საქართველოს მაგალითზე). დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. შრომების კრებული. თბილისი, გვ. 131-142.
4. Misery index. - https://inflationdata.com/articles/misery-index/.4
5. Steve H. Hanke (2014). Measuring Misery around the World.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. – www.geostat.ge.
7. აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის მასალები. - www.stat.gov.az
8. სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის კომიტეტის მასალები. - https://armstat.am/
9. ევროკავშირის სტატსამსახურის ოფიციალური საიტი - https://ec.europa.eu/eurostat

Index of Economic Discomfort: Essence and area of application

Joseph Archvadze
Professor
Kutaisi University
daswreba@yahoo.com

Summary

The Economic Discomfort Index (EDI) is the sum of the inflation and unemployment rates. The practical circumstances of this indicator are determined by the macroeconomic regularity that lies in the high negative correlation between inflation and unemployment levels: low unemployment, other things being equal, means high employment, high employment is expressed in increased aggregate demand, and increased aggregate demand, other things being equal, as a rule , leads to an increase in prices, i.e. inflation. By its nature, an increase in the index of economic discomfort carries a negative content, while a decrease carries a positive content. - The lower Ed is, the more positive the economic development trend is, the more stable and sustainable the country's economy is, the less vulnerable it is to risks and challenges. Accordingly, the growth trend of Eddy indicates the strength of the opposite factors and circumstances - the macroeconomic instability and unsustainability of the economy. Despite the substantial improvement of Georgia's economic situation in recent years, in terms of EDI, Georgia is significantly ahead of not only the USA and the European Union, but also its land neighbors Azerbaijan and Armenia. For 4 of the last 8 years, the absolute nature of the concept of the Phillips curve (negative correlation of inflation and unemployment indicators) was not confirmed in Georgia. - Compared to the previous year, in 2018, 2016 and 2023, both components of EDI decreased, and in 2020, on the contrary, it increased. What should be the value of this index so that it does not contain threats to the national economy and does not contain open or indirect signs of crisis? 6% inflation and 10-percent unemployment are the levels that should be considered relatively acceptable for Georgia at the modern stage of development, that is, the marginal permissible level of EDI for Georgia is 16 percent.

Keywords: economic discomfort index (EDI), inflation, unemployment rate, natural level of EDI.

მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებაში და მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში

გულნაზ ერქომაიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში გადმოცემულია მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, მისი წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნის ტენდენციები საქართველოში. აღნიშნულია, რომ ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის უპირატესი ხელშეწყობაა. იგი მომავლის ინოვაციური პროექტი და ტრადიციული, წიაღისეული საწვავის კონკურენტული ალტერნატივაა. საქართველოს განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების დიდი, აუთვისებელი პოტენციალი გააჩნია. მწვანე წყალბადი დაეხმარება ქვეყანას ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებასა და იმპორტირებული საწვავის ჩანაცვლებაში, რადგან ჩვენ ქვეყანას განახლებადი ენერგიების მდიდარი რესურსი აქვს. საქართველოს ამ შესაძლებლობის გამოყენებისა და მწვანე წყალბადით მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირება შეუძლია.*

საკვანძო სიტყვები: *მწვანე წყალბადი, წყალბადის ენერგეტიკა, ენერგეტიკული უსაფრთხოება, წყალბადის ენერგეტიკის ეკონომიკური პოლიტიკა*

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების განხორციელებას საკმარისი რაოდენობის, მაღალი ხარისხის, სხვადასხვა სახის ენერგიის უწყვეტად და მისაღებ ფასად მიწოდებით. ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება ეკონომიკური განვითარებისა და ენერგეტიკის დარგში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევის მნიშვნელოვანი წინაპირობაა [1].

ევროკავშირის ქვეყნების ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ქვეყანაში შეტანილ ენერგორესურსებზე

დამოკიდებულების შემცირება და ასევე ენერგიის განახლებადი წყაროების ხარჯზე ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა.

ენერგეტიკული უსაფრთხოების პოლიტიკა ევროპის ახალი ფუნქციონალური მიმართულება გახდა. ევროკავშირი მოიხმარს მსოფლიოში წარმოებული ენერგიის ერთ მეხუთედს, მაგრამ მას შედარებით მცირე საკუთარი მარაგები გააჩნია. ევროკავშირი მსოფლიოში ენერგიის უმსხვილესი იმპორტიორია. მის მიერ მოხმარებული ენერგიის 54% იმპორტირებულია.

იზრდება ენერგიის განახლებადი წყაროების წილი და ევროკავშირის წარმატება ამ სფეროში უდავოა, მაგრამ მათ ტრადიციული ენერგორესურსების სრულად ჩანაცვლება ჯერ კიდევ არ შეუძლიათ და არატრადიციული ენერგეტიკის პრობლემას სწორედ ეს წარმოადგენს [2].

ბოლო პერიოდში ევროპული ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა წყალბადის უპირატესი ხელშეწყობაა. მწვანე წყალბადი მომავლის ინოვაციური პროექტია, იგი ტრადიციული, წიაღისეული საწვავის კონკურენტული ალტერნატივაა. მწვანე წყალბადი მიიღება ელექტროლიზის საშუალებით. მის მისაღებად კი განახლებადი ენერგიის წყაროები გამოიყენება: ქარი, მზე და წყალი, ანუ ჰიდრო ენერგეტიკა. წყალბადის წარმოების ხარჯი, ძირითადად, მოიცავს ელექტროენერგიისა და ელექტროლაიზერის ხარჯებს, დანადგარის რომლის საშუალებითაც წყალბადი წარმოიქმნება.

წყალბადს, ბუნებრივ აირთან შედარებით, ბევრი უპირატესობა გააჩნია. პირველ რიგში, იგი არის სუფთა და რაც მთავარია, საქართველოს აქვს მისი წარმოების შესაძლებლობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქვეყანას ამ გზით შემოსავლის მიღება შეუძლია. მწვანე წყალბადი დაეხმარება ქვეყანას ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებასა და იმპორტირებული საწვავის ჩანაცვლებაში, რადგან ჩვენ ქვეყანას განახლებადი ენერგიების მდიდარი რესურსი აქვს. საქართველოს ამ შესაძლებლობის გამოყენებისა და მწვანე წყალბადით მსოფლიო ბაზარზე პოზიციონირება შეუძლია.

საქართველოში ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის და საერთოდ, ენერგეტიკული სისტემის დაბალანსებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია „მწვანე წყალბადის“ ტექნოლოგიის განვითარება. ვინაიდან, ელექტროენერგიის მოხმარებისა და ჰიდროენერგიის გამომუშავების სეზონურობა იწვევს ზაფხულში ექსპორტირებადი ელექტროენერგიის ჭარბი რაოდენობით გამომუშავებასა და ზამთარში მზარდ დეფიციტს, იგი შეიძლება დაბალანსდეს ენერგიის დაგროვების ტექნოლოგიებით და ერთ-ერთი ტექნოლოგია შეიძლება იყოს წყალბადის ენერგია.

მწვანე წყალბადს შეუძლია უზრუნველყოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შემდეგ გამოწვევებთან გამკლავება:

- ენერგორესურსების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენება, მათ შორის სეზონური დეფიციტის აღმოფხვრა და ჭარბი რესურსის დაღვრის თავიდან აცილება;
- ენერგორესურსების დივერსიფიკაცია და ტრანსპორტირების (მათ შორის ექსპორტის, იმპორტის და ტრანზიტის) პირობების გაუმჯობესება;
- თბოსადგურების სიმძლავრის ეფექტიანად გამოყენება ბაზისურ თუ დაბალანსების რეჟიმებში.
- იმპორტირებული გაზისა და გაზის სატრანსპორტო სისტემის მაღალეფექტური გამოყენება [3].

ჩვენი ქვეყანა არ არის მდიდარი ნახშირწყალბადოვანი რესურსებით და ძირითადად დამოკიდებულია ცვლად განახლებად რესურსებზე (ჰიდრო, ქარი, მზე და ა.შ.), მწვანე წყალბადი წარმოადგენს მათი ოპტიმალურად ათვისების ეფექტიან ტექნოლოგიას, ცვლადი რესურსების გამოყენების მოქნილი ფორმების გათვალისწინებით. ამდენად, მეტად მნიშვნელოვანია წყალბადის ენერგიის წარმოებისათვის ინფრასტრუქტურის შექმნა.

საქართველოს განახლებადი ენერგიის პროექტების განვითარების დიდი, აუთვისებელი პოტენციალი გააჩნია. მას აქვს რესურსი, მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს. ქვეყანაში ამ მიმართულებით მუშაობა, ჯერ კიდევ, პანდემიამდე დაიწყო. შემდეგ, კოვიდ 19-ის გავრცელებამ პროცესი შეაფერხა, მოგვიანებით მუშაობა ისევ განახლდა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან (KfW) აქტიური თანამშრომლობით საქართველოში საპილოტე პროექტის დაწყების იდეა გაჩნდა.

მწვანე წყალბადის საწარმო ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში აშენდება. საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ცნობით, პროექტში ჩართული მხარეების მონაწილეობით, ტერიტორიაზე განთავსდება წყალბადის საწარმო, ე. წ. ელექტროლაიზერი. ასევე, ავტობუსების სატუმბი და წყალბადის შემნახველი სადგურები განთავსდება. ასევე შედგენილია მწვანე წყალბადზე მომუშავე საავტობუსე მარშრუტები [4]

საქართველო, როგორც „საერთაშორისო ენერგეტიკული გაერთიანების“ წევრი ქვეყანა, უახლეს საერთაშორისო ტენდენციებს ითვალისწინებს. ბევრმა ქვეყანამ უკვე აიღო ვალდებულება, რომ 2050 წლისათვის ბუნებრივ გაზს, დიდწილად, ალტერნატიული ენერგიებით ჩაანაცვლებს. განვითარებული ქვეყნები მზად არიან ეტაპობრივად გადავიდნენ წყალბადზე და ამით ხელი შეუშალონ კლიმატის

ცვლილებებს. მას გამოყენების მრავალი პერსპექტივა გააჩნია: ელექროენერგიის გენერაცია და რეზერვაცია, ალტერნატიული და სუფთა ენერგია სატრანსპორტო საშუალებებისთვის, იგეგმება ქარხნებისა და წარმოებების წყალბადის ენერგიაზე გადაყვანა, მისი გამოყენება შენობების გასათბობად და ა.შ. ევროპა, ამ მიმართულებით, სერიოზულ ნაბიჯებს დგამს. ეს, მათთვის, მომავლის ინვესტიციაა. საქართველოს კი შეუძლია იგი არა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის აწარმოოს, არამედ ექსპორტზე გაიტანოს. მოთხოვნა მუდმივად მზარდია, რადგან ბევრი ქვეყანა ცდილობს ბუნებრივი აირის წყალბადით ჩანაცვლებას.

წყალბადის ეკონომიკა საქართველოში ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამს, კერძოდ 2020 წელს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ (GOGC) ხელი მოაწერა ტექნიკური თანამშრომლობის ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) მწვანე წყალბადზე საინვესტიციო მოთხოვნების განსაზღვრისა და ტრანსპორტირების პირობების დადგენის მიზნით. 2021 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გერმანიის განვითარების ბანკს (KfW) შორის გაფორმდა ხელშეკრულება ქვეყანაში მწვანე წყალბადის განვითარების მიზნით, რასაც 2023 წელს მოყვა პირველი საპილოტე პროექტის განხორციელების განცხადება ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტში საქალაქო ტრანსპორტში მწვანე წყალბადის გამოყენების თაობაზე (წარმოება-მოხმარების სრული ტ2022 წელს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით დაიწყო „ენერგიის დამგროვებლებისა და მწვანე წყალბადის განვითარების“ პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა დაინტერესებული ინსტიტუციების ცოდნისა და შესაძლებლობების ამაღლებას და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით ქვეყანაში ჩამოყალიბდა „წყალბადის ენერგიის განვითარების ხელშეწყობის კომიტეტი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ენერგეტიკის განვითარების ფონდი და მასში ჩართულია, როგორც შესაბამისი უწყებები, ასევე კერძო სექტორი და აკადემიური წრეები. წყალბადის ენერგეტიკის განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის მიზანია ევროკავშირის მიერ სუფთა წყალბადის წარმოების განვითარების პარალელურად, საქართველოში აღნიშნული პროდუქტის წარმოება-ექსპორტისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა და საქართველოს, როგორც ქვეყნის, სუფთა წყალბადის მწარმოებლებს შორის მოწინავე ადგილის დამკვიდრება.

საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი, ჩართულია „მწვანე წყალბადის" განვითარების ევროპულ პროცესებში. ამავე დროს, საქართველო,

საკუთარი განახლებადი ენერგიის პოტენციალით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების, სარგებლის მიღებას ითვალისწინებს როგორც საკუთარი რესურსების განვითარებით, ასევე სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტის ხელშეწყობით. საქართველოს განსაკუთრებული პოტენციალი აქვს განახლებადი წყაროებიდან ენერგეტიკის განვითარების მიმართულებით. ეს პირდაპირ კავშირშია როგორც ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასთან, ასევე, რა თქმა უნდა, ეკონომიკურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან, საქართველო ამავე დროს მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა. მას, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფანს, აქვს იმის პოტენციალი, რომ გაზარდოს თავისი როლი აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანზიტო პროექტების განხორციელებაში. გეოპოლიტიკური მდებარეობის ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესებას და ეკონომიკურ განვითარებას.

2022 წელს აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით დაიწყო „ენერგიის დამგროვებლებისა და მწვანე წყალბადის განვითარების“ პროგრამის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა დაინტერესებული ინსტიტუციების ცოდნისა და შესაძლებლობების ამაღლებას და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებაში მხარდაჭერას.

პირველ ეტაპზე, წყალბადის გამოყენების გზად განიხილება ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტი. მუნიციპალურ ტრანსპორტში მისი გამოყენება იქნება თვალსაჩინო მაგალითი საზოგადოებისთვის იმის სადემონსტრაციოდ, თუ რამდენად სასარგებლო, საჭირო, სუფთა და უსაფრთხოა მწვანე წყალბადი თანამედროვე მსოფლიოსთვის. აღნიშნული პროექტი გრანტისა და იაფი სესხის საფუძველზე KfW -ს მხარდაჭერითა და დახმარებით დაფინანსდება [5].

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის ინფორმაციით საქართველოს წყალბადის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია. აღნიშნულ დოკუმენტზე საკონსულტაციო კომპანია „GOPA Intec“ მუშაობდა. კვლევა საერთაშორისო დონორი ორგანიზაცია გერმანიის განვითარების ბანკის (KFW) დაფინანსებით განხორციელდა. შეიცვლება და დაიხვეწება შესაბამისი კანონმდებლობა, გადაიდგმება ნაბიჯები, რომლებიც ადგილობრივ და უცხოურ ინვესტორებს, საქართველოში, მწვანე წყალბადის განვითარების ბიზნეს პოტენციალის დანახვისა და შეფასების შესაძლებლობას მისცემს.

საქართველო, საკუთარი განახლებადი ენერგიის პოტენციალით და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით, მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და უსაფრთხოების, სარგებლის მიღებას ითვალისწინებს როგორც

საკუთარი რესურსების განვითარებით, ასევე სხვა ქვეყნებიდან ტრანზიტის ხელშეწყობით.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა გახდეს წყალბადის გამოყენების თვითკმარი, ჰქონდეს დამატებითი რესურსები ექსპორტისთვის და არა მხოლოდ ტრანზიტისთვის - შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის პროექტის ქვეშ ექსპორტის მიზანიცაა. საქართველოს აქვს რესურსი, მსოფლიო ბაზარზე მწვანე წყალბადით წარსდგეს.

გამოყენებული ლიტერატურა

[1]. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (economy.ge)

[2]. Stefano F. Verde and Nicolò Rossett (2020). The Future of Renewable Energy Communities in the EU

[3]. ნ. ბერიძე, მწვანე წყალბადის როლი ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალური გამოყენებისათვის (2023), Forbes Georgia

[4] https://energynews.ge/news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tsyalbadis-satsarmo-ashendeba

[5]. ბათუმის ინდუსტრიულ ზონაში მწვანე წყალბადის საწარმო აშენდება https://energynews.ge/news/elternatiuli-energia/batumis-industriul-zonashi-mtsvane-tsyalbadis-satsarmo-ashendeba

[6]. საქართველო მწვანე წყალბადის წარმოებას იწყებს, 22 მაისი, 2023

https://www.gogc.ge/ka/press-article/saqartvelo-mwvane-wyalbadis-warmoebas-iwyebs/29

[7] საქართველოს წყალბადის სტრატეგიის კონცეფციის დოკუმენტი შემუშავებულია (energynews.ge)

[8] Marie Münster 1, Rasmus Bramstoft1, Ioannis Kountouris1, Lissy Lange (2024)

Perspectives on green hydrogen in Europe—during an energy crisis and towards future climate neutrality

The role of green hydrogen in strengthening energy security and trends in building the infrastructure for its production in Georgia

Gulnaz Erkomaishvili
Doctor of Economic, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
gulnazi.erkomaishvili@tsu.ge

Summary

The main priority of energy policy in Georgia is the promotion of ecologically clean hydrogen. It is an innovative project of the future and a competitive alternative to traditional fossil fuels. Georgia has a large untapped potential for the development of renewable energy projects. The development of `green hydrogen~ technology is very important for energy security in Georgia and for the balance of the energy system in general. Since the seasonality of electricity consumption and hydropower generation leads to overproduction of exportable electricity in summer and an increasing deficit in winter, this can be compensated by energy storage technologies, and one of these technologies can be hydrogen power. Green hydrogen will help the country strengthen energy security and replace imported fuels, as our country has rich resources of renewable energy. Georgia can take advantage of this opportunity and position itself on the global market with green hydrogen. It is important that the country becomes self-sufficient in the use of hydrogen and has additional resources for export, not just transit - this is the goal of export within the Black Sea submarine cable project. Georgia has the resources to present green hydrogen on the world market.

Keywords: green hydrogen, hydrogen energy, energy security, hydrogen energy economic policy.

ქვეყნის წინაშე არსებული ზოგიერთი პრობლემების გადაჭრის ასპექტები

თამაზი გამსახურდია
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ანოტაცია*. ქვეყნის ძლიერების განმტკიცება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და საზოგადოების თითოეული წევრისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა ხელისუფლების ზრუნვის უწყვეტი პროცესია. თავის მხრივ ქვეყნის თითოეული მოქალაქე უნდა ზრუნავდეს ქვეყნის აღმშენებლობის უზრუნველყოფაზე, რაც მიიღწევა მოქალაქეების ერთობით, ურთიერთ პატივისცემით, შრომის მაღალი დისციპლინით, ძვირფასი დროის გონივრული და ეფექტური გამოყენებით, თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით, მშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლებით და სხვა მრავალი აქტუალური საკითხების მოგვარებით. კვლევის მეთოდოლოგია დაფუძნებულია იმაზე, რომ საუკუნის მესამედზე მეტია გასული, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის წინსვლა და ცხოვრების პირობების განუხრელი გაუმჯობესება. ამის გამო დაიწყო ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი ემიგრაცია საზღვარგარეთ, რაც თანდათან უფრო იზრდება და არავითარი კლების ტენდენციები არ ჩანს. ქვეყნის შემდგომი აღმავლობისათვის საჭიროა ღრმად შევისწავლოთ არსებული ყველა რესურსი და ფართოდ გამოვიყენოთ ისინი ინდუსტრიაში. განვითარების ამ ეტაპზე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ სახელმწიფოსაგან აუცილებელია მეტი ხელშეწყობა შინა და ხალხური რეწვის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ტურიზმი მით უფრო მომგებიანი იქნება, რაც მეტი ნაირსახეობის ადგილობრივი წარმოების სუვენირები გვექნება. გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო ადგილობრივი ნაწარმის თვითღირებულება საკმაოდ მაღალია და, შესაბამისად, მაღალია მათი საცალო ფასი, რაც ტურისტების უკმაყოფილებას იწვევს. აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგების ინტენსიური განვითარება, რათა მზარდი ტურისტული ნაკადი მძიმე ტვირთად არ დააწვეს ისედაც, ძირითადად იმპორტზე ორიენტირებულ სასურსათო ბაზარს. ცხადია, რომ ქვეყანას არ გააჩნია მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეები (ნავთობი, გაზი და ა. შ.) ამიტომ უნდა გადავიდეთ ულევი, აღდგენადი რესურსების (მინერალური, სამკურნალო და თერმული წყლები, წარმატებული აგრარული მეურნეობებისათვის არსებული უნიკალური ბუნებრივი პირობები) მიზანმიმართულ,*

გონივრულ გამოყენებაზე, რომლებსაც შეუძლია დიდი სარგებლობა და შემოსავლები მოუტანოს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს (ინვესტორებს), ასევე ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. ქვეყანა ფეხზე რომ დადგეს საჭიროა თითეულმა მოქალაქემ გაისიგრძეგანოს დამოუკიდებლობის ფასი და მისი შენარჩუნებისათვის საჭირო პატრიოტიზმი, შრომისადმი სიყვარული და რაც მთვარია სახელმწიფოებრივი აზროვნება.

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესი, ინვესტიციები, კონკურენტუნარიანობა, ეროვნული პროდუქტი, ტურიზმი, ექსპორტ - იმპორტი, ფინანსები.*

შესავალი და მიზანი: ქვეყნის ძლიერების განმტკიცება, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება და საზოგადოების თითოეული წევრისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა ხელისუფლების ზრუნვის უწყვეტი პროცესია. თავის მხრივ ქვეყნის თითოეული მოქალაქე უნდა ზრუნავდეს ქვეყნის აღმშენებლობის უზრუნველყოფაზე, რაც მიიღწევა მოქალაქეების ერთობით, ურთიერთ პატივისცემით, შრომის მაღალი დისციპლინით, ძვირფასი დროის გონივრული და ეფექტური გამოყენებით, თანამედროვე ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვით, მშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივად ამაღლებით და სხვა მრავალი აქტუალური საკითხების მოგვარებით.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან თავი იჩინა საქმისადმი საბჭოურმა მენტალურმა დამოკიდებულებამ. საწარმოს მართველობაში მოკალათდნენ ძველი პარტიული და სამეურნეო ნომენკლატურა, რომლებსაც არ ქონდათ საბაზრო ეკონომიკის მართვის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ამას თან ერთვოდა უამრავი სუბიექტური თუ ობიექტური, შინაგანი თუ გარეგანი პრობლემები, რამაც დიდი და გამოუსწორებელი დაღი დაასვა ქვეყნის განვითარებას. მმართველი ელიტა შეჩვეული იყო ზემდგომი ორგანოების დირექტივების უსიტყვო შესრულებას და მათი წარმატებულობა დაკავშირებული იყო იმასთან თუ როგორ მოახერხებდნენ გამოყოფილი ფონდების დროზე მოპოვება-ათვისებას, შემსრულებლები მთლიანად დამოკიდებულნი იყვნენ ხელმძღვანელობაზე და სრულად ინერტულად, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე ასრულებდნენ სამუშაოს. ადამიანებს არ გააჩნდათ სახელმწიფოებრივი აზროვნება, რადგანაც ადრე ამაზე კომუნისტური პარტია და მთავრობა „ზრუნავდა“.

საუკუნის მესამედზე მეტია გასული, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, რასაც უნდა მოჰყოლოდა ქვეყნის წინსვლა და ცხოვრების პირობების

განუხრელი გაუმჯობესება. ამისთან ერთად დაიწყო ქვეყნიდან მოსახლეობის ემიგრაცია საზღვარგარეთ, რაც თანდათან უფრო იზრდება და არავითარი კლების ტენდენციები არ ჩანს. ქვეყანა ფეხზე რომ დადგეს საჭიროა თითეულმა მოქალაქემ გაისიგრძეგანოს დამოუკიდებლობის ფასი და მისი შენარჩუნებისათვის საჭირო პატრიოტიზმი, შრომისადმი სიყვარული და რაც მთვარია სახელმწიფოებრივი აზროვნება. აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში უფრო მეტი დოზით იყო განვითარებული კერძო საკუთრება (უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში) და უფრო ნაკლებად იყო მოსკოვის დიქტატი, რამაც დადებითი როლი ითამაშა ამ ქვეყანებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საქმეში. საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მეტი ეფექტურობა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. ცხადია, რომ ქვეყანას უჭირს, ამიტომ საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა საზოგადოების ყველა წევრი გამოფხიზლდეს, დაადგეს პოზიტიური განვითარების გზას. მარტო ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი და მშრალი ლოზუნგები არ კმარა, საჭიროა თითოეულმა მოქალაქემ გაითვითცნობიეროს, რომ აუცილებელია შევიმუშაოთ და შევქმნათ ისეთი პროექტები, რომელიც შექმნის სამუშაო ადგილებს და ქართველი კაცი ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდება იმაში, რომ ადგილზე დასაქმდეს და სოციალურ მდგომარეობა გაიუმჯობესოს და აღარ დაჭირდეს სამათხოვროდ ემიგრაციაში წასვლა.

როგორც ჩვენი ერის სახელოვანი მგოსანი აკაკი წერეთელი აღნიშნავს ისტორიულმა გარემოებამ ცუდ გზაზე დაგვაყენა, მაგრამ ვინ უნდა გამოგვიყვანოს სწორ გზაზე, სხვისი იმედით თუ ვიქნებით ვერას გავხდებით. ჩვენს თავს ჩვენ უნდა ვუპატრონოდ, ცხადია მგოსანმა სწორად განჭვრიტა, რომ ჩვენი მომავალი ჩვენ ხელშია, თუ არადა უფსკრულში გადავიჩეხებით. ბევრი არ გვიკლია... სწორედ ცუდმა ყოფაცხოვრებამ, მოუთმენლობამ, დაბალმა განსწავლულობამ, ცხოვრებისეულმა შეცდომებმა და მრავალმა სხვამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე. როგორც სტატისტიკური ინფორმაციით ირკვევა ბოლო რვა წლის განმავლობაში 2905 ადამიანმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში 37894 ოჯახი დაინგრა, რამდენ ადამიანს შეექმნა ცხოვრებისეული პრობლემა. მომავალი თაობის აღზრდაში თავს იჩენს მრავალი სახის ნეგატიური მოვლენები, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველო თავისი ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობებით, ქართველთა საყოველთაოდ აღიარებული და გამორჩეული სტუმართმოყვარეობით ყოველთვის საინტერესო იყო და იმედია, კვლავაც ასეთი იქნება უცხოელი სტუმრებისათვის. ჩვენი სტუმარ-მასპინძლობა და, საერთოდ, უცხო ადამინებისადმი

დამოკიდებულება, მიმტევებლობა, ტოლერანტიზმი ფართოდ აისახა ჩვენს ყოფასა და კულტურაში. ქართველებს ყოველთვის გვახასიათებდა და გვახასიათებს უცხო თვალისთვის ამპარტავნობა, ანუ თავის მოწონება, ჩვენში საუკეთესოს სინონიმი საუცხოოა. დროა ამპარტავნობა ნაკლიდან რესურსად ვაქციოთ და ის ჩავაყენოთ ტურიზმის მომგებიან სფეროში. ამ დარგის მრავალმხრივი განვითარება, უდაოა, ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. საყურადღებოა ისიც, რომ ის უკეთ წარმოაჩენს ქვეყნის კულტურულ მონაპოვრებსა და მის მდიდარ ისტორიულ წარსულს. ტურიზმის შემდგომი აღმავლობისათვის საჭიროა ღრმად შევისწავლოთ არსებული ყველა რესურსი და ფართოდ გამოვიყენოთ ისინი ტურიზმის ინდუსტრიაში. სახელმწიფოსაგან აუცილებელია მეტი ხელშეწყობა შინა და ხალხური რეწვის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის. ტურიზმი მით უფრო მომგებიანი იქნება, რაც მეტი ნაირსახეობის ადგილობრივი წარმოების სუვენირები გვექნება. გაუმართავი ინფრასტრუქტურის გამო ადგილობრივი ნაწარმის თვითღირებულება საკმაოდ მაღალია და, შესაბამისად, მაღალია მათი საცალო ფასი, რაც ტურისტების უკმაყოფილებას იწვევს. აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგების ინტენსიური განვითარება, რათა მზარდი ტურისტული ნაკადი მძიმე ტვირთად არ დააწვეს ისედაც, ძირითადად იმპორტზე ორიენტირებულ სასურსათო ბაზარს. ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო სამეურნეო პროდუქცია არის ტურისტების დაინტერესება-მოზიდვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საუბარი თითქოსდა უმნიშვნელო ღირსშესანიშნაობებზე, მაგალითად, ხარების რბოლა პომპონას ქუჩებში, ტალახის, ფორთოხლისა და პომიდვრის ფესტივალები, ყველის დაგორება ფერდობიდან, ბალიშებით ბრძოლა და უამრავი სხვა ღონისძიება, რომლებიც კრეატიულად მოაზროვნე ადგილობრივმა მოსახლეობამ ჯერ რესურსად აქცია, პოპულარული გახადა და საკმაოდ სოლიდურ შემოსავლიან ბიზნესად გამოიყენა. დროა ქართველებმაც გამოვიჩინოთ მეტი გონიერება და წინდახედულება, რათა ეფექტურად გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული, მაგრამ ასეთად ჯერ კიდევ გაუთავისებელი უნიკალური ბუნებრივი თუ კულტურული რესურსები. მაგალითად, ტყეები, ნაკრძალები, ტბები, წყალსაცავები, მყინვარები, მთები, ზღვა, მღვიმეები, კანიონები, უნიკალური მთის მდინარეები (ჯომარდობისათვის), იმავე სტუმარ-მასპინძლობის ადათები (და არა სტუმრის გაკვირვება უზომოდ ბევრი სურსათ-სანოვაგით სუფრაზე, რომლის 70-80 % იქვე რჩება, ან კიდევ, სტუმრის „ჩახრჩობა“ ღვინოში), სწორად დაგეგმილი და, მართლაც, ტრადიციების შესაბამისად ჩატარებული სადღესასწაულო, საზეიმო თუ სამგლოვიარო (არა ქელეხები, არამედ თუ რაოდენ ხალხმრავალია ძვირფას ადამიანთან გამოსათხოვარი დღე) რიტუალები, ტრადიციული ოჯახები, სადაც თანაცხოვრებას ეწევიან 3 და მეტი თაობის

წარმომადგენლები (ხაზი უნდა გაესვას ასეთი ცხოვრების წესის უპირატესობას მემკვიდრეობითობის, ტრადიციების შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში).

ცხადია, რომ ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეები (ნავთობი, გაზი და ა. შ. რომელთა საკმაო რაოდენობა კი გვაქვს, მაგრამ საერთო სახალხო საკუთრებად ვერ ვაქციეთ), ამიტომ უნდა გადავიდეთ ულევი, აღდგენადი რესურსების (მინერალური, სამკურნალო და თერმული წყლები, წარმატებული აგრარული მეურნეობებისათვის არსებული უნიკალური ბუნებრივი პირობები) მიზანმიმართულ, გონივრულ გამოყენებაზე, რომლებსაც შეუძლია დიდი სარგებლობა და შემოსავლები მოუტანოს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს (ინვესტორებს), ასევე ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს.

ყოველივე ამ და სხვა ჯერ კიდევ რესურსად ვერ აღქმული სიმდიდრის გამოყენებას სჭირდება ცოდნა, გამოცდილება, მონდომება, სახელმწიფოებრივი ნება და საკითხებისადმი გააზრებული მიდგომა, კრეატიული აზროვნება და არა ბრმა მიმბაძველობა ერთმანეთისადმი. არსებულ რესურსთაგან ყველაზე მიმზიდველია ქვეყანაში ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი უნიკალური რესურსები. როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობს 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 2400 მინერალური სამკურნალო წყარო, 12 000 ისტორიული და არქიტექტურული ძეგლი (მათგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში), 7 არსებული და პერსპექტიული ეროვნული პარკი და ა.შ.

საქართველო საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იძულებული იყო საკავშირო ბაზრისათვის მიეწოდებინა რესპუბლიკაში წარმოებული პროდუქციის 73% და ამასთან შემოეტანა მრავალი დარგების პროდუქცია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან. უდავო ფაქტია, რომ პროდუქციის ექსპორტი იმპორტი ნებისმიერი ქვეყნისათვის ნორმალური საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია როცა ექსპორტის თუ იმპორტის მიზანშეწონილება ეკონომიკურად დაუსაბუთებელია. ცხადია ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა გავიტანოთ ისეთი მაღალკონკურენტიანი, შიგა ბაზარზე ჭარბი პროდუქცია, როგორიცაა საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები მინერალური წყალი (ბორჯომი, ნაბეღლავი და სხვა), ღვინო, ღვინომასალები და მრავალი სხვა. შემოვიტანოთ ისეთი სამრეწველო და სასოფლოსამეურნეო პროდუქცია რომლის წარმოება ქვეყანაში შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო. საბჭოთა სივრცეში ქვეყნის ეკონომიკაში ექსპორტი მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდებოდა, ხოლო საბაზრო ეკონომიკის პირობებში მისი წილი შემცირდა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი და დაუღალავი შრომა, კვალიფიკაციის ამაღლება, ტექნოლოგიების დახვეწა და ახალახალი

ინოვაციები გვჭირდება, რათა დავაკმაყოფილოთ მსოფლიო ბაზრების გაზრდილი მოთხოვნები მაღალ კოპნკურენტუნარიან პროდუქციაზე. ბოლო ხანებში იმპორტის წილი თითქმის ყველა სამრეწველო, ასევე სასოფლოსამეურნეო პროდუქციაზე ერთი ორად გაიზარდა. მიზანშეწონილია იმპორტის ზრდის მაღალი ხვედრითი წილი ნელ-ნელა შემცირდეს. ამისათვის საჭიროა განვითარდეს სამეწარმეო სექტორი. სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული ბიზნესმენები ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია. მიუხედავად ფართო დეკლარილებისა საფინანსო ორგანოები მცირე ბიზნესის დაჩქარებული ტემპებით განვითარებისათვის სათანადო ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ. ხელისუფლების მხრიდან მეტი ყურადღება და მხარდაჭერაა საჭირო, რომ შეუქმნას ბიზნესს განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობები. ცხადია, რომ ექსპორტის ზრდა ტრადიციული საექსპორტო კატეგორიების სოფლის მეურნეობისა და მეტალების გაზრდილი გაყიდვების შედეგია, რაც თავის მხრივ უკავშირდება დადებით ეკონომიკურ დინამიკას ყველა ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, ევროკავშირის ქვეყნებში, თურქეთში, აზერბაიჯანსა და რუსეთში, რასაც თან დაერთო უკანასკნელ წლებში მიღწეული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებიც და სწრაფად მზარდი ახალი საექსპორტო მიმართულება ჩინეთი, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის ზრდის თვალსაზრისით, რაც შემდგომში აუცილებლად აისახება სოფლის მეურნეობის ინვესტიციების ზრდაზე.

მოტივირებული მშრომელი ადამიანების გარეშე ქვეყანას ვერ ავაშენებთ. შვედეთის გმირის მანერჰეიმის სიტყვებით თუ განვსჯით - „ვაჭრუკანების, მსტოვრებისა და კარიერისტების მიერ აშენებული ქვეყანა არავის უნახავს. სახელმწიფოს იდეალისტები და პატრიოტები ქმნიან, რომლებიც მზად არიან უყოყმანოდ შესწირონ თავი სამშობლოს. პატრიოტიზმის გარეშე ქვეყნის აღმშენებლობა წარმოუდგენელია“. თითქმის იგივეა ჩვენი მგოსნის აკაკი წერეთლის ნააზრევი: „ვინც სამშობლოს სულსაც არ სწირავს, იმას არ ჰქვია მამულიშვილი“.

როგორც ცნობილია მსოფლიოში 53 სახეობის ნიადაგია, აქედან მცირემიწიანი საქართველო 49 სახეობის პატრონია, ამასთან ჩვენი ქვეყანა უხსოვარი დროიდან მუდამ აკვირვებდა უცხოელებს თავისი მიწათმოქმედების მაღალი კულტურით. მიუხედავად ამისა დღეს-დღეობით ჩვენდა სამარცხვინოდ იმპორტირებული აგროპროდუქტების ხვედრითი წილი გაცილებით მეტია შიდა პროდუქციაზე. ამის მიზეზია ისედაც მცირემიწიან საქართველოში დაუმუშავებელი სავარგულები ფართოდ გვხვდება ქვეყნის ყველა რეგიონში. მეცნიერული კვლევებით დგინდება, რომ დღევანდელი ტექნოლოგიებითაც კი საქართველოს შეუძლია გამოკვებოს 10-12

მილიონი ადამიანი. ანუ გვაქვს დიდი შანსი გავზარდოთ ფინანსური რესურსები და მატერიალური დოვლათი.

სახელმწიფომ აუცილებელი სამართლებრივი და ფინანსური, ეკონომიკური პირობების შექმნით ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და სოფლად სხვადასხვა კოოპერატივების და გაერთიანებების შექმნას და ფუნქციონირებას. მოსაწესრიგებელია ბუნებრივი და წიაღისეული რესურსებით სარგებლობის წესებიც. აუცილებელია მეტი გამჭირვალეობა ამ საქმეში, რათა ერთეულები არ დაეპატრონონ რესურსებს. ქვეყნის ადამიანური რესურსების გადარჩენა და საზღვარგარეთ გადინების შემცირება შეუძლებელია მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებით, აუცილებელია მოსახლეობის თვითშეგნების, შრომის დისციპლინისა და სამეწარმეო საქმიანობის ამაღლებისათვის სწორი პოლიტიკის განხორციელება. ჩვენ გვჭირდება გაცილებით უფრო მრავალჯერ მაღალი ზრდის ტემპები, რათა მივაღწიოთ ისეთი ქვეყნების დღევანდელი ცხოვრების დონეს მაინც, როგორიცაა თურქეთი, აზერბაიჯანი, ბალტიისპირეთის პოსტსაბჭოთა ქვეყნები და ა.შ. უპირველეს ყოვლისა საჭიროა სახელმწიფოებრივი აზროვნების დეფიციტის აღმოფხვრა, როგორც ქვეყნის მოქალაქეების ასევე განსაკუთრებით სახელმწიფო მოხელეებს შორის, რაც გააერთიანებს ერს, გაუმჯობესდება ხელისუფლებასა და ხალხს შორის ურთიერთობა, შემცირდება ნეპოტიზმი, მომხვეჭელობა, ამაღლდება შრომის ეფექტიანობა, მეტად დაფასდება, დღესდღეობით დაუფასებელი, ინტელექტუალური პოტენციალი და ყველა მატერიალური, ფინანსური, ბუნებრივი თუ ინტელექტუალური რესურსი მიმართული იქნება ქვეყნისა და მისი ყველა მოქალაქის კეთილდღეობისაკენ.

ქვეყნის ვერცერთმა ხელისუფლებამ ჯერ-ჯერობით ვერ გამონახა ისეთი ეკონომიკური ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფდა ხალხის ცხოვრების კეთილდღეობის ამაღლებას. ჩვენი აზრით, საჭიროა ფართომასშტაბიანი რეფორმა, რომლის დაგეგმვაში და რეალიზაციაში მონაწილეობას მიიღებენ გამოცდილი პროფესიონალები, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და არა თვითმარქვია დილეტანტები, რომლებიც სამწუხაროდ, „მრავლად არიან მიტმასნილი მმართველობაზე. დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი აღნიშნავდა, რომ „სახელმწიფოს აუძლურებს არა ფულის, არამედ ნიჭიერი ადამიანების ნაკლებობა“. სწორედ ეს სიტუაციაა ჩვენს ქვეყანაში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მყოფმა ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ინვესტიციების შემდგომ მოზიდვასა და სამეწარმო სქამიანობის განვითარებას შეუწყობდა ხელს. ყოელივე ამან უარყოფითი გავლენა იქონია იმაზე, რომ ქვეყნის სასურსათო კალათაში ყოველწლიულად იზრდება იმპორტირებული სასოფლო პროდუქტის წილი, რაც

ქვეყნის მაშტაბით 2/3-ის ტოლია. ცხადია, იმპორტირებული აგროპროდუქციის ასეთი მოძალება ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის განვითარებას. უკარგავს გლეხს საქმიანობის მოტივაციას, მნიშვნელოვნად აღარიბეს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას" და იწვევს მათ დესოციალიზაციას. ამას, უდავოდ, მოჰყვება სოფლების, განსაკუთრებით კი მთიანი რეგიონების დაცლა, რასაც, შესაძლოა, შორს მიმავალი და შეუქცევადი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. ცხადია, ბოლო დროს მიღებული კანონი მთიანი რეგიონების შესახებ წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მასაც გააჩნია გარკვეული ხარვეზები, რომელებიც დროულ კორექტივებას მოითხოვს.

რეალურია, რომ ქვეყანაში მცირდება ეროვნული პროდუქციის მოცულობა და იზრდება იმპორტირებული პროდუქციის ხვედრითი წილი, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს ქვეყნის ბიუჯეტს. ჩვენი აზრით, ეს განპირობებულია იმით, რომ დღეს საქართველოში არსებულისავარგულების 40%-ამდე მიწა იხვნება და ითესება. იმდენი პროდუქცია არ იწარმოება, რომ უზრუნველყოს მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. დღეს ჩვენი პროდუქტით მხოლოდ 1 მილიონი ადამიანის გამოკვება შეგვიძლია. ჩვენ მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რომ მივუახლოვდეთ, ამისათვის საჭიროა გავზარდოთ მიწის დამუშავება. თუ არადა, მნიშვნელოვნად გაიზრდება იმპორტის ხვედრითი წილი. თუ ასე გაგრძელდა, როგორც ამას ნიკო ნიკოლაძე აღნიშნავდა, სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვიდრე გასაზიდი, ჩვენ მონობას ვერ ავიცილებთო. და ეს მაშინ, როცა ქვეყანას გააჩნია ისეთი რესურსები, რომელიც იშვიათობას წარმოადგენს სხვა ქვეყნებისათვის. ამიტომ უდავო ფაქტია, რომ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი ნებისმიერი ნორმალური საგარეო ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ყოვლად გაუმართლებელია, როცა ექსპორტის თუ იმპორტის მიზანშეწონილობა ეკონომოკურად დაუსაბუთებელია. ცხადია, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა გავიტანოთ ისეთი მაღალკონკურენტუნარიანი და შიდა ბაზარზე ჭარბი პროდუქცია, როგორიცაა საქვეყნოდ ცნობილი ბრენდები: ბორჯომი, ღვინოები, ღვინო მასალები და სხვა. შემოვიტანოთ ისეთი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომლის წარმოება ქვეყანაში შეუძლებელია სხვადასხვა ობიექტური და კლიმატური პირობების გამო, როგორიცაა ბანანი, ყავა, კაკაო და სხვა.

საჭირო და აუცილებელია, რომ ჩვენი ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენს ხელთ არსებული მდიდარი პოტენციალი. აუცილებელია რეალურად შევაფასოთ ქვეყანაში ბიზნესის მდგომარეობა. დღესდღეობით მარკეტების თაროებზე მრავლადაა გამოფენილი კვების პროდუქტები, როგორიცაა: ტომატი, საწებელა, ხილის წვენები, ხილფაფა, კომპოტი, მრავალი ასორტიმენტის შოკოლადები, კამფეტები, ნამცხვრები, ჰალვა და მრავალი სხვა პროდუქტი, რომელთა საგემოვნო თვისებები და ხარისხი

ეჭვქვეშ დგას. არ ახლავს ვარგისიანობის დამადასტურებელი სერთიფიკატი, თანაც ყოველი მათგანის წარმოება ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი. ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციის წინააღმდეგ მიმდინარეობს ბრძოლა, მაგრამ ეს საკმარისი როდია. ამ ეტაპზე მიგვაჩნია, რომ იმპორტირებულ პროდუქციაზე შემოვიღოთ რეგულაციები, რომელიც გაამკაცრებს მოთხოვნას და აამაღლებს კვების პროდუქტების სახმარ ღირებულებას. ჩვენთან დამზადებულ პროდუქციას უფრო მაღალი ღირებულება გააჩნია. ჯერ კიდევ გვყავს მაღალკვალიფიციური გამოცდილი სპეციალისტები. ამიტომ არ დავაგვიანოთ და დროზე დავიწყოთ ჩვენი ნედლეულის გამოყენება-გადამუშავება, რისგანაც მივიღებთ მაღალი თვისებების მქონე კვების პროდუქტებს. გათვლებით ირკვევა, რომ ათიათასობით ტონა მანდარინი, ტყემალი, ვაშლი, პომიდორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეული გადაურჩება გაფუჭება-განადგურებას.

მეტი ძალისხმევაა საჭირო, რომ ავამოქმედოთ, ავაღორძინოთ და განვავითაროთ ტრადიციული დარგები, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების მოცულობის გაზრდაში, თანაც შიდა ბაზარი გაჯერებული იქნება ადგილობრივი ასორტიმენტის მქონე, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით.

გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ უხარისხო ჩაის შემოტანას ვუხსნით გზას მაშინ, როცა ათიათასობით ჰექტარი ჩაის პლანტაცია განადგურდა. ჩაის მიმართ უყურადღებობა ღალატის ტოლფასია. ქართული ჩაი უნდა გადავარჩინოთ განადგურებას და ის დავუბრუნოთ ჯერ შიდა ბაზარს და ამის შემდეგ ვიფიქროთ მის ექსპორტირებაზე. ქართული ჩაი ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი საგემოვნო თვისებებით და ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებში მაღალი რეპუტაციით სარგებლობდა. მოვიძიოთ ინვესტორები, რომ დახმარება გაგვიწიონ ქართული ჩაის კულტურის შენარჩუნებაში. ავაშენოთ ჩაის მიკრო ფაბრიკები, რაც მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მოვკრიფოთ და დავამზადოთ სურნელოვანი, კონკურენტუნარიანი ჩაი, რათა დავაკმაყოფილოთ ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნები და გავიტანოთ კიდეც საზღვარგარეთ. ქართული ჩაის აღორძინება იქნება ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ბევრი ადამიანი დაუბრუნდება თავის სოფელს, მშობლიურ სახლ-კარს, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის აღორძინება-განვითარებაში და მრავალფეროვანი ინფრასტრუქტურის მოწყობაში.

ქვეყანაში გარდა სხვა ობიექტური თუ სუბიექტური ხელშემშლელი პირობებისა თავი იჩინა მოქალაქეების პოლარიზებამ პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით. სწორედ ამ ურთიერთობის შედეგია ის მწვავე პრობლემები, რომელიც ჩვენი ქვეყნის

წინაშე დგას. გრიგოლ რობაქიძე სწორად მიანიშნებდა, რომ „საქართველოს ქართველზე უფრო დიდი მტერი არავინ ჰყავსო“. ქართველის ხელით არაერთი უბედურება დატრიალებულა ჩვენს თავს. საჭიროა ერთად ყოფნა, ძალა ერთობაშია. მაშინ ასეთი ქვეყანა ეკონომიკურად უფრო ძლიერი, სტაბილური და მიმზიდველი იქნება როგორც ტურისტებისათვის, ასევე ყველა ადამიანისათვის. როცა ქვეყანა ეკონომიკურად წელში იმართება, მაშინ ახალ-ახალი პროექტების რეალიზაცია უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს, ხალხის კეთილდღეობა უკეთესობისკენ მიიწევდეს.

სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში მმართველობით სტრუქტურებში ნეპოტიზმი ყვავის. ვერ ნახავ სახელმწიფო მოხელეს ვინმე-ვინმეს ნათესავი არ იყოს. არ გამოვრიცხავთ იმას, რომ ადამიანების გარკვეული ნაწილი ცხოვრებაში ღირსეული ადამიანი იყოს თავისი ქცევით, ზნეობით, კულტურით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ნიშნით ვნიშნავდეთ არაპროფესიონალებს, გამოუცდელ პიროვნებებს მმართველობით სტრუქტურებში, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ როგორ წარმართონ მენეჯმენტი, რის ნაყოფსაც აშკარად ვიმკით. როგორც ჩანს ქვეყანაში ნელ-ნელა იშლება ქვეყნის მმართველობითი ბერკეტები, რომელიც ბუმერანგივით გვიბრუნდება უკან, საშიშროების წინაშეა ქვეყნის დამოუკიდებლობაც კი.

ქვეყნის თუ პიროვნების წარმატების საწინდარი იყო და არის შრომის დისციპლინა, რომელსაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ არმიას არ მიუღწევია წარმატებისთვის, ვისაც არ ჰქონდა მკაცრი წესრიგი. როგორც კი მოეშვებოდა დისციპლინა, იმ წუთში მარცხდებოდნენ. ვერცერთი რგოლი წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ იქ დისციპლინა არ არის. დისციპლინის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მომჭირნეობა და ფული სწორად ხარჯვის ცოდნა. ჩვენი დაკვირვებით და ანალიზით ირკვევა, რომ ხელისუფლების შტოებში უყაირათოდ იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტს სახსრები, ხელფასების განუსაზღვრელი ოდენობით დანიშვნაში, ძვირადღირებული პირადი მომსახურების ავტომობილების შეძენაში, კაბინეტების მოწყობაში და სხვა საგნების შეძენაში. მოვუხმოთ გონებას, სანამ ქვეყანა ფეხზე არ დადგება, ყოველი თეთრი ვხარჯოთ მიზანმიმართულად. ვისწავლოთ ეკონომიური ტრანსპორტით გადაადგილება, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყნის აღმავლობას, ხელი მოვკიდოთ და განვავითაროთ ისეთი ბიზნესი, რომლის პირობები არსებობს ჩვენში და ასევე რაც მთავარია, ერი რომ არ გადაშენდეს, დემოგრაფიული მდგომარეობა პრიორიტედად გავხადოთ. იმისათვის რომ მიზანს მივაღწიოთ საკუთარ თავში უნდა ავღზარდოთ პიროვნება, რომელსაც შეეძლება ამის გაკეთება.

ხელისუფლებაში დასაქმებული ჩინოვნიკები მუდამ ახალ-ახალი მიღწევებით უნდა იყვნენ დაკავებულნი, რათა თავიანთი გუნდის წევრებთან ერთად მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწიონ აღმშენებლობის საქმეში და არა საკუთარ მომხვეჭელობასა და აღზევებაში. მათი შრომითი საქმიანობა უნდა ფასდებოდეს არა ზემდგომის სიამოვნების ხარისხით, არამედ იმით, თუ როგორ ასრულებს თავის მოვალეობას. მათი მიღწევების არეალში როგორ ამაღლდა ხალხის ცხოვრების დონე, რამდენი პროცენტით შემცირდა უმუშევრობა, რამდენად მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა, როგორია მოსახლეობის განწყობა და სხვა. ისმის კითხვა, ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები, გრანტები ხმარდება თუ არა სახელმწიფო საქმიანობას ინფრასტრუქტრურის განვითარებაში და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას. დღევანდელი საქართელო თავისი ეკონომიკური განვითარებით 10 წლის წინანდელი თურქეთი, 20 წლის წინანდელი ესპანეთი და 50 წლის წინანდელი იტალიაა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე ძალზე დაბალია, რაც მოითხოვს მეტ ძალისხმევს აუცილებელი და მასშტაბური რეფორმების ჩატარებისთვის.

ბიზნესის დაწყებამდე უნდა იქნას შესწავლილი ბიზნესის მიმართულება, მიზნები და პერსპექტივები, წინასწარ ჩატარდეს მარკეტინგული კვლევები, რათა გაირკვეს რამდენად შეესაბამება მოცემული საქმიანობა ბაზრის მოთხოვნებს და რამდენად რენტაბელური იქნება ის მეწარმისათვის. ჩვენში კი ყველაფერი ემოციებზე და პირად შეხედულებებზე ან ბრმა მიმბაძველობაზე არის დაფუძნებული. მაგალითად, ქართველმა მეწარმეებმა უცნაური ბიზნესის განვითარება მოკიდეს ხელი, კერძოდ ბაყაყების ექსპორტი, რომელიც საქართველოდან 2009-2011 წლებში ხორციელდებოდა. ამ პროდუქციას სერიოზული მომხმარებელი ჰყავდა საფრანგეთის სახით, მაგრამ მათი ექსპორტი შეწყდა. როგორც ამბობდნენ, ქართული ბაყაყი გაცილებით გემრიელი იყო ფრანგულთან შედარებით, მაგრამ მის მწარმოებლებს ძირითადად უცხოური ბაზრის იმედი ჰქონდათ, რამაც არ გაამართლა. ასევე ნიანგების მოშენების მცდელობაც ამაო გამოდგა. 2010 წელს კომპანია, „ფაზისპლანტის“ წარმომადგენელმა ირაკლი ჩოკორაიამ არგენტინის ნიანგსაშენი ფერმიდან კვერცხი შემოიტანა, საიდანაც პატარა ნიანგები გამოიჩეკნენ. ფერმა ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიში მდებარეობდა. აღმოჩნდა, რომ იქაური წყალი გოგირდის შემცველია, რაც ნიანგის ზრდა-განვითარებას აფერხებს, ამიტომ საქართველოდან ნიანგის ხორცისა და ტყავის ექსპორტის დაწყება არარეალური აღმოჩნდა. სირაქლემის ხორცი და კვერცხი მსოფლიოში დელიკატესად არის მიჩნეული და ეს პროდუქტი ბევრ ქვეყანაში ძალიან პოპულარულია. რამდენიმე წლის წინ მარნეულის რაიონ სოფელ თელეთში სირაქლემების ფერმა გაიხსნა. თბილისის სუპერმარკეტებში გასაყიდად სირაქლემის ხორცი და კვერცხი გამოჩნდა. ქართველმა მომხმარებლებმა ეს საკვები

ვერ მიიღეს და მისი რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე ვერ მოხერხდა. უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირებმა, რომლებმაც წამოიწყეს აღნიშნული ბიზნესი, მარკეტინგული კვლევის არ ჩატარების გამო მათი ცდა კრახით დამთავრდა. თუმცა არის წარმატებული ბიზნეს ინიციატივებიც. დადებითად უნდა მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოში ბოლო წლებში დაწყებული პავლოვნიების მოშენება. პავლოვნია ულამაზესი, ძვირადღირებული მცენარეა, რომელიც საბერძნეთში ხარობს, თუმცა იაპონიიდან არის შემოტანილი - იქ გამოყვანილი კულტურაა. იქაური წესით, როცა ქალიშვილი იბადება, პავლოვნიას რგავენ და როცა თხოვდება, ამ მცენარისგან აკვანს უმზადებენ. ის ძალიან სწრაფად იზრდება. ერთწლიანი ნერგი დაახლოებით 5-6 მეტრი სიმაღლისაა. ერთი ხიდან ნახევარი კუბური მეტრი ხე მასალა მიიღება, თანაც საკმაოდ ძვირფასი, რომელსაც ავეჯის დასამზადებლად იყენებენ. ჩვენში ზეთისხილი არ არის ტრადიციული კულტურა, თუმცა სპეციალისტების შეფასებით, ქართული კლიმატი და მიწა მისთვის იდეალურია და ჩვენთან მოწეული ზეთისხილი ადვილად გაუწევს კონკურენციას იმპორტირებულ ზეთისხილს. კომპანია „ჯეოლაივი“ რამდენიმე წელია საქართველოში ზეთისხილის პლანტაციების გაშენებით არის დაკავებული და მომავალში კიდევ აპირებს წარმოების გაფართოებას. გარდა ადგილობრივი, ქართული ბაზრისა, კომპანიის წარმომადგენლები უცხოური ბაზრების ათვისებასაც გეგმავენ. დღესდღეობით ქართველი მომხმარებლისათვის კივი უცხო ხილი არის. კივის სამშობლო ჩინეთია, მაგრამ ის ერთნაირად კარგად ხარობს როგორც დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში, ისე კახეთში. თუმცა ამ პროდუქტით ადგილობრივი ბაზრის სრულად დაკმაყოფილება ვერ ხერხდება. ამიტომ იმპორტის სახით იგი დიდი რაოდენობით შემოდის უცხოეთიდან. კივის რბილობი საკმარისი რაოდენობით შეიცავს ასკორბინის მჟავას, რომელიც ამაგრებს ორგანიზმის დამცავ ფუნქციას და აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. სუბტროპიკულ კულტურათა შორის ამ მცენარეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს, რაც განპირობებულია მისი ნაყოფის სამკურნალო და დიეტური თვისებებით. კივი ქართულ ბაზარზე კარგად იყიდება და მწარმოებელი ფერმერებისათვის საკმაო შემოსავლის წყაროა. აუცილებელია ბიზნესმენებმა ყურადღება გაამახვილონ მსოფლიოში განვითარებულ ახალი ბიზნესპროდუცტების დანერგვაზეც. რაც არ უნდა უცნაური იყოს, მსოფლიოში უკვე არსებობს შავი პომიდორი, იასამნისფერი სტაფილო, ყვითელი ბადრიჯანი, თეთრი სატაცური. ქართველი ფერმერების თქმით, წელს შავი პომიდორიც გამოჩნდება. პომიდვრის ეს ჯიში ამერიკაში გამოიყვანეს. როგორც ამბობენ, ეს ერთ-ერთი ყველაზე გემრიელი ბოსტნეულია მსოფლიოში, რომელიც ტრადიციულ, წითელ პომიდორზე არანაკლებ გემრიელია. გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ ტრადიციულად საქართველოში

არსებული აგროპროდუქცია, მხოლოდ მათ მოყვანა - წარმოებისათვის გამოვიყენოთ უახლესი ტექნოლოგიები, რათა ნაკლები დანახარჯებით მეტი კონკურენტუნარიანი პროდუქცია მივიღოთ. მეტად უნდა განვავითაროდ აგრო პროდუქცის გადამამუშავებელი, დამფასოებელ-შემფუთავი და შემნახველი საწარმოები.

დასკვნა: ქვეყანაში ბევრი კარგი სასიკეთო რამე კეთდება, მაგრამ ამან ვერა და ვერ პოვა სრულყოფილად ასახვა მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესებაში. ინტენსიურად უნდა განვითარდეს ის დარგები და ქვედარგები, რომლებიც ქართველ ხალხს ხელეწიფება და სურვილი აქვთ აწარმოონ კონკურენტ უნარიანი პროდუქცია. მხოლოდ ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმებისა და პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარებით შესაძლებელია მენეჯერებისა და სახელმწიფო მოხელეების ინტელექტუალური დონის ამაღლება. მშრომელი ადამიანებისა და ადგილობრივი თვითმართველობის მოხელეების მჭიდრო თანამშრომლობით და სხვა მრავალი ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული მიზნების დაძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თ. გამსახურდია, თ. ფესტვენიძე, მენეჯერის ინტელექტუალური დონის ამაღლება ეფექტური მმართველობითი გადაწყვეტილების გარანტი. თსუ, ეკონომიკის ინსტიტუტისაერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული, თბილისი, 2019.

2. თ. გამსახურდია, თ. ფესტვენიძე, ქვეყნის რესურსების ეფექტური გამოყენება საჭიროებს სწორ მენეჯმენტს. თსუ პ.გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 23-24 ივნისი2017.

3. ნ. პაიჭაძე. უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის გზები., ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი 1, 2016.

Aspects of solving some of the problems facing the country.

Tamaz Gamsakhurdia
Akaki Tsereteli State University

Summary

Reinforcing the strength of the country, increasing the well-being of the citizens and creating normal living conditions for each member of the society is a continuous process of the government's care. In turn, each citizen of the country should take care of ensuring the reconstruction of the country, which can be achieved through the unity of citizens, mutual respect, high discipline of work, wise and effective use of valuable time, introduction of modern equipment and advanced technologies, continuous improvement of workers' qualifications and solving many other pressing issues. The research methodology is based on the fact that more than a third of a century has passed since the country's independence was declared, which should have led to the country's progress and the inexorable improvement of living conditions. Due to this, the mass emigration of the population began, which is gradually increasing, and no decreasing trends are visible. For the further rise of the country, we need to thoroughly examine all available resources and widely use them in industry. At this stage of development, we consider it necessary that more assistance from the state is needed for the development of the infrastructure of local and folk crafts. The more variety of locally produced souvenirs we have, the more profits tourism will bring. Due to faulty infrastructure, the cost of local products is quite high and, accordingly, their retail price is high, which causes dissatisfaction among tourists. Intensive development of agricultural sectors is necessary so that the growing tourist flow does not become a heavy burden on the already mainly import-oriented food market. The country does not have rich mineral resources (oil, gas, etc.), so we must move to the purposeful, reasonable use of scarce, renewable resources (mineral, healing and thermal waters, unique natural conditions for successful agricultural farms), which It can bring great benefits and income to both individuals (investors) and every citizen of our country. In order for the country to flourish , each citizen needs to understand the price of independence and the patriotism, love for work, and what is most important, state thinking.

Keywords: business, investments, competitiveness, national product, tourism, export - import, finance.

მდგრადი განვითარების სოციალური იმპერატივები და საქართველო

ხათუნა თოდუა,
ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Khatuna.todua@atsu.edu.ge

ანოტაცია. *საქართველოსათვის სოციალური უთანასწორობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. საზოგადობის და ხელისუფლების წინაშე დგას ამოცანა, რომ დაბალშემოსავლიანების შემოსავლებმა უფრო სწრაფად მოიმატოს, ქვეყნის მოსახლეობის მედიანური შემოსავლებისა და ხელფასის ზრდასთან შედარებით. აუცილებელია სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია და თითოეული რეფორმა გატარდეს ისე, რომ მან მოიტანოს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება. ზემოთ ჩამოთვლილი რისკები (პირველ რიგში, მზარდი უთანასწორობა) სიღარიბის, შიმშილის, უმუშევრობის, ნედლეულისა და სურსათის , აგრეთვე დემოგრაფიული პრობლემები, გარდა ამისა, ეკოლოგიური პრობლემები: სიღარიბე და სოციალური მოწყვლადობა - მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციის ხელისშემშლელი ფაქტორია, შესაბამისად, ამ რისკების მინიმიზაცია, სოციალური უთანაბრობის დონის შემცირება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმპერატივი. სოციალური იმპერატივების განსაზღვრა და სოციალური პოლიტიკის სოციალურ პარამეტრებთან და მდგრადი განვითარების იმპერატივებთან შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებელს გახდის სოციალურ პროცესებსა და მოვლენებზე ზემოქმედებას, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მდგრად განვითარებას.*

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, სოციალური იმპერატივები, საქართველო.*

მდგრადი განვითარების, მწვანე ეკონომიკის, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პრობლემებთან დაკავშირებული კონცეფციები სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს მსოფლიოში. თომას დილიქი და კაი ჰოკერტსი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ,,მდგრადი განვითარება გადაიქცა 21-ე საუკუნის მანტრად".

მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია - სოციალური. გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციაზე -„რიო+20 - მომავალი, რომელიც გვსურს“, ხაზი გაესვა მდგრადი განვითარების სწორედ სოციალური მდგენელის მნიშვნელობას, ხოლო განვითარების ძირითად კრიტერიუმად შემოთავაზებული იქნა ,,ადამიანური განზომილება" (human dimension) ნიშანდობლივია, აგრეთვე, რომ გაეროს მდგრადი განვითარების 17 მიზნიდან 9 (შიმშილისა და სიღარიბის ლიკვიდაცია, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ხარისხიანი განათლება, გენდერული თანასწორობა, უთანასწორობის შემცირება, ღირსეული სამსახური და სხვ.) სოციალური ხასიათისაა [3].

უკანასკნელ წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად იყენებენ ცნებას - სოციალური იმპერატივები, რაც ადამიანისეული კაპიტალის განვითარებისა და ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობას მოიაზრებს.

გამოყოფენ მდგრადი განვითარების სოციალური იმპერატივების ფაქტორთა 2 ჯგუფს; მათგან პირველს, რომელიც განსაზღვრავს მდგრად განვითარებაზე გადასვლის აუცილებლობას, მიეკუთვნება სოციალური გამოწვევები და რისკები, ხოლო მეორეს - სოციალური ცვლილებები და ტენდენციები, რომლებიც ასრულებენ მდგრადი განვითარების მამოძრავებელი ძალების (დრაივერების) როლს.

სოციალური იმპერატივების ფაქტორთა პირველი ჯგუფი - გლობალური რისკები და გამოწვევები - დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკურ კონფერენციებზე, მათ შორის, 2005 წლიდან მოყოლებული, დავოსის ეკონომიკურ ფორუმებზე აქტიური განხილვის საგანია.

The Global Risks Report-ის ყოველწლიურ მოხსენებაში გლობალური რისკები ხუთ კატეგორიადაა დაყოფილი: ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, გეოპოლიტიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ რისკებად [4].

აქედან, სადღეისოდ გლობალური ხასიათის ძირითად სოციალურ პრობლემებად აღიარებულია სიღარიბის, შიმშილის, უმუშევრობის, ნედლეულისა და სურსათის, აგრეთვე დემოგრაფიული პრობლემები, გარდა ამისა, მოსახლეობის უკონტროლო ზრდა, ეკოლოგიური პრობლემები: ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის დაბინძურება, ტყის საფარის შემცირება, გაუდაბნოება, მიწების ეროზია, მზარდი მატერიალური და სოციალური უთანასწორობა და სხვ.

ჩამოთვლილი პრობლემებიდან უმეტესობა, სამწუხაროდ, უცხო არაა საქართველოსათვის. მათგან ერ-ერთი უმწვავესია სოციალური უთანასწორობა. ხარისხიან სოციალურ სიკეთეებსა და მომსახურებაზე არათანაბარი ხელმისაწვდომობა, არათანაბარი სასტარტო შესაძლებლობები, სიღარიბის მაღალი

დონე მფლანგველური, ჭარბი მოხმარების ფონზე - ქმნის სერიოზულ ბარიერებს ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ინიციატივით მსოფლიოს 34 ქვეყანაში ჩატარებული კვლევების მონაცემებით, ღარიბებსა და მდიდრებს შორის უფსკრული ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდა. დადასტურებულია, რომ სოციალური უთანასწორობა მნიშვნელოვნად აფერხებს ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას [5].

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1990-2010 წ.წ. გაზრდილმა უთანასწორობამ გამოიწვია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის 9%-ით შემცირება, აშშ-ში - თითქმის 7 %-ით, ამის გამო ეჭვქვეშ დადგა მოსაზრება იმის შესახებ, რომ, ეკონომიკური ზრდის სტიმულირება და უთანაბრობის შემცირება - ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთგამომრიცხავი მიზნებია.

საქართველოსათვის სოციალური უთანასწორობის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. მართალია, **ბოლო მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის შემოსავლებს შორის განსხვავება ყველაზე დაბალ ნიშნულზეა, მაგრამ, ჯინის კოეფიციენტი მაინც საკმაოდ მაღალია. ეს უკანასკნელი** ყველაზე მაღალ ნიშნულზე (-0.42%) 2010 და 2011 წლებში იყო. 2012 წელს კი 0.41%-მდე შემცირდა და მას შემდეგ იკლებს, მხოლოდ 2017 წელს კვლავ გაიზარდა 0.39%-დან (2016 წლის შედეგი) 0.40%-მდე. სხვა წლებში კლებაა, ან მაჩვენებელი უცვლელია, ხოლო 2021 და 2022 წლებში კოეფიციენტმა 0.34% შეადგინა, რაც მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული მინიმუმია, მაინც მაღალი მონაცემია. ჩვენთან მოსახლეობის ყველაზე მდიდარი 10 %-ის შემოსავლები 15-17-ჯერ აღემატება ყველაზე ღარიბები 10%-ის შემოსავლებს. ქვეყანაში უთანასწორობა საკმაოდ მაღალია. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა.

არსებული უთანასწორობის აღმოფხვრა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სახელმწიფოს მოვალეობაა. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“; აქედან გამომდინარე საზოგადობის და ხელისუფლების წინაშე დგას ამოცანა, რომ დაბალშემოსავლიანების შემოსავლებმა უფრო სწრაფად მოიმატოს, ქვეყნის მოსახლეობის მედიანური შემოსავლებისა და ხელფასის ზრდასთან შედარებით. აუცილებელია სახელმწიფოს განვითარების სტრატეგია და თითოეული რეფორმა გატარდეს ისე, რომ მან მოიტანოს მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება.

ზემოთ ჩამოთვლილი რისკები (პირველ რიგში, მზარდი უთანასწორობა) მდგრადი განვითარების პრინციპების რეალიზაციის ხელისშემშლელი ფაქტორია. შესაბამისად, ამ რისკების მინიმიზაცია, სოციალური უთანაბრობის დონის შემცირება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მდგრადი განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იმპერატივი [6]. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოხსენებაში ხაზგასმულია, რომ მდგრადი განვითარება მოითხოვს შესაძლებლობათა თანაბარ ხელმისაწვდომობას და მეტ სოციალურ სამართლიანობას [7].

მდგრადი განვითარების შემაფერხებელ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს სიღარიბე და სოციალური მოწყვლადობა წარმოადგენს. გაეროს მონაცემებით, დღეს მსოფლიოში დაახლოებით 800 მლნ ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს; პლანეტის ყოველი მე-9 მცხოვრები განიცდის ქრონიკულ შიმშილს, სასკოლო ასაკის 57 მლნ ბავშვი ვერ დადის სკოლაში, 1,3 მლრდ-ზე მეტი ადამიანი (მსოფლიოს მოსახლეობის 20 %) მოკლებულია ელექტროენერგიით სარგებლობის შესაძლებლობას; ღრმავდება ქვეყნებს შორის დიფერენციაცია მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით. სიღარიბეს ამძაფრებს სოციალური მოწყვლადობის პრობლემა. მდგომარეობის შემსუბუქება ღარიბი ადამიანებისათვის მხოლოდ ფულადი დახმარებით ვერ მიიღწევა, საჭიროა ბევრად მეტი - ხელმისაწვდომი დასაქმება, დაბინავება, ჯანდაცვა, განათლება. ამავე დროს, სიღარიბის დაძლევის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად, ცხადია, სოციალური დახმარება რჩება.

დღეს საქართველოში თითქმის ყოველი მე-6 მოქალაქე აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს მიღმაა. საქსტატის ანგარიშის თანახმად, 2022 წელს საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.9 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 15.6% შეადგინა, მაგრამ, **უფრო ფართო სურათში,** სოციალური სააგენტოს სტატისტიკა, შინამეურნეობების ხარჯები, შემოსავლები და საშუალო ხელფასები, **ინფლაციის გათვალისწინებით,** აჩვენებს, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გარკვეული პროგრესის მიუხედავად, მაინც არასახარბიელოა. სოციალური სააგენტოს მონაცემებით, სოციალური შემწეობის მიმღები მოქალაქეების რაოდენობა 2022 წელს საშუალოდ 660 000 იყო, ხოლო **ორჯერ მეტი ადამიანი ამბობს, რომ ეს შემწეობა სჭირდება [2].**

სოციალური იმპერატივების ფაქტორთა მე-2 ჯგუფში დღეისათვის მოიაზრება 13 სოციალური ტენდენცია, რომელიც ზრდის გლობალურ რისკებს. ესაა - მოსახლეობის დაბერება, ქრონიკული დაავადებებით დაავადებულთა რიცხვის ზრდა, საზოგადოებაში პოლარიზაციის გაღრმავება, მოსახლეობის მზარდი გეოგრაფიული მობილობა, აგრეთვე - ურბანიზაციის გაძლიერება და სხვ.

საქართველოშიც სახეზეა აღნიშნული ტენდენციები. მათგან ერთ-ერთი უმწვავესია მოსახლეობის დაბერება. 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა წარმოადგენს ერთადერთ ძირითად ასაკობრივ ჯგუფს, რომლის რიცხოვნობაც გაიზარდა მოსახლეობის 1989 წლის აღწერის შემდგომ პერიოდში. 1989 წელს ხანდაზმულთა წილი საქართველოს მთლიან მოსახლეობაში შეადგენდა 8,8 პროცენტს, ხოლო 2002 წელს - 13,3 პროცენტს [1]. გაეროს პროგნოზის თანახმად, 65 წლისა და უფროსი ასაკის პირების წილი მთლიან მოსახლეობაში მიაღწევს 18,9 პროცენტს 2030 წელს (732 000 პირი) და ეს მაჩვენებელი 25,3 პროცენტამდე გაიზრდება 2050 წლისათვის (880 000 პირი), რაც ნიშნავს, რომ ყოველი მეოთხე ადამიანი 65 წლის და უფროსი ასაკის იქნება; დღეგრძელი მოსახლეობის რაოდენობა გაორმაგდება და 2050 წლისათვის მიაღწევს 260 000 პირს.

თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში მოსახლეობის დაბერების პროცესი მკაფიოდ არის გამოხატული, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყნისთვის.

სოციალური იმპერატივების განსაზღვრა და სოციალური პოლიტიკის სოციალურ პარამეტრებთან და მდგრადი განვითარების იმპერატივებთან შესაბამისობაში მოყვანა შესაძლებელს გახდის სოციალურ პროცესებსა და მოვლენებზე ზემოქმედებას, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის მდგრად განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დე ბრუნი ბ., ჭითანავა მ., მოსახლეობის დაბერება და ხანდაზმულები საქართველოში, 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2017, თბილისი.

   https://www.geostat.ge/media/20625/2.-Ageing_GEO_Print-_F_0.pdf

   (დადასტურებულია - 01.07.2024)
2. პერტაია ლ., აბსოლუტური სიღარიბე შემცირდა - როგორ ,,მდიდრდება საქართველო"?, 2023

   https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E16.html

   (დადასტურებულია - 22.06.2024)

3. The future we want, Declaration of the UN Conference on Sustainable Development, Rio (2012)
http://www.uncsd2012.org/content/documents/727The%252520Future%252520We%252520Want%25252019%252520June%2525201230pm.pdf%2520%2520
(დადასტურებულია - 12.07.2024)

4. Human Development Report 2011, Sustainability and Equity: A Better Future for All, 2011
https://hdr.undp.org/content/human-development-report-2011
(დადასტურებულია - 20.06.2024)

5. The Global Risks Report 2017, 12th Edition. Insight Report. World Economic Forum. Geneva. 2017.
http://www3.weforum.org/docs/GRR17_Report_web.pdf
(დადასტურებულია: 10.06.2024)

6. Transforming Our World: The 2030 Agenda for Sustainable Development A/RES/70/1 un
https://sdgs.un.org/sites/default/files/publications/21252030%20Agenda%20for%20Sustainable%20Development%20web.pdf
(დადასტურებულია - 08.07. 2024)

7. United Nations Conference on Environment & Development Rio de Janerio, Brazil, 3 to 14 June 1992 AGENDA 21
https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/Agenda21.pdf
(დადასტურებულია - 04.07. 2024)

Social imperatives of sustainable development and Georgia

Khatuna Todua
Candidate of Economic Sciences, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
Khatuna.todua@atsu.edu.ge

Summary

Almost forty years ago, the UN report Our Common Future placed sustainable development firmly on the international agenda. The Imperatives of Sustainable Development takes the ethical foundations of Our Common Future. Sustainable development is widely conceptualized as resulting from a balance of economic, environmental, and social equity concerns. Yet, critics argue that social equity is routinely left out in development practice. we see sustainable development as an outcome of a process that achieves a balance among three imperatives – fostering economic growth, distributing this growth fairly, and operating within the limits of the biophysical environment – which often exist in tension with one another. Global, national and local sustainable development should address global, national and local key themes, respectively. The authors accept that there is no single pathway to sustainable development space. Different countries face different challenges and must follow different pathways in this article we address the global and national scales, thus the key themes must reflect these scales.

Keywords: sustainable development, social imperatives, Georgia.

მეორე სექცია

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ეკონომიკური პოლიტიკა: მაკროასპექტი

გივი ბედიანაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი; ევროპის უნივერსიტეტი
givi.bedianashvili@tsu.ge

გიორგი კოხრეიძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giokokhreidze1@gmail.com

ნინო მიქელაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
N.Mikeladze2@mof.ge

ანოტაცია. *დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში, მსოფლიო წესრიგის ტრანფორმაციის პირობებში, ქვეყნებისთვის გლობალური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. ის პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ქვეყნის განვითარებაზე და მის ადგილზე გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში. ამ მიმართებით გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება საშუალებას მისცემს ქვეყნებს, გაზარდონ კეთილდღეობა, შეამცირონ სიღარიბე და გახდნენ მდგრადი გლობალური გამოწვევების მიმართ. სტატიაში წარმოდგენილი კვლევის ძირითადი მიზანია გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების მაკროდონის კონცეპტუალური*

მიდგომების ჩამოყალიბება, ასევე საქართველოსთვის რეკომენდაციების შემუშაავება. კვლევაში გამოყენებულ იქნა სისტემური ანალიზისა და მოდელირების მეთოდები. კვლევის შედეგად აღნიშნული პოლიტიკის მიმართ ჩამოყალიბდა ცალკეული მოთხოვნები, როგორიცაა გრძელვადიანი ორიენტაცია, კომპლექსურობა, მოქნილობა და ადაპტირების მაღალი დონე. როგორც ეფექტიანი ინსტრუმენტარი, გამოიყო სტრუქტურული განტოლებების მოდელირება.

საკვანძო სიტყვები: *კონფრონტაციული გლობალიზაცია, გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური უსაფრთხოება, ეკონომიკური პოლიტიკა*

შესავალი

დღევანდელი მსოფლიო წესრიგი მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის. მიმდინარე და მომავალში მოსალოდნელი ცვლილებები დაკავშირებულია გამოწვევების რთული კომპლექსის წარმოქმნასთან ქვეყნებისთვის, რომლებსაც უხდებათ ორიენტირება მრავალპოლარულ და გაურკვეველ გლობალურ გარემოში. მათ შორის შეიძლება გამოიყოს: გეოპოლიტიკური არასტაბილურობა Kipiani, 2024), კონფრონტაციული პროცესები (Papava, 2022; Bedianashvili, 2023a), ეკონომიკური განუზღვრელობა (Ahir et al., 2023; Bedianashvili, 2023b), ტექნოლოგიური ნაკადები და გაციფრულება (Bochko et al., 2022), სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემები (SolAbility, 2024).

მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაცია, რომელიც ხასიათდება გლობალური ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცვლილებებით, განსაკუთრებულად აქტუალურს ხდის გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებას. აქ უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი:

1. ეკონომიკური უსაფრთხოება: გლობალური ბაზრების გაერთიანებამ და ურთიერთდამოკიდებულებამ გაზარდა ეკონომიკური უსაფრთხოების რისკები, განსაკუთრებით კრიზისების, სამხედრო კონფლიქტებისა და გლობალური პანდემიების ფონზე.
2. მდგრადი განვითარება და ეკოლოგიური პასუხისმგებლობა: მდგრადი კონკურენტუნარიანობის მიღწევა გულისხმობს ეკოლოგიური პასუხისმგებლობის გათვალისწინებას, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსების დაცვას, ენერგიის ეფექტიან გამოყენებას და ნახშირბადის ემისიების შემცირებას.

3. მრავალმხრივი თანამშრომლობა და რეგულაციები: გლობალური წესრიგის ტრანსფორმაციის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალმხრივი თანამშრომლობა როგორც რეგიონულ, ისე - გლობალურ დონეზე.

საერთო ჯამში, გლობალური წესრიგის ტრანსფორმაციის პირობებში, ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, ეკონომიკურ უსაფრთხოებას და კონკურენტუნარიანობას, რაც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე სტაბილური და წარმატებული ეკონომიკური განვითარების პირობებს.

წარმოდგენილი კვლევის მიზანია აღნიშნული გამოწვევების და პრობლემატიკის კონცეპტუალურ დონეზე გაანალიზება, შესაბამისი ზოგადი მიდგომების ჩამოყალიბება და საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე, კონკრეტული რეკომენდაციების შეთავაზება.

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა და ეკონომიკური უსაფრთხოება

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა (Bedianashvili, 2023b; Bedianashvili & Kokhreidze, 2024; Bochko et al., 2022; Falkowski, 2023; Koyama & Fujiwara, 2023; SolAbility, 2022) და ეკონომიკური უსაფრთხოება (Papava & Maiasaia, 2023) თანამედროვე სამყაროში ქვეყნების წინაშე დგას, როგორც ორი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა. ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ამ ორი მიზნის მიღწევას ისახავს, უნდა იყოს კომპლექსური და მრავალმხრივი.

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობა

- ეს არის ქვეყნის ეკონომიკის უნარი, სხვა ქვეყნებთან კონკურენციაში გაიმარჯვოს, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეინარჩუნოს ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ამავდროულად დაიცვას გარემო და სოციალური პასუხისმგებლობა.
- მდგრადი კონკურენტუნარიანობა უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას, აუმჯობესებს ცხოვრების დონეს და აძლიერებს ქვეყნის გლობალურ გავლენას.

ეკონომიკური უსაფრთხოება

- ეს არის ქვეყნის ეკონომიკის უნარი, გაუძლოს შიდა და გარე შოკებს, შეინარჩუნოს ეკონომიკური სტაბილურობა და დამოუკიდებლობა.

- ეკონომიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფს ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას, ამცირებს კონფლიქტების რისკს და აძლიერებს ქვეყნის საერთაშორისო პოზიციებს.

ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები

1. **ინოვაციების სტიმულირება:**
    - კვლევისა და განვითარების ხარჯების გაზრდა
    - ტექნოლოგიური პარკებისა და ინკუბატორების შექმნა
    - მეწარმეობის მხარდაჭერა
2. **ადამიანისეული კაპიტალის განვითარება:**
    - განათლების სისტემის მოდერნიზაცია
    - პროფესიული მომზადების ხელშეწყობა
    - ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება
3. **ინფრასტრუქტურის განვითარება:**
    - ტრანსპორტისა და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია
    - ენერგეტიკული ეფექტიანობის გაზრდა
    - მდგრადი ურბანული განვითარება
4. **მდგრადი განვითარების პოლიტიკის გატარება:**
    - გარემოს დაცვის ზომების გამკაცრება
    - ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
    - კლიმატის ცვლილების შედეგების შემცირება
5. **საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება:**
    - თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების გაფორმება
    - საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება
    - საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური მონაწილეობა

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის (როგორც ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის - მაგალითად: Gvelesiani & Bedianashvili, 2020, 2023) შემუშავება და რეალიზაცია არის რთული და მრავალმხრივი პროცესი, რომელიც მოითხოვს ხელისუფლების, ბიზნესის და მთლიანად საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობას, ცოდნის, ინოვაციების, ადამიანისეული კაპიტალის, ინფრასტრუქტურის და მდგრადი განვითარების ფაქტორების კომპლექსური გამოყენების საფუძველზე.

ეკონომიკური უსაფრთხოება და ფისკალური პოლიტიკა

ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური მდგრადობის მიღწევისა და შენარჩუნების პროცესში, რაც გამონაკლისი არ არის საქართველოს შემთხვევაშიც. იქიდან გამომდინარე, რომ საერთაშორისო ფაქტორები ქვეყანაზე მუდმივად ახდენს გავლენას, განსაკუთრებით კი ისეთ მცირე ღია ეკონომიკაზე, როგორიც საქართველოა, საჭიროა ეკონომიკური პოლიტიკა შესაბამისად იყოს გატარებული და სხვადასხვა ინდიკატორები უსაფრთხოების ისეთ დონეზე იყოს შენარჩუნებული, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობა უზრუნველყოს ან ნაკლებად მოწყვლადი გახადოს ქვეყანა საგარეო შოკებისადმი.

ეკონომიკური პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი გზა ფისკალური პოლიტიკის განხორციელებით არის შესაძლებელი და თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ფისკალური პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტია გამოყენებული სხვადასხვა ტიპის შოკებთან გასამკლავებლად (Cheberyako et al., 2020; Mikeladze, 2023). აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფისკალური პოლიტიკის აქტიურ ჩართულობას ჰქონდა ადგილი კოვიდ-19 პანდემიის დროსაც, როდესაც პოლიტიკის გამტარებლებმა გამოიყენეს ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა გადასახადებისა და ხარჯების ცვლილებები. შესაძლოა ითქვას, რომ ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე საუბარი უფრო მეტად აქტუალური ხდება ეკონომიკური კრიზისების დროს, როდესაც მთავრობა ატარებს ისეთ ღონისძიებებს, რომ შემცირდეს კრიზისის უარყოფითი გავლენა ყველაზე მეტად მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

საქართველოში განხორციელებული ფისკალური პოლიტიკა მაკროეკონომიკურ სტაბილურობასა და მდგრადობაზეა ორიენტირებული, რაც, ერთი მხრივ, გულისხმობს ეკონომიკური ბუმისა და გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის დროს გაზრდილ გადასახადებსა და შემცირებულ ხარჯებს, რაც ფისკალურ კონსოლიდაციას

გულისხმობს. ხოლო მეორე მხრივ კი რეცესიებისა და კრიზისების დროს ადგილი აქვს შერბილებულ ფისკალურ პოლიტიკას, რაც გარკვეული სახის საგადასახადო შეღავათებსა და გაზრდილ ხარჯვით ნაწილში აისახება.

იმისთვის, რომ ფისკალური პოლიტიკის განხორციელებისას ქვეყანამ შეძლოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადობის მიღწევა-შენარჩუნება, მნიშვნელოვანია ფისკალური სივრცის არსებობა. ფისკალური სივრცე გულისხმობს ფისკალური პოლიტიკის გამტარებლების შესაძლებლობასა და რესურსებს საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. შესაბამისად, რესურსების მობილიზება ხდება ეკონომიკურად სტაბილური პერიოდისას, ხოლო კრიზისის დროს ადგილი აქვს ფისკალური სივრცისთვის მობილიზებული რესურსების გამოყენებას. საქართველოში ფისკალური სივრცის შექმნის პროცესი გარკვეულწილად უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებასაც, ვინაიდან ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური სისტემა გარე შოკების მიუხედავად მზად არის შეამციროს მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტები ქვეყნის ეკონომიკაზე, რაც ნაწილობრივ მის დამოუკიდებლობასაც გულისხმობს. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე კიდევ უფრო ნათელი ხდება ეკონომიკური მდგრადობის მიღწევის მნიშვნელოვნება და კრიზისებთან გასამკლავებლად სწორი ფისკალური პოლიტიკისა და შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენების საჭიროება.

უშუალოდ მაკროეკონომიკურ რიცხვებს თუ შევხედავთ, შეგვიძლია შევაფასოთ ძირითადი ფისკალური მაჩვენებლები და მათი გაუმჯობესების პროცესები. ეკონომიკური მდგრადობისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფისკალური მაჩვენებელია ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი. ბიუჯეტში მიღებულ შემოსავლებსა და ხარჯებს შორის არსებული სხვაობა განაპირობებს ბიუჯეტის დეფიციტს, რის შემდეგაც განისაზღვრება, დამატებით რა მოცულობის ვალის აღება სჭირდება მთავრობას. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხარჯები, სტანდარტულად, აჭარბებს ბიუჯეტში მიღებულ შემოსავლებს, ვინაიდან როგორც მიმდინარე (სადაც შედის შრომის ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების შესყიდვა, სუბსიდიები, სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები), ასევე - კაპიტალური ხარჯები (ეს არის არაფინანსური აქტივების ზრდა, რაც ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოიცავს და სხვადასხვა ტიპის შენობებისა და ხიდების აშენებას გულისხმობს) როგორც ეკონომიკური ზრდისთვის, ასევე - მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი წყაროა. მაგალითად, 2023 წელს სოციალურ უზრუნველყოფაზე მიმდინარე ხარჯების 39.7 პროცენტი იყო გაწეული, რაც მთლიანი სამამულო პროდუქტის 8.9 პროცენტს შეადგენს. ბიუჯეტში მიღებული შემოსავლების ძირითად ნაწილს კი

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს (89.2% იყო 2023 წელს), რაც სწორედ ეკონომიკური აქტივობის შედეგად შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს. ბიუჯეტის დეფიციტის ე.წ უსაფრთხო დონედ შესაძლოა მივიჩნიოთ 3 პროცენტი მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში, რაც მაქსიმალური ზღვარია როგორც საქართველოსთვის, ასევე - ევროკავშირის ქვეყნებისთვის (ევროკავშირში მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, ხოლო საქართველოსთვის - ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის თანახმად). პანდემიამდე ბოლო 5-6 წლის მანძილზე საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოდ 2.4 პროცენტს შეადგენდა, რაც შესაძლო შოკების შემთხვევაში ქვეყანას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნებისა და სწრაფად აღდგენის შესაძლებლობას აძლევდა. ანალოგიურად, მთავრობის ვალის მდგრადი დონისთვის საჭიროა მისი 60 პროცენტამდე არსებობა, თუმცა საქართველო, როგორც განვითარებადი და საგარეო შოკებზე დამოკიდებული ქვეყანა, ცდილობს 40 პროცენტის ფარგლებში შეინარჩუნოს ვალის დონე. პანდემიამდე 5-6 წლის განმავლობაში მთავრობის ვალი 37-38 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებაში, რამაც საშუალება მისცა ქვეყანას, პანდემიის შემდგომ სწრაფად და ნაკლებად გამკაცრებული ფისკალური პოლიტიკით დაბრუნებოდა ვალის უსაფრთხო დონეს დეფიციტის შემცირების პარალელურად. ამ ყველაფერმა კი გავლენა იქონია ეკონომიკურ ზრდაზეც და 2021-2022 წლებში ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ფისკალური პოლიტიკის მიერ გატარებული ღონისძიებები მიყვება კონტრციკლური ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს, რაც გულისხმობს რეცესიის დროს მოსახლეობის დახმარებასა და ტვირთის შემსუბუქებას, ხოლო მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და ბუმის დროს რესურსების მობილიზებას ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ფისკალური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

სტრუქტურული განტოლებების მოდელირების მეთოდი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ინსტრუმენტარი

მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანია ისეთი ინსტრუმენტარის შემუშავება და გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს როგორც პოლიტიკის ძირითადი პარამეტრების განსაზღვრას, ისე - პოლიტიკის რეალიზაციის მონიტორინგს და შესაბამისი მარეგულირებელი გადაწყვეტილებების

ფორმირებას. ამ მხრივ, როგორც ინსტრუმენტარი, უნდა გამოიყოს სტრუქტურულ განტოლებათა მოდელირება (SEM).

სტრუქტურული განტოლებების მოდელირება აქტიურადაა ჩართული კვლევებში (Bedianasjvili & Kokhreidze, 2024; Byrne, 2009; Wah et al., 2023). ის იძლევა საშუალებას, შემოწმდეს ცვლადების როგორც პირდაპირი, ასევე - ირიბი გავლენა. ლატენტური ცვლადები ხელს უწყობენ დაკვირვებად ცვლადებს შორის ურთიერთკავშირების ახსნას. ეს ლატენტური ცვლადი არადაკვირვებადი სიდიდეა, მაგრამ მისი არსებობა შეგვიძლია გამოვსახოთ დაკვირვებადი ცვლადის ვარიაციიდან.

მდგრადი კონკურენტუნარიანობის პრობლემის კვლევისთვის აგებულ იქნა SEM, რომელიც 3 უმთავრეს ინდიკატორს შეიცავს: ეკონომიკური, სოციალური და გლობალური კონკურენტუნარინობის. ეკონომიკური და სოციალური პირობები წარმოდგა ლატენტურ ცვლადად. შესაბამისი სისტემის სქემა შემდეგი სახისაა:

$$Economic = CC + GE + GND + RI + RQ$$
$$Social = CO_2 + HDI + IC + LIFEEXP + NC + PSAVT + RL + SC + VA$$
$$GSCI = Economic + Social$$

ცვლადის აბრევიატურა	ცვლადის აღწერა
CC	კორუფციის კონტროლი
CO_2	ნახშირორჟანგის ემისია
GE	მმართველობის ეფექტიანობა
GND	მმართველობის ეროვნული განვითარება
RI	რესურსების ინტენსივობა
RQ	მარეგულირებელი ხარისხი
HDI	ადამიანისეული განვითარების ინდექსი
IC	ინტელექტუალური კაპიტალი
LIFEEXP	სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა
NC	ბუნებრივი კაპიტალი
PSAVT	პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობა/ტერორიზმის არარსებობა
RL	კანონის უზენაესობა
SC	სოციალური კაპიტალი
VA	ხმა და ანგარიშვალდებულება

კორუფციის კონტროლი (CC) - აღწერს იმ ხარისხს, რომლითაც ადამიანები აღიქვამენ საჯარო ხელისუფლების გამოყენებას პირადი სარგებლისთვის, რაც მოიცავს როგორც კორუფციის უმნიშვნელო, ასევე - მნიშვნელოვან შემთხვევებს, ასევე ელიტური ჯგუფებისა და კერძო ინტერესების გავლენას სამთავრობო ფუნქციებზე.

მმართველობის ეფექტიანობა (GE) – მიუთითებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები საჯარო სამსახურების სრულყოფას, საჯარო მოხელეთა კომპეტენციასა და მიუკერძოებლობას, პოლიტიკური გავლენისგან დამოუკიდებლობის დონეს, პოლიტიკის შექმნისა და აღსრულების ეფექტიანობას და მთავრობის სანდოობას ამ პოლიტიკის დაცვაში.

პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის/ტერორიზმის არარსებობა (PSAVT) – პოლიტიკური მოტივებით ან ძალადობით გამოწვეული ძალადობის ალბათობას აფასებს, მათ შორის ტერორიზმის აქტებს.

მარეგულირებელი ხარისხი (RQ) – მიუთითებს იმაზე, თუ როგორ უყურებენ ადამიანები მთავრობის შესაძლებლობებს, შექმნან და აღასრულონ ეფექტური პოლიტიკა და რეგულაციები, რომლებიც ხელს უწყობენ კერძო სექტორის ზრდას.

კანონის უზენაესობა (RL) – ზომავს იმ ხარისხს, რომელსაც პირები ენდობიან და იცავენ საზოგადოებრივ წესებს, მათ შორის ხელშეკრულების აღსრულების ეფექტიანობას, საკუთრების უფლებების დაცვას, სამართალდამცავი ორგანოების საიმედოობას, სასამართლო სისტემას, სისხლის სამართლის საქმიანობისა და ძალადობის ალბათობას.

ხმა და ანგარიშვალდებულება (VA) – მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად სჯერათ მოქალაქეებს, რომ მათ შეუძლიათ ჩაერთონ თავიანთი მთავრობის არჩევის პროცესში, სიტყვის თავისუფლების დონესთან, სხვებთან ურთიერთობის თავისუფლებასთან და დამოუკიდებელი მედიის არსებობასთან ერთად.

ცვლადთა შერჩევა ეფუძნება საღ ეკონომიკურ აზრს. ეკონომიკური პირობების განტოლების შემთხვევაში მნიშვნელოვნად ჩაითვალა კორუფციის კონტროლი, ვინაიდან კორუფცია, სხვა თანაბარ პირობებში, აფერხებს ეკონომიკური სისტემის პროცესების დიდ ნაწილს და ქმნის ეკონომიკის რღვევის პირობებს. ასევე, მმართველობის ეფექტიანობა და განვითარება, ვინაიდან ეკონომიკაში ბევრი რამ, მათ შორის მოლოდინები, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ენდობა მოსახლეობა თავის ხელისუფლებას. რესურსების ინტენსივობა ფაქტობრივად გულისხმობს, ეკონომიკას რისი წარმოება შეუძლია პოტენციურად. მნიშვნელოვანია აგრეთვე მარეგულირებელი ჩარჩოები და მათი ხარისხი, ვინაიდან კერძო სექტორი წარმოადგენს ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილს. თუ მარეგულირებელი ჩარჩოები არ არის რელევანტური, მაშინ შეიძლება კერძო სექტორს პრობლემები შეექმნას, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკას დააზარალებს.

სოციალური პირობების განტოლება ასევე მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლადს: ნახშირორჟანგის ემისია, რომელზეც ბოლო წლებია მთელი მსოფლიო ამახვილებს ყურადღებას, ადამიანისეული განვითარების ინდექსი, რომელიც, თავის

მხრივ, რამდენიმე საკვანძო მაჩვენებლებისგან შედგება, ინტელექტუალური კაპიტალი, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, ბუნებრივი კაპიტალი, სოციალური კაპიტალი და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, ხმების თავისუფლება, რომელსაც მოიცავს ცვლადი VA, პოლიტიკურ სტაბილურობასთან ერთად (PSAVT).

ფაქტობრივად, მოაზრებულია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობა არის ეკონომიკური და სოციალური პირობების ურთიერთმოქმედებით მიღებული აგრეგატული ფენომენი. მიზანია, გამოკვლეულ იქნას ორი რამ: პირველი - როგორ მოქმედებს თითოეული ცვლადი ეკონომიკურ და სოციალურ პირობებზე და მეორე - გლობალური კონკურენტუნარიანობის განსაზღვრაში რომელი ნაწილი უფრო დიდ გავლენას ახდენს, ეკონომიკური თუ სოციალური (ემპირიული გათვლებისთვის გამოყენებული მონაცემების წყარო იყო: SolAbility, 2024; UNDP, 2024; World Bank Open Data, 2024; The World Bank, 2024).

გრაფიკზე გამოსახული რიცხვები კოეფიციენტებს წარმოადგენს და გვიჩვენებს ლატენტურ და დაკვირვებად ცვლადებს შორის კავშირის სიძლიერეს. კოეფიციენტების სიდიდე სიძლიერეს გამოსახავს. სხვა სიტყვებით, რაც უფრო მეტია აბსოლუტური მნიშვნელობა, მით უფრო ძლიერია ცვლადის გავლენა.



ეკონომიკური პირობებისთვის ასეთი აღმოჩნდა რესურსების ინტენსივობა. სოციალური პირობებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ინტელექტუალური კაპიტალი.

გრაფიკზე ასევე მოცემულია კოეფიციენტები, რომლებიც გვიჩვენებს ეკონომიკური და სოციალური პირობების გავლენას გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე. მოცემულ შემთხვევაში, კვლევაში შერჩეული ქვეყნებისა (საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) და დროითი ჰორიზონტის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალურ პირობებს უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე - ეკონომიკურს.

ჩვენი მოდელის მიხედვით ეს ნიშნავს, რომ ცვლილება სოციალურ ლატენტურ ცვლადში უფრო დიდ გავლენას ახდენს გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის ინდექსზე, ეკონომიკურ ლატენტურ ცვლადში მომხდარ ცვლილებებთან შედარებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

გლობალური მდგრადი კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობასა და განვითარებაში. ასეთი პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის მდგრადობა, კრიზისების თავიდან აცილება და მოქალაქეების ცხოვრების დონის გაუმჯობესება. აქ უნდა გამოიყოს რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ უსაფრთხოებას:

1. ფისკალური სტაბილურობა

- **ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება:** მიზანია ბიუჯეტის დეფიციტის კონტროლი და სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია.
- **სახელმწიფო ვალის ეფექტიანი მართვა:** ვალის დონის კონტროლი და მისი ეფექტიანად მართვა ეკონომიკის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

2. მონეტარული პოლიტიკა

- **ინფლაციის კონტროლი:** ცენტრალური ბანკის მიერ ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.
- **საპროცენტო განაკვეთის ეფექტიანი მართვა:** განაკვეთის რეგულირება ეკონომიკური აქტიურობის სტიმულირებისთვის.

3. დასაქმების პოლიტიკა

- **საერთაშორისო კონკურენციის სტიმულირება:** ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დონის შემცირება.
- **შრომის ბაზრის განვითარება:** განათლებისა და ტრენინგის პროგრამების განახლება და განვითარება.

4. სავაჭრო პოლიტიკა

- **ვაჭრობის ბარიერების შემცირება:** თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა.

- **ექსპორტის ხელშეწყობა:** ადგილობრივი მწარმოებლების სტიმულირება საერთაშორისო ბაზარზე.

5. სოციალური პოლიტიკა

- **სოციალური დაცვის სისტემების გაუმჯობესება:** მინიმალური შემოსავლის უზრუნველყოფა და სოციალური დაზღვევის სისტემის განვითარება.
- **ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესება:** ჯანდაცვის სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

6. ინვესტიციების მოზიდვა

- **უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა:** ინვესტიციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.
- **ინფრასტრუქტურის განვითარება:** ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

7. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება

- **კვლევა და განვითარება:** ინოვაციების სტიმულირება და ტექნოლოგიური წინსვლა.
- **განათლების გაუმჯობესება:** მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

8. ეკოლოგიური მდგრადობა

- **ენერგეტიკული უსაფრთხოება:** ენერგორესურსების მდგრადი გამოყენება და ალტერნატიული ენერგიის წყაროების განვითარება.
- **გარემოს დაცვა:** ეკოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესება და გარემოს დაცვის ხელშეწყობა.

ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჭიროა გრძელვადიანი და კოორდინირებული პოლიტიკა. მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის პირობებში ეს პოლიტიკა უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებული გლობალური და ლოკალური ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ.

გამოყენებული ლიტერატურა

Ahir H., Bloom N., & Furceri D, 2023. Global Economic Uncertainty Remains Elevated, Weighing on Growth. Retrieved February 2, 2024, from https://www.imf.org/en/Blogs/Articles/2023/01/26/global-economic-uncertainty-remains-elevated-weighing-on-growth.

Bedianashvili G. (2023a). Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences*, 17(2), 174-179.

Bedianashvili, G. (2023b). Global uncertainty and sustainable competitiveness. Proceedings of the international scientific conference dedicated to the 100th anniversary of the birth of Doctor of Economic Sciences, Professor Giorgi Papava: *Problems of world and national economic development in view of the pandemic and the Russia-Ukraine war*. Paata Gugushvili Institute of Economics of TSU, 21-26. (In Georgian).

Bedianashvili, G. (2023c). Confrontational globalization and global sustainable competitiveness of small countries. Proceedings of the 5th National Scientific Conference (ISBN 978-9941-8-5764-5): Positioning of the Georgian economy in the conditions of confrontational globalization. Tbilisi, Gruni. 172-179. Retrieved October 18, 2024, from https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-172-179 (In Georgian).

Bedianashvili G., & Kokhreidze G. (2024) Global Sustainable Competitiveness for Countries on the Way toward EU Integration. *TEM Journal.* 13(2):1684-1694. https://doi.org/10.18421/TEM132-81U

Bedianashvili, G., (2013). Strategy of Long-Term Socioeconomic Development of the Country: Issues of Methodology. Conference materials: Actual Problems of Economies of Post Communist Countries at Current Stage. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute at Current Stage. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Paata Gugushvili Institute of Economics, Tbilisi, 121-125 (In Georgian).

Bochko, O. Y., Maletska, O. I., Tsitska, N., & Kapral, O. R. (2022). Paradigm of a Country Competitiveness Under Conditions of Digital Economy. *Review of Economics and Finance*, *20*, 572–580. Retrieved September 27, 2023, from https://doi.org/10.55365/1923.X2022.20.65.

Byrne, B., 2009. Structural Equation Modeling with AMOS -Basic Concepts, Applications, and Programming.

Falkowski, K. (2023). Sustainable competitiveness of the visegrad group countries. *Optimum. Economic Studies*, (1(111)), 3–19. Retrieved Jenuary 11, 2024, from https://doi.org/10.15290/oes.2023.01.111.01.

Gvelesiani, R., & Bedianashvili, G. (2022). The Problem of Assessing the Expected Consequences of Economic Policy. *Globalization and Business.* 13, 17-24. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2022.13.002

Gvelesiani, R., & Bedianashvili, G. (2023). Methods of Assessing Economic Situation and Development. *Innovative Economics and Management*. 10 (2), 6-17.

Hirst, P., & Thompson, G. (2019). The future of globalization. In J. Michie (Ed.), *The Handbook of Globalization* (3th ed., pp. 16-31). Cheltenham: Edward Elgar Publishing

Holt, G. B. (2016). Potential Simpson's paradox in multicenter study of intraperitoneal chemotherapy for ovarian cancer. *Journal of Clinical Oncology*, 34(9), 1016–1016.

Kipiani V. (2024). On some features of modern economic security (In Georgian). https://accentnews.ge/ka/article/111939-tanamedrove-ekonomikuriusaprtxoebis-zogiert-tavis

Kock, N., & Gaskins, L. (2016). Simpson's paradox, moderation and the emergence of quadratic relationships in path models: An information systems illustration. *International Journal of Applied Nonlinear Science*, 2(3), 200–234.

Koyama, Y., & Fujiwara, T. (2023). Competitiveness, country economic inequality and adolescent well-being: Analysis of 60 countries. *Social Science and Medicine, 325*. Retrieved January 14, 2024, from https://doi.org/ 10.1016/j.socscimed.2023.115892.

INED (2024). Life expectancy at birth. Retrieved January 6, 2024, from https://www.ined.fr/en/everything_about_population/data/europe-developed-countries/life-expectancy/

Marčeta, M., & Bojnec, Š. (2022). Analysis of the Economic Performance and Competitiveness of the European Union Countries. *Serbian Journal of Management*, *17*(1), 219–236. Retrieved December 21, 2023, from https://doi.org/ 10.5937/sjm17-31944.

Mikeladze N. (2023). The Necessity of Fiscal Consolidation and Current Challenges in Georgian Post Pandemic Period. Proceedings of the National Scientific Conference: *The world economy in the post-pandemic period: Implications and challenges.* Faculty of Economics and Business of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. 178-184.

Papava V., Maisaia V. (2023). On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences.* 17(3):116-120.

Papava V. (2022). Pandemic, War and Economic Sanctions: From Turbulent to Confrontational Globalization. *Eurasia Review*, May 23. Retrieved November 17, 2023, from https://www.eurasiareview.com/23052022-pandemic-war-and-economic-sanctions-from-turbulent-to-confrontational-globalization-oped/?fbclid=IwAR1zLFJs1kUFJWgp6qRXRWhLOy2OWnWjwIVUjMwjphnjqs0OKoUQSi12Z4I.

SolAbility (2024). *The GSCI: Global Sustainability Competitivenes Index*. Retrieved January 6, 2024, from https://solability.com/the-global-sustainable-competitiveness-index/the-index

SolAbility (2022). Global Sustainability Competitiveness Index. Retrieved May 15, 2023, from https://solability.com/the-global-sustainable-competitiveness-index/methodology

UNDP (2024). Human Development Index (HDI). Retrieved January 6, 2024, from https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI

Wah, N. K., Fitriana, M., & Arumugam, T. (2023). Assumptions for Structure Equation Modeling (SEM), Normality of Data Distribution Analysis & Model Fit Measures. *Journal of Clinical Epidemiology & Toxicology*, 1-5.

World Bank Open Data (2024). Free and open access to global development data. Retrieved January 6, 2024, from https://data.worldbank.org/

The World Bank (2024). Worldwide Governance Indicators. Retrieved January 12, 2024, from https://www.worldbank.org/en/publication/worldwide-governance-indicators.

Economic Policy for Global Sustainable Competitiveness and Economic Security: A Macro Aspect

Givi Bedianashvili
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
Professor
Grigol Robakidze University; Europe University
givi.bedianashvili@tsu.ge

Giorgi Kokhreidze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
giokokhreidze1@gmail.com

Nino Mikeladze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
N.Mikeladze2@mof.ge

Summary

In today's globalized world, amidst the transformation of the global order, maintaining global competitiveness and ensuring economic security has become a paramount objective for nations. It directly impacts the well-being of populations, a country's development, and its position within the global socioeconomic system. In this context, economic policies that foster global sustainable competitiveness and economic security are of utmost importance. Effective economic policies can enable countries to enhance welfare, reduce poverty, and become resilient to global challenges. The primary goal of the research presented in this article is to formulate macro-level conceptual approaches for developing economic policies that promote global sustainable competitiveness and economic security, as well as to provide recommendations for Georgia. The study employs systemic analysis and modeling methods. As a result of the research, specific requirements for such policies have been identified, including a long-term orientation, complexity, flexibility, and a high degree of adaptability. Structural equation modeling has been identified as an effective tool.

Keywords: Turbulent Globalization, Global Sustainable Competitiveness, Economic Security, Economic Policy

ეკონომიკის მდგრადი განვითარება და ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელები: თანამედროვე გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოში

ნაზირა კაკულია
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფსორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nazira.kakulia@tsu.ge

მანანა ლობჟანიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფსორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
manana.lobzhanidze@tsu.ge

ანოტაცია. *მოცემულ კვლევაში გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები, კვლევის მიხედვით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვან კავშირშია ცირკულარული ეკონომიკის პოლიტიკის არსებობასთან და ამავდროულად სახელმწიფოს ჩარევა აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვანად დადებითი ეფექტებით ხასიათდება საშუალოვადიან პერიოდში.*

საკვანძო სიტყვები: *ცირკულარული ეკონომიკა; მდგრადი განვითარება; GDP; ეკონომიკური განვითარება.*

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის გარემოსადმი მდგრადი განვითარების საკითხს. აღნიშნული მიდგომა ასახულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში, რომელიც წევრ ქვეყნებს შესაბამისი პოლიტიკის გატარების ვალდებულებას აკისრებს. 2011 წლის გაეროს მწვანე ეკონომიკის ანგარიშის მიხედვით მწვანე ეკონომიკა უნდა იყოს

რესურსების ეფექტიანი მომხმარებელი, გარემოში უშვებდეს მავნე ნივთიერებების მაქსიმალურად მცირე რაოდენობას.

1987 წელს გაერომ პირველად შეიმუშავა რეზოლუცია სახელწოდებით ჩვენი საერთო მომავალი (Our Common Future),რომელშიც ტერმინი "მდგრადი განვითარება" 172-ჯერ იქნა ნახსენები. ნიშანდობლივია, რომ იმ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ტერმინი - "ცირკულარული ეკონომიკა“ (https://sustainabledevelopment.un.org).

2012 წელს ელენ მაკარტურის ფონდმა წარადგინა პირველი ანგარიში,რომელშიც უკვე ნახსენებია ტერმინი "ცირკურალური ეკონომიკა"(https://www.circularity-gap.world).

ხაზოვანი ეკონომიკა საფრთხეს უქმნის გლობალურ კეთილდღეობას. რესურსების მოხმარების დონე არ არის მდგრადი და გამოიწვევს დეფიციტს და პოტენციურ კონფლიქტებს.

კაცობრიობას სამმაგი საფრთხე ემუქრება: მოსახლეობის ზრდა, რესურსების შემცირება და გარემოს ზიანი. დღეს ადამიანები მოიხმარენ 1,75-ჯერ მეტ ბუნებრივ რესურსებს, ვიდრე დედამიწას შეუძლია აღადგინოს.უფრო მეტიც, როგორც ხაზგასმულია Circularity Gap Report-ში, სათბურის გაზების (GHG) ემისიების უმეტესი ნაწილი (70%) მოდის მასალების დამუშავებასა და გამოყენებაზე (https://www.ellenmacarthurfoundation.org).

ცირკულარული ტრანსფორმაცია გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ნაწილია ის, თუ როგორ შეუძლია მსოფლიოს დააკმაყოფილოს საქონელზე მზარდი მოთხოვნები ნაკლები რესურსებითა და უფრო მდგრადი და ეფექტური გზით.

ცირკლულარული ოპერაციები და ბიზნეს მოდელები ეხება ამ სამმაგი საფრთხის თითოეულ ელემენტს და ასევე გვთავაზობს გზას უკეთესი მომავლისკენ. ცირკულარული პრაქტიკა, როგორიცაა რესურსების აღდგენა და მასალების რეგენერაცია, ქმნის უფრო პროდუქტიულ, ელასტიურ, რესურსდამზოგ მიწოდების ჯაჭვებს.

თანამედროვე კვლევები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ცირკულარული ეკონომიკის შესაძლებლობებს. აღსანიშნავია პიტერ ლეისი და იაკობ რუტკვისტი, რომლებმაც თავიანთ წიგნში Waste to Wealth (2015) ჩამოაყალიბეს „ხუთი ახალი ბიზნესმოდელი ცირკულარული ზრდისთვის“ (Lacy, P and Rutqvist J; 2015), სადაც ცირკულარული მიწოდების ჯაჭვი უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიისა და ბიო ან სრულად გადამუშავებადი მასალების კვლავ გამოყენებას:

- აღდგენა და გადამუშავება. აღადგინეთ სასარგებლო რესურსები ან ენერგია ვადაგასული პროდუქტებიდან ან წარმოების ნარჩენებიდან, რითაც ნარჩენების განადგურების ხარჯებს შემოსავლად გადააქცევთ;

● პროდუქტის სიცოცხლის გახანგრძლივება. გაახანგრძლივეთ პროდუქტებისა და კომპონენტების სასიცოცხლო ციკლი ხელახალი გაყიდვის, შეკეთების, გადაკეთების და განახლების გზით;

● გაზიარების პლატფორმა. გაზარდეთ პროდუქტის გამოყენების ინტენსივობა მომხმარებლებს შორის პროდუქციისა და სერვისების გამოყენების ან/და გაცვლა-გამოცვლის საშუალების მიცემით;

● პროდუქტი, როგორც სერვისი. უზრუნველყოს ხელმისაწვდომობა პროდუქტებსა და აღჭურვილობაზე, მათ შორის საგარანტიო მომსახურებაზე და მოიცავს წახალისებას, რათა პროდუქტების სასიცოცხლო ციკლი უფრო დიდხანს გაგრძელდეს და მათი შენარჩუნება, შეკეთება და განახლება მოხდეს.

Re-SOLVE ჩარჩო, JEREMY WILLIAMS – (J Williams; The ReSOLVE 2016). კონსულტანტების მიერ აღწერს ცირკულარული პრინციპების განხორციელების ექვს გზას: ხელახლა გენერირება, გაზიარება, ოპტიმიზაცია, ციკლი, ვირტუალიზაცია და გაცვლა. „McKinsey"-იმ შეიმუშავა ამ ჩარჩოზე დაფუძნებული ინსტრუმენტი, რათა დაეხმაროს ორგანიზაციებს სამოქმედო გეგმების შემუშავებაში და მათი სავარაუდო ხარჯებისა და სარგებლის გამოთვლაში. Re-SOLVE- ში შედის პოლიტიკის შემქმნელთა ინსტრუმენტები, რომელიც გამოქვეყნებულია ელენ მაკარტურის ფონდის მიერ და შესაძლოა, ინსტრუმენტების საუკეთესო ნაკრებია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ცდილობენ სწორად დაგეგმონ ცირკულარული ტრანსფორმაცია ამ პროცესში.

მარტინ ჩარტერი და სტიუარტ მაკლანაგანი - (Charter, M and McLanaghan, S 2019) ახალი სახელმძღვანელო სტანდარტის, კვლევისა და გაანალიზების საფუძველზე, ასკვნიან, რომ არ არსებობს „ერთიანი მიდგომა" ორგანიზაციებისთვის ცირკულარული ეკონომიკის მიზნების მისაღწევად. ისინი გვთავაზობენ ბიზნესმოდელის ექვს კატეგორიას, რომლებიც შეიძლება შეესაბამებოდეს ცირკულარულ ეკონომიკურ სისტემებს, მაგრამ ხაზს უსვამს, რომ ეს არ არის იდეალური და აბსოლუტურად სწორი. მათ მიერ შემოთავაზებული ექვსი კატეგორიაა:

● მოთხოვნაზე დაფუძნებული;

● დემატერიალიზაცია;

● პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გაფართოება/ხელახალი გამოყენება;

● მეორადი ნედლეულის/ქვეპროდუქტების აღდგენა;

● პროდუქტი, როგორც სერვისი/პროდუქტი-სერვისის სისტემა (PSS);

● გაზიარების ეკონომია და ერთობლივი მოხმარება.

უოლტერ სტეჰელის, ბილ მაკდონაუს და მაიკლ ბრაუნგარტის ნამუშევრებზე დაყრდნობით (ცირკულარული ეკონომიკის მკვლევარები)- - **ნენსი ბოკენი და მისი კოლეგები** (Bocken, NMP, de Pauw, I, Bakker, C and van der Grinten, B 2016) აღწერენ ორ ფუნდამენტურ სტრატეგიას რესურსების ციკლის მიმართ:

● ციკლის შენელება – გრძელვადიანი პროდუქტების დაპროექტება და მომსახურების გამოყენება, როგორიცაა შეკეთება და ხელახალი წარმოება, პროდუქტების გამოყენების გახანგრძლივების ან გაძლიერების მიზნით;

● ციკლის დახურვა – გადამუშავების მიდგომის გამოყენება პროდუქტის გამოყენების შემდგომ პერიოდსა და წარმოებას შორის კავშირის შესაქმნელად, რითაც რესურსების ცირკულაცია ხდება.

მარტინ ჯეისდორფერი (Geissdoerfer et al) (Geissdoerfer, M, Morioka, SN, de Carvalho, MM and Evans, S 2018) ხაზს უსვამს უფრო ინტენსიური მოხმარების მნიშვნელობას, როგორც შენელებული ციკლების კონცეფციის ნაწილს. ისინი ასევე, ამატებენ პროდუქტის გამოყენების ჩანაცვლებას, პროგრამული უზრუნველყოფისა და სერვისული გადაწყვეტილებების საშუალებით, რასაც ,,დემატერიალიზაცია" ეწოდება და რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს ციკლის შენელებას ან რესურსების ნაკადების შემცირებას.

მალროუ და სანტოსი (Mulrow, J and Santos, V (2017) ასევე აღნიშნავენ, რომ მრავალი ავტორი აყენებს გადამუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივების უკუეფექტებისა და წარუმატებლობის საკითხებს.

ამ პროცესში მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს გადამუშავებაზე, ხოლო პროდუქტის ღირებულების გაზრდა უნდა უზრუნველყოს ყიდვის შემდგომმა (მათ შორის, საგარანტიო) მომსახურებამ, რის შემდეგაც მოხდება პროდუქტის გადამუშავება. აქვე მნიშვნელოვანია ეფექტიანობის გაუმჯობესება, რათა პროცესი შეფერხებების გარეშე წარიმართოს.

შეგროვებული დაკვირვებების გაანალიზებით, მალროუ და სანტოსი გვთავაზობენ, რომ ცირკულარული ეკონომიკის საკითხებს უნდა დაემატოს სოციალური ასპექტების ისეთი გადაწყვეტილებები, როგორიცაა ხელახალი გამოყენება, განახლება და გამძლეობა. მათი აზრით, ინდუსტრიული ეკოლოგიის ექსპერტები აჩვენებენ, რომ „არსებობს ორი ძირითადი ხარვეზი ცირკულარული ეკონომიკის შესაბამისობაში გლობალური მდგრადობის მისაღწევად - მას არ აქვს შემუშავებული მეთოდები და აუცილებლობის დონეზე, არ აქვს გააზრებული რესურსების შემცირების საკითხი".

დონელა მედოუზი საყოველთაო თეზაზე დაყრდნობით ასაბუთებს, რომ ბიზნესი სისტემის ნაწილია - „სისტემის ყველაზე ნაკლებად შესამჩნევი ნაწილი, რომლის ფუნქცია ან დანიშნულება, ხშირად არის სისტემის ქცევის ყველაზე გადამწყვეტი განმსაზღვრელი".(Meadows, DH, 2008) მისი თქმით, „მიზნის ცვლილება

ძირეულად ცვლის სისტემას, მაშინაც კი, თუ ყველა ელემენტი და ურთიერთდაკავშირება იგივე რჩება“.

ბოკენის, გეისდოერფერის, მალროუს და სანტოსის კვლევები ხაზს უსვამს ცირკულარული ბიზნესმოდელების მკაფიო მიზნის არსებობის აუცილებლობას, რათა უზრუნველვყოთ რეალური ,,სისტემური ღირებულება” ყველა დაინტერესებული მხარისთვის: ბიზნესი, საზოგადოება და ცოცხალი სამყარო, რომელშიც ჩვენ ყველა ვართ ურთიერთდამოკიდებული“.

ისინი თავის კვლევებში აღნიშნავენ, რომ ცირკულარული ეკონომიკისთვის ბიზნესმოდელების შემუშავება მოითხოვს განსხვავებულ აზროვნებას და არატრადიციულ მიდგომებს. ეს ნიშნავს აღიარებული კომერციული მექანიზმების გამოწვევას და პროდუქტის მფლობელობის შენარჩუნებას მისი (ხანგრძლივი) სიცოცხლის ციკლის განმავლობაში, პასუხისმგებლობის აღებას შესრულებაზე, ახალი გზების პოვნას ღირებულების შესაქმნელად და კლიენტებთან ურთიერთობის გაღრმავებისთვის, მდგრადი მასალების კვლევასა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ბიზნესმოდელის დანიშნულება მათი აზრით, კრიტიკულია. ბიზნესმოდელი შეიძლება მიზნად ისახავდეს, რომ იყოს უფრო ცირკულარული და მაინც, ხელს უწყობდეს მოხმარების გაზრდას, ვიდრე შემცირებას. როგორც ვიცით, ბიზნესი არის სისტემა, რომელიც თავად არის უფრო დიდი და რთული სისტემის ნაწილი, რომელიც მოიცავს დაინტერესებულ მხარეთა ფართო სპექტრს. ეს დაინტერესებული მხარეები მოიცავს მომხმარებლებს, თანამშრომლებს, მომწოდებლებს, საზოგადოებებს, რომლებზეც გავლენას ახდენს მიწოდების ჯაჭვი, თუნდაც მთავრობები, უფრო ფართო საზოგადოება და კონკურენცია, ასევე ბიზნესის მფლობელები (ან აქციონერები).

კატერინ ვიტმენი (Caterine Weetman – A circular Economy Handbook, 2nd Edition, 2021.) თავის კვლევებში ყურადღებას ამახვილებს ცირკულარული ეკონომიკის იმ ბიზნესმოდელებზე, რომლებიც მიზნად ისახავს წაახალისოს პროდუქტის გამოყენება და არა მისი პასიური ფლობა, წაახალისოს ხალხი, გამოიყენონ პროდუქტები უფრო ხანგრძლივად, ან გამოიყენონ ისინი უფრო „ინტენსიურად“. „ინტენსიურად“ გამოყენება გულისხმობს (როგორც წესი, გამოყენება დღეში მხოლოდ ერთი საათის განმავლობაში, ეს არ არის ინტენსიური გამოყენება) საათობრივი გაქირავების სისტემას, რომელიც საშუალებას მისცემს ხალხს გამოიყენონ (თუნდაც მსუბუქი ავტომანქანა) მანქანა დღეში მნიშვნელოვნად მეტი საათის განმავლობაში. იმისათვის, რომ ეს ბიზნესმოდელი განხორციელდეს, მათ უნდა გამოიყენონ მანქანები, რომლებიც არის გამძლე და ადვილად სამართავი. კატერინ ვიტმენის აზრით, გამოყენების „ინტენსივობის“ გაუმჯობესებით საზოგადოება უფრო მეტ ღირებულებას იღებს ნაკლები ენერგიისა და რესურსებისგან. კომპანიებს შეუძლიათ წაახალისონ გამოყენებული პროდუქტის აღდგენა ფასდაკლების შეთავაზებით, ან

გარანტირებული გამოსყიდვის პირობით. პროდუქტზე საკუთრების უფლებას ხშირად ინარჩუნებს მიმწოდებელი და მომხმარებლები იხდიან მხოლოდ ქირაობის, წვდომის, ან გამოწერის თანხას. ეს ქმნის შემოსავლების ახალ ნაკადებს და საბაზრო შესაძლებლობებს ბიზნესისთვის. სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფას შეუძლია შეთავაზება უფრო ხელმისაწვდომი გახადოს, რითაც აფართოვებს მიზნობრივ სეგმენტს. თუ რა გავლენას მოახდენს ეს ფულადი სახსრების მოძრაობაზე და როგორ მოხდება მისი მართვა და დაფინანსება ეს შეიძლება იყოს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროდუქციის გაყიდვის მოდელიდან მხოლოდ პროდუქტზე წვდომის შეთავაზების მოდელზე გადასვლის პროცესში. მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნეს, თუ რა ვალდებულებები შეიძლება წარმოიშვას და როგორ შეიძლება მათი მართვა და რისკის შემცირება თუ პროვაიდერი აწარმოებს პროდუქტს.

ყველა ზემოჩამოთვლილი კვლევა ეხმიანება 2030 წლის მდგრადი განვითარების გეგმას, რომელიც მიღებული იყო გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოების მიერ 2015 წელს და წარმოადგენს საერთო სამოქმედო გეგმას ხალხისა და ზოგადად ეკოსისტემისთვის. როგორც ვიცით, ხსენებული გეგმა გულისხმობს 17 მდგრადი განვითარების მიზანს (SDGs), რომლებიც განასახიერებენ გადაუდებელ მოწოდებას მოქმედებისათვის ყველა ქვეყნისთვის გლობალური პარტნიორობის ფარგლებში. ისინი აღიარებენ, რომ სიღარიბისა და სხვა პრობლემატური საკითხების გადაჭრა თუ აღმოფხვრა უნდა წარიმართოს ჯანდაცვისა და განათლების გაუმჯობესების, უთანასწორობის შემცირების და ეკონომიკური ზრდის სტიმულირების სტრატეგიებთან ერთად - ამასთან, კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლით და ჩვენი ეკოსისტემის შენარჩუნებით.

საქართველო ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის საწყის ეტაპზეა. რესურსების მართვის წრიული მიდგომის სრულფასოვნად დანერგვისთვის საჭიროა:

• ნარჩენების მართვის გაუმჯობესება: უნდა გაუმჯობესდეს ნაგავსაყრელების მდგომარეობა და ნარჩენების გადამუშავების ინფრასტრუქტურა.

• განათლება და ცნობიერების ამაღლება: მოსახლეობას უნდა მიეცეს მეტი ინფორმაცია ცირკულარული ეკონომიკის სარგებელზე და ამ მიდგომის მნიშვნელობაზე.

• კანონმდებლობა და რეგულაციები: უნდა შეიქმნას შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც მხარს დაუჭერს ცირკულარული ეკონომიკის განვითარების პროცესს.

• ინოვაციები და ტექნოლოგიები: საჭიროა ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიანად გამოყენებას.

დღევანდელი მდგომარეობა რომ მიმოვიხილოთ საქართველო SDG-ის განხორციელების კუთხით ყველაზე კარგი შედეგები N3, N7 და N9 მიზნების მიღწევაში აქვს, რაც შესაბამისად ჯანმრთელ ცხოვრებას და კეთილდღეობას, მდგრად ენერგიასა და მდგრად მრეწველობას გულისხმობს, უნდა ითქვას, რომ მდგრადი და ხელმისაწვდომი ენერგიის კუთხით შესაბამისი მაჩვენებელი 100%-საც კი აღწევს.

ხოლო ყველაზე დაბალი შედეგი N13 კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებების კუთხით გაგვაჩნია, სადაც შესაბამისი მაჩვენებელი სულ რაღაც 32%-ს შეადგენს (Department of Economic and Social Affairs - Statistics Division, 2023).

არსებულ პერიოდში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ვიმყოფებით 2030 წლამდე შესასრულებელი გეგმისთვის განსაზღვრული პერიოდის მეორე ნახევარში, სამწუხაროდ არსებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ SDG-ების მიზნების მხოლოდ მცირედი ნაწილი სრულდება წარმატებით, თითქმის ნახევარი სრულდება მცირედი პროგრესით, ხოლო მესამედზე მეტი ერთ ეტაპზეა გაჩერებული და სტაგნაციას განიცდის. ამიტომ ვფიქტრობთ, რომ მიმდინარე ეტაპზე მნიშვნელოვანია რეკომენდაცის სახით ჩამოვაყალიბოთ ის საკითხები, რომელთა მეცნიერულ დონეზე შესწავლაც, ხელს შეუწყობს ცირკულარული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებასა და საბოლოო ჯამში ცხოვრების დონის ამაღლების შესაძლებლობას რეალურს გახდის. მათ შორის მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ცირკულარული ეკონომიკის ბიზნეს მოდელების ინოვაციური და მაკროეკონომიკური შინაარსის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლა;
- ცირკულარული ეკონომიკის შესაძლებლობების განსაზღვრა საქართველოს ეკონომიკის დარგების მიხედვით;
- ცირკულარული ეკონომიკის დარგობრივი შესაძლებლობების ანალიზი და შესაბამისად საქართველოს ეკონომიკაში ცირკულარობის შესაძლებლობების მქონე პრიორიტეტული დარგების განსაზღვრა;
- ეკონომიკური შედეგების (დარგობრივი, რეგიონული, მაკროეკონომიკური შედეგების) ანალიზი დარგების მიხედვით;
- ცირკულარული ეკონომიკის პოლიტიკის შემუშავება;
- ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევისა და სტრატეგიისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ადგილობრივი არატრადიციული ენერგიების პოტენციალის გაანალიზება;
- განახლებადი ენერგიის პერსპექტივების დასაბუთება საქართველოში;
- შესაბამისი ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებებლობების შესწავლა რეგიონებში;

ამგვარად, ცირკულარული ეკონომიკის მოდელის დანერგვა საქართველოში მოითხოვს როგორც საზოგადოების აქტიურ ჩართულობას, ისე სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ მხარდაჭერას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კაკულია, ნ. (2017). განახლებადი ენერგიის მოხმარებისა და მდგრადი განვითარების გამოწვევები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენციები. თბილისი.

2. კაკულია ნ.,. ცირკულარული ეკონომიკის მოდელები და მათი გამოყენების აუცილებლობა თანამედროვე ეტაპზე. V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“. თბილისი, 2023 (8 სექტემბერი). გვ.296-300, https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-296-300
3. კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ., (2022) გარემოსადმი მდგრადობის ცალკეული საკითხები და სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობა., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიეროპრაქტიკულ კონფერენცია. 10 თებერვალი. ქუთაისი.
4. ხადური ნ. 2012 . ქართული ეკონომიკური მოდელი და გლობალური ეკონომიკა. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „გლობალიზაცია და ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ კრებული. თბილისი.
5. Bedianashvili, G., Bichia, Q., & Natsvlishvili, E. (2021). Development of Entrepreneurial Activity, Labor Market and Modern Challenges of Higher Education. *Globalization and Business*. 12, 21-31. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.002
6. Chikobava M; Kakulia N;(2024) “Monetary policy challenges of the post-pandemic period”, Journal of Economics and Business Issues – *JEBI.*
7. Papava V. (2022). “On the Main Challenges of the Architecture Transformation of the World Economy.” Eurasia Review, March31.
8. Papava V., Maisaia V. (2023). “On Economic Security under Confrontational Globalization and the Main Concepts of Geo-Economic Warfare.” Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17(4), 116–120.
9. Papava V. (2024): Globalization with Economic Security and "Glocalization".
10. Silagadze, A. (2022)Contemporary Global Economic Trends: Transitional Economies during Covid-Depression. BULLETIN OF THE GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES, vol. 1 6, no. 3,
11. Eter Kharaishvili., et al. (2023): “Challenges and Opportunities for Promoting Sustainable Development in Small and Medium-Sized Enterprises(Case of Georgia)”. Medicon Agriculture & Environmental Sciences 4.5 05-15
12. Lobzhanidze M., (2022) COVID-19 pandemic impact on study migration and it’s socio-economic consequences. International Scientific Conference Dedicated to the Establishment of the University and the 100th Anniversary of the Faculty of Economics and Business “Covid 19 Pandemic and Economics”.
13. Tkemaladze, I. (2017) Effective Employment as an Important Factor for Increasing Inclusive Economic Growth and Living Standards. Journal of International Economic Research, ISSN 2500-965 Volume 3(1).
14. Kakulia N; Kelikhashvili L; Amashukeli D.;(2024) ”Opportunities for the Circular Economy to Achieve Economic Growth" – Istanbul Conference - EIRD.
15. Ellen MacArthur Foundation (2015) Delivering the circular economy: a toolkit for policymakers [Online] www.ellenmacarthurfoundation.org/publications/

16. Charter, M and McLanaghan, S (2019) Business Models for a Circular Economy, Designing for a Circular Economy, Routledge
17. Bocken, NMP, de Pauw, I, Bakker, C and van der Grinten, B (2016) Product design and business model strategies for a circular economy, Journal of Industrial and Production Engineering, 33 (5), pp 308–320, dx.doi.org/10.108 0/21681015.2016.1172124 (archived at https://perma.cc/J3VW-VBZP).
18. Moreno M, De los Rios C, Rowe Z and Charnley F (2016) A Conceptual Framework for Circular Design, Sustainability, 8 (9), p 937. https://doi.org/10.3390/su8090937
19. Geissdoerfer, M, Morioka, SN, de Carvalho, MM and Evans, S (2018) Business models and supply chains for the circular economy, Journal for Cleaner Production, 190, pp 712–721 www.researchgate.net/publication/324617908_Business_models_and_supply_chains_for_the_circular_economy (archived at https://perma.cc/5DVC-UUWM.
20. Mulrow, J and Santos, V (2017) Discard Studies [Online] discardstudies.com/2017/11/13/moving-the-circular-economy-beyond-alchemy/ (archived at https://perma.cc/K7M7-C36C).
21. Bocken NMP, Ritala, P and Huotari, P (2017) The circular economy: exploring the introduction of the concept among S&P 500 firms, Journal of Industrial Ecology, 21 (3) [Online] onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/jiec.12605 (archived at https://perma.cc/B786-JV2L) (archived at https://perma.cc/ B786-JV2L) .
22. Meadows, DH, edited by Wright, D (2008) Thinking in Systems: A Primer, Sustainability Institute, Chelsea Green Publishing 12 Benton, D and Coats, E (2016) Better products by design: ensuring high standards for UK consumers, Green Alliance.
23. The Heritage Foundation (www.heritage.org);
24. Dual Citizen (www.dualcitizeninc.com).

Sustainable development of the economy and business models of the circular economy: Modern challenges in the world and in Georgia

Nazira Kakulia
Doctor of Economic, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University;
nazira.kakulia@tsu.ge

Manana Lobzhanidze
Doctor of Economic, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
manana.lobzhanidze@tsu.ge

Summary

This study analyzes selected issues of environmental sustainability of the country's economic development. According to the study, the level of economic development of a country is largely related to the existence of a circular economy policy, and at the same time, on the part of the state. Intervention in this is characterized by significant positive effects in the medium term.

Keywords: circular economy; sustainable development; GDP; economic development

შრომის ბაზარი და სოციალურ-შრომითი ურთიერთობების განვითარების თავისებურებანი საქართველოში, ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში

მურმან ცარციძე
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
murman.tsartsidze@tsu.ge

იზოლდა გაბადაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
izolda.gabadadze@atsu.edu.ge

შოთა გაბადაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტი
shota.gabadadze@tsu.ge

ანოტაცია. *თანამედროვე გლობალიზაციისა და ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში პრინციპულად იცვლება სოციალურ-შრომითი ურთიერთობების, თვით შრომის ხასიათი და შინაარსი, ვითარდება დასაქმების ახალი არასტანდარტული ფორმები. ძლიერდება შრომის უნივერსალიზაციის, უნიკალიზაციისა და ინტელექტუალიზაციის პროცესები. შესაბამისად დღის წესრიგში დგება სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ადამიანისეული კაპიტალის შემდგომი განვითარების აუცილებლობა. ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა კი შეუძლებელი იქნება მოქნილი, თანამედროვე, ცივილიზებული შრომის ბაზრის ფორმირების გარეშე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ინტერესების ოპტიმალური რეალიზაცია და ქვეყნის მოსახლეობის ღირსეული, ეფექტიანი დასაქმება. ნაშრომის მიზანია-ეკონომიკის ციფრული ტრანსფორმაციის პირობებში შრომის ბაზრისა და საერთოდ სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროში მიმდინარე ცვლილებების, ტენდენციების გამოვლენა, ადამიანისეული კაპიტალის განვითარების თავისებურებების შესწავლა და ქვეყნის მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის ღონისძიებათა სისტემის შემუშავება. ნაშრომში გამოყენებულია*

რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები. განსაკუთრებით ეკონომიკური და მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზის მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: *ციფრული ტრანსფორმაცია, შრომის ბაზარი, სოციალურ-შრომითი ურთიერთობები, ეფექტიანი დასაქმება, გლობალიზაცია.*

მიმდინარე გლობალიზაციის ეპოქაში ციფრული ტრანსფორმაცია განიხილება როგორც ინოვაციისა და ეკონომიკური ზრდის უმთავრესი პოტენციური ძალა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდასა და ახალი პროდუქციის, სამუშაოს, მომსახურების შექმნას. „დღეს ციფრული ეკონომიკა არსებითად არის ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა, რომელიც ხდება ონლაინ რეჟიმში, ინტერნეტ რესურსების გამოყენებით. იგი საშუალებას აძლევს კომპანიებს შექმნან ახალი ბიზნეს მოდელები და ეკონომიკური ფასეულობები ისეთი მეთოდების გამოყენებით, რასაც ჩვენ ვერ წარმოვიდგენდით 30 წლის წინ“ [upenn.edu, 2023]. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ადექვატურ ასახვას პოულობს შრომის ბაზრის განვითარებაზე. კერძოდ, იგი პირდაპირ აისახება დასაქმების სტრუქტურაზე. გარკვეული პროფესიების დაძველებასთან ერთად ჩნდება ახალი, უფრო თანამედროვე პროგრესული პროფესიები. ანუ სულ უფრო მეტად ვითარდება შრომის ინტელექტუალიზაციის, უნიკალიზაციისა და უნივერსალიზაციის პროცესი, სადაც ბუნებრივია ჩნდება მზარდი მოთხოვნა ახალ უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებზე, რომელიც აუცილებელია ციფრული სამუშაო პლატფორმების გამოყენებით მუშაობის პროცესში. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი კვლევებია წარმოებული რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ[1]. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ კი სხვა საერთაშორისო ინსტიტუტებთან ერთად შეიმუშავა შრომის სფეროს განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები მიმდინარე და გრძელვადიან პერიოდში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ „უახლოეს პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციფრული ტექნოლოგიების, 3D (სამგანზომილებიანი) და რობოტტექნოლოგიების განვითარებას“ [Report, 2015:11]. 15 სვადასხვა ქვეყანაში (არგენტინა, ბრაზილია, ინდოეთი, იაპონია, აშშ, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი გერმანია, უნგრეთი, იტალია, ნიდერლანდები, ესპანეთი, შვედეთი, გაერთიანებული სამეფო) განხორციელებული კვლევების შედეგად დადგინდა რომ, მიმდინარე პერიოდში ძალზე მნიშვნელოვანია: თანამედროვე მომუშავეთა ტრანსფორმაციის ახალი ტიპის ფორმირება; დასაქმების შესაბამისი ფორმების, მომუშავეთა საჭირო უნარ-ჩვევების მოძიება და ფორმირება, რომელიც აუცილებელია

[1]შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO); ევროპის ტრენინგების ფონდი (European Training Foundation); მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (World Economic Forum); ევროფონდი (Eurofound); ევროკომისია (European Commission) და ა.შ.

ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მათი ეფექტიანი დასაქმებისათვის [D:/Downloads/ef1658en.pdf, 2017]. აღნიშნული დასტურია ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით. „2025 წელს ანალიტიკური აზროვნება, კრეატიულობა და მოქნილობა ყველაზე მოთხოვნადი და აუცილებელი უნარები იქნება“ [Russo A, 2020:15].

ციფრული ტრანსფორმაციის როლის მნიშვნელობისა და პერსპექტივების შესახებ ძალზე საყურადღებო დასკვნებია მოცემული ქართველი მეცნიერების შრომებშიც: „მსოფლიო ეკონომიკა სწრაფ ტრანსფორმაციას განიცდის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად, ბიზნესის ყველა სფეროში სწრაფი ტემპით ვითარდება ციფრული პლატფორმები და სერვისები. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება, თავის მხრივ, წარმოების განვითარებისა და გაფართოების შესაძლებლობას წარმოადგენს. ციფრულ ინფორმაციებზე წვდომა, მისი დამუშავება და ეფექტიანი გამოყენება ფირმის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება. ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი გარდუვალია ბიზნესის ნებისმიერი სახეობისათვის და მისი განხორციელება დღეს ფირმების საქმიანობის აუცილებელი ინსტრუმენტი იქნება“ [ხარაიშვილი, 2023:223]. როგორც ვხედავთ ციფრული ტექნოლოგიების განვითარება გარდუვალია და ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის მომენტი, რომ იგი უზრუნველყოფს დასაქმების ახალი ფორმების განვითარებას (მაგალითად, მოქნილი სამუშაო რეჟიმით დასაქმება, დისტანციურ დასაქმება, ტელეშრომა), რომელიც პრინციპულად ცვლის სამუშაოს ორგანიზების ფორმებსა და შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ურთიერთობათა სისტემას. ფაქტობრივად ინდუსტრიული ეკონომიკიდან ციფრულ ეკონომიკაზე გადასვლა საფუძვლიანად ცვლის შრომითი ურთიერთობების არა მარტო რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ მახასიათებლებს. „ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. ცვლილებებმა ასახვა ჰპოვა ეკონომიკის დარგებზე და შრომის ბაზრებზე, სადაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობს ტექნოლოგიური სიახლეების მიმართ ადაპტაცია. საერთაშორისო ორგანიზაციები, ცალკეული მკვლევარები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო დაწესებულებები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ ციფრულ სამუშაო პლატფორმებს“ [კვირკვაია...2023:80-81]. მაშასადამე, თანამედროვე ციფრული სამუშაო პლატფორმები განიხილება, როგორც დასაქმების ახალი ფორმებისა და ახალი შესაძლებლობების რეალიზაციის მექანიზმი, რომელიც ციფრული ტექნოლოგიებში მიღწეული პროგრესის შედეგად ხელს უწყობს გიგ-ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას. „გიგ-ეკონომიკა“, კი თავის მხრივ თავისუფალ საბაზრო სისტემასთან დაკავშირებული დროებითი, მოკლევადიანი კონტრაქტების ეკონომიკაა, რომელსაც

საფუძვლად უდევს დამოუკიდებელ (არასაშტატო) მომუშავეთა შრომა. იგი დაკავშირებულია მოქნილი, დროებითი, სწრაფი და თავისუფალი სამუშაო ადგილების გამოყენებასთან, სადაც ურთიერთობაში შედის სამი ძირითადი სუბიექტი: დამოუკიდებელი მომუშავეები; კონკრეტული სახეობის მომსახურების მომხმარებლები და საშუამავლო კომპანიები [ცარციძე...2023:215].

საქართველოში აღნიშნულ სფეროში არსებული ვითარების შესასწავლად ჩვენს მიერ ეტაპობრივად (2021-2024 წლები) ტარდება კვლევა: „ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა სოციალურ-შრომითი ურთიერთობების არასტანტულ ფორმებში მონაწილეობისა და მოტივაციის პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოსა და ქ. თბილისის რეგიონში“, რომლის მიზანია დასაქმების ახალი არასტანდარტული ფორმების გამოვლენა, მისი გამოყენების მასშტაბების შეფასება, მოქმედი ფაქტორების, სტრუქტურის განსაზღვრა, მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა ამ ტიპის დასაქმებასთან მიმართებაში. მიმდინარე ეტაპზე სულ გამოკითხულია 1268 რესპოდენტი, რომელთაგან 533, ანუ 42.0% მიუთითებს, რომ დასაქმებულია სტანდარტულად, ხოლო დანარჩენი იყენებს დასაქმების სხვადასხვა მოქნილ არასტანდარტულ ფორმებს[2]. მათ შორისაა დისტანციურ რეჟიმში მომუშავე პირები 145 კაცი, ანუ 11.4% (იხ. ცხრილი-1).

ცხრილი-1

გამოკითხული პერსონალის განაწილება დასაქმების ფორმის, ტიპის მიხედვით საქართველში 2021-2024 წლებში

დასაქმების ფორმა, ტიპი	**2021 წელი**	**სულ 2024**	
		1268	100%
7.1.სტანდარტული	48.6%	533	42.0%
7.2.თვითდასაქმებული	5.8%	100	7.9%
7.3.არასრული (შემოკლებული დღე ან კვირა)	4.1%	60	4.7%
7.4.ზეგანაკვეთური (დღეში 8 საათე მეტი მუშაობა)	5.2%	96	7.6%
7.5.დროებითი (განაზღვრული დროით)	6.7%	101	8.0%
7.6.კონკრეტული სამუშაო მის დასრულებამდე	3.5%	48	3.8%

[2]**არასტანდარტული დასაქმების** ქვეშ კი იგულისხმება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული დასაქმების სტანდარტული ფორმებისაგან განსხვავებული შრომითი საქმიანობის ნებისმიერი სახეობა, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებიდან თუნდაც ერთს მაინც. ეს კრიტერიუმებია: მუშაობა ერთ დამსაქმებელთან; სამუშაო ადგილი, აღჭურვილობა და მისი განთავსების ადგილი, შენობა დამსაქმებლის საკუთრებაშია; სტანდარტული დატვირთვა; განუსაზღვრელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების არსებობა; შრომის პირობების დაცვა, რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით.

7.7.მუდმივი და სეზონური	17.5%	170	19.4%
7.8.დისტანციური დასაქმება-ტელეშრომა	7.3%	145	11.4%
7.9.სხვა ფორმა	1.3%	15	1.2%

სქემა-1



წყარო: *ცხრილი და სქემა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული სპეციალური კვლევის შედეგების საფუძველზე. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა სოციალურ-შრომითი ურთიერთო-ბების არასტანდარტულ ფორმებში მონაწილეობისა და მოტივაციის პრობლემებთან დაკავშირებით ქ. თბილისის რეგიონში - Google Forms.*

როგორც ვხედავთ, ბოლო სამი წლის განმავლობაში დისტანციური დასაქმება (ტელეშრომა) 7.3%-დან 11.4%-მდე, ანუ 4.1%-ით გაიზარდა. ასევე ზრდის ტენდენ-ციით ხასიათდება თვითდასაქმებულები (2.1%) და განსაზღვრული დროით, მოკლე-ვადიანი კონტრაქტებით მომუშავე პირები (1.6%). აღნიშნული ფორმით დასაქმებულ პირთა უმრავლესობა თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს, აპლიკაციებს იყენებს და ეფექტიანად ახორციელებს შრომით საქმიანობას. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „ტექნოლოგიურ პროგრესთან და ინტერნეტის ფართო გავრცელებასთან ერთად იზრდება არაფორმალური ეკონომიკის დარგი-ციფრული პლატფორმების (აპლიკაციების) მეშვეობით განხორციელებული ბიზნესი, ე. წ. გიგ-ეკონომიკა“ [ბეგაძე

მ., 2021:1]. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ მხედველობაში მივიღებთ არაფორმალური სექტორის მასშტაბებს საქართველოში (იხ. ცხრილი-2, სქემა-2), ნათელია რომ კიდევ უფრო მეტი ადამიანი არის ადაპტირებული ცივილიზებულ ციფრულ სამყაროსთან და აქტიურად იყენებს თავის საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

ცხრილი-2

არაფორმალურად დასაქმებულთა წილი არასასოფლო-სამეურნეო სფეროს დასაქმებულებში საქართველოში 2017-2023 წლებში

დასახელება	**არაფორმალური დასაქმება (პროცენტებში)**						
	2017	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
ქალი	29.2%	29.8%	29.2%	26.2%	22.5%	22.5%	21.7%
მამაკაცი	37.9%	41.5%	39.3%	36.4%	34.2%	33.4%	32.6%
ქალაქი	33.2%	34.6%	33.8%	30.2%	26.8%	27.0%	25.4%
სოფელი	35.8%	40.0%	36.8%	35.6%	33.7%	31.6%	32.7%
სულ	**33.9%**	**36.2%**	**34.7%**	**31.7%**	**28.8%**	**28.4%**	**27.6%**

წყარო: *ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. www.geostat.ge.*

ანუ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში მასიური გლობალური მასშტაბის ინოვაციების გავრცელებამ, კერძოდ კი ციფრული შრომის პლატფორმების განვითარებამ შექმნა უპრეცედენტო შესაძლებლობები მუშაკებისთვის, ბიზნესისთვის და საზოგადოებისთვის მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით. საქართველოში აღნიშნული ბიზნესის სფეროს შეიძლება მივაკუთნოთ მრავალი სხვადასხვა მომსახურების სფეროს სახეობები: „გლოვო“, „უბერი“, „ვოლტი“, დალაგების ან/და ზრუნვის სერვისების მწარმოებელი აპლიკაციები, მძღოლები, ტაქსისტები, კურიერები და სხვა“.

ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი პირველ რიგში მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ადამიანისეულ კაპიტალზე. კერძოდ ხდება მისი განვითარების შესაძლებლობების გაფართოება, მაგრამ ამავე დროს ჩნდება ახალი პრობლემები, რაც ზრდის ამ ფენომენის სირთულეს და დინამიზმს. კვლევის შედეგების ანალიზი საშუალებას გაძლევთ გამოვყოთ აღნიშნული პრობლემები. პირველ რიგში, ეს არის თვით ადამიანისეული კაპიტალის ცვლილებები, რომლებიც ხდება დროის მოთხოვნის, მათ შორის ციფრული ტრანსფორმაციის შედეგად. ამ კუთხით ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვანი კომპონენტია ციფრული ტექნოლოგიების ცოდნა. არანაკლებ

მნიშვნელოვანი ასპექტია ცვლილება თვით შრომის ხასიათში, შინაარსში, რაც უკავ-შირდება როგორც დაგროვილი პოტენციალის რეალიზაციის ახალ შესაძლებლობებს, ასევე მოსალოდნელ რისკებს. 2010 წლიდან საქართველო ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპგი HDI) დონის მიხედვით (0.759) განვითარების მაღალი დონის ქვეყნებს მიეკუთვნებოდა და მსოფლიოს გაეროს წევრი 187 ქვეყნიდან 75-ე ადგილზე იმყოფებოდა. რაც შეეხება ბოლო პერიოდს, აპგი-ის მნიშვნელობა საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2021 და 2022 წელს უკვე საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწია (შესაბამისად 0.802 და 0.812). შედეგად 191 ქვეყანას შორის საქართველო ჯერ 63-ე ადგილს (2021 წელი) ხოლო შემდეგ კი 61-ე ადგოლს (2022 წელი) იკავებს (იხ. სქემა-2). აღნიშნულის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის (HDI) მნიშვნელობა საქართველოში ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით და იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაჩვენებლებსაც კი. მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში HDI–0.82-ს მნიშვნელობით, 49-ე ადგილს იკა-ვებს; ყაზახეთი HDI–0.811, 59-ე ადგილზეა. ბალტიისპირეთის ქვეყნებში აპგი-ის დონე კიდევ უფრო მაღალია და იგი რეიტინგის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ესტონეთი 0.890 (30-ე ადგილი); ლიტუენია 0.875 (34 ადგილი) და ლატვია 0.863 (37 ადგილი) [https://hdr.undp.org/]. როგორც ვხედავთ 2018-2022 წლებში წინა წლებთან შედარებით აპგი-ის მნიშვნელობა საქართველოში გაიზარდა და 0.812-ს მაღალ დონეს მიაღწია, რაც ადეკვატურად აისახა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის ტემპებზე. ჩვენი წინასწარი გაანგარიშებით კი აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა 0.814-ს შეადგენდა [Givi Bedianashvili...2023].

სქემა-2

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (HDI-აპგი) საქართველოში 2000–2023 წლებში და მისი რეიტინგი



წყარო: *ცხრილი და სქემა შედგენილია ავტორების მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების გამოყენებით. Human Development Index (HDI) by Country 2023 (worldpopulationreview.com). United Nations Development Programme. Human Development Report 2020. Georgia. GEO.pdf (undp.org) HDR21-22_Statistical_Annex_HDI_Table.xlsx (live.com). HDI World Ranking 2022 - Eamond.*

რაც შეეხება 2023 წელს, მისი დაზუსტებული სიდიდე ჩვენს მიერ გაანგარიშებული იქნა შემადგენელი კომპონენტების ცვლილების გათვალისწინებით. ასე მაგალითად, თუ გავითვალისწინებთ ბოლო სამი წლის განმავლობაში მთლიანი სამამული პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის საშუალო კვარტალური და წლიური ზრდის ტემპებს (მინიმუმ 4.0%), შემოსავალი მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით (PPP აშშ დოლარი) მოსახლეობის ერთ სულზე საშუალოდ 15870 აშშ დოლარი იქნება და შესაბამისად აღნიშნული კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.765-ი გახდება. მაშინ ადამიანისეული პოტენციალის განვითარების ინდექსი სამივე ძირითადი შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით 0.816-ს შეადგენს ($HDI=\sqrt[3]{LEI * EI * II}$)=0.816. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს შესაძლო რეიტინგი მსოფლიოს 191 ქვეყანას შორის 54-55 ადგილი იქნება, რაც მნიშვნელოვან პროგრესად უნდა ჩაითვალოს.

დასკვნები და ძირითადი დებულებები

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ციფრული ეკონომიკის პირობებში შრომის ბაზრის, სოციალურ-შრომითი ურთიერთობების სფეროს განვითარების მიზნით აუცილებელია დამუშავდეს ახალი კონცეპტუალური მიდგომები ადამიანისეული კაპიტალის, შრომითი პოტენციალის ხარისხობრივი სრულყოფისა და განვითარების მიმართულებით მისი კვლავწარმოების ყველა სტადიის (ფორმირება, განაწილება, გაცვლა, გამოყენება) შესაბამისად.

საქართველოშ შრომის ბაზარზე ადამიანური კაპიტალის განვითარების დონე და ხარისხი პირდაპირ აისახება სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დონესა და მასშტაბებზე. სხვადასხვა ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურებისა და ცალკეული ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოში საკმაოდ მაღალია მოთხოვნა ცალკეული პროფესიების მიხედვით მაღალკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე. მართლაც აშკარაა, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე რეალურად არსებობს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის დეფიციტი. „შრომის ბაზარზე კვალიფიციური კადრების მოძიება რთულია, რადგან შრომის ბაზარზე კომპეტენტური კადრების დეფიციტია“ [ნარმანია...2023].

პანდემიის პერიოდიდან დაწყებული დისტანციური დასაქმების (ტელეშრომა) განვითარებასთან ერთად გაჩნდა მოთხოვნა ისეთ პროფესიებზე, როგორიცაა: პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალისტი, მონაცემთა ადმინისტრატორი, ციფრული პროდუქტების მენეჯერი, ვებ-დიზაინერი, ხელოვნური ინტელექტის ინჟინერი,

ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ინჟინერი, მიტანის მომსახურების მძღოლები, გაყიდვების მენეჯერი და ჯანდაცვის სპეციალისტები. რაც შეეხება 2021-2023 წლებში პანდემიის შემდეგ პერიოდს, ვაკანსიების ზრდა დაეტყო ყველა ეკონომიკურ სექტორს. ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პირობებში დასაქმების მაღალ პერსპექტივების შესაძლებლობას იძლევა ისეთი სპეციალობები როგორებიცაა Front-end და Back-end პროგრამირება, UX/UI დიზაინი, ხელოვნური ინტელექტი, ბლოკჩეინი, კიბერ უსაფრთხოება, შრომის უსაფრთხოება და სხვა. მიმდინარე პერიოდში, დასაქმების სააგენტოების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, განსაკუთრებით მოთხოვნადია IT სპეციალისტები, ინჟინრები, ტექნოლოგები და ფინანსისტები. ზემოაღნიშნული ტენდენციების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ შედგენილი ათწლიანი პროგნოზების მიხედვით ყველაზე მოთხოვნადი პროფესიების მიხედვით შედარებით მაღალი რეიტინგით გამოირჩევა შემდეგი პროფესიები: ინჟინრები, IT სპეციალისტები და კომპიუტერული ტექნიკის დეველოპერები, ნანოტექნოლოგიის, ელექტრონიკისა და ბიოტექნოლოგიის დარგის სპეციალისტები, მარკეტინგის, მომსახურების სპეციალისტები, ლოგისტიკის, ეკოლოგების პროფესიები. შემდეგ კი ექიმები და ქიმიკოსები.

შრომის ბაზრის დაბალანსების მიზნით მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, სადაც განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს პრაქტიკაზე ორიენტირებულმა სწავლებამ და ამ მიმართულებით სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებამ, საწარმოებთან უფრო აქტიური თანამშრომლობის გზით. ამ მიმართულებით ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს შრომითი და საგანმანათლებლო მიგრაციიდან დაბრუნებულ პირთა კვალიფიციური და საგანმანათლებლო პოტენციალის გამოყენებას, რაც პირველ რიგში გულიდხმობს აღნიშნული პირების მიერ საღვარგარეთ მიღებული ცოდნის, უნარების, პრაქტიკული ჩვევების, პროფესიული და კვალიფიციური მახასიათებლების მორგებას საქართველოს შრომის ბაზრის მიმდინარე, რეალურ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით კი ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულ იშვიათ, დეფიციტურ ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების მიხედვით განსაზღვრულ ფუნქციებსა და საჭირო კვალიფიკაციასთან [დადგენილება N68, 2018]. აღნიშნული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი საჭიროებს სპეციალისტთა აღნიშნული ჯგუფისათვის სპეციალური გადამზადების პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციას. ასეთი პროგრამების ორგანიზება საჭიროა ადგილობრივი სპეციალისტებისთვისაც.

ონლაინ-პლატფორმებზე გადასვლის შედეგად იზრდება ორგანიზაციის მოქნილობა და ადაპტირება სწრაფ ცვალებად ეკონომიკურ კონიუნტურასთან მიმართებაში. ციფრული ტექნოლოგიები, სამუშაო პლატფორმები მნიშვნელოვნად აფართოებენ თვითდასაქმების შესაძლებლობებს, მოქნილი სამუშაო გრაფიკით, მუდმივი სამუშაო ადგილის გარეშე, ნებისმიერი ონლაინ-პლათფორმის გამოყენებით. იგი ასევე

აფართოებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (ახალგაზრდები, ქალები, პენსიონერები, ინვალიდები) ასევე რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დასაქმების პერსპექტივებს. ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისას, დროითი და ტერიტორიული საზღვრების არარსებობის შედეგად ყალიბდება სამუშაო ძალის ფასის ფორმირების ახალი გლობალური, ჯაჭვი, სქემა.

ციფრული ტრანსფორმაციის გავლენით ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მთავარი თავისებურებაა ციფრული უნარებისა და შესაძლებლობების მზარდი მნიშვნელობა, ციფრული ტექნოლოგიების სიღრმისეულად ცოდნის აუცილებლობა, რაც ინდივიდს აძლევს ციფრულ გარემოსთან ინტერაქციის საშუალებას. ანუ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებით იქმნება ადამიანისეული კაპიტალის განვითარების პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, რასაც თან სდევს შესაბამისი რისკების გაჩენა, რომელთაგან უნდა გამოიყოს-მოსახლეობის დიფერენცირება ციფრული ტექნოლოგიების ცოდნის დონის მიხედვით, რაც უკავშირდება ციფრული უთანასწორობის ფენომენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ბედიანაშვილი გ. ცარციძე მ. მიქელაძე ნ. გაბროშვილი ზ.** თანამედროვე გლობალიზაცია, ადამიანისეული კაპიტალი და ეკონომიკური ზრდა საქართველოში: მაკროასპექტი. თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N3, ტომი XIX 2023 წელი. გვ. 60-84. ekon3-20023.pdf (tsu.ge);
2. **ბეგაძე მ.** პლატფორმის (გიგ) ეკონომიკის რეგულირება საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა.https://osgf.ge/publication/platformis-gig-ekonomikis-regulireba-saertashoriso-gamocdilebis-mimokhilva/;
3. **კაკულია ნ., ლაზარაშვილი თ.** ინსტიტუციური ტრანსფორმაცია და მისი გამოწვევები საქართველოში. Institutional transformation and its challenges in Georgia.pdf (tsu.ge);
4. **კვირკვაია მ. შენგელია მ.** დასაქმების ახალი ფორმები შრომის ბაზარზე. ჟურნალი „ეკონომისტი“, N2, 2023 წელი. გვ. 80-81. https://ekonomisti.tsu.ge/uploads/images/ekon2-2023.pdf;
5. **ლობჟანიძე მ.** უმუშევრობა ახალგაზრდებში და პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“. თბილისი 2022;
6. **ნარმანია დ. ჩოხელი ე. ხარხელი მ. ქეშელაშვული გ.** საქართველოს შრომის ბაზრის მოთხოვნებთან კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის შესაბამისობის

ანალიზი (თსუ ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი). https://www.research-gate.net/publication/ 357420479.

7. **პაპავა ვ.** საქართველოს ეკონომიკის ძირითადი გამოწვევები კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომისტთა მე-5 ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული "საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში;
8. **პაპავა ვ.** ინოვაციურ საქმიანობაში ადამიანისეული ფაქტორის გააქტიურების ძირითადი მიმართულებები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, XII. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2019.
9. **ტუხაშვილი მ.** მიგრაციული პროცესები საქართველოში მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში", თსუ, თბილისი, 2022 წელი;
10. **ტყემალაძე ი. „დისტანციური დასაქმების თავისებურებები საქართველოში“,** ჟურნალი „ეკონომიკა, ბიზნესი და ადმინისტრირება“, გორი, 2022. http://sciencejo-urnals.ge/index.php/bu/article/view/306;
11. **ცარციძე მ.** დისტანციური დასაქმების განვითარების პერსპექტივები საქართვე-ლოში კორონომიკის პირობებში. გლობალიზაცია და ბიზნესი, N10, გვ. 138-149. 2020 წელი. https://doi.org/10.35945/gb.2020.10.017;
12. **ცარციძე მ. გაბადაძე შ.** გიგ-ეკონომიკა (Gig Economy) და მისი განვითარების ტენდენციები საქართველოში თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. საქართველოს ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილი V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია "საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში". თბილისი 08 სექტემბერი, 2023 წელი. გვ. 213-224;
13. **ცარციძე მ. ლაცაბიძე ნ.** შრომის ბაზარი და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილების ტენდეციები საქართველოში თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში. თსუ-ის სამეცნიერო კონფერენცია: ,,მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდე-მიურ პერიოდში: შედეგები და გამოწვევები“. თბილისი, 02.02.2023წელი. https://tsu.ge/assets/media/files/7/ekon.%20konf.%20kreb..pdf;
14. **შელია მ.** საქართველოს სტუდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის კვლევის სათავეებთან. მსოფლიო ეკონომიკა პოსტპანდემიურ პერიოდში: შედე-გები და გამოწვევები. თსუ-ის ეროვნული სამეცნიერო კონფერენციიის შრომების კრებული. თსუ-ის გამომცემლობა, 2023 წელი.
15. **ხარაიშვილი ე.** ციფრული ტრანსფორმაციის ტენდენციები და პერსპექტივები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ N3, 2023 წელი. გვ. 223. http://eb.tsu.ge/doc/econ_biz_3_2023.pdf;

16. **Amanda Russo**. World Economic Forum. The Future of Jobs Report 2020 October 2020. WEF_Future_of_Jobs_ 2020.pdf (weforum.org);
17. **Bedianashvili G. (2023).** Macrosystemic Challenges of Uncertainty under the Conditions of Confrontational Globalization. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 17(2), 174-179.
18. Givi Bedianashvili**.** Murman Tsartsidze**,** Nino Mikeladze**,** Zviad Gabroshvili. Modern globalization, human capital and economic growth in Georgia:macro aspect.10.36172/EKONOMISTI.2023.XIX.03**.** ჟურნალი ეკონომისტი (tsu.ge);
19. Eurofound and the International Labour Office (2017), Working anytime, anywhere: The effects on the world of work, Publications Office of the European Union, Luxembourg, and the International Labour Office, Geneva. file:///D:/Downloads/ef1658en.pdf;
20. How Will Artificial Intelligence Affect Jobs 2024-2030. Nexford University 2024. All Rights Reserved. How Will Artificial Intelligence Affect Jobs 2024-2030 | Nexford University;
21. Human Development Index (HDI) by Country 2023 (worldpopulationreview.com). United Nations Development Programme. Human Development Report 2020. Georgia. GEO.pdf (undp.org) HDR21-22_Statistical_Annex_HDI_Table.xlsx (live.com). HDI World Ranking 2022 - Eamond.
22. International Labour Office, Geneva. First edition 2015. https://www.ilo.org/wcmsp5 /groups/public/---ed_norm/-elconf/documents/meetingdocument/wcms_369026.pdf;
23. Report of the Director-General Report I The future of work centenary initiative. International Labour Conference, 104th Session, 2015.
24. **Shelia Mzia & Tukhashvili Mirian.** Formation and Employment of the Retirement Age Workforce in Post-Soviet Georgia. Complex Social Systems in Dynamic Environments pp 333–345. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-3-031-23856-7_31.
25. United Nations Development Programme. Human Development Index (HDI). https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI;
26. United Nations Development Programme 2023. Human Development Report 2020-2021. https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI. HDI World Ranking 2022 - Eamond.
27. World Economic Forum. The Future of Jobs Report 2020 October 2020. WEF_Future_of_Jobs_ 2020.pdf (weforum.org);
28. What is the digital economy? Definition, importance, and examples. What is the digital economy? Definition, importance, and examples (adobe.com);
29. What Is the Digital Economy? What Is the Digital Economy? - Wharton Online (upenn.edu) 2023;

საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

1. საქართველოს შრომის კოდექსი. კანონი N4113. 17 დეკემბერი 2010 წელი. (matsne.gov.ge);
2. საქართველოს კანონი N6819-სრ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, ქ. თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი (matsne.gov.ge);
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება N27, „დასაქმების ხელშეწყობის 2024 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2024 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი. დასაქმების პროგრამა-2024.pdf.
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება N68 „შრომის ბაზარზე იშვიათი, დეფიციტური ან/და მაღალანაზღაურებადი პროფესიების/ფუნქციათა ერთობლიობის ნუსხის განსაზღვრისა და საჯარო დაწესებულებაში ამ ფუნქციების შემსრულებელთა შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“, 2018 წლის 7 თებერვალი.

Labor market and peculiarities of the development of social-labor relations in georgia under the conditions of digital transformations

Murman Tsartsidze
Doctor of Economic Sciences, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
murman.tsartsidze@tsu.ge

Izolda Gabadadze
Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
izolda.gabadadze@atsu.edu.ge

Shota Gabadadze
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
shota.gabadadze@tsu.ge

Summary

In the conditions of modern globalization and digital transformation of the economy, nature and content is changing principal for social-labor relations, new non-standard forms of employment are developing. The processes of universalization, singularization and intellectualization of labor are getting stronger. Accordingly, the need to raise the competitiveness of the workforce and further develop human capital is on the agenda. The successful solution of these tasks will be impossible without the formation of a flexible, modern, civilized labor market, which should ensure optimal realization of interests among labor market subjects and decent, effective employment of the country's population. The aim of the paper is - Detecting trends the current changes in the field of labor market and social-labor relations in general according to in the conditions of digital transformation of the economy, studying the features of human capital development and developing a system to promote effective employment of the country's population. In the work are used quantitative and qualitative analysis methods. Especially economic and mathematical-statistical analysis methods.

Keywords: Digital transformation, labor market, social-labor relations, effective employment, globalization.

ინვესტიციებისა და მათი განთავსების პერიოდების ოპტიმალური განაწილების ამოცანა

აკაკი არსენაშვილი
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
akaki.arsenashvili@tsu.ge

ანოტაცია. *ცვლადი სტრუქტურის მქონე ოპტიმალური მართვის ამოცანების შეწავლას და გამოკვლევას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა 1975-1985 წლებში. აღნიშნული მიმართულებით კვლევები მიმდინარეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში აკადემიკოს გურამ ხარატიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულ სემინარებზე. გ.ხარატიშვილი იყო აკადემიკოს პონტრიაგინის მოწაფე, მისი ადრეული შრომები ეხება ოპტიმალური მართვის მათემატიკურ ამოცანებს დაგვიანებებით. ცვლად სტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანები ოპტიმალური მართვის თეორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სისტემის სტრუქტურის ცვლილება ნიშნავს იმას, რომ სისტემა წინასწარ უცნობ მომენტში შეიძლება გადავიდეს მოძრაობის ერთი კანონიდან მეორეზე. უფრო მეტიც, სტრუქტურის შეცვლის შემდეგ სისტემის საწყისი მდგომარეობა დამოკიდებულია მის წინა მდგომარეობაზე. ეს აერთიანებს მათ ერთ სისტემაში ცვლადი სტრუქტურით. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სისტემის სტრუქტურის ცვლილების მომენტი წინასწარ უცნობია. ასეთი ამოცანებისადმი ინტერესი გაჩნდა იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობდა ინტენსიური კვლევა კოსმოსის ათვისების საკითხებში. შემდგომში, მიღებული თეორიული და პრაქტიკული შედეგების გამოყენება მოხდა მეცნიერების ისეთ დარგებშიც, რომლებიც არ იყო დაკავშირებული კოსმოსურ კვლევებთან. ერთ-ერთი ასეთი დარგი ეკონომიკა. ამ სტატიაში განვიხილავთ ზოგად ეკონომიკურ პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციების ოპტიმალურ განაწილებასთან. ვფიქრობთ, რომ ეკონომიკის ჰარმონიული განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს როგორც ინვესტიციების ოპტიმალური განაწილება, ასევე ინვესტირების პერიოდების ოპტიმალური განსაზღვრა. რადგან ინვესტირების ზემოქმედების შედეგი გარკვეული დროის (დაგვიანების) შემდეგ ხდება რეალურად შესამჩნევი, ამიტომ სტატიაში გავითვალისწინეთ დაგვიანების ფაქტორიც. ამრიგად, სტატიაში განხილული გვაქვს ინვესტიციების ოპტიმალური განაწილების პრობლემა, როგორც ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა, აგებულია შესაბამისი*

მათემატიკური მოდელი და მიღებულია ოპტიმალობის აუცილებელი პირობები როგორც ინვესტიციების განაწილების კოეფიციენტების-თვის, ასევე ინვესტირების სტრუქტურის ცვლილების მომენტისთვის. სიმარტივისათვის განხილულია ორპერიოდიანი ინვესტიციების განაწილების ამოცანა, მრავალპერიოდიანი ამოცანებისთვის მიღებული შედეგების განზოგადება სირთულეს არ წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *ინვესტიციების ოპტიმალური განაწილება, ინვესტირების პერიოდი, კაპიტალის განაწილების კოეფიციენტები, ცვლადი სტრუქტურა, ოპტიმალობის აუცილებელი პირობები.*

შესავალი.

ეკონომიკის ყველა დარგის ჰარმონიული და წარმატებული განვითარებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციების ოპტიმალური განაწილება და ასევე ინვესტირების პერიოდების ოპტიმალური განსაზღვრა[1-5]. ეკონომიკის განვითარება ყველა დარგების ურთიერთშეთანხმებული განვითარების ფონზე უნდა მიმდინარეობდეს. ამასთან ერთად განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჩადებული ინვესტიციების როგორც სიმცირე , ასევე სიჭარბეც. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ინვესტირების პერიოდების მიხედვით, დარგების რაოდენობა სადაც ხდება ინვესტირება, შეიძლება იცვლებოდეს.

რომ სხვადასხვა დარგებს განვითარებისთვის ინვესტირების განსხვავებული პერიოდები სჭირდებათ და ინვესტირების ზემოქმედების შედეგიც გარკვეული დროის (დაგვიანების) შემდეგ ხდება რეალურად შესამჩნევი. ეკონომიკური განვითარების ასეთი პროცესი აღწერილია, როგორც ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის მათემატიკური ამოცანა, რომლის მიზანია ისე შეირჩეს დარგებს შორის საერთო საინვესტიციო კაპიტალის წილობრივი განაწილების კოეფიციენტები და დროის ის მომენტი, როდესაც უნდა მოხდეს ინვესტირების სტრუქტურის შეცვლა, რომ ეკონომიკის განსახილველი დარგებისთვის წინასწარ დასახულ მდგომარეობას მივაღწიოთ მინიმალურ დროში.

ჩამოყალიბებული ამოცანისთვის მიღებულია ოპტიმალობის აუცილებელი პირობები, როგორც ინვესტიციების განაწილების კოეფიციენტებისთვის, ასევე ინვესტირების სტრუქტურის ცვლილების მომენტისთვის [5-11].

ამოცანის დასმა

ვთქვათ ეკონომიკა დაყოფილია n რაოდენობის სხვადასხვა დარგად. $X_i(t), i = 1,2,\cdots,n$; წარმოადგენს i-ური დარგის მიერ გამოშვებული საერთო პროდუქციის მოცულობას, $x_{ij}(t), i,j = 1,2,\cdots,n$ წარმოადგენს i -ური დარგის მიერ გამოშვებული პროდუქციის იმ ნაწილს, რომლის გამოყენება ხდება j -ურ დარგში, $x_i(t), i = 1,2,\cdots,n$ სიდიდეები კი შესაბამისი დარგების მიერ გამოშვებული სუფთა ანუ საბოლოო პროდუქციის მოცულობებია. სამართლიანია შემდეგი ბალანსის განტოლება:

$$X_i(t) - \sum_{j=1}^{n} x_{ij}(t) = x_i(t), \qquad i = 1,2,\cdots,n;\ t_0 \le t \le t_1$$

.

საბოლოო პროდუქციი ს ნაწილი მიდის მოხმარებაზე, ხოლო ნაწილი დაგროვებაზე. $x_i^{(1)}(t)$ და $x_i^{(2)}(t)$ არის მოხმარებისთვის და დაგროვებისთვის განკუთვნილი საბოლოო პროდუქციის მოცულობები, ხოლო $k_i^{(1)}$ და $k_i^{(2)}$ მოხმარებისა და დაგროვების დარგობრივი კოეფიციენტებია შესაბამისად, მაშინ გვექნება:

$$x_i(t) = x_i^{(1)}(t) + x_i^{(2)}(t) = k_i^{(1)} X_i(t) + k_i^{(2)} X_i(t),\ i = 1,2,\cdots,n.$$

თუ $x_{ij}^{(2)}(t)$ -ით აღვნიშნავთ i-ური დარგის საბოლოო პროდუქციის იმ ნაწილს, რომლის ინვესტირება ხდება j-ურ

$$x_i^{(2)}(t) = \sum_{j=1}^{n} x_{ij}^{(2)}(t)\,, i = 1,2,\cdots,n;\ \ t_0 \le t \le t_1.$$

დავუშვათ, რომ საინვესტიციო კაპიტალის გაზრდა შეგვიძლია აგრეთვე უცხო ქვეყნიდან შემოსული ან კრედიტით აღებული $K_1 = const \ge 0$ მოცულობის კაპიტალით, მაშინ საინვესტიციო კაპიტალი მთლიანად იქნება

$$K_1 + \sum_{i=1}^{n} x_i^{(2)}(t) = K_1 + \sum_{i=1}^{n} k_i^{(2)} X_i(t)\,,\ t_0 \le t \le t_1.$$

თუ გავითვალისწინებთ $c_{ij}, i, j = 1,2, \cdots, n$ მატერიალური დანახარჯების კოეფიციენტებს, რომლებიც გვიჩვენებენ i-ური დარგის პროდუქციის იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა j-ური დარგის ერთი ერთეული პროდუქციის საწარმოებლად, მაშინ j-ური დარგის პროდუქციის $X_j(t + \Delta t) - X_j(t), j = 1,2, \cdots, n$ მოცულობით გაზრდა (Δt ინვესტირების პერიოდია) მოხდება შემდეგი მოცულობის $[x_i^{(2)}(t) + K_1 u_i(t)]$ ინვესტიციით. ამრიგად გვექნება:

$$[X_j(t + \Delta t) - X_j(t)] \approx c_{ij}[x_i^{(2)}(t) + K_1 u_i(t)]\Delta t,\ j = 1,2, \cdots, n. \ (1)$$

სადაც $u_i(t), i = 1,2, \cdots, n;$ წინასწარ უცნობი სამართი ფუნქციებია და გვიჩვენებენ თუ რა წილობრივი კოეფიციენტებით უნდა მოხდეს K_1 საინვესტიციო კაპიტალის განაწილება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის. თუ შევნიშნავთ, რომ

$$c_{ij}\left[x_i^{(2)}(t) + K_1 u_i(t)\right]\Delta t = c_{ij}[k_i^{(2)} X_i(t) + K_1 u_i(t)]\Delta t, j = 1,2, \cdots, n;$$

მივიღებთ

$$[X_j(t + \Delta t) - X_j(t)] = c_{ij}[k_i^{(2)} X_i(t) + K_1 u_i(t)]\Delta t, j = 1,2, \cdots, n; \ (2)$$

(2) განტოლების ორივე მხარეს თუ გავყოფთ Δt -ზე და გადავალთ ზღვარზე, როდესაც $\Delta t \to 0$, მივიღებთ:

$$\dot{X}_j(t) = c_{ij}[k_i^{(2)} X_i(t) + K_1 u_i(t)], i = 1,2, \cdots, n;\ \ t_0 \le t \le t_1. \quad (2)$$

შემოვიღოთ აღნიშვნები: $C_1 = \left(c_{ij}k_i^{(2)}\right)_{i,j=1}^{n}$, $B_1 = \left(c_{ij}K_1\right)_{i,j=1}^{n}$, $X = (X_1, X_2, \cdots, X_n)^T$, $u = (u_1, u_2, \cdots, u_n)^T$, მაშინ (2) განტოლება ვექტორული სახით ასე ჩაიწერება:

$$\dot{X}(t) = C_1X(t) + B_1K_1u(t), \qquad t_0 \le t \le t_1. \quad (3)$$

თუ (3) განტოლებაში გავითვალისწინებთ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ინვესტირების ზემოქმედების შედეგი გარკვეული დროის $\tau = const \ge 0$ (დაგვიანების) შემდეგ ხდება რეალურად შესამჩნევი, მაშინ (3) განტოლება შეგვიძლია შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$\dot{X}(t) = C_1X(t) + A_1X(t-\tau) + B_1K_1u(t), \qquad t_0 \le t \le t_1. \quad (4)$$

სადაც $A_1 = \left(c'_{ij}k_i'^{(2)}\right)_{i,j=1}^{n}$ მატრიცა განიმარტება C_1 მატრიცის ანალოგიურად.

ცხადია, რომ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს განვითარებისთვის ინვესტირების განსხვავებული პერიოდები სჭირდებათ. სიმარტივისათვის განვიხილოთ ეკონომიკის განვითარების ორეტაპიანი პერიოდი და დავუშვათ პირველი ეტაპიდან მეორე ეტაპზე გადასვლის მომენტი ანუ ინვესტირების სტრუქტურის შეცვლის მომენტი წინასწარ უცნობია და მისი შერჩევა უნდა მოხდეს ოპტიმალურად. ინვესტირების სტრუქტურის შეცვლის უცნობი მომენტი აღვნიშნოთ ბერძნული ალფავიტის θ ასოთი, ცხადია $\theta \in]t_0, t_1[\subset I \subset R$. I - დროის ფიქსირებული შუალედია, t_0 - დროის ფიქსირებული საწყისი მომენტია, R - ნამდვი რიცხვთა სიმრავლეა, t_1 - არ არის ფიქსირებული მომენტი.

ინვესტირების მეორე ეტაპისთვის შემოვიღოთ პირველი ეტაპის ანალოგიური აღნიშვნები: $C_2 = \left(c_{ij}k_i^{(2)}\right)_{i,j=1}^{m}$, $A_2 = \left(c'_{ij}k_i'^{(2)}\right)_{i,j=1}^{m}$, $B_2 = \left(c_{ij}K_1\right)_{i,j=1}^{m}$, $Y = (Y_1, Y_2, \cdots, Y_m)^T$, $v = (v_1, v_2, \cdots, v_m)^T$. T სიმბოლო აქ და ყველგან ნიშნავს მატრიცის ტრანსპონირებას.

ამრიგად, ინვესტიციების განაწილებისა და მათი განთავსების პერიოდების შერჩევის პრობლემა, შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც შემდეგი სახის

ცვლადსტრუქტურიანი ოპტიმალური მართვის ამოცანა დაგვიანების გათვალისწინებით:

$$\begin{cases} \dot{X}(t) = C_1X(t) + A_1X(t-\tau) + B_1K_1u(t),\ t_0 \le t \le \theta, \\ \dot{Y}(t) = C_2Y(t) + A_2Y(t-\eta) + B_2K_2v(t),\ \theta \le t \le t_1 \end{cases} \quad (5)$$

საწყისი პირობით

$$X(t_0) = X_0\,, \quad (6)$$

საწყისი ფუნქციით

$$X(t) = \varphi(t),\ t_0 - \tau \le t \le t_0\,, \quad (7)$$

მემკვიდრეობითობის პირობით

$$Y(t) = G\big(t, X(t)\big),\ \theta - \eta \le t \le \theta, \quad (8)$$

საბოლოო მნიშვნელობით

$$Y(t_1) = Y_1, \quad (9)$$

და მიზნის ფუნქციით

$$(t_1 - t_0) \to min, \quad (10)$$

სადაც $\tau = const \ge 0, \tau_0 = \max(\tau, \eta)$, $\varphi(t)$ უწყვეტი ფუნქციაა, $u(t), v(t)$ წინასწარ უცნობი ვექტორ ფუნქციებია, რომლებიც მნიშვნელობებს ღებულობენ $U \subset R^n$ და $V \subset R^m$ კომპაქტებიდან:

$$U = \{u\colon \textstyle\sum_{i=1}^{n} u_i \le 1;\ \ 0 \le u_i \le 1; i = 1,2,\cdots,n.\},$$

$$V = \{v\colon \textstyle\sum_{i=1}^{m} v_i \le 1;\ \ 0 \le v_i \le 1; i = 1,2,\cdots,m.\},$$

$G(t,X),(t,X)\in I\times R^n, m$ -განზომილებიანი, ფიქსირებული, უწყვეტად დიფერენცირებადი ფუნქციაა და უზრუნველყოფს ინვესტირების სტრუქტურის შეცვლისას მემკვიდრეობითობის პირობის შესრულებას.

ჩვენი მიზანია ისე შევარჩიოთ $u(t), v(t), t_0 \le t \le t_1$, ინვესტიციათა განაწილების პროპორციულობის კოეფიციენტები, θ ინვესტირების სტრუქტურის შეცვლის მომენტი და ინვესტირების პროცესის დამთავრების მომენტი t_1, რომ (5) სისტემის შესაბამისმა ამონახსნებმა $X(t), Y(t)$ დააკმაყოფილონ (6)-(9) პირობები და უზრუნველყონ (10) მიზნის ფუნქციის მინიმალური მნიშვნელობა.

ოპტიმალობის აუცილებელი პირობები

თეორემა (ოპტიმალობის აუცილებელი პირობები): ვთქვათ $u(t), t_0 \le t \le \theta$, $v(t), \theta \le t \le t_1$ - ინვესტიციათა პროპორციულობის ოპტიმალური კოეფიციენტებია, $\theta \in]t_0, t_1]$ - ინვესტირების სტრუქტურის ცვლილების ოპტიმალური მომენტია, ხოლო $X(t), t_0 \le t \le \theta$, $Y(t), \theta \le t \le t_1$ ინვესტირების შედეგად მიღებული პროდუქციის ოპტიმალური მოცულობებია, მაშინ არსებობს შემდეგი შეუღლებული სისტემის

$$\begin{cases} \dot{\psi}(t) = -\psi(t)C_1 - \psi(t+\tau)A_1\,, & t_0 \le t \le \theta, \\ \dot{\psi}(t) = -\psi(t)C_1\,, & \theta - \tau \le t \le \theta, \\ \dot{\chi}(t) = -\chi(t)C_2 - \chi(t+\eta)A_2\,, & \theta \le t \le t_1 - \eta, \\ \dot{\chi}(t) = -\chi(t)C_2\,, & t_1 - \eta \le t \le t_1, \end{cases}$$

შემდეგი პირობებით:

$$\chi(t_1) = \chi_0 \ne 0, \qquad \psi(\theta) = \left(\frac{\partial G(\theta, X(\theta)}{\partial X}\right)^T \chi(\theta),$$

ისეთი $\psi(t) = \big(\psi_1(t), \psi_2(t)\big), \cdots, \psi_n(t),\ t_0 \le t \le \theta$, ამონახსნი და $\chi(t) = \big(\chi_1(t), \chi_2(t)\big), \cdots, \chi_m(t),\ \theta \le t \le t_1$ არატრივიალური ამონახსნი, რომ სრულდება შემდეგი პირობები:

$1^0.\ \psi(t)[C_1X(t) + A_1X(t-\tau) + B_1K_1u(t)] = \max\limits_{u\in U} \psi(t)[C_1X(t) + A_1X(t-\tau) + B_1K_1u],$

$$t_0 \le t \le \theta;$$

2^0. $\chi(t)[C_2Y(t) + A_2Y(t-\eta) + B_2K_2v(t)] = \max_{v\in V} \chi(t)[C_2Y(t) + A_2Y(t-\eta) + B_2K_2v],$

$$\theta \le t \le t_1;$$

3^0. $\chi(t_1)[C_2Y(t_1) + A_2Y(t_1-\eta) + B_2K_2v(t_1)] = 0;$

4^0. $\psi(\theta)[C_1X(\theta) + A_1X(\theta-\tau) + B_1K_1u(\theta)] = \chi(\theta)[C_2Y(\theta) + A_2Y(\theta-\eta) + B_2K_2v(\theta)] - \frac{\partial G(\theta,X(\theta))}{\partial\theta}\chi(\theta).$

გამოყენებული ლიტერატურა

1. ა.არსენაშვილი. ეკონომიკური კვლევის მათემატიკური საფუძვლები. ნაწილი I, თსუ, 2000წ.
2. Kharatishvili G.L. Maximum principle for optimal problems with switching. Works of Institute of Control Systems of AS GSSR, 1980, iss. 19, V. 1, 5-17.
3. Kharatishvili G. (1985). Poliatomic optimal systems. “IPM TGU” collection of transactions. Optimal problems in systems with a variable structure, 1985, pp.3-47.
4. Л.С. Понтриагин., В.Г. Болтянский., Р.В. Гамкрелидзе., Е.Ф. Мищенко. Математическая теория оптимальных процессов. Наука, Москва 1969. (L. S. Pontryagin, V. G. Boltyanskii, R. V. Gamkrelidze, and E. F. Mischenko, “The Mathematical Theory of Optimal Processes,” Wiley Interscience, New York, 1962.)
5. Hall H.H., Zambelii E.D. On the optimization of multistage rockets. JET Propulsion, 1958, v.28, #7, 463-465.
6. Tadumadze T. and Arsenashvili A. Optimal control of delayed variable structure systems with discontinuous initial condition .Appl.Comput.Math.4(2005), #1, pp.48-53.
7. Arsenashvili A.I. (2022). Modeling of the economic-political systems. The Business and Management Review, vol. 13, Number 1, April 2022, pp. 15-20.
8. Arsenashvili A. (1980). Optimal control problem for step systems with delay. Works of Institute of Control Systems of AS GSSr, 1980, iss. 24, v.1, 17-29.
9. T.Tadumadze, A. Arsenashvili and I. Ramishvili. Linearized maximum principle for neutral optimal problems with variable structure and delays in controls. Sovr. Math. Prilozh. V. 42, 2006, pp. 84- 99.
10. Achepkov T.L., Optimal control of discontinuous systems. Moscow, Nauka, 1987.
11. Calukvadze M., Gabisonia V., Arsenashvili A.(1990). Optimal control of the main electric locomotive traffic. 11th IFAC World Congress, “Automatic Control in the Service of Mankind”, Tallinn, Estonia, USSR, August 13-17, 1990, volume 10, pp.211-213.

The Problem of Optimal Distribution of Investments and their Placement Periods

Akaki Arsenashvili
Doctor of physics and mathematical sciences,
Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
akaki.arsenashvili@tsu.ge

Summary

Study and research of optimal management tasks with variable structure was founded in Georgia in 1975-1985. Researches in the mentioned direction were carried out at the seminars conducted at the Institute of Management Systems of the Georgian Academy of Sciences under the leadership of Academician Guram Kharatishvili. G. Kharatishvili was a student of Academician Pontryagin, his early works deal with mathematical problems of optimal control with delays. Variable structured optimal control problems are one of the important directions of optimal control theory. A change in the structure of the system means that the system can switch from one law of motion to another at an unknown moment in advance. Moreover, after changing the structure, the initial state of the system depends on its previous state. This combines them into one system with a variable structure. It is important that the moment of change in the structure of the system is not known in advance. Interest in such tasks arose during the period when intense research was being conducted in space exploration. Subsequently, the obtained theoretical and practical results were used in such fields of science that were not related to space research. One such field is economics. In this article, we consider a general economic problem related to the optimal allocation of investments. We think that one of the important factors for the harmonious development of the economy is the optimal distribution of investments, as well as the optimal determination of investment periods. Because the result of the impact of investing becomes really noticeable after a certain time (delay), therefore, we have taken into account the delay factor in the article. Thus, in the article we have considered the problem of optimal distribution of investments as a task of optimal management with a variable structure, an appropriate mathematical model has been built, and the necessary optimality conditions have been obtained for both the investment distribution coefficients and the moment of investment structure change. For the sake of simplicity, the two-period investment distribution problem is discussed, generalization of the obtained results for multi-period problems is not difficult.

Keywords: Optimal distribution of investments, investment period, capital allocation ratios, variable structure, necessary conditions of optimality.

ადამიანური კაპიტალი, როგორც ინოვაციური ეკოსისტემის მდგენელი

მადონა გელაშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
madigelashvili0761@gmail.com

ანოტაცია. *ინოვაციური ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის გენერირება ფაქტობრივად წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას. ნაშრომი ცხადყოფს, რომ ცოდნა და ადამიანური კაპიტალი ურთიერთდამოკიდებული კატეგორიებია: შექმნას ახალი ცოდნა და ეფექტიანად გამოიყენოს ეს ცოდნა - რეალობაში შეუძლია მხოლოდ მაღალკვალიფიციურ და განათლებულ სპეციალისტებს. ამდენად, პირველ რიგში მნიშვნელოვანია მოხდეს ქვეყნის პოზიციონირება და სტრატეგიის შემუშავება საგანმანათლებლო სისტემისა და სამეცნიერო ბაზის მხრივაც. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა დაგვედასტურებინა ადამიანური კაპიტალის უმთავრესი როლი ინოვაციურ ეკოსისტემაში წარმოების ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, რადგანაც ადამიანური კაპიტალის განვითარების მაღალი დონე განსაზღვრავს კრეატიულობის მაღალ დონესაც, რაც თავის მხრივ აუცილებელია ახალი ცოდნის (ინოვაციის) შესაქმნელად. სტატიაში განსაზღვრული და გაანალიზებულია ადამიანური კაპიტალის განვითარების მთავარი საფუძველი - განათლება და ადამიანური კაპიტალის განვითარების მთავარი კრიტერიმი - დანახარჯები განათლებაში. საბოლოო ჯამში ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში ზემოქმედებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე.*

საკვანძო სიტყვები: *ადამიანური კაპიტალი, ინოვაციური ეკოსისტემა, ცოდნა, განათლება, მდგრადი განვითარება.*

შესავალი

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში არსებობს სხვადასხვა ინტერპრეტაცია იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიშვა „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფცია და როგორ ეხმაურება სხვა, მსგავს ცნებებს. არსებობს პოზიცია, რომ ინოვაციური ეკოსისტემა „ბიზნეს ეკოსისტემიდან “ მომდინარეობს, და ამ ცნების ავტორი ჯეიმს

მური იყო (Moore, 1993). ბიზნესის ეკოსისტემის ქვეშ ის აერთიანებდა ორგანიზაციათა ქსელს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ურთიერთდახმარების სისტემას და ერთიანდებიან ახალი ინოვაციის ირგვლივ ერთობლივი განვითარების მიზნით. თანამშრომლობის ეს ფორმატი უზრუნველყოფს ბიზნეს ეკოსისტემის ყველა წევრის კონკურენტუნარიანობის ზრდასა და ახალი პროდუქტის მხარდაჭერას კლიენტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. მური ფაქტობრივად თავის ნაშრომში საუბრობს კონკურენციის დასრულების ხანაზე ცალკეულ კომპანიებს შორის და კონკურენციის დასაწყისზე ბიზნეს ეკოსისტემებს შორის. ის გამოყოფს ბიზნესის ეკოსისტემების ევოლუციის 4 ეტაპს: დაბადება, ლიდერობა, ექსპანსია და თვითგანახლება. ყოველი ეტაპი მოიცავს სავალდებულო მოქმედებების ერთობლიობას თანამშრომლობისა და კონკურენციის გამოწვევების ფარგლებში. მოქმედებების საწყისი მიზნად ისახავს ბიზნესის ეკოსისტემის სტრუქტურის ჩამოყალიბებასა და მისი ფუნქციონირების ორგანიზაციის განხორციელებას. შემდგომ ეტაპზე კი, აუცილებელია ბიზნესის ეკოსისტემის დაცვა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ძალზედ მნიშვნელოვანია ადამიანური კაპიტალის, როგორც ერთ-ერთი მდგენელის განხილვა, რაც შესაძლებელს ხდის აღნიშნული კონცეფციის მრავალფეროვნებისა და სისრულის ყოვლისმომცველ გაგებას. მეორე, გაანალიზებულ იქნა „ინოვაციური ეკოსისტემის“ ცნების გამოყენება. ეს დაყოფა განპირობებულია იმით, რომ ისტორიულად ამ კონცეფციის გამოყენების პრაქტიკა აგებულია უცხოურზე.

„ინოვაციური ეკოსისტემა“ - არსი და მიდგომები.

არსებული წყაროების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია „ინოვაციური ეკოსოსტემის“ ცნების მიდგომების განსაზღვრა, რაც ცხრილის სახით გვაქვს წარმოდგენილი:

ცხრილი 1

ინოვაციური ეკოსისტემის მიდგომები

მიდგომის დასახელე-ბა	**ინოვაციური ეკოსისტემის ინტერპრეტაცია**	**მიდგომის თავისებურების ანალიზი**
„სისტემა შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე“.	ფირმისა და ეკოსისტემის სხვა მონაწილეების მიერ ბაზრისთვის ახალი შეთავაზებების სინთეზი, რომელიც ახალ გადაწყვეტას სთავაზობს მომხმარებლს (Adner, 2006).	ერთ-ერთი ყველაზე პირ-ველი ინტერპრეტაცია, რომელიც ამოსავალ წერ-ტილად განიხილება ყვე-ლა შემდგომი მკვლევარის მიერ.
„სისტემა შინაგანი	ურთიერთდამოკიდებული სტრუქტურა, რომელიც შედგება ცენტრალური ფირმისა და მისი გარემოსგან. მონაწილეები შეიძლება იყვნენ	შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობები

წინააღმდეგო ბებით“	აქტიური ან პასიურნი ინოვაციური განვითარების სფეროში, მხარი დაუჭირონ ან ხელი შეუშალონ ცენტრალური კომპანიის ინოვაციურ საქმიანობას (Adner, Kapoor, 2010).	ეკოსისტემის მონაწილეთა მიზნებში
„ინოვაციისთვ ის ხელსაყრელი გარემო“	ეკონომიკური აგენტების, კავშირების და არაეკონომიკური კომპონენტების ნაკრები. ეს სტრუქტურა ქმნის ხელსაყრელ გარემოს ახალი იდეების გენერირების, ინოვაციების დანერგვისა და მათი გავრცელებისთვის. (Mercan, Göktas, 2011).	არაეკონომიკური კომპონენტების არსებობა, როგორც ხელსაყრელი გარემო ინოვაციისთვის
„ორგანიზა-ცია/ პლატფორ-მა“	ურთიერთდაკავშირებული ქსელი, რომელიც იმართება ცენტრალური ფირმის ან პლატფორმისგან და რომლებიც ურთიერთ-ქმედებენ ერთმანეთთან ახალი ღირებულების შესაქმნელად ინოვაციების მეშვეობით (Pellikka, Ali-Vehmas, 2016).	არა მხოლოდ ფირმა, არამედ პლატფორმაც შეიძლება იყოს ეკოსისტემის ცენტრში
„ეკოსისტემ-ის მონაწილე-ები“	ურთიერთობების ერთობლიობა, რომე-ლიც არსებობს ცალკეულ სუბიექტებს და/ან ორგანიზაციებს შორის, რომლებსაც აქვთ საერთო მიზანი (Oh et al., 2016).	ყურადღება გამახვილე-ბულია ეკოსისტემის მო-ნაწილეებზე და სუბიექ-ტებზე, რომლებიც ფლო-ბენ ეკოსისტემისთვის გარკვეულ ფასეულობებს
„ინტეგრაციუ ლი“	ინსტიტუტების, გაერთიანებების ერთობ-ლიობა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცენტრალური ფირმის და მთლიანად ეკოსისტემის ინოვაციურ საქმიანობაში (Granstrand, Holgersson, 2020).	ერთ-ერთი გვიანდელი ინტერპრეტაცია, რომე-ლიც წარმოიშვა გამოც-დილების განზოგადების შედეგად.

ზოგადად, „ინოვაციური ეკოსისტემის“ გაგებამ გარკვეული ევოლუცია განიცადა: მიდგომებიდან, რომლებიც ხაზს უსვამენ დეტალებს, მიდგომამდე, რომელიც ცდილობს ყველა დეტალის ინტეგრირებას. ამრიგად, ინტეგრაციული მიდგომა, კონცეფციის ყოველმხრივი და სრული გაშუქების გამო, ყველაზე პერსპექტიულად გამოიყურება. თუმცა, სხვა მიდგომები ასევე არ კარგავენ აქტუალობას, რადგან ინოვაციური ეკოსისტემების რეალობა საკმაოდ ფართოა და მათი ანალიზი მოცემული ამოცანების შესაბამისად შეიძლება ფოკუსირებული იყოს სხვადასხვა კონკრეტულ ასპექტზე.

2019-2020 წლებში გამოქვეყნებული უცხოური ავტორების სტატიების ანალიზი ცხადყობს, რომ ისინი დიდწილად აღარ ახდენენ ინოვაციური ეკოსისტემის კონცეფციის ძირითადი ცნებებისა და პრინციპების განსაზღვრას, არამედ მიმოიხილავენ მისი სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული გარდასახვის ასპექტებს. იობერგი თვლის, რომ ინოვაციური ეკოსისტემები არის გარკვეული ეტაპი ინოვაციური თეორიების განვითარებაში და განიხილავენ აღნიშნულ საკითხს,

როგორც იდეებისა და ცოდნის გარდასახვას ეკოსისტემურ ფორმატში მრავალი სუბიექტით, კავშირებით, იდეების ურთიერთგაცვლისა და ახალი ცოდნის გენერირებით. ეკოსისტემური მიდგომა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გადავიტანოთ ინდივიდი კომპანიისგან იმ კონტექსტზე, რომელშიც ის მუშაობს (Öberg, Alexander, 2019).

ბეკონი, უილიამსი და დევისი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ „ცოდნის" კატეგორიას და მისი გადაცემის მახასიათებლებს ღია ინოვაციური ეკოსისტემების კონტექსტში. მათი აზრით, ღია ინოვაციების ეკოსისტემის შესწავლის ორი მიდგომა არსებობს: ერთი გეოგრაფიულად მჭიდრო ეკოსისტემებზე დაფუძნებული, მეორე კი - ღირებულების შექმნასა და დამაგრებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დამატებით შესაძლებლობებს, რომლებიც ეძლევათ მცირე და საშუალო საწარმოებს ეკოსისტემის წევრებთან თანამშრომლობის შემთხვევაში.

Xie და Wang ხაზს უსვამენ, რომ ფირმის წევრობა ინოვაციურ ეკოსისტემაში აფართოებს მის შესაძლებლობებს. ისინი გამოყოფენ ღია ინოვაციური ეკოსისტემების კონფიგურაციის 6 ტიპს: - თანამშრომლობა ფირმებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებს/კოლეჯებს/ტექნიკურ ინსტიტუტებს შორის; - ფირმთაშორისი თანამშრომლობა; - შუამავლებთან თანამშრომლობა; - ფირმასა და მომხმარებელს შორის თანამშრომლობა; - აქტივების გაყიდვა; - ტექნოლოგიების გადაცემა (Xie, Wang, 2020).

Radziwon და Bogers, იკვლევენ სირთულეებს, რომლებსაც აწყდებიან მცირე და საშუალო საწარმოები და გვთავაზობენ ამ სირთულეების აღმოფხვრის შესაძლებლობებს სხვადასხვა დონეზე: ეკოსისტემის წევრების დონეზე, მათ შორის ურთიერთობების დონეზე და მთელი ეკოსისტემის დონეზე (Radziwon, Bogers, 2019).

Fukuda წარმოგვიდგენს ინოვაციურ ეკოსისტემებს, როგორც ტრანსფორმაციის პროცესის განუყოფელ კომპონენტს, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სტრატეგია „საზოგადოება 5.0.", რომელიც 2016 წელს შესთავაზა იაპონიის მთავრობამ. ავტორი გვთავაზობს მრავალკომპონენტიან მოდელს, რომელიც ეფუძნება ეკოსისტემურ მიდგომას მეცნიერების, ტექნოლოგიების და ინოვაციების შექმნის მიზნით. სწორედ აქედან მოდის კონცეფცია - „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემა" (Fukuda, 2019).

კონიეცკო, ბოკენი და ჰულტინგი განიხილავენ ინოვაციურ ეკოსისტემებს, როგორც ხაზოვანი ეკონომიკის ცირკულარულ ეკონომიკად გარდაქმნის ინსტრუმენტს (Konietzko et al., 2020).

ინოვაციური ეკოსისტემების განვითარების ძირითადი ფაქტორები.

ინოვაციური ეკოსისტემის, როგორც კონცეფციის განვითარებასთან ერთად, განისაზღვრა ფაქტორთა ჩამონათვალი, რომელიც განაპირობებს ინოვაციური

ეკოსისტემების ეფექტიან განვითარებას. ეს ფაქტორები შეიძლება დავაჯგუფოდ შემდეგნაირად:

- ✓ **ინოვაციური** - რაც გულისხმობს, ტექნოლოგიებისა და რესურსების მუდმივ ტრანსფორმაციას ახალ პროდუქტებში შედარებით დაბალი დანახარჯებით, ცვალებად გარემოსთან ადაპტაციას და ახალი შესაძლებლობების შექმნას (Iansiti, Levien, 2004);
- ✓ **სტრატეგიული** - პროცესების მუდმივი განვითარება და მუშაობა როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ პარტნიორებთან, ინოვაციური სტრატეგიების შექმნა და ამავე დროს ეკოსისტემისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინება (Adner, 2006);
- ✓ **ინფრასტრუქტურული** - კლასტერული განვითარების დონე, უნივერსიტეტებსა და ფირმებს შორის თანამშრომლობა, ინოვაციების არსებობა(Mercan, Goktas, 2011);
- ✓ **ადამიანური** - ნიჭიერი ადამიანების არსებობა, მკვლევართა, მეწარმეთა და სხვადასხვა ინსტიტუტების კონცენტრაცია, მეწარმეობის კულტურის არსებობა, წვდომა კაპიტალთან და ხელსაყრელ გარემო პირობებთან აქტიური რეგულირების თვალსაზრისით.(Oh et al., 2016).

ადამიანური კაპიტალის განვითარების თავისებურებები.

ახალი ცოდნისა და ადამიანური კაპიტალის გენერირება ფაქტობრივად წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური განვითარების აუცილებელ წინაპირობას. ცხადია, რომ ცოდნა და ადამიანური კაპიტალი ურთიერთდამოკიდებული კატეგორიებია: შექმნას ახალი ცოდნა და ეფექტიანად გამოიყენოს ეს ცოდნა - რეალობაში შეუძლია მხოლოდ მაღალკვალიფიციურ და განათლებულ სპეციალისტებს. აქედან გამომდინარე ადამიანური კაპიტალს ინოვაციურ ეკონომიკაში ენიჭება უმთავრესი ადგილი წარმოების ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე, რადგანაც ადამიანური კაპიტალის განვითარების მაღალი დონე განსაზღვრავს კრეატიულობის მაღალ დონესაც, რაც თავის მხრივ აუცილებელია ახალი ცოდნის (ინოვაციის) შესაქმნელად. საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში უკვე კარგა ხანია დაიწყეს ეკონომიკურ ზრდასა და განათლებას შორის დამოკიდებულების შესწავლა. ართურ მედისონის ("კაპიტალისტური განვითარების დინამიური ძალების" ავტორი), მიერ დადგენილია, რომ განათლებაში ჩადებული ინვესტიციების 1%-ით ზრდა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის 0.35%-ით ზრდას, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მის მიერ შეგროვილი ფაქტების ანალიზზე ასკვნის, რომ სწავლების საშუალო სტატისტიკური ხანგრძლივობის ზრდა ერთი წლით, იწვევს შესაბამისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 3-6%-ით.

ამავე ორგანიზაციის მონაცემებით მთელს მსოფლიოში უმაღლესი განათლება აქვს შრომისუნარიანი მოსახლეობის 32%-ს. თუმცა მეტი წილი ე.წ. დიპლომიანი ადამიანებისა მოდის განვითარებულ ქვეყნებზე. განვითარებული ქვეყნები ლიდერობენ ასევე მთლიან შიდა პროდუქტში განათლების პროცენტული მაჩვენებლითა (საშუალოდ 5,75%) და უმაღლეს განათლებაზე გაწეული ხარჯის მიხედვითაც (საშუალოდ 10655 დოლარი ერთ სტუდენტზე ერთი წლის განმავლობაში) [5. გვ.9]].

სამეცნიერო ცოდნა, რომელიც მიიღება კვლევევებისა და ანალიზის საფუძველზე გამოიყენება როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური პროდუქტების შესაქმნელად. ამდენად, განათლება და სამეცნიერო ცოდნა ქმნის დამატებით ღირებულებას და ამით ზრდის პროდუქტიულ აქტივებს. ეკონომიკის ნებისმიერი სუბიექტის კონკურენტული უპირატესობა მდგომარეობს მის ინოვაციურ აქტივობაში, ანუ შესაძლებლობაში განახორციელოს ახალი ცოდნის გენერირება ან ცოდნის გამოყენება ახალი მეთოდებით.

ადამიანის, როგორც ცოდნის კაპიტალის მატარებლის ფიზიკური და სულიერი სიმხნევე დამოკიდებულია მრავალ სოციალურ ფაქტორზე – ჯანდაცვის, კულტურისა და დასვენების, კვების დონეზე. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდა განათლების სფეროში განხორციელებული ინვესტიციებისა, აუცილებელია სათანადო ყურადღება მიექცეს თავად ადამიანური კაპიტალის ფინანსირებას, რაც უცილობლად აისახება შრომის მწარმოებლურობისა და წარმოების ეფექტურობის ზრდაში. სოციალურ მეცნიერებებში არსებობს ადამიანური კაპიტალის შესწავლის მთელი რიგი მიდგომები. ყველა ეს მიდგომა პირობითად შეიძლება დაიყოს ორ მიმდინარეობად: პირველი - ეს ის სამუშაოებია, რომელიც ეხება ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესებას, მეორე - სამუშაოები, რომლებშიც აქცენტი ადამიანის სრულყოფაზეა გადატალი, ანუ მის ინტელექტუალურ და ფიზიკურ თვისებებზე. ჯგუფი თეორიებისა, რომელიც ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესების ანალიზს მოიცავს, მიეკუთვნება ცხოვრების ხარისხისა (ა. კემბელი, ს. კოული, ი. მაილზიდასხვ.) და მოსახლეობის ხარისხის კონცეფციებს (ი. პუბინი, ა. პეჩეი და სხვა). ხოლო ჯგუფი თეორიებისა, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანის თვისებების სრულყოფას მიეკუთვნება „ადამიანური პოტენციალისა“ და „ადამიანური კაპიტალის“ კონცეფციებს. ყველა ის თეორია, რომელიც არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში დაეფუძნება"ადამიანური კაპიტალის"ცნებას, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) ეკონომიკური მიდგომა - რომელიც ეყრდნობა ადამიანური კაპიტალის ინდექსისა და ადამიანის განვითარების კვლევის კონცეფციებს; და 2) სოციოლოგიური მიდგომა - რომელიც ადამიანურ კაპიტალს განიხილავს როგორც ცალკეული ინდივიდუალური ჯგუფის თვისებას, რომელიც ახასიათებს სოციუმის განვითარების

დონეს და მეთოდოლოგიური ინდივიდუალუზმის მომხრეები, რომლებიც ადამიანურ კაპიტალს განიხილავს ინდივდთან მჭიდრო კავშირში.[6.გვ.8]

მსოფლიო ადამიანური კაპიტალი ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილია და მის 2/3-ს შეადგენს. ამჟამად ადამიანური კაპიტალის თეორიისა და პრაქტიკის ბაზაზე შექმნილია და სრულყოფა ხდება აშშ-სა და წამყვანი ევროპული ქვეყნების განვითარების პარადიგმის. 2022 წელს აშშ-ის ადამიანური კაპიტალის ღირებულებამ 97 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის 78%-ია. მსოფლიო ადამიანური კაპიტალის 26% მოდის აშშ-ზე (მსოფლიო ეკონომიკაში მისი წილი ნაკლებია და 21%-სშეადგენს), რუსეთზე - 8%, ჩინეთზე - 7%, ბრაზილიასადაინდოეთზე - 2-2%, ევროკავში 67%-ს. ეს მაჩვენებელი საქართველოსთვის შეადგენს 30%-ს, რუსეთისთვის - 50%-ს. უმეტესი ქვეყნებისათვის ადამიანური კაპიტალი აღემატება ეროვნული სიმდიდრის ნახევარს (გარდაოპეკ-ისქვეყნებისა).

სხვა თანაბარ პირობებში ადამიანური კაპიტალის განვითარების მთავარ საფუძველს წარმოადგენს განათლება. ადამიანური კაპიტალის განვითარების მთავარ კრიტერიმს კი - დანახარჯები განათლებაში. საბოლოო ჯამში ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში ზემოქმედებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივებზე.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.

ჩვენი აზრით საქართველოს დღეისათვის გააჩნია მეცნიერული კვლევების შესაძლებლობის საკმაო პოტენციალი, სამეცნიერო სკოლა, ფართო საუნივერსიტეტო ქსელი, მაგრამ მიუხედავად ამისა გვაქვს ინოვაციური აქტივობის საკმაოდ დაბალი დონე. ინვესტიციებს განთლებასა და სამეცნიერო კვლევევბს და მშპ-ს ზრდას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი.ამიტომ ჩვენი ქვეყნის მთავარ ამოცანას უახლოესი პერსპექტივისათვის წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის განვითარების აქტივიზაცია. სწორედ ფირმის შესაძლებლობები აწარმოოს და რეალიზება განახორციელოს იმ პროდუქციისა, რომელიც ინოვაციური ცოდნის შედეგადაა შექმნილი წარმოადგენს ინოვაციური ეკონომიკის განმსაზღვრელ ფაქტორს.

სახელმწიფო თავის მხრივ მხარს უნდა უჭერდეს და ეხმარებოდეს ბიზნესის ინოვაციური აქტივობის გაზრდას, კერძოდ: უნდა შეიმუშაოს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების სტრატეგია, გამოიყენოს სტიმულირების სხვადასხვა მექანიზმები, ხელი შეუწყოს გრანტების მოპოვებას, დანერგოს საგადასახადო შეღავათები და სხვა.

დღეს საქართველოში შემუშავებულ განათლებისა და მეცნიერების განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებში გამოკვეთილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც არსებობს ამ მიმართულებით:

- ქვეყანაში მეცნიერების ერთიანი განვითარების პოლიტიკის არ არსებობა, რომელიც ხელს უშლის სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრას და ზოგადად სამეცნიეროს ფეროს დაგეგმვას;
- მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელის პრობლემატურობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს გრძელვადიანი კვლევითი კლასტერების შექმნას და მდგრად ინსტიტუციურ განვითარებას. დღეს არსებული სამეცნიერო ინსტიტუტებისთვის უმთავრეს დაფინანსების წყაროს წარმოადგენს კვლევითი გრანტები, რომელსაც გასცემს სახელმწიფო მასზე დაქვემდებარებული კვლევითი-სამეცნიერო ფონდის საშუალებით.
- მეცნიერებაშია ხალი კადრების ნაკლებობა, რაც ხელს უშლის მეცნიერების დინამიკურ განვითარებას და ცოდნის გადაცემას;
- სამეცნიერო პროდუქტებისა და ინოვაციების კომერციალიზაციის დაბალი დონე;
- საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრაციის დაბალი დონე;
- სამეცნიერო ინსტიტუტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ერთმანეთში ინტეგრაციის დაბალი დონე.

ყველაფერს ამას ემატება საქართველოში ინოვაციური ბიზნესის ორგანიზების საკითხში არსებული მთავარი პრობლემა - მცოდნე და კეთილსინდისიერი სპეციალისტების უკმარისობა, ანუ ე. წ. ინოვაციური მენეჯერები, რომელთაც ხელთეწიფებათ ეფექტიანი ინოვაციური წარმოება. ბევრ უცხოურ კომპანიაში უკვე არსებობს Chief Knowledge Officer, ე.წ. დირექტორი მეცნიერების დარგში.[6.გვ.18] მათ ფუნქციაში შედის კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის მაქსიმიზაცია „ცოდნის“ ფაქტორის გამოყენებით. ინოვაციური მენეჯმენტის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს:

1. კომპანიის ინოვაციური სტრატეგიის ფორმირება;
2. კომპანიის ინოვაციური პოლიტიკის შემუშავება;
3. პროექტების შემუშავება და მათი მონიტორინგი;
4. კომპლექსური ინოვაციური პროცესების ორგანიზების უნარი მეცნიერების, წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში.

შედეგები

თანამედროვე ეტაპზე „ინოვაციური ეკოსისტემის“ კონცეფციამ წარმატებით გადალახა ფორმირების ეტაპი, რადგან ვხედავთ, რამდენად აქტიურად არის განხილული და ჩამოყალიბებული მისი ძირითადი პრინციპები, რასაც მრავალი მეცნიერი ეთანხმება მიუხედავათ მათი განსხვავებული მიდგომებისა. თუ თავიდან განიხილებოდა ცალკეულ დეტალებთან დაკავშირებული მიდგომები, ახლა საუბარია ინტეგრაციულ მიდგომებზე, რაც უდაოდ პერსპექტიულია. თანდათანობით კონცეფცია "ინოვაციური ეკოსისტემა“ ჩამოყალიბდა როგორც მრავალკომპონენტიანი კონცეფცია, რომელიც აგებულია და ეფუძნება თანამედროვე კომპანიების, რეგიონებისა და სახელმწიფოების რეალურ გამოცდილებას და შეიძინა პრაქტიკული მნიშვნელობა.

რა თქმა უნდა გვხვდება აღნიშნული კონცეფციის კრიტიკაც, რაც დაკავშირებულია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ თვალსაზრისთანაც. პირველ რიგში, კრიტიკა აგებულია იმაზე, რომ ინოვაციური ეკოსისტემების პრაქტიკაში დანერგვის მცდელობა შეიძლება გახდეს წარუმატებლი, რადგან ახალ შესაძლებლობებთან ერთად ისინი დამატებით რისკებსაც წარმოქმნიან, რომელსაც შეუძლია გაანულოს პოტენციური სარგებელი. (Oh et al., 2016). კრიტიკოსთა მეორე ნაწილი ეჭვ ქვეშ აყენებს ინოვაციური ეკოსისტემის თანმიმდევრულობას, ანუ რამდენად შეძლებს ცოდნის ფორმირებას, მეცნიერებაში წვლილის შეტანას და შემდგომ თეორიის პრაქტიკაში დანერგვას.(Ritala, Almpanopoulou, 2017). ჩვენი აზრით, აღნიშნული კრიტიკა გასათვალისწინებელია, თუმცა არ უგულვებელყოფს აღნიშნული ცნების ფართო შესაძლებლობებს.

ადამიანური კაპიტალის განვითარების კუთხით არსებული ვითარება საქართველოში ვერ უზრუნველყოფს ახალი ინდუსტრიული დარგებისა და უკვე არსებული სექტორების განვითარებას. საჭიროა შეიქმნას მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სისტემის განვითარების ახალი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საბიუჯეტო რესურსებით. მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოსმეცნიერების და განათლების დაფინანსების მოდელები. უნდა შენარჩუნდეს საგრანტო სისტემა, თუმცა უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს პირდაპირი დაფინანსების მოდელები. ამასთან, მეცნიერების და უმაღლესი განათლების დაფინანსების წილი მშპ-სა და ბიუჯეტში სულ მცირე უნდა გაუთანაბრდეს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. აგრეთვე, საჭიროა, სამეცნიერო სფეროდან წამოსული ინოვაციების შესაბამისი გადადინების ხელშეწყობის სტრატეგიის შექმნა, რაც მისცემს საშუალებას ადგილობრივ მწარმოებლებსა და

სამეცნიერო ინსტიტუტებს მიიღონ სარგებელი თანამშრომლობით და ჰქონდეთ წვდომა დამატებით რესურსებზე განვითარებისთვის.

ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი გამოწვევა აქვს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია ინოვაციების განვითარებაში მნიშვნელოვანი პროგრესის მისაღწევად. შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოს შედეგებმა სწორედ იმ მიმართულებებითიკლო, რაც წინა წლებშიც ქვეყნის სისუსტეს წარმოადგენდა. კერძოდ, 100 ქულიდან 20-30 ქულებს შორის მერყეობს საქართველოს მაჩვენებლები ადამიანური კაპიტალისა და განათლების, ბიზნესის განვითარების მდგომარების, ცოდნისა და ტექნოლოგიური წარმოების კრიტერიუმებში. მართალია ქვეყანას კარგი მაჩვენებლები ჰქონდა ინსტიტუციური მოწყობისა და მარეგულირებელი პოლიტიკის თვალსაზრისით, თუმცა, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, კერძო სექტორის განვითარების დონე და სამეცნიერო ბაზისი მაინც ჩამორჩება განვითარების გლობალურ ტენდენციებს.

პროგრესის მისაღწევად საჭიროა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას განათლებისა და კვლევის განსავითარებლად. ასევე, სასურველია, კერძო ბიზნესის მეტი აქტიურობა ამ პროცესში, რაც ბიზნესკონკურენციის ხელშეწყობითა და ინოვაციების დასანერგად წამახალისებელი ღონისძიებების გატარებითაა შესაძლებელი.

დასკვნა

ამდენად, არსებული წყაროების მიმოხილვის შედეგებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არსებობს ე. წ. „ხაფანგები“, რომელთა არსებობა უდაოა და შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეუქმნას როგორც თეორიული საკითხების შემუშავებას, ასევე ინოვაციური ეკოსისტემის პრაქტიკულ გამოყენებადობასაც.

ერთ-ერთი საკითხია სახელმწიფოსთვის საკვანძო როლის მინიჭება, რომელიც პოზიოცინირებს და გამოდის როგორც შემქმნელი, ლიდერი და მთავარი სპონსორი. ამან შეიძლება გამოიწვიოს დანარჩენ მონაწილე სუბიექტეთა შედარებით პასიურ მდგომარეობაში გადასვლა. სახიფათოა ასევე, აღნიშნული კონცეფციის გამოყენება მხოლოდ ტერიტორიული ან ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების დონეზე, მაშინ როდესაც ეკოსისტემის პოტენციალი ვრცელდება ბიზნესის, უნივერსიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების, მცირე და საშუალო ბიზნესების დონეზე და ა.შ.

ინოვაციური ეკოსისტემების აღქმა ხდება, როგორც თვითორგანიზებული სისტემის ან, თუნდაც სპონტანურად ორგანიზებული ბუნებრივი პროცესების მსგავსად; იმავდროულად, ეკოსისტემები მისი მონაწილეების დაგეგმილი, რეგულირებული და კოორდინირებული ქმედებების პროდუქტებია.

ზოგადად, "ინოვაციური ეკოსისტემის" ლოგოკა ამოსავალი წერტილია სხვადასხვა მიდგომის განხილვისას, რომელიც შექმნილია კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების გადასაჭრელად. მათ შორის როგორც ვიწრო, ასევე შედარებით ფართო სეგმენტში: ინოვაციური ეკოსისტემები ქალაქების, რეგიონების და ქვეყნების მასშტაბით (ინოვაციური ეკოსისტემა ქალაქების დონეზე, რეგიონული ინოვაციური ეკოსისტემა, ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემა); მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ეკოსისტემა, ინოვაციები ცირკულარულ ეკოსისტემაში და ა.შ.

ამჟამად კვლევები ფოკუსირებულია ინოვაციური ეკოსისტემების როგორც ცალკეულ ასპექტებზე (ცოდნის გადაცემა, კომუნიკაცია და კონფიგურაცია), ასევე მათ ცალკეულ მონაწილეებზეც (უნივერსიტეტების, ცენტრალური ფირმის, მცირე და საშუალო საწარმოების პოზიციებიდან და ა.შ.).

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი, გ. ,,ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და ინოვაციური სამეწარმეო პოლიტიკა: ინსტიტუციური ასპექტი''. ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი'', N3, გვ. 10-17. 2017.

2. გელაშვილი მ., „მწვანე“ განვითარება მდგრადი განვითარების კონტექსტში“.ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“, თბილისი 2022.

3. გელაშვილი მ., „ ცოდნის ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური განვითარების მთავარი წყარო“. ბათუმის შოთა რუსთაველის სუ, ბათუმი 2019.

1.Gelashvili M., 2017. „Innovative Human Capital and its development characteristics“, SSU IV international-practical conference, collections. Tbilisi „Homeland“.

5. Bacon E., Williams M. D., Davies G. H. Recipes for success: Conditions for knowledge transfer across open innovation ecosystems // International Journal of Information Management. 2019. Vol. 49. P. 377–387.

6. Bramwell A., Hepburn N., Wolfe D. A. Growing Entrepreneurial Ecosystems. Public Intermediaries, Policy Learning, and Regional Innovation // Journal of Entrepreneurship and Public Policy. 2019. Vol. 8. No. 2. P. 272–292. DOI: https://doi.org/10.1108/JEPP-04–2019–0034.

7. Carayannis E., Grigoroudis E., Campbell D. F., Meissner D., Stamati D. The Ecosystem as Helix: an Exploratory Theorybuilding Study of Regional Competitive Entrepreneurial Ecosystems as Quadruple/Quintuple Helix Innovation Models //R&D Management. 2018. Vol. 48. No. 1. P. 148–162.

8. Fukuda K. Science, technology and innovation ecosystem transformation toward society 5.0 // International Journal of Production Economics. 2020. URL: https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0925527319302701; 21.01.2021).
9. Granstrand O., Holgersson M. Innovation ecosystems: A conceptual review and a new definition // Technovation. 2020.
URL: https://reader.elsevier.com/reader/sd/pii/S0166497218303870 (дата обращения: 21.01.2021).
10. Helfat C. E., Raubitschek R. S. Dynamic and Integrative Capabilities for Profiting from Innovation in Digital Platformbased Ecosystems // Research Policy. 2018. Vol. 47(8). P. 1391–1399.
11. Iansiti M., Levien R. Strategy as Ecology // Harvard Business Review. 2004. Vol. 82(3). P. 68–78.
12. Konietzko J., Bocken N., Hultink E. J. Circular ecosystem innovation: An initial set of principles // Journal of Cleaner Production. 2020. Vol. 253. URL:https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0959652619348127; 21.01.2021).

Human capital as the creator of the innovation ecosystem

Madona Gelashvili
Doctor of Economics, associate professor
Sukhumi State University
madigelashvili0761@gmail.com

Generating new knowledge and human capital is actually a necessary precondition for sustainable economic development. Obviously, knowledge and human capital are interdependent categories: create new knowledge and effectively use this knowledge - in reality only highly qualified and educated specialists. Hence, human capital is given an innovation in the innovative economy among the factors that affect the economic growth, as the high level of human capital development determines the high level of creativity, which in turn is essential for creating new knowledge (innovation). The main basis for human capital development is education. The main criterion for human capital development is expenditures in education. In the end, investments in human capital affect the prospects of development of the country.

Keywords: Human Capital, Innovative ecosystem, Education, Production Factor, Sustainable Development.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია დსოციალურ-ეკონომიკური შედეგები

მეგი გორგასლიძე
ეკონოიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
megi.gorgaslidze@atsu.edu.ge

ანოტაცია. *მსოფლიო შრომის ბაზრის ფორმირება საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესია,რაც შრომითი რესურსების მასობრივი მიგრაციის ხარჯზე ვითარდება ეკონომიური მდგომარეობის ამაღლების მიზნით. თანამედროვე სამყაროში ყველაზე გავრცელებულია ეკონომიკური ხასიათის მიგრაციული პროცესები, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება შრომითი მიგრაცია. ამ პროცესს ხელს უწყობს დასაქმების საერთაშორისო ბაზრის გლობალური ბუნება, რაც ადამიანებს უადვილებს გადაწყვეტილების მიღებას და სამუშაოს არჩევას ან ძიებას, არა მხოლოდ საკუთარ სამშობლოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. საერთაშორისო შრომით მიგრაციას აქვს განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური შედეგები, როგორც მიმღები, ასევე გამგზავნი ქვეყნებისთვის. ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს, შეავსოს კანონმდებლობა შრომითი მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, ხელი შეუწყოს სამუშაო ძალის ხარისხის ამაღლებასა და ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას.*

საკვანძო სიტყვები: *სამუშაო ძალა, შრომითი მიგრაცია, უმუშევრობა, ინდუსტრია, საემიგრაციო პოლიტიკა.*

სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია და მისი ძირითადი საფუძველია მიგრაციული პროცესების მასობრივი ხასიათი. ამ პროცესის მთავარი მიზეზი - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილია. საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს ამ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ფერხულში და შეიძლება ითქვას, ჩვენს ქვეყანაში,გადაჭარბებული ინტერესიც კი არის ამ მიმართულებით.

მიგრაციისაკენ ადამიანებს უბიძგებს საკუთარ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ისინი იძულებული ხდებიან დატოვონ სამშობლო,ოჯახი,ახლობლები გარკვეული დროით წავიდნენ ქვეყნიდან. მათ სხვა ქვეყანაში ხიბლავს ხელსაყრელი ცხოვრების დონე და შრომის მაღალი ანაზღაურება.ამასთან ერთად, მიგრაციას ხელს უწყობს მაღალი მოთხოვნა გარე სამუშაო ძალაზე მიმღები ქვეყნების მხრიდან, და ასევე შესაბამისი საკანონმდებლო სისტემა, რომელიც ხელს უწყობს შრომითი რესურსების გარე მიგრაციას.

საერთაშორისო მიგრაცია არის ქვეყნის მოსახლეობის მასიური გადაადგილება სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის, რაც მნიშვნელოვნად ცვლის ქვეყნების მოსახლეობის დემოგრაფიულ,სოციალურ და რასისტულ-ეთნიკურ სტრუქტურას. იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზეზებს შორის, რომლებიც იწვევენ ადამიანების ასეთ ქცევას, თანამედროვე მსოფლიოსი ყველაზე გავრცელებულია ეკონომიკური ხასიათის მიგრაციული პროცესები,რამაც მიიღო შრომითი მიგრაციის სახელი. ამ პროცესს ხელს უწყობს დასაქმების საერთშორისო ბაზრის გლობალური ხასიათი,რაც ადამიანებს უიოლებს გადაწყვეტილების მიღებას და არჩევანის გაკეტებას, არა მარტო საკუთარ სამშობლოში,არამედ ახვა ქვეყნებშიც ეძიოს სამუშაო. ეს პროცესი თავისთავად მოითხოვს,კრიტიკული თვალით იქნეს დანახული სამამულო განათლების სისტემის კონკურენტუნარიანობა მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების მიმართ, რაც იძლევა საშუალებას მწარმოებლურობის დონის ამაღლებისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში,ამჟამად დაახლოებით,281 მილიონი მიგრანტია. თუმცა ზუსტი ციფრების დადგენა შეუძლებელია, რადგან მათი უმეტესი ნაწილი არალეგალია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიგრანტების უმეტესობა განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობს.

საერთაშორისო შრომითი მიგრაცია განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს აფიქსირებს,როგორც სამუშაო ძალის მიმღები , ასევე გამცემი ქვეყნისათვის - თუ ერთ შემთხვევაში განმუხტავს ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას,მეორე ქვეყანაში იღებენ იაფ სამუშაო ძალას,რომლის მომზადების ეკონომიკური ხარჯები ნულის ტოლია, თუმცა ეს პროცესი უარყოფით შედეგებსაც აფიქსირებს.

სამუშაო ძალის მიმღები ქვეყნისათვის დადებით შედეგს წარმოადგენს:

- ეკონომია შრომის ანაზღაურებაზე იაფი სამუშაო ძალის მოზიდვით
- მაღალეფექტიანი სამეცნიერო კადრების მოზიდვა
- სამგზავრო და საინფორმაციო ურთიერთობების განვითარება
- განათლებაზე გაწეული დანახარჯების ეკონომია
- სამოხმარებლო ბაზრის მოცულობის ზრდა
- ბანკებში იმიგრანტთა თავისუფალი სახსრების მობილობა
- მსოფლიო მასტაბით სამუშაო ძალის გამოყენების თავისუფლება სხვადასხვა ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის.

სამუშაო ძალის მიმღები ქვეყნისათვის უარყოფით შედეგს წარმოადგენს:

- დაძაბული კრიმინალური სიტუაცია ქვეყანაში, განსაკუთრებით არალეგალური შრომითი მიგრანტების მხიდან
- პოლიტიკური არასტაბილურობის საშიშროება
- ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის საშიშროება

სამუშაო ძალის გამცემი ქვეყნებისათვის დადებით ეკონომიკურ შედეგებს წარმოადგენს:

- უმუშევრობის მაჩვენებლების დროებითი გაუმჯობესება
- ემიგრანტთა შემოსავლების შემოდინება ქვეყანაში უცხოური ვალუტის სახით
- თანამედროვე ინდუტრიული განვითარების სრულყოფა
- კრიმინალური მდგომარეობის შერბილება.

სამუშაო ძალის გამცემი ქვეყნებისათვის უარყოფით ეკონომიკურ შედეგებს წარმოადგენს:

- მნიშვნელოვანი დანაკლისი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებაში
- ,,ტვინების გადინება'' ემიგრანტთა სახით
- შრომითი რესურსების განათლებაზე გაწეული და აუნაზღაურებელი ხარჯები.

საქართველოსათვის საერთაშორისო შრომითი მიგრაციით გამოწვეული შედეგები აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.ამის მიზეზები კომპლექსურია და დამოკიდებულია ქვეყნაში განხორციელებულ ეკონომიკურ,სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე, ასევე ადამიანების ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე.

საქართველოში სამუშაო ძალის მიგრაციაზე საუბრისას გამოყოფენ 3 ძირითად ტალღას :

- პირველი ტალღა 1990-1995 წწ. რაც ეკონომიკურ ფაქტორებსა და კონფლიქტებს უკავშირდება (ქვეყანა 650000-მა ადამიანმა დატოვა)
- მეორე ტალღა 1996 წლიდან 2004 წლამდე ეკონომიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია.
- მესამე ტალღა 2004 წლიდან დაიწყო და დღესაც გრძელდება. [1].

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ 26 აპრილს გამოქვეყნებული მონაცემებით, 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით,საქართველოს მოსახლეობა 3 694,6 ათასი ადამიანია, რაც წინა წელთან შედარებით 1,1 %-ით ნაკლებია. აღსანიშნავია,რომ 2023 წელს დაფიქსირდა უარყოითი ბუნებრივი მატება (-2542) და უარყოფითი მიგრაციული სალდო (-39 207).

2023 წელს საქართველოდან ემიგრაცია წინა წელთან შედარებით 95,6 %-ით გაიზარდა. ქვეყანა 245 064 ადამიანმა დატოვა.იმავდროულად, იმიგრაცია 14,5 %-თ, და 205 857 ადამიანამდე გაიზარდა. იმიგრანტების უმრავლესობა(75,9 %) და ემიგრანტები (62,2%) შრომისუნარიან ასაკში იყვნენ (15-64 წლის). აღსანისნავია,რომ იმიგრანტების 44,6% და ემიგრანტების 66,7 % საქართველოს მოქალაქეები იყვნენ.დრჩენილი იმიგრანტების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის, თურქეთის, უკრაინის, ინდოეთის და ბელარუსის მოქალაქეები იყვნენ. [6].

. საქართველო გარკვეულ სარგებელს ნახულობს ემიგრანტთა მიერ გადმორიცხული თანხიდან, რომელიც ხმარდება საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს,ძირითადად სამომხმარებლო ხარჯების სახით, სასურველია ამ შემოსავლების ნაწილის მიმართვა შიდა საინვესტიციო პროექტებზე, რაც განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას.

კვლევითი ცენტრის PMC -ის მომზადებული კვლევებით, 2013-2022 წლების მიხედვით საქართველოში 2013 წელს 1.5 მლრდ დოლარი გადმოირიხცა, რამაც მშპ-ს 11.3 % შეადგინა, ხოლო 2023 წლის 1 დეკემბრისათვის დაფიქსირდა თანხის გადმორიცხვის რეკორდული მაჩვენებელი - 4,4 მილიარდი დოლარი.

კვლევითი ცენტრი PMC წერს,რომ 2022 წელს საქართველო ფულადი გზავნილების მოცულობით მთლიანი შიდა პროდუქტის წილში, მსოფლიოში 24- ე ადგილზე იყო და მეორე ადგილზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, სომხეთის შემდეგ. [3].

ცხრილი 1. ფულადი გზავნილები ევროკავშირიდან და რუსეთიდან 2013-2022 წწ.

მილიონი დოლარი.

წლები	ევროკავშირიდან გადმორიცხული თანხა	%-ად საერთო გზავნილებში	რუსეთიდან გადმორიცხული თანხა
2013	391	26	801
2014	421	29	709
2015	321	29,6	432
2016	352	30	394

2017	414	29,8	455
2018	534	33,8	457
2019	647	37	428
2020	763	40	363
2021	955	40,6	411
2022	1068,4	24	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge

მიგრაცია დღეს უკვე არ წარმოადგენს უცხო მოვლენას და იგი გარდაუალია,რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი თავის ქვეყანაში ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას უნარ-ჩვევებით, განათლებით, სამუშაო გამოცდილებით თუ სხვა ფაქტორებით , რის შედეგადაც ქვეყნიდან გაედინება განათლებული კაპიტალის დიდი ნაწილი. ე.წ "ტვინების გადინება", დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ყველა ქვეყნისათვის.

საქართველოში ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე, აუცილებელია მიგრაციული პროცესების დარეგულირება მასზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინებით:

- უმუშევრობის შემცირება
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიგრაციის დინამიკაზე კონტროლი.
- დაბრუნებული შრომითი რესურსების შენაჩურნება და დასაქმება .
- კვალიფიციური სპეციალისტების მიგრაციის შემცირება.
- უცხოელი მეცნიერების მოზიდვა სამეცნიერო პროექტებზე სამუშაოდ.

ჩვენმა ქვეყანამ დიდი ძალისხმევა უნდა ჩადოს საკუთარი ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესში, თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს მსოფლიო შრომითი მიგრაციის პროცესი და ჩაებას როგორც ეროვნული, ისე ეროვნებათაშორისო რეგულირების პროცესში, შექმნას საკუთარი და წარმატებით გამოიყენოს მსოფლიოში აპრობირებული შრომითი მიგრაციის დასარეგულირებელი კანონები.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. მ.ტუხაშვილი, „შრომითი მიგრაცია", სალექციო მასალა,თსუ, თბილისი,2019.

2. გოგოლაშვილი, კ. (2019). ცირკულარული შრომითი მიგრაციის ახალი შესაძლებლობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის . *საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი.*
3. მარიამ ვარადაშვილი ,,4,4 მილიარდი დოლარი - ემიგრანტებმა საქართველოში რეკორდული თანხა გადმორიცხეს'', 1.12.2023 წ. ..რადიო თავისუფლება. www.radiotavisufleba.ge
4. საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge
1. 6- Civil Georgia https://civil.ge › archives
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) Geostat.

International labor migration and its socio-economic consequences

Megi Gorgaslidze
Academis doctor of ecomomics, associate professor
Akaki Tsereteli State University
megi.gorgaslidze@atsu.edu.ge

Summary

The formation of the world labor market is a long historical process, and its main basis is the mass nature of migration processes. The main reason for this process is the desire to improve the economic situation. In the modern world, migration processes of an economic nature are the most common, which received the name of labor migration. This process is facilitated by the global nature of the international employment market, which makes it easier for people to make decisions and choose or look for work not only in their own homeland, but also in neighboring countries. International labor migration has different socio-economic results, both for the receiving and the sending countries. The economic policy of the country should comply with the requirements of modernity, complete the legislation regarding the issues of labor migration, contribute to raising the quality of the workforce and improvement of the country's economy.

Keywords: labor force, labor migration, unemployment, industry, immigration policy.

ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრობლემები საქართველოში

მადონა კანტიძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Madona.kantidze@gmail.com

ანოტაცია. *ბოლო პერიოდში, საქართველოში არასტაბილურმა ეკონომიკურმა გარემომ, რომელზეც პირდაპირპროპორციულად იმოქმედა პანდემიამ და პოლიტიკურმა დაძაბულობამ/კონფლიქტებმა, როგორც ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მნიშვნელოვნად დააზარალა ქვეყნის წინაშე არსებული განვითარების პერსპექტივები. ცხადია, როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე ეკონომიკის წარმატებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარება, რაც თავისმხრივ მოითხოვს ქვეყანაში, როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე ეკონომიკული სისტემების გამართულობასა და განვითარებას. მიკრო და მაკრო დონეებზე ეკონომიკული სისტემების გამართულობა იცავს ბიზნეს სუბიექტებს არასამართლიანი კონკურენციისგან და აძლევს მათ პროგრესის საშუალებას. როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ ბაზრებზე ბიზნეს ერთეულებს უხსნის გზას წარმატების მისაღწევად, რაც ეხმიანება ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების განმტკიცების მიზანს. მოცემული კვლევა, საქართველოში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრობლემებს ეთმობა, რომელიც აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის წარმატებას. კვლევაში განხილულია ის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც გარკვეულწილად შეამსუბუქებენ ამ პრობლემათა უარყოფით შედეგებს.*

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური, ზრდა, განვითარება, პოლიტიკური სტაბილურობა.*

შესავალი

საქართველოს, ბოლო პერიოდის განმავლობაში ომებისა და პანდემიით გამოწვეული უარყოფითი გავლენების გამო, მეტად გაუჭირდა ეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება, რაც გულისხმობს ბაზრის სუბიექტების მხრიდან მცდელობებს, რომ მიაღწიონ სტაბილურობას, ან სიტუაციას, როდესაც სარგებელი

პროდუქტის დამატებითი ერთეულიდან ფარავს ამ ერთეულის შეძენაზე გაწეულ ხარჯებს.

გარდა ბიზნეს ერთეულთა დიდი ინტერესისა, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილური ეკონომიკური გარემო, არანაკლებია საზოგადოების დაინტერესება, რადგან მათი კეთილდღეობის ამაღლება სულ უფრო მეტად ხდება ეკონომიკის განვითარებაზე დამოკიდებული, აქ იგულისხმება ეკონომიკის პროგრესული, თვისებრივი ცვლილებები და არა უშუალოდ „ზრდა“. სწორედ ამ მიზეზით შემოდის ცნება - ინოვაციები, რომლის გარეშეც პროგრესი წარმოუდგენელია. განვითარებად ქვეყნებში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ეკონომიკური განვითარების შეფერხებისა, სწორედ ამ ინოვაციათა დანერგვისთვის საჭირო რესურსების სიმცირეა.

სწორედ ამიტომ, მეტად აქტუალურია საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რისთვისაც თავისმხრივ აუცილებელია, უპირველესად ქვეყნის შიდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა. აღნიშნული კი კომპლექსურ კვლევას, შესაბამის დაგეგმვას, შემდგომ კი განხორციელებასა და კონტროლს საჭიროებს, რომელიც მიმართული იქნება ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ.

ეკონომიკური ზრდის ტემპი საქართველოში

2020 წელს კოვიდ პანდემიამ, როგორც სხვა ქვეყნებში, ასევე საქართველოშიც უარყოფითი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ ზრდაზე და მისი მაჩვენებელი -6.8% შეადგენდა. თუმცა, პოზიტიური ცვლილება მოხდა 2021 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში და 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 3%-ით. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, როგორც საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ვეცნობით, 2022 წელს რეალური მშპ-ის 11%-იანი ზრდა დაფიქსირდა, 2023 წელს 7.5%, ხოლო 2024 წლის იანვრის მონაცემებით 5.8%-იანი ზრდა. (იხ. გრაფიკი 1).

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ 2024 წლის მშპ-ის ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: საფინანსო და სადაზღვევო ბიზნესი, მშენებლობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ხოლო კლების ტენდენცია კი დაფიქსირდა ვაჭრობის, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ბიზნესისა და მრეწველობის სექტორებში.

გრაფიკი 1.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ვაჭრობის მხრივ პრობლემებზე ნათლად მეტყველებს გრაფიკი 2, რომელიც აჩვენებს წინა წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებული ექსპორტის მაჩვენებლის პროცენტულ კლებას.

გრაფიკი 2.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

მოცემული ზრდის ტენდენცია, რომელიც დაფიქსირდა მშენებლობასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ნათლად მიუთითებს რუსეთ-უკრაინის ომის გავლენაზე, რაც გამოწვეულია 100 ათასამდე ემიგრანტის შემოსვლით. გარდა ამისა რუსეთიდან გზავნილების მოცულობა 2022 წელს 50%-ით გაიზარდა და 1.1 მილიარდი დოლარი შეადგინა. მიუხედავად ამ დადებითი ეფექტებისა, რა თქმა უნდა მეზობელ ქვეყანაში ომი ეკონომიკურად ძალზე არახელსაყრელია და მნიშვნელოვან

შემაფერხებელ ფაქტორებს ქმნის საბაზრო ურთიერთობებში. აღნიშნულს აჩვენებს საქართველოში ეკონომიკის ზრდის ტემპი, 2021 და 2022 წლებში ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ფიქსირდებოდა, ხოლო 2023 წელს ეს ზრდა შენელდა და ზრდის ნიშნულმა 5%-მდე ჩამოიწია.

ქვეყანაში მნიშვნელოვნად არის იმპორტი გაზრდილი, ხოლო ექსპორტი შემცირებული, რაც თავისმხრივ მიუთითებს მშპ-ის არასაკმარისობაზე, დარგების განვითარების/ზრდის სუსტ ტემპზე და სხვა რიგ პრობლემებზე, რომელიც აფერხებს გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად მისაწოდებელი პროდუქტებისა, თუ მომსახურების შიდა წარმოებას. სავარაუდოა, რომ სახელმწიფო მონეტარული პოლიტიკის დახმარებით ეცდება სიტუაციის დასტაბილურებას და მოცემულ პოლიტიკას გონივრულ ფარგლებში მიმართავს ეკონომიკური ზრდის მხარდასაჭერად.

ეკონომიკის ზრდის შემაფერხებელი გარემოებები საქართველოში

ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი განვითარებისათვის, აუცილებელია სამრეწველო ძალების, მეცნიერებატევადი მიმართულებების, კულტურის, განათლების და ცხოვრების ხარისხობრივი, დადებითი ცვლილებების გაფართოება.

მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის, ბოლო 5 თვის ეკონომიკური ზრდა 9.3%-ს უთანაბრდება, მაინც მკაფიოა ის შემაფერხებელი ფაქტორები, რომელიც ქვეყანას უშლის ხელს, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ორნიშნა გახდეს. პარალელი რომ გავავლოთ სხვა ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებთან, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი მოცემული მომენტისათვის ყველაზე მაღალია. ამ პოზიტიური სურათის უკან დგას დიდი შესაძლებლობები, რომელსაც საქართველო არსებული პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, უბრალოდ ვერ იყენებს.

საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტშია, რუსეთ-უკრაინის ომი, ასევე ბოლოდროინდელი მოვლენები, რომელიც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ განხეთქილებებს ეხება, მნიშვნელოვნად აბნევს უცხოელ ინვესტორებს დასავლეთიდან, მათ უჭირთ ინვესტიციის შემოტანა ქვეყანაში, სადაც ზედმიწევნით, მკაფიოდ ვერ ხედავენ დასავლურ კურსს.

გარდა ამისა, დიდია ქვეყნიდან ახალგაზრდა, ადამიანური კაპიტალის გადინება, რომელიც უმნიშვნელოვანესია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისათვის. როგორც ვიცით, ცალკე აღებული მატერიალური აქტივები არაფრის მომცემია, თუ მას ეფექტურად არ მივმართავთ მაქსიმალური დოვლათის შექმნისაკენ. გარდა ამისა, ტექნოლოგიური წინსვლა, განსაკუთრებით კი ხელოვნური

ინტელექტის განვითარება, კიდევ უფრო მეტად ინტეგრირდება ქვეყნის შიდა წარმოების თითქმის ყველა დარგში. ბიზნესის მდგრადობისა და განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ციფრული ტექნოლოგიების და ადამიანური რესურსების პოტენციალის ათვისება, რომელიც ერთმანეთის გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია.

შესაძლოა, ცალკე გამოვყოთ არსებული ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელი რისკ-ფაქტორი, რომელიც რუსეთის ენერგორესურსებზე დამოკიდებულებას გულისხმობს. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად უნდა იქცეს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა და რეგიონულ დონეზე ენერგეტიკული პარტნიორობის გაღრმავება. აქ აღსანიშნავია საქართველოს პოტენციალი ჰიდროენერგიისა და მზის ენერგიის მიმართ, რომელიც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და მდგრადობისათვის. აღნიშნული მოითხოვს მწვანე ინვესტიციების მოზიდვასა და შესაბამისად მისი განხორციელებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას ქვეყანაში.

მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტი ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში, ივაილო იზვორსკი აცხადებს:

„ რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში, კერძო სექტორი დაბრკოლებებს აწყდება, რაც აფერხებს გაფართოებისა და ინოვაციების დანერგვის შესაძლებლობას. ბიზნესის დინამიზმის ხელშეწყობა, გარკვეულ გამოწვევებზე რეაგირებას მოითხოვს, მათ შორისაა კონკურენტული გარემოს განვითარება, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირება, განათლების ხარისხის ამაღლება და ფირმებისთვის დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.“

შესაძლოა მსგავსი მოცემულობა განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე. სამწუხაროა, რომ ცალკეული ბიზნეს შეღავათები, რასაც აწესებს ჩვენი ქვეყნის მთავრობა, არ არის არსებითად მნიშვნელოვანი პროგრესისთვის საკმარისი. ქვეყანას სჭირდება მეტი ინტელექტუალური კაპიტალი, რომელსაც ექნება საშუალება, რომ საქართველოში დანერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და განავითაროს შრომითი რესურსები. უმეტესად ახალგაზრდები, რომლებიც საზღვრებს გარეთ იღებენ განათლებას ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით, იქვე რჩებიან მომავალი კარიერული ზრდის მეტი პერსპექტივის გამო. ამიტომ, მნიშვნელოვანია აღნიშნული ტექნოლოგიების დროული შემოტანა ქვეყანაში და განათლების მიღების ხარისხის ზრდა მაღალტექნოლოგიური ინვენტარისა და რესურსების გამოყენებით.

დასკვნა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკონომიკის ამჟამინდელი მდგომარეობა, ის შეფერხებები და სტრატეგიული განვითარების ტემპის ცვლილება, მეტი ზრდის შეფერხება, გამოწვეულია იმ პოლიტიკური დაძაბულობის გამო,

რომელიც ქვეყნის გარეთ და მის შიგნით არსებობს. მიმდინარე წლის საპარლამენტო არჩევნებიც, ერთგვარი გარდამავალი პერიოდის მნიშვნელოვანი ეტაპია ეკონომიკის სტაბილიზების პროცესში. ახალი, 2025 წლიდან ვიმედოვნებთ, ნათლად გვექნება განსაზღვრული და მკაფიოთ გაწერილი ეკონომიკის განვითარების გზები, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის პოტენციალის, მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების ხელშეწყობისა და განვითარებისკენ, როგორებიცაა: ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით მაქსიმალური დამოუკიდებლობის მოპოვება, მცირე და საშუალო მეწარმეობის მეტი ხელშეწყობა, რომელიც თავისმხრივ უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ადგილობრივ დასაქმებას, საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გაუმჯობესებას, მშპ-ის, ექსპორტის ზრდას და ა.შ.

მეცნიერებატევადი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების ახალი მიდგომების დანერგვა, მეცნიერული ცოდნის ინოვაციებად გარდაქმნის პროცესის მუდმივობა, მოიტანს შედეგს, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს კონკურენტუნარიანობას ინოვაციური მიმართულებით. აღნიშნული კი უზრუნველყოფს, ახალი შესაძლებლობების პროცესის მუდმივ ძიებას და პროგრესულ მიდგომებს, როგორც კვლავწარმოების, ასევე სხვა ეკოლოგიურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო ინსტრუმენტების არსებობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბერულავა, მ. ცუცქირიძე. „ბიზნესის ინოვაციური განვითარების შესაძლებლობა და პერსპექტივები საქართველოში“. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი XIV, თსუ, პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2022.
2. სტატია: „ეკონომიკური ზრდის მიმოხილვა“. 16.02.2022 წ. ვებ: IDFI - https://idfi.ge/ge/economic_growth_overview (წყარო დაგამოწმებულია: 29.06.2024)
3. სტატია: “2024 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა 4.8%-მდე შემცირდება - მსოფლიო ბანკი“. 10.01.2024 წ. ვებ: https://commersant.ge/news/busuness/es-yvelaferi-gaachens-garkveul-khvrelebs-araferi-ar-aris-uketesobisken-ra-itsvleba-satamasho-biznesistvis (წყარო გადამოწმებულია 29.06.2024)
4. პრესრელიზი: „ნელი ზრდა აფერხებს ეკონომიკურ აღდგენას ევროპისა და ცენტრალური აზიის განვითარებად ქვეყნებში.“ 11 აპრილი, 2024. The World Bank.
5. „ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება“. მაისი 2024; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.
6. „Global Economic Prospects.” A world bank Group; pg – 25-26; June, 2024.

Problems of economic growth and development in Georgia

Madonna Kantidze
Doctor of Business Administration, Assistant Professor
Akaki Tsereteli State University
Madonna.kantidze@gmail.com

Recently, the unstable economic environment in Georgia, directly affected by the pandemic and political tensions/conflicts both in the country and abroad, has significantly affected the development prospects of the country. Obviously, the development of business and entrepreneurship is a necessary condition for the success of the economy at both the micro and macro levels, which in turn requires the development of economic systems at the micro and macro levels in the country. The soundness of economic systems at the micro and macro levels protects business entities from unfair competition and allows them to progress. It paves the way for business units to succeed in both local and global markets, which echoes the goal of strengthening European integration ties. This study is dedicated to the new problem of economic growth and development in Georgia, which hinders the success of the country's economy. The research discusses the main tools that will somewhat alleviate the negative consequences of these problems.

Keywords: economic growth, development, political stability.

მესამე სექცია

გენდერული უთანასწორობის პრობლემა და მისი სტატისტიკური შესწავლის დონე საქართველოში

სიმონ გელაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
simon.gelashvili@tsu.ge

მარიამ ოქრუაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
m.oqruashvili27@gmail.com

ანოტაცია. *გენდერული თანასწორობა არა მარტო ადამიანის იურიდიული და მორალური უფლებაა, არამედ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელ ია. ზოგადად, თანამედროვე ეტაპზე გენდერული თანასწორობა ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. იმისათვის, რომ გლობალური, რეგიონული თუ ნაციონალური ეკონომიკა სასურველ მდგომარეობაში იყოს, ამისათვის უმნიშვნელოვანესია ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და მისი რაციონალური გამოყენება. აღნიშნულის მიღწევა, ბუნებრივია, უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის მინიმიზაციას. სტატიის მიზანია საქართველოში გენდერული უთანასწორობის გამოწვევების სტატისტიკური შესწავლის დონის შეფასება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მოპოვებული და კრიტიკულად განხილულია ახალი და უახლესი სათანადო სამეცნიერო პუბლიკაციები, ასევე სხვადასხვა საჯარო და არასახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები. ამ პროცესში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ისე სტატისტიკური მეთოდები. სტატიაში ნაჩვენებია, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლას არა აქვს დიდი ხნის ისტორია და სულ რაღაც ორ ათეულ წელს ითვლის. როგორც სათანადო პუბლიკაციების განხილვამ აჩვენა, ადგილი აქვს არა გენდერულ თანასწორობას, არამედ უთანასწორობას და ეს მდგომარეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მეტ-ნაკლები მასშტაბით ვლინდება. ამიტომ ამ შემთხვევაში ჩვენი საკვლევი თემის აქტუალურობა ეჭვგარეშეა და მას თეორიულთან ერთად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გენდერული უთანასწორობის პრობლემა არ არის კომპლექსურად შესწავლილი. მათში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგიერთი*

კონკრეტული საკითხი და ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი გენდერული უთანასწორობის ბევრი ასპექტი და მისი გამომწვევი ფაქტორები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია არასაკმარისი, არასრულყოფილი და ხშირად არასანდო ინფორმაცია, რაც არცთუ იშვიათად რეალურ მდგომარეობას არ, ან ვერ ასახავს.

საკვანძო სიტყვები: *გენდერული უთანასწორობა, გენდერული სტატისტიკა, ქალებზე ძალადობა, უთანასწორობა დასაქმებაში, ქალთა აუნაზღაურებელი შრომა.*

შესავალი

გენდერული თანასწორობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ქალებისა და კაცებისათვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, ასევე, თანაბარ წარმოჩენასა და მონაწილეობას როგორც საზოგადოებრივ, ისე პირადი ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ გენდერული უთანასწორობა ჯერ კიდევ გლობალური პრობლემაა და როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს დარჩება მრავალი ქვეყნის გამოწვევად. ამიტომ უმნიშვნელოვანესია მისი კომპლექსური შესწავლა და ანალიზი. აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა და ქალთა შესაძლებლობების გაუმჯობესება გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზანს წარმოადგენს. გარდა ამისა, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ ინდიკატორებს მოიცავს სხვა მიზნებიც, რომელთა მიღწევაც მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული ინდიკატორების მონიტორინგისა და სამიზნე მნიშვნელობების მიღწევის განსაზღვრისათვის აუცილებელია გენდერული სტატისტიკის უფრო მეტად განვითარება და სრულყოფა, რადგან იგი სტატისტიკის შედარებით ახალი მიმართულებაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს მის მრავალმხრივ შესწავლას და თვისებრივ და რაოდენობრივ ანალიზს. აღნიშნული მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო სტრუქტურებისთვისაც, მათ შორის საკანონმდებლო ორგანოებისთვის, ამ საკითხებზე მომუშავე პირებისა და, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია შესადარისი და რეალური მდგომარეობის ამსახველი ადეკვატური სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება.

გენდერული სტატისტიკის მუდმივი განვითარება და სრულყოფა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ამ მხრივ საქსტატის მიერ შემუშავებულია ორი ძირითადი სტატისტიკური პროდუქტი, ესენია: გენდერული სტატისტიკის პორტალი და პუბლიკაცია „ქალი და კაცი საქართველოში“, რომელიც ბოლო ათწლეულში რეგულარულად ქვეყნდება. აღნიშნული პროდუქტები მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველ მრავალ მაჩვენებელს გენდერულ ჭრილში.

ძირითადი შინაარსი

გენდერული თანასწორობის საკითხებით, პირველ რიგში, დაინტერესებულია სამეცნიერო და აკადემიური საზოგადოება. სხვადასხვა პუბლიკაციის განხილვამდე, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს გენდერული სტატისტიკის 2 სახელმძღვანელოს შესახებ, რომელიც მომზადდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე. პირველია **„გენდერული სტატისტიკის საკითხები“** (ავტორები: ს. გელაშვილი და ლ. ჩარექიშვილი), რომელიც გამოიცა 2016 წელს აზიის განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, ხოლო მეორეა **„გენდერული სტატისტიკა** /თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა/“ *(ავტორები: ს. გელაშვილი, ნ. აბესაძე. ლ. ჩარექიშვილი, მ. ოქრუაშვილი, ელექტრონული ვერსია, 2022 წელი).* იგი გათვალისწინებულია მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთათვის და მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ნაწილს. აღნიშნული სახელმძღვანელო უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ გენდერული სტატისტიკით დაინტერესებული სხვა პირებისთვისაც, რადგან ის იძლევა საკმაოდ დიდ ინფორმაციას როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. სახელმძღვანელოში მკითხველი გაეცნობა ქვეყანაში არსებული გენდერული უთანასწორობის მრავალ ასპექტს, მაჩვენებელთა გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდოლოგიასა და მეთოდს, ასევე საშუალება ექნება შეაფასოს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და სხვ.

უახლოეს წლებში საქართველოში გამოქვეყნებულია არაერთი სამეცნიერო სტატია, რომელიც მკაფიოდ გვიჩვენებს ქვეყანაში არსებულ გენდერულ უთანასწორობას, განსაკუთრებით კი შრომის ბაზარზე. ესენია: ს. გელაშვილი და გ. თოდრაძე - **დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით;** ს. გელაშვილი და მ. ოქრუაშვილი - **გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე;** ს. გელაშვილი და მ. ოქრუაშვილი - **შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით.** დასახელებულ ნაშრომებში განხილულია ძირითადად ანაზღაურებადი შრომა, რაც ადასტურებს ქვეყანაში აუნაზღაურებელი შრომის მიმართულებით სამეცნიერო ნაშრომების სიმცირეს. აუნაზღაურებელი შრომის შესწავლა საქართველოში ეფუძნება გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ 2018 წელს ჩატარებულ კვლევას, რომლის დროსაც რესპონდენტებს სთხოვდნენ დაესახელებინათ სხვადასხვა საოჯახო და ზრუნვის შრომის აქტივობებზე დაახლოებით რამდენ დროს ხარჯავენ. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ უმუშევარი ქალები აუნაზღაურებელ შრომაზე დიდ დროს

ხარჯავენ. ასევე დაბალი ეკონომიკური აქტივობის უმთავრეს მიზეზად ზრუნვის აუნაზღაურებელი შრომა სახელდება. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა გლობალურია და აუნაზღაურებელი და ანაზღაურებადი შრომის ტვირთი ქალებისათვის უფრო მაღალია მსოფლიოს მასშტაბით, საქართველოში ზემოაღნიშნულს კიდევ უფრო მეტად პატრიარქალური ნორმები და ღირებულებები განსაზღვრავს, რომლის თანახმადაც საოჯახო საქმიანობები როგორც ქალთა, ასევე კაცთა შეხედულებებით, ქალთა ვალდებულებად აღიქმება *(UN Women, UNPAID CARE WORK IN GEORGIA, 2022)*. დასახელებული ნაშრომი ზოგად წარმოდგენას იძლევა აუნაზღაურებელ შრომაზე როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი პუბლიკაციების შესახებ: **„გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში“** (ავტორი ხ. ბერიშვილი), რომელშიც განხილულია სხვადასხვა კვლევის შედეგები, ასევე მეცნიერთა შეხედულებები. მასში ნაჩვენებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს გენდერულ თანასწორობას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და კეთილდღეობაზე. პრობლემის განსაკუთრებული სიმწვავით გამოირჩევა განვითარებადი ქვეყნები, სადაც მის აღმოფხვრას კიდევ უფრო მეტად კულტურული და ტრადიციული ფაქტორები ართულებს.

ნაშრომში - **„ქართველი ქალის ტვირთი: როგორ იმოქმედა პანდემიამ საოჯახო სამუშაოების განაწილებაზე მამაკაცებსა და ქალებს შორის და რატომ აქვს მას მნიშვნელობა“** - წარმოდგენილია ზოგადი ინფორმაცია აუნაზღაურებელ შრომაზე, რომელიც საკმაოდ არათანაბრადაა განაწილებული განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ხოლო განვითარებად ქვეყნებში აღნიშნული მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება. შესაბამისად, ასეთ ქვეყნებში მთელი აუნაზღაურებელი შრომის 80.2 პროცენტს ქალები ასრულებენ. ნაშრომში საუბარია, რომ შრომის ბაზარზე არსებული გენდერული უთანასწორობა მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ქალთა ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მათ სიღარიბეზე. გარდა ამისა, აუნაზღაურებელი შრომით განპირობებულია ისიც, რომ ქალებს განათლებისათვის უფრო ნაკლები დრო რჩებათ *(Babych, Mzhavanadze, & Keshelava, 2021)*.

გენდერული უთანასწორობის პრობლემაზე მუდმივად მუშაობს გაეროს ქალთა ორგანიზაცია და, კერძოდ კი, მისი წარმომადგენლობა საქართველოში, რომელსაც არაერთი მნიშვნელოვანი პუბლიკაცია აქვს აღნიშნული საკითხის შესწავლაზე, ანალიზსა და მისი გადაჭრის გზებზე. ერთ-ერთი მათგანია **„ქვეყანაში გენდერული თანასწორობის პროფილი“,** რომელშიც განხილულია პეკინის სამოქმედო პლატფორმის 12 ძირითადი მიმართულება, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და პოლიტიკა, ეროვნული მონაცემები და, რაც მთავარია, აღნიშნული პრობლემის მინიმიზაციისა და აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანი რეკომენდაციები *(გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო, 2021)*.

გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია პუბლიკაციციები, რომლებიც მომზადდა სხვადასხვა კვლევის ფარგლებში, მაგალითად, გაეროს წარმომადგენლობის მხარდაჭერით. მათგან ერთ-ერთია **„ზრუნვის დროა: ქალების აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა და უთანასწორობის კრიზისი საქართველოში“,** რომელიც დაიწერა დროის გამოყენების გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ზრუნვის პასუხისმგებლობების ასეთი მაღალი უთანასწორობა გამოწვეულია ძირითადად გენდერული როლებითა და სტერეოტიპებით. აღნიშნული პრობლემა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში კიდევ უფრო მწვავეა იმის გამო, რომ ბაზისურ ინფრასტრუქტურასა და საჯარო სერვისებზე წვდომა უფრო შეზღუდულად აქვთ, ასევე სამუშაო ძალაში მონაწილეობის უფრო მაღალი გენდერული უთანასწორობაა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, ეკონომიკურად არააქტიურ ქალთა 41 პროცენტი სწორედაც ამ ვალდებულებების გამო არ მონაწილეობს სამუშაო ძალაში. ეს კი, ბუნებრივია, საკმაოდ დიდი ბარიერია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართულობისათვის. აღნიშნული არა მარტო ქალების, არამედ მთლიანად საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია. პუბლიკაციაში მოცემულია ასევე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები, რომელთა შესრულებაც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს ქალთა ჩართვას შრომის ბაზარზე და, შესაბამისად, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას. შრომის ბაზარზე უფრო მეტად სამართლიანი შედეგებისათვის მნიშვნელოვანია ზრუნვის პოლიტიკაში ინვესტირება, რაც ქალებს შეუმსუბუქებს აუნაზღაურებელი შრომით მიღებულ შედეგებს. გარდა ამისა, გენდერული თანასწორობის კვლევისას გასათვალისწინებელია **დროითი სიღარიბის** ცნებაც, რომელიც შემოღება გაეროს მიერ და გულისხმობს თავისუფალი დროის დეფიციტს. იგი გვიჩვენებს გახანგრძლივებული მუშაობის გამო, ეს იქნება ანაზღაურებადი თუ აუნაზღაურებელი შრომა, დროის უქონლობას დასვენებისა და გართობისთვის. შემოღებულია დროითი სიღარიბის სამი კატეგორია, ესენია: დაბალი დროითი სიღარიბე, რაც გულისხმობს კვირაში 60 საათზე მეტ სამუშაო დროს, რომელიც ფიქსირდება ქალების - 52.0 პროცენტისათვის, ხოლო კაცების 40.9 პროცენტისათვის, ზომიერი დროითი სიღარიბე, რომელიც განისაზღვრება შესაბამისად კვირაში ნამუშევარი 71 საათზე მეტი დროით, რომელიც ქალებისათვის 29.6, ხოლო კაცებისათვის 20.9 პროცენტია და მაღალი დროითი სიღარიბე, რომელიც კვირაში 82.5 საათზე მეტი სამუშაო დროით განისაზღვრება და შესაბამისად, ქალებისათვის 11.3, ხოლო კაცებისათვის 8.9 პროცენტია (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ზრუნვის დროა: ქალების აუნაზღაურებელი ზრუნვის შრომა და უთანასწორობის კრიზისი საქართველოში, 2022).

გაეროს ბავშვთა ფონდისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ მომზადდა პუბლიკაცია **„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და ბავშვები საქართველოში: მონაცემთა მიმოხილვა“.** აღსანიშნავია, რომ ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციას განიცდიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, განსაკუთრებით კი, ქალები და ბავშვები, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია. აღნიშნული პრობლემა ამჟამად საკმაოდ აქტუალურია და უმნიშვნელოვანესია მისი კომპლექსური ანალიზი, რაც, შესაძლოა, იყოს მოცემული პრობლემის მინიმიზაციისა და აღმოფხვრის საფუძველი. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემებით, ქვეყანაში მოსახლეობის 5.0 პროცენტს აქვს ფუნქციური შეზღუდული შესაძლებლობები, მათ შორის ქალების 5.6-ს, ხოლო კაცების
4.3 პროცენტს.

რაც შეეხება შშმ პირების განათლების სტატისტიკას, დაწყებითი განათლების მიღების მაჩვენებლებში ბიჭებსა და გოგოებს შორის არსებითი განსხვავება არ არის. თუმცა, განსხვავებები შეინიშნება უფრო მაღალ საფეხურზე. მაგალითად, აღწერის მონაცემებით, სრული ზოგადი განათლების მიღების ალბათობა ბიჭებისთვის უფრო მაღალია, შესაბამისად, ბიჭების 60.3 და გოგოების 55.8 პროცენტი, ხოლო უმაღლესი განათლების შემთხვევაში სურათი საპირისპიროა: შესაბამისად, ქალების - 16.4, ხოლო კაცების - 13.3 პროცენტი. სამუშაო ძალაში ჩართულობისა და დასაქმების მაჩვენებლებში, შშმ პირების შემთხვევაში, კიდევ უფრო თვალსაჩინოა გენდერული უთანასწორობა. სამუშაო ძალაში ჩართულობა ქალებისათვის 34.6-ს, ხოლო კაცებისათვის 54.1 პროცენტს შეადგენს.

შშმ პირებზე საუბრისას ჯანდაცვის საკითხის გარდა, არანაკლებ მწვავეა დანაშაულისა და უსაფრთხოების საკითხები. აღსანიშნავია, რომ შშმ პირები დანაშაულის მსხვერპლნი უფრო ხშირად არიან. შშმ კაცთა 2.6, ხოლო ქალთა 5.7 პროცენტი იყო ძარცვის ან თავდასხმის მსხვერპლი. აღნიშნული მაჩვენებელი არა შშმ პირების შემთხვევაში გაცილებით უფრო მცირეა და ქალებისათვის 1.6-ს, ხოლო კაცებისათვის 0.8 პროცენტს შეადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალადობის მსხვერპლნი, ეს იქნება სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობა, შშმ ქალები უფრო ხშირად არიან *(გაეროს ქალთა ორგანიზაცია, იუნისეფი, 2021).*

გენდერულ საკითხებზე მუშაობს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომლის ხელმძღვანელობითაც მომზადდა პუბლიკაცია **„გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები”.** აღნიშნული წარმოადგენს ღირებულ დოკუმენტს არა მარტო პარლამენტის საქმიანობისათვის, არამედ უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, ამ საკითხზე მომუშავე მეცნიერთა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ანგარიშში წარმოდგენილია ამ მიმართულებით

ექსპერტების მიერ მოპოვებული და დამუშავებული მონაცემები, განხილულია საკანონმდებლო ბაზა და ბარიერები, გამოწვევების შესაძლო გადაჭრის გზები და პერსპექტივები კონკრეტული რეკომენდაციების შესრულებისათვის *(გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭო, 2017).*

გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ყველაზე ამორალური და მწვავე ფორმაა ქალებზე ძალადობა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ქმედება კანონმდებლობით ისჯება, ეს პრობლემა დღესაც საკმაოდ აქტუალურია. 2017 წელს საქართველოში პირველად ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა. გამოკვლევა განახორციელა საქსტატმა, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით (ანალოგიური კვლევა 2022-2023 წლებშიც ჩატარდა). კვლევის ფარგლებში შეგროვდა ინფორმაცია მეუღლე/პარტნიორისა და არაპარტნიორის მხრიდან ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებისა და მისი ფორმების შესახებ, ქალთა მიმართ ძალადობისადმი დამოკიდებულებების, მეუღლე/პარტნიორის მხრიდან ძალადობის გავლენაზე ქალის ფიზიკურ, ფსიქიკურ, რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და ბავშვთა კეთილდღეობაზე, მეუღლის პარტნიორის მხრიდან ძალადობასა და სექსუალურ ძალმომრეობაზე ქალთა რეაგირებასა და დაძლევის სტრატეგიებზე.

2022 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის გამოკვლევის თანახმად, ნებისმიერი სახის ძალადობა ცხოვრების მანძილზე განიცადა გამოკითხულ ქალთა 50.1 პროცენტმა, ხოლო ბოლო 12 თვის მანძილზე - 18.2 პროცენტმა. 15 წლის და უფროსი ასაკის ქალებისა და გოგოების პროცენტული წილი, რომელთა მიმართ ადგილი ჰქონდა ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას ამჟამინდელი ან ყოფილი ინტიმური პარტნიორის მხრიდან, ბოლო 12 თვის მანძილზე შეადგენდა 10.1 პროცენტს, რაც მდგრადი განვითარების მიზნების SDG 5.2.1 ინდიკატორს წარმოადგენს *(UN Women, National Study on Violence against Women in Georgia, 2022).*

საქსტატის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ ძალადობის ხშირი გამოვლინებაა ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს როგორც ემოციურ ძალადობას, ასევე მაკონტროლებელ ქცევას. აღნიშნული კვლევის თანახმად, ოდესმე პარტნიორულ ურთიერთობაში მყოფი ქალების 13 პროცენტს განუცდია ფსიქოლოგიური ძალადობა. ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა მეუღლე/პარტნიორის მიერ ქალის საზოგადოებაში დამცირება. აღნიშნული დააფიქსირა გამოკითხულ ქალთა 8.5 პროცენტმა, შეურაცხყოფის მიყენება და ისე მოქცევა, რომ ქალს საკუთარ თავზე ცუდი წარმოდგენა შეექმნა, დააფიქსირა გამოკითხულთა 8.3 პროცენტმა, გამოკითხულ ქალთა 5.7 პროცენტის შემთხვევაში მეუღლე/პარტნიორმა დააფრთხო ან დააშინა, 4.2 პროცენტის შემთხვევაში გაანადგურა/დაამტვრია საგნები, რომლებიც მნიშვნელოვანი

იყო მისთვის, ხოლო 3 პროცენტის შემთხვევაში მეუღლე/პარტნიორი ემუქრებოდა, რომ ზიანს მიაყენებდა მას ან მისთვის ძვირფას ადამიანებს.

იმავე კვლევის შედეგების მიხედვით გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან ჩანს, რომ ფსიქოლოგიურ ძალადობასთან ერთად საკმაოდ გავრცელებულია ეკონომიკური ძალადობა, რომელშიც მოისაზრება მეუღლის მიერ სამსახურის ან ფულის შოვნის დაშლა, საკუთარი შემოსავლის წართმევა, ასევე შესაძლოა მეუღლე/პარტნიორი ქალს უარს ეუბნებოდა შინამეურნეობის ხარჯების დასაფარად ფულის მიცემაზე, მაშინ, როდესაც სხვა საგნების შესაძენად ფული ჰქონდა. აღნიშნული შემთხვევებიდან სულ მცირე 1 დააფიქსირა გამოკითხულ ქალთა 9.6 პროცენტმა. ყველაზე ხშირი იყო მუშაობისა და ფულის შოვნის აკრძალვა (5.4 %), შინამეურნეობის ხარჯებისათვის ფულის მიცემაზე უარის თქმა (4.9 %), ხოლო საკუთარი შემოსავლის წართმევას აფიქსირებს გამოკითხულ ქალთა 2.3 პროცენტი.

ასევე, 2021 წელს საქსტატისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით ჩატარდა დროის გამოყენების გამოკვლევა გენდერულ ჭრილში. გამოკვლევისათვის შეირჩა ქვეყნის მასშტაბით 3 680 შინამეურნეობა და გამოიკითხა 6 074 რესპონდენტი, რომელთაც შეავსეს დროის გამოყენების 2 დღიური: მათგან ერთი კვირის სამუშაო დღისათვის, ანუ ორშაბათი-პარასკევი დღეებიდან ერთ-ერთზე, ხოლო მეორე - უქმე დღეებისათვის, შესაბამისად, შაბათს ან კვირას. სამუშაო დღისათვის შეივსო 5 721, ხოლო უქმე დღისათვის 5 713 დღიური. აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის მიერ სხვადასხვა აქტივობაზე დახარჯული დროის განსაზღვრა, მათ შორის, გენდერულ ჭრილში, მაგალითად, ანაზღაურებად და აუნაზღაურებელ შრომაზე, საოჯახო საქმეებზე, ზრუნვაზე, მგზავრობაზე, დასვენებაზე და სხვა აქტივობებზე. კვლევის შედეგად გამოითვალა მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის 5.4.1 ინდიკატორი - **„აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო შრომაზე დახარჯული დროის წილი სქესის, ასაკისა და დასახლების ტიპის მიხედვით“.** გარდა ამისა, აღნიშნული კვლევის შედეგები უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების მიზნების სხვა ინდიკატორების შესახებ ინფორმაციის უფრო მეტად გაფართოებას და სრულყოფას, რაც თავისთავად განაპირობებს გენდერული სტატისტიკის განვითარებას

(გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქსტატი, 2020-2021).

2018 წელს საქსტატმა ჩაატარა პილოტური კვლევა აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შესაგროვებლად, რათა ეს საკითხი შესწავლილიყო სქესის მიხედვით. კვლევით განისაზღვრა გაეროს მდგრადი განვითარების მე-5 მიზნის მეხუთე ამოცანა - ,,ზომების განხორციელება უფლებების უზრუნველყოფის მიზნით. ასევე, მიწისა და სხვა ფორმის ქონების და მემკვიდრეობის ფლობაზე და კონტროლზე“. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გენდერული უთანასწორობის ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა უთანასწორობა

აქტივების ფლობაში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალების ცუდ ეკონომიკურ მდგომარეობას. კვლევამ მოიცვა 2 783 შინამეურნეობა, მათგან ქალაქში - 1 495, ხოლო სოფელში - 1 288. თითოეულ შერჩეულ შინამეურნეობაში გამოიკითხა მაქსიმუმ სამი სრულწლოვანი წევრი. კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი უთანასწორობა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელობაში: აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწას დოკუმენტირებულად დაახლოებით 2-ჯერ მეტი კაცი ფლობს. რაც შეეხება განცხადებულ მფლობელობას, აქ გენდერული განსხვავება 14 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. სხვა უძრავი ქონების შემთხვევაშიც როგორც დოკუმენტირებული, ასევე განცხადებული მფლობელობა კაცებში უფრო მაღალია: განცხადებული მფლობელობა კაცებში 16 პროცენტს, ხოლო ქალებში 10 პროცენტს შეადგენს; რაც შეეხება დოკუმენტირებულ მფლობელობას, სხვა აქტივების მსგავსად, უფრო ნაკლებია ორივე სქესისათვის და, შესაბამისად, ქალებისთვის 6, ხოლო კაცებისათვის 11 პროცენტია *(საქსტატი, 2018).*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში გენდერის საკითხებზე ყველაზე უფრო დიდი მოცულობის და მრავალფეროვანი გამოქვეყნებული ინფორმაცია აქვს საქსტატს, რაც მათ მიერ, ან გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან კოლაბორაციით განხორციელებული კვლევების მონაცემებს ემყარება.

ცალკეული გენდერული კვლევები ჩატარებული აქვს ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას. ამ მხრივ აღსანიშნავია პუბლიკაცია **„საქართველოს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში",** რომელიც მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ. გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, გენდერული თანასწორობა დაცული უნდა იყოს შრომით ურთიერთობებში. სწორედ ამიტომ უმნიშვნელოვანესია საჯარო სამსახურებში დასაქმებულთა გენდერული სტატისტიკის განხილვა. საქართველოს 166 საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა 70.7-ს კაცები, ხოლო 29.3 პროცენტს ქალები შეადგენენ. აღნიშნული დისპროპორცია გამოწვეულია ძალოვან სტრუქტურებში კიდევ უფრო მაღალი გენდერული უთანასწორობით, სადაც ხელმძღვანელ პოზიციებზე დასაქმებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ანუ 92.6-ს კაცები, ხოლო 7.4 პროცენტს ქალები შეადგენენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მრავალშვილიანი მშობლები ნაკლებად არიან დასაქმებულნი საჯარო დაწესებულებებში, თუმცა, მათ უმრავლესობას, ანუ 77.7-ს კაცები, ხოლო 22.3 პროცენტს ქალები წარმოადგენენ *(ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013).* მართალია, განხილული პუბლიკაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ მასში წარმოდგენილია 2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები, რაც, რა თქმა უნდა, უკვე მოძველებულია და საჭიროებს განახლებას, რათა უფრო თვალსაჩინო გახდეს თანამედროვე მდგომარეობა და

საშუალება გვქონდეს შევადაროთ გენდერული უთანასწორობის ცვლილების შედარებით გრძელვადიანი ტენდენციები.

დასკვნა

გენდერული თანასწორობის საკითხებზე ჩვენ მიერ მოპოვებული და შესწავლილი პუბლიკაციების განხილვის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბება:

- საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხების შესწავლა დაახლოებით ორ ათეულ წელს ითვლის. სათანადო პუბლიკაციების განხილვით დადგინდა, რომ ადგილი აქვს არა გენდერულ თანასწორობას, არამედ უთანასწორობას და ეს მდგომარეობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მეტ-ნაკლები
  მასშტაბით ვლინდება;
- კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გენდერული უთანასწორობის პრობლება არ არის კომპლექსურად შესწავლილი და მათში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგიერთი კონკრეტული საკითხი; ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი გენდერული უთანასწორობის ბევრი ასპექტი და მისი გამომწვევი ფაქტორები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია არასაკმარისი, არასრულყოფილი და ხშირად არასანდო ინფორმაცია, რაც არცთუ იშვიათად რეალურ მდგომარეობას არ, ან ვერ ასახავს;
- აშკარად შეიმჩვევა საქართველოს რეგიონების მიხედვით გენდერულ უთანასწორობასა და მის გამომწვევ ფაქტორებზე პუბლიკაციების სიმცირე;
- გაეროს ქალთა ორგანიზაციის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, გენდერული უთანასწორობის საკითხებზე ბოლო ხუთ წელიწადში საყურადღებო გამოკვლევები ჩაატარა და რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაცია გამოაქვეყნა საქსტატმა;
- სათანადო პუბლიკაციების განხილვით გამოვლინდა, რომ ზოგადად გენდერული უთანასწორობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, რაც სხვადასხვა კონკრეტულ სახეობებში ვლინდება, კერძოდ: უთანასწორობა თავისუფალი დროის რესურსში, განათლებაში, კარიერულ წინსვლაში, დასაქმებაში, შრომის ანაზღაურებაში, უძრავი ქონების ფლობაში და სხვ.
- ჯერ კიდევ ძლიერ არასაკმარისია პუბლიკაციები გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო აქტების შესახებ, რაც იწვევს მოსახლეობის დაბალ ინფორმირებულობას, განსაკუთრებით ქალთა უფლებების შესახებ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

ზოგადად, გენდერული უთანასწორობა მულტიმეცნიერული თეორიული და პრაქტიკული პრობლემაა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებს; მათი ნაწილი რაოდენობრივად განზომადია, ხოლო ზოგიერთი მათგანის პირდაპირი რაოდენობრივი გავლენის ზუსტი შეფასება რთულია, განსაკუთრებით კი, არასაკმარისი და არადეტალიზებული მონაცემების სიმწირის გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიშვილი ხ., გენდერული დისბალანსისა და ფემინიზმის როლი გლობალურ ბიზნესში. II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/global.pdf
2. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), გენდერული სახელფასო სხვაობა და უთანასწორობა საქართველოს შრომის ბაზარზე, 2020, მარტი. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2020/gender%20pay%20gap%20georgia%20geo.pdf?la=en&vs=4411
3. გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN), ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2018/Womens%20Economic%20Inactivity%20and%20Inf%20Employment%20Georgiageo.pdf
4. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ. შრომის ანაზღაურების გენდერული დისპროპორცია საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf
5. გელაშვილი ს., ოქრუაშვილი მ. გენდერული უთანასწორობა შრომის ანაზღაურებაში და მისი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,ეკონომიკა და ბიზნესი“, ტომი XIV, # 4. თსუ, თბილისი 2022.
6. გელაშვილი ს., თოდრაძე გ. დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების გენდერული დისბალანსი ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით. მე-5 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბილისი, 2020. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tsu.ge/assets/media/files/7/conf.%20V2020.pdf

7. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ., გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომცემლობა ,,მერიდიანი", თბილისი, 2016.
8. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ., აბესაძე ნ., ოქრუაშვილი მ. გენდერული სტატისტიკა/თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა/, (ელექტრონული ვერსია), თსუ, 2022.
9. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ., სოციალური სტატისტიკა. გამომცემლობა ,,უნივერსალი", თბილისი, 2020.
10. ,,გენდერული ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://iset-pi.ge/ka/publications/research-reports
11. ,,საქართველოში თანაბარი ანაზღაურების მიმოხილვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიის დანერგვის მოდელების შეფასება". ხელმისაწვდომია ბმულზე: https://iset-pi.ge/ka/publications/research-reports
12. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
13. სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ხელფასების მაჩვენებლები. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi
14. ქალი და კაცი საქართველოში. საქსტატი, თბილისი, 2022.
15. ქალი და კაცი საქართველოში. საქსტატი, თბილისი, 2023.
16. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში, 2017. ხელმისაწვდომია ბმულზე: http://gender.geostat.ge/gender/img/publicationspdf/National%20VAW%20Study%20Report%20Geo.pdf#view=fit
17. European Institute for Gender Equality, Economic Benefits of GENDER EQUALITY IN THE EUROPEAN UNION. Available at: https://eige.europa.eu/gender-mainstreaming/policy-areas/economic-and-financial-affairs/economic-benefits-gender-equality

The Problem of Gender Inequality and the Level of its statistical Study in Georgia

Simon Gelashvili
Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
simon.gelashvili@tsu.ge

Mariam Okruashvili
PhD Student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
m.oqruashvili27@gmail.com

Summary.
T

Gender equality is not only a legal and moral right of a person, but also one of the important indicators of economic and social development. In general, at the modern stage, gender equality is one of the important conditions for the country's sustainable development. For the global, regional, or national economy to be desirable, the development of human capital and its rational use are of the utmost importance. Achieving those mentioned above will naturally ensure the minimization of gender inequality in the labor market. The purpose of the article is to evaluatet helevel of statistical study of gender inequality challenges in Georgia. To achieve the mentioned goal, new and latest relevant scientific publications, as well as research conducted by various public and non-governmental organizations, have been obtained and critically reviewed. Both qualitative and statistical methods are used in this process. The article shows that the study of issues of gender equality in Georgia does not have a long history and is only two decades old. As a review of relevant publications has shown, there is no gender equality, but inequality, and this situation is manifested in all spheres of public life to a greater or lesser extent. Therefore, in this case, the relevance of our research topic is beyond doubt, and it has great practical and theoretical importance. As a result of the research, it was revealed that the issue of gender inequality is not comprehensively studied in the works published in Georgia. They present only some specific issues, and many aspects of gender inequality and its causes are still understudied. One of the main reasons for this is insufficient, imperfect, and often unreliable information, which often does not or cannot reflect the ealsituation.

Keywords: gender inequality, gender statistics, violence against women, inequality in employment, women's unpaidwork.

საპენსიო სააგენტოს 2022-2024 წლების საინვესტიციო პორტფელის და მომგებიანობის ანალიზი

ნანა შონია
პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nana.shonia@atsu.edu.ge

დავით მამრიკიშვილი
დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
david.mamrikishvili@nexia.ge

ანოტაცია. შესავალი და კვლევის მიზანი. *2019 წლიდან საქართველოში ამოქმედდა საპენსიო სისტემა, რითაც და საფუძველი ჩაეყარა საპენსიო სააგენტოს. დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნას და ამოქმედებას თავის მხრივ გააჩნია საფუძვლები, საქართველოში ბოლო წლებში გამოიკვეთა საქართველოს საპენსიო სისტემის ნაკლოვანებები, კერძოდ მისი არაადეკვატურად დაბალი დონე, მოქალაქეთა სამუშაო სტაჟის გაუთვალისწინებლობა და მზარდი ტვირთი სახელმწიფო ბიუჯეტზე, საბოლოო ჯამში საქართველოში არსებული საპენსიო სისტემა არ იყო სამართლიანი, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს ასაკოვან მოქალაქეებს ღირსეული პენსიით. ამ ეტაპისათვის არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტი[3] საქართველოში შეადგენს 19 პროცენტს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩებაა სხვა ქვეყნებში არსებულ აღნიშნულ მაჩვენებელს. ჩანაცვლების კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი რეგიონში შეადგენს 40 პროცენტს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნებში (OECD) - 63 პროცენტს, ხოლო ევროკავშირის ქვეყნებში - 78 პროცენტს. განვლილი 5 წელი როგორც გლობალური, ისე რეგიონული ქვეყნებისთვის საკმაოდ ტურბულენტური იყო და მნიშვნელოვანი არასტაბილურობით ხასიათდებოდა. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი ფაქტორები როგორიც იყო პანდემია, გეოპოლიტიკური დაძაბულობა და მნიშვნელოვანი ვოლატილობა ფინანსურ ბაზრებზე. მიუხედავად ამ გამოწვევებისა, გლობალურმა ეკონომიკამ მოულოდნელი მედეგობა აჩვენა და ინფლაციური წნეხები მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით დაძლია. ამ გამოწვევების ფონზე, საპენსიო სააგენტო სტაბილურობას ინარჩუნებდა და მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი ამონაგების მიღება შეძლო. განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, წმინდა კონტრიბუციებისა და გონივრული საინვესტიციო გადაწყვეტილებების შედეგად საპენსიო აქტივები მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2023 წლის*

[3] ჩანაცვლების კოეფიციენტი - პენსიის სახით მიღებული თანხის ფარდობა დასაქმებულთა საშუალო ხელფასთან.

ბოლოსთვის 4.4 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც საქართველოს მშპ-ის 5.6%-ს უტოლდება. აღსანიშნავია, რომ საპენსიო სააგენტომ ამ პერიოდში 867 მილიონი ლარის წმინდა ამონაგების მიღება შეძლო, რაც 58.2% ჯამური ნომინალური ამონაგების ექვივალენტია. ამავე პერიოდში, მაღალი ინფლაციის მიუხედავად, რეალურმა ამონაგებმა (რომელიც ინფლაციის მაჩვენებლითაა დაკორექტირებული) 14.8%-ს მიაღწია. ***კვლევის მიზანია*** *შეაფასოს საპენსიო სააგენტოს მიმდინარე საინვესტიციო პოლიტიკა, 2022 -2024 წლებში განხორციელებული ინვესტიციების როგორც უკუგება და მიღებული სარგებლის ოდენობა, ისე მისი შეპირისპირება ინფლაციასთან. ასევე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნის საპენსიო სააგენტოების საინვესტიციო პოლიტიკა, თუ რა აქტივებში ხდება ინვესტირება და როგორია შესაბამისობა საინვესტიციო პორთველის. ასევე, კვლევაში გაანალიზებულია ძირითადად OECD-ის (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია) ქვეყნების საპენსიო სააგენტოების საინვესტიციო პოლიტიკა.* ***კვლევის მეთოდოლოგია:*** *ჩატარებული კვლევა მონაცემების გაზისად იყენებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მეორეულ ინფორმაციას შრომით გაზართან დაკავშირებით და სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს და ასევე საპენსიო სააგენტოდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას. კვლევის დასკვნით ნაწილში გამოთქმულია მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით თუ რომელ ქართულ ფასიან ქაღალდებში უნდა მოხდეს ინვესტირება, მაშინ როდესაც საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი წლებია სტაგნაციას განიცდის.* ***კვლევის შედეგები და დასკვნა.*** *წარმატებული საპენსიო სისტემების საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა მრავალსვეტიანი საპენსიო სისტემების უპირატესობები. მხოლოდ მრავალსვეტიანი სისტემების ფარგლებში არის შესაძლებელი, ერთი მხრივ, მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღწევა და მეორეს მხრივ, სოციალურად სამართლიან უნივერსალურ პენსიასთან ერთად, მოქალაქის ეკონომიკური აქტიურობის შესაბამისი საპენსიო შემოსავლების უზრუნველყოფა. სწორედ აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ საქართველოში 2019 წელს განხორციელდა საპენსიო რეფორმა, რომლის მიზანი დაგროვებითი საპენსიო სისტემის შექმნა და გამართულად ფუნქციონირებაა. სტატიაში განხილულულია ის გამოწვევები თუ როგორ უნდა მოახერხოს საპენსიო სააგენტომ ნდობის მოპოვება და მისი შენარჩუნება. გამომდინარე იქედან, რომ წარსულის არც თუ ისე კარგი გამოცდილება საპენსიო სქემის მონაწილეებში ბუნებრივად იწვევს სკეპტიციზმს, კვლევისას განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკის ანალიზზე. საინვესტიციო პოლიტიკა შემუშავებულ იქნა სააგენტოს მიერ და ის განსაზღვრავს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო საბჭოს მიერ დადგენილ საპენსიო აქტივების მართვისა და ინვესტირების ჩარჩოს, დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნული დოკუმენტის გადასინჯვა და განახლება განხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, საქართველოს კაპიტალის ბაზრებზე განვითარებული მოვლენებისა და საპენსიო სააგენტოს ორგანიზაციული სიმწიფის შესაბამისად.*

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, კერძო საპენსიო სისტემა, სპენსიო სააგენტო, კაპიტალის ბაზარი, საინვესტიციო პოლიტიკა.*

საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო სამსახურის მანდატს განსაზღვრავს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. საინვესტიციო სამსახური საპენსიო აქტივების ინვესტირების მიზნით შეიქმნა, მას ხელმძღვანელობს უფროსი საინვესტიციო ოფიცერი. საინვესტიციო საქმიანობას საინვესტიციო საბჭო ზედამხედველობს, ხოლო საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებას „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების მიხედვით საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს.

საინვესტიციო სამსახური დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით საპენსიო აქტივებს საინვესტიციო მანდატის ფარგლებში მართავს. საპენსიო აქტივების ინვესტირება შესაძლებელია, მხოლოდ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის, მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების და საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. თავდაპირვილად გათვალისწინებული იყო რომ „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის ამოქმედებიდან 5 წლის განმავლობაში საპენსიო აქტივების ინვესტირება განხორციელდებოდა მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში, ხოლო 2023 წლის 6 აგვისტოდან დასაშვები იქნებოდა ინვესტირება ასევე საშუალო-რისკიან და მაღალ-რისკიან პორტფელებში, თუმცაღა აღნიშნული დანაწესი შეიცვალა და ზემოაღნიშნული თარიღის გადავადება მოხდა, დღეის მდგომარეობით ძირითადი აქტივები განთავსებულია მხოლოდ ნაკლებად რისკიან საინვესტიციო პორტფელში.

კონსერვატიული (ნაკლებადრისკიანი) საინვესტიციო პორტფელის მიზანი საინვესტიციო ჰორიზონტის ბოლოსთვის, მაღალი სანდოობით (95%) დადებითი რეალური ამონაგების მიღებაა. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის შესაბამისად პორტფელის აქტივები შეიძლება განთავსდეს ფულად სახსრებში, სახელმწიფო და კორპორატიულ ობლიგაციებში, საბანკო დეპოზიტებში, აქციებსა და სხვა აქტივებში, როგორც ლარში, ისე უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში და წილობრივ ფასიან ქაღალდებში დაშვებულია ფონდის აქტივების 20%-მდე ინვესტირება კონსერვატიული (ნაკლებადრისკიანი) საინვესტიციო ფონდის მიზნობრივ პორტფელად განისაზღვრა პორტფელი, რომლის დაახლოებით 20% განთავსებულია საერთაშორისო აქციებში, ხოლო 80% საქართველოში, ფულად სახსრებსა და ობლიგაციებში. თუ განვიხილავთ უშუალოდ 2024 წლის პერიოდს, კონკრრეტულად კი მაისის თვის მაგალითზე გვაქვს შემდეგი გარემოება : მაისში საქართველოში წლიური ინფლაცია 2.0%-მდე გაიზარდა, ხოლო თვიურმა ინფლაციამ 0.4% შეადგინა. მიუხედავად მცირე ზრდისა ეს მაჩვენებლები კვლავ სებ-ის მიზნობრივ, 3.0%-იან, ნიშნულზე დაბლა ნარჩუნდება. დაბალი ინფლაციის გარემომ სებ-ს საშუალება მისცა 22 მაისს კომიტეტის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი დამატებით 0.25 პპ-ით, 8.0%-მდე, შეემცირებინა, რითაც განაკვეთის კუმულაციურმა

კლებამ წლის განმავლობაში 1.5 პპ-ს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ დაბალი ინფლაცია დადებით გავლენას ახდენს საპენსიო სააგენტოს ფიქსირებული შემოსავლიანობის მქონე აქტივების რეალურ ამონაგებზე. პორტფელის დაარსებიდან (2019 წლის იანვარი) დღემდე, კონსერვატიული საინვესტიციო პორტფელის ნომინალურმა და რეალურმა წლიურმა ამონაგებმა 9.85% და 3.36% შეადგინა, ხოლო პორტფელის საერთო ნომინალური და რეალური ამონაგები დაარსების დღიდან 66.30% და 19.61%-ს შეადგენს. გლობალური კონტექსტი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არსებული გამოწვევების ფონზე, როგორიცაა კოვიდ პანდემია , რუსეთ უკრაინის ომი , შუა აღმოსავლეთის კონფლიქტი და მნიშვნელოვნად გაზრდილი ინფლაცია , გლობალურმა ეკონომიკამ ყველასთვის მოულოდნელი მედეგობა გამოავლინა . მიუხედავად იმისა , რომ აღნიშნულ პერიოდში ბოლო 40 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთების ყველაზე სწრაფი ზრდა დაფიქსირდა , ძირითადი ეკონომიკები მეტწილად დაუზიანებლები აღმოჩნდენ და მოახერხეს თავიდან აერიდებინათ უმუშევრობის მნიშვნელოვანი ზრდა და ფინანსური კრიზისი . 2023 წელს ინფლაცია , მისი 2022 წლის პიკიდან , იმაზე სწრაფი ტემპით მცირდება ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო , ხოლო მაღალმა საპროცენტო განაკვეთებმა ,რომლებიც ინფლაციასთან საბრძოლველად გამოიყენება , ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე მოსალოდნელზე ნაკლები ნეგატიური გავლენა იქონია ,რაც რბილი დაშვების ’ გაზრდილ შესაძლებლობებზემიუთითებს .მიუხედავად ამისა , მაღალი ინფლაციის ფონზე გაზრდილი საპროცენტო განაკვეთები და მაღალი სახელმწიფო ვალის შე დეგად შემცირებული ფისკალური სტიმული , მოსალოდნელია რომ 2024 წლის ეკონომიკურ აქტივობაზე მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას იქონიებს . სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტების პროგნოზის მიხედვით , 2024- 2025 წლებში , უმეტეს განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა იმაზე დაბალი იქნება ვიდრე ეს კოვიდ პანდემიამდელ პერიოდში ფიქსირდებოდა . საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით , 2023 წელს გლობალური ეკონომიკური აქტივობის ზრდა 3.1% ზე არის შეფასებული. 2024 წელს აღნიშნული ზრდის ტემპი შენარჩუნდება, ხოლო 2025 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი 3.2% იან ზრდას პროგნოზირებს, რაც 2000- 2019 წლის საშუალო მაჩვენებელზე , რომელიც 3.8% ს შეადგენ და , ნიშვნელოვნად დაბალია . რეგიონულ ეკონომიკებს შორის , მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე განვითარებადი ეკონომიკები , სავარაუდოდ , ზრდის ტემპს პანდემიამდელ დონესთან ახლოს შეინარჩუნებენ

2024 წლის მაისის მდგომარეობით პორტფელის განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება :

დიაგრამა 1





დიაგრამა 2

ცხრილი1

ემიტენტი	ნომინალური ღირებულება	კუპონი	YTM*	დაფარვის თარიღი	
ქართული სუვ. ევროობლიგაცია	9.91 მლნ აშშ დოლარი	2.75%	8.06%	აპრ-2026	
სს ნიკორა	3.47 მლნ ლარი	TIBR 3M +3.50%	n/a	ნოემ-2025	

სს თიბისი ლიზინგი	18.70 მლნ ლარი	TIBR 3M +2.75%	n/a	მარ-2026	
სს თიბისი ლიზინგი	2.97 მლნ ლარი	TIBR 3M +2.75%	n/a	ივნ-2026	
სს საქართველოს კაპიტალი	5.65 მლნ აშშ დოლარი	8.5%	n/a	აგვ-2028	
შპს სელფი მობაილი	13.00 მლნ ლარი	TIBR 6M +3.50%	n/a	დეკ-2026	

ანგარიში მომზადებულია დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის. აღნიშნული ანგარიში და მასში არსებული მონაცემები საინფორმაციო ხასიათისაა და არ წარმოადგენს რაიმე სახის შეთავაზებას, რეკომენდაციას, რჩევას ან/და დაპირებას დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეებისთვის ან/და სხვა მესამე მხარის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ამ დოკუმენტში წარმოდგენილი მაჩვენებლები დამრგვალებულია და პროცენტები შეიძლება არ ჯამდებოდეს ზუსტად 100%-ზე.

ანგარიშში არსებული მაჩვენებლები ასახავს მთლიანი საპენსიო ფონდის შედეგებს და შესაძლოა განსხვავდებოდეს ინდივიდუალური მონაწილეების შედეგებისგან, რაც დამოკიდებულია მათი შენატანების განხორციელების დროსა და რაოდენობაზე, შენატანების განხორციელებასთან დაკავშირებით ნამდვილად არსებობს გამოწვევები, რამეთუ არსებობენ კომპანიები რომლებიც არაკეთილსინდისიერად ახორციელებენ შენატანებს საპენსიო ფონდში.

ბენჩმარკი ანუ მიზნობრივი პორტფელი 2023 წელს საინვესტიციო საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული აქტივების განთავსების განახლებული სტრატეგიის მიხედვით კონსერვატიული (ნაკლებადრისკიანი) პორტფელისთვის განისაზღვრა შემდეგნაირი სამიზნე ანუ სტრატეგიული ბენჩმარკ პორტფელი, რომელიც შედგება:
ლარში დენომინირებული დეპოზიტები და სადეპოზიტო სერთიფიკატები - 60%;

•საქართველოს სახაზინო ობლიგაციები - 20%;

•გლობალური აქციები - 20%

ძირითადი საინვესტიციო რისკები

ნებისმიერი ინვესტიცია დაკავშირებულია რისკებთან. გასული პერიოდის შედეგები არ წარმოადგენს მომავალში მათი გამეორების გარანტიას ან მოლოდინს. აქციებისა და ობლიგაციების ღირებულებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა საფონდო ბირჟის მერყეობა, საპროცენტო განაკვეთები,

საკრედიტო სპრედები და ვოლატილურობა. სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებია პოლიტიკური რისკები, ეკონომიკური ფაქტორები, კომპანიების შედეგები და სხვა. ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ფონდის ღირებულებაზე.

საფონდო ბირჟის რისკი - საფონდო ბირჟები არასტაბილურია და ნეგატიური მოვლენების (კომპანიის, პოლიტიკური, მარეგულირებელი, საბაზრო ან ეკონომიკური) პასუხად შეიძლება მნიშვნელოვნად შემცირდეს.

სავალუტო რისკი - ამ ფონდის 20%-მდე ინვესტირებულია უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ აქტივებში და მისი ღირებულება შეიცვლება კურსის ცვლილების შესაბამისად. ამან შეიძლება დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს ფონდის ღირებულებაზე.

საკრედიტო რისკი - ეს ფონდი ახორციელებს ინვესტიციას ობლიგაციებში ან სხვა სახის სავალო ფასიან ქაღალდებში. ობლიგაციები არსებითად არის სესხები კომპანიებისთვის, მთავრობების ან ადგილობრივი ხელისუფლებისთვის, ასე რომ, არსებობს რისკი, რომ ამ კომპანიებმა ან სამთავრობო ორგანოებმა შეიძლება სესხის გადახდა ვერ მოახერხონ. ობლიგაციების რისკიანობის საუკეთესო მაჩვენებელი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებისგან მინიჭებული საკრედიტო რეიტინგებია, რომლებიც AAA-დან D-მდე მერყეობს. AAA არის უმაღლესი ხარისხის და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული გაკოტრების ალბათობა მინიმალურია, ხოლო D მიუთითებს საკრედიტო რეიტინგს დეფოლტში მყოფ კომპანიებზე/ინსტრუმენტებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის N 258/04 ბრძანებით განსაზღვრულია საპენსიო სააგენტოს მიერ შეძენილი ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რეიტინგის მოთხოვნები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ობლიგაციების და ფულის ბაზრის ინსტრუმენტების ღირებულებაზე. როდესად გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ობლიგაციების ღირებულება მცირდება და პირიქით.

ანგარიშში რიგ შემთხვევებში გამოყენებულია მესამე მხარისგან მოპოვებული ინფორმაცია. საპენსიო სააგენტო მიიჩნევს, რომ ეს მონაცემები არის სანდო და ზუსტი და არ ამოწმებს აღნიშნული მონაცემების სისრულეს, დროულობას და სიზუსტეს. საპენსიო სააგენტო არ არის პასუხისმგებელი მესამე მხარის მონაცემებში შეცდომის/შესწორების შედეგად წარმოშობილ ზიანსა ან დანაკარგზე.

ცხრილი2

შედეგები:	მაისი 2024	ბოლო 12 თვე	დასაწყისიდან დღემდე (გაწლიურებული)	დასაწყისიდან დღემდე
წმინდა ნომ. ამონაგები	2.02%	13.84%	9.85%	66.30%
ინფლაცია	0.40%	2.03%	6.27%	39.03%
რეალური ამონაგები	1.62%	11.57%	3.36%	19.61%

2024 წლის მაისის თვის მდგომარეობით ძირითადი მაჩვენებლები შემდეგია:
ფონდის ზომა, ლარი **5,026 მილიარ წმინდა ამონაგები, ხოლო მონაწილეთა რაოდენობა არის 1,334,648**
დასაწყისიდან დღემდე საპენსიო სააგენტოს წლიური ნომინალური ამონაგებმა შეადგინა 66,3% , ჯამური ინფლაციის ეფექტი დასაწყისიდან დღემდე შეადგენს 39 %, ხოლო რეალური ამონაგები კი 19,6 % -ის ტოლია, აღნიშნული მონაცემებიდან კარგად ჩანს ის ფაქტი რომ ინფლაცია ძალიან რესიუზულა ამცირებს წმინდა ამონაგებს.
თუ განვიხილავთ მხოლოდ ბოლო 12 თვის მონაცემებს და ანალოგიურად გავაანალიზებთ გვაქვს შემდეგი სურათი: სააგენტოს ბოლო 12 თვის ნომინალური ამონაგებმა შეადგინა 13,8% , ბოლო 12 თვის ინფლაციის ეფექტი შეადგენს 2 %, ხოლო რეალური ამონაგები კი 11,6 % -ის ტოლია .

კვლევის შედეგები და დასკვნა

სავალდებულო კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმას თან ახლავს მრავალი რისკი და გამოწვევა. ის ყოველთვის სახელმწიფოსთან იქნება დაკავშირებული. მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, დაზოგილი თანხების მმართველი კომპანიების საინვესტიციო შედეგებმა და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა გააჩინოს სოციალური მღელვარება და საჯარო სტრუქტურებისადმი ნდობის დაკარგვა. ამიტომ, უმჯობესია, აქცენტი გაკეთდეს სახელმწიფოს როლზე, როგორც საპენსიო დანაზოგების წახალისებაზე, ადმინისტრირების გამარტივებაზე, ფინანსური სექტორის ზედამხედველობასა და სტაბილურობის უზრუნველყოფაზე, გამჭვირვალობის გაუმჯობესებასა და საზოგადოების ფინანსური განათლების ამაღლებაზე. მთავარია სწორად მოხდეს ამ თანხების მართვა და არ მოახდინოს სახელმწიფომ ამ ფონდის ნაციონალიზება. მნიშვნელოვანია, ეს ფული სახელმწიფოს

მიმართულებით არ წავიდეს, როგორც ეს ლათინურ-ამერიკულ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა. მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა მოცულობითი პროპორციით და სად მოხდება ინვესტირება ადგილობრივ თუ საერთაშორისო ბაზარზე. ამიტომ უპირატესია სწორად მოხდეს ამ თანხების ინვესტირება ისეთ მომგებიან ბიზნეს სექტორებში, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაზე იქნება გათვლილი და მნიშვნელოვანია ამ ფონდს ჰყავდეს როგორც ქვეყნის ეროვნული ინტერესების,ისე დაზღვეული პირების დამცველი მმართველი ორგანო. საპენსიო სააგენტომ დროის მოკლე პერიოდში მოახდინა კვალიფიციური და სანდო საინვესტიციო საბჭოს დაკომპლექტება. ვფიქრომ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს მოსახლეობის კიდე უფრო ინფორმირებულობა. მათ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია თუ რა მიმართულებით განთავსდება თანხები და მოსახლეობას შესთავაზოს გამჭვირვალე მექანიზმები, რაც უფრო მეტად აამაღლებს საზოგადოების ნდობას, რაც ხელს შეუწყობს რეფომის წარმატებით განხორციელებას გრძელვადიან პერიოდში. ასევე, ძალიან მნიშნელოვანია, რომ დაზოგილი თანხების ინვესტიცია მოხდეს საქართველოს ეკონომიკაში რადგან ეს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე იმოქმედებს. ქვეყანაში შემოვა ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიები. საქართველოს აქვს იმის პოტენციალი, რომ გამოიმუშავოს საკუთარი ელექტროენერგია და აღარ იყოს დამოკიდებული მეზობელი ქვეყნის იმპორტირებულ პროდუქტზე. დღეის მდგომარეობით ბევრი პროექტი გადავადებულია უსახსრობის გამო. ამიტომ თანხების განკარგვა ამ მიმართულებით დადებით შედეგებს მოიტანს. არა მარტო ელექტროენერგიის, არამედ განახლებადი ენერგიის, როგორიცაა მზის, ქარის და სხვა ენერგიების ათვისებაც შეუძლია ქვეყანას, რა მხრივაც დაწყებულია უკვე პროექტები, თუმცა ამისათვის აუცილებელია კაპიტალის ბაზრის განვითარება, რაზეც მუშაობს საქართველოს მთავრობა. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე, რომ სანდოობის მაღალი ხარისხის მისაღწევად, საპენსიო სააგენტომ უნდა მოახდინოს გარკვეული ჯგუფებისათვის უფლების თავისუფლება რომ მათ ჰქონდეთ საშუალება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხები მართვაში გადასცეს სხვა კერძო აქტივების მართვის კომპანიებს, მსგავსი პრაქტიკა არსებობს როგორც რეგიონში, ასევე განვითარებულ ქვექნებში. ასეთ შემთხვევაში მონაწილე უფრო მეტი ნდობა გაუჩნდება და ირწმუნებს რომ ნამდვილად სწორი სტრატეგიაა რომ დაზოგოს დღეს რათა სარგებელი მიიღოს მომავალში . მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ პენსიის გაცემის დროს დაცული იყოს გენდერული ბალანსი. მინიმალური საპენსიო ასაკის გადასინჯვა, შესაძლო გაზრდის და/ან სქესთა შორის გათანაბრების თვალსაზრისით საპენსიო ასაკთან შეამცირებს საბიუჯეტო ტვირთს. ეს საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას იძენს, როდესაც მსოფლიოში შეინიშნება მოსახლეობის მატებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდის ტენდეცია. OECD-ის მიერ 2011 წელს გამოცემულ დოკუმენტში “Pensions at a Glance” აღნიშნულია: “დასანანი იქნება იმ საპენსიო

რეფორმებიდან გადახვევა, რომლებიც მიზნად ისახავდა მეტი კერძო დანაზოგის დაგროვებას სიბერისთვის გრძელვადიანი პერსპექტივით. გადანაწილებითი და დაგროვებითი საპენსიო მოდელების კომბინაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ყველაზე რეალისტურ პერსპექტივას, არამედ საუკეთესო პოლიტიკას“ (OECD, 2011c). მსოფლიო ბანკის ექსპერტთა აზრით, იმ სახელმწიფოებს, სადაც ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერება, მომავალში გაუჭირდებათ ჩანაცვლების კოეფიციენტის იმავე დონეზე შენარჩუნება და იმისათვის, რომ მკვეთრად არ შემცირდეს ადამიანის ცხოვრების დონე პენსიაზე გასვლის შემდეგ, საჭიროა კერძო საპენსიო დანაზოგების განხორციელების წახალისება.

გარდა ზემო აღნიშნულისა, სანამ მომგებიანობაზე გადავალთ, მნიშვნელოვანია დივერსიფიკაცია. რაშიც იგულისხმება, რომ საპენსიო სქემის მონაწილეები არ უნდა იყვნენ დამოკიდებული ერთ კონკრეტულ ეკონომიკაზე, რეგიონზე ან სექტორზე. ამ დივერსიფიკაციით შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული ეკონომიკებში მოხდა ინვესტირება. რაც შეეხება მომგებიანობას, აქციებს ფინანსური ობლიგაციებისგან განსხვავებით ფასში ზრდის მეტი პერსპექტივა აქვს, რაც ინვესტიციების და ინფლაციის თვალსაზრისთ დაცულობასაც ინვესტორს და საბოლოო ჯამში აღნიშნული დადებითად იმოქდებს საპენსიო სქემის მონაწილეებზე, როგორც სანდოობის კუთხით ასევე მათი სარგებლის გაზრდის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობა - რეგულირების გავლენის შეფასება დაგროვებით საპენსიო რეფორმაზე, 2018 წელი. http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf
2. უგლავა დიანა, კუპატაძე კახა - საპენსიო ფონდების განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, http://ejournals.atsu.ge/BLSS/index.html
3. თოდუა ხათუნა - საქართველოს საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი, 2019 წ. http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&adgi=239&title=%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9

B%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98

4. დევდარიანი დემნა - საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი, 2016 წ. https://idfi.ge/ge/analysis-of-pension-system-reform
5. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა - საპენსიო რეფორმის განხორციელების მნიშვნელობა საქართველოში სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,
6. საქართველოს საგადასახადო კოდექსი- „დაგროვებითი პენსიის შესახებ“, 2018 წ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4280127?publication=3
7. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 10 შენიშვნა საპენსიო რეფორმაზე, 2018 წ. https://transparency.ge/ge/post/10-shenishvna-sapensio-repormaze
8. ეკონომიკური არენა - საპენსიო რეფორმა: ნებით თუ ??? https://www.kas.de/documents/269781/0/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D+%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90+-+%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1+%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98.pdf/0f930e64-cb56-412d-1487-1a210564e363?version=1.0&t=1560426531919

Analysis of the investment portfolio and profitability of the Pension Agency for 2022-2024

Nana Shonia
Professor
Akaki Tsereteli State University
nana.shonia@atsu.edu.ge

Davit Mamrikishvili
PhD student
Georgian Technical University
david.mamrikishvili@nexia.ge

Summary

Introduction and research objective. Since 2019, the pension system has been launched in Georgia, thus laying the foundation of the pension agency. The creation and implementation of the accumulative pension system has its own foundations. In recent years, the shortcomings of the Georgian pension system have been highlighted in Georgia, namely its inadequately low level, the failure to take into account the working experience of citizens and the increasing burden on the state budget. Elderly citizens with a decent pension. At this stage, the replacement rate in Georgia is 19 percent, which is significantly lower than the rate in other countries. The average indicator of the replacement rate in the region is 40 percent, in the countries of economic cooperation and development (OECD) - 63 percent, and in the countries of the European Union - 78 percent. The past 5 years were quite turbulent for both global and regional countries and were characterized by significant instability. Among them, such factors as the pandemic, geopolitical tension and significant volatility in financial markets are noteworthy. Despite these challenges, the global economy showed unexpected resilience and inflationary pressures were overcome through tight monetary policy. In the face of these challenges, the pension agency remained stable and managed to obtain significant benefits for participants. Over the past five years, as a result of net contributions and prudent investment decisions, pension assets have grown significantly and reached 4.4 billion GEL by the end of 2023, which is equal to 5.6% of Georgia's GDP. It should be noted that the Pension Agency was able to receive 867 million GEL of net benefits during this period, which is equivalent to 58.2% of the total nominal benefits. In the same period, despite high inflation, real growth adjusted for inflation) reached 14.8%. The purpose of the study is to evaluate the current investment policy of the Pension Agency, both the return and the amount of benefits received from the investments made in 2022-2024, and its comparison with inflation. Also, the investment policy of the pension agencies of developed economies, what assets are invested in and what is the relevance of the investment portfolio. Also, the research analyzes the investment policy of pension agencies of OECD countries.

Keywords: Georgia, private pension system, pension agency, capital market, investment policy.

ენერგეტიკული უსაფრთხოება - საქართველოს მდგრადი განვითარების გარანტი (მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების გამოწვევები მსოფლიო წესრიგის ტრანსფორმაციის პროცესში)

ქეთევან ვეზირიშვილი - ნოზაძე

ასოცირებული პროფესორი,

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირ. ჟორდანიას სახელობის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, თბილისი, საქართველო

ketivezirishvili@gmail.com

მარიამ კუჭავა

აკადემიური დოქტორი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

mari13kuchava@gmail.com

ზურაბ ლომსაძე

პროფესორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ირ .ჟორდანიას სახელობის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დირექტორი,

zlomsadze@mail.ru

ანოტაცია. ენერგეტიკული უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და თვალსაჩინო ნაწილია, ხოლო მისი უზრუნველყოფა - ენერგეტიკის პოლიტიკის მთავარი მიზანი. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია, საქართველოს მდგრადი განვითარების მოთხოვნები და ენერგეტიკის დარგში მიმდინარე ინტენსიური ინფრასტრუქტურული პროექტები კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. პროფესიულ წრეებში ან პოლიტიკოსების მიერ გამართულ დისკუსიებში ენერგოუსაფთხოების თემა ხშირად გამოიყენება გარკვეული გადაწყვეტილებების გასამართლებლად ან სექტორში არსებულ პრობლემებზე ხაზის გასასმელად,

სინამდვილეში კი ენერგოუსაფრთხოება ენერგეტიკის საფასო პოლიტიკას განსაზღვრავს და ენერგეტიკის მოხმარების გავლენას გულისხმობს გარემოზე. საერთაშორისო ორგანიზაციები და ეკონომიკის დარგში არსებული ლიტერატურა ენერგოუსაფრთხოების სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობს. ლარი ჰაგმა შეაჯერა ეს განმარტებანი და განსაზღვრა სამი განზომილება, რომლითაც უნდა შეფასდეს ამა თუ იმ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება: ენერგორესურსების ხელმისაწვდომობა (მიწოდება); ენერგორესურსების ფასი (ღირებულება); ენერგორესურსების დასაშვებობა (გარემოს თვალსაზრისით); საქართველოს არ აქვს საკუთარი გაზისა და ნავთობის მნიშვნელოვანი მარაგები, ის იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა. მისი პირველადი ენერგორესურსების მიწოდების 60 -65% გარე წყაროებით ხდება, საიდანაც 40-45% იმპოტირებულ გაზზე მოდის, ხოლო დანარჩენი - ნავთობ პროდუქტებზე. საქართველოს ჰიდრო გენერაცია, რომელიც პირველადი ენერგორესურსების მიწოდების 20 – 25%-ს შეადგენს, სრულად აკმაყოფილებს ქვეყნის შიდა მოთხოვნებს, დარჩენილ 15- 20%-ს კი შეშა შეადგენს. საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს: ერთის მხრივ ბუნებრივი გაზის იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულება და ქვეყნის ჰიდრორესურსების სეზონურობა, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის კონტროლის მუდმივი საფრთხე. ამ პრობლემების დასაძლევად საქართველომ უნდა განავითაროს შიდა განახლებადი ენერგორესურსები, მოახდინოს ენერგორესურსების მოწოდების შემდგომი დივერსიფიკაცია და რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. საქართველოს უკვე აქვს მწარე გამოცდილება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, მათ შორის ყველაზე ცნობილი 2006 წლის მოვლენა გახდა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ გაზსადენზე აფეთქების მოტივით საქართველო და სომხეთი ზამთარში ბუნებრივი აირისა და ელექტრო ენერგიის გარეშე დატოვა. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა - შაჰდენიზის გაზის საბადოს განვითარებით საქართველო უფრო მეტ ბუნებრივ გაზს იღებს ტრანზიტიდან და პირდაპირ შესყიდვებსაც აწარმოებს აზერბაიჯანთან, შედეგად აზერბაიჯანულ „სოკართან“ საქართველომ გაზის ფიქსირებულ ფასად მიწოდების შესახებ კონტრაქტი გააფორმა. რუსეთიდან გაზის მიღების მოცულობები შემოიფარგლება სომხეთში ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზით და კომერციული სექტორის მიერ მიღებული გაზით. საქართველოს ენერგოუსაფრთხოების კვლევის მთავარი შედეგები წარმოდგენილ სტატიაში დასკვნის სახით გვაქვს ჩამოყალიბებული.

საკვანძო სიტყვები: ენერგოუსაფრთხოება, ენერგეტიკული რესურსები, იმპორტდამოკიდებულება, გეოპოლიტიკური რეალობა, განახლებადი ენერგიის წყაროები.

შესავალი

საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს - იგი ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობს. მასზე გადის რეგიონის მთავარი ენერგო გადამცემი ნავთობისა და გაზის მილსადენები. სამხრეთ კავკასიური გაზსადენი ერთმანეთთან აკავშირებს აზერბაიჯანსა და თურქეთს საქართველოს გავლით. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი აზერბაიჯანის ოფშორულ ზონაში მოპოვებულ ნავთობს თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო პორტ ჯეიჰანში ატარებს, რაც შემდგომ ტანკერების საშუალებით ევროპისკენ მიემართება ბაქო-სუფსის ნავთობსადენით აზერბაიჯანული ნავთობპროდუქტები ჯერ მილსადენით საქართველოს, ხოლო შემდგომ ტანკერებით შავი ზღვის გავლით ევროპის ბაზრებს ამარაგებს. საქართველოს რკინიგზა უზრუნველყოფს აზერბაიჯანული, ყაზახური და თურქმენული ნავთობის ტრანსპორტირებას შავ ზღვამდე. საქართველოზე გადის ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენი, რომლის საშუალებითაც რუსეთის გაზი სომხეთს მიეწოდება.

ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ენერგო სატრანზიტო მარშრუტები საქართველოს ეკონომიკას უზრუნველყოფენ, როგორც ფულადი შემოსავლებით ისე ენერგო რესურსებით, ამასთან ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობის გარანტიასაც წარმოადგენენ. ბუნებრივ გაზზე შიდა მოთხოვნის დაახლოებით 60% უზრუნველყოფილია სამხრეთ კავკასიური გაზსადენისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზით.

ენერგოუსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის აგრეთვე მეგა პროექტად წოდებული „ შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის“ პროექტი, რომელიც წყალქვეშა მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მოწყობას ითვალისწინებს, რომელმაც ერთმანეთთან საქართველოსა და ევროპის ელექტროენერგეტიკული სისტემები უნდა დააკავშიროს.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში 1195 კილომეტრის სიგრძის კაბელი (1100 კმ წყალქვეშა, ხოლო 95 კმ სახმელეთო ნაწილი) რუმინეთს დაუკავშირდება, რაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუმინეთს საშუალებას მისცემს ისარგებლონ გაფართოებული საექსპორტო შესაძლებლობებით და ელექტროენერგიის ბაზრის საათობრივი ფასების გათვალისწინებით განახორციელონ ელექტროენერგიით ვაჭრობა.

პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს ევროპისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას, განახლებადი ენერგიის სექტორის განვითარებას და გაზრდის სატრანზიტო შესაძლებლობებს აღნიშნულ რეგიონებს შორის.

ჩვენი კვლევის მიზანია ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისას წინასწარ დავადგინოთ თუ რა ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს საქართველო, შევძლებთ კი ექსპორტზე გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის განახლებადი რესურსების ენერგია (იხსნება ევროპის ბაზარი ჩვენთვის), თუ დავრჩებით მხოლოდ სატრანზიტო დერეფნად, რომელიც ასევე ძალიან მიმზიდველია, თუმცა ნაკლებად შემოსავლიანი.

ძირითადი ნაწილი

ჰიდროელექტრო სადგურების რეაბილიტაციის შედეგად საქართველო სრულად აკმაყოფილებს ელექტროენერგიაზე ქვეყნის შიდა მოთხოვნას, თუმცა მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ჰესების მიერ ელექტრო ენერგიის გამომუშავების სეზონურობა. ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი ზაფხულში იწარმოება როცა მასზე მოთხოვნა დაბალია, ხოლო ზამთარში როცა მოთხოვნა ელექტროენერგიაზე პიკს აღწევს ჰესების მწარმოებლურობა არასაკმარისია, ამიტომაც საჭირო ხდება ელექტროენერგიის იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან ან თბოელექტროსადგურების ამუშავება, რომლებიც იმპორტირებულ ბუნებრივ გაზს მოიხმარენ. ენგურის ჰიდროელექტრო სადგური საქართველოს ელექტროენერგიის გენერაციის მთავარ ელემენტს წარმოადგენს და ამიტომაც ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რგოლია. ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარი პრობლემაც სწორედ ენგურის ჰიდროელექტრო სადგურს უკავშირდება. მისი გენერატორები და ქვესადგური რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს, ხოლო კაშხალი და წყალსაცავი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ასეთმა მდებარეობამ პოლიტიკური ესკალაციის შემთხვევაში შეიძლება სერიოზული ენერგეტიკული პრობლემები შექმნას ქვეყნისათვის რომლის ტერიტორიის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული.

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მთავარ გამოწვევებს წარმოადგენს ერთის მხრივ ბუნებრივი გაზის იმპორტზე ძლიერი დამოკიდებულება და ქვეყნის ჰიდრო რესურსების სეზონურობა, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის კონტროლის მუდმივი საფრთხე. ამ პრობლემის დასაძლევად საქართველომ უნდა განავითაროს შიდა განახლებადი ენერგორესურსები, მოახდინოს არატრადიციული ენერგიის წყაროების მოწოდების შემდგომი დივერსიფიკაცია და რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება.

დღევანდელი მდგომარეობით ჰიდროელექტრო პოტენციალი საშინაო ენერგიის ყველაზე პერსპექტიული რესურსია. სხვადასხვა შეფასების მიხედვით ეკონომიკურად ხელსაყრელმა ჰიდროენერგიის წლიურმა გამომუშავებამ შეიძლება 20-30 ტერავატ საათს მიაღწიოს.

2023 წელს საქართველოს ელექტროენერგიის წმინდა ექსპორტის დონემ 1,8 მილიარდ კვტსთ-ს, მიაღწია. თუმცა, შემდგომი განვითარება უფრო მდგრად საგარეო ბაზარს და ელექტროენერგიის სეზონურ გაცვლას მოითხოვს, რათა დაბალანსდეს ზაფხულში ჭარბი ენერგიისა და ზამთარში შიდა ენერგო-დეფიციტის არსებობა. ეს მოითხოვს მეზობელ ქვეყნებთან ელექტროგადამცემი კავშირების გაძლიერებას და ასევე გრძელვადიანი საიმედო და ენერგეტიკული ურთიერთობების ჩამოყალიბებას რაც შეიძლება დაიწყოს ორმხრივი შეთანხმების სახით, მაგრამ საბოლოოდ სასურველია უფრო სტაბილურ რეგიონული ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბება. უახლოეს მომავალში საქართველოს ელექტროენერგიისათვის ყველაზე პერსპექტიულ საგარეო ბაზრად თურქეთი მიიჩნევა. ამ მიმართულებით სწრაფი განვითარების მაგალითებია: 500/400კვ-იანი ხაზის მიმდინარე მშენებლობა ახალციხეში, სომხეთთან (220კვ) და აზერბაიჯანთან (330კვ) დამაკავშირებელი არსებული ხაზების რეაბილიტაცია და სხვა ხაზების მშენებლობა/რეაბილიტაცია. ამ ხაზების გაფართოებით საქართველო ცდილობს შექმნას ახალი შესაძლებლობები საკუთარი განახლებადი ენერგიით ვაჭრობაში და უზრუნველყოს გაცვლა მეზობელ ქვეყნებთან. ამან შეიძლება მეტი მნიშვნელობა შეიძინოს ფუკუშიმას ავარიის შემდგომ, ატომური ენერგიის მიმართ სიფრთხილის და სათბურის აირებით გამოწვეული კლიმატის ცვლილებების საფრთხის გაცნობიერების ფონზე.

საქართველოს ენერგო ეფექტიანობის და განახლებადი ენერგიის საკმაოდ დიდი რაოდენობის აუთვისებელი პოტენციალი აქვს, რომელიც უნდა განვითარდეს ენერგო უსაფრთხოებასთან ერთად. განახლებადი ენერგო რესურსების ეკონომიკურად მიღწევადი დონე შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს: მცირე ჰიდროელექტრო სადგურები -5 ტერ.ვტ.სთ, ბიომასა -3-4 ტერავატ.სთ, მზის ენერგია - 60-120 გვტ.სთ, გეოთერმული - 0,8 ტერავატ.სთ. თუმცა, განახლებადი ენერგიის პროცენტული წილი (დიდი ჰიდრო ელექტროსადგურების გარდა) საქართველოს ენერგო ბალანსში საკმაოდ მცირეა. ამასთან, ენერგიის ინტენსიურობა საქართველოს ეკონომიკაში მაღალია და ერთეულ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად დახარჯული ენერგია საქართველოში 2-2,5-ჯერ მეტია ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში. წინასწარი შეფასებების მიხედვით ენერგო ეფექტიანობის ზომების მიღების შემდეგ შესაძლებელია ენერგიის დაზოგვა 20%-მდე.

საქართველოს აქვს მურა ნახშირის საკუთარი რესურსი, რომელიც შეფასებულია 300 მლნ ტონად. მურა ნახშირი უკვე გამოიყენება ინდუსტრიაში და მიმდინარეობს პატარა თბოელექტრო სადგურის მშენებლობა ტყიბულში რაც ცხადყოფს, რომ ნახშირი უკვე გამოიყენება სიმძლავრის სექტორში უსაფრთხოებისა და ეკონომიკური მიზნით.

კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ნინოწმინდაში დაგეგმილი გაზის საცავის მშენებლობა. გაზის საცავი საშუალებას მოგვცემს შევინახოთ 300-400 მილიონი

კუბური მეტრი გაზი. წინასამშენებლო საპროექტო შესწავლა გასულ წელს დასრულდა და მალე მშენებლობისათვის მზადებაც დაიწყება.

ნაშრომის მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას ჩამოყალიბდეს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხების განხილვის მეთოდური საფუძვლები, რაც გააადვილებს საქართველოში არსებული ძირითადი ენერგეტიკული საფრთხეების განხილვას და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ენერგოუსაფრთხოების დონის შესაფასებლად მნიშვნელოვანია :

1) გავითვალისწინოთ, რა ენერგორესურსებს ფლობს ქვეყანა;

2) შევაფასოთ ენერგიის თითოეული წყაროს ზეგავლენა ენერგოუსაფრთხოების კუთხით;

3) რა თანხები ხმარდება საქართველოს ბუიჯეტიდან იმპორტით მიღებულ ენერგიის შესყიდვას და შეგვიძლია თუ არა ჩანაცვლება ამ რესურსებისა ადგილობრივი ენერგიის წყაროებით.

რეკომენდაციები

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ენერგოდამოუკიდებულობისა და ენერგოუსაფრთხოების ზრდას, ასევე შიდა რესურსების მაქსიმალურ ათვისებას, რაც თავის მხრივ, დარგის განვითარების პრინციპების დაცვას უნდა ეფუძნებოდეს:

1. ენერგეტიკის დარგში თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების გაძლიერების მიზნით, ენერგიის გადაცემისა და განაწილების საქმიანობა უნდა გაემიჯნოს ენერგიის გენერაციის, ვაჭრობისა და მიწოდების საქმიანობას.
2. უნდა ამოქმედდეს საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა, რომელიც უზრუნველყოფს ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენტული და ღია ბაზრის პრინციპების დანერგვას.
3. ეტაპობრივად უნდა მოხდეს მსხვილი მომხმარებლების ბაზარზე გაყვანა, მათი სიდიდისა და ძაბვის მიხედვით. პარალელურად უნდა განხორციელდეს შესაბამისი რეგულირებული სადგურების ეტაპობრივი დარეგულირება სიმძლავრეების მიხედვით.

დასკვნა

საკუთარი ნავთობისა და ბუნებრივი აირის ნაკლებობა, უხვი ჰიდრო პოტენციალი და დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობები რუსეთთან ასახავს

საქართველოში ენერგო უსაფრთხოების დღევანდელ სურათს. მასში სამი ძირითადი მიმართულებაა:

1. შიდა ენერგო რესურსების განვითარება;
2. რეგიონალურ დონეზე ენერგეტიკული თანამშრომლობის, გაცვლის და ვაჭრობის განვითარება;
3. ქვეყნის საერთაშორისო ენერგეტიკული ტრანზიტის შესაძლებლობების გაზრდა, განსაკუთრებით სამხრეთ კორიდორის ჭრილში.

ეს სამივე მიმართულება კარგ საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო რეგიონული თანამშრომლობისათვის და შესაძლოა გახდეს მონაწილეთა ეკონომიკური ზრდის, უსაფრთოების გაძლიერების და გარემოს უკეთესი დაცვის საწინდარი. ასეთი წინსვლის უზრუნველყოფა შესაძლებელია მოხდეს დასავლური სტანდარტების შესაბამისი, გამჭვირვალე სახელშეკრულებო და მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. „ენერგოეფექტურობა - ქვეყნის თანამედროვე განვითარების ქვაკუთხედი“, III საერთაშორისო კონფერენცია ,,თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“. 20-21.09. 2019. გვ. 54-56. EISSN 2346-8203
2. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. ,,საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების ანალიზი და შუქ-ჩრდილები (შედეგები)”, II საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია" ენერგეტიკის თანამედროვე პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები", 7-10.12. 2020. გვ. 80-84. თბილისი. საქართველო. ISSN 1512 - 0120
3. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. ,,ენერგოეფექტურობა-ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი”, international Scientific and Practcal Conference, „The world of science and innovation”, 10-12.02.2021. Лондон, Великобритания. გვ.132-141. ISBN 978-92-9472-197-6
4. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. ,,ენერგიის ცვალებადი განახლებადი და არატრადიციული წყაროები“, For being an active participant in VIII international Scientific and Practcal Conference. ,,Actual trends of modern scientific research", 14-15.03.2021. MUNICH გვ.232-240. ISBN 978-3-954753-02-4
5. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ფანცხავა ე., კანაშვილი თ, ,, ევროპის „მწვანე შეთანხმება“ და მისი გავლენა საქართველოს ენერგეტიკულ სექტორზე”, საერთაშორისო კონფერენცია ,,მწვანე შეთანხმება და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა საქართველოზე“, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ, საერთაშორისო

რეცენზირებადი ჟურნალი: ,,სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“ N3, 2022. გვ.39-52. ISSN 2667-9892 DOI:https://doi.org/10.51895/VSS უაკ(udc) 001.5 ს 75

6. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ. „ენერგორესურსები, როგორც პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტი რუსეთისთვის და სად არის საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობის გასაღები? “, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”-ის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია „მულტიდისციპლინარული სამეცნიერო კვლევების გლობალური პრაქტიკა“, 2022. გვ.210-217. ISBN: 978-625-8323-63-4 IKSAD GLOBAL PUBLISHING HOUSE.
7. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ. და სხვ.,,რუსეთ-უკრაინის ომით განპირობებული ახალი გეოპოლიტიკური გარემოებები ევროკავშირისა და საქართველოსთვის“, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 30 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მე-V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ,, თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები“. 30.09.2022. ელექტრონული ჟურნალი, გვ-1-11. ქუთაისი, EISSN 2346-8203
8. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ირ.გუგუშვილი და სხვ. „თანამედროვე მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე - ენერგეტიკის სექტორი“ ყოველკვარტალური, საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „ეკონომიკა და ფინანსები“ N1, 2023. გვ.55-63. ISSN 2587-5000
9. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., კუჭავა მ. „საქართველო-ევროპისა და აზიის გზაჯვარედინი - მნიშვნელოვანი აქტორი რეგიონალურ ენერგეტიკულ ლანდშაფტში“. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის, საერთაშორისო რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი: „სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“ N7, 2024. გვ.30-41. ISSN 2667-9892. DOI:https://doi.org/10.51895/VSS, უაკ(udc) 001.5ს75

Energy security - the guarantor of sustainable development of Georgia (Green economy and challenges of sustainable development in the process of transformation of the world order)

Ketevani Vezirishvili-Nozadze
Associate Professor
Georgian Technical University
Chief Researcher of the Georgian Technical University Ir. Zhordania Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia
ketivezirishvili@gmail.com

Mariam Kuchava
Academic Doctor
Akaki Tsereteli State University
mari13kuchava@gmail.com

Zurab Lomsadze
Professor
Georgian Technical University
Director of the Georgian Technical University Ir. Zhordania Center Studying Productive Forces and Natural Resources of Georgia
zlomsadze@mail.ru

Summery

Energy security is one of the most important and visible parts of national security, and its provision is the main goal of energy policy. The tense political situation in the South Caucasus region, Georgia's sustainable development requirements, and ongoing intensive infrastructure projects in the field of energy make energy security even more urgent. In professional circles or in discussions held by politicians, the topic of energy security is often used to justify certain decisions or to draw a line on problems in the sector, but in reality energy security defines energy pricing policy and implies the impact of energy consumption on the environment. International organizations and existing literature in the field of economics offer different definitions of energy security. Larry Haag reconciled these definitions and identified three dimensions by which a country's energy security should be

assessed: 1. Availability of energy resources (supply); 2. Price of energy resources (value); 3. Eligibility of energy resources (from the point of view of the environment). Georgia does not have its own significant reserves of gas and oil, it is an import-dependent country. 60-65% of its primary energy supply comes from external sources, of which 40-45% comes from imported gas and the rest from petroleum products. Hydro generation of Georgia, which makes up 20-25% of the supply of primary energy resources, fully meets the domestic requirements of the country, and the remaining 15-20% is firewood. The main challenges of Georgia's energy security are: on the one hand, strong dependence on natural gas imports and seasonality of the country's hydro resources, and on the other hand, the constant threat of controlling the country's vital energy infrastructure. To overcome these problems, Georgia must develop domestic renewable energy resources, further diversify energy supply and maintain political stability in the region. We have formulated the main results of the energy security research of Georgia in the presented article as a conclusion.

Keywords: Energy security, energy resources, import dependency, geopolitical reality, renewable energy sources.

აფხაზეთის ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება, თანამედროვე რეალობა და პერსპექტივა

ნაზი გვარამია

ასოცირებული პროფესორი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nazigvaramia1@gmail.com

ანოტაცია. *სამეცნიერო ნაშრომი შეეხება აფხაზეთის* ***არ-ის*** *ტერიტორიაზე არსებული ენერგეტიკული რესურსების, მათ შორის: ჰიდროენერგეტიკული და სათბობი რესურსების, აგრეთვე არატრადიციული ენერგეტიკული წყაროების დახასიათებას და მათი გამოყენების შესაძლებლობების ეკონომიკურ შეფასებას. წარმოდგენილია აფხაზეთის ენერგეტიკის სფეროში არსებული მდგომარეობა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე და მის შემდგომ პერიოდში. მოცემულია დარგის პერსპექტიული განვითარების სასტარტო მდგომარეობის ანალიზი, ენერგეტიკული მეურნეობის აღდგენის პერსპექტივები აქტიური ეკოლოგიური პოლიტიკის გათვალისწინებით. ნაშრომის სახით ჩვენი მიზანია ფართო საზოგადოებას წარვუდგინოთ აფხაზეთის ენერგეტიკული პოტენციალის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები და მეცნიერული დასაბუთება. ამავე დროს კვლევაში გათვალისწინებულია რეგიონში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარება, რომლის შესაბამისადაც, ამჟამად ენერგეტიკის საკითხი არის ერთადერთი ლეგალური სფერო საქართველოსა და დე-ფაქტო აფხაზეთს შორის თანამშრომლობის წარმართვისთვის. აქედან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია რეგიონის თანამედროვე ენერგეტიკული მდგომარეობა და პერსპექტივა.*

საკვანძო სიტყვები: *ენერგეტიკა, პოტენციალი, შეფასება, ანალიზი, პერსპექტივა.*

საქართველოში რეგიონალიზაციის პროცესების განვითარება ბოლო წლების მოვლენების ლოგიკური შედეგია. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ქვეყნის ენერგეტიკაში ამა თუ იმ რეგიონის წილი განისაზღვრება მისი საწარმოების რაოდენობით და მასშტაბებით აღნიშნულ სფეროში. 90-იან წლებში ჩამოყალიბდა ვითარება, როდესაც ენერგეტიკა ყველა რეგიონში ერთგვაროვანი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ განსაკუთრებით კრიზისული მდგომარეობა შეიქმნა ამ მხრივ აფხაზეთში. შეიძლება

ითქვას, რომ იგი ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონია თანამედროვე ეტაპზეც საქართველოში. აფხაზეთის **არ-ის** ეკონომიკის ნგრევა ძირითადად განაპირობა ქართულ-აფხაზურმა კონფლიქტმა, რომელსაც შედეგად მოჰყვა საომარი მოქმედებების დაწყება 1992 წელს. სწორედ ამ პერიოდში განხორციელებულმა ძარცვამ და ყაჩაღობამ მნიშვნელოვანი დაღი დაასვა აფხაზეთის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა დარგს. განადგურდა და მწყობრიდან გამოვიდა მატერიალური აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი. უდიდესი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ, ენერგეტიკამ, კავშირგაბმულობამ, საკურორტო და კომუნალურმა მეურნეობებმა.

აფხაზეთის ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებებით, რომელიც 90-იან წლებში ჩატარდა და რაც მოცემული პერიოდისთვის არასრული იყო, ომის შედეგად მხოლოდ ეკონომიკისა და სოციალური სფეროებისადმი მიყენებულმა მატერიალურ ფასეულობათა ზარალმა 3,0 მლრდ. ლარს გადააჭარბა, ხოლო მოქალაქეთა პირადი ქონების ზარალმა /საბინაო ფონდის/ გარდა 5,5-6,0 მლრდ. ლარი შეადგინა, ე.ი. სულ 8,5-9,0 მლრდ. ლარი. აღსანიშნავია რომ ამ პერიოდისთვის აფხაზეთის ეკონომიკა წარმოდგენილია იმ სამრეწველო საწარმოებით, სააქციო საზოგადოებებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებით, რომლებიც განთავსებულნი არიან რეგიონის ფარგლებს გარეთ, სქართველოს სხვადასხვა მხარეებში. 90-იან წლებში მათი რაოდენობა 700-ს აღწევდა, ხოლო აქ დასაქმებულთა საშუალო რიცხვი 2005 კაცს შეადგენდა.

რეგიონის ჰიდროენერგეტიკული რესურსები. აფხაზეთის **არ** საკმაოდ მდიდარია ჰიდროენერგეტიკული რესურსებით. რეგიონი მოთავსებულია საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე. ჩრდილოეთიდან იგი ისაზღვრება კავკასიონის ქედით, სამხრეთით შავი ზღვით, ჩრდილო-დასავლეთით ფსოუს აუზით, აღმოსავლეთით კი მდ. ენგურის აუზით. ამ საზღვრებს შორის მოთავსებული ტერიტორიის ფართობი 8,6 ათას კვ. კმ-ს უდრის, რაც მთელი საქართველოს ტერიტორიის 12, 5%-ს შეადგენს, აქედან 2/3 მთიან და მაღალმთიან ნაწილს წარმოადგენს, 1/3 კი მთისწინებსა და დაბლობებს უჭირავს. აფხაზეთის **არ-ის** ტერიტორიაზე გვხვდება შერეული საზრდოობის ტიპის მდინარეები. მათი უხვწყლიანობა და დიდი ვარდნა იძლევა პოტენციური ჰიდროენერგიის უდიდეს მარაგს. საქართველოში ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად ეფექტური ნაწილი შეადგენს 31,6 მლრდ. კვტსთ-ს წელიწადში. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მოდის აღნიშნული მაჩვენებლის 53%, უფრო კონკრეტულად კი რეგიონის დიდ მდინარეებზე მოცემული მაჩვენებლის პროცენტული განაწილება ასეთია: ენგურზე - 31,2%, კოდორზე - 16,5%, ბზიფზე - 4,7%. /იხ. ცხრილი 1/.

ცხრილი 1.

აფხაზეთის ჰიდროენერგეტიკული ეკონომიკური პოტენციალის განაწილება ძირითადი მდინარეების მიხედვით

მდინარეები	ეკონომიკური პოტენციალი მლრდ.კვტსთ	პროცენტულად ჯამის მიმართ	პროცენტი საქართველოს მთლიანი ეკონომიკური რესურსებიდან
ენგური	10,0	59,5	31,2
კოდორი	5,3	31,6	16,5
ბზიფი	1,5	8,9	4,7
სულ:	**16,8**	**100,0**	**52,4**

წყარო: Дзидзигури А.А, Бетанели К.П. Энергетические ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. გვ. 33

საქართველოში არსებულმა ელექტროენერგიის დიდმა დეფიციტმა, ელექტროენერგიაზე ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილების ზრდამ ერთის მხრივ და ქვეყანაში კვალიფიციური სპეციალისტების არსებობამ მეორეს მხრივ, საშუალება მისცა ჩვენს მეცნიერებსა და ინჟინრებს სხვა ქვეყნის სპეციალისტებთან თანამშრომლობით განეხორციელებინათ ისეთი უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტება და მშენებლობა, როგორიც ენგურის ჰესია. მიუხედავად იმისა, რომ მდ. ენგური მრავალი ათეული წლების მანძილზე იქცევდა გამოჩენილი სპეციალისტების განსაკუთრებულ ყურადღებას, მათ მიერვე დასახული სქემები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ჩვეულებრივი ჰიდროტექნიკური ნაგებობების გამოყენებას, განუხორციელებელი რჩებოდა, რადგან არ იძლეოდნენ იმ შედეგებს, რომლებიც მოსალოდნელი იყო ისეთი მძლავრი წყალვარდნილიდან, როგორიც მდ. ენგურია. მხოლოდ 1930 წ. იქნა შესრულებული მდ. ენგურის გრძივი პროფილი ლახამურის დასახლებიდან ჯვარის დასახლებამდე. ჩატარებულმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, რომ მდინარის ხვედრითი სიმძლავრეები ყველაზე უფრო ეფექტიანია მისი ენერგეტიკული გამოყენების უბნებზე, რომელიც მდებარეობს სოფ. მუხტარასა და ტობარს შორის, ასევე სოფ. ტოტანასა და ხუდონს შორის. 1931 წ. ტოტანა-ხუდონის უბანზე შესრულდა მცირე მოცულობის ტოპოგრაფიული სამუშაოები და ჩატარებულ იქნა ზოგადი ეკოლოგიური გამოკვლევები. იმავე წელს იქნა წამოყენებული მდ. ენგურის ენერგეტიკული გამოყენების მუშა ჰიპოტეზა. სამუშაოს შესრულების პროცესში დანიშნული იყო გამოსაყენებლად უბანი მდ.

ლარაკვაკვას შესართავიდან ჯვარის დასახლებამდე, რომელიც დაყოფილი იყო ოთხ საფეხურად დანადგარების ჯამური სიმძლავრით 156 ათ. კვტ. და და 965 მლნ. კვტ გამომუშავებით /საანგარიშო ხარჯით ყველა ჰიდროელექტროსადგურისათვის 120 მ³/წმ/.

1960 წ. მდ. ენგურის სქემა საბოლოოდ იქნა დამუშავებული რამდენიმე ვარიანტად. ყველა ეკონომიკური და ენერგეტიკული მახასიათებლების გათვალისწინებით შერჩეულ იქნა კასკადის ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებდა მდ. ენგურის დინების გადაგდებას მდ. ერისწყლის აუზში. ენგურჰესი საქართველოს ენერგოსისტემაში შემავალი ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრის 36% და წარმოებული ელექტროენერგიის 40%-ია. მისი აგებით შესაძლებელი გახდა ქვეყნის ჰიდროენერგორესურსების პოტენციალის /ტექნიკურის/ 6%-ის, ხოლო მდ. ენგურის პოტენციალის 50%-ით ათვისება. აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ჰიდრორესურსებიდან მდ. ენგურის გარდა ათვისებულია ცხრა მდინარე. ესენია: გუმისთა, ჯირხვა, ბელაია, ლაშიპრე, ჟოეკვარა, ბეშთა, ბესლეთი, აცეტუკუ, ხეცკვარა. აღნიშნულ მდინარეებზე აშენებულია მცირე ჰიდროელექტროსადგურები, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში /2/.

ცხრილი 2.

აფხაზეთის მცირე ჰესების ჩამონათვალი 1993 წ. 1 იანვრის მდგომარეობით[1]

#	ობიექტის დასახელება	მდინარეთა დასახელება	დადგმული სიმძლავრე კვტ	მდებარეობა
1.	სოხუმის ჰესი	გუმისთა	19 053	24 კმ. სოხუმიდან
2.	ჯირხვა ჰესი	ჯირხვა	21 000	9 კმ. ბზიფის ხიდიდან
3.	დურიფშ ჰესი	ბელაია	1 600	სოფ. დურიფში
4.	რიწა ჰესი	ლაშიპრე	984	რიწის ტბასთან
5.	რიწა ჰესი /სახ. აგარაკზე/	ჟოეკვარა	800	ქ. გაგრაში
6.	გაგრა ჰესი	ბეშთა	500	60 კმ. სოხუმიდან, ფსხუში
7.	ფსხუ ჰესი	ბესლეთი	368	სოფ. აბჟაყვაში
8.	ბესლეთის ჰესი	აცეტუკი	296	რიწის ტბასთან
9.	აჟარა ჰესი	ხეცკვარა	170	სოფ.აჟარაში

წყარო: შედგენილია ს/ს „ელექტროგადაცემის“ ფილიალის აფხაზეთის დირექციის მონაცემების საფუძველზე.

სათბობის რესურსული პოტენციალი. პირველყოფილი მდგომარეობიდან თანამედროვე ცივილიზაციამდე გადასვლის გრძელსა და რთულ გზაზე გიგანტურ ნახტომად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის მიერ „ცეცხლის მოთვინიერება“, აღმოჩენა, რომელსაც კაცობრიობა დიდხანს ელოდა, მდგომარეობდა იმაში, რომ ცეცხლს გარდა გათბობისა, თურმე შეეძლო მექანიკური მუშაობის შესრულება, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა ადამიანის ფიზიკურ შრომას და დიდ ბიძგს აძლევდა ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. სათბობ-ენერგეტიკული რესურსები განსაკუთრებულ როლს ასრულებს მატერიალურ წარმოებაში და საერთოდ საზოგადოების განვითარებაში. იგი ერთის მხრივ თავად წარმოადგენს მატერიალურ რესურსს, ხოლო მეორეს მხრივ აუცილებელი საშუალებაა სხვა რესურსებისა და მთელი საწარმოო აპარატის გამოყენებისათვის. აქედან გამომდინარე, სათბობ-ენერგეტიკული რესურსები წარმოადგენს ქვეყნის ძლიერებისა და სიმდიდრის წყაროს, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საფუძველს.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს კავკასიაში ერთ-ერთი მსხვილი ტყვარჩელის საბადო. იგი ცნობილია 1881 წლიდან. საბადო მოძიებულ იქნა ვ.ვ. მოკრინსკის მიერ და იმავე წელს შეყვანილ იქნა ექსპლუატაციაში. შემდგომში საბადოს სწავლობდნენ ი. რ. კახაძე, გ. ს. ძოწენიძე, ვ. ი. ედილაშვილი, პ. დ. გამყრელიძე, ს. გ. ბუკია. მათ მიერ დადგენილ იქნა საბადოს სტრატიგრაფია, ლითოლოგია, ტექტონიკა და ხასიათი. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს რ-ნში გავრცელებულია იურული, ცარცოვანი და მეოთხეული დანალექები. საქართველოში არსებული ნახშირის შვიდი საბადოდან /ტყიბული-შაორი, ტყვარჩელი, ახალციხე, გელათი, მაგანის, ბზიფის და სამხრეთ კახეთის/, ამჟამად მხოლოდ სამს აქვს სამრეწველო მნიშვნელობა. ესენია: ტყიბული-შაორის, ტყვარჩელის და ახალციხის ნახშირის საბადოები. აქედან ქვანახშირის საბადოებია ტყიბულსა და ტყვარჩელში, მურა ნახშირის საბადო კი ახალციხეში. გარდა ამისა, გამოვლენილია აგრეთვე ნახშირის შვიდი პერსპექტიული ფართობი: გოგოლეთის, ფახულანის, მაგანა ხარაგაულის, ჭანისწყლის, ფარცხანაყანევის, ქვიბია-გორდის. დანარჩენი ორი კი მოდის აფხაზეთის ტერიტორიაზე. ესენია: ბზიფი-გუდაუთის და კოდორის. რეგიონში არსებული უმნიშვნელოვანესი ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო მდებარეობს ოჩამჩირის რ-ნში. საბადოს სამრეწველო მარაგი შეადგენს 21 მლნ. ტ. ე. ი. მთლიანად საქართველოს ნახშირის მარაგების ჯამური ბალანსის 4,9%-ს. /იხ. ცხრილი 3/.

ტყვარჩელის საბადოს მეტისმეტად რთული ტექტონიკა აქვს. აქ ქვანახშირის წყება მოთავსებულია ნაოჭებში და დაწყვეტილია 30-60 ამპლიტუდიანი ნასხლეტებით. დიდი აშლილობანი ქვანახშირის წყებას ცალკეულ ბლოკებად ჰყოფს. ამ საბადოში ყველა ფენა რთულია, სხვადასხვანაირია მისი შემადგენლობა, სისქე და დაქანების კუთხე. ყველა ფართობზე გვხვდება სქელი ფენები, ამასთან თითქმის ყველა ფენა დამრეცია ან მცირედ დახრილია, რაც მნიშვნელოვნად ართულებს საბადოს

დამუშავებას. ამ საბადოზე ქვანახშირის ყველა ფენა გაზიანია და საშიშია მტვრის აფეთქების მხრივ. ტყიბულის ნახშირებისგან განსხვავებით ამ ნახშირებს არ ახასიათებს თვითაალებადობა, ამასთან ქვანახშირი მცირე სიმაგრისაა. ტყვარჩელის საბადოს ნახშირები მეტალურგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ იგი დამოუკიდებლად იკოქსება როგორც აღვნიშნეთ, ტყიბულის გაზიან ნახშირთან კაზმში სავსებით მისაღებ მეტალურგიულ კოქსს იძლევა. ტყვარჩელის ნახშირები ცნობილია როგორც ე. წ. პოხიერი ნახშირები. ისინიც, ისევე როგორც ტყიბულის ნახშირები, ძნელად გასამდიდრებელია. ამ ნახშირების აქროლადი ნივთიერებების გამოსავალი უდრის 32-35%.

ცხრილი 3.

საქართველოს რესპუბლიკის ნახშირის მარაგები, 1999 წ. 1 იანვრის მდგომარეობით /მლნ.ტ./ [1]

მაჩვენებლები	საბალანსო მარაგები კატეგორიის მიხედვით						ბალანსგარეშე მარაგები	
	A	B	C_1	A+B+ C_1		C_2	მლნ.ტ.	% ჯამთან
ნახშირის მარაგი სულ	3,8	200,8	220,8	425,4	100,0	54,7	15,9	100,0
მათ შორის:								
საკოქსე	3,8	160,5	186,2	350,5	82,4	47,1	7,2	45,3
მარაგების საბადოების მიხედვით:								
ტყიბული შაორი	3,8	154,5	174,8	333,1	78,3	49,8	3,7	23,3
ტყვარჩელი								
ახალციხე	-	6,7	14,3	21,0	4,9	0,5	3,8	23,9
	-	39,6	31,7	71,3	16,8	4,4	8,4	52,8

წყარო: შედგენილია სახელმწიფო დეპარტამენტ „საქნახშირის“ მონაცემების საფუძველზე.

დღესდღეობით აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ტყვარჩელის ნახშირის საბადოს დამუშავება შეჩერებულია და შესაბამისად საქართველოს ენერგოსისტემის მეორე მთლიანად გამოსულია მწყობრიდან. ჯერ კიდევ რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყებამდე ნახშირის გადამუშავების მოცულობა წინ უსწრებდა მის

მოპოვებას. ეს აიხსნებოდა იმით, რომ მოპოვებული ნახშირი არ აკმაყოფილებდა ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის მოთხოვნებს და ამასთან დაკავშირებით ნახშირი შემოჰქონდათ ყარაგანდიდან.

არატრადიციული ენერგეტიკული წყაროები. ენერგიის არატრადიციულ წყაროები ტრადიციული ენერგორესურსების ნაწილობრივ ალტერნატივას წარმოადგენს. დედამიწაზე ენერგიის ულევია წყაროა ***მზე,*** რომლის ირგვლივ ერთი შემობრუნების ციკლის განმავლობაში დედამიწა ღებულობს დაახლოებით 10^{18} რიცხვის ტოლი კვტსთ. რაოდენობის ეკვივალენტურ ენერგიას. იგი ხელმისაწვდომია, ეკოლოგიურად სუფთა და უფასო, მაგრამ როგორ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს ენერგია მეტად ძვირია, რის გამოც თითქმის ყველა ქვეყნის ენერგობალანსში მას ძალზე მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ მზის ენერგია მეტად გაფანტულია და დედამიწის ეკვატორულ ზონაში ერთ კვ. მ-ზე მოდის 250 ვატი, ხოლო საქართველოში 180-200 ვატი სიმძლავრე. საქართველო მზის ენერგეტიკული ობიექტების, მათ შორის მზის ელექტროსადგურების მშენებლობისათვის ერთ-ერთ ხელსაყრელ გეოგრაფიულ ზონად ითვლება. აქვე უნდა ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში საქართველო ერთ-ერთი პირველი რესპუბლიკა იყო, სადაც დაიწყო და შედარებით დიდი მასშტაბებით განვითარდა მზის ენერგიის გამოყენება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და სამრეწველო მიზნებისათვის, რისთვისაც ჩამოყალიბდა სპეციალიზებული ორგანიზაცია „სპეცჰელიოთბომონტაჟი“, რომელიც ამზადებს, ამონტაჟებს სითბოსა და სიცივის გამომმუშავებელ ჰელიოსისტემებს და აწარმოებს მათი გაშვება-გამართვის სამუშაოებს.

აფხაზეთის ***არ***-ის ტერიტორიის ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილები განეკუთვნებიან ა) და ბ) ზონებს და გაცილებით მეტად არიან უზრუნველყოფილი მზის ენერგიით /დაახლოებით 300 სთ. მზის ციალი ივლისში/, ვიდრე აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილები, რომლებიც განეკუთვნებიან გ) და დ) ზონებს /დაახლოებით 250 სთ. მზის ციალი ივლისში/. ზაფხულის სამი თვის პოტენციალურად შესაძლო ჰელიოდანადგარების სამუშაო დრო შეადგენს 700-720 სთ, ხოლო წლის განმავლობაში 1 900-2 000 სთ-ს. აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველაზე უფრო პერსპექტიულია საყოფაცხოვრებო-კომუნალური, სასოფლო-სამეურნეო და მცირე სამრეწველო ობიექტების უზრუნველყოფა მზის კოლექტორებით /წყლის გასათბობად საცხოვრებელ ბინებში, აუზებში, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსებში, შენობის კონდიციონირებისათვის და სხვა/.

რეგიონის მაღალმთიან ზონაში /2,5 კმ-ზე ზემოთ განლაგებული რაიონებისათვის/ ჰაერის ტემპერატურის დაბალი მნიშვნელობა, ხშირი თოვა, ქარბუქები, ძნელადმიღწევადობა ნაკლებად ეფექტურს, უმეტეს შემთხვევაში კი არამიზანშეწონილს ხდის ჰელიოსისტემების გამოყენებას ზამთრის პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ დეკემბერ-იანვარშიც კი ამ ადგილებში მზის რადიაციის

ძალზე მაღალი ინტენსივობა აღინიშნება /ატმოსფეროს დიდი გამჭვირვალობის გამო/ და ნათელი ცის ალბათობაც მაქსიმალურია წლის განმავლობაში. აფხაზეთში მზის ენერგიის გამოყენების მთავარ პირობად სხვა ფაქტორთა შორის მისი ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა მივიჩნიოთ. მზის ენერგიის გამოყენების საქმეში დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეგიონისთვის ჯერჯერობით ამ ენერგიის გამოყენება ყველაზე უფრო ეფექტურია საყოფაცხოვრებო, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, საკურორტო ობიექტების წყალმომარაგებისთვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტექნოლოგიური დამუშავებისთვის.

ქარის ძალას ადამიანი უძველესი დროიდან იცნობდა და იყენებდა. ქარის ენერგია მზის პირმშოა. მისი წარმოშობის მიზეზია დედამიწის ზედაპირის არათანაბარი გაცხელება, რის გამოც სხვადასხვა რეგიონებს შორის ხდება ჰაერის ნაკადების გადადინება და წნევათა გათანაბრება. ხოლო ჰაერის მასის გადაადგილება - ეს სრულფასოვანი მექანიკური ენერგიაა, რომლის გამოყენებაც შესაძლოა ელექტროდენის მისაღებად. სავარაუდო შეფასებით საშუალოდ მსოფლიოში ქარის ენერგიის პოტენციალი 30-ჯერ მეტია ელექტროენერგიის წლიურ მოხმარებაზე. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს, რომელიც ქარის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით უნიკალური რეგიონია. საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე მუშა ქარების ხანგრძლივობა, რომლის დროსაც შესაძლოა ქარის აგრეგატების მუშაობა, წელიწადში საშუალოდ შეადგენს 2 000 სთ-ს, ხოლო ცალკეულ რაიონებში იგი 5 000 სთ-ს აღწევს. ქარის ენერგიის ეკონომიკურად ეფექტური ნაწილი ქვეყნის ტერიტორიისათვის შეადგენს 4,5 მლრდ. კვტსთ. წელიწადში. აფხაზეთში პერსპექტიულად ითვლება ქარის ენერგიის გამოყენების თვალსაზრისით მზიფის ხეობა.

აფხაზეთი ***თერმული წყლებით*** საკმაოდ მდიდარი რეგიონია. თერმული წყლების საბადოთა ძიებას, მოპოვებასა და გამოყენებას ორგანიზაციული ხასიათი მიეცა 1973 წლიდან. ამ წელს საქართველოში ჩამოყალიბდა თერმული წყლების ბურღვისა და მოპოვების სამმართველო „საქბურღგეოთერმია“. ქვეყნის ტერიოტორიის ჰიდროლოგიური შესწავლის თანამედროვე ეტაპზე საქართველოს თერმული წყლების საერთო პროგნოზული მარაგი /წყლის ტემპერატურა 50-110^0/ შეადგენს 250 მლნ. მ^3, აქედან 34 მლნ. მ^3, ანუ 14% აფხაზეთზე მოდის. თერმული წყლების ასეთმა მარაგმა შეიძლება ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი რეგიონის ენერგეტიკის განვითარებაში. აფხაზეთის თერმული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლები დადებითია, რაც პირველ რიგში გამოიხატება მაღალი ტემპერატურული და დაბალი მინერალიზაციის მაჩვენებლებში, მათი უმრავლესობა შეიცავს მიკროკომპონენტებს: იოდს, ბრომს, ბორს და სხვა. ეს კი არსებული ტემპერატურის, გაზის შემცველობის და მცირე რადიაქტივობის პირობებში მის სამკურნალო თვისებებსაც განაპირობებს. „საქბურღგეოთერმიის“ მიერ რეგიონში მიმდინარეობდა ინტენსიური ბურღვითი

სამუშაოები თერმული წყლების გამოსავლენად კინდღის და ოხურეის ფართობებზე. განსაზღვრულ ინტერესს იწვევს ოჩამჩირის და გუდაუთის არტეზიული აუზები /იხ. ცხრილი 4/.

ცხრილი 4.

აფხაზეთის ძირითადი გეოთერმული წყლების დახასიათება[1]

#	აუზის დასახელება	აუზის ფართობი კმ^2	თერმული წყლების პროგნოზული დებიტი ათ. მ^3 დღე-ღამეში	დამტკიცებული მარაგები ათ. მ^3 დღე-ღამეში	თერმული წყლების ტემპერატურა ^{0}C	ადმინისტრაციული რაიონი
1. 2.	ბზიფის კოდორის	1 900 2 750	50-60 50	15 15	80 60-90	გაგრის, გულრიფშის, ოჩამჩირის, გალის

წყარო: შედგენილია შემდეგი წყაროს საფუძველზე: Дзидзигури А.А, Бетанели К.П. Энергетические ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. გვ.79.

აფხაზეთში თერმული წყლები მიიღებოდა დაახლოებით 2 000-3 000 მ. სიღრმიდან. სიღრმისეული ბურღვის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია მაღალტემპერატურული თერმული წყაროების სითბოს გადიდება. ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოიყენება ისეთი თერმული წყლები, რომელთა ჭაბურღილსაც მნიშვნელოვანი დებიტი და მაღალი ტემპერატურა გააჩნია. აფხაზეთის ტერიტორიაზე უმაღლესი ტემპპერატურით 100 ^{0}C ხასიათდებიან კინდღის და ოხურეის თერმული წყლები. გამოკვლევებმა უჩვენეს, რომ გეოთერმული წყლების უმრავლესობას ბუნებრივ პირობებში ლითონის მიმართ ახასიათებთ კოროზიული აგრესიულობა. ძირითადი კოროზიული აგრესიული კომპონენტებია გოგირდწყალბადი და ნახშირმჟავა. პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელია ამ მავნე მინარევების გაუვნებელყოფა, რაც ტექნიკურად შეუძლებელია. /იხ.ცხრილი 5./.

ცხრილი 5.

აფხაზეთის გეოთერმული წყლების ძირითადი მახასიათებლები

#	საბადოს დახასიათება	ადმინისტრაციული რაიონები	დებიტი $м^3$ დღე-ღამეში	ტემპერატურა ^0C	ატმოსფერული წნევა, ატმ.	მინერალიზაცია	გაზის შემცველობა
1.	გაგრა	გაგრის რ-ნი	500	19	3,8	0,7	N_2
2.	ბიჭვინთა	გაგრის რ-ნი	1 500	19	-	0,5	N_2
3.	გუდაუთა	გუდაუთის რ-ნი	800	42	1,0	0,4	N_2
4.	დრანდა	გულრიფშის რ-ნი	1 500	91	9,8	1,8	N_2
5.	კინდღი	ოჩამჩირის რ-ნი	2 400	100	4,5	1,9	CO_2
6.	ოხურეი	ოჩამჩირის რ-ნი	6 000	100	10,2	0,9	CO_2
7.	რეჩხი	გალის რ-ნი	1 400	57	-	0,5	N_2
8.	საბერიო	გალის რ-ნი	600	20	-	0,6	$N_{a2}CO_3$

წყარო: შედგენილია შემდეგი წყაროს საფუძველზე: Дзидзигури А.А, Бетанели К.П. Энергетические ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. გვ.81.

გარდა ზემოთ განხილული არატრადიციული ენერგეტიკული წყაროებისა, რომლებიც გამოსადეგია ელექტროენერგიის მისაღებად, აფხაზეთის ტერიტორიაზე ამავე მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ზღვის ტალღების ენერგია, ბიოლოგიური გაზები და ქალაქის ნარჩენების დაწვის შედეგად მიღებული თბური ენერგია.

ბიომასა ჯერ კიდევ 50 წლის წინ საქართველოში თბური ენერგიის ძირითადი წყარო იყო. ენერგია მიიღებოდა შეშის, ჩალის, ტორფის და სხვა ნედლეულის დაწვის შედეგად. ამჟამად ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით შესაძლებელია ენერგიის მიღება ორგანული ნარჩენების და ნაკელის, აგრეთვე მცენარეული ნედლეულის და სხვა მასალების ბიოგაზში, გენერატორულ გაზში, სპირტსა და მცენარეულ სათბობში პირველადი გარდაქმნით. ბიოგაზის პირველი დანადგარი საქართველოში ჯერ კიდევ უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის შემდე კრწანისში ამუშავდა. 90-იან წლებში ფირმა „კონსტრუქტორმა“ შეიმუშავა და აითვისა მარტივი ტიპის ბიოგაზის დანადგარების დამზადება და ენერგეტიკის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში ფერმერთა ოჯახებში დაიდგა რამდენიმე ასეთი დანადგარი.

თანამედროვე ვითარება აფხაზეთში. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტამდე /1992-1993წწ./ აფხაზეთში ფუნქციონირებდა ოთხი მსხვილი ჰიდროელექტროსადგური: ენგურჰესი, ვარდნილჰესი, ტყვარჩელჰესი და სოხუმჰესი. მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურები იყო: ბაღნარის-2 ჰესი /გაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე/, ბაღნარის ჰესი, გაგრის ჰესი /1903 წ. აშენებული პრინც ონლდენბურსკის მიერ/, ფსირცხის ჰესი /ახალი ათონი/, ბესლეთის ჰესი /სოხუმის რ-ნი/, რიწის ჰესი, ამჟამად აუათხარა-ს ჰესი /სოფ. აუათხარა), რიწის-2 ჰესი, ჯირხვის ჰესი, დურიფშის ჰესი, ფსოუს ჰესი, აჟარის ჰესი. ამჟამად, მცირე ჰიდროელექტროსადგურებიდან 2022 წ. აღდგენილი იყო მხოლოდ აუათხარა-ს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც 20 კვტ. ენერგიას ამუშავებს, რითაც ამარაგებს პანსიონატ აუთხარა-ს, რიწის რელიქვიურ ნაციონალურ პარკს და ფიჭური ქსელის ერთ-ერთ ადგილობრივ ანძას. დანარჩენი მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურები არ ფუნქციონირებენ და არც არსებობს მათი აღდგენის ეკონომიკური მოდელი. რუსეთთან მოლაპარაკების შედეგად დადგინდა, რომ აფხაზეთში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების აღდგენითი სამუშაოების თანხა 87 მლრდ. რუსულ რუბლს შეადგენს / 2 610 000 000 ლარი; 957 000 000 აშშ. დოლარი/. უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით ენერგეტიკის საკითხი ერთადერთი ლეგალური სფეროა საქართველოსა და დე-ფაქტო აფხაზეთს შორის თანამშრომლობისთვის, რადგან ენგურჰესისა და ვარდნილჰესის ელექტროსადგურების გეოგრაფიული მდებარეობა არ იძლევა საშუალებას, რომ მხოლოდ ერთმა მხარემ ისარგებლოს ელექტროენერგიით. ჯვრის წყალსაცავი მდებარეობს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ზუგდიდის რაიონში, ხოლო ელექტროსადგურები, რომლებიც გამოიმუშავებენ ელექტროენერგიას, არის დე-ფაქტო აფხაზეთის, გალის რაიონში. აფხაზურ და ქართულ მხარეს შორის არსებობს შეთანხმება ელექტროენერგიის დაყოფაზე. ენგურჰესზე გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% მიეწოდებოდა აფხაზეთს, ხოლო 60% დანარჩენ საქართველოს. ოფიციალურად, ყველა ტექნიკა ეკუთვნის შპს ენგურჰესს, რომლის აქციების ასი პროცენტი საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაშია. შპს ვარდნილჰესების კასკადი შპს ენგურჰესი-ს შვილობილ კომპანიას წარმოადგენს. საწარმო აფხაზეთში, გალის რაიონის სოფელ რეჩხში მდებარეობს. მის შემადგენლობაშია ოთხი ჰიდროელექტროსადგური: ჰესი I, ჰესი II, ჰესი III და ჰესი IV, რომელთა დადგმული სიმძლავრე 340 მგვტ-ია. ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ ჰესი I, რომელიც სეზონური რეგულირების 146 მლნ. $მ^3$ წყალსაცავის მქონე კაშხალთან მდებარე ჰიდროელექტროსადგურს წარმოადგენს. მისი დადგმული სიმძლავრე 220 მგვტ-ს შეადგენს. ჰესი I-ის ექსპლუატაციაშია სამი ჰიდროგენერატორი, თითოეულის სიმძლავრე 73,3 მგვტ-ია. საომარი მოქმედებების პერიოდში ჰესი II, ჰესი III და ჰესი IV მთლიანად გაიძარცვა და წყალგამყვანი არხის დონეებამდე დაიტბორა. ვარდნილჰესი

I მდებარეობს მდინარე ერისწყლის ხეობაში, გალის ჩრდილოეთით. მასში შედის კაშხალთან არსებული მიწისზედა ჰესი, სამშენებლო გვირაბი, წყალმიმღები, წყალგამტარი ნაგებობები და ღია გამანაწილებელი მოწყობილობა. 2011 წლის ივლისში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და შპს „ენგურჰესს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ვარდნილნილჰესი I-ს მოწყობილობების რეაბილიტაციისთვის 20 მლნ ევრო გამოიყო. აღნიშნული პროექტით 2012-2017 წწ. ჰესი I-ის ძირითად და დამხმარე ელექტრომოწყობილობებს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა, შეიცვალა აგრეგატრებისა და 220/110 კვტ. ხაზების მართვის, დაცვისა და სიგნალიზაციის პანელები. 220/110 კვტ. ღია გამანაწილებელ მოწყობილობაში სრულად განახლდა ძაბვის აპარატურა, აღდგა სათავე ნაგებობის ელექტრომოწყობილობები, მართვის პანელები და მექანიკური ნაწილი. რეაბილიტაციის შედეგად, წინა წლებთან შედარებით, აგრეგატების მუშაობის საიმედოობა და ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა, ელექტრომოწყობილობების ოპერატიული უსაფრთხოების მდგომარეობა კი გაუმჯობესდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მოწყობილობისა და დანადგარის აღდგენითი სამუშაოები ვარდნილჰესების კასკადზე გრძელდება. აფხაზეთის ტერიტორიაზე თანამედროვე ეტაპზე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მთლიანად კონტროლდება მხოლოდ სოხუმის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც აღდგენილია 2011 წელს. ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა რუსი ინვესტორის ვლადიმერ აფუხტინის მიერ განხორციელდა, პროექტის ღირებულებამ 12 მილიონი აშშ. დოლარი შეადგინა. ელექტროსადგურის სიმძლავრეა 19,6 მგვტ, წლიური გამომუშავება 120 მლნ. კვტ/სთ, რაც მოხმარებული ენერგიის დაახლოებით 5%-ს შეადგენს. 2020 წლამდე ელექტროენერგიის მიწოდება საკმარისი იყო დე-ფაქტო აფხაზეთისთვის, მაგრამ ბოლო წლებში არალეგალურმა კრიპტოვალუტის მოპოვებამ გაზარდა რესპუბლიკის ელექტროენერგიის მოხმარება 2-დან 3 მლრდ. მგვტ-მდე. წარმოქმნილმა დეფიციტმა ნაწილობრივ დაფარა რუსეთის მიერ ჰუმანიტარული დახმარების სახით მიწოდებული ელექტროენერგიის ნაკადი, მაგრამ დღევანდელი დღის მდგომარეობით მოსკოვმა შეწყვიტა ელექტროენერგიის ჰუმანიტარული მიწოდების პრაქტიკა და დე-ფაქტო აფხაზეთს ამ ეტაპისთვის გააჩნია ელექტოენერგიის საფასურის დავალიანება რუსეთის მიმართ. რეგიონში ელექტროენერგიის დეფიციტი გამოწვეულია ძველი, არამოდერნიზირებული ჰიდროელექტროსადგურების არსებობით. დარგი საჭიროებს ამ სფეროში მოცულობითი ინვესტიციების განხორციელებას, რასაც თავის მხრივ აფერხებს დე-ფაქტო აფხაზეთში მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს ბიზნეს სექტორის მიერ იმ ჰიდროელექტროსადგურების იჯარით აღებას, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 5 მგვტ-ს. შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია

აფხაზური მხარის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საფუძველზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. გვარამია. აფხაზეთის ენერგეტიკული პოტენციალის გამოყენების მიმართულებები. სადისერტაციო ნაშრომი, 2002 წ.
2. https://abkhazia.gov.ge/saministro/MINISTRY-OF-FINANCE-AND-ECONOMY
3. https://Kavkaz-uzel.eu
4. https://jam-news.net>topic
5. https/tass.ru https://sputnik-abkhazia.ru/

Assessment of Abkhazia's energy potential, modern view and perspective

Nazi Gvaramia
Associate Professor
Sokhumi State University
nazigvaramia1@gmail.com

Summary

The scientific work will concern the characterization of energy resources in the territory of the Autonomous Republic of Abkhazia, including hydropower and heating resources, as well as non-traditional energy sources as well as economic assessment of their usage possibilities. The Paper presents the current situation in Abkhazia's energy sector, and the dynamic before and after the Georgian-Abkhazian conflict. An analysis of the initial state of the field's prospective development, and opportunities for the restoration of the energy industry, considering the active environmental policy, are provided. The paper aims to present the possibilities of rational use of the energy potential of Abkhazia and the scientific justification to the general public. At the same time, the study takes into account the difficult political situation in the region, according to which, currently, the energy issue is the only legal field for conducting cooperation between Georgia and de-facto Abkhazia. Therefore, the current energy situation and perspective of the region are presented within the scope of the research.

Keywords: Energy, Potential, Evaluation, Analysis, Perspective.

კონკურენცია და სახელმწიფო შესყიდვები

ლაშა მგელაძე
ეკონომიკის დოქტორი
lmgeladze@gmail.com

ანოტაცია. ნაშრომის კვლევის საგანია *სახელმწიფო შესყიდვების სისტემა და სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე არსებული კონკურენტული მდგომარეობა.* ***კვლევის ობიექტია*** *ერთ-ერთი აქტუალური თემა, საწვავის ბაზარზე არსებული რეალობა, კერძოდ, საწვავის კონსოლიდირებული ტენდერების მიმართულებით არსებული მდგომარეობა. ჩატარებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი კვლევა; გამოყენებულია სამაგიდო და ემპირიული კვლევის მეთოდები.* ***გაანალიზებულია*** *ბოლო ათი წლის მანძილზე არსებული მდგომარეობა განხორციელებულ საწვავის კონსოლიდირებულ ტენდერებთან მიმართებაში, კრიტიკულადაა შეფასებული არსებული მდგომარეობა და წარმოდგენილია რეკომენდაციები სისტემის დახვეწის კუთხით.*

საკვანძო სიტყვები *- კონკურენცია, საწვავის ბაზარი, სახელმწიფო რეგულირება, კონცენტრაცია, სახელმწიფო შესყიდვები, კონსოლიდირებული ტენდერი.*

შესავალი

კონკურენცია ქვეყნის განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დონის ზრდის ერთ-ერთ საფუძვლად მიიჩნევა. ის უფრო მეტ აქტუალობას იძენს, როცა საკითხი სახელმწიფო პოლიტიკას/რეგულირებას ეხება. მიიჩნევა, რომ სახელმწიფომ თავისი ქმედებებით, შესაძლებელია ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს კონკურენცია. შესაბამისად, კონკურენციის პოლიტიკის ერთ-ერთ მიმართულებად სწორედ სახელმწიფო პოლიტიკის, ქმედებების ანალიზი და კონკურენციის განვითარების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებაა. ასევე, იმ ქმედებების აღკვეთა, რომელთაც შესაძლოა გამოიწვიონ კონკურენციის შეფერხება/დაზარალება ამა თუ იმ ბაზარზე, სექტორში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის ჭრილში გვინდა განვიხილოთ სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მიმართულება - სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი, საწვავის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს/სიტუაციის მაგალითზე.

რატომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი? უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი ერთ-ერთი სფეროთაგანია, სადაც კონკურენციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მითუმეტეს იმ ფონზე, რომ ბაზარზე შემსყიდველები (მომხმარებლები) არიან სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ხარჯავენ და მინიმუმამდეა დასული კონკურენცია. მინიმუმამდეა დასული ასევე სტიმული - იაფად შეისყიდონ ხარისხიანი. შესაბამისად, შეიქმნა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული კონკურენცია და ყაირათიანად იქნას გახარჯული სახელმწიფო საბიუჯეტო რესურსები.

საკითხს აქტუალობას სძენს ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე დახარჯული ფინანსების ოდენობა, ყოველწლიურად მთლიანი შიდა პროდუქტის 8-13%-ს შეადგენს: სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ: 2023 წელს 10,493,526,646 ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 13.1%-ია [19, გვ.9]; 2022 წელს ანალოგიურმა მაჩვენებლებმა 7,398,621,294 ლარი და მშპს 10.3% შეადგინა [18, გვ. 10]; ხოლო 2021 წელს 5,754,188,526 ლარი და მშპ-ს 10% შეადგინა [17, გვ.9]. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2023 წლის ბიუჯეტმა 22, 311,291.1 ლარი შეადგინა, [21] გამოდის, რომ ბიუჯეტის თითქმის ნახევარი სახელმწიფო შესყიდვებზე იხარჯება, რაც კიდევ უფრო ზრდის სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენციის არსებობის მნიშვნელობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ, საწვავის ბაზარზე არსებული კონკურენტული მდგომარეობის ჭრილში, განგვეხილა სახელმწიფო შესყიდვების ბაზარი, კრიტიკულად შეგვეფასებინა (დაგვენახებინა სისტემაში არსებული ხარვეზები) არსებული მდგომარეობა და წარმოგვედგინა ჩვენი რეკომენდაციები სისტემის სრულყოფის მიზნით.

ძირითადი ტექსტი

სანამ უშუალოდ საწვავის სახელმწიფო შესყიდვის საკითხზე გადავალთ, უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის მარეგულირებელმა უწყებამ სამჯერ მოახდინა საწვავის ბაზრის შესწავლა - 2014 [4], 2018 [3], 2023 [1] წლებში და სამივე ჯერზე გამოავლინა კონკურენციის კანონდარღვევით მოქმედება ბაზარზე - შეთანხმებული ქმედება ბაზარზე მოთამაშე მსხვილ კომპანიებს შორის (კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის დარღვევა): შპს. „სოკარ პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს „სან

პეტროლიუმ ჯორჯიას“, შპს. „რომპეტროლ საქართველოს“, სს. „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიასა“ და შპს. „ლუკოილ ჯორჯიას“ შორის.

ზემოაღნიშნულის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კვლევებს შორის პერიოდში (პირველსა და ბოლო კვლევას შორის) - 9 წლის მანძილზე, კონკურენციის მიმართულებით ბაზარზე სიტუაცია არ გამოსწორებულა; თუმცა ეს სხვა საკითხია, რომლზეც ჩვენს სხვა კვლევებში გვაქვს ყურადღება გამახვილებული [42, 43]. ახლა კი გვინდა საკითხი სახელმწიფო შესყიდვების ჭრილში განვიხილოთ[4].

საწვავის სახელმწიფო შესყიდვები/კონსოლიდირებული ტენდერები საწვავის ბაზარზე - როცა საწვავის ბაზარზე კონკურენტულ გარემოზე და აღნიშნული სექტორის გაუმჯობესებაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია არ გამოგვრჩეს ამ სექტორში სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით არსებული სიტუაცია. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ, რომ კონკურენციის სააგენტომ 2014, 2018 და 2023 წელს განახორციელა საწვავის ბაზრის კვლევა და ორივე შემთხვევაში კონკურენტული პირობების დარღვევის ფაქტი აღმოაჩინა. საინტერესოა სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე რა ხდებოდა ამ მიმართულებით.

კონსოლიდირებული ტენდერი საწვავზე (როგორც ბენზინზე, ისე დიზელზე) ცხადდება 2012 წლიდან. მთავრობა ყოველწლიურად აცხადებს მილიონობით ლიტრ საწვავზე კონსოლიდირებულ ტენდერს. ქვემოთ მოცემულია ცხრილი (დანართი 1 და დანართი 2), სადაც ასახულია გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის მონაცემები საწვავის კატეგორიების/მარკის მიხედვით. ამჯერად შემოვიფარგლეთ მხოლოდ ბენზინზე გამოცხადებული ტენდერებით, რომელიც მოიცავს ავტოგასამართ სადგურებიდან გასატან საწვავს (2016 წლიდან, რიგ შემთხვევებში, ტენდერი ცხადდება ავტოგასამართ სადგურიდან გასატან და ნავთობბაზიდან გასატან საწვავზე ცალ-ცალკე). ვფიქრობთ, რომ საერთო სურათის წარმოსაჩენად მხოლოდ ბენზინზე გამოცხადებული ტენდერის მონაცემების ანალიზიც საკმარისია.[5]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას (მათ შორის #1 და #2 დანართებში ასახული ინფორმაციის ანალიზის შედეგად):

1. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როცა საწვავის ბაზარზე მსხვილ კომპანიებს შორის კონკურენციის დარღვევის ფაქტებს ავლენს კონკურენციის მარეგულირებელი უწყება (ბაზარზე გამოვლინდა კონკურენციის დარღვევის, კერძოდ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის - შეთანხმებული ქმედებები და ანტიკონკურენციული გადაწყვეტილებები, დარღვევის ფაქტი). პარალელურად, ცხადდება კონსოლიდირებული ტენდერი საწვავზე, სადაც თითო კატეგორიის საწვავზე გამარჯვებულია ერთი კომპანია (საუბარია ასიათასობით, გარკვეულ შემთხვევებში მილიონობით ლიტრ საწვავზე).

---

[4] ჩვენი მიმდინარე ნაშრომს/მოხსენებას, მათ შორის, საფუძვლად უდევს, ჩვენ ორი 2022 და 2024 წელს გამოქვეყნებული ნაშრომები [42, 43]რომელიც საწვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობას შეეხება

[5] იხილეთ წარმოდგენილი დანართები #1 და #2 - სახელმწიფო ტენდერი საწვავის შესყიდვაზე, რომელიც დამუშავებული იქნა საწვავის კომპანიების მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე.

ანუ, შექმნილი სიტუაციის მიხედვით შეიძლება ითქვას შემდეგი: ერთის მხრივ, ვლაპარაკობთ საწვავის ბაზარზე სიტუაციის გამოსწორებასა და კონკურენტული გარემოს შექმნაზე, მეორეს მხრივ კი, ამ დროს, კონსოლიდირებულ ტენდერს ვაცხადებთ, რომელსაც ისევ ის მსხვილი კომპანიები იგებენ (თან ერთი კომპანია საწვავის კონკრეტული სახის მიხედვით). რომლებიც, კვლევის მიხედვით კარტელურ გარიგებაში არიან ერთმანეთთან და არღვევენ კონკურენციის წესებს ბაზარზე.

აქ ზედმეტი კვლევის გარეშეც ნათელია, რომ საქმე გვაქვს არაკოორდინირებულ ქაოტურ და არაეფექტიან მოვლენასთან, რომელიც მკვეთრად ზღუდავს კონკურენციას ბაზარზე და აფერხებს სექტორის დინამიურად განვითარების შესაძლებლობას. ერთის მხრივ, ვცდილობთ ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებას და მეორეს მხრივ, ვაფერხებთ კონკურენტულ განვითარებას. ვხარჯავთ რესურს კვლევებზე, სანქციების დაწესებასა და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებაზე, გადაწყვეტილების აღსრულებასა და სასამართლო დავაზე (საწვავის კომპანიების ანტიკონკურენტული ქმედებისათვის დასჯის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ - საუბარია 2014 წლის კვლევაზე, სასამრთლოში დავა გაგრძელდა და პროცესი 4 წლის მანძილზე გაიწელა დროში - დასრულდა 2018 წელს. 2023 წლის კვლევაც გასაჩივრებულია სასამრთლოში და მიმდინარეობს პროცესი) და მეორეს მხრივ, მილიონობით ლიტრ საწვავს ვყიდულობთ ერთი კომპანიისგან (კარტელურ გარიგებაში მყოფ კომპანიას გარანტირებულად ვაძლევთ მოგებას და კიდევ უფრო ვუმყარებთ ბაზარზე პოზიციას). სხვა რომ არაფერი, ეს გადაწყვეტილება გაკოტრების პირას აყენებს ბაზარზე არსებულ მცირე მოთამაშეებს და მკვეთრად ამცირებს ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლის სტიმულს.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს ერთიანი/ჩარჩო გეგმის არსებობას და სახელისუფლებო დაწესებულებებს შორის კოორდინირებულ საქმიანობას. ასევე, ამყარებს ჩვენს მიერ არაერთხელ გამოთქმულ რეკომენდაციას კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების კოორდინაციის/კონტროლის ფუნქციის ერთ უწყებაში არსებობის (გაერთიანების) მიზანშეწონილობის შესახებ.

2. უნდა აღინიშნოს, რომ 2013-2023 წლებში საწვავზე გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერები ცხადდებოდა ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით 10-94[6] თეთრით იაფად (ხაზს ვუსვამთ ცხადდებოდა და არა ვაჭრობის შედეგად ფიქსირდებოდა). ტენდერს ვაცხადებთ ბაზარზე არსებულ ფასზე უფრო დაბალ ფასად და ზოგიერთ შემთხვევაში, კიდევ უფრო დაბალ ფასს ვიღებთ გამარჯვებული კომპანიისგან.

დასაზუსტებელია:

ა) რის საფუძველზე დადგინდა საწყისი ფასი (რომელი ანალიზის, კვლევის საფუძველზე დადგინდა საბაზროზე უფრო დაბალი საწყისი ფასი). შესაბამის ორგანოს/ორგანოებს აღნიშნული საკითხის გასარკვევად არანაირი ანალიზი არ აქვთ ჩატარებული (ჩვენ მსგავსი დოკუმენტი/ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ/მოვიძიეთ);

[6] უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წელის 5 დეკემბერს გამოცხადებულ კონსოლიდირებულ ტენდერში როგორც რეგულარის ისე პრემიუმისა და სუპერის მარკის საწვავზე, ბაზარზე არსებულ საცალო ფასსა და შესაბამისი ორგანოს გამოცხადებულ ფასს (ხაზს ვუსვამთ, გამოცხადებულ და არა ბაზრის მოკვლევის ან ვაჭრობის შედეგად დადგენილ) შორის ფიქსირდება 65, 80 და 94 თეთრის სხვაობა. იხილეთ დანართი #2

ბ) დავუშვათ, რომ საწყისი ფასი შესაბამისი კვლევისა და დასაბუთების შედეგად იქნა დადგენილი. მაშინ საკითხი სხვა ჭრილში გადადის. კერძოდ, კონკურენციის დაცვის ორგანო რეკომენდაციით მიმართავს მთავრობას და ბაზარზე კონკურენციის გაუმჯობესებისა და მცირე კომპანიების მხარდასაჭერად სუბსიდიების განხორციელებას სთხოვს [4] (ამ ეტაპზე არ შევუდგებით ამ რეკომენდაციის ეფექტიანობის შეფასებას, რადგან ეს სხვა ჭრილში გადაიყვანს მსჯელობას და გასცდება საკვლევ თემას). ამას ემატება გაცხადებული პოლიტიკური ნება საწვავის ბაზარზე კონკურენციის კვლევისა და არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების/გაჯანსაღების შესახებ (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი უშუალოდ ავალებს კონკურენციის სააგენტოს საწვავის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლას [22]). ამ დროს სახელწმიფო შესყიდვების მაკოორდინირებელმა ორგანომ აღმოაჩინა, რომ საწვავის კომპანიები მზად არიან 10-95 თეთრით იაფად გაყიდონ საწვავი და ეს ფაქტი მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შესასყიდი საწვავის ფარგლებში დარჩა? კვლევის საგანიც კი არ გახდა, რა იწვევს ფასების ასეთ სხვაობას? თუ კომპანიას 10-95 თეთრით იაფად შეუძლია გაყიდოს საწვავი და მაინც რჩება მოგება, ეს პირდაპირ მანიშნებელია იმისა, რომ ბაზარზე მკვეთრად შეზღუდულია კონკურენცია (ან ჩართულია არასაბაზრო ინსტიტუტები) და ქმედითი ღონისძიებებია გასატარებელი (ნაცვლად ამისა, კი პირიქით, კონსოლიდირებული ტენდერით კიდევ უფრო ვზღუდავთ კონკურენციას ბაზარზე). აქ შეძლება დაისვას კითხვა, ბაზრის რა მოცულობაზეა საუბარი (შესასყიდ საწვავს ბაზრის რამდენი პროცენტი უჭირავს). მაშინ, როცა მილიონობით ლიტრ საწვავზე შეგიძლია ფასი 25-95 თეთრის სხვაობით ათამაშო, ბაზრის მოცულობაზე საუბარი კარგავს ლეგიტიმაციას/შინაარსს.

მეორეს მხრივ, თუ პროდუქტი გაიაფებულია იმიტომ, რომ საქმე სახელმწიფო ორგანოებთან გვაქვს და კომპანიები ყაბულს არიან ზარალზეც წავიდნენ, რადგან საწვავი სახელმწიფომ უნდა იყიდოს, მაშინ, ეს საკითხი, უკვე ეკონომიკურ კვლევას სცდება და სხვა ჭრილში გადადის. ამ შემთხვევაში ეკონომიკურად ერთი არსებითი საკითხი იჩენს თავს: საიდან ამოიღებს კომპანია იმ ფასთა სხვაობას, რომელსაც წაგებაზე გაყავს იგი, სახელმწიფო ტენდერის შემთხვევაში. პასუხი მარტივია, კომპანია შეეცდება ფასთა სხვაობა გადაფაროს სამომხმარებლო გაყიდვებიდან/სამოქალაქო პირებისგან/მოსახლეობისგან (წაგებაზე რომ არ წავიდეს გააძვირებს ფასს საცალო ქსელში სამოქალაქო პირებისათვის. რისი ნიშნებიც იკვეთება ტენდერში დაფიქსირებული საწყისი და ბაზარზე არსებული ფასების შედარებით. ეს დანართებიდანაც ჩანს).

გ) კონკურენციის მაკონტროლებელმა ორგანომ 2022 წელს ჩატარებულ საწვავის ბაზრის მონიტორინგის შედეგად დაადგინა, რომ:

„რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული საწვავის თვითღირებულება საშუალოდ 30-70 თეთრით დაბალია ევროპის ქვეყნებიდან იმპორტირებულ საწვავთან შედარებით (მარტი-ივლისი), თუმცა საცალო ბაზარზე მსხვილი კომპანიების შემთხვევაში ხელმისაწვდომია ევროპული საწვავის იდენტურ ფასად“ [8, გვ.14, პუნქტი 7]

ასევე,

„რუმინეთიდან იმპორტირებული საწვავი, ხშირ შემთხვევაში, ექცევა საბაჟო საწყობში და შესაბამისად დროებითი შენახვის რეჟიმში. საბაჟო საწყობიდან კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მიერ საკუთარ საცალო სარეალიზაციო ქსელში ძირითადად ხდება მაღალი

თვითღირებულების მქონე საწვავის გატანა, ხოლო დაბალი თვითღირებულების მქონე საწვავის შემთხვევაში, ხორციელდება საბითუმო გადაყიდვა სხვა კომპანიაზე, რომელსაც უკვე თავად გააქვს საწვავი ქვეყანაში თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმში. მსგავსი სხვაობა 2022 წლის მარტი-ივლისის პერიოდში, 1 ლიტრი საწვავის დონეზე შეადგენდა საშუალოდ 30-70 თეთრს."

ანუ, ბაზრის მონიტორინგის შედეგად დადგენილი ფასთა სხვაობა 30-70 თეთრის ოდენობით გახდა კონკურენციის სააგენტოსთვის „სიგნალი", რომ შეეწყვიტა მონიტორინგი და დაეწყო ბაზრის მოკვლევა (ხომ არ აქვს ადგილი ბაზარზე კარტელურ გარიგებას ან კონკურენციის წესების სხვა ტიპის დარღვევას).

ამასთან, 2014 წლის საწვავის ბაზრის კვლევის დოკუმენტში დაფიქსირებულია, რომ: კონკურენციის დაცვის პირობებში ფასწარმოქმნის პირნციპის შესაბამისად განბაჟებული საავტომობილო საწვავის ერთეულის ღირებულებასა და საცალო ფასს შორის სხვაობა, არ უნდა აღემატებოდეს ცალკეული მარკების მიხედვით 20-25 თეთრს. ამ მიდგომის ავკარგიანობას აქ არ შევეხებით, რადგან საკითხზე მსჯელობა სცდება საკვლევ თემას. უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ სწორედ ფასებს შორის სხვაობა იყო 2014 წელსაც კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოსათვის ერთ-ერთი „სიგნალი" ბაზარზე არაჯანსაღი მდგომარეობის არსებობის ალბათობის შესახებ.

ზემოაღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით თუ განვიხილავთ, კონსოლიდირებული ტენდერების ცხრილს (დანართ #1 და ნდანართ #2-ს) დავინახავთ, რომ არათუ განბაჟებულ და საცალო ფასს შორის სხვაობა სცდება კონკურენტულ ზღვარს არამედ, საბაზრო ფასებს შორის სხვაობა არ ჯდება კონკურენტული ზღვრის ჩარჩოებში (ცდება ზღვარს)[7]. 2012-2021 წლებში, ყოველ წელს ფიქსირდება საბაზრო ფასებს შორის სხვაობის მაღალი მაჩვენებელი, 25-55 თეთრის ოდენობით. კონკურენციის მაკონტროლებელი უწყებისთვის კი ეს საკითხი არ გამხდარა არანაირი კვლევის წამოწყების საფუძველი, უფრო მეტიც, 2022 წლამდე არსებულ ყველა ბაზრის მონიტორინგის დოკუმენტში ასახულია, რომ 2013 წლიდან საწვავის ბაზარზე კონკურენტული მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა.

3. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული მონაცემების (მათ შორის, დანართებში ასახული მონაცემების) ანალიზიდან იკვეთება შემდეგი ფაქტი: საწვავის სახეობების მიხედვით გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეთა რაოდენობა ძირითადად 1 ერთეულით შემოიფარგლება (ეს ტენდენცია განსაკუთრებულ ხასიათს 2016 წლიდან იძენს) უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში საწვავის ტიპის მიხედვით ერთიდაიგივე კომპანია მონაწილეობს და იგებს ტენდერს (უმეტეს შემთხვევაში იმ საწყის ფასში, რომელიც იქნა გამოცხადებული). მაგ. ტენდერს სუპერის მარკის ბენზინზე, 2013 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს იგებს შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"[8]; პრემიუმის მარკის ბენზინზე ტენდერს 2015 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, ყოველ წელს იგებს შპს „რომპეტროლ საქართველო" (ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მხოლოდ აღნიშნული კომპანია იღებს მონაწილეობას

[7] ერთი და იგივე კომპანია, ერთი და იგივე მარკის საწვავს, ერთი და იგივე ავტოგასამართი სადგურებიდან სახელმწიფოს აძლევს უფრო იაფად (25-55 თეთრით იაფად) ვიდრე მოსახლეობას

[8] მხოლოდ 2023 წელს გაიმარჯვა სოკარ პეტროლიუმ ჯორჯიამ

გამოცხადებულ ტენდერში[9]); რეგულარის მარკის საწვავზე, 2018 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, ყოველ წელს იგებს შპს სოკარ პეტროლიუმ ჯორჯია (ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მხოლოდ აღნიშნული კომპანია იღებს მონაწილეობას გამოცხადებულ ტენდერში);

დასაზუსტებელია, რატომ არ უჩნდება სურვილი ერთზე მეტ კომპანიას მონაწილეობა მიიღოს მილიონობით ლიტრი საწვავის შეძენაზე გამოცხადებულ ტენდერში. ასევე, დასაზუსტებელია, რატომ არ არის არაფრისმთქმელი აღნიშნული საკითხი კონკურენციის მარეგულირებელი უწყებისათვის. რატომ არ მიანიშნებს ეს შესაძლო შეთანხმებულ ქმედებაზე/კარტელურ გარიგებაზე ბაზარზე.

4. ჩვენი აზრით, ცალკე უნდა გამახვილდეს ყურადღება შემდეგ ფაქტებზე: 2016 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს კონსოლიდირებულ ტენდერში, გარკვეული ტიპის მარკის საწვავზე ყოველ წელს მონაწილეობას იღებს მხოლოდ ერთი კომპანია, ასევე სთავაზობს ზუსტად გამოცხადებულ ფასს (არც მეტს, არც ნაკლებს) და ისე იგებს ტენდერს. არც ეს საკითხი ხდება კონკურენციის სააგენტოს ინტერესის სფეროში. ასევე, ეს საკითხი ჩვენი აზრით აჩენს საფუძვლიან ეჭვს, იმის შესახებ, რომ პროცესში ჩართულია (ზეგავლენას ახდენს) არასაბაზრო ინსტიტუტები და ესეც პირველ რიგში კონკურენციის მარეგულირებელი ორგანოსთვის კვლევის დაწყების საფუძველი უნდა ყოფილიყო.

დასკვნა

წარმოდგენილი ინფორმაციიდან ცხადია, როგორც ზოგადად საწვავის ბაზარზე, ისე საწვავის სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე კონკურენტული გარემო მკვეთრად გასაუმჯობესებელია (ასევე, დასადგენია ხომ არ გვაქვს საქმე ბაზარზე არასაბაზრო ინსტიტუტების ჩარევასთან).

პირველ რიგში უნდა გაუქმდეს საწვავის კონსოლიდირებული წესით შესყიდვის პრაქტიკა. აღნიშნულის შედეგად გაჩნდება შესაძლებლობა 4769 შემსყიდველმა ორგანიზაციამ [26] ინდივიდუალურად მოიკვლიოს ბაზარი და გააფორმოს მისთვის ხელსაყრელი პირობებით სხვადასხვა კომპანიასთან ხელშეკრულება. ეს გამოიწვევს ბაზარზე კონკურენციის გაზრდას, გააჩენს სექტორში ახალი მოთამაშეების შესვლის სტიმულს, ხელს შეუწყობს ბაზრის დინამიურ და ეფექტიან განვითარებას და გააჩენს ბაზრის დივერსიფიცირების სტიმულს.

ჩვენი მიდგომის საწინააღმდეგო მოსაზრება - საწვავის იაფად შესყიდვასა და საბიუჯეტო სახსრების ეკონომიის შესახებ, ჩვენი აზრით, საკითხთან მიმართებაში, ვერ გამოდგება საპირწონე არგუმენტად. გამომდინარე იქიდან, რომ ამ მიდგომას არსებულ სიტუაციაში მოაქვს უფრო მეტი უარყოფითი, ვიდრე საბიუჯეტო სახსრების ეკონომიაა. ზღუდავს კონკურენციას, რაც აფერხებს ბაზრის განვითარებას და ერთეულ პროდუქციაზე მაღალი ფასის არსებობის/დაწესების ერთ-ერთ გამომწვევი მიზეზია.

ასევე, უნდა მოხდეს *კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ორგანოების ინსტიტუციური გაერთიანება.* ეს ხელს შეუწყობს: ინსტიტუციურ დახვეწას/გამართულობას, საბიუჯეტო სახსრების ეკონომიას და შესაბამისი ორგანოს/ორგანოების ფუნქციურად უფრო გამართულ საქმიანობას - მათ შორის, შესყიდვების ბაზრის მონიტორინგის/შესწავლის

[9] მხოლოდ 2023 წელს იღებს ტენდერში მოანწილეობას ორი კომპანია, მაგრამ აქაც რომპეტროლ საქართველო იმარჯვებს

მკვეთრად გაუმჯობესებას (ინფორმაციის მოსაპოვებლად და პროცესზე დასაკვირვებლად, შესაბამის ორგანოს არ დაჭირდება ზედმეტი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა. ასევე, მარტივად გახდება შესაძლებელი დააკვირდეს კონსოლიდირებულ ტენდერებს სატენდერო დოკუმენტაციის პროექტის შედგენიდან ტენდერის დასრულებამდე პერიოდში და ა.შ.).

უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციისა და სახელწმიფო შესყიდვების სისტემური და ინსტიტუციური ერთიანობის მაგალითები გვხვდება ევროპის ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: შვედეთი, გერმანია, დანია [44, გვ. 225-231]. ასე რომ, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მიდგომა, შეიძლება ითქვას, ევროპის საუკეთესო გამოცდილების ნაწილადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ამასთან, მსგავსი გამოცდილება, არც ჩვენი ქვეყნისთვის არის უცხო; 2011 წელს განხორციელებული რეფორმის შედეგად გაერთიანდა სახელმწიფო შესყიდვებისა და კონკურენციის სააგენტოები, თუმცა 2014 წელს, ჩვენის აზრით, ყოველგვარი ხელშესახები არგუმენტის გარეშე, შეიძლება ითქვას უბრალო, დაუსაბუთებელი სურვილის საფუძველზე მოხდა გაერთიანებული უწყების დაშლა ორ ცალ-ცალკე უწყებად - კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების მაკოორდინირებელ დაწესებულებებად [44, გვ. 225-231].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის გაუმჯობესებას და ინსტიტუციურ სრულყოფას. ასევე, შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული პირობების გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Georgian Competition and Consumer Agency - CASE III of oil commodity 2023.08.17
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpa0YwRM.pdf

2. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring – 2023.12.29
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/phpKJMTzX.pdf

3. Georgian Competition and Consumer Agency - CASE II of oil commodity 2018.05.15
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/a87be650e7d64307afda293742f7ad25.pdf

4. Georgian Competition and Consumer Agency - CASE I of oil commodity 2015.05.10
https://gcca.gov.ge/uploads_script/decisions/tmp/12ecff74000a47a3bbbbb755d78a7983.pdf

5. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring, 2019

6. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring, 2020

7. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring 2021

8. Georgian Competition and Consumer Agency - Auto fuel market monitoring 2022

9. Competition and State Procurement Agency – Annual Report 2013
http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=a4718abf-b8df-4df2-a29f-9e39fd27decd

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=e820bb56-5e24-407e-a893-a73c83a7b558

10. State Procurement Agency – Annual Report 2014

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=fa119895-5c89-4361-86cd-9493dd758d92

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=f5a39e3f-cf38-47ae-8c30-246180bfca1e

11. State Procurement Agency – Annual Report 2015

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=4e179b4e-25df-4770-9a04-bf236adad4ab

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=06a5c37c-0f30-4906-8a0a-665752a24f64

12. State Procurement Agency – Annual Report 2016

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=e0f35e77-86a6-4816-9ed3-a80d779371d7

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=18ecc5d3-a458-4fb8-bfa0-28739cc73317

13. State Procurement Agency – Annual Report 2017

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=9630c2a5-10ba-46b4-b1dd-dda5e54a077e

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=df4ea66a-3a95-4e8b-b57b-78eae4b0a8a8

14. State Procurement Agency – Annual Report 2018

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=404116b0-fd73-4b6f-8b43-91bcf8ec57d4

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=8947e249-b688-4682-93dc-5c905304946a

15. State Procurement Agency – Annual Report 2019

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=e947b3ed-af47-4c82-b1a7-d70e2b50b165

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=c2f122ad-9047-43a7-9f93-44d615a997ac

16. State Procurement Agency – Annual Report 2020

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=e947b3ed-af47-4c82-b1a7-d70e2b50b165

http://procurement.gov.ge/Files/ShowFiles?id=19539b18-4d67-42d9-80a0-12b91622ca28

17. State Procurement Agency – Annual Report 2021

http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=ad93b8d6-98b6-44ee-b035-2f6bd53df946

http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=753badc3-0ada-4fe4-9639-481664f946ec

18. State Procurement Agency – Annual Report 2022

http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=4323369c-261c-4e17-8f12-584e121ee78e

19. State Procurement Agency – Annual Report 2023

http://procurement.gov.ge/files/showfiles?id=fb7018f3-6637-4dc3-aee3-8e1f97b3891b

20. State tenders for the purchase of fuel - You can see it on the following site In accordance with the application numbers indicated in the appendix

https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

21. Ministry of finance of Georgia https://www.mof.ge/5603

22. The order of the Prime Minister to investigate the current situation in the fuel market - 2014. https://www.palitravideo.ge/yvela-video/akhali-ambebi/53475-irakli-gharibashvili-dainteresda-ratom-ar-khdeba-satsvavis-fasebis-kontroli-saqarthveloshi.html

23. State procurement system of Georgia https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

24. San Petroleum Georgia (Gulf) fuel prices https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=

25. Socar Georgia Petrolium fuel prices https://sgp.ge/ge/price?start_date=2022-11-11&end_date=2022-12-30

26. Lukoil Georgia Feul Prices http://www.lukoil.ge/prices-history

27. Wissol Petrolium Geoergia Fuel Prices https://my.wissol.ge/public/fuelprices

28. Bedianashvili G. (2021). Macroeconomic and cultural determinants of the covid-19 pandemic crisis.

29. Bedianashvili, G., & Kokhreidze, G. (2023). Public debt and foreign direct investment in small countries in the context of economic growth. Sociālo Zinātņu Vēstnesis. (1), 7-28.

30. Karchava, L. Veshapidze, S., & Chiabrishvili K. Economic perspective of establishing strategic partnership between China and Georgia. The New Economist Journal, 18 (3), 1-2.

31. Papava, V. (2022). Cold War vs. Hot War in 2022. Eurasia Review, Febru¬ary 28. Available at: https://www.eurasiareview.com/28022022-cold-war-vs-hot-war-in-2022-oped

32. Papava, V. (2022). On Sanctionomics. Eurasia Review, March 14. Available at: https://www.eurasiareview.com/14032022-on-sanctionomics-oped.

33. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023). Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. The New Economist 18 (1).

34. Veshapidze, S., & Putkaradze, R. (2023). International economic relations of Georgia at the modern stage of globalization. “Ekonomisti” #1, 58–69.

35. Veshapidze, S. (2022). Ilia Chavchavadze on the Methodological Aspects of Economic Processes Research and Modernity. Conference: VII International Scientific Conference. At: Tbilisi, Georgia.

36. Veshapidze, S., & Mgeladze, L. (2023). Some aspects of protection of labor freedom in higher education institution. The New Economist 18 (1).

37. Veshapidze, S., & Sekhniashvili, D. (2021). The importance of capital market development for improving the investment ecosystem in Georgia. World economy and international economic relations, 4, 64-72.

38. Veshapidze S., Otinashvili R., Gvarutsidze A., Abuselidze G., Zoidze G. (2022). Modern technologies to overcome the challenges of globalization. Entrepreneurship, 10 (2), 22-32 DOI: 10.37708/ep.swu.v10i2.2

39. Veshapidze, S. (2023). Modern priorities of ensuring foreign economic security of Georgia. Bull. Georg. Natl. Acad. Sci, 15(2):191-197.

40. Veshapidze, S., Bakhtadze, L., Putkaradze, R., Kharitonashvili, J., Danelia, I., Lominashvili, M., & Chantladze, N. (2024). Modern international economic relations of Georgia. (In Georgian).
41. Zoidze, G., & Veshapidze, S. (2022a). The Modern Economy and Values. Cambridge Scholars Publishing. P. 125
42. Mgeladze Lasha - Competition in The Fuel Market Myth or Reality - Journal The New Economist, 2022 #2-4. 23-45. https://neweconomist.com.ge/journal/archive/28/
43. Mgeladze Lasha – Competition in The Fuel Market Myth or Reality - Journal The New Economist, 2024 #2.
44. Mgeladze lasha - Challenges of Competition Policy and Ways to Improve it, publishing house "World of Lawyers", Tbilisi, 2020, 276.

Competition and public procurement

Lasha Mgeladze
Doctor of Economics
lmgeladze@gmail.com

Summary

The research subject is the system of state procurement and the existing conditions of competition in the state procurement market. The research object represents one of the main topical issues, which concerns the existing realities in the fuel market, in particular, it refers to the existing conditions on the consolidated tenders for the fuel direction. Qualitative as well as quantitative research has been conducted so far; Desk and empirical research methods have been applied. The conditions of the last ten years regarding the implemented consolidated tenders in relation to fuel has been analyzed, the existing conditions are deeply assessed and the recommendations for improving the system are presented.

Keywords: Competition, fuel market, state regulation, concentration, State procurement, Consolidated tender

სახელმწიფო ტენდერი საწვავის შესყიდვაზე									
წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
მონაცემები / საწვავის ტიპი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი	ბენზინი პრემიუმი
განაცხადის #	CON140000002	CON150000001	CON150000066	CON160000057	CON170000068	CON180000031	CON190000599	CON200000318	CON210000489
რაოდენობა ლიტრი	27 844 500	37 654 390	36 116 750	31 782 700	30 300 000	29 000 000	29 000 000	29 000 000	29 000 000
გამოცხადების თარიღი	13.12.2013	09.12.2014	04.12.2015	02.12.2016	05.12.2017	12.12.2018	09.12.2019	11.12.2020	02.12.2021
მონაწილეთა რაოდენობა	4	2	3	1	1	1	1	1	1
გამარჯვებული კომპანია	შპს „ლუკოილ ჯორჯია“	შპს „ლუკოილ ჯორჯია“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.85	1.57	1.55	1.53	2.10	2.01	2.24	1.83	2.78
გამოცხადების დღეს არსებული	2.19	2.13	1.88	1.85	2.35	2.52	2.79	2.36	3.25

საბაზრო ფასი[10]									
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.77	1.57	1.47	1.48	2.8	2.01	2.24	1.83	2.78
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.15	2.06	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე
ყველაზე დაბალი ფასი გამოცხადების დღეს	2.15 ლუკოილი	2.06 ლუკოილი	1.89 სოკარი, ლუკოილი	1.79 ლუკოილი	2.29 ლუკოილი	2.50 ლუკოილი	2.65 ვისოლი	2.31 სოკარი	3.18 სოკარი
საწვავის ტიპი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი	ბენზინი სუპერი
განაცხადის #	CON140000003	CON150000003	CON150000067	CON160000058	CON170000069	CON180000032	CON190000600	CON200000290	CON210000487
რაოდენობა ლიტრი	767 714	478 260	361 872	350 800	300 000	250 000	200 000	200 000	200 000
გამოცხადების თარიღი	13.12.2013	09.12.2014	04.12.2015	02.12.2016	05.12.2017	12.12.2018	09.12.2019	03.12.2020	02.12.2021
მონაწილეთა რაოდენობა	3	1	1	1	1	1	1	1	1

[10] ფასი დაანგარიშებულია 4 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (გალფი) და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. ინფორმაცია მოძიებულია აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან, 2019 წლიდან შპს ლუკოილ ჯორჯია აღარ არის საწვავის საშულაო ფასში გათვალისწინებული რადგან კომპანიის საიტზე ფასების არქივი აღარ ჩანს. https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=2, http://wissol.ge/_OLD/index.php?geo&cat=47&type=1#, https://sgp.ge/ge/price?start_date=2014-12-09&end_date=2014-12-10, http://lukoil.ge/index.php?m=328&date_from=09.12.2014&date_to=10.12.2019

გამარჯვებული კომპანია	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.90	1.70	1.70	1.72	2.37	2.31	2.57	2.19	3.12
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[11]	2.23	2.18	1.94	1.92	2.39	2.62	2.86	2.44	3.34
გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.90	1.70	1.70	1.72	2.37	2.31	2.57	2.19	3.12
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.25	2.16	1.84	1.84	2.54	2.64	2.75	2.48	3.38
ქსელში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასი	2.2 ლუკოილი	2.14 ლუკოილი	1.99 სოკარი, ლუკოილი	1.89 სოკარი, ლუკოილი	2.39 ლუკოილი	2.60 ლუკოილი	2.74 გალფი	2.39 გალფი	3.26 სოკარი

[11] ფასი დაანგარიშებულია 3 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს 2017 წლიდან ყველგან ნაცვლდება გალფით) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. გალფს არ ქონდა მითითებული ამ dRეს სუპერის ფასი.

ტენდერის გამოცხადების დღეს									
საწვავის ტიპი	ბენზინი რეგულარი	ბენზინი რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი	ბენზინი ევრო რეგულარი
განაცხადის #	CON130000006	CON150000010	CON150000068	CON160000063	CON170000074	CON190000163	CON190000601	CON200000294	CON210000493
რაოდენობა ლიტრი	1 235 807	7 331 573	6 643 538	3 970 000	2 800 000	1 500 000	1 500 000	1 200 000	1 200 000
გამოცხადების თარიღი	19.12.2012	25.12.2014	04.12.2015	02.12.2016	06.12.2017	18.02.2019	09.12.2019	03.12.2020	02.12.2021
მონაწილეთა რაოდენობა	1	1	2	1	1	1	1	1	1
გამარჯვებული კომპანია	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს „რომპეტროლ საქართველო“	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"	შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
გამოცხადებული ფასი (ლარი)	1.91	1.54	1.52	1.43	2.03	1.81	2.21	1.80	2.76
გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[12]	2.05	1.90	1.72	1.70	2.23	2.33	2.54	2.2	3.13

[12] ფასი დაანგარიშებულია 4 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (გალფი) და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. ინფორმაცია მოძიებულია აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან.

გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	1.91	1.54	1.40	1.41	2.02	1.81	2.21	1.80	2.76
გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.07	1.88 და 1.99	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	ვერ მოვძებნეთ კომპანიის საიტზე	2.32	2.54	2.16	3.04
ქსელში დაფიქსირებული ყველაზე დაბალი ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	2.03 გალფი	1.79 ლუკოილი	1.71	1.59 ლუკოილი	2.19 ლუკოილი	2.32 გალფი, სოკარი	2.52 გალფი	2.15 გალფი	3.04 სოკარი

სახელმწიფო ტენდერი საწვავის შესყიდვაზე 2022-2023 წწ.										
მონაცემები / საწვავის ტიპი	განაცხადის #	რაოდენობა ლიტრი	გამოცხადების თარიღი	მონაწილეთა რაოდენობა	გამარჯვებული კომპანია	გამოცხადებული ფასი (ლარი)	გამოცხადების დღეს არსებული საბაზრო ფასი[13]	გამარჯვებულის შეთავაზებული ფასი	გამარჯვებულის ქსელში არსებული ფასი ტენდერის გამოცხადების დღეს	ყველაზე დაბალი ფასი გამოცხადების დღეს
2023										
ბენზინი ევრო რეგულარი	CON230000465[14]	1 000 000	05.12.2023	1	სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი	2,52	3.17	2.52	3.17	3.13 ლუკოილი
ბენზინი პრემიუმი	CON230000462[15]	30 700 000	05.12.2023	2	რომპეტროლ საქართველო	2.54	3.34	2.54		3.30 ლუკოილი
ბენზინი სუპერი	CON230000464[16]	200 000	05.12.2023	1	გალფი სან	2.84	3.78	2.84	3.78	3.74 ვისოლი

[13] ფასი დაანგარიშებულია 4 მსხვილი საწვავის კომპანიის (შპს „ლუკოილ ჯორჯია“-ს, შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“-ს, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს (გალფი) და სს. ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს) ქსელში გამოცხადების დღეს საწვავზე არსებული ფასის საშუალო არითმეტიკულის შესაბამისად. ინფორმაცია მოძიებულია აღნიშნული კომპანიების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან: https://gulf.ge/ge/fuel_prices?page=; https://sgp.ge/ge/price?start_date=2022-11-11&end_date=2022-12-30; http://www.lukoil.ge/prices-history ; https://my.wissol.ge/public/fuelprices

[14] საწვავის, ვრო რეგულარის კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023 წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

[15] საწვავის, პრემიუმის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023 წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

[16] საწვავის, სუპერის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

					პეტროლიუმ ჯორჯია					
2022										
ბენზინი ევრო რეგულარი	CON220000549[17]	1 000 000	05.12.2022	1	სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი	2.85	3.03	2.85	3.3	3.04 ლუკოილი
ბენზინი პრემიუმი	CON220000550[18]	31 000 000	05.12.2022	1	რომპეტროლ საქართველო	2.87	3.23	2.87		3.19 გალფი, ლუკოილი
ბენზინი სუპერი	CON220000545[19]	200 000	05.12.2022	1	ვისოლ პეტროლუმ ჯორჯია	3.17	3.74	3.17	3.74	3.69 გალფი

[17] საწვავის, ევრო რეგულარის კოსოლიდირებული ტენდერის ბმული 2022წ. https://tenders.pro curement.gov.ge/public/?lang=ge

[18] საწვავის, პრემიუმის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2022 წ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

[19] საწვავის, სუპერის, კონსოლიდირებული ტენდერის ბმული 2023წწ. https://tenders.procurement.gov.ge/public/?lang=ge

სასტუმროების სტატისტიკა საქართველოში ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში

ნინო აბესაძე
ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
nino.abesadze@tsu.ge

ანოტაცია. *ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულება, რაც დიდწილად გამოწვეულია მზარდი ტურისტული ნაკადებით, მომსახურების ხარისხის ამაღლებით, ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნებით, ქვეყნის ცნობადობის ამაღლებით, ვიზიტორების კმაყოფილების გაზრდით და სხვ. ეს ყველაფერი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფონზე. პანდემიური შოკისგან თავის დაღწევისა და სწრაფი რეაბილიტაციის შემდეგ ტურისტული ნაკადების გაზრდამ განაპირობა განსახლების საშუალებების რაოდენობის ზრდისა და მათში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერვისების აუცილებლობა. საქართველოში ეს პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, რაც მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის ტურისტული მიმზიდველობის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში სასტუმროების განვითარების სტატისტიკური ტენდენციების, მათი გეოგრაფიული სტრუქტურის გამოვლენა და ანალიზი. ვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური კვლევის ეტაპების შესაბამისი: სტატისტიკური დაკვირვების, თავმოყრა-დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები. შედეგები. სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში სასტუმროების, მათში ოთახებისა და ადგილების რაოდენობის, სტუმრების გეოგრაფიული სტრუქტურის, სასტუმროების შემოსავლების, დასაქმებულთა რაოდენობის, ხარჯების სტატისტიკური მაჩვენებლები, განხორციელებულია სასტუმროების ანალიზი რეგიონულ ჭრილში მისი ტიპების მიხედვით. ფორმულირებულია შესაბამისი დასკვნები.*

საკვანძო სიტყვები: *საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, სასტუმრო, ზრდა, ანალიზი, ტენდენცია.*

ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია. მისი უზრუნველყოფა ხელს უწყობს მომავალში ქვეყნის მდგრად განვითარებას, ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს ეკონომიკის ყველა დარგში საბოლოო ანგარიშით, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას (აბესაძე, 2022). ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტერულ მიმართულებას ქვეყანაში წარმოადგენს ტურიზმი, პანდემიური შოკიდან გამოსვლის შემდეგ მისი სწრაფი რეაბილიტაცია ხელს უწყობს ეკონომიკის დინამიკურ განვითარებას. ორწლიანი ეკონომიკური განუსაზღვრელობის შემდეგ, საქართველოში ტურიზმის განვითარება ნელ-ნელა უბრუნდება პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას. შეიმჩნევა ტურისტული ნაკადების მოძრაობის მზარდი ტენდენცია, შიდა ტურისტულ ბაზარზე მოქმედი კომპანიების უფრო მაღალი აქტივობა და სარეკლამო კამპანიების ზრდა ინტერნეტ სივრცეში, რომლებიც მომხმარებლებს კარგად შეფუთულ, მრავალფეროვან ტურისტულ პაკეტებს და სრულყოფილ სერვისებს სთავაზობენ (Abesadze, Robitashvili, Abesadze, & Kinkladze, 2023). ფაქტია, ტურიზმი საქართველოში სწრაფად მზარდ ინდუსტრიად ჩამოყალიბდა, რაც გარკვეულ წილად იმის დამსახურებაცაა, რომ ყოველწლიურად უმჯობესდება ტურისტების მომსახურების ხარისხი, შესაბამისად ბალანსდება მისი და ფასების შესაბამისობა, მაღალია ქვეყნით დაინტერესებისა და მიმზიდველობის დონე, იზრდება ტურისტების კმაყოფილების ხარისხი. ეს რა თქმა უნდა დადებთად აისახება ტურისტული ნაკადების ზრდაზე, გეოგრაფიული სტუქტურის სრულყოფასა და ტურისტული ხარჯების დივერსიფიცირებაზე. შექმნილი მდგომარეობა დიდწილადაა განპირობებული სასტუმროებსა და განთავსების სხვა საშუალებების რაოდენობის ზრდისა და მათში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერვისების დანერგვით, განსაკუთრებით რეგიონებში, რაც მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე საქართველოს მიმზიდველობის ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს. ამიტომაცაა პრიორიტეტული რეგიონული ეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც რეგიონის ეკონომიკის სტაბილური და მდგრადი განვითარების, მისი ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრაციისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის გარანტია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი და აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფონზე სასტუმროების განვითარების ტენდენციების გამოკვეთა და ყველაზე მოთხოვნადი სასტუმროების იდენტიფიცირება. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საინტერესოა რეგიონულ ჭრილში, რაც ცალკეული რეგიონების თავისებურებებითაა განპირობებული და თითოეულისათვის განვითარების სტრატეგიის შემუშავების უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ სულ აქტუალური ხდება

ხელოვნური ინტელექტის ფართოდ გამოყენება სასტუმროების მომსახურების სფეროში. ამის პრაქტიკა არის, აპრობირებულია და უდაოდ, მომავალში სასტუმროს სერვისებს შორის უალტერნატივოდ შეიძლება განვიხილოთ. სასტუმროებში გაჩნდნენ რობოტები, რომლებიც სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს. მართალია არა ფართო მასშტაბით, მაგრამ მომსახურების სფეროში საქართველოშიც აპრობირებული და დანერგილია აღნიშნული სერვის-მომსახურება.

თუმცა, მომხმარებლების მიერ სერვისების შეფასებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა შორის ურთიერთქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია მომსახურების მიწოდებაში. (Dedeoglu, Bilgihan, Ye, & Okumus, 2018) მეცნიერები ამტკიცებენ, რომ რობოტების გამოყენება მომხმარებელთა მომსახურებისთვის იწვევს მომხმარებელთა აღქმას სერვისების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, მაღალ შეხებაზე ორიენტირებული სერვისების შესახებ. მომხმარებლების მაღალი შეხების მოთხოვნილების გასანეიტრალებლად და მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიის ტენდენციის გასანეიტრალებლად, სოციალური რობოტები, რომლებსაც აქვთ უნარი დაიცვან ადამიანის ქცევის ნორმები და უშუალოდ დაუკავშირდნენ ადამიანებთან, გახდნენ ყველაზე კონკურენტუნარიანი კანდიდატი მაღალი შეხების სერვისების მიწოდებისთვის. სერვისის მიწოდების სწრაფად ცვალებად გარემოში (Chi et al., 2020) ხელოვნური ანალიტიკური, ინტუიციური და ემპათიური ინტელექტის გამოყენებით, სოციალურ რობოტებს, როგორც სერვისის თანამშრომლებს, შეუძლიათ უზრუნველყონ მაღალი ხარისხის პერსონალიზებული და მორგებული სერვისები მომხმარებლებთან უშუალო ურთიერთქმედებით. (West, L N Dyrbye , & T D Shanafelt , 2018) მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის სოციალური რობოტის ტექნოლოგიის უპირატესობებისა სერვისის მიწოდებაში, კვლევებმა აჩვენა, რომ ყველა კლიენტი სავარაუდოდ არ ურთიერთობს რობოტებთან და არ იღებს ამ მოწყობილობების მიერ მოწოდებულ სერვისებს (Chi et al., 2020)

ხელოვნურად ინტელექტუალური (AI) სერვის რობოტები მოიცავს სხვადასხვა ტიპის რობოტულ მოწყობილობებს, რომლებიც ემსახურებიან ადამიანებს. ეს რობოტები იკვებებიან ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიით, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეიგრძნონ გარე სტიმული, გაიგონ გარემოდან მიღებული ინფორმაცია, უზრუნველჰყონ ადამიანის მსგავსი პასუხები და ისწავლონ ამ პროცესისგან). (Bowen & Morosan, 2018) სერვის რობოტები, რომლებიც გამოიყენება სტუმართმოყვარეობის სერვისების მიწოდებაში, სწრაფად იზრდება მთელ მსოფლიოში. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, ჰილტონ მაკლინი იყენებს რობოტ კონსიერჟს, სახელად კონი, სტუმრების შეკითხვებზე პასუხის გასაცემად და სამოგზაურო რეკომენდაციების მიწოდებისთვის (Trejos, 2016) ვირტუალური აგენტი

ცენტრალური დაჯავშნებისთვის გამოიყენება კლიენტთა ჯავშნების დასამუშავებლად სასტუმროებში, რომლებსაც მართავს RLH Corporation. რობოტი ბატლერები სახელად "როზი" გამოიყენება დიდი ღონისძიებების დასახმარებლად საკვებისა და სასმელის მიწოდებაში Lake Nona Wave Hotel-ში. ჩინეთში, FlyZoo, ფუტურისტული სასტუმრო, რომელიც ეკუთვნის Alibaba Group Holding-ს, იყენებს ხელოვნური ინტელექტის რობოტებს სასტუმროს სრული სერვისების უზრუნველსაყოფად, როგორიცაა შემოწმება/გამოსვლა, მომზადება ან საკვების მიწოდება. შანხაის ზოგიერთი სასტუმრო იყენებს ხელოვნური ინტელექტის რობოტის სერვერებს, რომლებიც საუბრობენ სხვადასხვა ენაზე, რათა უზრუნველყონ შიდა სერვისები (https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0747563221000224?via%3Dihub).
2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე, ხელოვნური ინტელექტის მომსახურე რობოტები გამოიყენეს სპორტსმენების ოთახების დეზინფექციისთვის, საკვების მიწოდებისთვის და კოქტეილების დასამზადებლადაც კი.

ჩვენს ქვეყანაში ასეთი სახის სერვისების შეთავაზება ჯერ საწყის ეტაპზეა, მაგრამ მის განვითარებასა და დანერგვას მომავალში ალტერნატივა არ აქვს. სასტუმროების რაოდენობის ზრდის პარალელურად ასეთი ტიპის მომსახურების რაოდენობრივი ანალიზიც გახდება ობიექტურად აუცილებელი. აქედან გამომდინარე, განთავსების საშუალებების სტატისტიკური ანალიზი, დღეს არსებული ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და შეფასება, მოლოდინების განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე საინტერესო, აუცილებელი და დროულია.

ამის გათვალისწინებით, წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში სასტუმროების განვითარების სტატისტიკური ტენდენციების გამოვლენა და შეფასება, გეოგრაფიული სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. ამ მიზნის მისაღწევად გაანალიზებულ იქნა სასტუმროების, ნომრებისა და ადგილების, ტიპების, სტუმრების რაოდენობის, გეოგრაფიული სტრუქტურის, სასტუმროების შემოსავლების, დასაქმებულთა რაოდენობის და სხვ. მახასიათებლები. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნს სტატისტიკური დაკვირვების, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

დღეს, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 2214 სასტუმროა, აქედან ყველაზე მეტი, 25.4% თბილისში, 15% აჭარაში, 9.9% კახეთში, 9.7% იმერეთში, 6.5% გურიაში, 5.9% მცხეთა მთიანეთში მდებარეობს. ყველაზე ცოტა სასტუმრო შიდა ქართლშია, სადაც მათი რაოდენობაა 30, რაც მთელი სასტუმროების მხოლოდ 1,4%-ია.

თბილისში 1167 ეკონომიკურად აქტიური სასტუმრო სუბიექტია, მათ შორის მსხვილი ბიზნესის ტიპის 5, საშუალო ბიზნესის ტიპის 46 და 1046 მცირე სასტუმრო

და განთავსების მსგავსი საშუალებაა. აჭარაში 6 მსხვილი, 72 საშუალო და 296 მცირე ბიზნესის სასტუმრო და განთავსების მსგავსი საშუალებაა. კახეთში ერთი მსხვილი, 23 საშუალო და 189 მცირე ბიზნესის ტიპის აქტიური სასტუმტრო სუბიექტია, ხოლო იმერეთში ერთი მსხვილი ბიზნესის ტიპის სასტუმრო და განთავსების მსგავსი საშუალებაა, 47 საშუალო და 283 მცირე ბიზნესის სასტუმრო და განთავსების მსგავსი საშუალებაა. ((https://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka))

მოქმედი სასტუმროების უმეტესი ნაწილი, 92%, კერძო საკუთრებაშია, სახელმწიფო საკუთრებაში 1 სასტუმრო, . **2449; სახ. 1,** შერეული საკუთრებაში სახელმწიფოს უპირატესობით 1 სასტუმრო, შერეული საკუთრებაში ადგილობრივი უპირატესობით 60 ანუ სასტუმროების 2,7%, შერეული საკუთრებაში უცხოეთის უპირატესობით კი 90, რაც სასტუმროების 4%.-ია. (http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka, https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

აღსანიშნავია, რომ განთავსების საშუალებებიდან უმეტესად 10 ნომერზე მეტის მქონე სასტუმროებია, შემდეგ 10 ნომრამდე მქონე სასტუმროები და ყველაზე მცირე რაოდენობის, კოტეჯები ფიქსირდება საქაზრთველოში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი კოტეჯი აჭარაშია,(62) შემდეგ თბილისსა, გურიასა და კახეთში შესაბამისად 31, 32 და 24.(იხ. დიაგრამა 1)

დიაგრამა 1

სასტუმროების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 2022 წელს



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (geostat.ge)

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით მონაცემების ანალიზმა დაადასტურა, რომ სასტუმროების 33,6% არის შპს, რომლებსაც 10-ზე მეტი ნომერი უფიქსირდებათ, რომელთა წილი საერთოდ სასტუმრეობის 33.6%-ს შეადგენს, ხოლო 27.7% ინდივიდუალური მეწარმის სამართლებრივი ფორმისაა. რაც შეეხება შედარებით მცირე ზომის, 10-მდე ნომრის მქონე სასტუმროებს, ამ შემთხვევაში 27.7% ინდმეწარმის, როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სასტუმროა. სწორედ ეს განთავსების საშუალებებია ბაზარზე დღეს პრიორიტეტული და მოთხოვნადი. ჯერ-ჯერობით, საქართველოში კემპინგებზე, მოთხოვნა უმნიშვნელოა და შესაბამისად განთავსების საშუალებების საერთო რეოდენობაში უმნიშვნელო წილითაა წარმოდგენილი.

დიაგრამა 2

სასტუმროების რაოდენობის დინამიკა 20010-2022 წლებში საქართველოში.



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

როგორც მონაცემების ანალიზმმა აჩვენა საქართველოში იზრდება მცირე, ანუ 10 ნომრამდე სასტუმროების რაოდენობა. თუ საკვლევი პერიოდის დასწყისისათვის, 2011 წელს მათი რიცხვი ქვეყანაში 264 ერთეულს შეადგენდა, 2022 წელს ამ ტიპის სასტუმროების რაოდენობა 204%-ით გაიზარდა და აბსოლუტურად, 803 შეადგინა. ასეთი მაღალი ზრდის ტემპი სწორედ საოჯახო სასტუმროების ბიზნესის სწრაფმა განვითარებამ უზრუნველყო საერთაშორისო მასშტაბის ქსელური სასტუმროების მომრავლების ფონზე. განსაკუთრებით მასშტაბური იყო 2021 წელს მცირე ზომის

სასტუმროების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელი, როდესაც წინა წელთან შედარებით, მიუხედავად COVID 19 პანდემიით გამოწვეული ქვეყანაში არსებული მძიმე ვითარებისა, მათი რაოდენობა 225.5%-ით გაიზარდა და 724 გაუტოლდა (იხ. დიაგრამა2).

დიაგრამა 2

სასტუმროების რაოდენობის ჯაჭვური ზრდის ტემპები 2011-2022 წლებში



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

2022 წელს კიდევ გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა და წინა წელთან შდარებით 10%-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა.

თითქმის ერთნაირი ტენდენციები გამოიკვეთა ნომრებისა და ადგილების რაოდენობის მაჩვენებლებში. თუმცა 2022 წელს უპირატესად, 2021 წელთან შდარებით ერთადგილიანი ნომრების 113 %-იანი მატების ტემპი დაფიქსირდა. ამის მიზეზი შიძლება ყოფილიყო ან მარტო მოგზაურობის სურვილის მქონე ვიზიტორების, ან ინდივიდუალური, საკუთარი ნომრის სურვილის მქონე პირების მომრავლება თანმხლებითა გარემოცვაში. სხვა ტიპის, მათ შორის ლუქსების, ორადგილიანი ნომრების, სამი და მეტ აგილიანი ოთახების რაოდენობების გამოკვეთილი ტენდენცია მსგავსია, არ იცვლება და ბოლო სამ წელიწადი მისი ტენდენცია მზარდია (იხ.დიაგრამა 3).

დიაგრამა 3

სასტუმროების განაწილება ადგილებისა და ნომრების მიხედვით



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

ტურიზმი საქართველოსთვის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებას, და უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს. ამიტომაც, მისი გავლენა ეკონომიკაზე სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება. როგორც საერთაშორისო, ისე შიდა ტურიზმის განვითარების პოზიტიური ზემოქმედების გამოვლინებას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ტურიზმის ინდუსტრიის მომსახურე სფეროებში, მათ შორის სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა წარმოადგენს. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2022 წლისათვის სასტუმროებში დასაქმებული იყო 23259 ადამიანი, მათ შორის 56.4% ქალი და 43.6% კაცი (იხ.დიაგრამა 4).

დიაგრამა 4

სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა



წყარო:ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

ყოველწლიურად დასაქმებულთა რაოდენობა სასტუმროებში იზრდებოდა საშუალოდ 17%-ით. მათ შორის უფრო აქტიურები იყვნენ ქალები. თითქმის ყველა წელს საკვლევ პერიოდში ქალების პროცენტული წილის მაჩვენებლები აღემატებოდა კაცებისას. ასე მაგალითად, 2022 წელს 12.8 პროცენტული პუნქტით, 2021 წელს 13.2, ხოლო 2019 წელს 14.6 პროცენტული პუნქტით. (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5

სასტუმროებში დასაქმებულთა განაწილება სქესის მიხედვით



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

ეს არცაა გასაკვირი, რადგან მომსახურების სფეროში დასაქმებულთა შორის თითქმის ყველგან ქალთა სიაჭარბე შეინიშნება, გამოკანკლისი არ იყო არც სასტუმროები. ყოველწლიურად სტუმრების რაოდენობისა და ოთახების დატვირთვის ინტენსივობის ზრდის პარალელურად იკვეთება შემოსავლების ზრდის ტენდენციაც, რომელიც დივერსიფიცირებულია და მოიცავს ოთახებიდან, სერვისებიდან, რესტორნებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებულ შემოსავლებს. წლების მიხედვით შემოსავლების სახეების მიხედვით საშუალოწლიური ზრდის ტემპები დიფერენცირებულია და შესაბამისად განსხვავებულია ზრდის ტემპების დიაპაზონიც. ოთახებიდან მიღებული შემოსავალი საკვლევ პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 89%-ით, შეთავაზებული სერვისებიდან 22%-ით, ხოლო რესტორნებიდან საშუალოდ 24%-ით. (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

სასტუმროების შემოსავლები წლების მიხედვით



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (geostat.ge)

თითქმის იგივე ტენდენციაა ხარჯების დინამკაშიც, რომლის სტუქტურაში გამოიყოფა ხელფასი და სხვა სახის ხარჯები. ჯაჭვური მეთოდით განსაზღვრული ზრდის ტემპებმა აჩვენა, რომ 2021 წლის გარდა ყველა წელს ხელფასებზე გაწეული ხარჯი იზრდებოდა. საშუალოდ პერიოდში ყოველწლიურად მატების ტემპი შეადგენდა 20,3%-ს, რაც იმას ადასტურებს, რომ ხელფსები ყოველწლირად 20,3%-ით იზრდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ხარჯებიც გაწეული ხელფასზე. (იხ. დიაგრამა 7)

დიაგრამა 7

სასტუმროების ხარჯების დინამიკა 2011-2022 წლებში



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (geostat.ge)

საქსტატის მონაცემებით სასტუმროებით ყველაზე მეტად სარგებლობენ საქართველოს რეზიდენტები, ისრაელის, აზიის ქვეყნების, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

ცხრილი 1

სტუმრების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში

	საქართველო	აზერბაიჯანი	რუსეთი	თურქეთი	სომხეთი	უკრაინა	ისრაელი	აშშ	ევროკავშირი		სამხრეთ აფრიკა		აღმოსავლეთი		სხვა ქვეყნები
2010	48.6%	5.1%	1.9%	7.7%	4.6%	3.1%	4.4%	4.3%	10.3%	5.9%	0.1%	0.0%	0.2%	0.6%	3.1%
2011	48.6%	5.6%	2.0%	8.0%	3.9%	3.0%	3.2%	3.0%	10.0%	6.2%	0.1%	0.2%	0.1%	3.3%	2.8%
2012	47.2%	5.7%	3.4%	10.0%	3.6%	3.8%	2.8%	3.1%	9.3%	5.9%	0.1%	0.2%	0.1%	2.2%	2.5%
2013	38.4%	4.8%	4.1%	9.3%	3.8%	5.0%	4.1%	1.1%	9.6%	6.2%	0.0%	0.2%	0.2%	11.6%	1.5%
2014	37.7%	6.6%	6.7%	8.7%	3.6%	4.5%	5.4%	1.9%	9.2%	4.7%	0.1%	0.1%	0.2%	8.4%	2.1%
2015	36.9%	4.8%	7.2%	6.8%	3.1%	4.7%	5.2%	1.5%	8.9%	6.3%	0.1%	0.1%	0.1%	12.7%	1.5%
2016	34.2%	3.5%	9.0%	8.5%	2.5%	4.9%	3.6%	1.3%	8.3%	9.2%	0.0%	0.1%	0.0%	13.4%	1.3%
2017	30.3%	3.8%	11.8%	10.2%	3.0%	5.0%	3.4%	0.9%	6.5%	14.3%	0.1%	0.2%	0.1%	8.8%	1.5%
2018	28.7%	3.5%	14.1%	7.3%	2.6%	5.1%	6.6%	1.7%	9.1%	11.5%	0.1%	0.3%	0.1%	7.5%	2.0%
2019	28.5%	3.4%	13.2%	7.0%	2.5%	4.8%	8.8%	1.7%	9.8%	13.6%	0.1%	0.1%	0.2%	4.5%	1.9%
2020	69.4%	0.4%	4.9%	1.5%	1.5%	3.1%	3.0%	0.8%	2.4%	3.7%	0.0%	0.0%	0.0%	8.7%	0.4%
2021	56.5%	0.4%	4.5%	1.8%	0.7%	4.1%	3.7%	1.1%	4.4%	11.9%	0.0%	0.1%	0.0%	8.6%	1.9%
2022	39.7%	1.1%	7.5%	2.4%	1.1%	3.2%	9.9%	1.1%	3.7%	13.7%	0.0%	0.1%	0.0%	14.6%	1.8%

წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

განსაკუთრებით დაიტვირთა სასტუმროები პანდემიის შემდეგ. უკვე 2021 წლისათვის სასტუმროებში სტუმრების რაოდენობამ გადააჭარბა 2016 წლის დონეს და 2022წ წლის მონაცემებით კი ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. მარტო 2021 წელს სტუმრების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის 127%-ით გაიზარდა და 2022 წელს ეს მაჩვენებელი კიდევ გაუმჯობესდა. მართალია, მატების ტემპი შემცრდა, მაგრამ აბსოლუტურად ყველაზე მეტი სტუმარი, სწორედ 2022 წელს იქნა რეგისტრირებლი.(იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

სტუმრების რაოდენობისა და ჯაჭვური ზრდის ტემპების დინამიკა



წყარო: ტურიზმის სტატისტიკის პორტალი. (https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators)

დასკვნა

- საქართველოში სასტუმროებისა და განთავსების სხვა საშუალებების რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, შეიცვალა მათი გეოგრაფიული გეოგრაფიული სტატისტიკა და ტრანსფორმირდა მათი გალენა რეგიონულ ეკონომიკური უსაფრთხოებაზე;
- სასტუმროების გეოგრაფიული სტრუქტურა რეგიონულ ჭრილში მრავალფეროვანია, ყველაზე მეტი, 25.4% სასტუმრო თბილისში, 15% აჭარაში, 9.9% კახეთში, 9.7% იმერეთში, 6.5% გურიაში, 5.9% მცხეთა-მთიანეთში მდებარეობს. ყველაზე ცოტა სასტუმრო შიდა ქართლშია, რომელთა წილი სასტუმროების მხოლოდ 1,4%-ია;
- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით საქართველოში სჭარბობს შპს,რაც სასტუმროების 33,6%-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმას წარმოადგენს;
- ყოველწლიურად დასაქმებულთა რაოდენობა სასტუმროებში იზრდებოდა საშუალოდ 17%-ით. მათ შორის უფრო აქტიურები იყვნენ ქალები. თითქმის ყველა წელს საკვლევ პერიოდში ქალების პროცენტული წილის მაჩვენებლები აღემატებოდა კაცებისას;
- სტუმრების რაოდენობისა და ოთახების დატვირთვის ინტენსივობის ზრდის პარალელურად გამოიკვეთა შემოსავლების ზრდის ტენდენცია. ოთახებიდან მიღებული შემოსავალი საკვლევ პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 89%-ით, შეთავაზებული სერვისებიდან 22%-ით, ხოლო რესტორნებიდან საშუალოდ 24%-ით
- საკვლევ პერიოდში საშუალოდ ყოველწლიურად სასტუმროებსა და განთავსების მსგავს საშუალებებში გაწეული ხარჯების მატების ტემპი შეადგენდა 20,3%-ს.
- სასტუმროებით ყველაზე მეტად სარგებლობენ საქართველოს რეზიდენტები, ისრაელის, აზიის ქვეყნების, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე, რ. (2022). საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები. *თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამეცნიერო შრომების*

კრებული XVISSN 1987-6904. თბილისი: , თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

Abesadze, N., Robitashvili, N., Abesadze, O., & Kinkladze, R. (2023). STATISTICAL STUDY OF PRIORITY DIRECTIONS AND EXPECTATIONS OF DOMESTIC TOURISM REHABILITATION IN GEORGIA. *nnovative Economics and Management.Vol 10 No1*, 104-113.

Bowen, & Morosan. (2018). • Bilbao, R. (2021). Robot butler, other things to expect from Lake Nona Wave Hotel restaurants and events space.

Chi et al. (2020). A neutralizing human antibody binds to the N-terminal domain of the Spike protein of SARS-CoV-2. *PMID: 32571838 PMCID: PMC7319273 DOI: 10.1126/science.abc6952*.

Dedeoglu, Bilgihan, Ye, B., & Okumus. (2018). The impact of servicescape on hedonic value and behavioral intentions: The importance of previous experience. *Hospitality Mmanagement*, 10-20.

geostat.ge. (n.d.). Retrieved from https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators.

http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka, https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators. (n.d.). Retrieved from http://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka, https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators.

https://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka). (n.d.). Retrieved from https://br.geostat.ge/register_geo/index.php?action=search&lang=ka).

https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators. (n.d.). Retrieved from https://tourism.geostat.ge/hotels/HDefaultIndicators.

https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0747563221000224?via%3Dihub. (n.d.). Retrieved from https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0747563221000224?via%3Dihub.

Trejos. (2016). Species with greater seed mass are more tolerant of conspecific neighbours: a key driver of early survival and future abundances in a tropical forest. *Ecology letters. DOI:10.1111/ele.12643Corpus ID: 9435937. Vol 19/9*, 1071-1080.

West, C. P., L N Dyrbye , & T D Shanafelt . (2018). Physician burnout: contributors, consequences and solutions. *83(6). doi: 10.1111/joim.12752. Epub 2018 Mar 24. PMID: 29505159.*, 516-529.

.

Statistics of hotels in Georgia under conditions of ensuring economic security

Nino Abesadze
associate professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
nino.abesadze@tsu.ge

Summery

Tourism is not a priority direction of the development of the country's economy, which is largely caused by the growing tourist flows, the improvement of service quality, the variety of packaged tourist products, raising the country's awareness, increasing the level of satisfaction of visitors, etc. All this is even more important in the background of ensuring economic security. The increase in the number of tourists after the recovery from the pandemic shock and rapid rehabilitation led to the need to increase the number of accommodation facilities and to introduce services corresponding to international standards. This process is actively taking place in Georgia, which is one of the important indicators of the growth of the tourist attractiveness of Georgia in the world tourist market. The purpose of the research is to reveal and analyze the statistical trends of the development of hotels in Georgia, their geographical structure. In the process of the research, methods corresponding to the stages of statistical research were used. results. The article studied and analyzed the number of hotels in Georgia, the number of rooms and seats, the number of guests, the geographical structure of guests, hotel revenues, the number of employees, expenses, the location of hotels in a regional perspective, types, and other characteristics.

Keywords: tourism, hotel, increase, analysis, trend.

საქართველოს საგადასახადო სისტემის რადიკალური რეფორმის თეორიულ-მეთოდოლოგიური პრობლემები სოციალური ეკონომიკის პირობებში (ნაწილი II. საგადასახადო სისტემის ფუნქციონალიზაცია სოციალურ ეკონომიკაში)

ილია (აზიკო) სისვაძე
ეკონომიკის დოქტორი, დამოუკიდებელი მკვლევარი
aziko.sisvadze49@Gmail.com

ანოტაცია: *ნაშრომში დასაბუთებულია ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების უპირატესობები მონეტარულთან შედარებით. ნაჩვენებია, რომ სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში გადასახადმა განიცადა არსებითი ტრანსფორმაცია და გადამხდელთა შემოსავლების ხარკის ფორმით ამოღების ინსტრუმენტიდან ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების უნივერსალურ ბერკეტად გადაიქცა. შესაბამისად შეიცვალა გადასახადის როგორც ეკონომიკური კატეგორიის ბუნებაც, რომელიც ახალ პირობებში ასახავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი მეწარმის და მეორე მხრივ, როგორც ბიზნეს-პარტნიორის კუთვნილი შემოსავლების მოძრაობას მათი შექმნის ადგილებიდან ცენტრალიზებული საბიუჯეტო ფულადი ფონდებისაკენ. გადასახადების მიერ მორგებულმა ახალმა შინაარსმა, ფორმამ და როლმა არსებითად შეცვალა მისი ფუნქციები, დაბეგვრის პრინციპები და გააფართოვა მათი მეშვეობით ეკონომიკის ეფექტური სახელმწიფოებრივი რეგულირების შესაძლებლობები. ამ პარდიგმულ საფუძველზე ნაშრომში ჩამოყალიბებულია საგადასახადო თარგეთირების პრიორიტეტების განსაზღვრის კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის და კეთილდღეობის უმაღლესი სტანდარტების მიღწევას, სოციალურად სამართლიანი თანასწორობის დამყარებას, არსებული ჩამორჩენის მოკლე დროში დაძლევას და მაღალგანვითარებულ ქვეყნად გადაქცევას. კვლევის შედეგების და საერთაშორისო გამოცდილების საფუძველზე თითოეული გადასახადისათვის შემუშავდა დასაბუთებული განაკვეთები ქვეყნის წინაშე მდგარი გამოწვევების და სოციალური ორიენტირების შესაბამისად.*

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო თარგეთირება, ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების უპირატესობები, გადასახადების ფუნქციონალიზაცია, გადამხდელების და დაბეგვრის ობიექტების პრიორიტეტულობის კრიტერიუმები.*

1. საქართველოს საგადასახადო სისტმის სრულყოფის კონცეპტუალური პრობლემები

საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი რელიქტური თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს რეგულირება მონეტარული ინსტრუმენტებით, მაშინ როდესაც საზღვარგარეთის სოციალურ სახელმწიფოებში ეს პროცესი უპირატესად საგადასახადო-საბიუჯეტო ინსტრუმენტებით ხორციელდება, რაც მათი სოციალურ-ეკონომიკური წარმატებების გადამწყვეტ ფაქტორად იქცა. მონეტარულთან შედარებით იგი შემდეგი უპირატესობებით ხასიათდება: **პირველი**, იმის გამო, რომ მონეტარული პოლიტიკა მიმართულია მხოლოდ ერთობლივი მიწოდების რეგულირებაზე, მისი ცალმხრივი გამოყენების გარდაუვალი შედეგია მაკროეკონომიკური წონასწორობის რღვევა, აქედან გამომდინარე ნეგატიური ეფექტებით. მაშინ როდესაც, საგადასახადო ინსტრუმენტით ხორციელდება, როგორც ერთობლივ მოთხოვნაზე, ისე ერთობლივ მიწოდებაზე სისტემური ზემოქმედება და მიზნობრივი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების გამოწვევა, ისე, რომ მაკროეკონომიკური წონასწორობა არ ირღვევა; **მეორე**, საბიუჯეტოსთან მჭიდრო კავშირში საგადასახადო ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელია როგორც ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მთელი სპექტრის კომპლექსური გადაწყვეტა, ისე ეკონომიკაში წერტილოვანი ჩარევა. მონეტარული ინსტრუმენტებით კი მიიღწევა უპირატესად ინფლაციის მოთოკვა, თანაც ნაკლები ეფექტით; **მესამე**, საგადასახადო ინსტრუმენტი გაცილებით ეფექტიანია მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიზნის - ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლაშიც, რადგან უზრუნველყოფს მისი გამომწვევი მიზეზების პრევენციას. მონეტარული ინსტრუმენტები კი მიმართულია ინფლაციის, როგორც სხვა ნეგატიური მიზეზებით გამოწვეული შედეგის განეიტრალებაზე, თუმცა, მხოლოდ დროებით, რადგან მოუთოკავი მიზეზები კვლავ უწყვეტად წარმოშობენ მას. ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების აშკარა უპირატესობები არ გამორიცხავს ფორსმაჟორულ სიტუაციებში მონეტარული ინსტრუმენტების პარალელური გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა გაცილებით ნაკლები სავალუტო რეზერვებით.

საგადასახადო ინსტრუმენტის მარეგულირებელი პოტენციალის სრულად ამოქმედებისათვის პრინციპულ გადააზრებას საჭიროებს გადასახადების კატეგორიის არსებული გაგება სოციალური ეკონომიკის სპეციფიკის შესაბამისად. ამჟამად საყოველთაოდ მიღებული განმარტებით, მათ შორის საქართველოს საგადასახადო კოდექსითაც, ,,გადასახადი არის ბიუჯეტში სავალდებულო, უპირობო ფულადი

შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე" [**საქართველოს საგადასხადო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ ka/document/ view/1043717? publication=194**]. სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების და შესაბამისი საგადასახადო სისტემის ანალიზი საპირისპიროზე მეტყველებს, მათ ერთ ნაწილს - ირიბ გადასახადებს (დამატებული ღირებულების, აქციზის და საბაჟო გადასახადები) სახელმწიფო ფიზიკური და იურიდიული პირების შემოსავლებიდან ამოიღებს ნაცვალგების საფუძველზე, როგორც საზოგადოებრივი დოვლათის მიმწოდებელი კოლექტიური მეწარმე, ხოლო მეორე ნაწილს - პირდაპირ გადასახადებს (მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადები) ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნეს-პარტნიორის უფლებით. ამ შემთხვევაში სახელმწიფო გვევლინება გადამხდელთა მოგების, შრომითი შემოსავლების და ქონების მეწილედ (კონცეფცია სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის, როგორც წარმოების ფაქტორის შესახებ ეკუთვნის აკადემიკოს ვლ. პაპავას **[ვლ. პაპავა, 2011, გვ. 144, 152]**).

ამ თვალსაზრისით, **გადასახადი ესაა სახელმწიფოსა და გადამხდელებს შორის გაცვლითი და სამეწარმეო ურთიერთობების ამსახველი ეკონომიკური კატეგორია, რომელიც გამოხატავს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი მეწარმის და მეორე მხრივ, როგორც ბიზნეს-პარტნიორის კუთვნილი შემოსავლების მოძრაობას მათი შექმნის ადგილებიდან ცენტრალიზებული საბიუჯეტო ფულადი ფონდებისაკენ, მისი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების აღსრულებისა და გადამხდელთა ერთობლივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით** [ა. სისვაძე, 2006, გვ. 123], [ა. სისვაძე, **2023, გვ. 180**].

გადასახადების კატეგორიის საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერ მოდელში, სახელმწიფოს, როგორც ბიზნეს-პარტნიორის მოვალეობებში მეტ-ნაკლები ზომით შედის ეროვნული მეურნეობის მარეგულირებელი ინსტიტუციურ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და ამოქმედება, უპირატესად საგადასახადო ინსტრუმენტზე დაყრდნობით. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში სოციალურად სამართლიანი თანასწორობის დამკვიდრება და მოქალაქეთა კეთილდღეობის უწყვეტი ამაღლება, მატერიალური წარმოების პრიორიტეტული დარგების მოტივაცია, დარგთა შორის რესურსების რაციონალური განაწილება, ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, ბაზრის უარყოფითი თანამდევი ეფექტების განეიტრალება, ეკონომიკის წონასწორული ეფექტიანი ზრდა და სხვა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებებმა ე. წ. ,,დერეგულირების" პოლიტიკის გატარებით შეგნებულად თქვეს უარი ეკონომიკის რეგულირების გენეტიკურ ვალდებულებებზე. ამის შედეგია ის გარემოება, რომ

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი საგადასახადო ტვირთის მიუხედავად, განვლილი სამი ათეული წლის განმავლობაში ვერ იქნა უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის ისეთი ტემპი, რომ წარმატებული ქვეყნების რიგში ჩავმდგარიყავით. მაშინ, როდესაც ეს დრო სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ რადიკალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების, მათ შორის საგადასახადო სისტემის მოდერნიზების გზით დასავლეთ ევროპას დასწეოდნენ.

საქართველოში დამკვიდრებული უიმედოდ მოძველებული საგადასახადო სისტემის არსებობის მიზეზია ის გარემოებაც, რომ **ჯერ ერთი,** ჩვენთან ეკონომიკის მეცნიერებაში და ეკონომიკურ პოლიტიკაში მისი ტრადიციულად მიღებული ფუნქციები - ფისკალური, სოციალური და ეკონომიკური, ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური უნარის მფლობელი ბიზნეს-პარტნიორის მოვალეობების სრულად აღსრულებას. ამდენად, აუცილებელი ხდება მათი დაზუსტება, არსებულის გაძლიერება და ახლის დამატება სოციალური კონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც საგადასახადო სისტემის სრულ **ფუნქციონალიზაციას** გულისხმობს; **მეორე,** ამჟამად საქართველოში დამკვიდრებული გამთანაბრებლობითი საგადასახადო განაკვეთები გამორიცხავენ არა მარტო ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, არამედ ეკონომიკური რეფორმების გატარების შესაძლებლობასაც. უფრო მეტიც, 2011 წლიდან მოქმედებს კონსტიტუციურად დაკანონებული ე. წ. ,,თავისუფლების აქტი'' [**საქართველოს ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ,** https://matsne.gov.ge/ka/document/view/1405264?publication=3#!], რომელიც კრძალავს რეფერენდუმის გარეშე გადასახადების განაკვეთების გაზრდას (გარდა აქციზისა) ან ახლის შემოღებას. ამდენად, საქმე გვაქვს სახელმწიფოს მიერ საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ და მარეგულირებელ ფუნქციებზე უარის თქმის, თვითშეზღუდვის და პასუხისმგებლობის მოხსნის დემონსტრირებათან. შესაბამისად, იგი წარმოადგენს არა თავისუფლების, არამედ ეროვნული მასშტაბის თვითდაზიანებისა და ბაზრის სტიქიურ ძალებთან ნებაყოფლობითი **სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კაპიტულაციის აქტს**.

მსოფლიოს წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, საგადასახადო ტვირთი და სხვა სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია **(1) ცხრილში,** რომელთა ანალიზმა აჩვენა, რომ:

პირველი, დაბალი გადასახადები სულაც არაა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონის მიღწევის პანაცეა. მათი შემცირება ოპტიმალურ დონემდე წარმატებების აუცილებელ პირობას კი წარმოადგენს, მაგრამ არასაკმარისს. თუ გადამხდელებისათვის მისაღებ საგადასახადო განაკვეთებს თან არ ახლავს

ეკონომიკაზე სახელმწიფოს მარეგულირებელი ზემოქმედება, როგორც ეს დაწინაურებულ ქვეყნებში ხდება, მაკროეკონომიკური შედეგები უმნიშვნელო იქნება;

მეორე, რაც უფრო დაბალია საგადასახადო ტვირთი, მით მაღალია სოციალური უსამართლობის დონე. ამ მოვლენის მიზეზია ის გარემოება, რომ საგადასახადო სასათბურო პირობები ხელსაყრელ გარემოს უქმნის როგორც მსხვილ მონოპოლისტურ ბიზნესს, ისე მოსახლეობის მდიდარ ფენას და ამდენად, ქონებრივ დიფერენციაციას ასტიმულირებს. თუ არსებული საგადასახდო განაკვეთები სავსებით მისაღებია მსხვილი ბიზნესისა და მდიდარი ადამიანებისათვის, ისინი მეტისმეტად მძიმეა საშუალო და მცირე ბიზნესის, ასევე ღარიბი მოსახლეობისათვის. ამ მიზეზის გამო საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია სოციალური უსამართლობის მაჩვენებელი - ჯინის კოეფიციენტი, რაც მოსახლეობის უქონელ ნაწილში კიდევ უფრო ამძაფრებს მძიმე მატერიალური ყოფის განცდას, წარმოშობს დაძაბულობას სოციალურ ფენებს შორის, აქვეითებს შრომით მოტივაციას და შესაბამისად, აფერხებს ეკონომიკურ ზრდას;

მესამე, ჩვენში დამკვიდრებული მცდარი შეხედულების საპირისპიროდ, საგადასახადო ტვირთის ზრდის პირობებში ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები კი არ იკლებს, არამედ იმატებს, რაც გადასახადების ფუნქციონალიზაციით მიიღწევა. ეს ფაქტორი არა მარტო აკომპენსირებს მაღალი განაკვეთებით გამოწვეულ დანაკარგებს, არამედ იწვევს ისეთი ზომის დამატებით ეფექტს, რომელიც განვითარების მაღალ დონეს უზრუნველყოფს;

მეოთხე, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი საგადასახადო სისტემის მარეგულირებელი როლის უგულვებელყოფა და მისი დეფუნქციონალიზაციაა.

ამდენად, მსოფლიოს წამყვან და განვითარებად ქვეყნებში გადასახადების ძირითადი განაკვეთების ანალიზი აჩვენებს, რომ **არსებული სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევის ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს თითოეული გადასახადის სრული ფუნქციონალიზაცია, ყოველმხრივ დასაბუთებული განაკვეთების დაწესება და ამ საფუძველზე ეკონომიკის საგადასახადო თარგეთირება წარმოადგენს.**

ცხრილი 1. საგადასახადო ტვირთისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები საქართველოში და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში

მაჩვენებლები / ქვეყნები	საგადასახადო ტვირთი, 2016 წ (ბიუჯეტის საგადასახ. შემოსავლი %-ში მშპ-თან)[1]	ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ $ (სსგ მონაცემები პარიტეტული მსყიდველობით ფასთა ინდექსის მიხედვით 2021 წ)[2]	ერთ სულ მოსახლეზე რეალური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2015-2019 წწ %[3]	საშუალო თვიური ხელფასი 2023 წ აშშ $[4]	საშუალო თვიური პენსია 2023 წ აშშ $[5]	ცხოვრების ხარისხის ინდექსი 2021 წ (მაქსიმალური 200 ქულიდან)[6]	სოციალური უსაფრთხოება შემოსავლების მიხედვით (ჯინის კოეფიციენტი) 2017 და 2018 წწ[7]
1. დანია	45,9	63 946	2,1	6 192	2907	190.01	28,7
2. საფრანგეთი	45,3	51 364	1,3	3 332	1572	150.73	31,6
3. ბელგია	44,2	57 036	0,1	3 930	865 ევრო(2021 წ)	150.89	27,2
4. ფინეთი	44,1	53 757	1,1	3 908	1960	182.79	27,4
5. შვედეთი	44,1	58 962	1,9	2 893	1190	171.40	28,8
6. იტალია	42,9	46 161	1,0	2 726	1445	138.63	35,9
7. ავსტრია	42,7	59 403	1,1	2 940	1693	182.37	29,7
8. უნგრეთი	39,4	37 128	4,3	1 187	447	134.01	28,7
9. ჰოლანდია	38,8	62 841	2,0	3 238	1572	183.31	28,5
10. საბერძნეთი	38,6	32 218	1,2	1 203	873	127,96	34,4
10. ნორვეგია	38	70 825	0,2	5 450	2512	173.57	27,0
11. გერმანია	37,6	58 378	1,2	4 392	941	176.76	37,6
12. სლოვენია	37,0	44 067	3,4	1 914	750 ევრო	168.20	24,2
13. ისლანდია	36,4	59 792	3,8	5 436	1550 (2021 წ)	179.10	23, 2
14. ესტონეთი	34,7	42 050	3,7	1 560	704	173.56	30,4
15. პორტუგალია	34,3	36 844	2,9	1 288	665	161.91	33,8
16. ჩეხეთი	34,0	43 837	3,7	1 454	665	156.33	25,6
17. პოლონეთი	33,6	37 786	4,6	1 253	660	132.65	32,0
18. ესპანეთი	33,5	41 839	2,9	2 133	1093	164.48	34,7
19. დიდი ბრიტ.	33,2	50 338	1,4	2 703	956	158.99	34,8
20. სლოვაკეთი	32,7	35 463	3,2	1 283	556	149.68	23,6
21. ახ. ზელანდ.	32,1	46 585	არ იძებნ.	3 354	1 150	175.77	არ იძებნ.
22. კანადა	31,7	52 985	0,8	3 151	1500	159.99	33,3
23. ისრაელი	31,2	45 750	2,1	3 064	1626	144.14	44,3
24. რუსეთი	30,8	30 850	1,0	788	205	101.67	43,9
25. იაპონია	30,7	44 739	არ იძებნ.	3 998	1700	162.32	32,1 (2010-2015)
26. ლატვია	30,2	34 707	4,4	1 217	768 (2022 წ)	147.59	36,3
27. ავსტრალია	28,1	56 403	არ იძებნ.	3 346	1 170	181.52	არ იძებნ.
28. შვეიცარია	27,8	78 530	0,9	6 244	2132	190.82	32,7
29. სამხრეთ კორეა	26,3	48 578	არ იძებნ.	2 964	814	130.02	არ იძებნ.
30. აშშ	26	69 231	1,7	3 921	1503	166.98	41,1
31. საქართველო	25,8	16 906	4,3	458	80 (2021 წ)	118.87	39,0
32. თურქეთი	25,5	34 755	2,1	961	380	125.97	41,9
33. ირლანდია	23	112 463	8,9	3 671	1300	150.89	32,8

წყარო:

1. ttp://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_364178/2b4dd535a015bcc992dd9a754f9a098fb856af0f/;
2. https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html;
3. https://w3.unece.org/SDG/ru/Indicator?id=117;
4. https://visasam.ru/emigration/vybor/srednya-zarplata-v-mire.html#C;
5. https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html#-2023;
6. https://take-profit.org/statistics/quality-of-life/;
7. https://svspb.net/danmark/gini.php.

უცხოეთის წარმატებული სოციალური სახელმწიფოების ეკონომიკის რეგულირების პრაქტიკიდან და ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ნაშრომის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია რეალობის ადეკვატური საგადასახადო სისტემის ახალი ფუნქციები [ა. სისვაძე, 2023, გვ. 180]. **მათი გათვალისწინებით** მიზანშეწონილად მიგვაჩნია საგადასახადო განაკვეთები შემდეგი პრინციპების საფუძველზე განისაზღვროს:

პირველი, გადამხდელების, რეგიონების და დაბეგვრის ობიექტების დიფერენციაცია სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით და შესაბამისად, მათი დაყოფა პრიორიტეტულ, პრიორიტეტ-ნეიტრალურ და არაპრიორიტეტულ სექტორებად, რაც დგინდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ;

მეორე, პრიორიტეტ-ნეიტრალური სექტორისათვის წესდება საბაზისო პროპორციული განაკვეთი, პრიორიტეტულ სექტორში - შეღავათიანი დიფერენცირებულ-პროპორციული, ხოლო არაპრიორიტეტულში - საბაზისოზე მაღალი ასევე დიფერენცირებულ-პროპორციული ან პროგრესიული განაკვეთები, რომელიც კონკურენტულ დარგებსა და ფირმებში არ ჩაახშობს სამეწარმეო მოტივებს;

მესამე, ცალკე გამოიყოფა ციკლური განვითარებისადმი მგრძნობიარე და მონოპოლიზაცია-მონოპსონიზაციისადმი მიდრეკილი დარგები შესატყვისი პროგრესიული განაკვეთებით;

მეოთხე, დასახული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების, გადამხდელების თუ დაბეგვრის ობიექტის პრიორიტეტულობის, სპეციფიკის და გამოწვევების გათვალისწინებით თითოეულ მათგანზე გამოიყენება განაკვეთის ის ფორმა, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს არსებული პრობლემების გადაწყვეტას;

მეხუთე, გარდაქმნები უნდა მოხდეს მდიდარი მოქალაქეების, მსხვილი და მონოპოლისტურ-მონოპსონიური ბიზნესის ჭარბი შემოსავლების გამოყენებით. შესაბამისად გამოირიცხება გაზრდილი საგადასახადო ტვირთის დაკისრება მცირე ბიზნესზე, მოსახლეობის ღარიბ და საშუალო ფენებზე;

მეექვსე, ეკონომიკის პრიორიტეტულ სეგმეტებში შეღავათიანი ან ნულოვანი განაკვეთებით გამოთავისუფლებული სახსრები ხმარდება ადგილზე რეინვესტირებას, წარმოების ტექნიკურ გადაიარაღებას ან ინოვაციური საქონლის გამოშვების ღონისძიებებს;

მეშვიდე, იმისათვის, რომ ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე საგადასახადო შეღავათების დაწესებამ სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის შოკი არ გამოიწვიოს, ისინი შემოიღება ეტაპობრივად. ამასთან, გამოყენებული იქნება ჩვენს მიერ შემოთავაზებული **საგადასახადო განაკვეთების სიმეტრიულობის პრინციპი,** როლის შესაბამისად საბიუჯეტო დანაკლისი კომპენსირდება მოცემულ ეტაპზე ნაკლებად აქტუალური, მონოპოლიური და მონოპსონიური ფირმებიდან, ასევე მაღალშემოსავლიანი მოქალაქეებიდან ამოღებული გაზრდილი გადასახადებით;

მერვე, მაქსიმალურად გაითვალისწინება წარმატებულ ქვეყნებში ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების გამოცდილება ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით. სახელმწიფოს წინაშე მდგარი გამოწვევების და სტრატეგიული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების შესაბამისად გადამხდელების და დაბეგვრის ობიექტების დიფერენციაცია პრიორიტეტულობის ნიშნით და შესატყვისი მიზნობრივი ობიექტების შერჩევა გრკვეული **კრიტერიუმებით** ხდება, კერძოდ, **ეკონომიკის კონკურენტულ სექტორში პრიორიტეტულად მიჩნეულ დარგებზე (ფირმებზე) თუ რეგიონებზე დიფერენცირებული შეღავათიანი გადასახადების დაწესებამ და ამ საფუძველზე მათმა უპირატესმა განვითარებამ უნდა გამოიწვიოს:**

სოციალური დარგების - ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ხელოვნების, დასვენების სერვისის და სხვათა დაჩქარებული პროგრესი;

– ეკონომიკის ინოვაციზაციის და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ფუნდამენტური საფუძვლის - მეცნიერების აყვანა საერთაშორისო დონეზე;

– ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის ტენდენციების გაძლიერება - მატერიალური წარმოების დარგების უპირატესი განვითარება. თავის მხრივ, მრეწველობაში იზრდება მანქანათმშენებლობის და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი ქვედარგების ხვედრითი წილი;

– მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტის ამოქმედება, რაც შეზღუდული რაოდენობის საბაზისო დარგებში სახელმწიფო ინვესტირებით ,,ჯაჭვური რეაქცის'' ფორმით ბიძგს მისცემს მომიჯნავე დარგების დაჩქარებულ განვითარებას, რომლებიც ასევე სხვა პრიორიტეტების გათვალისწინებითაც შეირჩევა;

– მაღალტექნოლოგიური კაპიტალური საქონლის მწარმოებელი დარგების წარმოშობის და დაჩქარებული განვითარების მოტივაცია;

– იმის გამო, რომ ქვეყანაში, ერთი მხრივ, შეზღუდულია მრეწველობის განვითარების სანედლეულო ბაზა, ხოლო მეორე მხრივ, დაუსაქმებელია შრომითი რესურსი, საგადასახადო სისტემის ფუნქციონალიზაციამ ხელი უნდა შეუწყოს არაკაპიტალტევადი და შრომატევადი დარგების განვითარებას;

– იმ დარგების უპირატესი მოტივაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გაძლიერებას;

– გამოასწორებს ქვეყანაში არსებულ რთულ დემოგრაფიული მდგომარეობას;

– მოხდება ქვეყნის ეკონომიკურად ჩამორჩენილი და მთიანი რეგიონების განვითარების დონეთა გამოთანაბრება ბარის მოწინავე რეგიონებთან;

– ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერება თავდაცვითი, ენერგეტიკული, სასურსათო და სხვა მიმართულებით.

პრიორიტეტულ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების საგადასახადო რეგულირებამ უნდა გამოიწვიოს:

– სოციალური დანიშნულების პირველადი მოხმარების საგნების, კვების პროდუქტების, სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის ფასების ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა;

– იმ მატერიალური რესურსების ადგილზე გადამუშავება და საბოლოო პროდუქტის სახის მიცემა, რომელიც საექსპორტოდ ნედლეულის სახით გადის, რაც გაზრდის დასაქმების დონეს, დამატებულ ღირებულებას და შემომავალ სავალუტო ნაკადს. ამავე მიზნით ექსპორტირებულ ნედლეულზე და მასალებზე წესდება იმდენად მაღალი საბაჟო გადასახადი, რომ მათი გატანა ზარალიანი ხდება;

- იმპორტშემცვლელი საქონლის წარმოების გაფართოება, რომლის სანედლეულო ბაზა და პირობები ქვეყანაში არსებობს. ეს ერთი მხრივ, შეამცირებს ადგილობრივი ფასების დამოკიდებულებას საერთაშორისო ბაზრის ცვალებად კონიუნტურაზე, ხოლო მეორე მხრივ, შეაფერხებს ქვეყნიდან ვალუტის გადინებას და წინა ღონისძიებასთან ერთად ეროვნული ვალუტის კურსს სტაბილურად გაამყარებს.

დასაქმებულთა ცალკეული საშემოსავლო ჯგუფებისათვის პრიორიტეტების მინიჭებამ და ამ საფუძველზე საგადასახადო შეღავათების დაწესებამ ან დაბეგვრისაგან გათავისუფლებამ უნდა გამოიწვიოს:

– მრავალშვილიანობის წახალისება და დემოგრაფიული სიტუაციის გამოსწორება;

– მთიან რაიონებში მოსახლეობის დამაგრება და ეკონომიკის გამოცოცხლება;

– დაბალშემოსავლიანი სამუშაო ძალის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

– მეცნიერებაში, განათლებაში და სამეურნეო პრაქტიკაში დასაქმებული მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებისათვის განათლების დონის, კვალიფიკაციის და შემოქმედებითი უნარების მუდმივი ამაღლების მოტივაცია;

– შრომის მძიმე და ჯანმრთელობისათვის სახიფათო პირობებში დასაქმებული მუშახელის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ქონების მიხედვით მესაკუთრეთა ცალკეული ჯგუფებისათვის პრიორიტეტების მინიჭებამ და ამ საფუძველზე საგადასახადო შეღავათებმა ან გამკაცრებამ უნდა გამოიწვიოს:

– წვრილი და მცირე ბიზნესის უპირატესი განვითარება;

– ეკონომიკის ინოვაციზაციის და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება;

– ეკონომიკის მონოპოლიზაცია-მონოპსონიზაციის ტენდენციების შეზღუდვა;

– დაუტვირთავი საწარმოო დანიშნულების ქონების მინიმუმამდე შემცირება;

– მაღალმთიანი რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენება და მოსახლეობის დამაგრება;

– დიდი ქონების მქონე ფიზიკურ პირებზე მაღალი გადასახადების დაწესებით სოციალური პროგრამების დაფინანსება.

პრიორიტეტულ სამეურნეო პროცესებზე საგადასახადო შეღავათებმა ან გაზრდამ უნდა გამოიწვიოს:

– ერთი მხრივ, ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების მყარი წონასწორობა, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნული მეურნეობის განვითარების დაჩქარება;

– ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მოტივაცია ოპერირების დაწყებიდან პირველ სამ წელს საგადასახადო შეღავათების დაწესებით;

– ეკონომიკაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება საწარმოთა სრული რეკონსტრუქციის და ტექნოლოგიური გადაიარაღების დასრულებიდან პირველ სამ წელს საგადასახადო შეღავათების შემოღებით;

– ეკონომიკის ინოვაციური განვითარების გაღრმავება პრინციპულად ახალი ან გაუმჯობესებული საქონლის გამოშვების დაწყებიდან პირველ სამ წელს საგადასახადო შეღავათების დაწესებით;

– შრომითი ემიგრაციის შემცირება;

– ეკონომიკის მონოპოლიზაცია-მონოპსონიზაციის ტენდენციების შეზღუდვა მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარებით;

– საქართველოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება;

– ფირმების მიერ ეკოლოგიური ნორმების დაცვა.

ჩამოთვლილი კრიტერიუმები შეიძლება საფუძვლად დაედოს სახელმწიფოს მარეგულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკასაც მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

წარმოშობილი გამოწვევების შესაბამისად პრიორიტეტების შერჩევის კრიტერიუმების კორექტირება ხდება საგადასახადო რეგულირების ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. ამასთან, ეკონომიკური ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს ენიჭებათ დისკრეციული უფლება ახალი სოციალურ-ეკონომიკური მიზნების და შეცვლილი პირობების შესაბამისად გადამხდელთა წარმომადგენლებთან შეთანხმებით ოპერატიულად შეცვალონ ცალკეული გადასახადის განაკვეთები დადგენილი წესით.

2. საქართველოში, მსოფლიოს წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მოქმედი გადასახადების განაკვეთების ანალიზი

ზემოთმოყვანილი არგუმენტებით საქართველოში სოციალური სახელმწიფოს და შესაბამისი რეგულირებადი ეკონომიკის დამკვიდრების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა საგასახადო სისტემის რადიკალური რეფორმირებაა მისი სრული ფუნქციონალიზაციის მიმართულებით - თითოეული გადასახადისათვის სოციალური და ეკონომიკურ-მარეგულირებელი ფუნქციების მთელი სპექტრის მინიჭება სოციალურ-ეკონომიკური მიზნების, შესატყვისი მაკროეკონომიკური პრიორიტეტების და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამისათვის პირველ რიგში უქმდება გადასახადების გაზრდის და ახლის შემოღების კონსტიტუციური აკრძალვა შესაბამისი პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცედურებით.

(2) ცხრილში მოყვანილია მონაცემები საქართველოში, მსოფლიოს წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე ნომინალური მშპ-ს, 1990-2020 წლებში ეკონომიკური ზრდის ტემპების, ასევე, საშემოსავლო, დამატებული ღირებულების და მოგების გადასახადების განაკვეთების შესახებ (აისახა მხოლოდ ის ქვეყნები, რომელთა მიხედვით მოხერხდა ამ განაკვეთების მოპოვება. მოსახლეობის ერთ სულზე ნომინალური მშპ მოცემულია პარიტეტული მსყიდველობითი უნარის მიხედვით და დალაგებულია კლების ნიშნით). ცხრილის ანალიზიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

პირველი, ქვეყნების ერთი ნაწილი იყენებს პროგრესიულ და მაკროეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით დიფერენცირებულ საგადასახადო განაკვეთებს (გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩეხეთი, ესპანეთი, პოლონეთი და ჩინეთი). ქვეყნების

მცირე ნაწილში არსებობს სრულად არადიფერენცირებული განაკვეთები (შვეიცარია, აშშ, ისრაელი). მესამე ნაწილში, მათ შორის საქართველოში, განაკვეთები მხოლოდ ნაწილობრივაა დიფერენცირებული;

მეორე, საქართველოში გადასახადების ერთ-ერთმა ყველაზე დაბალმა განაკვეთებმა მთელი ოცდაათი წლის განვავლობაში ვერ უზრუნველყო ეკონომიკური ზრდის ისეთი ტემპი, რომ მოწინავე ქვეყნების რიგში ჩავმდგარიყავით. კერძოდ, ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მიხედვით ვიმყოფებით ბოლოდან მეხუთე ადგილზე, ხოლო 1990-2020 წწ ეკონომიკური ზრდის ტემპით -199%, ბოლოდან მეორე ადგილზე. ეს მაშინ, როდესაც წარმატებულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ზრდის ტემპმა შეადგინა - ჩეხეთში - 341%, პოლონეთში - 555%, ბულგარეთში - 260%, ბელორუსიაში - 358%, აზერბაიჯანში - 387%, სომხეთში - 402%. ეკონომიკური ზრდის უპრეცენდენტო ტემპია ჩინეთში - 2 178%, სადაც სამივე სახის გადასახადის განაკვეთი მკაფიოდ დიფერენცირებულია - ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი პროგრესიულია და იცვლება შუალედში - 3-45%, დღგ-განაკვეთი დადგენილია 3,5 და 13%-ის ოდენობით, ხოლო მოგების გადასახადის პროგრესიული განაკვეთის ცვლილების ინტერვალი შეადგენს - 15-25%. ასევე, მაღალია ეკონომიკური ზრდის ტემპი ირლანდიაში - 987%, სადაც გამოიყენება, პროგრესიული, დიფერენცირებული და არადიფერენცირებული განაკვეთები;

მესამე, განვითარების მიხედვით ბოლო თხუთმეტ ადგილზე მყოფ ქვეყანებში, მათ შორის საქართველოში, მოგების გადასახადის განაკვეთები არადიფერენცირებულია (ჩინეთის გარდა), რაც ქმნის საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს - მოგების გადასახადის დეფუნქციონალიზაცია მათი განვითარების დაბალი დონის ერთ-ერთ წონად ფაქტორს წარმოადგენს.

ამდენად, წარმოდგენილი შედეგების თანახმად, ერთი მხრივ, გადასახადების ფუნქციების, ხოლო, მეორე მხრივ, მსოფლიოს ქვეყნებში ძირითადი განაკვეთების ანალიზი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევის ერთ-ერთ გადამწყვეტ გზას თითოეული გადასახადის სრული ფუნქციონალიზაცია და ყოველმხრივ დასაბუთებული განაკვეთების დაწესება წარმოადგენს. ამასთან, მიზანშეწონილია ეს პრობლემა ორ ეტაპად გადაწყდეს - **საგადასახადო რეფორმის პირველ ეტაპზე ორიენტაცია აიღება პოსტკომუნისტურ და პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ყველაზე წარმატებული ქვეყნების - სლოვენიის, ჩეხეთის, ლიეტოვას, ესტონეთის და პოლონეთის, ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკის მქონე ჩინეთის და ირლანდიის, ასევე, ყველაზე ღრმა სოციალური**

ცხრილი 2. ნომინალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე, ეკონომიკური ზრდის ტემპები და გადასახადების განაკვეთები საქართველოში, მსოფლიოს წამყვან და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში

მაჩვენებლები / ქვეყნები	ნომინალური მშპ მოსახლეობის ერთ სულზე აშშ $ (სსფ მონაცემები (2021 წ)[1]	მშპ-ს ზრდის ტემპი 1990 -2020 წლებში (მსოფლიო ბანკის მონაცემებით) %. 1990=100[2]	ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი (2022 წ)%[3]	დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთები (2022 წ)3%[3]	მოგების გადასახადის განაკვეთები (2022 წ) %[3]
1. ირლანდია	112 463	987	20-40	23 (5, 9 და 13)	12,5
2. შვეიცარია	78 530	325	40	7,7	8,5
3. ნორვეგია	70 825	436	38,2	24 (8 და 14)	22
4. აშშ	69 231	350	39,6	0	21
5. დანია	63 946	377	8-52	25	22
6. ჰოლანდია	62 841	362	9,5-49,5	21 (6)	25
7. ისლანდია	59 792	არ იძებნება	33-46	24,5 (14)	20
8. ავსტრია	59 403	333	0-55	20 (10 და 13)	25
9. შვედეთი	58 962	326	0-57	25 (0, 6 და 10)	21,4
10. გერმანია	58 378	293	0-45	19 (7)	30-45
11. ბელგია	57 036	327	25-50	21 (6 და 12)	30
12. ავსტრალია	56 403	454	55	10 (0)	27,5-30
13. ფინეთი	53 757	311	6-31	24 (10 და 14)	20
14. კანადა	52 985	არ იძებნება	33	21	10-25
15. საფრანგეთი	51 364	307	0-45	20 (2, 5 და 10)	31 (28 და 33)
16. დიდი ბრიტ.	50 338	317	20-45	20 (0 და5)	17 (25)
17. სამხრეთ კორეა	48 578	626	40	10	10-22
18. ახალი ზელანდია	46 585	454	10,5-39	15	28
19. იტალია	46 161	237	23-43	22 (4-10)	24
20. ისრაელი	45 750	არ იძებნება	50	17	36
21. იაპონია	44 739	217	56	0 (8 და 9)	22-30
22. სლოვენია	44 067	არ იძებნება	16-50	22 (9,5)	19
23. ჩეხეთი	43 837	341	15-23	21 (10 და 15)	19 (5)
24. ლიეტოვა	42 944	არ იძებნება	20	21 (9 და 10)	5-15
25. ესტონეთი	42 050	არ იძებნება	20	20 (9)	20 (0)
26. ესპანეთი	41 839	არ იძებნება	19-45	21 (4 და 10)	25 (30)
27. პოლონეთი	37 786	555	18-32	23 (0, 5 და 8)	19 (9)
28. უნგრეთი	37 128	არ იძებნება	15	27 (5)	9
29. პორტუგალია	36 844	299	14,5-48	23 (6 და 13)	21
30. სლოვაკეთი	35 463	არ იძებნება	19-25	20 (10)	21
31. თურქეთი	34 755	517	15-40	18 (1 და 8)	22
32. ლატვია	34 707	არ იძებნება	20-31,4	21 (10 და 12)	20
33. რუმინეთი	33 715	504	10	19 (5 და 9)	16
34. საბერძნეთი	32 218	225	9 - 44	24 (6,5 და 13)	24
35. რუსეთი	30 850	348	13	20 (0 და10)	20
36. ბულგარეთი	25 914	260	10	20 (7)	10
37. ბელორუსია	21 690	358	13	20 (0, 0,5 და 10)	18
38. ჩინეთი	19 260	2 178	3-45	13 (3, 5, 13)	15-25
39. საქართველო	16 906	199	20 (0)	18 (0)	15(0)
40. აზერბაიჯანი	15 882	387	14 -25	18	20
41. მოლდავეთი	15 406	არ იძებნება	18	20 (0, 5, 8)	12
42. სომხეთი	14 661	402	10-25	20 (0)	20
43. უკრაინა	14 325	133	18	20 (1 და 7)	18

წყარო: 1. https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html;
2. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA_%D1%81%D1%82%D1%80%D0%

B0%D0%BD_%D0%BF%D0%BE_%D1%82%D0%B5%D0%BC%D0%BF%D0%B0%D0%BC_%D1%80%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0_%D0%92%D0%92%D0%9F~; 3. https://gsl.org/ru/taxes/tax-zones/.

ორიენტაციის ეკონომიკის მქონე სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილებაზე. მეორე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის თითოეული დარგის სპეციფიკის და პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განისაზღვრება გადასახადების ისეთი ოპტიმალური განაკვეთები, რომლებიც ერთდროულად უზრუნველყოფენ დასახული სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მიღწევას და სახელმწიფო ბიუჯეტის მაქსიმალურად შესაძლო შევსებას.

ორივე შემთხვევაში იმისათვის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არ დაზარალდეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოყენებული იქნას **საგადასახადო განაკვეთების სიმეტრიულობის პრინციპი, როლის შესაბამისად, ეკონომიკის პროგრესულ დარგებსა და ცალკეულ საქონელზე, პრიორიტეტულ მაკროეკონომიკურ მიმართულებებზე და დაბალ შემოსავლებზე შეღავათიანი ან ოპტიმალური გადასახადების დაწესებით გამოწვეული საბიუჯეტო შემოსავლების დანაკლისი კომპენსირდება მოცემულ ეტაპზე ნაკლებად აქტუალური, მონოპოლიზებული და ოლიგოპოლიზებული დარგებიდან, ასევე მაღალშემოსავლიანი მოქალექეებიდან ამოღებული გაზრდილი გადასახადებით.**

ბუნებრივია, რომ მარეგულირებელი საგადასახადო განაკვეთების დადგენის პროცესში შეუძლებელია წინასწარ ზუსტად იქნას განჭვრეტილი ყველა ის გამოწვევა, ხელსაყრელი შესაძლებლობები თუ სავარაუდო საფრთხეები, რომლებიც მომავალში გაჩნდება. ამიტომ შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები ოპერატიულად და კოორდინირებულად ახდენენ მათ კორექტირებას.

საგადასახადო სისტემის ფუნქციონალიზაციის პროცესში პრინციპული მნიშვნელობა აქვს გაირკვეს, თუ როგორ აისახება თითოეული განაკვეთის ცვლილება ბიუჯეტის მიმდინარე შემოსავლებზე. შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში, რომელთა ანალიზიდან შემდეგი დასკვნები გამომდინარეობს:

პირველი, 2022 წლის მდგომარეობით ბიუჯეტის მთლიან საგადასახადო შემოსავლებში ხვედრითი წილით პირველ ადგილზეა დღგ - 42,9, მეორე ადგილზე საშემოსავლო გადასახადი - 29,0%, მესამე ადგილზე აქციზის გადასახადი - 11,6%, ხოლო მეოთხე ადგილზე მოგების გადასახადი - 11,1%;

ცხრილი 3. ცალკეული საგადასახადო შემოსავლების ოდენობა და ხვედრითი წილი საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მთლიან საგადასახადო შემოსავლებში 2010-2022 წლებში*

წლები / გადასახადები	2010	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
გადასახ. სულ (მლნ ლარი)	4784	7 839	8 795	9 778	10 506	11 418	10 964	13 380	17 386
მათ შორის:									
1. საშემოსავლო გადასახადი	1 119	2 052	2 414	2 919	3 247	3 483	3 327	3 776	5 035
2. მოგების გადასახადი	576	1 025	1 056	757	737	866	919	1 015	1 930
3. ქონების გადასახადი	192	290	363	395	441	474	434	511	604
4. დღგ	2 203	3 505	3 296	4 123	4 427	5 239	4 837	6 030	7 453
5. აქციზის გადასახადი	561	871	1 070	1 451	1 466	1 507	1 619	1 869	2 010
6. იმპორტის გადასახადი	70	69	70	72	73	79	74	86	126
7. სხვა გადასახ.	63	27	526	64	115	230	246	94	229
საგადასახადო შემოსავლები %-ში ჯამთან									
გადასახ. სულ	100	100	100	100	100	100	100	100	100
მათ შორის:									
1. საშემოსავლო გადასახადი	23,4	26,2	27,5	29,8	30,9	30,5	30,3	28,2	29,0
2. მოგების გადასახადი	12,1	13,1	12,0	7,7	7,0	7,6	8,4	7,5	11,1
3. ქონების გადასახადი	4,0	3,7	4,1	4,0	4,2	4,2	4,0	3,8	3,4
4. დღგ	46,0	44,7	37,4	42,1	42,1	45,9	44,1	45,1	42,9
5. აქციზის გადასახადი	11,7	11,1	12,2	14,8	14,0	13,2	14,8	14,0	11,6
6. იმპორტის გადასახადი	1,5	0,9	0,8	0,7	0,7	0,7	0.7	0,7	0,7
7. სხვა გადასახ.	1,3	0,3	6,0	0,7	1,1	2,0	2,2	0,7	1,3

* ცხრილი შედგენილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი წლების ნაერთი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფაქტობრივ მონაცემთა საფუძველზე.

მეორე, მიუხედავად იმისა, რომ დღგ-დან მიღებულ შემოსავლის ხვედრითი წილი ცალკეული წლების მიხედვით მერყეობს, იგი მაინც რჩება ბიუჯეტის შევსების სტაბილურ და ყველაზე წონად წყაროდ. საშემოსავლო გადასახადის წილი ხასიათდება არამდგრადი ზრდის ტენდენციით. აქციზის გადასახადისათვის რაიმე გამოკვეთილი ტენდენცია არ შეინიშნება. მოგების გადასახადის წილი 2010-2018

წლებში მცირდებოდა, ხოლო მომდევნო პერიოდში ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა, რაც 2017 წლის საგადასახადო რეფორმის შედეგია, როდესაც ბიზნესი ამ გადასახადისაგან გათავისულდა რეინვესტირებულ ნაწილში.

რეფორმის პროცესში განსაკუთრებულ სიფრთხილეს საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტში დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილი გადასახადები, რათა გამორიცხული იქნას დეფიციტი. ამ მიზნით თითოეული გადასახადისათვის მაქსიმალურად გაითვალისწინება დიფერენცირებული და პროგრესიული განაკვეთების სიმეტრიულობის პრინციპი.

3. საქართველოში მოქმედი გადასახადების ფუნქციონალიზაცია

3.1. მოგების გადასახადის ფუნქციონალიზაცია

სახელმწიფო ბიზნესიდან მოგების გადასახადს ამოიღებს, როგორც ეკონომიკური უნარის მქონე ბიზნეს-პარტნიორი. საქართველოში საგადადახადო კოდექსით მისი განაკვეთი ეკონომიკის ყველა დარგისათვის 15-ს შეადგენს და ამდენად, მხოლოდ ფისკალურ დანიშნულებას ასრულებს, ხოლო სხვა ფუნქციები დიდწილად ანულირებულია. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს მოგების გადასახადის წილად მოდიოდა საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მხოლოდ 11%, მისი გავლენა ეკონომიკაზე უაღრესად დიდია. კერძოდ, მოგების განაწილება რეინვესტირებულ ნაწილად და გადასახადად უშუალოდ განსაზღვრავს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, შიდა ინვესტირებას, ეკონომიკურ ზრდას და ამდენად, ბიუჯეტის შევსებას ყველა სხვა შემოსავლით. შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით აუცილებელია მისთვის ყველა პოტენციური ფუნქციის სრულად მინიჭება, რაშიც იგულისხმება ცალკეულ დარგებზე, ფირმებსა და ეკონომიკურ პროცესებზე მათი პრიორიტეტულობის, სოციალურ-ეკონომიკური მიზნების, საჭიროების, გამოწვევების და სპეციფიკის მიხედვით პროპორციულ-დიფერენცირებული ან პროგრესიული განაკვეთების დაწესება. ასეთი რეფორმა შემდეგი ფუნდამენტური პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას შექმნის:

პირველი, ეკონომიკის პრიორიტეტულ სექტორებზე საბაზისოზე დაბალი შეღავათიანი განაკვეთების დაწესებით მოხდება მათი დაჩქარებული განვითარების მოტივაცია, ხოლო მაღალი განაკვეთები გამოიწვევენ მოცემულ ეტაპზე ნაკლებად აქტუალური და არაპრიორიტეტული, მაგალითად უზომოდ გაბერილი არასაწარმოო სფეროს,~ დარგების განვითარების შეზღუდვას და მათი რესურსების გადადინებას მიზნობრივ დარგებში;

მეორე, მონოპოლიზებულ-მონოპსონიური და ასეთი ტენდენციებისადმი მიდრეკილი სამეურნეო სუბიექტების მოგებაზე გადასახადის პროგრესიული განაკვეთების დაწესება ავტომატურად შეაფერხებს ამ პროცესს დამატებითი სამართლებრივი ჩარევის გარეშე. ეს აიძულებს მსხვილ ბიზნესს არ გადააჭარბოს დაწესებულ სახიფათო ზღვარს, რომლის შემდეგ ზემოგება სრულად ამოიღება გადასახადის ფორმით;

მესამე, ციკლური განვითარებისადმი მიდრეკილ დარგებზე, როგორიცაა საბანკო სისტემა, საბინაო მშენებლობა, მაქანათმშენებლობა, ფუფუნების საგნების წარმოება-რეალიზაცია, უძრავი ქონებით საშუამავლო ვაჭრობა, ავტომობილების ექსპორტ-იმპორტი და სხვა, მოგებაზე გადასახადის პროგრესიული განაკვეთის დაწესებით ავტომატურად მოხდება ეკონომიკის ციკლური განვითარების და შესაბამისად, კრიზისების შედეგების დაძლევა. კერძოდ, აღმავლობის პერიოდებში ავტომატურად გაზრდილი განაკვეთი შეაფერხებს ინფლაციას, ეკონომიკის მკვეთრ სახიფათო ზრდას და მის ,,გადახურებას'', ხოლო დაქვეთების პირობებში შემცირებული განაკვეთი კრიზისის უარყოფით ზემოქმედებას გაანეიტრალებს;

მეოთხე, რამდენადაც ბიზნესში ინვესტირების ძირითადი შიდა წყარო მოგებაა, ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებსა და ფირმებში მის რეინვესტირებულ ნაწილზე გადასახდის განაკვეთის ოპტიმალურ დონემდე შემცირება ან სრულად გაუქმება, სხვა თანაბარ პირობებში, მათი განვითარების მძლავრ მოტივაციას უზრუნველყოფს.

ჩვენთვის ორიენტირად აღებული ქვეყნებიდან (ცხრილი 2) ნაწილობრივ დიფერენცირებულ-პროპორციულ განაკვეთი გამოიყენება ჩეხეთში - 19 (5)% და პოლონეთში - 19 (9)%, ხოლო ლიეტოვა და ჩინეთი იყენებს პროგრესიულ განაკვეთებს შესაბამისად - 5-15% და 15-25%. დანარჩენი ქვეყნებიდან დიფერენცირებული განაკვეთები გამოიყენება საფრანგეთში - 31 (28 და 33) %, დიდ ბრიტანეთში - 17 (25) % და ესპანეთში - 25 (30) %. პროგრესიული განაკვეთები აქვთ გერმანიაში - 30-45%, ავსტრალიაში - 27,5-30%, კანადაში - 10-25%, სამხრეთ კორეაში - 10-22% და იაპონიაში - 22-30%.

საქართველოსთან შედარებით მოგების უფრო მაღალი მაქსიმალური განაკვეთებია: ჩეხეთში და პოლონეთში - 19 %, ჩინეთში - 25 %, საფრანგეთში - 33 %, დიდ ბრიტანეთში - 25 %, ესპანეთში - 30 %, გერმანიაში - 45 %, ავსტრალიაში - 30 %, კანადაში - 25 %, სამხრეთ კორეაში - 22 % და იაპონიაში - 30 %. იმ ქვეყებს შორის, ვინც იყენებს დიფერენცირებულ-პროპორციულ და პროგრესიულ განაკვეთებს, მინიმალური 10% და ნაკლები განაკვეთები აქვს კანადას და სამხრეთ კორეას - 10 %, ჩეხეთს - 5 % და პოლონეთს - 9 %.

ჩვენთან მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებულია შეზღუდული რაოდენობის ობიექტები, რაც არაასაკმარისია იმისათვის, რომ არსებითი როლი ითამაშოს ეკონომიკის რეგულირების პროცესში. მისი აღმშენებლობითი პოტენციალიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საქართველოს ეკონომიკის დარგები მათი სპეციფიკის, პრობლემურობის და პრიორიტეტების გათვალისწინებით დაიყონ თავისუფალი კონკურენციის, მონოპოლიზებულ-მონოპსონიურ და ასეთი საშიშროების მქონე დარგებად (ფირმებად). კონკურენტულ სექტორში პრიორიტეტულობის შესაბამისად შემოღებული იქნეს ზრდადი დიფერენცირებულ-პროპორციული განაკვეთები. მათ შორის: **პირველი**, პრიორიტეტ-ნეიტრალურ დარგებში წესდება საბაზისო განაკვეთი 15%-ის ოდენობით; **მეორე**, პრიორიტეტულ დარგებში (სოციალური სფერო, განათლება და მეცნიერება, მულტიპლიკატორ-აქსელერატორის ეფექტის ამძრავი საბაზისიო დარგები, მაღალტექნოლოგიური კაპიტალური საქონლის წარმოება, ადგილობრივი სასოფლო სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოები, მთიან და ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში განლაგებული საწარმოები, თავდაცვითი მრეწველობის საწარმოები და სხვა) განაკვეთი განისაზღვრება - 0-დან 13 პროცენტამდე; **მესამე,** არაპრიორიტეტულ დარგებში გამოყენებული ინდა იქნეს გაზრდილი განაკვეთები - 17-დან 25 პროცენტამდე.

ციკლურობისადმი მიდრეკილ კონკურენტულ დარგებში (საბინაო და სამრეწველო მშენებლობა, კომერციული საბანკო სისტემა, მაქანათმშენებლობა, ფუფუნების საგნების წარმოება-რეალიზაცია, უძრავი ქონებით საშუამავლო ვაჭრობა, ავტომობილების ექსპორტ-იმპორტი და სხვა) მიზანშეწონილია დაწესდეს პროგრესიული განაკვეთები განსაზღვრული ინტერვალით, არა უშუალოდ მოგების ოდენობის, არამედ აქტივების რენტაბელობის შესაბამისად. კერძოდ, მინიმალური განაკვეთი უნდა შეესაბამებოდეს ეკონომიკის ციკლური განვითარების კრიზისულ, ხოლო მაქსიმალური განაკვეთი - აღმავლობის პიკურ ფაზას, რაც შესაბამისი გამოკვლევებით დგინდება. განაკვეთის მიბმის აუცილებლობას რენტაბელობის მაჩვენებელთან განაპირობებს ის გარემოება, რომ მოგების ცვლილება შეიძლება გამოწვეული იყოს არა ციკლური განვითარებით, არამედ სხვა ფაქტორებით - წარმოებისა და რეალიზაციის ხარჯების შემცირებით, მენეჯმენტისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფით და სხვა, რაც კი არ უნდა შეიზღუდოს, არამედ წახალისდეს.

სამართლებრივი ჩარჩოებიდან გამოსულ მონოპოლიებზე და მონოპსონიებზე გადასახადის განაკვეთები წესდება ისეთი ზომით, რომელიც თავიდანვე ჩაახშობს ასეთი მდგომარეობის დაკავებისა და უკანონო ზემოგებისადმი სწრაფვასა და

შესაძლებლობას. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება პროგრესიული საგადასახადო განაკვეთები, როლითაც სრულად ამოიღება მოგების ის ჭარბი ნაწილი, რომელიც აღემატება მოცემული დარგის კონკურენტული სეგმენტის წარმატებული ფირმების მოგებას. ამასთან, აქაც გადასახადის განაკვეთი მიებმება არა უშუალოდ მოგებას, არამედ აქტივების რენტაბელობას.

ეროვნული წარმოშობისა და უცხოური ინვესტიციების მოტივაციის მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია პრიორიტეტულ დარგებში ახლად ამოქმედებულ საწარმოებზე სიმძლავრეების სრული დატვირთვისათვის აუცილებელი პირველი სამი წლის განმავლობაში დაწესდეს მოგების გადასახადის შეღავათიანი განაკვეთები - პირველ წელს საბაზისო განაკვეთის - 0%, მეორე წელს - 30%, ხოლო მესამე წელს - 70%.

ასევე, მიზანშეწონილია ინოვაციური სამეცნიერო-ტექნიკური გამოკვლევებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების მოტივაციის მიზნით შესაბამისი ორგანიზაციები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისაგან.

აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება გამოიწვევს ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში წარმოების ფაქტორების გადადინებას, ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციას, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურებას, მონოპოლიურ-მონოპსონიური ტენდენციების შეზღუდვას, ეკონომიკური ციკლების მოსწორებას და კრიზისების დაძლევას. შედეგად მივიღებთ სწრაფ პროგრესულ მაკროეკონომიკურ ძვრებს: მიიღწევა მდგრადი მაღალი ეკონომიკური ზრდა, ამაღლდება წარმოების ეფექტიანობა და რენტაბელობა, გაიზრდება შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და ბიუჯეტი შეივსება სოციალური და ეკონომიკური პროგრამების დაფინანსებისათვის აუცილებელი შემოსავლებით.

3.2. საშემოსავლო გადასახადის ფუნქციონალიზაცია

საშემოსავლო გადასახადი სახელმწიფოს მიერ ამოიღება ფიზიკური პირებისაგან შრომითი და სხვა შემოსავლების მეწილის უფლებით. მასზე ამჟამად დაწესებული ფიქსირებული განაკვეთი - 20%, ფისკალურის გარდა ყველა სხვა შესაძლო ფუნქციას გამორიცხავს მაშინ, როდესაც დაბეგვრის მსოფლიო პრაქტიკაში იგი მიჩნეულია სოციალური პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტად, რაც პროგრესიულად ზრდად განაკვეთებს ემყარება. თუმცა აქვს პოტენციალი წარმატებით შეითავსოს კიდევ ერთი - პრიორიტეტული სახეობის პროფესიების, უპირველესად შემოქმედებითი სამეცნიერო-ტექნიკური კადრების მომზადების მოტივაციის ფუნქცია, რაც სოციალური სახელმწიფოსა და შესაბამისი ეკონომიკის ჩამოყალიბება-განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. (2) ცხრილის თანახმად წარმოდგენილი

ორმოცდასამი ქვეყნიდან ოცდახუთში პროგრესიული განაკვეთებია დაწესებული, ხოლო დანარჩენებში, მათ შორის საქართველოშიც - ფიქსირებულ-პროპორციული.

სამეცნიერო-ტექნიკურ კადრებთან მიმართებაში მოტივაციური ფუნქციის ამოქმედების აუცილებლობას შემდეგი გარემოებები განაპირობებს: **პირველი**, სოციალური ეკონომიკის რეგულირება და ინოვაციური განვითარება სასიცოცხლოდ საჭიროებს მაღალი კვალიფიკაციის ნოვატორულად მოაზროვნე სამეცნიერო კადრებს; **მეორე,** პროფესიონალიზმის ასეთი დონის მიღწევა დიდ დროს, ენერგიას და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო ინვესტიციებს მოითხოვს, რაც შესაბამისად უნდა იქნას ანაზღაურებული სახელმწიფოს მიერ; **მესამე**, სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობა დაკავშირებულია დამატებით მიმდინარე ხარჯებთან, როგორიცაა აუცილებელი საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა, ახალი ლიტერატურისა და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა-მომსახურება, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, ნაშრომების პუბლიკაცია, შემოქმედებითი კონტაქტები, ახალი ცოდნის დაუფლება და სხვა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროებში, უმაღლესი განათლების სისტემაში თუ სამეურნეო პრაქტიკაში დასაქმებული დოქტორის აკადემიური ხარისხის და სამეცნიერო ნაშრომების მქონე პირებისასთვის წესდება საშემოსავლო გადასახადის ნულოვანი, ხოლო მაგისტრებისათვის 10%-იანი განაკვეთი.

ეკონომიკაში საშემოსავლო გადასახადის მიერ ყველა მისი პოტენციური ფუნქციის შესრულების მიზნით მიზანშეწონილია: **პირველი,** შემოღებული იქნეს პროგრესიული განაკვეთი; **მეორე,** განისაზღვროს პროფესიული პრიორიტეტები შესაბამისი შეღავარებით; **მესამე,** დადგინდეს შესაბამისი განაკვეთის ცვლილების ინტერვალი მინიმალური და მაქსიმალური საზღვრებით; **მეოთხე,** გათვალისწინებული იქნეს ორიენტირად აღებული ქვეყნების და დანარჩენი მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილება.

საორიენტაციო ქვეყნებიდან ამ გადასახადის ცვლილების ინტერვალი სლოვენიაში შეადგენს 16-50%-ს, ჩეხეთში - 15-23%-ს, პოლონეთში - 18-32%-ს, შვედეთში - 0-57%-ს, ჩინეთში - 3-45%-ს, ირლანდიაში 20-40%-ს. დანარჩენ ქვეყნებში საგადასახადო ინტერვალის მინიმალური ნულოვანი განაკვეთი აქვთ ავსტრიას, შვედეთს, გერმანიას და საფრანგეთს, ხოლო მაქსიმალური განაკვეთებია: სლოვენიში - 50%, ჩეხეთში - 23%, პოლონეთში - 32%, შვედეთში - 57%, ფინეთში - 31%, ირლანდიაში - 40%, ჩინეთში - 45%. ამ ქვეყნებში დიდმა მაქსიმალურმა განაკვეთებმა კი არ შეაფერხა განვითარება, არამედ ჩვენთვის ჯერ-ჯერობის მიუწვდომელ დონეს მიაღწიეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პოსკომუნისტურ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი

სოციალური უთანასწორობის მაჩვენებელი გვაქვს, მიზნშეწონილია საშემოსავლო გადასახადის ცვლილების ინტერვალის მაქსიმალური განაკვეთი დაწესდეს სლოვენიის მაგალითზე 50%-ის ოდენობით. დაბეგვრის მინიმალური ნულოვანი განაკვეთის გადამხდელები კი განისაზღვრება არსებული გამოწვევების, პროფესიების პრიორიტეტულობის და ამ გადასახადის პოტენციური სოციალურ-მარეგულირებელი ფუნქციების გათვალისწინებით.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლით საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება შემოსავლების გარკვეული სახეები და გადამხდელები, რაც აშკარად არაა საკმარისი იმისათვის, რომ მან სრულად შეითავსოს სოციალურ-მარეგულირებელი და მოტივაციური ფუნქციები. ამ გარემოების შესაბამისად დამატებით ნულოვანი განაკვეთი უნდა დაუწესდეს:

– იმ ოჯახებს, რომელთა მომუშავე წევრების ერთობლივი შემოსავალი უტოლდება ან ნაკლებია ოჯახის ყველა წევრის რეალურ საარსებო მინიმუმის ჯამზე;

– პირებს, ვისაც ყავს არასრულწლოვანი სამზე მეტი შვილი, ხოლო შემოსავალი ქვეყანაში დადგენილი საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლებია;

– მთიან, არახელსაყრელ ბუნებრივ და რთული დემოგრაფიული პირობების მქონე რეგიონებში დასაქმებულ პირებს;

– შრომის მძიმე, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის სახიფათო პირობებში დასაქმებულ მუშახელს;

– მეცნიერებაში, განათლებაში და სამეურნეო პრაქტიკაში მოღვაწე დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევები და სისტემატურად აქვეყნებენ სამეცნიერო ნაშრომებს;

– მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებზე წესდება განაკვეთი 10%-ის ოდენობით.

ამასთან, ოჯახების შექმნის მოტივაციის მიზნით საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი დადგენილთან შედარებით 10 პროცენტული პუნქტის ოდენობით ეზრდებათ ოცდაათ წელს გადაცილებულ დაუოჯახებელ უშვილო პირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ამ გადასახადზე პროგრესიული განაკვეთი განისაზღვროს 0-50%-ის ინტერვალში.

3.3. ქონების გადასახადის ფუნქციონალიზაცია

სახელმწიფო იურიდიული და ფიზიკური პირებიდან ქონების გადასახადს ამოიღებს როგორც ქონებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი მეწილე პარტნორი. საქართველოს საგადასახადო კოდექსით ბიზნესისათვის ამ გადასახადის განაკვეთი ფიქსირებულ ერთ პროცენტს შეადგენს. მოქალაქეების ქონების გადასახადი, გარდა

მიწისა, დიფერენცირებლია წლიური შემოსავლის მიხედვით და მის მატებათან დაკავშირებით იზრდება. თუმცა ეს პროცესი წყდება 100 000 ლარის შემოსავვლზე, რომლის ზემოთ განაკვეთი ფიქსირებული ერთი პროცენტია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი მისი ნაყოფიერებითაა განსაზღვრული, დიფერენცირებულია რაიონების მიხედვით და დადგენილია ერთ ჰექტარზე ლარებში.

იმისათვის რომ ქონების გადასახადმა მსოფლიო საგადასახადო პრაქტიკაში დამკვიდრებული ყველა ფუნქცია შეასრულოს, მიზანშეწონილია მისი განაკვეთების ცვლილება შემდეგი მიმართულებით:

პირველი, განაკვეთების რანჟირება მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესისათვის იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ "მასშტაბის ეფექტის" გამო საწარმოთა ზომების ზრდის პირობებში მომგებიანობა მატულობს და ამდენად, სხვა თანაბარ პირობებში, მსხვილ ბიზნესს უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთის აწევა შეუძლიათ;

მეორე, ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლის, უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარების და ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოების მოტივაციისათვის ქონების გადასახადისაგან უნდა გათავისუფლდეს ის ფირმები, რომლებიც ასეთ პროგრამებს ახორციელებენ და თანაც იმ პირობით, რომ გამოთავისუფლებულ თანხებს აღნიშნულ ღონისძიებებზე წარმართავენ;

მესამე, ქონების გადასახადის ანტიმონოპოლიური და ანტიმონოპსონიური რეგულირების ინსტრუმენტის ფუნქციით აღჭურვის მიზნით ასეთად მიჩნეული ფირმებისათვის დეადგენილ ზღვარს ზემოთ წესდება იმდენად მაღალი გადასახადი, რომელიც ამგვარი მდგომარეობის დაკავებას ზარალიანს გახდის;

მეოთხე, დაუტვირთავი საწარმოო დანიშნულების ქონების და მიწის გამოყენების მოტივაციისათვის მათზე დაწესდეს გადასახადის გაზრდილი განაკვეთები;

მეხუთე, მაღალმთიან რაიონებში მოსახლეობის დამაგრების და ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოყენების მიზნით მიზანშეწოლილია იქ მოღვაწე ბიზნესის გათავისუფლება ქონების გადასახადისაგან;

მეექვსე, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 100 000 ათას ლარზე მეტი შემოსავლებისათვის უნდა დაწესდეს პროგრესიული შკალით ისეთი ოდენობით, როგორიც მიღებულია სოციალური ეკონომიკის მოდელის მქონე ქვეყნებში. ასევე, მიზანშეწონილია მსხვილ მიწათმფლობელებს დაეკისროთ პროგერსიულად ზრდადი გადასახადი, ხოლო წვრილი მიწათმფლობელები გათავისუფლდნენ.

3.4. დამატებული ღირებულების გადასახადის ფუნქციონალიზაცია

როგორც ლიბერალურ, ისე საბაზრო ეკონომიკაში ირიბი გადასახადები, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი, სახელმწიფოს მიერ მიწოდებული საზოგადოებრივი დოვლათის სანაცვლოდ ამოიღება. მისი განაკვეთის განსაზღვრა მოქმედ გადასახადებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური, აქტუალური და წინააღმდეგობრივია, რადგან ერთი მხრივ, იგი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შევსების ძირითადი და იმავდროულად სტაბილური წყაროა (2010-2022 წლებში მის წილად მოდიოდა 37,4-46,0%), ხოლო მეორე მხრივ, ქვემოთ მოყვანილი კვლევის თანახმად, არსებული ფორმით იგი მრავალმხრივ უარყოფით გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ პროცესებზე. თუმცა, იმავდროულად გააჩნია დიდი პოტენციალი რაციონალური გამოყენების პირობებში ეკონომიკური აღმშენებლობის მძლავრ ინსტრუმენტად იქცეს.

კერძოდ, იმის გამო, რომ დღგ-სთან დაკავშირებული საგადასახადო ურთიერთობები ფაქტიურად მთელ ეკონომიკას მოიცავს: უშუალოდ ბიზნეს-ოპერაციებს (საქონლის და მომსახურების წარმოება და მიწოდება, იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და შეძენილი საქონლის საწარმოო და არასაწარმოო გამოყენება), ბიზნეს-სუბიექტებს (უშუალოდ მწარმოებელი, იმპორტითა და ექსპორტით დაკავებული ფირმები), საქონელსა და მომსახურებას, მოხმარების პროცესს (საქონლისა და მომსახურების საწარმოო და საყოფაცხოვრებო მოხმარება), ამ გადასახადის მეშვეობით მთელი წარმოდგენილი მრავალფეროვანი ეკონომიკური სპექტრის რეგულირებაა **შესაძლებელი.** მისი წერტილოვანი ზემოქმედება პირობებს ქმნის განხორციელდეს არა მარტო ეკონომიკის კონკრეტული პრიორიტეტული დარგების დაჩქარებულ განვითარება, არამედ ასეთივე საქონლის, მათ შორის სოციალური დანიშნულების, გამოშვების მოტივაცია და გაიაფება. მაგრამ ჩვენი რეალობა ამ შანსს მთლიანად უშვებს ხელიდან - მოგების გადასახადის მსგავსად დღგ-ს განაკვეთი არადიფერენცირებულია და 18 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, არსებული ფორმითა და ზომით იგი მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენს, როგორც მიკრო-, ისე მაკროეკონომიკურ პროცესებზე. კერძოდ:

პირველი, რამდენადაც დღგ საქონლის ღირებულებში ფასწანამატის ფორმით შედის, ამდენად, მის ფასს ზრდის, რაც თავის მხრივ, ამცირებს ერთობლივ მოხოვნას, აქვეითებს ბიზნესის შემოსავლებს და მოგებას. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო უარს ვერ იტყვის მის გამოყენებაზე, რადგან ბიუჯეტის შევსების სტაბილურ და მასშტაბურ წყაროს წარმოადგენს. კერძოდ, თუ მოგების გადასახადის ფორმით ბიუჯეტში შესული თანხები ბიზნესის არამყარ რენტაბელობაზეა დამოკიდებული, ბრუნვის მაჩვენებლის

შედარებითი მდგრადობის გამო, იგი დღგ-დან მიღებული შემოსავლებით ბიზნესის ზარალიანობის პირობებშიც კი შეუფერხებლად შეივსება;

მეორე, რამდენადაც საქონელი დღგ-სთან ერთად მოცემულ თანხად იყიდება, ამდენად, ეს უკანასკნელი რეალურად საბაზროა და ამ ფასად რეალიზაციის შესაძლებლობა არსებობს. შესაბამისად, ბიზნესი კარგავს დღგ-ს ოდენობის მოგებას, რომლის განსაზღვრული ნაწილი შიდა ინვესტიციებად უნდა ქცეულიყო. ე. ი. გამოდის, რომ იგი ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს;

მესამე, იმის გამო, რომ ბიზნესი კაპიტალური საქონლის - მოწყობილობის, ნედლეულის, მასალების და სხვა მატერიალური რესურსების მასშტაბური მომხმარებელია, მათზე დარიცხული დღგ წარმოების ხარჯების ზრდასა და ამდენად, მოგების შემცირებას განაპირობებს, აქედან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით - მცირდება საინვესტიციო რესურსები, რაც ზღუდავს ბიზნესის განვითარებას და კვეცავს ბიუჯეტის მომავალ შემოსავლებს. ილუზორულია დღგ-ს ხარჯზე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებაც, რადგან რა ზომითაც წარმოების ხარჯები იზრდება სახელმწიფოს მიერ დღგ-ს დარიცხვის შედეგად, იმავე ზომით მცირდება ბიზნესის მოგება და იკლებს მოგების გადასახადის ოდენობა. ე. ი. გამოდის, რომ ჯერ ერთი, დამატებული ღირებულების გადასახადის ამოღება ტრადიციული ფორმით ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორია და მეორე, ამავე პირობებში ზარალდება სახელმწიფო ბიუჯეტიც, როგორც მიმდინარე პერიოდში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში;

მეოთხე, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლით დამატებული ღირებულების გადასახადი განისაზღვრება დასაბეგრი ბრუნვის მიმართ, სადაც ,,დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი''. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეკონომიკის ორი ფუნდამენტური კატეგორიის - ბრუნვის და დამატებული ღირებულების, ამდენად, შესაბამისი მაჩვენებლების უხეშ აღრევასთან - დამატებული ღირებულების გადასახადი გაიგივებულია ბრუნვის გადასახადთან. რეალურად ბრუნვის მაჩვენებელი წარმოადგენს მოხმარებული მატერიალური რესურსებისა და დამატებული ღირებულების ჯამს. საქართველოს მასშტაბით მთლიან ბრუნვაში მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წილი საშუალოდ შეადგენს 40%-ს, ხოლო დამატებული ღირებულებისა - 60%-ს. ამდენად, არსებული ფორმით დღგ-ს ნაკლი ისიცაა, რომ იბეგრება არა მარტო ახლად შექმნილი დამატებული ღირებულება, არამედ მოხმარებული მატერიალური დანახარჯებიც და თანაც ორმაგად, რც კიდევ უფრო ზრდის კაპიტალური საქონლის ფასებს და ამცირებს მაკროეკონომიკურ ეფექტიანობას.

ერთ-ერთი გამოსავალი არსებული აბსურდული სიტუაციიდან ისაა, რომ ჯერ ერთი, შესაბამისი გადასახადი დაწესდეს დამატებული ღირებულების მიმართ და მეორე, მოხდეს დღგ-ს დიფერენციაცია დარგობრივი, სასაქონლო, პრობლემური პრიორიტეტების და მომხმარებლების შემოსავლების ოდენობის მიხედვით, და ამდენად, დაეკისროს როგორც ეკონომიკურ-მარეგულირებელი, ისე სოციალური ფუნქციები. კერძოდ, ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებსა, სასაქონლო ჯგუფებსა და მომხმარებლებზე მიზანშეწონილია დაწესდეს შეღავათიანი, ხოლო არაპრიორიტეტულზე - გაზრდილი განაკვეთები. ასევე, ამ გადასახადზე პოგრესიული განაკვეთების შემოღება მოგების გადასახადთან ერთად უზრუნველყოფს ეკონომიკის მონოპოლიზაცია-მონოპსომიზაციის ტენდენციების დაძლევას და ანტიციკლურ რეგულირებას, ხოლო რეგრესიული განაკვეთები - პრობლემურ საქონელზე, მათ შორის, ნავთობპროდუქტებზე - ფასების სტაბილურობას.

თანამედროვე მსოფლიოში პრიორიტეტულობის ნიშნითა და შემოსავლების მიხედვით დღგ-ს დიფერენცირებულ-პროპორციულ განაკვეთებს იყენებს (2) ცხრილში მოყვანილი ქვეყნების დიდი უმრავლესობა, ხოლო პროგრესიული და რეგრესიული განაკვეთები არ გამოიყენება. რეფორმების თვალსაზრისით ჩვენთვის სანიმუშოდ მიჩნეულ ქვეყნებში მისი განაკვეთები შეადგენს: ირლანდიაში - 23 (5, 9 და 13)%-ს, სლოვენიაში - 22 (9,5)%-ს, ჩეხეთში - 21 (10 და 15) %-ს, ლიეტოვაში - 21 (9 და 10) %-ს, ესტონეთში -20 (9) %-ს, პოლონეთში - 23 (0, 5 და 8) %-ს, ჩინეთში -13 (3, 5, 13) %-ს. მაქსიმალური საბაზისო განაკვეთი 23%-ის ოდენობით აქვს ირლანდიას და პოლონეთს, ხოლო დანარჩენ მსოფლიოში დიფერენცირებულ-პროპორციული განაკვეთების მქონე ქვეყნებიდან **ნორვეგიას, ფინეთს და საბერძნეთს - 24%, ისლანდიას - 24,5%, შვედეთს - 25%.** ამავე ნიშნით ქვედა მინიმალური განაკვეთები გააჩნიათ: ირლანდიას - 5%, შვედეთს - 0%, დიდი ბრიტანეთს - 0%, იტალიას - 4%, ესპანეთს - 4%, თურქეთს - 1%, რუმინეთს - 5%, რუსეთს - 0%, ბელორუსიას - 0%, მოლდავეთს - 0%, უკრაინას -1% .

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ემუხლით დღგ-სგან თავისუფლდება გადამხდელების და დაბეგვრის ობიექტების საკმაოდ დიდი ჩამონათვალი, თუმცა ეს არაა საკმარისი იმისათვის, რომ მისი ყველა პოტენციური ფუნქცია შეასრულოს. ამდენად, ზემოთმოყვანილი გარემოებების და წარმატებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე აუცილებლად მიგვაჩნია: **პირველი**, გადასახადი განისაზღვროს არა ბრუნვის, არამედ დამატებული ღირებულების მიმართ; **მეორე**, საზღვარგარეთის წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით დაინერგოს დღგ-ს დიფერენცირებულ-პროპორციული განაკვეთები ცალკეული დარგების, ფირმების, სასაქონლო ჯგუფების და

ეკონომიკური პროცესების პრიორიტეტულობის, სოციალურ-ეკონომიკური მიზნების და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით. თუმცა ეს უნდა მოხდეს გაღრმავებული დიფერერენციაციით; **მესამე**, იმისათვის, რომ თუნდაც ნაწილობრივ განეიტრალდეს ამ გადასახადის უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე, აუცილებლად უნდა შემცირდეს საბაზისო განაკვეთი მოგების გადასახადის - 15%-ის დონემდე, რომელიც დაწესდება პრიორიტეტ-ნეიტრალური გადამხდელებისა და დაბეგვრის ობიექტებისათვის; **მეოთხე,** პრიორიტეტური გადამხდელებისა და დაბეგვრის ობიექტებისათვის განაკვეთი განისაზღვრება - 0%-დან 13%-მდე შუალედში (სოციალური დანიშნულების პირველადი მოხმარების საგნები და კვების პროდუქტები, სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტები, იმპორტშემცვლელი საქონელი, უახლესი ტექნოლოგიების იმპორტი, მზა საბოლოო საქონლის ექსპორტი); **მეხუთე**, არაპრიორიტეტული გადამხდელებისა და დაბეგვრის ობიექტებისათვის განაკვეთი დგინდება 17%-დან 25%-მდე შუალედში (ფუფუნების საგნები, ჯანმრთელობისათვის მავნე პროდუქტები, შუალედური პროდუქტის - ნედლეულისა და მასალის ექსპორტი).

ამ გზით მიიღწევა, ერთი მხრივ, პრიორიტეტული საქონლის წარმოების ზრდის მოტივაცია, ხოლო მეორე მხრივ, მათი ფასების ხელმისაწვდომობა და სტაბილურობა. პრიორიტეტული დარგებისა და ფირმების ჩამონათვალი მოცემულ შემთხვევაშიც ისეთივეა, როგორიც მოგების გადასახადისათვის. ასევე, ეკონომიკის მონოპოლიზაცია-მონოპსონიზაციის ტენდენციის აღმოფხვრისა და ანტიციკლური რეგულირების მიზნით მიზანშეწონილია გამოყენებული იქნას პროგრესიული განაკვეთები.

შემოტანილ ნავთობპროდუქტებზე, მათი ფასების სტაბილიზაციისა და იმპორტირებული ინფლაციის პრევენციის მიზნით, დგინდება რეგრესიული განაკვეთები, რაც უზრუნველფოფს მთლიანად ეკონომიკაში შიდა ფასების სტაბილურობას და შეამცირებს იმპორტირებული ინფლაციის გავრცელების საფრთხეს.

3.5. აქციზის გადასახადის ფუნქციონალიზაცია

2010-2022 წლებში ქვეყნის ნაერთ ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებში აქციზის გადასახადის ხვედრითი წილი მერყეობდა 11,1-14,8 პროცენტის ფარგლებში. თუმცა ამის მიუხედავად საკმაო მარეგულირებელ პოტენციალს ფლობს. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ იგი დღგ-ს მსგავსად სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების სტაბილური წყარო და ამდენად, საიმედო ფისკალური ფუნქცის

მატარებელია, თუმცა განსაზღვრული ზომით შემზღუდველ და სოციალურ ფუნქციებსაც ასრულებს.

აქციზის გადასახადი ეკონომიკაზე უარყოფით გავლენას იმის გამო ახდენს, რომ საქონელთა ღირებულებაში შედის ფასწანამატის ფორმით, ზრდის ფასებს და ამდენად, დღგ-ს მსგავსად აქვეითებს ერთობლივ მოთხოვნას, აქედან გამომდინარე ნეგატიური შედეგებით. თუმც აფლობს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეგულირების საკმაო პოტენციალსაც, რამდენადაც აქციზური ნავთობპროდუქტების და საწვავი აირის მსხვილ მომხმარებელი წარმოების სფეროს დარგებია. ამ პროდუქტებზე საგადასახადო განაკვეთის და შესაბამისად, ფასების ცვლილება კი მრავალრიცხოვანი განტოტვილი ტექნოლოგიური და სატრანსპორტო ჯაჭვების მეშვეობით მთელ ეროვნულ მეურნეობას გადაეცემა, იწვევს მის დაჩქარებულ განვითარებას ან შეფერხებას. ეს გარემოება, თავის მხრივ, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების შესაძლებლობას განაპირობებს, რასაც ჩვენი საგადასახადო სისტემა გამორიცხავს.

კერძოდ, მისი დახმარებით შესაძლებელია მოსახლეობის, ბიზნესისა და მაკროეკონომიკის ისეთი მწვავე პრობლემის მოგვარება, როგორიცაა ცვალებადი საერთაშორისო საბაზრო კონიუნქტურის გავლენით ნავთობპროდუქტებზე ფასების პერიოდული ზრდა და შესაბამისი ინფლაციური ტალღები. ამ გამოწვევის გადაწყვეტის ორი ვარიანტი შეიძლება იქნას განხილული: არადისკრეციული - პროპორციულ-რეგრესიული ან დისკრეციული ცვალებადი განაკვეთების გამოყენება.

პირველი ვარიანტის შესაბამისად ბოლო წლების მიხედვით დაფიქსირებული საბაზისო მინიმალური ფასის მიმართ შეიძლება შემოღებული იქნას რეგრესიული განაკვეთები, რომლებიც ფასის ზრდასთან ერთად იმ ზომით შემცირდება, რომ მისი სტაბილურობა უზრუნველყოს. პროცესი უკუმიმართულებით წარიმართება ფასის შემცირების პირობებში - გადასახადის ავტომატურად გაზრდილი განაკვეთი ფასის მეტისმეტ კლებას შეაფერხებს, ისე რომ საბოლოოდ ნავთობპროდუქტების ფასი განსაზღვრულ დონეზე იქნება შენარჩუნებული და ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტიც არ დაზარალდება. მაგრამ ასეთ სისტემას ექნება სერიოზული უარყოფითი გვერდითი ეფექტი ეკონომიკის ციკლური ტალღების გაძლიერების მიმართულებით. კერძოდ, ციკლური პიკის ფაზაში, სხვა თანაბარ პირობებში, ნავთობ-პროდუქტებზე მოთხოვნის მკვეთრი ზრდის გამო შესაბამისად მოიმატებს მათი ფასები. ამ ვითარებაში გადასახადის რეგრესიული განაკვეთები გამოიწვევენ ფასების შემცირებას და შესაბამისად, ეკონომიკის კიდევ უფრო ,,გადახურებას'' მომდევნო კრიზისული ფაზის გაღრმავებით.

მეორე ვარიანტში ვგულისხმობთ დისკრეციული ცვალებადი ფიქსირებული განაკვეთების შემოღებას, რომლებიც უფლებამოსილი სახელმწიფო უწყების მიერ სიტუაციის შესაბამისად დარეგულირდება. სხვა თანაბარ პირობებში, საერთაშორისო საბაზრო კონიუნქტურის ზემოქმედებით ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდისას გამოიყენებული იქნება დაბალი განაკვეთები, ხოლო შემცირების დროს - მაღალი განაკვეთები. ასევე, ეკონომიკის ციკლური განვითარების აღმავლობის ფაზაში დგინდება მაღალი განაკვეთები, რაც გაზრდის ნავთობპროდუქტების ფასს და შესაბამისად, შეაფერხებს ეკონომიკის გადახურებას. ციკლის ფსკერზე კი განაკვეთები მცირდება, რაც გამოიწვევს ფასების კლებას და შესაბამისად შექმნის კრიზისის დაძლევის პირობებს. გარდა ამისა, ეს ღონისძიება მოახდენს ინფლაციის პრევენციასაც და დაზოგავს ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვებს.

3. 6. საბაჟო გადასახადის ფუნქციონალიზაცია

სხვა გადასახადების მსგავსად, საბაჟო - ექსპორტ-იმპორტის გადასახადიც მარეგულირებელი ფუნქციის პოტენციური მატარებელია, რადგან მისი საშუალებით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად უცხოური საქონლის შემოტანის ან საზღვარგარეთ გატანის და ამდენად, პარალელურ რეჟიმში უხოური ვალუტის ნაკადის შეზღუდვა ან წახალისება. თუმცა ჩვენი საგადასახადო კოდექსი ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს. ამჟამად საქართველოში საბაჟო გადასახადის 0, 5, და 12%-იანი განაკვეთები გამოიყენება.

განსაკუთრებით მიუღებელია ის ფაქტი, რომ საბაჟო გადასახადისაგან თავისუფლდება ყოველგვარი საქონლის ექსპორტი, როგორც საბოლოო პროდუქტები ისე შუალედური - ნედლეული და მასალები, რამაც ქვეყანა სავაჭრო პარტნიორების სანედლეულო დანამატად გადააქცია. შუალედური პროდუქტის გატანით ქვეყანაში იკვეცება პოტენციური წარმოება, დასაქმება და იკარგება ერთობლივი შემოსავალი - ბიზნესის მოგება, დასაქმებულთა ხელფასი, დამატებული ღირებულება, აქციზი და ამდენად, სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი საგადასახადო შემოსავლები, რომლის მიღება შესაძლებელი იყო საექსპორტო ნედლეულისა და მასალების ადგილზე გადამუშავებითა და საბოლოო პროდუქტის ფორმით გატანის შემთხვევაში. ამიტომ მიზანშეწონილია, რომ საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლდეს მხოლოდ საბოლოო პროდუქტების გატანა, ხოლო ნედლეულსა და მასალებზე დაწესდეს იმდენად დიდი განაკვეთი, რომელიც მათ ექსპორტს არახელსაყრელს გახდის.

ეროვნული ეკონომიკის დაჩქარებული განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე ასევე არსებით ცვლილებას საჭიროებს იმპორტის გადასახადის განაკვეთებიც. კერძოდ, ადგილობრივი იმპორტშემცვლელ ისეთ საქონლთა წარმოების

გაზრდის მიზნით, რომლის პირობები და რესურსები ქვეყანაში არსებობს, მიზანშეწონილია საბაჟო გადასახადის გაზრდა იმ დონემდე, რაც მათ იმპორტს არახელსაყრელს გახდის. ამავე მიზნით პარალელურად უნდა მოხდეს იმპორტშემცვლელი საქონლის წარმოებაზე მოგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადების განაკვეთების შემცირებაც. თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი პრინციპული გარემოება: **იმისათვის, რომ მოცემული საქონლის შემომტან და ადგილობრივ მწარმოებელ ფირმებს შორის კონკურენცია არ შეიზღუდოს, იმპორტის გადასახადი დაწესდეს იმ ზომით, რომელიც მათ ფასის და მომგებიანობის თვალსაზრისით თანაბარ პირობებში ჩააყენებს.**

საბაჟო გადასახადების განაკვეთების ასეთი მოდიფიკაცია ხელს შეუწყობს ეკონომიკის აღმავლობას, აღმოფხვრის ქვეყნის საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსების დეფიციტს და შესაბამისად, ეროვნული ვალუტის კურსსაც დაასტაბილურებს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ინფლაციის პრევენციის მძლავრ იარაღად და ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების დაზოგვის ინსტრუმენტად გადაიქცევა.

4. საგადასახადო რეგულირების დადებითი და უარყოფითი მხარეები

მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო ინსტრუმენტი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების უაღრესად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, დადებით შედეგებთან ერთად გააჩნია მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელთა გაუთვალისწინებლობას შეუძლია ზიანიც კი გამოიწვიოს.

ზოგადად, საგადასახადო პოლიტიკის მოსალოდნელი დადებითი შედეგებია:

პირველი, მას ახასიათებს მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც საბაზისო პრიორიტეტული დარგებიდან მზარდი ტალღური ეფექტის ფორმით ვრცელდება მომიჯნავე ეკონომიკურ სექტორებზე. ასეთი პოლიტიკის განხორციელება განსაკუთრებით შედეგიანია იმ საწყისი დარგებიდან, რომლებსაც მომარაგებისა და მიწოდების მრავალრიცხოვანი განტოტვილი ჯაჭვები აქვთ;

მეორე, არადისკრეციული საგადასახადო პოლიტიკის პირობებში ჩაშენებული ავტომატური სტაბილიზატორების გამოყენება (დაბეგვრა პროგრესიული ან რეგრესიული შკალით) შესაძლებელს ხდის ბიზნესმა მთავრობის ჩარევის გარეშე დამოუკიდებლად მოახდინოს ოპერატიული რეაგირება მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ კონიუნქტურაზე;

მესამე, მონეტარული ინსტრუმენტებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ ერთობლივ მიწოდებაზე ზემოქმედებენ უმისამართოდ და პრიორიტეტების გაუთვალისწინებლად, საგადასახადო პოლიტიკით შესაძლებელია განსაზღვრული მიზნობრივი მიმართულებით დარეგულირდეს როგორც ერთობლივი მოთხოვანა, ისე ერთობლივი მიწოდება და მიღწეული იქნეს გაცილებით მაღალი შედეგები;

მეოთხე, საგადასახადო პოლიტიკით ხდება ეკონომიკაში წერტილოვანი ჩარევა მაშინ, როდესაც მონეტარული პოლიტიკით ასეთი ზემოქმედება ვერ ხერხდება. ეს უკანასკნელი ვრცელდება ყველა სუბიექტზე, მათ შორის ბიზნესის იმ სექტორზეც, რომელიც სახელმწიფოს პრიორიტეტს არ შეადგენს და მოცემული ეტაპის სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებს ეწინააღმდეგება. ასევე, შემზღუდავი მონეტარული პოლიტიკა აზარალებს ეკონომიკის პრიორიტეტულ სფეროებსაც.

საგადასახადო პოლიტიკის უარყოფითი შედეგებია:

პირველი, ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების სტიმულირების მიზნით გადასახადების შემცირებამ და ბიუჯეტის შემოსავლების მიმდინარე შეკვეცამ შესაძლოა დააზარალოს სახელმწიფო პროგრამები სოციალურ საჭიროებებზე, განათლებისა და მეცნიერების განვითარებაზე, ეკოლოგიაზე, თვდაცვაზე და სხვა. ამასთან, არაა გამორიცხული საპირისპირო შემთხვევაც - სოციალური ხარჯების დასაფინანსებლად გადასახადების უზომო გაზრდით ეკონომიკას მიადგეს ზიანი. ამ არასასურველი სიტუაციების პრევენციის ძირითად გზას წარმოადგენს რეალური პირობების გათვალისწინებით ისეთი **ოპტიმალური თანაფარდობის ჩამოყალიბება სახელმწიფო ბიუჯეტის სოციალურ და ეკონომიკურ ხარჯებს შორის, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს მინიმალური მაკროეკონომიკური დანახარჯებისა და დანაკარგების პირობებში**;

მეორე, საგადასახადო პოლიტიკა შედეგიანია უპირატესად დროის მოკლევადიან პერიოდში, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა უარყოფითი შედეგებიც კი გამოიწვიოს, რადგან არაა გამორიცხული მომავალში განუჭვრეტელი ფაქტორების ამოქმედება. კერძოდ, თუ გადასახადების შემცირებით დაგეგმილია ერთობლივი მოთხოვნის ზრდა განსაზღვრული ოდენობით და ამ გზით ეკონომიკის სტიმულირება, მაშინ რაიმე სხვა მიზეზით ერთობლივი მოთხოვნის მატება გათვალისწინებელზე დიდი ზომით დაარღვევს მაკროეკონომიკურ წონასწორობას;

მესამე, საგადასახადო ინსტრუმენტს, როგორც დისკრეციული, ისე არადისკრეციული პოლიტიკის პირობებში, ახასიათებს განუზღვრელობა და დაყოვნების ეფექტი, რომლის შესაბამისად არაა გამორიცხული მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან სასურველი შედეგების დადგომამდე სუტუაციის

შეცვლა. ამ პირობებში დაგეგმილი მასტიმულირებელი საგადასახადო პოლიტიკა ამოქმედდეს არა ეკონომიკური დაქვეითების, არამედ მომდევნო აღმავლობის გაზაში, ხოლო შემაკავებელი პოლიტიკა - ეკონომიკური დაქვეითების ფაზაში, რაც სრულიად საპირისპირო კრიზისულ შედეგებს გამოიწვევს. შესაბამისად, წინასწარ უნდა იქნას დასაბუთებული დაყოვნების სავარაუდო პერიოდის ხანგრძლივობა. გარდა ამისა, უაღრესად რთულია წინასწარ ზუსტად იმის განსაზღვრა, დისკრეციული პოლიტიკის პირობებში თუ რა ზომით უნდა შეიცვალოს გადასახადები. გადაჭარბებული მოტივაცია ეკონომიკის გადახურებას და ინფლაციის ზრდას გამოიწვევს, ხოლო ნაკლები ჩარევის შემთხვევაში სასურველი შედეგი ვერ მიიღება და გაწეული ხარჯები ფუჭად დაიკარგება.

საგადასახადო პოლიტიკის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების განეიტრალება ხდება საგეგმო პერიოდში სავარაუდო ცვლილებების ყოველმხრივ დასაბუთებული პროგნოზირებით, გასატარებელი ღონისძიებების შედეგების ზუსტი გათვლით და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შემუშავებით.

<u>ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების მოსალოდნელი დადებითი შედეგები საქართველოში.</u> წარმატებული ქვეყნების გამოცდილების თანახმად საგადასახადო პოლიტიკის რაციონალური გამოყენების, მისი ნეგატიური შედეგების გათვლისწინების და პრევენციის პირობებში შესაძლებელია სასიცოცხლოდ აუცილებელი შემდეგი სტრატეგიული მიზნების მიღწევა:

– მოკლე დროში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის დაძლევა და მაღალგანვითარებულ ქვეყნად გადაქცევა;

– ცხოვრების მაღალი დონის და ხარისხის უზრუნველყოფა, ეკონომიკურად მიზანშეწონილი სოციალურად სამართლიანი თანასწორობის და კლასთა შორის ჰარმონიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამკვიდრება;

– ეკონომიკური ზრდის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და ინოვაციური განვითარების დაჩქარება;

– ეკონომიკის ყველა პრიორიტეტული დარგის ეფექტიანობის და მომგებიანობის მაღალი დონის უზრუნველყოფა;

– ეფექტიანი საოჯახო პოლიტიკის განხორციელება და დემოგრაფიული პროცესების რეგულირება;

– უმუშევრობა-ინფლაციის ტანდემის შენარჩუნება ოპტიმალურ დონეზე და ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების დაზოგვა;

– შრომითი ემიგრაციის არაჯანსაღი ტენდენციების შეჩერება;

– კრიზისული პროცესების პრევენცია და უარყოფითი შედეგების განეიტრალება;

– ეკონომიკის ეფექტური ატიმონოპოლიური და ანტიმონოპსონიური რეგულირება;

– ეკონომიკის დარგებს შორის რესურსების რაციონალური განაწილება და ისეთი ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება, რომელიც გამოიწვევს მრავალმხრივ პროგრესულ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ეკონომიკურ ძვრებს;

– პრიორიტეტულად მიჩნეული რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება;

– ეკონომიკური რესურსების სრული გამოყენება და წარმოების ფაქტორების მაქსიმალურად შესაძლო დატვირთვა;

– ეროვნული ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საერთაშორისო და ადგილობრივ ბაზრებზე;

– სამხედრო მრეწველობის გაძლერება და ეროვნული თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება.

იმის გამო, რომ ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების ჩამოთვლილი მაკროეკონომიკური შედეგები ერთმანეთს აძლიერებენ, საბოლოოდ მიიღება მნიშვნელოვნად გაზრდილი სინერგიულ-მულტიპლიკაციური ეფექტი, რაც როგორც ეკონომიკას, ისე სოციალურ სფეროს თვისებრივად და რაოდენობრივად ახალ სიმაღლეებზე აიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს. გოდარი, ტ. ხუნდაძე, ა. ტრუგერი. პოლიტიკის კვლევა საყოველთაო კეთილდღეობისთვის: წინადადება უთანასწოროების შემცირებისა და ინდუსტრიული განვითარებისთვის რესურსების მობილიზების მიზნით, საქართველოში საშემოსავლო გადასახადის რეფორმის შესახებ, თბილისი, 2018. https://library.fes.de/pdf-files/bueros/ georgien/-15111.pdf.
2. ვლ. პაპავა, არატრადიციული ეკონომიკსი, თბილისი, 2011, გვ. 144, 152.
3. პ. სამუელსონი, ვ. ნორდჰაუსი, ეკონომიკა, ტ. 2, თბილისი, 2000, გვ. 292-335.
4. საქართველოს გაგადასახადო კოდექსი, https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717? publication =194.
5. ა. სისვაძე, ეკონომიკური თეორია, ნაწილი მეორე, თბილისი, 2006, გვ. 123.
6. ა. სისვაძე, სოციალური ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების კონცეპტუალური საფუძვლები, თსუ ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2023, გვ. 180.

7. ს. ფუტკარაძე, საქართველოს საგადასახადო სისტემა და მისი სრულყოფის პრობლემები თანამედროვე ეტეპზე, სადოქტორო დისერტაცია, ბათუმი, 2012, გვ. 59.
8. ლ. გ. ხოდოვი, ეროვნული ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება (რუსულ ენაზე), მოსკოვი, 2004, გვ.326-340.
9. ზ. ხორგუაშვილი, საქართველოს საგადასახადო სისტემის მიმოხილვა და ანალიზი,
10. https://gnomonwise.org/ge/publications/analytics/135?fbclid=IwAR3aT6vBXbdI26GT_4T75FsmyZtEmBBX-Va-Xwdvx2h7QFtsH2h1ur-9D-0c.

სტატისტიკური ინფორმაციის წყაროები

1. ttp://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_364178/2b4dd535a015bcc992dd9a754f9a098fb 856af0f/;
2. https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html;
3. https://w3.unece.org/SDG/ru/Indicator?id=117;
4. https://visasam.ru/emigration/vybor/srednya-zarplata-v-mire.html#C;
5. https://visasam.ru/emigration/vybor/pensiya-v-stranah-mira.html#-2023;
6. https://take-profit.org/statistics/quality-of-life/;
7. https://svspb.net/danmark/gini.php;
8. https://top-rf.ru/places/157-rejting-stran-po-vvp-na-dushu-naseleniya.html;
9. https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%BF%D0%B8%D1%81%D0%BE%D0%BA%D1%81% D1%82%D1%80%D0%B0%D0%BD_%D0%BF%D0%BE_%D1%82%D0%B5%D0% BC% D0%BF% D0%B0%D0%BC_%D1%80%D0%BE%D1%81%D1%82%D0%B0_%-D0%92% D0%92% D0%9F~;
10. https://gsl.org/ru/taxes/tax-zones/.

Radical reform of the tax system of Georgia Theoretical-methodological problems in social economy conditions (Part II. Functionalization of the tax system in the social economy)

Ilia (Aziko) Sisvadze

Doctor of Economics, independent researcher.
aziko.sisvadze49@Cmail.com

Summery

The paper substantiates the advantages of tax regulation of the economy compared to monetary regulation. It is shown that the tax in the social market economy has undergone a significant transformation and has turned from a tool for collecting taxpayers' income in the form of a tax into a universal lever for state regulation of the economy. Accordingly, the nature of the tax as an economic category has also changed, which under new conditions reflects, on the one hand, the movement of revenues belonging to the state as a public entrepreneur and on the other hand, as a business partner, from the places of their creation to centralized budgetary funds. The new content, form and role adjusted by taxes essentially changed its functions, principles of taxation and expanded the possibilities of effective state regulation of the economy through them. Based on this paradigm, the criteria for determining the priorities of tax targeting are established in the paper, which ensure the achievement of rapid socio-economic progress and the highest standards of well-being, the establishment of socially just equality, the short-term overcoming of the existing backwardness, and the transformation into a highly developed country. Based on research results and international experience, justified rates were developed for each tax in accordance with the challenges facing the country and social orientation.

Key words: tax targeting, advantages of tax regulation of the economy, functionalization of taxes, priority criteria of taxpayers and objects of taxation.

საზოგადოერივი ჯანდაცვის პოლიტიკა და პრევენცია პანდემიისა და პოსტპანდემიის პერიოდში

მარინა ენდელაძე

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და
კლინიკური იმუნოლოგიის კვლევის ცენტრი,
ბოქსირებული განყოფილების გამგე
marinaendeladze@gmail.com

ნათია წიკლაური
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
natitsiklauri@yahoo.com

ანოტაცია. *XXI საუკუნე ვირუსული ინფექციების და პანდემიის წინააგმდეგ ბრძოლის საუკუნედ გამოცხადდა. კორონავირუსით (SARS-CoV-2) დაავადებამ (COVID-19)[2] და გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ არაერთი გამოწვევა შეუქმნა ჯანდაცვის სისტემას, და დაადასტურა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებისადმი მზადყოფნისა და რეაგირების გაუმჯობესების აუცილებლობა. პანდემიასთან ბრძოლის დროს, ეპიდემიის სწორად მართვის პროცესში, მნიშვნელოვანი იყო როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ასევე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი. კლინიკური პროტოკოლებისა და გაიდლაინების შემუშავებით, მნიშვნელოვან წინსვლა იქნა მიღწეული კლინიკური მართვის სტანდარტიზაციის კუთხით. ჯანმოს[3] მხარდაჭერით შემუშავდა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (IPC-ის) მონიტორინგის ინსტრუმენტი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის. პანდემიის პირობებში დაწყებული ინიციატივების შექმნა კარგ საფუძველს წარმოადგენდა ჰოსპიტალური და პირველადი ჯანდაცვის ქსელის შემდგომი გაძლიერებისთვის. კოვიდ-19-ის პანდემიამ აჩვენა, რომ, მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა დიდ ძალისხმევას დებს სამედიცინო სერვისების სწრაფ მობილიზებაში, რათა ეფექტურად მოხდეს გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება, არსებული სერვისების შენარჩუნების*

პარალელურად. ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყანამ მოახერხა და უზრუნველყო კოვიდის მწვავე და კრიტიკული პაციენტების დროული ჰოსპიტალიზაცია და ხარისხიანი მართვა. მთელ მსოფლიოს ერთი და იგივე მიზანი ქონდა — COVID 19-ის პანდემიის დამარცხება. საქართველომ COVID-19-ის ვირუსის საწინააღმდეგოდ გადადგა არაერთი ნაბიჯი, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვაზე. პანდემიის დასამარცხებლად ერთ-ერთი გამოსავალი გლობალური ვაქცინაცია იყო. ვაქცინაცია მარტივი, უსაფრთხო და ეფექტიან გზაა დაავადებებისგან, ქვეყნის სტაბულურობის, სიცოცხლის გადარჩენისათვის, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებისთვის. ვაქცინაციის მართვის პროცესმა და ანტიპანდემიური პოლიტიკის შემუშავებამ ინფექციური დაავადებები, ვირუსები, პანდემიები და მათი რისკ-ფაქტორები როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოში სახემწიფოს, მთავრობისა და ზოგადოებრივი ჯანდაცვის მთავარი საზრუნავი გახადა.

საკვანძო სიტყვები: *პანდემია, COVID-19,, ჯანმო, ჯანდაცვა.*

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტები, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანამშრომლობითი ცენტრები და მათი გლობალური ქსელები წარმოადგენს ძირითად რესურს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის გასაძლიერებლად. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნქციები წარმოქმნის მტკიცებულებებს ჯანდაცვის პოლიტიკის შესახებ, რომელიც, ჯანმრთელობის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების მიზნით განისაზღვრა ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირების შეფასების ძირითადი ინდიკატრები, როგორიც არის: 1. მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა; 2. ჯანდაცვის სისტემის მართვის ფუნქცია; 3. თანასწორობის დაცვა, ფინანსური უზრუნველყოფა და ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა; 4. ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი და შედეგები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია; 5. ჯანდაცვის მომსახურების ეფექტურობა და ეფექტიანობა, ჯანდაცვის სისტემის რესურსების რაციონალური განაწილება.

საქართველოს მთავრობა ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ხარისხის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვან ძალისხმევას უზრუნველყიფს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედება სწორედ მოსახლეობისთვის ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

ხარისხის უზრუნველყოფის ისეთი მექანიზმები როგორიცაა კლინიკური აუდიტი, ჰოსპიტლების საერთაშორისო აკრედიტაცია და კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) სისტემატური დანერგვის ხელშეწყობა სისტემატიზაციას და გაძლიერებას საჭიროებს. მტკიცებულებებზე დაფუძნებული კლინიკური პროტოკოლებისა და გაიდლაინების შემუშავების გზით, მნიშვნელოვანი წინსვლა იქნა მიღწეული კლინიკური მართვის სტანდარტიზაციის კუთხით. თუმცა მეტი ძალისხმევა და პროფესიულ ასოციაციებთან ნაყოფიერი თანამშრომლობაა საჭირო, რათა ჩამოყალიბდეს პროტოკოლების და გაიდლაინების შემუშავებისა და განახლების რუტინული პრაქტიკა და, რაც მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილ იქნეს მათი იმპლემენტაცია, როგორც მთელი მოსახლეობის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რათა სრულად აღმოიფხვრას ჯანდაცვის სექტორში მათ მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის ფაქტები.

საქართველოში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებში სავალდებულო მოთხოვნას ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (IPC) სტანდარტების დაცვა წარმოადგენს. საქართველოში WASH-ის პირობების დაცვის მონიტორინგი IPC-ის სისტემის შეფასებით ხორციელდება, რაც ეფუძნება არსებულ მონიტორინგის ინსტრუმენტს და მოიცავს წყლის მარაგების, ჰიგიენური და სანიტარული ნორმების, სამედიცინო ნარჩენების მართვის, ინფექციის პრევენციისა და კონტროლის, სტერილიზაციისა და დეზინფექციის ტექნიკურ კონტროლს. მონიტორინგის პროცესი ძირითად სტაციონარულ დაწესებულებებს მოიცავს, პოლიკლინიკებისა და სოფლის ამბულატორიების კონტროლი კი შედარებით ლიმიტირებულია. ჯანმოს მხარდაჭერით შემუშავდა ინფექციის პრევენციისა და კონტროლის (IPC-ის) მონიტორინგის ინსტრუმენტი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისთვის, ასევე დაგეგმარდა ინსტრუმენტის ფართოდ გამოყენება პჯდ-ში ინფექციის კონტროლის პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

სამთავრობო ძალისხმევა მიმართული იქნა მდგრადი განვითარების მიზნების ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ეროვნული სამიზნე მაჩვენებლების მიღწევისაკენ. დასახული მიზნების მიღწევა საჭიროებს ეფექტურ სტრატეგიულ დაგეგმარებას, მკაფიო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრას და მათ მისაღწევად ქმედითი ნაბიჯების განხორციელებას და მჭიდრო მონიტორინგს.

ვირუსები და ინფექციური დაავადებები ქმნიან ყველაზე გავრცელებული დაავადებების ჯგუფს. ინფექციური დაავადებების ნიშნები და სიმპტომები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, რადგან არსებობს მრავალი გამომწვევი აგენტი და დაავადებები. როგორიცაა: საერთო გაციება, გრიპი, მწვავე ქრონიკული A ჰეპატიტი, B ჰეპატიტი, C ჰეპატიტი, შიდსი (აივ) და სხვა ვირუსული დაავადებები,

ოპორტუნისტული ინფექციები, ეგზანთემატიკური ვირუსული ინფექციები, პარაზიტული დაავადებები, სისტემური სოკოვანი ინფექციები, გადამდები დაავადებები, ტუბერკულოზი და მენინგიტი და სხვა ინფექციები დავირუსები.

საქართველოს მთავრობამ ასევე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა C ჰეპატიტის ელიმინაციის მიმართულებით. ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის, ჯანმო-სა და ევროკავშირის პარტნიორების ტექნიკური დახმარებით, ქვეყანამ მსოფლიოში პირველი C ჰეპატიტის ელიმინაციის ეროვნული პროგრამა აამოქმედა. პროგრამის ფარგლებში ქვეყანაში სრულად ხელმისაწვდომი გახდა C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სერვისები. ვირუსული ჰეპატიტის გლობალური ელიმინაციის სფეროში ქვეყნის წარმატებამ ხელი შეუწყო საქართველოსთვის ევროპის ღვიძლის შემსწავლელი ასოციაციისა (EASL) და ღვიძლის საერთაშორისო ფონდის მიერ C ჰეპატიტთან ბრძოლის სანიმუშო ქვეყნის სტატუსის მინიჭებას

საქართველოს მთავრობას 2020 წლის 6 იანვარს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის ჩინეთში მიმდინარე ეპიდაფეთქების შესახებ ინფორმაცია, რასაც საქართველოს მთავრობის მხრიდან მოჰყვა მყისიერი და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, აგრეთვე, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის დაწყება და მათ გამოცდილებაზე უწყვეტი დაკვირვება. მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა მოქალაქეების ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკის გადასარჩენად. ამიტომ, ყველა ის ნაბიჯი, რაც მთავრობამ გადადგა, განპირობებულია ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით.

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 გლობალურ პანდემიად გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ეპიდემიური აფეთქების საპასუხო აქტიური ზომების გატარება საქართველოს მთავრობამ დაიწყო, რასაც ქვეყანაში მკაცრი კარანტინი მოჰყვა, რომელიც ტრანსპორტირებასთან, ვაჭრობასთან, სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს გულისხმობდა. მთავრობამ, საკარანტინო რეგულაციების გარდა, ვირუსის გავრცელების რისკისა და ადამიანების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე ნეგატიური გავლენის შესამცირებლად, COVID-19-ის ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაატარა.

პანდემიის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის ღონისძიებების თანახმად, პირველი ეტაპი იყო ვირუსის გავრცელების შეკავება, მეორე ეტაპი - ვირუსის გავრცელების შენელება, მესამე ეტაპი - მართვა და თანდათანობითი შემსუბუქება და გახსნა.

პანდემიამ გამოავლინა გლობალური პრობლემები საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაძლებლობებში, გადაუდებელი აუცილებლობა გახდა გლობალური ცოდნის წყაროების შესწავლა და იმის გაგება, თუ როგორ უკეთესად ჩაიდოს ინვესტიცია და გამოვიყენოთ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტები გეოგრაფიულ უთანასწორობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაძლებლობებში, როგორც ქვეყნებში, ასევე რეგიონებში. მაგალითების საფუძველზე გლობალური ჯანდაცვის სისტემის მუშაობის ახალი გზები განვსაზღვრავს რთულ გარემოს, რომელშიც საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანოები მუშაობენ. გამოიყოფა სტიმული ყველა ქვეყნისთვის: ინვესტიციები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში რათა გააძლიეროს ინსტიტუტები: გამჭვირვალობა, ნდობა; ჯანმრთელობის დაცვა; სოციალურ-ეკონომიკური დივიდენდები; ცოდნის გაზიარება; თანასწორობა, საერთო პრიორიტეტების დაცვა; დაბალი რესურსის პარამეტრების სამართლიანობის შესაძლებლობა. პრიორიტეტებმა ხელი უნდა შეუწყოს თანამშრომლობას და ახალი მეთოდების შეწავლას, რაც გამოხატავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ქსელების განვითარების უკეთესად გამოყენებას.

ინფექციებისა და პანდემიის შესამცირებლად მნიშვნელოვანი იყო ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ჯანდაცვის სისტემაში ინვესტიციების პრიორიტეტულობას განსაზღვრავდა და მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით კი ყველაზე მოწყვლადი პირებისთვის სოციალურ დახმარებას უზრუნველყოფდა. განსაკუთრებულად რთულ დროს, აუცილებელ გადამწყვეტ პრიორიტეტებად მოიაზებოდა ის ფაქტორები რომლელიც უზრუნველყოფდა სწრაფ გადასვლას ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემების გაძლიერებაზე, კერძო სექტორის ხელშეწყობაზე, ფინანსური სტაბილურობისა და ნდობის შენარჩუნებაზე, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია ადამიანთა სიცოცხლისთვის.

ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ქალები პანდემიის კონტექსტში, მაღალი დონის რისკის ჯგუფებად ითვლებოდნენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, მსოფლიო ჯანდაცვის სფეროში დასაქმებული ადამიანების 70% ქალია და ისინი ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფეოდნენ. გარდა ამისა, ქალები მსოფლიოში ჯანდაცვის ობიექტებში მომსახურე პერსონალის უმრავლესობას წარმოადგენენ. ამასთან, საქართველოს ჯანდაცვის სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობა დასაქმებული კაცების რაოდენობას აღემატება და 62%-ს შეადგენს. კოვიდ

საავადმყოფოებში დასაქმებული ქალები წინა ხაზზე იმყოფებოდნენ და შესაბამისად, როგორც ფიზიკურ ჯანმრთელობასთან, ასევე ფსიქოლოგიური გადატვირთვისას მაღალი რისკის წინაშე იდგნენ, რომელთაც პანდემიისგან გამოწვეულ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებთანაც უწევდათ გამკლავება. პანდემიამ მნიშვნელოვნად იმოქმედა სამედიცინო სფეროში დასაქმებული იმ ქალების სამუშაო პირობებზე, რომლებიც კოვიდ კლინიკებსა და ცხელების ცენტრებში მუშაობდნენ: შეიცვალა მათი სამუშაო ცვლები; გაიზარდა სამუშაო საათებისა და პაციენტების რაოდენობა, რომლებსაც მკურნალობდნენ და კონსულტაციას უწევდნენ და დამატებითი პასუხისმგებლობების აღება მოუხდათ. მათი სამუშაო რეჟიმი იმდენად დატვირთული იყო, რომ რესპონდენტებს დღის განმავლობაში დასვენების საშუალება არ ეძლეოდათ. ასეთი მაქსიმალური დატვირთვა და არასაკმარისი დასვენება სამედიცინო სფეროში დასაქმებულ ქალთა შორის ზრდიდა პროფესიული გადაწვის რისკს, გადაღლას, რასაც შეიძლება მძიმე შედეგები მოჰყოლოდა.

ჯანდაცვის სექტორი თავისი სპეციფიკით განსხვავდება სხვა ეკონომიკური დარგებისგან. გამართული ჯანდაცვის სისტემა მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. პანდემიის სწრაფმა გავრცელებამ საქართველოში მკვეთრად გაზარდა ჯანდაცვის სექტორში დანახარჯების რაოდენობა. შესაბამისად, სახლმწიფომ პანდემიის სამართავად გამოყო დამატებითი ფინანსური რესურსი. მიუხედავად აღნიშნული ღონისძიებებისა, ჯანდაცვის წილი მშპ-ში კვლავ რეკომენდირებულ მინიმუმზე ნაკლები იყო, ხოლო ბიუჯეტის გადახარჯვა ყოველწლიურად მატულობდა. ასევე, პანდემიის გავრცელების ფონზე გაიზარდა ფასები სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე. აღსანიშნავია, რომ ფასების ზრდისა და პანდემიის ფონზე შემცირდა, როგორც ექიმთან მიმართვიანობა ასევე, სექტორის შემოსავლები.

კოვიდ-19-ის პანდემიამ აჩვენა, რომ, მნიშვნელოვანი გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა დიდ ძალისხმევას დებს სამედიცინო სერვისების სწრაფ მობილიზებაში, რათა ეფექტურად მოხდეს გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება, არსებული სერვისების შენარჩუნების პარალელურად. ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყანამ მოახერხა ჰოსპიტალური საწოლების და ინტენსიური მოვლის საწოლების მობილიზება და მარაგების გაფართოება, რითაც უზრუნველყო კოვიდის მწვავე და კრიტიკული პაციენტების დროული ჰოსპიტალიზაცია და ხარისხიანი მართვა.

კოვიდ-19-ის კრიზისმა საქართველოში სირთულეების მიუხედავად, შექმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ჰოსპიტალური სექტორის გაძლიერებისა და ახალი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისთვის პირველად ჯანდაცვაში. პანდემიის

პირობებში დაწყებული ინიციატივების შექმნა კარგ საფუძველს წარმოადგენდა ჰოსპიტალური და პირველადი ჯანდაცვის ქსელის შემდგომი გაძლიერებისთვის.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალურ ცენტრებში დაიგეგმა დასაქმებული კადრების გადამზადება და ზოგადად შტატების დამატება, რაც დადგინდა მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. მაღალკვალიფიციური პერსონალი, კერძოდ ეპიდემიოლოგების, ინფექციონისტების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების როლი უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ამ ეტაპზე მიზანშეწონილი იყო: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლებს ჩატარებოდათ სპეციალური ტრენინგები, რომელიც მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: რეაგირებაზე მზადყოფნა, შემთხვევების სწრაფი გამოვლენა, ინფექციებზე კონტროლი, მონაცემების ანალიზი, ინფექციის პრევენცია და კონტროლი; ონლაინ კონსულტაციები პაციენტებთან; პანდემიის მძიმე და კრიტიკული შემთხვევების მართვა; პირადი დამცავი აღჭურვილობის გამოყენება და სხვა. პანდემიზე რეაგირებისთვის, საქართველოს მთავრობამ 2020-2021 წლებში ჯანდაცვის ბიუჯეტში 1,317.2 მლნ ლარზე მეტის მობილიზება მოახდინა, კოვიდ-19-ის ინფექციასთან დაკავშირებული სამედიცინო სერვისები სრულად იფარებოდა სახელმწიფოს მიერ. რაც შეეხება ეპიდემიის მართვის ეტაპს, პირველადი ჯანდაცვის რგოლს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. აუცილებელი იყო პირველადი ჯანდაცვის რგოლის მობილიზება, ინფიცირებულთა სწორი კოორდინაცია და მენეჯმენტი ადგილობრივ დონეზე, ასევე დროული რეფერალური მომსახურება. ვირუსის შეკავება ეპიდემიოლოგებისა და პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების მიერ ჯანდაცვის სექტორს დამატებით დროს აძლევდა ტესტებითა და სასუნთქი მოწყობილობებით საავადმყოფოების მოსამარაგებლად. ვირუსის შეკავებაში კი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი განუზომელი იყო. ეპიდემია გლობალურად უნდა დამარცხებულიყო. ყველა ქვეყანას თავისი კორონაისტორია და თავისი როლი აკისრია პანდემიის დამარცხების პროცესში. განსხვავდებოდა იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნა პანდემიასთან ბრძოლის დროს, ეპიდემიის სწორად მართვის პროცესში. მნიშვნელოვანი იყო როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ისე ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების როლი. მთელ მსოფლიოს ერთი და იგივე მიზანი ქონდა —პანდემიის დამარცხება.

მსოფლიო გამოცდილებამ მკაფიოდ დაადასტურა ვაქცინაციის საკვანძო როლი კოვიდ-19-თან დაკავშირებული ავადობის, ჰოსპიტალიზაციისა და სიკვდილიანობის

შესამცირებლად, ქვეყნების ჩვეული ცხოვრების და ეკონომიკური სტაბილურობის აღსადგენად.

პანდემიის პერიოდში საქართველომ ვირუსის საწინააღმდეგოდ გადადგა არაერთი ნაბიჯი, რომლებმაც არსებითი გავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვაზე. პანდემიის დასამარცხებლად ერთ-ერთი გამოსავალი გლობალური ვაქცინაცია იყო. საქართველოში ვაქცინაციის პროცესი 2021 წლის 15 მარტს დაიწყო. ხელმისაწვდომი იყო 4 სხვადასხვა დასახელების ვაქცინა: Pfizer-BioNTech (პფაიზერი); Oxford/AstraZeneca (ოქსფორდ ასტრაზენეკა); Sinopharm SARS-CoV-2 Vaccine (Vero Cell) (სინოფარმი); Sinovac. CoronaVac -Vero Cell, Inactivated (სინოვაკი).

ქვეყანაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, მის მიერ აღიარებული მკაცრი მარეგულირებელი ორგანოების (SRAs) მხრიდან ავტორიზებული ვაქცინების დანერგვა ვაქცინის ხარისხის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გარანტიაა. ვაქცინაცია მარტივი, უსაფრთხო და ეფექტიანი გზაა სახიფათო დაავადებებისგან ადამიანის დასაცავად, სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარებისთვის, ქვეყნის სტაბულურობისა სიცოცხლის გადარჩენისათვის.

მრავალი ქვეყანა უკვე იშუშებს პანდემიით მიყენებულ ჭრილობებს, რაც განაპირობა ვაქცინაციის ეფექტიანი მართვის პროცესმა და სწორი ანტიპანდემიური პოლიტიკის შემუშავებამ. ინფექციური დაავადებები, ვირუსები, პანდემიები და მათი რისკ-ფაქტორები როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოში სახემწიფოს, მთავრობისა და ზოგადოებრივი ჯანდაცვის მთავარი საზრუნავია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კორონავირუსის შესაძლო გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე ქვეყნებისა და ეკონომიკის დარგების მიხედვით. 2020.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები www.geostat.ge
3. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი CSRDG
4. Mandell, Duglas and Bennett, s. Principles and practice of infectiousdiseases. Seventh edition, 2010
5. John.G Bartlett,MD. Joel E.Gallant, M,D, MPH. P
6. Harrison's – Principles of Internal Medicine – International edition. 17-th edition;
7. Bennett &Brachman,s Hospital Infections – Fifth Edition;
8. John.G Bartlett,MD. Joel E.Gallant, M,D, MPH. Paul A Pham, Pharm.D. Medical Management of HIV infection; 2009-2010.
9. Guidelines for the Use of Antiretroviral Agents in HIV-1-Infected Adults and Adolescents; January 10, 2011. DHHS Panel

Public health policy and prevention in the pandemic and post-pandemic period

Marina Endeladze
Infectious Diseases, AIDS & Clinical Immunology Research Center. Head of the boxed department
marinaendeladze@gmail.com

Natia Tsiklauri
Academic Doctor of Economics
GTU-Associate Professor
natitsiklauri@yahoo.com

Summary

The 21st century has been declared the century of the fight against viral infections and pandemics. The novel coronavirus (SARS-CoV-2) disease (COVID-19) and the resulting global pandemic have created a number of challenges for the health care system, and confirmed the need to improve preparedness and response to public health risks. During the fight against the pandemic, in the process of proper management of the epidemic, both individual responsibility and the role of central and local authorities were important. With the development of clinical protocols and guidelines, significant progress has been made in standardizing clinical management. An infection prevention and control (IPC) monitoring tool for primary care facilities was developed with support from WHO. The creation of initiatives started in the conditions of the pandemic was a good basis for the further strengthening of the hospital and primary care network. The Covid-19 pandemic has shown that, despite significant challenges, the Georgian health system is making great efforts to rapidly mobilize medical services to effectively meet urgent medical needs while maintaining existing services. Through joint efforts, the country has managed and ensured timely hospitalization and quality management of acute and critical patients of Covid. The whole world had the same goal — to defeat the COVID-19 pandemic. Georgia has taken a number of steps against the COVID-19 virus, which have had a significant impact on the protection of human rights. One of the solutions to defeat the pandemic was global vaccination. Vaccination is a simple,

safe and effective way to prevent diseases, stability of the country, saving lives, development of socio-economic processes. The vaccination management process and the development of anti-pandemic policies have made infectious diseases, viruses, pandemics and their risk factors the main concern of the state, government and public health both in Georgia and around the world.world.

Keywords: Pandemic, COVID-19, WHO, Healthcare.

კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის როლი საქართველოში საწვავის ექსპლოატაციის მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევაში

თინათინ ლომსაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tinatin.lomsadze184@eab.tsu.edu.ge

ანოტაცია. *ნაშრომში გადმოცემულია კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის როლი, ეკონომიკური სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში. კლასტერის Triple და Quadruple Helix მოდელების განვითარება ყველაზე წარმატებულად სკანდინავიის, დასავლეთ ევროპისა და ბალტიის ქვეყნებმა შეძლეს, რომლებმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიზიარეს სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილება. კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის უპირატესობა ვლინდება პროდუქციისა და მომსახურების წარმოებისა და მიწოდები ეფექტიანი მექანიზმების შექმნაში, რაც ზრდის საზოგადოების კეთილდღეობის დონეს. საქართველოს ინდუსტრიული განვითარება რთული გამოწვევების წინაშე დგას, რაც მოითხოვს მთელი რიგი პრობლემური საკითხების შესწავლასა და საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე მორგებული განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, რისთვისაც ეფექტიან გამოსავალს წარმოადგენს კლასტერების განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა. ინოვაციური კლასტერების განვითარება საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში დაკავშირებულია უდიდეს გამოწვევებთან, რაც აერთიანებს ინოვაციებისა და განათლების სისტემას, გადასახადებისა და ბიუჯეტის სისტემას, რეგიონულ მართვას, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩართულობასა და ა.შ.*

საკვანძო სიტყვები: *კლასტერები, ინდუსტრიული განვითარება, საწვავის ექსპლოატაცია, ინოვაცია, ეკონომიკური ტრანსფორმაცია*

საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყანაა, სადაც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი და ბაზრები არ არიან თავისუფალი კონკურენციის ტიპის, მათ შორის არც საწვავის ბაზარი. ამიტომ, საქართველოს საწვავის ბაზარზე ძირითადად, ყაზახური, აზერბაიჯანული, ბრიტანული, რუსული და იტალიური ნავთობკომპანიები ოპერირებენ, რომლებსაც ფასზე და მიწოდებაზე ოლიგოპოლიური ძალაუფლება გააჩნიათ.

ასევე არ ზრუნავენ იმ მავნე ნივთიერებების გაფრქვევაზე, რომლებიც გარემოში გამოიყოფა საწვავის მოხმარების შედეგად. კომპანიები იღებენ კარგ შემოსავლებს და ყველაზე მაღალშემოსავლიანი კომპანიების სიაში შედიან. თუმცა, საქართველოს ეკოლოგიური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო უარესდება და სოციალური უთანასწორობისა და სიღარიბის პრობლემაც ჯერ არ არის დაძლეული.

ამასთან, ყველაზე დაბალი ხარისხის საწვავის ფასი საშუალოდ 3.03 ₾ - ს შეადგენს,ხოლო საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 60 % - ის საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებით 700 ₾ - ის ტოლია. ბევრი ბენზინგასამართი სადგური არ ყიდის პრემიუმ ხარისხის საწვავს, რადგან ის შედარებით ძვირი საწვავია და არ არის მოთხოვნადი მოსახლეობის მიერ დაბალი შემოსავლების გამო.

ყველაზე მაღალი მოთხოვნა საწვავზე არსებობს სატრანსპორტო ინდუსტრიის მხრიდან, როგორც კერძო ისე სახელმწიფო სექტორიდან. მხოლოდ დედაქალაქში, სადაც დაახლოებით 1.3 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ავტომანქანების რიცხვმა 1 მილიონ ერთეულს გადააჭარბა.

ტრანსპორტს აქვს უდიდესი ხვედრითი წილი CO_2 -ის ემისიაში დაახლოებით 80 %, თუმცა, CO_2 - ის ემისია იმდენად მწვავე არ არის ვიდრე სატრანსპორტო საშუალებებიდან მძიმე მეტალების გაფრქვევა გარემოში, რაც დაბალი ხარისხის საწვავს უკავშირდება და უამრავი დაავადების გამომწვევი მიზეზია.

დაბინძურების მაჩვენებლით დედაქალაქი უსწრებს სხვა რეგიონებს, რადგან რეგიონებში სატრანსპორტო ინდუსტრიის მასშტაბები ბევრად მცირეა და საწვავის მოხმარების მოცულობაც ბევრად დაბალია, რადგან ხშირ შემთხვევაში საწვავის ფასი და სასოფლო -სამეურნეო ტექნიკის შეზღუდული რაოდენობა, რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე უარის თქმის მიზეზი ხდება. აღნიშნულის დადასტურებაა შიდა ქართლის რეგიონში ჩატარებული შინამეურნეობების კვლევა.

კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა 35 შინამეურნეობა, ხუთი კრიტერიუმის მიხედვით, კერძოდ:

1) შინამეურნეობების საშუალო შემოსავლის ოდენობა თვეში (₾) ;
2) შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სატვირთო ან სხვა მძიმე სატრანსპორტო საშუალებები;

3) შინამეურნეობების მფლობელობაში არსებული ავტომანქანები, ორ ბორბლიანი მოტო-ტრანსპორტი ან სხვა სახის შიგა წვის ძრავიანი მოწყობილობები;
4) საწვავის ექსპლოატაციის საშუალო მოცულობა თვეში (ლიტრი) ;
5) საწვავზე გაწეული საშუალო დანახარჯის ოდენობა თვეში (₾).

დიაგრამა 1.



წყარო: ავტორის კვლევა

როგორც დიაგრამიდან ჩანს, შესწავლილი შინამეურნეობების 51 % - ის საშუალო თვიური შემოსავალი 250 – 550 ₾ - ის ფარგლებში მერყეობს. ყველაზე მცირე ხვედრითი წილი 9.3 % აქვს იმ შინამეურნეობებს, რომელთა თვიური შემოსავალი 1151- 1450 ₾ - ის ფარგლებშია.

დიაგრამა 2.



წყარო: ავტორის კვლევა

შესწავლილი შინამეურნეობების 51 % -ის, რომელთა საშუალო თვიური შემოსავალი 250 – 550 ₾ - ის ფარგლებში მერყეობს, მფლობელობაში არის მხოლოდ შიგა-წვის ძრავიანი მოწყობილობები. სასოფლო სამეურნეო ტექნიკასთან ერთად მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებსაც, ფლობენ ის შინამეურნეობები, რომლებიც 1151-1450 ₾ შემოსავლების ჯგუფს მიეკუთვნებიან.

დიაგრამა 3.



წყარო: ავტორის კვლევა

როგორც კვლევამ გვიჩვენა, შემოსავლების მოცულობა განსაზღვრავს საწვავის ექსპლოატაციის მოცულობას. შესწავლილი შინამეურნეობებიდან ყველაზე მეტ საწვავს თითოეული თვეში 160 ლიტრის ოდენობით, მოიხმარენ ის შინამეურნეობები, რომელთა შემოსავლები თვეში დაახლოებით 1150 – 1450 ₾ -ს შორის მერყეობს.

დიაგრამა 4.



წყარო: ავტორის კვლევა

როგორც დიაგრამიდან ჩანს, შემოსავლების მოცულობა განსაზღვრავს საწვავის ექსპლოატაციის დანახარჯების მოცულობას. შესწავლილი შინამეურნეობებიდან, საწვავზე ყველაზე მეტ დანახარჯს, თვეში 508,8 ₾ - ის ოდენობით, სწევენ ის შინამეურნეობები, რომელთა შემოსავლები თვეში დაახლოებით 1150 – 1450 ₾ -ს შორის მერყეობს.

დიაგრამა 5.



წყარო: ავტორის კვლევა

კვლევამ გვიჩვენა, რომ რაც უფრო იზრდება შემოსავლების მოცულობა , იზრდება საწვავის მოხმარების მოცულობაც და შესაბამისად მასზე გაწეული დანახარჯებიც. მაღალი შემოსავლების მქონე ჯგუფებს საშუალება აქვთ თავიანთი შემოსავლებიდან უფრო დიდი ნაწილი დახარჯონ საწვავზე, შემოსავლების ოდენობიდან საწვავზე გაწეული დანახარჯების ხვედრითი წილი ყველაზე მაღალია და 39,1 % - უტოლდება 1151-1450 ₾- მდე შემოსავლების მქონე შინამეურნეობების ჯგუფში.

დიაგრამა 6



წყარო: ავტორის კვლევა

შესწავლილი შინამეურნეობების საწვავზე გაწეულ დანახარჯების მთლიანი მოცულობის 54.8 % ეკუთვნის 1151 -1450 ₾ შემოსავლების მქონე ჯგუფს, რაც ნათლად ადასტურებს შემოსავლების მოცულობის პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას საწვავზე გაწეულ დანახარჯებთან, ასეთი მაღალშემოსავლიანი შინამეურნეობების რაოდენობა კი საკმაოდ მცირეა საქართველოში.

იმ შემთხვევაში, თუ, თავდაცვის სამინისტროს მიერ შექმნილი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა“, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ კლასტერს საქართველოში, სპეციალიზდება საწვავის ექსპლოატაციის მიმართულებით, საწვავის ბაზარზე არსებული პირობები შეიცვლება, მიწოდება გაიზრდება და ფასი შემცირდება. ინდუსტრიები და შინამეურნეობები ისარგებლებენ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი საწვავით.

ამგვარი გამოცდილება უკვე არსებობს ნორვეგიაში. ნორვეგია ნავთობის შვიდი უმსხვილეს ექსპორტიორი ქვეყნის რიგებშია, რაც განაპირობა 1995 წლიდან ნორვეგიის ინოვაციების სააგენტოს (INNOVANOR), ნორვეგიის ინდუსტრიული განვითარების კორპორაციისა (SIVA) და ნორვეგიის კვლევითი საბჭოს (RCN) ერთიანი ინიციატივით კლასტერების განვითარების პროგრამების დაწყებამ და უკვე 2014 წლიდან 12 GCE კლასტერი ფუნქციონირებს ნორვეგიის 11 სხვადასხვა ოლქში.

ნავთობკომპანიები უშუალოდ გაერთიანებული არიან 8 GCE კლასტერში და ქმნიან ახალ ინდუსტრიულ კავშირებს. ნორვეგიის მთავრობა 10,2 მილიარდ € -ს ხარჯავს GCE კლასტერების დაფინანსებაზე. ნორვეგიის თავდაცვის სამინისტროს მიერ დაქვემდებარებული კლასტერი GCE Raufoss , რომლის მიზანი ნორვეგიის ეროვნული თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაა, არის მთავარი გამაერთიანებელი სტრუქტურა ნორვეგიის ნავთობკომპანიებისთვის.

„დელტა" - ს R&D დანახარჯების მოცულობა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის 3% - ის ტოლია, რაც დღევანდელი მონაცემებით დაახლოებით 40 მილიონ ₾- ს შეადგენს (ექვ. 13 მილიონი €). იმ შემთხვევაში თუ, საქართველოს მთავრობა მოახდენს R&D დანახარჯების ზრდასა და ნორვეგიის გამოცდილების გაზიარებას, შესაძლებელი გახდება საქართველოში საწვავის ექსპლოატაციის მიმართულებით არსებული გამოწვევების დაძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Bosker, M. (2007) Growth, Agglomeration and Convergence: a Space-Time Analysis for European Region, Taylor & Francis Group.

Delgado, M., & Porter, M. E. (2021). Clusters and the Great Recession. New-York: Harward Business School.

Delgado, M., Porter, M. E., & Stern, S. (2012). Cluster, Convergnce, and Economic Performance. Harvard Business School, Temple University, MIT Sloan NBER. Cambridge: Harvard Business School.

Delgado, M., Porter, M. E., & Stern, S. (2014). DEFINING CLUSTERS OF RELATED INDUSTRIES. NATIONAL BUREAU OF ECONOMIC RESEARCH.

Geppert, K. Stephan, A. (2007) Regional disparities in The European Union : Convergence and Agglomeration, German Institute for Economic Research, European University Viadrina, Frankfurt.

Klasová, S. (2015). Cluster Policy in Norway. In *Cluster Promotion and Management: The Current Global Situation* (pp. 137-154). Craiova, Romania: ASERS Publishing.

Sölvell, O. (2008). Cluster Ballancing and Evolutionary Forces. Stockholm: Ivory Publishers.

Sölvell, O. (2009). Cluster Ballancing and Evolutionary Forces. Stockholm: Ivory Publishers.

Sölvell, O., Lindqvist, G., & Ketels, K. (2003). Cluster Initiative Green Book. Stockholm: IvoryPublishers.

Sölvel, Ö. Ketels, C. Lindqvist, G. ( ) EU Cluster Mapping and Strengthening Clusters in Europe. European Cluster Observatory, Center for Strategy and Competitiveness.

The Role of the Cluster Development Economic Policy to Overcome Fuel Exploiting Challenges in Georgia

Tinatin Lomsadze
PhD student,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Tinatin.lomsadzd184@eab.tsu.edu.ge

Summary

The paper is dedicated to recognize the role of cluster development economic policy towards the special contribution to the solution of economic, social and ecological problems. The development of the Triple and Quadruple Helix cluster models was the most successful in Scandinavian, Western European and Baltic countries, which shared the experience of Scandinavian Countries after the collapse of the Soviet Union. The advantage of the cluster development economic policy is manifested in the creation of effective mechanisms for the production and supply of good and services, which increases the level of public welfare. The industrial development of Georgia is facing serious challenges, which requires the study of a number of problematic issues and the suggestion of a development strategy tailored to the national interests of Georgia, for which the cluster development economic policy is an effective solution. The development of innovative clusters in the capital and regions of Georgia is facing huge challenges. This concerns the system of innovation and education, the tax and budget system, regional management, the involvement of state institutions and etc.

Keywords: Clusters, Industrial Development, Regional Specialization, Innovation, Economic Transformation

საბანკო რეგულაციები, შესაძლო კრიზისები და მათი დაძლევის გზები

ხათუნა შალამბერიძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
khatuna.shalamberidze@atsu.edu.ge

ანოტაცია. *საბანკო რეგულაციები შექმნილია ფინანსური სისტემის მთლიანობის შესანარჩუნებლად, მომხმარებლების დასაცავად და ბანკების ჯანსაღი და გონივრული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. თუმცა, ამ რეგულაციების გავლენა კომერციულ ბანკებზე მრავალმხრივია და შეუძლია მათ საქმიანობაზე დადებითად და უარყოფითად იმოქმედოს. კერძოდ: სტაბილურობა და ნდობა: საბანკო რეგულირების ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ფინანსური სტაბილურობის გაძლიერებაა. ისეთი რეგულაციები, როგორიცაა კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები, რომელიც დადგენილია ბაზელის ხელშეკრულებით, უზრუნველყოფს ბანკების შენარჩუნებას საკმარისი კაპიტალის ბუფერებს ზარალის ასათვისებლად. მომხმარებელთა დაცვა: რეგულაციები, რომლებიც მიმართულია მომხმარებელთა დაცვაზე, როგორიცაა ისეთები, რომლებიც აძლიერებენ გამჭვირვალობას დაკრედიტების პრაქტიკაში და იცავენ დეპოზიტორთა სახსრებს, ხელს უწყობს მომხმარებელთა ნდობის ჩამოყალიბებას საბანკო სისტემის მიმართ. რისკების მართვა: მარეგულირებელი ჩარჩო ბანკებს ავალდებულებს რისკის მართვის მძლავრი პრაქტიკის დანერგვას. ეს მოიცავს რეგულარულ სტრეს ტესტირებას, რისკის შეფასებას და ლიკვიდურობის მოთხოვნების დაცვას. ასეთი ზომები აიძულებს ბანკებს მიიღონ უფრო გონივრული და რისკების საწინააღმდეგო სტრატეგიები, რაც პოტენციურად გამოიწვევს უფრო მდგრად გრძელვადიან ზრდას. შესაბამისობის ხარჯები: მკაცრი საბანკო რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი არის შესაბამისი შესაბამისობის ხარჯები. ბანკებმა დიდი ინვესტიცია უნდა განახორციელონ რეგულირების შესაბამისობის ინფრასტრუქტურაში, მათ შორის სისტემებში, პროცესებსა და პერსონალში. კერძოდ, მცირე ბანკებს შეუძლიათ ეს ხარჯები მძიმედ მიიჩნიონ, რაც პოტენციურად ახშობს კონკურენციას და ინოვაციას სექტორში. შემცირებული მომგებიანობა: მარეგულირებელი მოთხოვნები ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს კომერციული ბანკების მომგებიანობაზე. გარკვეული ტიპის საკრედიტო და საინვესტიციო აქტივობების შეზღუდვამ, კაპიტალის სავალდებულო რეზერვებთან ერთად, შეიძლება შეზღუდოს ბანკების შესაძლებლობა გამოიმუშავონ უფრო მაღალი შემოსავლები. საოპერაციო შეზღუდვები: რეგულაციებს შეუძლიათ დააწესონ საოპერაციო შეზღუდვები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკების სისწრაფესა და ეფექტურობაზე.*

საკვანძო სიტყვები: *რეგულირების სამართლიანობა; საბანკო რეგულაციები - რისკებზე დაფუძნებული; ხელს უწყობს ინოვაციას; მომხმარებელთა დაცვა; პასუხისმგებლობა.*

საბანკო რეგულაციები, ზოგადად, შექმნილია ფინანსური სისტემის სტაბილურობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად, მომხმარებლების დასაცავად და კრიზისების თავიდან ასაცილებლად. თუმცა, თუ კარგად არ არის შემუშავებული ან განხორციელებული, მათ შეუძლიათ გაამწვავონ სხვადასხვა ტიპის ფინანსური კრიზისი. შესაბამისად, საბანკო რეგულაციებით შექმნილი კრიზისების დაძლევის შედეგები და სტრატეგიები მორგებული უნდა იყოს საქართველოს საბანკო სექტორის კონკრეტულ კონტექსტზე და მის მარეგულირებელ გარემოზე. რეგულაციებით შექმნილი კრიზისები შესაძლოა ასე წარმოგვიდგეს პრაქტიკაში:

მკაცრი რეგულირება და შემცირებული დაკრედიტება - თუ საქართველოში საბანკო რეგულაციები ზედმეტად გამკაცრდება, მათ შეუძლიათ შეზღუდონ ბანკების სესხის გაცემის შესაძლებლობა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (SME), რომლებიც გადამწყვეტია ეკონომიკური ზრდისთვის. მაგალითად: ზედმეტად მაღალმა კაპიტალმა ან დაკრედიტების მკაცრმა კრიტერიუმებმა შეიძლება შეზღუდოს კრედიტის ხელმისაწვდომობა, შეანელოს ბიზნესის გაფართოება და ეკონომიკური განვითარება.

რეგულაციებთან შესაბამისობის ხარჯები - შესაბამისობის მაღალმა ხარჯებმა შეიძლება განსაკუთრებით დაამძიმოს პატარა ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები, რაც გამოიწვევს კონკურენციის შემცირებას და პოტენციურ კონსოლიდაციას საბანკო სექტორში. ქართული ბაზარის შემთხვევაში მცირე მოცულობის ბანკებს შეიძლება გაუჭირდეთ რთული მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაბამისობის ინფრასტრუქტურაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების გარეშე.

პროციკლური რეგულაცია[20] - შეიძლება გააძლიეროს ეკონომიკური ვარდნა. კერძოდ, ბანკებმა მოითხოვონ, ეკონომიკური შენელების დროს, შეინარჩუნონ მეტი კაპიტალი, რითაც შემცირდება მათი დაკრედიტების მოცულობა. მაგალითად, თუ ქართულ ბანკებს მოეთხოვებათ კაპიტალის ბუფერების გაზრდა რეცესიის დროს, ამან შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო კრიზისი და გააუარესოს ეკონომიკური მდგომარეობა.

მარეგულირებელი არბიტრაჟი - რეგულაციების არათანმიმდევრულმა გამოყენებამ ან აღსრულებამ შეიძლება გამოიწვიოს მარეგულირებელი არბიტრაჟი, სადაც ფინანსური ინსტიტუტები იყენებენ მარეგულირებელ ხარვეზებს უფრო მაღალი რისკის მისაღებად. მაგ: საქართველოსა და მეზობელ ქვეყნებს შორის

[20] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო ჩარჩოს - რისკების შეფასების საერთო პროგრამის (GRAPE) სახელმძღვანელო – https://shorturl.at/eW42B

მარეგულირებელ სტანდარტებში განსხვავებულმა სტანდარტებმა, შესაძლოა წაახალისოს ბანკები, გადაიტანონ სარისკო საქმიანობები იურისდიქციებში, რომლებსაც აქვთ უფრო მსუბუქი რეგულაციები.

ამ გამოწვევების დასაძლევად, რა თქმა უნდა, საჭიროა შევიმუშავოთ გარკვეული სტრატეგიები. ვფიქრობ, ეს გზები და სტრატეგიები რამდენიმე ასპექტად უნდა ჩამოვაყალიბოთ:

მოქნილი მარეგულირებელი ჩარჩოების დანერგვა - შევიმუშავოთ მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებსაც შეუძლიათ შეცვალონ ეკონომიკურ პირობებზე დაყრდნობით, ისეთი მოთხოვნები, როგორიცაა კონტრციკლური კაპიტალის ბუფერები, რომლებიც შეიძლება შემცირდეს ეკონომიკური ვარდნის დროს დაკრედიტების მხარდასაჭერად. სებ-მა შეიძლება განახორციელოს კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი, რათა დაეხმაროს ბანკებს შეინარჩუნონ საკრედიტო შესაძლებლობები ეკონომიკური შენელების დროს.

პროპორციული რეგულაცია - მარეგულირებელი მოთხოვნების მორგება ბანკების ზომასა და სირთულეზე, რათა შეამციროს ტვირთი მცირე ინსტიტუტებზე და ხელი შეუწყოს კონკურენტუნარიან საბანკო სექტორს. სებ-ს შეუძლია დაამყაროს პროპორციული მიდგომა რეგულირების მიმართ, რაც უზრუნველყოფს, რომ პატარა ბანკებს უფრო დიდ და უფრო რთულ ინსტიტუტებთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებად უხეში მოთხოვნები ჰქონდეთ.

შესაბამისობის პროცესების გამარტივება - გამარტივდეს მარეგულირებელი შესაბამისობის პროცესები, შესაძლებლობის შემთხვევაში, მარეგულირებელი ტექნოლოგიის (RegTech) გადაწყვეტილებების მიღებით, რომლებიც ავტომატიზირებენ შესაბამისობის ამოცანებს. მაგალითად, ქართული ბანკების წახალისება, გამოიყენონ RegTech გადაწყვეტილებები ანგარიშგების და შესაბამისობის შემოწმების ავტომატიზაციისთვის, რითაც შეამცირებს ხარჯებს და აუმჯობესებს ეფექტურობას.

მარეგულირებელი კოორდინაციის გაძლიერება - გააუმჯობესდეს კოორდინაცია სებ-სა და სხვა მარეგულირებელ ორგანოებს შორის, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო დონეზე, რეგულაციების თანმიმდევრული და სწორი გამოყენების უზრუნველსაყოფად. სებ-ს შეუძლია გააძლიეროს თანამშრომლობა რეგიონალურ და საერთაშორისო ფინანსურ მარეგულირებლებთან, სტანდარტების გათანაბრებისა და მარეგულირებელი არბიტრაჟის შესაძლებლობების შესამცირებლად.[21]

წყარო:[21] საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
https://matsne.gov.ge/ka/document/view/5451970?publication=0

რეგულაციების მუდმივი განხილვა და კორექტირება - განუწყვეტლივ უნდა გადაიხედოს მარეგულირებელი ჩარჩოები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ეფექტურობა და არ შექმნან გაუთვალისწინებელი ან უარყოფითი შედეგები. სებ-ს შეუძლია დაამყაროს საბანკო რეგულაციების პერიოდული განხილვის პროცესი, რათა შეაფასოს მათი გავლენა და შეიტანოს საჭირო კორექტივები ეკონომიკური ზრდისა და ფინანსური სტაბილურობის მხარდასაჭერად.

ფინანსური წიგნიერების და ინკლუზიის ხელშეწყობა - უნდა გაძლიერდეს ფინანსური წიგნიერება და ინკლუზიური ინიციატივები, რათა უზრუნველყოფილი იყოს, ბიზნესებმა და მომხმარებლებმა გააცნობიერონ მარეგულირებელის ცვლილებები და შეძლონ შესაბამისად ადაპტირება. აუცილებელია კიდევ უფრო მეტად აწარმოოს სებ-მა ფინანსური წიგნიერების პროგრამები, რომლებიც მიმართულია მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ, რათა დაეხმაროს მათ ახალი რეგულაციების გაგებაში და ხელმისაწვდომი ფინანსური პროდუქტების ეფექტურად წვდომაში.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა - სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კიდევ უფრო გააქტიურდეს და შემუშავდეს მცირე და საშუალო ბიზნესის (MSME) მიზნობრივი მხარდაჭერის მექანიზმები, როგორიცაა სესხების გარანტია ან სუბსიდირებული დაფინანსების ვარიანტების უზრუნველყოფა, რათა მათ კვლავ ჰქონდეთ კრედიტზე წვდომა. საქართველოს მთავრობას, სებ-თან თანამშრომლობით, შეუძლია დანერგოს საკრედიტო გარანტიის სქემები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მხარდასაჭერად, ბანკებისთვის რისკის შემცირებით.[22]

ამ სტრატეგიების მიღებით, სებ-სა და მთავრობას შეუძლია თავიდან აირიდოს საბანკო რეგულაციების პოტენციური ნეგატიური ზემოქმედება და ხელი შეუწყოს უფრო მდგრად და დინამიურ ფინანსური სექტორს, რომელიც მხარს უჭერს ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობას. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო რეგულაცია აუცილებელია სტაბილური და სანდო ფინანსური სისტემის შესანარჩუნებლად, ის ასევე წარმოადგენს გამოწვევებს კომერციული ბანკებისთვის. ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფასა და ბანკებს ეფექტურად და მომგებიანად მუშაობის შესაძლებლობას შორის ბალანსი დელიკატურია. ეფექტური რეგულაცია უნდა მიზნად ისახავდეს რისკების შერბილებას და მომხმარებლების დაცვას ბანკებისთვის ზედმეტი ტვირთის დაკისრების გარეშე, რაც მათ საშუალებას მისცემს წვლილი შეიტანონ ეკონომიკურ ზრდასა და ინოვაციებში.

[22] წყარო: ბიზნეს უნივერსალი: https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/Business-Universal

კვლევის ძირითადი ნაწილი წარმოადგენს კომერციული ბანკების თანამშრომლების აზრს რეგულაციების შესახებ, რადგანაც, ისინი ხედავენ ორივე მხარეს: როგორც მომხმარებლის მხრიდან არასასურველ შედეგს, ასევე, ორგანიზაციის მხრიდან. მარტივად ავლენს სამუშაო პროცესებში არსებულ დაბრკოლებებს, რაც რეგულაციების გამო იქნა წარმოქმნილი.

პირველი, ყველაზე დიდი პრობლემა, რაც კვლევამ გვაჩვენა არის - ქვეყანაში არსებული ფინანსური განათლების დონე. საზოგადოების უმრავლესობას არ გააჩნია საბაზისო ფინანსური განათლება, რაც შესაძლებლობას მისცემს მიიღოს სწორი ფინანსური გადაწყვეტილება. ეს ყოველივე, ბანკებთან ურთიერთობის დროს იწვევს ხშირ შემთხვევაში უნდობლობას, გაურკვევლობას, სტანდარტების ვერ აღქმას, ზოგჯერ კონფლიქტებსაც კი. აქედან გამომდინარე, ბანკებსაც ურთულდებათ ყველა რეგულაციების ზედმიწევნით დაცვა.

ასევე კვლევაში გამოიკვეთა ინფორმაციის ნაკლებობა, თანამშრომლებს სურთ ჩატარდეს კიდევ უფრო მეტი ტრენინგი, ვორქშოფი, სადაც შეძლებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, უკეთესად აღიქვამენ მიღებულ ცვლილებს და შეისწავლიან არსებულ სტანდარტებს. ეს ყველაფერი გამომდინარეობს თანამშრომელთა სტაჟიდან, რადგან ძირითადად დასაქმებული არის 2 წლამდე გამოცდილების მქონე კადრები. ასევე, სახელმწიფოს მხრიდან საგანმანათლებლო პროექტების სიმწირე გასათვალისიწნებელი და საყურადღებოა.

მარეგულირებელი ორგანო და კომერციული ბანკები გამუდმებით მუშაობენ, რათა მოერგონ დროთა ცვლას, ტექნოლოგიურ და სოციალურ განვითარებას. შესაბამისად, მათი ურთიერთშეთანხმებული მუშაობა აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელი ორიენტირებულია მომხმარებელთა დაცვაზე, ხოლო კომერციული ბანკები - გამოიმუშავონ რაც შეიძლება მეტი მოგება. სწორი და მოქნილი საბანკო რეგულაციები მოითხოვს ფინანსური სტაბილურობის აუცილებლობის დაბალანსებას ინოვაციებისა და მოქნილობის ხელშეწყობასთან ერთად. მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე ასპექტი, რაც განსავითარებელია როგორც რეგულატორის მხრიდან, ასევე ამ რეგულაციების შემსრულებელი, კომერციული ბანკების მხრიდანაც.

რისკზე დაფუძნებული რეგულაცია - პროპორციულობა - რეგულაციები ფინანსური ინსტიტუტების ზომის, სირთულის და რისკის პროფილის პროპორციულადუნდა იქნას მიღებული და გატარებული. მცირე დაწესებულებებს არ უნდა შეექმნათ იგივე მარეგულირებელი ტვირთი, როგორც მსხვილ, ბანკებს. ასევე აუცილებელია დინამიური რისკის შეფასება - რეგულარულად უნდა განახლდეს რისკების შეფასებები, რათა ასახოს ცვლილებები ეკონომიკურ გარემოში და აღმოცენებული რისკები.

ინოვაციების წახალისება - უნდა შეიქმნას გარემო, სადაც ფინანსურ ინსტიტუტებს შეუძლიათ შეამოწმონ ახალი პროდუქტები და სერვისები მარეგულირებლის ზედამხედველობით, მაგრამ რეგულირების სრული ტვირთის გარეშე. ამასთანავე, აუცილებელია დარწმუნებული ვიყოთ, რომ რეგულაციები ადაპტირდება ახალ ტექნოლოგიებთან და არ ემხრობა ან აფერხებს კონკრეტულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს.

მომხმარებელთა დაცვა - საჭირო და აუცილებელია, რომ ბანკები აწვდიან მკაფიო, გასაგებ ინფორმაციას მათი პროდუქტებისა და სერვისების შესახებ, რაც ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში. ეროვნულმა ბანმა თავისი რეგულაციებით უნდა დაიცვას მომხმარებლები მტაცებლური პრაქტიკისგან და უზრუნველყოთ ფინანსური სერვისების სამართლიანი წვდომა.

უწყვეტი მიმოხილვა და კორექტირება - რეგულარულად უნდა გადაიხედოს და შეცვალოს რეგულაციები ფინანსურ სექტორში და უფრო ფართო ეკონომიკაში ცვლილებებთან უფრო ყურადღება გვმართებს. მაგ: სამომხმარებლო სესხების ვადის ცვლლება ბოლო წლებში რამდენჯერმე მოხდა რამაც დააზიანა მხოლოდ მომხმარებლები. უნდა გაღრმავდეს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია, როგორიცაა ინდუსტრიის პროფესიონალები, ანალიტიკოსები, მომხმარებელთა ჯგუფებთან და ექსპერტებთან მარეგულირებელი ცვლილებების ინფორმირებისთვის.

ტექნოლოგიების გამოყენება RegTech: უნდა წაახალისდეს მარეგულირებელი ტექნოლოგიის გამოყენება შესაბამისობის ეფექტურობის გასაუმჯობესებლად და ხარჯების შესამცირებლად. კიდევ უფრო მეტ მონაცემთა ანალიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის მონიტორინგისა და განვითარებადი რისკების იდენტიფიცირებას.[23]

მარეგულირებელი ორგანოს გარდა პასუხისმგებლობა ასევე აქვს კომერციულ ბანკებსაც, მათი მხრიდან უნდა იქნას კვალიფიკაციის ამაღლების მრავალი პროექტის განხორციელება, სადაც ჩართავენ თანამშრომლებს. მოგეხსენებთ, და კვლევამაც კარგად ასახა საბანკო სექტორში დასაქმებულთა სტაჟი უმრავლეს შემთხვევაში არ აღემატება 2 წელს, რაც ამ სექტორში კადრების არყოლას, დიდ გადინებასა და არასტაბილურობას განსაზღვრავს. შესაბამისად, არაპროფესიონალი და კვალიფიკაციის არმქონე კადრები განაპირობებს რეგულაციების დაუცველობას, მომხმარებლამდე ინორმაციის სწორად მიტანას და მისთვის გასაგებ ენაზე გადაცემას. ამ ყველაფერს გარეგანი ფაქტორებიც ახლავს, რაც გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. მიუხედავად ამისა გადასახედია სახელფასო

[23] წყარო: ტექნოლოგიების გამოყენება - https://shorturl.at/A86Ff

პოლიტიკა, რათა დასაქმებულს გაუჩნდეს სურვილი დარჩეს სტაბილურად ორგანიზაციებში და აიმაღლოს კვალიფიკაცია.[24]

ყველაზე მეტად საყურადღებოდ იკვეთება - ფინანსური განათლების ამაღლება. ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების 80% ვერ იღებს სწორ ფინანსურ გადაწყვეტილებებს, ვერ განსაზღვრავს ფინანსურ რისკებს და ხშირ შემთხვევაში ვხვდებით პრობლემურ პორთფელებს, სასამართლო პროცესებს და სხვა არასასიამოვნო პროცედურებს. ეს ყველაფერი კი იწვევს ნდობის დაკარგვას საბანკო სექტორის მიმართ. რეპუტაციული ზიანი ადგება, როგორც მარეგულირებელ ორგანოს, ასევე, კომერციულ ბანკებსაც. შესაბამისად, საჭიროა რეგიონებში მოხდეს საგანამანათლებლო პროექტების განხხორციელება. განსაკუთრებით, ფერმერებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენებლებისათვის, რომლებსაც არ აქვთ საშუალება დაიქირაონ ფინანსური მრჩევლები, გაეცნონ და გაიგონ უახლესი ინფორმაცია. ეს პროექტები კი საშუალებას მისცემს მათ განსაზღვრონ დრო და მასშტაბურობა ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ამრიგად, სწორი და მოქნილი საბანკო რეგულირების ჩარჩოს შექმნა აუცილებელია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, ინოვაციების ხელშეწყობისა და მომხმარებლების დასაცავად. ასეთი ჩარჩო უნდა იყოს დინამიური და ადაპტირებადი, რომელსაც შეუძლია განვითარდეს ცვალებად ფინანსურ ლანდშაფტთან ერთად რისკის მართვისა და მომხმარებელთა დაცვის ძირითადი პრინციპების შენარჩუნებით. ამ ბალანსის მიღწევის გასაღები არის რისკზე დაფუძნებული, პროპორციული რეგულაციების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ინსტიტუტების ზომასა და სირთულეს, ასევე ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობს ინოვაციას მარეგულირებელი სავარჯიშოების და ტექნოლოგიურად ნეიტრალური პოლიტიკის მეშვეობით. გამჭვირვალობა, სამართლიანი მოპყრობა და მომხმარებელთა მტკიცე დაცვა გადამწყვეტია საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად და ფინანსურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

უფრო მეტიც, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა ძლიერი კაპიტალისა და ლიკვიდურობის მოთხოვნებით, ადაპტირებულ მარეგულირებელ პროცესებთან და საერთაშორისო კოორდინაციასთან ერთად, შეიძლება დაეხმაროს სისტემური რისკების შერბილებას. ტექნოლოგიების გამოყენება, როგორიცაა RegTech და მოწინავე მონაცემთა ანალიტიკა, აძლიერებს რეგულირების ეფექტურობას და რეაგირებას. ახლად წარმოშობილი რისკების განხილვა, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება და კლიმატის ცვლილება, და ამ მოსაზრებების მარეგულირებელ ჩარჩოში ინტეგრირება,

[24] წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი -https://nbg.gov.ge/about-us/structure

უზრუნველყოფს საბანკო სექტორის გამძლეობას მომავალი გამოწვევების მიმართ. ძლიერი მმართველობა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები კიდევ უფრო აძლიერებს მარეგულირებელ ბაზას, რაც უზრუნველყოფს ეფექტურ ზედამხედველობას და საზოგადოების ნდობას. ამასთანავე, მზარდი გლობალიზებული ფინანსური სისტემის პირობებში საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანოებთან კოორდინაცია აუცილებელია. სტანდარტების ჰარმონიზაცია და გლობალური ფინანსური სტაბილურობის ინიციატივებზე თანამშრომლობა ხელს უწყობს მარეგულირებელი არბიტრაჟის თავიდან აცილებას და უზრუნველყოფს გლობალურ ფინანსურ რისკებზე ერთობლივ რეაგირებას.

ფინანსური ინკლუზიის ხელშეწყობა და ფინანსური წიგნიერების მხარდაჭერა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ძლიერი და მოქნილი საბანკო სისტემის სარგებელი საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

ამრიგად, სწორი და მოქნილი საბანკო რეგულირების ჩარჩო უნდა იყოს ყოვლისმომცველი, ადაპტირებული და ინკლუზიური. მან უნდა დააბალანსოს მკაცრი ზედამხედველობის აუცილებლობა ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და მოქნილობა ინოვაციებისა და ზრდის წახალისებისთვის. რისკზე დაფუძნებულ და პროპორციულ რეგულაციებზე ფოკუსირებით, ინოვაციების ხელშეწყობით, მომხმარებელთა დაცვის უზრუნველყოფით, ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობით და აღმოცენებული რისკებით, მარეგულირებლებს შეუძლიათ შექმნან გამძლე და დინამიური საბანკო სექტორი. ეს დაბალანსებული მიდგომა არა მხოლოდ იცავს ფინანსურ სისტემას, არამედ უზრუნველყოფს მის სარგებლობას საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის, რითაც მხარს უჭერს მდგრად ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1.კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2022 წ . 548 გვ.

2. ღუდუშაური ლ., საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2020 წ. 201 გვ.

3. ბარბაქაძე ხ., - საბანკო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის განმტკიცების აუცილებლობა, ჟურნალი „ეკონომიკა“ 2018 წ.

4. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., – „საბანკო საქმის საფუძვლები“, თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2013. – 334 გვ.

5. ნამორაძე ვ., - ბანკები საქართველოში https://forbes.ge/news/1710/bankebisaqarTveloSi, EY საქართველო. 04 ნოემბერი, 2019 • ფინანსები
6. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ კონსოლიდირებული ვერსია (საბოლოო)
7. *Barringer Bruce R.; Ireland Duane R. "Entrepreneurship: Successfully Launching New Ventures, Global Edition . 2021. 624 P*
8. *Bruce R. Barringer, R. Duane Ireland, Entrepreneurship SUCCESSFULLY LAUNCHING NEW VENTURES SIXTH EDITION, 2019 y. 382 p.*
9. *www.nbg.ge - საქართველოს ეროვნული ბანკი*

Banking regulations, possible crises and ways to overcome them

Khatuna Shalamberidze
Doctor of Economics, Associate Professor
Akaki Tsereteli State University
khatuna.shalamberidze@atsu.edu.ge

Summary

These regulations are designed to maintain the integrity of the financial system, protect consumers, and ensure that banks operate in a sound and prudent manner. However, the impact of these regulations on commercial banks is multifaceted and can influence their activities both positively and negatively. In particular: Stability and Trust: One of the primary benefits of banking regulation is the enhancement of financial stability. Regulations such as capital adequacy requirements, established under the Basel Accords, ensure that banks maintain sufficient capital buffers to absorb losses. Consumer Protection: Regulations aimed at consumer protection, such as those enforcing transparency in lending practices and safeguarding depositor funds, help to build consumer confidence in the banking system. Risk Management: Regulatory frameworks require banks to implement robust risk management practices. This includes regular stress testing, risk assessments, and adherence to liquidity requirements. Such measures compel banks to adopt more prudent and risk-averse strategies, potentially leading to more sustainable long-term growth. Compliance Costs: One significant drawback of stringent banking regulation is the associated compliance costs. Banks must invest heavily in regulatory compliance infrastructure, including systems, processes, and personnel. Smaller banks, in particular, may find these costs burdensome, potentially stifling competition and innovation within the sector. Reduced Profitability: Regulatory requirements can also impact the profitability of commercial banks. Restrictions on certain types of lending and investment activities, along with mandatory capital reserves, can limit banks' ability to generate higher returns. Operational Constraints: Regulations can impose operational constraints that affect the agility and efficiency of banks.

Keywords: Fairness of regulation; Bank regulations - risk-based; encouraging innovation; consumer protection; Responsibility.

საწარმოს ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემა

გიორგი ფოფხაძე
ასოცირებული პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
giorgi.popkhadze@atsu.edu.ge

ანოტაცია. *საბაზრო ეკონომიკის ურთიერთობების პროცესში, საწარმოს ფინანსური პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასებისათვის ხშირად იყენებენ ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებელთა სისტემის სხვადასხვა კოეფიციენტებს, რომლებიც საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის და მის მიერ გატარებული ფინანსური პოლიტიკის განსხვავებულ ასპექტებს ახასიათებენ, სადაც ძირითადად ხუთი მიმართულება გამოიყოფა. საწარმოს მთლიანი მდგომარეობისა და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრისათვის მათ დიდი როლი ენიჭება. იმისათვის, რომ შევადაროთ ორი საწარმოს ფინანსური კოეფიციენტები, ისინი საკმარისი არ იქნებიან. საბოლოო შეფასებისათვის, რადგან ერთი საწარმოო მაღალი საქმიანი აქტიურობით და ლიკვიდურობის კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა, მეორე კი მას შეიძლება აღემატებოდეს მაღალი რენტაბელობითა და კაპიტალის ეფექტური სტრუქტურით. გამომდინარე აქედან, მსგავსი სიტუაციების შეფასებისათვის უნდა დადგინდეს თითოეული გამოყენებული კოეფიციენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რასაც გარკვეული სირთულეები ახლავს. ნაშრომში ცალ-ცალკე განხილულია და შესაბამისი გაანგარიშებებია გაკეთებული ძირითადი მაჩვენებლებისა სხვადასხვა კოეფიციენტებით. ამ კოეფიციენტებით შესაძლებელია საწარმოს ფინანსური პოლიტიკის შეფასება. რომლის საფუძველზეც დადგინდება საქმიანობის რომელ ასპექტს შეაქვს უფრო დიდი წილი წარმოების ღირებულების შექმნაში და რომელი მიმართულება საჭიროებს დახვეწასა და გაუმჯობესებას.*

საკვანძო სიტყვები: *საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური პოლიტიკის შეფასება*

საწარმოს ფინანსური პოლიტიკის შემუშავებისა და შეფასებისათვის ხშირად იყენებენ სხვადასხვა კოეფიციენტებს, რომლებიც საწარმოს საქმიანობის და მის მიერ გატარებული პოლიტიკის განსხვავებულ ასპექტებს ახასიათებენ.

ამ მხრივ გამოიყოფა ხუთი ძირითადი მიმართულება: საწარმოოს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებლები, ფინანსური სტაბილურობის (კაპიტალით უზრუნველყოფის) მაჩვენებლები, რენტაბელობის მაჩვენებლები და საქმიანი აქტივობის მაჩვენებლები. თითოეულ ამ კომპონენტს დიდი როლი ენიჭება საწარმოს მთლიანი მდგომარეობის და მისი მომავალი პერსპექტივების განსაზღვრისათვის. ასე მაგალითად, ქონებრივი მდგომარეობის კოეფიციენტები ახდენენ საწარმოს ძირითადი აქტივების შემადგენლობის და ხარისხის შეფასებას.

ლიკვიდურობის სხვადასხვა მაჩვენებლები კი, ერთის მხრივ, ადგენენ რამდენად უზრუნველყოფს საწარმოს აქტივებისა და პასივების სტრუქტურას მის მიმდინარე გადახდისუნარიანობას. ადგენენ რამდენადაა შესაძლებელი ვალდებულების შესრულება მიმდინარე საქმიანობით, ანუ საბრუნავი კაპიტალიდან. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები კონცენტრირდება ბალანსის პასივის მხარეს და ახდენს კაპიტალის სტრუქტურის ეფექტურობის ანალიზს.

რენტაბელობის მაჩვენებლები კი აკმაყოფილებენ კავშირს საწარმოს საბალანსო, ანუ ქონებრივ მაჩვენებლებსა და მის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს შორის, რითაც აფასებენ საწარმოოს მომგებიანობას.

საქმიანი აქტიურობის მაჩვენებლები აჩვენებენ, თუ რამდენად ინტენსიურად გამოიყენება საწარმოოს აქტივები ბაზარზე ოპერაციებისათვის. იმისთვის, რომ შედარებული იქნეს ორი საწარმოს ფინანსური კოეფიციენტი, საკმარისი არ არის მათი ცალკეული მნიშვნელობების შეფასება, რადგან ისინი არაერთგვაროვან შედეგებს იძლევიან. კერძოდ, თუ ერთი საწარმო მაღალი საქმიანი აქტიურობით გამოირჩევა და ასევე ლიკვიდურობის კარგი მაჩვენებლები გააჩნია. მეორე შეიძლება მას აღემატებოდეს მაღალი რენტაბელობითა და კაპიტალის ეფექტური სტრუქტურით. ამდენად, მსგავსი სიტუაციების შეფასებისათვის აუცილებელია თითოეული გამოყენებული კოეფიციენტის ხვედრითი წილის დადგენა საბოლოო შეფასებაში, რაც რიგ მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ სირთულეებს აწყდება.

საწარმოსათვის – ლიკვიდურობა, რენტაბელობა თუ აქტივების ეფექტური გამოყენება. საწარმოოს ღირებულების შეფასება კი, ამ მხრივ იძლევა ასეთი წინააღმდეგობის გადაჭრის საშუალებას. კერძოდ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება საწარმოს საბაზრო მიმდინარე ღირებულებას, რომელიც მისი ფუნქციონირების ეფექტურობის განზოგადოებულ მაჩვენებლებს წარმოადგენს და მისი მფლობელობის მიერ მათი საქმიანობიდან მიღებულ ნაღდ ფულად ნაკადებს

განიხილავს საწარმოს საქმიანობის ძირითად საფუძვლად, მიზნად და შეფასების კრიტერიუმად. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელით შესაძლებელია საწარმოს ქონებრივ-ფინანსური საქმიანობის კოეფიციენტების ინტერპრეტაცია და მათი ზემოქმედების სხვადასხვა ასპექტის მოდელირება.

განვიხილოთ საწარმოს ფინანსური ბერკეტის (Financial Leverage) ზემოქმედება. ჩვეულებისამებრ, ფინანსური ბერკეტი განისაზღვრება, როგორც საკუთარი და მოზიდული სახსრების შეფარდება. რაოდენობრივად კი იგი ტოლია წმინდა მოგების ზრდის შეფარდების, გადასახადებამდე და პროცენტების გადახდამდე მოგების ზრდის ტემპთან:

$$DFL_1 = \frac{\frac{\Delta NI}{NI}}{\frac{\Delta GI}{GI}} = \frac{GI}{GI - I_n} \qquad (1)$$

სადაც I_1 არის გადახდილი პროცენტები მოზიდულ კაპიტალზე,

ΔNI - არის წმინდა მოგების ცვლილების ტემპი,

ΔI - წმინდა მოგება,

ΔGI - პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე მოგების ცვლილება,

GI – მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე.

რამდენადაც უფრო მაღალია მოზიდული სახსრების წილი, იმდენად უფრო მეტია ფინანსური ბერკეტი და, შესაბამისად, უფრო მაღალია წმინდა მოგებაზე ზემოქმედება. კერძოდ, ფინანსური ბერკეტის გამოყენება შესაძლებელია საკუთარ კაპიტალზე რენტაბელობის ზრდისთვის.

შემოვიღოთ აღნიშნები:

EK – საკუთარი კაპიტალი,

ΔEK - საკუთარი კაპიტალის ცვლილება,

FK – მოზიდული კაპიტალი,

I – მოზიდულ სახსრებზე გადასახდელი პროცენტები,

i_k – მთლიანი კაპიტალის შემოსავლიანობა,

G – წმინდა მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდის შემდეგ,

S_G – მოგების გადასახადის განაკვეთი.

ცხადია, რომ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა მოზიდული სახსრებით ჩანაცვლებისას შესაძლებელი იქნება მთლიან კაპიტალზე და მოზიდულ სახსრებზე საპროცენტო განაკვეთების განსხვავების მეშვეობით.

როგორც წესი, საწარმოს მიერ მოზიდული სახსრებისათვის გადასახდელი პროცენტები უფრო დაბალია, ვიდრე საწარმოს კაპიტალზე შემოსავალი. ამდენად, თუ მენეჯერი საკუთარ კაპიტალს ჩაანაცვლებს მოზიდული სახსრებით, მაშინ გაიზარდება საკუთარ კაპიტალზე შემოსავლიანობა და ტოლი იქნება:

$$\frac{G+\Delta G}{EK+\Delta EK}=\frac{G}{EK}+\frac{\Delta EKiEK(1-s)-G}{EK\quad EK+\Delta EK}=\frac{G}{EK}=\frac{\Delta EK}{EK}(1-s_g)(i-ik)\frac{FK+EK}{EK+\Delta EK} \qquad (2)$$

ცხადია რომ, თუ ხდება საკუთარი კაპიტალის ჩანაცვლება, ანუ $\Delta EK<0$ მაშინ იმისათვის, რომ გაიზარდოს საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა, აუცილებელია, რომ მოზიდული კაპიტალის გადასახდელი პროცენტი არ აღემატებოდეს საწარმოოს მთლიანი კაპიტალის შემოსავლიანობას:

$i<i_k$ (3)

ცხადია რომ, რაც უფრო მცირდება საწარმოში საკუთარი კაპიტალის წილი, მით მეტ გავლენას ახდენს მოზიდული სახსრებისათვის გადახდილი პროცენტები საკუთარი კაპიტალის რენტაბელობაზე. როგორც წესი, საკრედიტო კომპანიები საწარმოებს საკუთარი კაპიტალით დაბალი უზრუნველყოფის პირობებში უფრო მაღალ სარგებელს ითხოვენ, რამაც შეიძლება (3)-ის დარღვევა და საკუთარი კაპიტალის მოზიდულით ჩანაცვლების შეჩერება გამოიწვიოს.

გარდა ამისა, არსებობს კიდევ ერთი სირთულე – რაც უფრო დიდია ფინანსური ბერკეტი, მით უფრო არაწრფივადაა გადასახადებისა და პროცენტების გადახდამდე მოგება და წმინდა მოგება ერთმანეთთან დაკავშირებული.

ამდენად, ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მცირე ცვლილებაც დიდ გავლენას ახდენს წარმოების წმინდა მოგებაზე. შესაბამისად, იზრდება საწარმოს ფინანსური რისკიც: საპროცენტო დანახარჯები ითვლება მუდმივ ხარჯებად, ამდენად, წარმოების მუდმივი ხარჯების წილი იზრდება, რაც ნაკლებელასტიურს ხდის მისი წარმოების ფუნქციას და ბაზარზე არასასურველი ტენდენციების განვითარების შემთხვევაში ზრდის გაკოტრების საფრთხეს.

რადგან ბრუნვის შემცირების შემთხვევაში ხარჯების შემცირების შეზღუდული შესაძლებლობებია მენეჯმენტის განკარგულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთმოყვანილი მსჯელობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს საქმიანიობის ეფექტურობის გასაუბჯობესებლად, ის არ მოიცავს მექანიზმს, თუ როგორ უნდა მოხდეს ფინანსური ბერკეტის სიდიდის ოპტიმიზაცია საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიზნის – მისი ღირებულების მაქსიმიზაციის მისაღწევად.

განვიხილოთ საწარმოოს ღირებულების ნაღდი ფულადი ნაკადების მოძრაობის საფუძველზე შეფასების გამარტივებული მოდელი. შემოვიღოთ დამატებითი აღნიშვნები:

FA – ფინანსური დაბანდება;

SAV – ძირითადი საშუალებები;

NU – რეალიზებული საქონლისა და პროდუქციიდან შემოსავალი;

BA – საწარმოო (ოპერატიული) ხარჯები, ამორტიზაციის რეზერვებისა და პროცენტების გარეშე;

A – ამორტიზაცია;

Z –გადახდილი ნეტო პროცენტები;

S – გადახდილი გადასახადები;

S_G- მოგება/შემოსავლის გადასახადი;

s_G – მოგების გადასახადის განაკვეთი;

MO – მოგება;

D – დივიდენდი;

RI – რეინვესტიცია;

KE – კაპიტალის ზრდა;

CF – თავისუფალი ფულადი ნაკადები;

NPW –წარმოების მიმდინარე ღირებულება;

t – საანგარიშო პერიოდის ერთეული.

სიმარტივისათვის დაშვებულია, რომ ფინანსური დაბანდებისა და მოზიდული სახსრების საპროცენტო განაკვეთები ერთმანეთის ტოლია. ასევე, არ ვაკონტროლებთ ცალკეული გადასახადების გავლენას საწარმოს ღირებულებაზე, რამდენადაც ის განსახილველი საკითხისათვის გადამწყვეტ როლს არ თამაშობს. საწარმოს საბალანსო ტოლობიდან გამომდინარე:

$$I_t - A_t + \Delta FA = RI_t + \Delta F_t + KE_t \qquad (4)$$

კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშიდან კი შეიძლება დავადგინოთ, რომ:

$$MO_t = NU_t - BA_t - A_t - Z_t - S_t \qquad (5)$$

წარმოების მოგებას და მის საბალანსო ტოლობას შორის კი არსებობს კავშირი მოგების განაწილების და საკუთარი კაპიტალის ცვლილების სახით, რომელიც შეიძლება გამოიხატოს კომპანიის და მისი მფლობელის მხრიდან:

$$CF_t = D_t - KE_t \qquad (7)$$

წარმოების მიმდინარე ღირებულება განისაზღვრება, როგორც მისი თავისუფალი ნაღდი ფულადი ნაკადების დისკონტირებული სიდიდე. როგორც წესი, დისკონტირების კოეფიციენტად გამოიყენება ალტერნატიული დაბანდების საპროცენტო განაკვეთები:

$$NPW = \sum_{t=1}^{n} GF_t (1 + t(1 - s_G))^{-1} \qquad (8)$$

(4)-(8) წარმოადგენს მოდელს საწარმოს ღირებულების მაქსიმიზაციისათვის. თუ მივიღებთ, რომ კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა, ასევე მისი რეალიზაციიდან შემოსავლები და წარმოების დანახარჯები განისაზღვრება ავტომატურად, ამდენად არ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური პოლიტიკის საკითხებს. შეიძლება დადგინდეს, რომ თავისუფალ ცვლადებს წარმოადგენდნენ: საწარმოს მოზიდული სახსრების ცვლილება (ΔFA და ΔF), გასაცემი დივიდენდები, რეინვესტირება, თავისუფალი ფულადი ნაკადები და კაპიტალის ეგზოგენური (წარმოებისაგან დამოუკიდებელი) ცვლილება.

წრფივი პროგრამირების გამოყენებით შესაძლებელია (8)-ის მაქსიმიზაცია. შედეგად მიიღება თავისუფალი ცვლადების ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც საწარმოს ღირებულების მაქსიმიზაციის შესაძლებლობას იძლევა. საწარმოს ფინანსური ბერკეტის გავლენა მის ღირებულებაზე შემდეგნაირად აისახება.

ამისთვის აუცილებელია (4)-(8) მოდელი გარდაიქმნას იმ სახით, რომ მასში ცვლადებად შედიოდნენ არა წარმოების აბსოლიტური მაჩვენებლები, არამედ ფინასური და ქონებრივი მდგომარეობის კოეფიციენტები. ამისთვის კი საჭიროა, რომ (4), როგორც ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი ტოლობა, გაიყოს აქტივების საერთო სიდიდეზე (EK+FK). წარმოების წონასწონური ბიუჯეტის შეზღუდვა (5) უნდა გაიყოს მისი რეალიზაციის საერთო მოცულობაზე (NU).

მოგების და თავისუფალი ფულადი ნაკადების ტოლობების ((6) და (7)) შეფარდება უნდა მოხდეს საკუთარი კაპიტალის სიდიდესთან (EK), რამდენადაც აღნიშნული სიდიდეები სწორედ საკუთარი კაპიტალის ეფექტურობის მაჩვენებლებს წარმოადგენენ. წარმოების ღირებულების განსაზღვრის ამოსავალ წერტილად ჩიათვლება მისი საკუთარი კაპიტალის საწყისი ღირებულება. ასეთი ტრანსფორმაციის და რამდენიმე მარტივი მათემატიკური მოდელის გამოყენებით შესაძლებელია (4)-(8) სისტემის გარდაქმნა ისეთი სახით, რომ მასში ფინანსური ეფექტურობის კოეფიციენტები ასახავდნენ კომპანიის უნარს, გაზარდოს მისი საკუთარი კაპიტალის ღირებულება:

$$\frac{I_t - A_t}{EK_t + FK_t} = \frac{RI_t}{EK_t + FK_t} + \frac{\Delta F_t \Delta - FK_t}{EK_t + FK_t} + \frac{KE_t}{EK_t}\frac{EK_t}{EK_t + FK_t} \qquad (9)$$

$$\frac{MO_t}{NU_t} = \frac{NU_t - BA_t - S_t}{NU_T} - \frac{A_t}{EK_t + FK_t}\frac{EK_t + FK_t}{NU_t} - \frac{Z_t}{NU_t} - \frac{Z_t}{NU_t} \qquad (10)$$

$$\frac{MO_t}{Nu_t} = \frac{RL_t}{EK_t}\frac{EK_t}{NU_t} + \frac{D_t}{EK_t}\frac{EK_t}{NU_t} + \frac{S_{Gi}}{MO_t}\frac{MO_t}{NU_t} \qquad (11)$$

$$\frac{GF_t}{EK_t} = \frac{D_t}{EK_t} - \frac{KE_t}{EK_t} \qquad (12)$$

$$NPV = EK_0 \sum_{t-1}^{n} \frac{GF_t}{EK_t}\frac{EK_t}{EK_o}(1 + i(1 - S_G))^{-1} \qquad (13)$$

ნათლად ჩანს, რომ (9)-(13) სისტემაში თითოეული შეფარდების ინტერპრეტაცია შეიძლება სხვადასხვა ფინანსური კოეფიციენტის სახით, ასე მაგალითად $map = \frac{NU_t - BA_t}{NU_t}$ არის მარჟა, რომელსაც საწარმო იღებს თავისი ძირითადი საქმიანობიდან, $\frac{S_t}{NU_t}$ წარმოადგენს წარმოების საგადასახადო ტვირთს, $\frac{MO_t}{NU_t}$ - გაყიდვების რენტაბელობას. (14)

ფინანსური ბერკეტის სიდიდე ინტერპრეტაცია შეიძლება მოხდეს (9)-ს ბოლო წევრის საფუძველზე $\frac{EK_t}{EK_t + FK_t} = \frac{1}{1 + FK_t / EK_t}$, ხოლო მისი გავლენის ინტენსივობისა კი ამავე ტოლობის ბოლოსწინა წევრის გავლენის შეფასებით. (9)-(13) სისტემის ამოხსნით შესაძლებელია მივიღოთ ტოლობა:

$$NPV = EK_0 \sum_{t-1}^{n} \frac{CF_t}{EK_t} \frac{EK_t}{EK_t} \left[\begin{array}{l} \left(mar_t - \frac{S}{NU_t} \right) \frac{NU_t}{EK_t} (1 - s_G) - \frac{I_t - (\Delta F_t - \Delta FA_t)}{EK_t} + \frac{A_t}{EK_t} S_G - \\ - \frac{Z_t}{NU_t} \frac{NU_t}{EK_t} (1 - s_{R)} \end{array} \right] \quad 15$$

$$(1 + i(1 - S_G))^{-1}$$

ფინანსური ბერკეტის გამოყენების ორი მიმართულება შეიძლება იქნეს არჩეული: პირველი – ახალი ინვესტიციების დაფინანსება მხოლოდ მოზიდული სახსრებით, და მეორე – არსებული საკუთარი კაპირტალის ჩანაცვლება მოზიდული კაპიტალით. ყველა სხვა კომბინაცია, როგორიცაა მაგალითად დაბანდებების შერეული დაფინანსება, შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას ამ ორი მიდგომით:

1) თუ მიმდინარეობს ახალი ინვესტიციების მოზიდული სახსრებით დაფინანსება, მაშინ კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული გამოსახულების მეორე წევრი ნულის ტოლია. ანუ საკუთარი კაპიტალის სიდიდე არ იცვლება. იმდენად, რამდენადაც საწყის მომენტში (15) ოპტიმიზებულია. მოზიდული კაპიტალით დაფინანსებას მაშინ შეიძლება ჰქონდეს აზრი, თუ დაკმაყოლდება შემდეგი ტოლობა:

$$mar > \frac{\Delta F_t}{\Delta NU_t} \qquad (16)$$

2) Uთუ მიმდინარეობს არსებულ პირობებში საკუთარი კაპიტალის ჩანაცვლება მოზიდული სახსრებით, მაშინ ეს არ გამოიწვევს რეალიზაციის ცვლილებას, რადგან აღნიშნული ცვლილება არ ეხება წარმოებასა და ინვესტიციებს - $\Delta NU_t = 0$.

საკუთარი კაპიტალის შემცირება კი ორი მიმართულებით მოქმედებს; ერთი მხრივ, იზრდება თავისუფალი ფულადი ნაკადი ამოღებული საკუთარი კაპიტალის და მოზიდულ სახსრებზე გადასახდელი პროცენტის სახით, ხოლო ეს ხდება მანამდე, სანამდე ეს სიდიდე დადებითია, რადგანაც მაღალი დავალიანების საწარმოებს უფრო მაღალი პროცენტების გადახდა უხდებათ, ხოლო მეორე მხრივ კვადრატულ ფრჩხილებს გარეთ მყოფი წევრი მუდმივად მცირდება, რადგან მისი მნიშვნელი უცვლელია, შედეგად, დროთა განმავლობაში ჩანაცვლების შედეგი უარყოფითი

ხდება, ამდენად იარსებებს წერტილი, როდესაც წარმოების ღირებულება მიაღწევს მაქსიმუმს და კაპიტალის შემდეგი ჩანაცვლება არაეფექტური იქნება.

იარსებებს ობიექტური კრიტერიუმი წარმოების ღირებულების სახით, რომელიც ფინანსური ბერკეტის და შესაბამისად კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმალურ დონეს განსაზღვრავს.

ფინანსური ბერკეტის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრისათვის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ (14)-ის $\frac{Z_t}{NU_t}\frac{NU_t}{EK_t}$ წევრს. მისი პირველი ნაწილი ასახავს წარმოების მიერ გადახდილი პროცენტების შეფარდებას რეალიზაციასთან, რაც უჩვენებს, თუ რამდენად მძიმეა წარმოებისათვის მოზიდული სახსრების მომსახურება. მეორე წევრი წარმოადგენს რეალიზაციის შეფარდებას საკუთარ კაპიტალთან – ე.წ. კაპიტალის ბრუნვადობის კოეფიციენტს. თუ პირველი მათგანის სიმცირე ცალსახად განსაზღვრავს წარმოების ღირებულების ზრდას, და შესაბამისად, უფრო მაღალი ფინანსური ბერკეტის განხორციელების შესაძლებლობას, მაშინ კაპიტალის ბრუნვადობის ზემოქმედება წარმოების ღირებულებაზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია წარმოებას მარჟით გაისტუმროს გადასახადები და პროცენტები:

$$\left(mar - \frac{S_t}{Nu_t} - \frac{Z_t}{NU_t}\right)\frac{NU_t}{EK_t} > 0 \qquad (17)$$

თუ (17) სრულდება, მაშინ რეკომენდირებულია წარმოების კაპიტალის ბრუნვადობის გაზრდა. მაგალითად წარმოების საკუთარი კაპიტალის მოზიდულით ჩანაცვლებით.

ამგვარად, წარმოების ფინანსური ბერკეტის ოპტიმალური სიდიდის შეფასებისას ძირითად კრიტერიუმად გამოყენებულ უნდა იქნას წარმოების ღირებულების მაქსიმიზაციის მოთხოვნა.

(9)-(13) სისტემის მეშვეობით შესაძლებელია წრფივი პროგრამირების და კომპიუტერული უზრუნველყოფის გამოყენებით, დადგენილ იქნეს წარმოების კაპიტალის სტრუქტურის და შესაბამისად ფინანსური ბერკეტის ოპტიმალური დონე, რომელიც უზრუნველყოფს მფლობელების ინტერესების მაქსიმალურ გათვალისწინებას ფინანსური პოლიტიკის შემუშავებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელის განზოგადება სხვა ფინანსურ კოეფიციენტებზეც არის შესაძლებელი. ამისათვის შესაბამისი ტოლობები შემოტანილი უნდა იქნეს (9)-(13) სისტემის შეზღუდვის სახით. მაგალითად, ლიკვიდურობის და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების კომპანიის

ღირებულებაზე ზეგავლენის დასადგენად საბალანსო ტოლობაში (4) ან (9) გათვალისწინებული უნდა იქნეს მაღალლიკვიდური აქტივები – ნაღდი ფული, მოკლევადიანი და საშუალოვადიანი საბრუნავი საშუალებები, ასევე მოკლევადიანი საპროცენტო გადახდები, ხოლო ლიკვიდურობის დასაშვები ფარგლები შემოტანილი იქნეს შეზღუდვების სახით, დამატებით ტოლობებად.

შესაძლებელია ასევე, ამ კოეფიციენტების მიმართ, წარმოების ღირებულების ელასტიურობის გამოთვლით დადგინდეს, საქმიანობის რომელ ასპექტს შეაქვს უფრო მეტი წილი წარმოების ღირებულების შექმნაში. რის საფუძველზეც დადგინდება ის სფეროები, რომლებიც საჭიროებენ გაუმჯობესებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., თაკალანძე ლ. „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“, ინოვაცია, თბილისი, 2007 წ.
2. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ. „საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა“, სოხუმის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2009 წ.
3. გელაშვილი თ., ზარანდია ც. „ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“, გამომცემლობა „უნივერსი“, თბილისი, 2009 წ.
4. ფოფხაძე გ. „ფინანსური მენეჯმენტი“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ქუთაისი, 2017 წ.
5. https/mes.gov.ge
6. https/www.geostat.ge/ka

System of indicators for evaluating the financial and property status of the enterprise

Giorgi Popkhadze
Associate professor
Akaki Tsereteli State University
giorgi.popkhadze@atsu.edu.ge

Summary

In the process of market relations, various coefficients of the indicators are often used for the company's financial policy, which characterize different aspects of the enterprise, and the financial policy pursued by it, where mainly five directions are distinguished. They have a great role in determining the overall state of the enterprise its future prospects. In order to compare the financial rations of two enterprises, they will not be sufficient for the final assessment, because one enterprise is characterized by high business activity and a good liquidity indicator. Second, it profitability and efficient capital structure. Therefore, for the assessment of similar situations, the specific share of each used coefficient in the final assessment should be determined, which is accompanied by certain difficulties. In the paper, the difference of the main indicators with coefficients is discussed separately and relevant calculations are made. With these coefficients, it is possible to evaluate the financial policy of the enterprise, on the basis of which it will be determined which aspect of the activity contributes a greater share to the creation of the production value and in which direction it should be improved and enhanced.

Keywords: financial situation of the enterprise, assessment of financial policy

მეოთხე სექცია

რეგიონალური ეკონომიკური განვითარების ემპირიული შეფასება საქართველოს მაგალითზე

გიგი ელიზბარაშვილი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gelizbarashvili@parliament.ge

ანოტაცია. *სტატიის მიზანია საქართველოს რეგიონების ეკონომიკური განვითარების კუთხით არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი მინიმიზაციის გზების ძიება. ამისათვის შევიმუშავებთ ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი განვითარების შეფასების ინდიკატორებს. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ ქვეყნის დედაქალაქის განვითარების დონესა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისბალანსი.*

საკვანძო სიტყვები: *დისბალანსი, თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტები, ეკონომიკური განვითარების დიაპაზონები.*

შესავალი

ქვეყნის თითოეული რეგიონის თანაბრად განვითარება თანამედროვე პერიოდის მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რასაც ჩრდილქვეშ აყენებს დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი. არ არსებობს ქვეყანა, თუ ის ძალიან მცირე ზომის არ არის, რომელსაც აღნიშნული დისბალანსი არ ახასიათებს. არათანაბარი განვითარების დროს რესურსების დიდი ნაწილი ძირითადად დედაქალაქშია თავმოყრილი და შესაბამისად, რეგიონებთან შედარებით ცხოვრების სტანდარტიც მაღალია, რაც იწვევს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის დედაქალაქში თავმოყრას და რეგიონების დეპოპულაციას. დეპოპულაციის აღმოსაფხვრელად კი საჭიროა მისი მამოძრავებელი ეკონომიკური, პოლიტიკური, ინსტიტუციური თუ სოციო-კულტურული ფაქტორების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ძიება [Plieninger, et al., 2016: 204]. ეკონომიკური ფაქტორებიდან აღსანიშნავია რეგიონში ინვესტიციების სიმცირე, კაპიტალის ხელმიუწვდომლობა და

უმუშევრობა. სოციალური ფაქტორებიდან, ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონში შემოსავლების დაბალი, ხოლო ფასების მაღალი დონე. ინსტიტუციური ფაქტორები ეხება იმ მახასიათებლებსა და ელემენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ინსტიტუტების ფუნქციონირებას და აყალიბებენ საზოგადოებრივ, თუ ორგანიზაციულ ქცევას. პოლიტიკური ფაქტორების ქვეშ კი მოიაზრება მთავრობის მიერ გასატარებელ იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც გარკვეული პროცესების ხელშეწყობას ან თავიდან აცილებას ემსახურება [EP, 2023].

რეგიონების დეპოპულაციის მიმოხილვა

რეგიონების დეპოპულაციის შედეგად დედაქალაქში კონცენტრირებული მოსახლეობის რაოდენობა იწვევს ნაკლებად კვალიფიციური სამუშაო ძალის ჭარბ მიწოდებას, ხელფასების შემცირებას და უმუშევრობის საერთო დონის ზრდას. ამავდროულად მოსახლეობისგან დაცარიელებულ რეგიონებში ეკონომიკური აქტივობა ქრება, რაც საბოლოო ჯამში ქვეყნის ეკონომიკის უკუსვლას იწვევს. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი თბილისში ცხოვრობს, რაც საკმაოდ დიდი რიცხვია. თბილისის მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ. კმ-ზე 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 2 383,3 ადამიანს, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 1 კვ. კმ-ზე სიმჭიდროვეს 18,4-ჯერ აღემატება, გურიისას - 45-ჯერ, იმერეთისას - 31,8-ჯერ, კახეთისას 87,9-ჯერ, მცხეთა-მთიანეთისას - 143,7 ჯერ, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისას - 396-ჯერ, სამეგრელო-ზემო სვანეთისას - 58,1-ჯერ, სამცხე-ჯავახეთისას - 102-ჯერ, ქვემო ქართლისას - 34,3-ჯერ, შიდა ქართლისას - 31,6-ჯერ [საქსტატი, 2023ბ]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მრავალფეროვანი რელიეფი გააჩნია და მოსახლეობის სიმჭიდროვის გამოთვლისას დაუსახლებელი ტერიტორიების ფართობებიც იღებს მონაწილეობას, მოცემული ციფრები მაინც სავალალო მდგომარეობის მანიშნებელია რეგიონებისთვის.

რეგიონალური ეკონომიკური განვითარების შეფასების ინდიკატორები

ნებისმიერი ქვეყნის დღის წესრიგში უნდა იდგეს ზემოხსენებული უთანაბრობის მინიმუმამდე დაყვანა. თითოეული ქვეყნის რეალური განვითარებისთვის უნდა არსებობდეს გარკვეული ბალანსი რეგიონისა და დედაქალაქის განვითარებას შორის, რის გარეშეც წარმოუდგენელია ქვეყნის ყველა ტერიტორიული ერთეულის მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ამ პრობლემის რიცხვების სახით წარმოსადგენად, შევიმუშავეთ ქვეყნის ეკონომიკის თანაზომიერი

განვითარების დონის შეფასების ინდიკატორები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ქვეყნის ნებისმიერი ტერიტორიული ერთეულის ეკონომიკური განვითარების ერთმანეთთან შედარება. ამისათვის შევიმუშავეთ თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის $K_{R1}, K_{R2}, K_{C1}, K_{C2}$ კოეფიციენტები და მათი გამოსათვლელი ფორმულები, რომელთა ზოგად აღნიშვნასაც წარმოადგენს K_{xn}:

1. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონალური გადახრის კოეფიციენტი (K_{R1}) საშუალებას გვაძლევს შევადაროთ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეები ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების მაჩვენებელს:

$$\mathbf{K_{R1}} = \frac{\mathbf{RGDP/RN - GDP/N}}{\mathbf{GDP/N}} = \frac{\mathbf{RGDP/RN}}{\mathbf{GDP/N}} - \mathbf{1;}$$

სადაც: GDP მთლიანი სამამულო პროდუქტია, RGDP - რეგიონის მთლიანი სამამულო პროდუქტი, N - ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, ხოლო RN - ქვეყნის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა.

2. დედაქალაქის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან რეგიონული გადახრის კოეფიციენტი (K_{R2}) იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დავინახოთ რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის განსხვავება დედაქალაქის ამავე მაჩვენებლისგან:

$$\mathbf{K_{R2}} = \frac{\mathbf{RGDP/RN - CGDP/CN}}{\mathbf{CGDP/CN}} = \frac{\mathbf{RGDP/RN}}{\mathbf{CGDP/CN}} - \mathbf{1;}$$

სადაც: CGDP დედაქალაქის მთლიანი სამამულო პროდუქტია, ხოლო CN - დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა.

3. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი (K_{C1}) ერთმანეთს ადარებს რიცხვობრივად დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებასა და ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებას:

$$\mathbf{K_{C1}} = \frac{\mathbf{CGDP/CN - GDP/N}}{\mathbf{GDP/N}} = \frac{\mathbf{CGDP/CN}}{\mathbf{GDP/N}} - \mathbf{1;}$$

4. რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარებიდან დედაქალაქის გადახრის კოეფიციენტი (K_{C2}), რომლის საშუალებითაც შეგვიძლია დავინახოთ, თუ რამდენად აღემატება ან ჩამორჩება დედაქალაქის ეკონომიკური განვითარება რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას:

$$\mathbf{K_{C2}} = \frac{\mathbf{CGDP/CN - RGDP/RN}}{\mathbf{RGDP/RN}} = \frac{\mathbf{CGDP/CN}}{\mathbf{RGDP/RN}} - \mathbf{1.}$$

თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების გამოსათვლელ ფორმულირებასთან ერთად თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსის განსაზღვრისთვის შევიმუშავეთ ეკონომიკური განვითარების დიაპაზონები. ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების არეალს ის დიაპაზონი განსაზღვრავს, რომელშიც ყველაზე მაღალი გადახრის მქონე კოეფიციენტი მოექცევა, კოეფიციენტების მოდულის სიმცირე კი ნაკლები უთანაბრობის მანიშნებელია.

I დონის დიაპაზონია **„თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“**

($-0,5 < K_{xn} < 0,5$);

II დონის დიაპაზონია **„არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“**

($0,5 < K_{xn} \leq 1$ და $-1 \leq K_{xn} < -0,5$);

III დონის დიაპაზონია **„მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონი“** $K_{xn} < -1$ და $K_{xn} > 1$.

შემუშავებული ინდიკატორები გამოყენებულია საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დონის შეფასებისთვის. განვიხილეთ საქართველოს ყველა რეგიონის (გარდა ოკუპირებული რეგიონებისა), როგორც ჯამური, ასევე ცალკეული რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეების შედარება თბილისისა და საქართველოს საშუალო ეკონომიკური განვითარების დონეებთან. გათვლები ჩატარებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების საფუძველზე [საქსტატი, 2023ა, 2023გ].

პირველ რიგში, განვიხილეთ საქართველოს თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების დინამიკა 2010-2022 წლებში, რომელიც აჩვენებს, რომ:

- K_{R1} კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი -0,29-ის ტოლია. ე.ი. რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს 29%-ით ჩამორჩება;
- K_{R2} კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი -0,58-ის ტოლია. ე.ი. რეგიონების ეკონომიკური განვითარება თბილისის ეკონომიკურ განვითარებას 58%-ით ჩამორჩება;

- K_{C1} კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი 0,67-ის ტოლია. ე.ი. თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე საქართველოს საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს 67%-ით აღემატება;
- K_{C2} კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებელი 1,38-ის ტოლია. ე.ი. თბილისის ეკონომიკური განვითარების დონე რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეს 138%-ით აღემატება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების დონე აღემატება როგორც რეგიონების, ასევე მთლიანად ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარების დონეს.

იმის გათვალისწინებით, რომ გადახრის კოეფიციენტების ნულთან სიახლოვე ნაკლები ეკონომიკური უთანაბრობის მანიშნებელია, დიაგრამაზე ნათლად ჩანს თუ რა დონეზეა თითოეული რეგიონი ამ კუთხით და როგორია მათი ეკონომიკური განვითარება, როგორც ქვეყნის საშუალო, ასევე დედაქალაქის საშუალო ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებით გასული 12 წლის განმავლობაში. განხილული რეგიონების თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონების განსაზღვრისა და თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების სტატუსების მინიჭებისთვის გამოთვლილია თითოეული რეგიონის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარების გადახრის კოეფიციენტების 2010-2022 წლების საშუალო მაჩვენებლები (იხ. ცხრილი).
აღნიშნული კოეფიციენტების საშუალო მაჩვენებლების ერთეულებამდე დამრგვალების შემთხვევაში საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური განვითარება შემდეგნაირად დაიყოფა:

- K_{R1} კოეფიციენტები უტოლდება ნულს და ათივე რეგიონისთვის მიეკუთვნება I დონის დიაპაზონს. ამასთანავე მათი ეკონომიკური განვითარების დონეებიც თანაზომიერად მიუყვება ქვეყნის საშუალო ეკონომიკურ განვითარებას;
- K_{R2} კოეფიციენტები I დონის დიაპაზონში ხვდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი რეგიონებისთვის - II დონის დიაპაზონში;
- K_{C2} კოეფიციენტები, II დონის დიაპაზონში ხვდება მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, მცხეთა-მთიანეთის და სამცხე-ჯავახეთის შემთხვევაში, ხოლო დანარჩენი რეგიონებისთვის იგი მოთავსებულია III დონის დიაპაზონში. აქედან გამომდინარე, იკვეთება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენენ არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების

დონის მქონე რეგიონებს, დანარჩენი რეგიონები კი მნიშვნელოვნად არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარებისას.

დასკვნა

ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება მაშინ შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებად, როდესაც იგი თანაბრადაა გადანაწილებული ქვეყანაში არსებულ ტერიტორიულ ერთეულებზე და მთლიან მოსახლეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის ეკონომიკური აქტიურობის ზრდას განაპირობებს ერთი კონკრეტული რეგიონის ან დედაქალაქის განვითარება, შეუძლებელია ქვეყანაში არსებული საერთო სურათი, ეკონომიკური ზრდის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების კუთხით დამაკმაყოფილებელი იყოს. აქედან გამომდინარე, მთავარ მიზანს ქვეყნის თანაზომიერი ეკონომიკური განვითარება წარმოადგენს.

გასაკვირი არ არის, რომ საქართველო, თავისი საბჭოთა წარსულითა და განვითარებადი ეკონომიკით, არათანაზომიერი ეკონომიკური განვითარების დიაპაზონში მოხვდა. დიდია დისბალანსი როგორც დედაქალაქისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის, ასევე რეგიონების განვითარების დონეებს შორისაც. აღნიშნული დისბალანსის მინიმუმამდე დაყვანა მოკლევადიან პერიოდში შეუძლებელია. საჭიროა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში ძირეული რეფორმების გატარება, რომლებიც მიმართული იქნება დაბალგანვითარებულ რეგიონებში პარალიზებული ეკონომიკური აქტიურობის გამოცოცხლებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

საქსტატი, 2023ა. „მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>.

საქსტატი, 2023ბ. „მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე რეგიონების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,* <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba>.

საქსტატი, 2023გ. „ტერიტორიული ერთეულების მიერ შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით“. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp>.

EP., 2023. Exploring Migration Causes: Why People Migrate. *European Parliament*, July 1, <https://www.europarl.europa.eu/topics/en/article/20200624STO81906/exploring-migration-causes-why-people-migrate>.

Plieninger T., Draux H., Fagerholm N., Bieling C., Burgi M., Kizos T., Kuemmerle T., Primdahl J., Verburg P. H. (2016) The Driving Forces of Landscape Change in Europe: A Systematic Review of the Evidence. *Land Use Policy,* 57: 204-214, November 30, <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0264837715301769>.

Empirical Assessment of Regional Economic Development on the Example of Georgia

Gigi Elizbarashvili
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
gelizbarashvili@parliament.ge

Summary

The purpose of this article is to identify the existing problems in the economic development of Georgia's regions and to explore ways to mitigate them. The obtained results revealed a significant imbalance between the development levels of the capital city of Georgia and the regions. Also, we were given the opportunity to determine which region is relatively developed and which of them is in the most difficult economic situation. The article represents the deviation coefficients of commensurate economic development K_{R1}, K_{R2}, K_{C1}, K_{C2} worked out by the author and their calculation formulas. The ranges, mentioned in the article, determine the status of the country's commensurate economic development. The area of commensurate economic development of the country is determined by the range in which the coefficient with the highest deviation will fall, and the smallness of the coefficient module is an indication of less inequality. By means of the mentioned coefficients, the imbalance between the development levels of the capital city of Georgia and the regions and the proportionate development range, in which Georgia was included, taking into account the values of the coefficients, were identified. Based on the obtained results, it can be concluded that today the main challenge of Georgia is to get rid of incommensurate economic development or at least take important steps to minimize it.

Keywords: imbalance, deviation coefficients of commensurate economic development, Ranges of economic development.

ციფრული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებში

ირაკლი გაზდელიანი
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Irakli.gazdeliani331@eab.tsu.edu.ge

ლალი ხურცია
ეკონომიკის დოქტორი, ასისტენტ- პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
lali.khurtdia@tsu.ge

თეა მუნჯიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
tea.munjishvili@tsu.ge

ანოტაცია. სტატიაში განხილულია საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის კონტექსტში, წარმოდგენილია საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები, მიღწევები და გამოწვევები, გაანალიზებულია ციფრული ეკონომიკის გავლენა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ასპექტების გათვალისწინებით. ციფრული ეკონომიკის განვითარების მზარდი მნიშვნელობა განხილულია საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და უსაფრთხოების კონტექსტში, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ეკონომიკის ციფრიზაციის პროცესში სტრატეგიულ დაგეგმვის პრინციპების გამოყენებას მოსალოდნელი რისკების თავიდან არიდებისა და პოტენციური სარგებლის მაქსიმიზაციის მისაღწევად. ციფრული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივების შესაფასებლად სტატიაში წარმოდგენილია PESTEL ანალიზი, რაც იძლევა საქართველოს ეკონომიკური გარემოს შესაძლებლობების შეფასების საშუალებას

ციფრული ეკონომიკის განვითარების კუთხით. ეგზოგენური ცვლადების ალბათური მნიშვნელობების დაშვების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ეკონომიკა, ეკონომიკური უსაფრთხოება, PESTEL ანალიზი, ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური მდგრადობა.

ციფრული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და მათი ინტეგრაცია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და უსაფრთხოებაზე. საქართველო, როგორც განვითარებადი ქვეყანა, აქტიურად ცდილობს ფეხი აუწყოს გლობალურ ტენდენციებს და განავითაროს საკუთარი ციფრული ეკოსისტემა. თუმცა, ამ გზაზე ქვეყანა აწყდება მთელ რიგ გამოწვევებს, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს მთავარ მთავარ გამოწვევებად ჯერ კიდევ რჩება, ციფრული უთანასწორობა, რაც ქმნის ბარიერებს ეკონომიკური შესაძლებლობების თანაბარი განაწილებისთვის და აფერხებს ქვეყნის მთლიან ციფრულ ტრანსფორმაციას და კვალიფიციური IT კადრების ნაკლებობა, რაც წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას საქართველოს ციფრული ეკონომიკისთვის. გარდა ამისა მცირე და საშუალო საწარმოების ციფრული ტრანსფორმაცია რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ბევრ კომპანიას უჭირს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაცია საკუთარ ბიზნეს პროცესებში, რაც აფერხებს მათ კონკურენტუნარიანობასა და ზრდის პოტენციალს.

ამ გამოწვევების ფონზე, სტატიაში კვლევის სახით წარმოდგენილია ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმდინარე ტენდენციები საქართველოში, გაანალიზებულია ძირითადი მიღწევები და არსებული პრობლემები. PESTEL ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილია საქართველოს შესაძლებლობებისა და გამოწვევების კომპლექსური შეფასება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ციფრული ეკონომიკის გავლენას ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე, როგორც პოზიტიური, ისე პოტენციური ნეგატიური ასპექტების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სტატიის დასკვნით ნაწილში შეჯამებულია კვლევის ძირითადი მიგნებები და განხილულია სამომავლო კვლევის პერსპექტიული მიმართულებები. აგრეთვე შემოთავაზებულია რეკომენდაციები ციფრული ეკონომიკის განვითარებისთვის ეკონომიკური უსაფრთხოების გათვალისწინებით,

როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს რეკომენდაციები მიზნად ისახავს პოტენციური რისკების მინიმიზაციასა და სარგებლის მაქსიმიზაციას.

მეთოდოლოგია და კვლევა

ნებისმიერი ქვეყნის განვითარებასა და წარმატებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სხვადასხვა ფაქტორებზე. ამ ფაქტორების გაანალიზება და გააზრება აუცილებელია ქვეყნის სწორი სტრატეგიის შემუშავებისთვის. PESTEL მოდელი წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტს, რომელიც გვეხმარება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ტექნოლოგიური, სამართლებრივი და გარემოსდაცვითი ფაქტორების იდენტიფიცირებასა და ანალიზში.

საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, განვითარების რთულ გზას გადის. მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ მიმდინარეობს და ამ პროცესზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. PESTEL მოდელის გამოყენება საქართველოს შემთხვევაში შესაძლებლობას გვაძლევს, შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს.

ეს ანალიზი მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, რადგან იგი ხელს შეუწყობს სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას და წარმატების მიღწევას. შესაბამისად, საქართველოს PESTEL ანალიზი იქნება საინტერესო და სასარგებლო როგორც ინვესტორებისთვის, ასევე პოლიტიკის შემქმნელებისთვის.

P - პოლიტიკური გარემო: საქართველოს პოლიტიკური გარემო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის განვითარებაზე. ჩვენი ქვეყანა თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს ემხრობა და სავაჭრო პოლიტიკა ლიბერალურია. ქვეყანა წევრია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა და აქვს სავაჭრო შეთანხმებები მრავალ ქვეყანასთან. გარდა ამისა, მან ხელი მოაწერა ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას ევროკავშირთან, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საქართველოს ეკონომიკის ლიბერალიზაცია. ამჟამად 45 ქვეყანასთან გვაქვს ლიბერალური პოლიტიკა და ამით ამიერკავკაშიაში პირველ ადგილზე ვართ. თუმცა, ზოგიერთ სექტორში კვლავ არსებობს სავაჭრო ბარიერები.

საქართველოს საგადასახადო გარემო მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე კონკურენტუნარიანად რეგიონში. ქვეყანას აქვს დაბალი საშემოსავლო და მოგების გადასახადები, რაც მას უფრო მიმზიდველს ხდის ინვესტორებისთვის. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსი მარტივი და გამჭვირვალეა. თუმცა, მაინც არსებობს კრიტიკული შენიშვნები საგადასახადო ადმინისტრირების სისტემის მიმართ.

საქართველოს პოლიტიკურ გარემოს ახასიათებს გარკვეული სტაბილურობა, თუმცა არსებობს გამოწვევებიც. ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე წარმატებები და წინსვლა შეინიშნება, მაგრამ კვლავ რჩება პრობლემები, როგორებიცაა კორუფცია, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის დაპირისპირება და ა.შ. ტერიტორიული კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების გარშემო კვლავ გადაუჭრელია. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური სტაბილურობის დონე საშუალოა - არც ძალიან მაღალი და არც დაბალი.

E - ეკონომიკური გარემო: საქართველოს მშპ-ს მონაცემები ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2023 წელს ქვეყნის ნომინალურმა მშპ-მ 30.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 22%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს პანდემიის გამო მშპ 6.3%-ით შემცირდა, თუმცა 2021 წელს უკვე 10.6%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 1



წყარო: geostat.ge

მშპ-ს სტრუქტურაში ყველაზე მსხვილი წილი მომსახურების სექტორს უკავია (61%), შემდეგ მოდის სამრეწველო სექტორი (24%) და ბოლოს სოფლის მეურნეობა (7.4%). აღსანიშნავია, რომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წილი მცირდება, ხოლო მომსახურების სფეროს როლი იზრდება.

ზოგადად, მშპ-ს მონაცემები მიუთითებს საქართველოს ეკონომიკის ზრდის პოტენციალზე, თუმცა ასევე აჩვენებს გარკვეულ არასტაბილურობას და

დამოკიდებულებას მომსახურების სექტორზე. ეკონომიკის დივერსიფიკაცია და სხვა დარგების განვითარებაა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა.

S - სოციალური გარემო: სოციალური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში. საქართველოს შემთხვევაშიც, სოციალური გარემო გავლენას ახდენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე. განვიხილოთ რამდენიმე მთავარი მახასიათებელი:

მოსახლეობის ზრდის ტემპი: საქართველოს მოსახლეობა ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. 2022 წლის მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობა 3.7 მილიონი იყო, რაც წინა წელთან შედარებით 0.2%-ით ნაკლებია. მოსახლეობის შემცირების ძირითადი მიზეზებია ემიგრაცია, დაბალი შობადობა და სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი. მოსახლეობის შემცირება გავლენას ახდენს შრომით რესურსებზე და საბოლოო ჯამში ზრდის ეკონომიკურ ტვირთს.

გრაფიკი 2



წყარო: geostat.ge

შემოსავლის დონე: საქართველოს მოსახლეობის შემოსავლის დონე დაბალია გლობალურ მასშტაბში. 2023 წლის მონაცემებით, ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე 8210.1 აშშ დოლარს შეადგენდა, რაც საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ჯგუფშია. თუმცა, აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ შემოსავლის უთანაბრობა დღემდე დიდ მოუგვარებად პრობლემად რჩება. მოსახლეობის დიდი ნაწილი ღარიბულ ფენას განეკუთვნება, განსაკუთრებით რეგიონებში. ეს პრობლემა გავლენას ახდენს შიდა მოთხოვნასა და ბაზრის ზრდაზე.

განათლების დონე: საქართველო გამოირჩევა განათლების მაღალი დონით რეგიონში. წერა-კითხვის დონე 99.8%-ია, ხოლო საშუალო განათლების სრული კურსის გავლა ახალგაზრდებში აღწევს 97%-ს. უმაღლესი განათლების მიღების მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. თუმცა, პრობლემად რჩება განათლების ხარისხი და

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, საქართველოში განათლების ხარისხი დაბალია გლობალურ მასშტაბში.

ამრიგად, სოციალური გარემო საქართველოში ერთდროულად მოიცავს როგორც დადებით, ისე უარყოფით ფაქტორებს. შემოსავლის დაბალი დონე და მოსახლეობის კლება გამოწვევებია, მაშინ როცა განათლების მაღალი დონე შესაძლო უპირატესობაა, თუ მოხერხდება მისი გაუმჯობესება და ხარისხის ამაღლება.

T - ტექნოლოგიური გარემო: ტექნოლოგიური განვითარება თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის წარმატების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. საქართველოს ტექნოლოგიური გარემოს შეფასებისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებაა საჭირო:

ინტერნეტის გავრცელება: საქართველო გამოირჩევა ინტერნეტის მაღალი გავრცელებით რეგიონში. 2021 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 68%-ს ინტერნეტთან წვდომა ჰქონდა, რაც ბევრად აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს. თუმცა, ეს მონაცემი კვლავ ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს.

მობილური კავშირგაბმულობა: მობილური ტელეფონების გავრცელება საქართველოში საკმაოდ მაღალია - მოსახლეობის თითქმის 140%-ს მობილური აქვს. ეს მონაცემი მეტყველებს ტექნოლოგიების ფართო გამოყენებაზე.

გრაფიკი 3



წყარო: geostat.ge

ინოვაციები: საქართველო ჩამორჩება ინოვაციების კუთხით, რასაც ადასტურებს გაეროს ინოვაციების გლობალური ინდექსი, რომლის მიხედვითაც ქვეყანა 118-ე ადგილზეა 132 ქვეყანას შორის. ტექნოლოგიური ინოვაციების, კვლევებისა და განვითარების დაბალი დონე პრობლემად რჩება.

გრაფიკი 4



წყარო: geostat.ge

ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტი: ტექნოლოგიების წილი მშპ-ში დაახლოებით 2.5%-ია, რაც დაბალი მაჩვენებელია. ასევე დაბალია ტექნოლოგიურად ინტენსიური პროდუქციის წილი საექსპორტო პორტფელში - მხოლოდ 3.5%.

ზოგადად, საქართველო წარმატებული მაგალითია კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით, თუმცა ინოვაციების, კვლევებისა და მაღალტექნოლოგიური წარმოების დონე დაბალია და სჭირდება განვითარება ამ მიმართულებით. ტექნოლოგიური გარემოს გაუმჯობესება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის.

L&E - სამართლებრივი და გარემოსდაცვითი გარემო: საქართველოს სამართლებრივ და გარემოსდაცვით გარემოზე გავლენას ახდენს რამდენიმე გლობალური მასშტაბის მოვლენა და გამოწვევა. პირველ რიგში უნდა ვახსენოთ 2022 წლის ნოემბერში, ეგვიპტეში, გამართული გაერთიანებული ერების კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენცია (COP27). სამიტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და მნიშვნელობაზე, რომ ქვეყნებმა გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა. ეს საკითხი ეხება საქართველოსაც, რომელიც აქტიურად უნდა ჩაერთოს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებისა და ადაპტაციის ღონისძიებებში. კერძოდ კი, ჩვენ წინაშე დგას ისეთი გარემოსდაცვითი პრობლემები, როგორებიცაა ტყის მასივის კლება, ჰაერის დაბინძურება, ნარჩენების გადამუშავების პრობლემა და ა.შ. ეს მოითხოვს ახალი კანონმდებლობისა და რეგულაციების შემუშავებას გარემოსდაცვის სფეროში.

მეორეს მხრივ, რუსეთ-უკრაინის ომი უდიდესი გამოწვევაა მთელი რეგიონისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც. ომის გამო საქართველომ დაკარგა უკრაინის და რუსეთის ბაზრები, თუმცა სანაცვლოდ მიიღო დიდი რაოდენობით ლტოლვილები და უცხოური კომპანიები. სამართლებრივად, ქვეყანამ საერთაშორისო

სამართლის ნორმებით უნდა იხელმძღვანელოს. ამ სიტუაციას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული პოლიტიკური დაძაბულობა ქმნის გარკვეულ სამართლებრივ გამოწვევებს. საქართველო ცდილობს დაიცვას საერთაშორისო სამართლის პრინციპები და თავის ტერიტორიული მთლიანობა, რაც პრობლემურია რუსეთთან მიმართებით, რაც კიდევ უფრო ართულებს ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობების სამართლებრივ რეგულირებას.

გარდა რუსეთ-უკრაინის ომისა, დაძაბულობაა ისრაელსა და ირანს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს რეგიონი შორსაა საქართველოსგან, ისრაელ-ირანის კონფლიქტს შესაძლოა გლობალური შედეგები ჰქონდეს. კონფლიქტი ზრდის ნავთობპროდუქტებზე ფასებს, რაც გავლენას ახდენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე. აღნიშნული სიტუაცია იძულებულს გვხდის გაითვალისწინოთ ეს რისკები ჩვენს პოლიტიკაში.

20-იანი წლები რთული მდგომარეობით დაიწყო და პანდემიამ საგრძნობლად შეცვალა სამართლებრივი გარემო მთელ მსოფლიოში. საქართველოც იძულებული გახდა, დაენერგა რეგულაციები და შემზღუდავი ზომები პანდემიასთან გასამკლავებლად. დღესაც გრძელდება იურიდიული დებატები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს მსგავსი კრიზისების მართვა სამართლებრივი თვალსაზრისით.

ამრიგად, სამართლებრივი და გარემოსდაცვითი გარემო საქართველოში იცვლება და განიცდის გლობალური მოვლენების გავლენას. ქვეყანა იძულებულია სწრაფად რეაგირებდეს ამ ცვლილებებზე და სათანადოდ აყენებდეს პრიორიტეტებს სამართლებრივ და ეკოლოგიურ სფეროებში.

დასკვნა. საქართველოს PESTEL ანალიზი აჩვენებს, რომ ქვეყანა განვითარების გზაზე დგას და აწყდება როგორც შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს. პოლიტიკურად, საქართველო თავისუფალი ვაჭრობისა და ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის მიმდევარია, თუმცა დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხები კვლავ პრობლემურია. ეკონომიკურად, მშპ-ს ზრდის მიუხედავად, არსებობს დამოკიდებულება მომსახურების სექტორზე და ეკონომიკის დივერსიფიკაციას საჭიროებს. სოციალური გარემოს ნაკლოვანებები გააჩნია შემოსავლის დონისა და მოსახლეობის კლების კუთხით. ტექნოლოგიურად, კომუნიკაციური ტექნოლოგიები კი კარგადაა განვითარებული, თუმცა ინოვაციებისა და მაღალტექნოლოგიური წარმოების დონე დაბალია. გარემოსდაცვითი და სამართლებრივი გარემო კი რთულ გლობალურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

რეკომენდაციები. სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით, შემიძლია რამდენიმე რეკომენდაციის მიცემა საქართველოს ტექნოლოგიური პროგრესისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების ხელშესაწყობად:

- სახემწიფო პოლიტიკის რეფორმირება ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებისთვის
- სტრატეგიული გეგმების სრულყოფილად განხორციელება
- ინვესტიციების გაზრდა კვლევებსა და განვითარებაში
- განათლების სისტემის მოდერნიზება
- სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება
- ინფრასტრუქტურის განვითარება
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება
- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

ეს რეკომენდაციები მოიცავს მთავარ მიმართულებებს, რომლებზეც უნდა იმუშაოს საქართველოს ხელისუფლებამ ტექნოლოგიური პროგრესისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარების წასახალისებლად. მათი განხორციელება მოითხოვს პოლიტიკურ ნებას, რესურსებს და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.

გამოყენებული ლიტერატურა

პაპავა ვ. (2016) „ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა - გლობალური რეალობა და მსოფლიო ეკონომიკის მოსალოდნელი გამოწვევები“, *ექსპერტის აზრი,* ტომი 70, 3-16

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - https://www.geostat.ge/ka

შემოსავლების სამსახური - https://rs.ge/

ციფრული მმართველობის სააგენტო, “საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია 2024 – 2029 წწ.“, 6-50, https://dga.gov.ge/files/adzFNv0yjHUf.pdf

„ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“ - https://faolex.fao.org/docs/pdf/geo215987.pdf

https://pestleanalysis.com/what-is-pestle-analysis/ - ინტერნეტ წყარო

Prospects for Digital Economy Development in the Context of Ensuring Economic Security

Irakli Gazdeliani
PhD student
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Irakli.gazdeliani331@eab.tsu.edu.ge

Lali Khurtsia
Doctor of Economics, Assistant Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
lali.khurtsia@tsu.ge

Tea Munjishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
tea.munjishvili@tsu.ge

Summary

The article discusses the prospects for digital economy development in Georgia in the context of ensuring economic security. It presents current trends, achievements, and challenges in the development of the digital economy in Georgia. The impact of the digital economy on economic security is analyzed, considering both positive and negative aspects. The growing importance of digital economy development is examined in the context of Georgia's economic growth and security, which in turn implies the use of strategic planning principles in the process of economic digitalization to avoid potential risks and maximize potential benefits. To assess the prospects for digital economy development, the article presents a PESTEL analysis, which allows for an evaluation of the opportunities in Georgia's economic environment in terms of digital economy development. Based on the assumed probabilistic values of exogenous variables, recommendations are developed for the development of the digital economy with consideration for economic security, both in the short and long term.

Keywords: Digital economy, economic security, PESTEL analysis, technological progress, economic sustainability.

ხელოვნური ინტელექტი საგანმანათლებლო სფეროში

გუგული ყურაშვილი
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
g.kurashvili@gtu.ge

თამარი ბერიძე
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
t.beridze@gtu.ge

ლიკა ბერიძე
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
l_beridze@gtu.ge

ანოტაცია. *ხელოვნურ ინტელექტს (AI) აქვს დიდი პოტენციალი გაუმკლავდეს საგანმანათლებლო სისტემის უდიდეს გამოწვევებს, დახვეწოს სწავლების პრაქტიკა და დააჩქაროს პროგრესი მდგრადი განვითარების მიზნებისკენ (SDG 4), რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტი სწავლის შესაძლებლობებზე წვდომას, ინკლუზიურ და თანაბარი ხარისხის განათლებას ყველასათვის. თუმცა, ბუნებრივია, რომ სწრაფ ტექნოლოგიურ განვითარებას თან მოსდევს მრავალი რისკი და შესაბამისად, საგანმანათლებლო მიზნებისთვის ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების გარდა, მნიშვნელოვანია მათი შესწავლა და შეფასება, რათა დასწყისშივე განისაზღვროს არსებული პოტენციური რისკების გადაჭრის გზები. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების გამო, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები მუდმივად განიცდიან მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. AI-ს განათლებაში ინტეგრაცია მიზნად ისახავს სწავლების მეთოდების გაუმჯობესებას, სწავლების გამოცდილების პერსონალიზებას და*

ადმინისტრაციული საკითხების ეფექტიანად გადაჭრას. შესაბამისად, საგანმანათლებლო სისტემის წინაშე დგას ამოცანა - შეისწავლოს, თუ როგორ ცვლის ხელოვნური ინტელექტი განათლების მიღების მეთოდებს, რამდენად სარგებლიანია სასწავლო პროცესებში მისი გამოყენება, რა გამოწვევების წინაშე აყენებს საგანმანათლებლო სფეროს და როგორია AI-ს სამომავლო პერსპექტივები ამ მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *საგანმანათლებლო სისტემა, ხელოვნური ინტელექტი, სწავლების ეფექტიანობა, რისკი.*

შესავალი. საგანმანათლებლო სივრცეში ხელოვნური ინტელექტის ადგილს და გამოყენების პერსპექტივებს სიღრმისეული დეტალური ანალიზი ესაჭიროება. ხელოვნური ინტელექტის პოტენციალი იძლევა საშუალებას უფრო ნათლად დავინახოთ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობები და სწავლის შედეგები. ეს ინფორმაცია პედაგოგებს დაეხმარება დახვეწონ სწავლების სტრატეგიები და გააუმჯობესონ საგანმანათლებლო მეთოდები, რაც ეფექტიანი შედეგის საწინდარია.

AI ტექნოლოგიები გამოყენებულია საგანმანათლებლო სფეროში რამდენიმე მიმართულებით - ადმინისტრაციული საკითხებიდან დაწყებული სასწავლო პროცესის გაუმჯობესებამდე, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანია რამდენიმე, რომლებშიც AI შეუძლია სერიოზული ზეგავლენის მოხდენა პროგრესის მისაღწევად.

ძირითადი ტექსტი. AI სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სწავლების პროცესში როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. AI სისტემების გამოყენებით შესაძლებელია სტუდენტების სწავლის შედეგების ანალიზი, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და ამის შემდგომ მათი ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა. სწავლების პლატფორმები, როგორიცაა DreamBox (მათემატიკის და კითხვის პროგრამები), Knewton (ადაპტური სასწავლო კომპანია, რომელიც კონცენტრირებულია მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის და მათემატიკის სფეროებში) და Smart Sparrow (Ed-tech კომპანია, რომელიც აერთიანებს მძლავრ ელექტრონულ სწავლების ტექნოლოგიებს და სასწავლო დიზაინს), იყენებენ AI ალგორითმებს, რათა დაარეგულირონ ამოცანების სირთულე რეალურ დროში სტუდენტის უნარებზე დაყრდნობით.

AI-ს აქვს პოტენციალი სწრაფად და ზუსტად შეაფასოს ტესტური დავალებები, მოკლე პასუხები ღია კითხვებზე და ესეებიც კი. ინსტრუმენტები, როგორიცაა

Gradescope (ამერიკული Ed-tech კომპანია, რომელიც გთავაზობს ონლაინ და AI-ის დახმარებით შეფასების ინსტრუმენტებს უმაღლესი განათლებისთვის) და Turnitin (ეხმარება მასწავლებლებს, გამომცემლებს და მკვლევარებს, დაადგინონ, როდის იქნა გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის ხელსაწყოები), იყენებენ AI-ს, რაც არა მხოლოდ იძლევა დროის ეკონომიას, არამედ აძლევს სტუდენტებს სწრაფ უკუკავშირს, რაც გადამწყვეტია სასწავლო პროცესისთვის.

ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ გააანალიზონ სტუდენტების მონაცემები სწავლის უნარის გამოსავლენად. იმ პროგრამების მეშვეობით, რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს სტუდენტების დისლექსიაზე (კითხვის უნარის დაქვეითება, შესაბამისად, სწავლის უნარის დაქვეითება, რომელიც კითხვის, წერის, ზეპირი მეტყველების პრობლემებით ხასიათდება. ამ პრობლემის მქონე ადამიანები ვერ ახერხებენ დაწერილი სიტყვის აღქმას, თუმცა მოსმენილი სიტყვის აღქმა შეუძლიათ), ADHD-ზე (ყურადღების დეფიციტი/ჰიპერაქტიურობა) ან სხვა სასწავლო გამოწვევებზე, AI-ს შეუძლია ადრეული ჩარევით უზრუნველყოს საჭირო დახმარება. ასევე, უფრო ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ცოდნის მიღება შესაბამისი ტექნიკით. გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტის მთარგმნელობითი ინსტრუმენტები საჭიროებისამებრ დაეხმარება სტუდენტებს ენობრივი ბარიერების გადალახვაში, რაც საგანმანათლებლო კონტენტს ხელმისაწვდომს გახდის ნებისმიერ ენაზე მოსაუბრეთათვის.

ხელოვნური ინტელექტის სისტემებს შეუძლიათ დიდი რაოდენობით მონაცემების გაანალიზება, რათა გაეცნონ სტუდენტების მუშაობას, ჩართულობას და პროგრესს. პედაგოგებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს მონაცემები იმ სფეროების დასადგენად, სადაც დროული ჩარევისა და მხარდაჭერის საშუალებით ეფექტიანი შედეგები მიიღწევა.

მრავალი სარგებლის მიუხედავად, AI-ს დანერგვა განათლებაში რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას. ბუნებრივია, რომ AI-ის გამოყენება განათლებაში გულისხმობს დიდი რაოდენობით პერსონალური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს. ამ მონაცემების კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესია. საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა განახორციელონ მონაცემთა დაცვის მკაცრი ზომები და დაიცვან შესაბამისი რეგულაციები სტუდენტებზე ინფორმაციის დასაცავად.

ხელოვნური ინტელექტის ეფექტიანი ინტეგრაცია განათლებაში მოითხოვს პედაგოგთა გადამზადებას ამ ტექნოლოგიების გამოყენებაში, რაც შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს პროფესიული განვითარების პროგრამებით.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში რამდენიმე ეთიკურ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის AI ალგორითმებში მიკერძოებასთან დაკავშირებით. AI-ის პოტენციალის გათვალისწინება პერსონალის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით - გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ ხელოვნური ინტელექტი პასუხისმგებლობით და სამართლიანად იქნეს გამოიყენებული საგანმანათლებლო სივრცეში.

AI-ს შეუძლია ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას მთელ მსოფლიოში. ვირტუალურ საკლასო ოთახებს, რომლებიც აღჭურვილია ხელოვნური ინტელექტის საშუალებით, შეუძლიათ დააკავშირონ სტუდენტები სხვადასხვა რეგიონიდან, ხელი შეუწყონ კულტურების გაცნობა-გაცვლას და გლობალური სწავლის გამოცდილების გაზიარებას. AI-ზე ორიენტირებული თანამშრომლობის ინსტრუმენტები შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საერთშორისო პროექტებში ჩართულობისათვის.

ხელოვნური ინტელექტი გარდაქმნის განათლებას პერსონალიზებული სწავლის გამოცდილების შეთავაზებით, ადმინისტრაციული სამუშაოების ეფექტიანობის გაზრდით და სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ ღირებული ინფორმაციის მიწოდებით. AI-ის პოტენციური სარგებელი განათლებაში უზარმაზარია. ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები აგრძელებენ წინსვლას და თითქოს, ნათელია, რომ განათლება უფრო ხელმისაწვდომი, ეფექტიანი და თითოეული სტუდენტის საჭიროებებზე მორგებული ხდება. ცოდნის მიღების პერსპექტივა, გაძლიერებული AI-ით და შესაბამისი ინოვაციების დანერგვით ბევრად უფრო ხელმისწავდომი გახდება.

ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციამ განათლებაში გამოიწვია განსხვავებული მოსაზრებები დარგის ექსპერტებისგან. აქ ჩვენ ვიკვლევთ სხვადასხვა პერსპექტივას განათლებაში ხელოვნური ინტელექტის უპირატესობების, გამოწვევებისა და სამომავლო პოტენციალის შესახებ.

საინტერესოდ მივიჩნიეთ ექსპერტთა მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის საგანმანათლებლო სივრცეში გამოყენებასთან დაკავშირებით:

1. **პერსონალიზებული სწავლის გაძლიერება**

სალ ხანი (ხანის აკადემიის დამფუძნებელი), ხაზს უსვამს AI-ს პოტენციალს სტუდენტებისთვის სასწავლო გამოცდილების პერსონალიზებისთვის. მისი მოსაზრებით, ხელოვნური ინტელექტის წყალობით შესაძლებელია მორგებული საგანმანათლებლო მეთოდების შემუშავება თითოეული სტუდენტისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით.

დოქტორი როუზ ლუკინი (ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯი), ამტკიცებს, რომ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შესაძლებელია სტუდენტის სწავლის პროცესის დეტალური ხედვა, რაც უფრო ეფექტიანი და ინდივიდუალური სწავლების მეთოდების შემუშავების საშუალებას იძლევა.

2. **პედაგოგთა ეფექტიანობის გაუმჯობესება**

დოქტორი საიმონ ბუკინგემ შუმი (სიდნეის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი) ხაზს უსვამს ხელოვნური ინტელექტის პოტენციალს მასწავლებლებზე ადმინისტრაციული ტვირთის შემსუბუქების მიზნით. ის აღნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით შესაძლებელია რუტინული ამოცანების ავტომატიზაცია, როგორიცაა შეფასება და დაგეგმვა, ათავისუფლებს მასწავლებლებს, რომ ყურადღება გაამახვილონ მოსწავლეებთან უფრო მნიშვნელოვან ინტერაქციაზე.

დოქტორი მარკ შნაიდერი (განათლების მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი), თვლის ხელოვნურ ინტელექტს, როგორც ინსტრუმენტს მასწავლებლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით. მას სჯერა, რომ AI-ს შეუძლია რეალურ დროში უკუკავშირი და მხარდაჭერა მასწავლებლებისთვის, რაც ეხმარება მათ მოსწავლეებს საჭიროებების უფრო ეფექტიანად იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტაში.

3. **ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა**

ვიკი ფილიპსი (ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების განათლების მთავარი ოფიცერი), მხარს უჭერს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას, რათა განათლება უფრო ხელმისაწვდომი და ინკლუზიური გახდეს. ის ამტკიცებს, რომ ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიები, როგორიცაა მეტყველების ამოცნობა და ენის თარგმნა, არღვევენ ბარიერებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის.

დოქტორი ტიმ ო'რეილი (O'Reilly Media-ს დამფუძნებელი), განიხილავს AI-ს, როგორც განათლების დემოკრატიზაციის ინსტრუმენტს, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის სასწავლო რესურსებს ფართო აუდიტორიისთვის.

4. **გამოწვევები და ეთიკური მოსაზრებები**

დოქტორი ბენ უილიამსონი (ედინბურგის უნივერსიტეტის მკვლევარი), გამოთქვამს მოსაზრებას განათლებაში ხელოვნური ინტელექტის ეთიკური შედეგების შესახებ. ის აფრთხილებს ხელოვნური ინტელექტის ალგორითმების პოტენციურ გამომყენებლებს და ამტკიცებს, რომ ხელოვნური ინტელექტის სისტემები შესაძლებელია შემუშავებული და დანერგილი იყოს სამართლიანად და მიკერძოების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღება უთანასწორობის გაძლიერების რისკი, რომლის მოგვარებაც აუცილებელია.

ოდრი უოტერსი (განათლების ტექნოლოგიების კრიტიკოსი), ხაზს უსვამს AI სისტემებში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების აუცილებლობას. ის ამბობს, რომ AI-ზე გადაჭარბებულმა დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის განსჯის დაკარგვა საგანმანათლებლო გადაწყვეტილების მიღებისას.

5. მომავლის პერსპექტივები და ინოვაციები

სერ ენტონი სელდონი (ბუკინგემის უნივერსიტეტის ვიცე-კანცლერი), ოპტიმისტურად არის განწყობილი განათლებაში ხელოვნური ინტელექტის მომავლის მიმართ. ის ითვალისწინებს AI-ს მეშვეობით საკლასო ოთახების გარდაქმნას უფრო ინტერაქტიულ და საინტერესო სასწავლო გარემოდ.

დოქტორი აიეშა ხანა, (ADDO AI-ს თანადამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი), თვლის, რომ ხელოვნური ინტელექტი გადამწყვეტ როლს ითამაშებს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლასა და სამუშაო ძალის განვითარებაში. ის ამტკიცებს, რომ ხელოვნური ინტელექტის მქონე პლატფორმებს შეუძლიათ უზრუნველყონ უწყვეტი განათლების შესაძლებლობები, რაც ეხმარება ინდივიდებს შეეგუონ ცვალებად სამუშაო ბაზარს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შეფასების მიზნით წარმოდგენილია დეტალური SWOT ანალიზი (ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები), რომელიც უფრო თვალსაჩინოდ დაგვანახებს რეალურ სიტუაციას.

ძლიერი მხარეები:

1. **პერსონალიზირებული სწავლა - პერსონალიზაცია:** AI-ს შეუძლია მოარგოს საგანმანათლებლო კონტენტი ინდივიდუალურად სტუდენტების მოთხოვნილებებს, რაც აუმჯობესებს მათი სწავლის პროცესს. **ადაპტური სწავლება:** AI-ზე მომუშავე პლატფორმები არეგულირებენ ამოცანების სირთულის დონეს სტუდენტის უნარებზე დაყრდნობით, რაც ხელს უწყობს მასალის უკეთ გაგებას.

2. **ეფექტურობა და პროდუქტიულობა - ავტომატური შეფასება:** AI-ს შეუძლია უმოკლეს დროში განახორციელოს შეფასება და უზრუნველყოს სწრაფი გამოხმაურება სტუდენტების მხრიდან. **ადმინისტრაციული მხარდაჭერა:** AI-ს შეუძლია გაამარტივოს ადმინისტრაციული ამოცანები, როგორიცაა დაგეგმვა, ჩარიცხვა და საერთო შეკითხვებზე პასუხის გაცემა, რაც საშუალებას აძლევს პერსონალს ფოკუსირება მოახდინოს უფრო მნიშვნელოვან და რთულ საკითხებზე.

3. **გაუმჯობესებული სასწავლო ინსტრუმენტები - ინტელექტუალური რეპეტიტორული სისტემები:** ეს სისტემები უზრუნველყოფენ პერსონალიზებულ უკუკავშირს და მხარდაჭერას, ახორციელებენ პერსონალური სწავლების სიმულაციას და ეხმარებიან სტუდენტებს რთული ცნებების გააზრებაში. **მონაცემებზე ორიენტირებული შეხედულებები:** AI-ს შეუძლია გააანალიზოს სტუდენტების

მონაცემები, რათა შესთავაზოს მოსაზრებები სწავლის შაბლონებსა და შედეგებზე, ასევე ეხმარება პედაგოგებს დახვეწონ სწავლების სტრატეგიები.

4. **ხელმისაწვდომობა და ინკლუზიურობა - დამხმარე ტექნოლოგიები:** AI-ს შეუძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებს საუბრის ამოცნობის, ტექსტის წაკითხვის და სხვა დამხმარე ხელსაწყოების მეშვეობით სასწავლო პროცესში. **ტექსტის თარგმნა:** ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მთარგმნელობით ინსტრუმენტებს შეუძლიათ საგანმანათლებლო კონტენტი ხელმისაწვდომი გახადონ ნებისმიერ ენაზე მოსაუბრეთათვის, რაც ხელს უწყობს ინკლუზიურობას.

სუსტი მხარეები:

1. **ღირებულება: საწყისი ინვესტიცია** - ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიების დანერგვა მოითხოვს მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციას, რაც შეიძლება იყოს ბარიერი მრავალი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, განსაკუთრებით განვითარებად რეგიონებში. **განახლება:** AI სისტემების შენარჩუნებისა და განახლების მიმდინარე ხარჯები შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

2. **მონაცემთა კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება - სენსიტიური ინფორმაცია:** სტუდენტის მონაცემების შეგროვება და შენახვა წარმოადგენს კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების რისკებს. **შესაბამისობა:** მონაცემთა დაცვის რეგულაციების უზრუნველყოფა აუცილებელია, თუმცა შესაძლებელია აღმოჩნდეს რთული.

3. **ტექნოლოგიაზე დამოკიდებულება - ტექნიკური საკითხები:** ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე დამოკიდებულებამ შეიძლება გამოიწვიოს შეფერხებები, თუ ტექნიკური პრობლემები წარმოიქმნა. **ციფრული უთანასწორობა:** ყველა სტუდენტს არ აქვს ერთნაირი წვდომა ტექნოლოგიაზე, რაც საგანმანათლებლო უთანასწორობაზე მიუთითებს.

4. **პედაგოგთა გადამზადება და ადაპტაცია - უნარების შეუსაბამობა:** მასწავლებლებს სჭირდებათ სათანადო ტრენინგები, რათა ეფექტიანად ჩართონ AI ინსტრუმენტები თავიანთ სასწავლო პრაქტიკაში. **ცვლილებებისადმი წინააღმდეგობები:** ზოგიერთი პედაგოგი შეიძლება იყოს არამდგრადი ახალი ტექნოლოგიების მიღების მიმართ, რაც ხელს უშლის ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციას.

შესაძლებლობები:

1. **უწყვეტი სწავლა - უწყვეტი განათლება:** AI-ს შეუძლია მხარი დაუჭიროს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას ინდივიდებისთვის პერსონალიზებული, მოთხოვნილი საგანმანათლებლო რესურსების შეთავაზებით მათი კარიერის

ნებისმიერ ეტაპზე. **პროფესიული განვითარება:** ხელოვნური ინტელექტის პლატფორმებს შეუძლიათ უზრუნველყონ მიზნობრივი პროფესიული განვითარება.

2. **გლობალური თანამშრომლობა - ვირტუალური საკლასო ოთახები:** AI-ს შეუძლია ხელი შეუწყოს გლობალურ თანამშრომლობას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სტუდენტებისა და პედაგოგების დაკავშირების გზით, ხელი შეუწყოს კულტურულ გაცვლას და მრავალფეროვანი სწავლის გამოცდილებას. ი **ერთობლივი პროექტები:** ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ჯგუფურ პროექტებს და სწავლებას, რაც ხელს უწყობს სტუდენტებს შორის ურთიერთთანამშრომლობას.

3. **განვითარებადი ტექნოლოგიების ინტეგრაცია - იმერსიული** (იმერსია (ინგ. Immersion) არის გონებრივი და ფიზიკური მდგომარეობა, როდესაც მთლიანად ხარ მოცული საგნით, არსით, იდეით, მთლიანად იძირები მასში) **სწავლება:** AI ინტეგრაციას ვირტუალურ რეალობასთან (Virtual reality – VR) და გაძლიერებულ რეალობასთან (Augmented reality - AR) შეუძლია შექმნას საინტერესო, ინტერაქტიული სასწავლო გამოცდილება, გააძლიეროს რთული საგნების გაგება. **ჭკვიანი საკლასო ოთახები:** AI-ს შეუძლია გააუმჯობესოს ჭკვიანი საკლასო ოთახების ფუნქციონირება, უზრუნველყოს რეალურ დროში უკუკავშირი და მოერგოს საკლასო გარემოს საჭიროებებს.

4. **გაფართოებული ანალიტიკა და ინსაითები** (ინგ. სიტყვა (insight) - რაიმეს არსის გაცნობიერება, წვდომის აქტი) **- პროგნოზირებადი ანალიტიკა:** AI-ს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს სტუდენტების მუშაობის უნარი და გამოავლინოს ჩამორჩენის რისკის ქვეშ მყოფნი, რაც დროული ჩარევის საშუალებას იძლევა. **სასწავლო გეგმის შემუშავება:** მონაცემთა ბაზაზე დაფუძნებული შეხედულებები შეიძლება იყოს კურიკულუმის დიზაინის აგების საშუალება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების განვითარებად საჭიროებებს.

საფრთხეები:

1. **ეთიკური საკითხები - მიკერძოება და სამართლიანობა:** ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებს შეუძლიათ გააგრძელონ არსებული მიკერძოება, რაც გამოიწვევს არასამართლიან მოპყრობას გარკვეული სტუდენტური ჯგუფების მიმართ. **გადაწყვეტილების მიღება:** კრიტიკული საგანმანათლებლო გადაწყვეტილებებისთვის AI-ზე დამოკიდებულება ბადებს ეთიკურ კითხვებს ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის შესახებ.

2. **სამუშაო გადაადგილება - პედაგოგთა როლი:** არსებობს მოსაზრება, რომ ხელოვნურმა ინტელექტუალმა შეიძლება შეცვალოს ნაწილობრივ სწავლების პროცესში როლები, რაც გამოიწვევს განათლების სფეროში პერსონალის პოტენციურ

შეცვლას. **ადმინისტრაციული თანამდებობები:** ადმინისტრაციული ამოცანების ავტომატიზაციამ შეიძლება გამოიწვიოს დამხმარე პერსონალის გარკვეულ პოზიციებზე მოთხოვნის შემცირება.

3. **მარეგულირებელი გამოწვევები - შესაბამისობა:** ინფორმაციის დაცვასა და განათლებაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებული მრავალფეროვანი და განვითარებადი რეგულაციების ნავიგაცია და დაცვა შეიძლება ნაწილობრივ სირთულეებს ქმნიდეს. **სტანდარტიზაცია:** ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციებსა და მონაცემთა ფორმატებში სტანდარტიზაციის ნაკლებობამ შეიძლება შეაფერხოს თავსებადობა და ფართოდ გამოყენება.

4. **უსაფრთხოების რისკები - კიბერშეტევები:** ხელოვნური ინტელექტის სისტემები შეიძლება იყოს კიბერთავდასხმების სამიზნე, რაც პოტენციურად უქმნის საფრთხეს ინსტიტუციურ მონაცემებს. **მონაცემთა დაცვა:** კიბერუსაფრთხოების მკაცრი ზომების დაცვა გადამწყვეტია მონაცემთა ბაზების გავრცელების თავიდან ასაცილებლად და მავნე ქმედებებისგან დასაცავად.

დასკვნა. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებლო სფეროში უზარმაზარ პოტენციალს გვთავაზობს სასწავლო პროცესების განვითარების, დახვეწის და თანამედროვე სტანდარტებთან მორგების მიზნით - ეფექტიანი შედეგისა და სტუდენტებისთვის პერსონალიზებული მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ის ასევე წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ საკითხებთან, მონაცემთა კონფიდენციალურობასა და ეთიკურ მოსაზრებებთან. ამ გამოწვევების გადაჭრით და ციფრული ტექნოლოგიების ეპოქის შესაბამისი ახალი შესაძლებლობების გამოყენებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი და ცოდნის მიღების ტექნოლოგიები მოარგონ სტუდენტთა მოთხოვნებს.

ექსპერტთა მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ ხაზს უსვამს მის პოტენციურ სარგებელსა და გამოწვევებს. მიუხედავად იმისა, რომ AI გთავაზობთ მნიშვნელოვან შესაძლებლობებს პერსონალიზებული სწავლისთვის, მასწავლებლის მხარდაჭერისა და ხელმისაწვდომობისთვის, ის ასევე ბადებს მნიშვნელოვან ეთიკურ და პრაქტიკულ გადასაჭრელ კითხვებს. ამ გამოწვევების მოგვარება გადამწყვეტი იქნება ხელოვნური ინტელექტის სრული პოტენციალის გამოსაყენებლად განათლების ტრანსფორმაციისთვის და იმის უზრუნველსაყოფად, რომ ის ემსახურება ყველა სტუდენტის საჭიროებებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. NGUYEN N. Opportunities and challenges of AI in higher education, 2023, https://feedbackfruits.com/blog/opportunities-and-challenges-of-ai-in-higher-education
2. Adlawan D., The Pros and Cons of AI in Education and How it Will Impact Teachers, 2024
3. AI განათლებაში: უპირატესობები, გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა, 2024, https://blog.openlearning.com/ai-in-education
4. The challenges and opportunities of Artificial Intelligence in education, https://www.unesco.org/en/articles/challenges-and-opportunities-artificial-intelligence-education
5. Awofiranye M. The Challenges Of Using AI In Education, 2024
6. Examples of Artificial Intelligence in Education, 2024, https://onlinedegrees.sandiego.edu/artificial-intelligence-education/

Artificial intelligence in the educational field

Guguli Kurashvili
Professor
Georgian Technical University
g.kurashvili@gtu.ge

Tamari Beridze
Professor
Georgian Technical University
t.beridze@gtu.ge

Lika Beridze
Professor
Georgian Technical University
l_beridze@gtu.ge

Summary

Artificial intelligence (AI) has great potential to address the greatest challenges of the education system, improve teaching practices and accelerate progress towards the Sustainable Development Goals (SDG 4), which provide access to lifelong learning opportunities, inclusive and equitable quality education for all. However, it is natural that rapid technological development is accompanied by many risks, and therefore, in addition to the use of artificial intelligence tools for educational purposes, it is important to study and evaluate them in order to determine at the outset the ways to solve the existing potential risks. Due to the rapid development of artificial intelligence technologies, the world's educational systems are constantly undergoing significant transformation. The integration of AI into education aims to improve teaching methods, personalize the learning experience, and effectively solve administrative issues. Accordingly, the educational system is faced with the task of studying the ways in which artificial intelligence changes the methods of receiving education, how useful its use in educational processes is, what challenges the educational field faces and what are the future prospects of AI in this direction.

Keywords: Educational system, artificial intelligence, effectiveness of teaching, risk.

სამეწარმეო საქმიანობის შეღავათიანი ზონა როგორც ინვესტიციების (მათ შორის უცხოური) მოზიდვის მასტიმულირებელი ფაქტორი

დავით ჭელიძე
ეკონომიკის დოქტორი, მოწვეული ლექტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმინდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი
d_chelidze14@yahoo.com

ანოტაცია. წლების მანძილზე ღრმად დეფიციტური საგადასახდელო ბალანსის არსებობის პირობებში, ქვეყნაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელობის ხაზგასმის პარალელურად, ნაშრომის პირველ ნაწილში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განიხილული საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე, როგორც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ისე ზოგადად საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით მიღებული საკანონმდებლო აქტები. აღნიშნული დოკუმენტების განხილვის კვალობაზე წარმოდეგნილია, მათი შეფასების შესახებ ავტორისეული მოსაზრებები. უცხოური ინვესტიციების მობილიზების შესახებ უკანასკნელი წლების სტატისტიკური მონაცემებისა და შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიების აქტივების საქართველოში გადმოტანის მასტიმულირებელი საკანონმდებლო სიახლეების ანალიზზე დაყრდნობით წარმოდგენილია მოსაზრება, მხოლოდ საგადასახადო შეღავათების დაწესების გზით ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის „მექანიზმის“ არასაკმარისად ეფექტიანად მიჩნევის თაობაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომის დასკვნით ნაწილში გააქტიურებულია, ეკონომიკის ერთ-ერთი მკვლევარის წლების წინ გამოქვეყნებული მოსაზრება, საქართველოში ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის ცენტრის შექმნის თაობაზე. კერძოდ ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახელმწიფო საზღვრების ურთიერკავშირის გეოგრაფიულ არეალში, სამივე ქვეყნის წარმომადგენელთა ეკონომიკური საქმიანობის შეღავათიანი რეჟიმის, (დაუშვად თავისუფალი ინდუსტრიული, სავაჭრო და ტურისტული ზონებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების გამაერთიანებელ) ზონად ჩამოყალიბების თაობაზე. აღნიშნულ ზონაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დამატებითი სტიმულირებისათვის განხილულია მოსაზრება ზონის ინვესტორებისათვის (ზონაში წარმოებული საქონლისა და ამ საქონლის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის

ტრანსპორტირებისათვის) საქართველოს საზღვაო პორტების შეღავათების ამოქმედების შესახებ. ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს წარმომადგენელთა ეკონომიკური აქტივობის ზონის დაფუძნების პირველი ეტაპის დასაფინანსებლად გააქტიურებულია ზემოაღნიშნული მკვლევარის მოსაზრება, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური პროექტების დაფინანსების წესის, ხოლო ზონის ფუნქციონირების შემდგომი ეტაპის დასაფინანსებლად (საჭიროების შემთხვევაში) ზონის მეწარმეთა მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების გამოყენების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *უცხოური ინვესტიციები; ამიერკავკასიის შეღავათიანი სამეწარმეო ზონა.*

შესავალი

წლების მანძილზე ღრმად დეფიციტური სავაჭრო ბალანსის მქონე ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონორებისათვის თუ რამდენად მნიშვნელოვანია, საგადასახდელო ბალანსის სხვა მდგენელების, კერძოდ კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშების დადებითი სალდო ამას მტკიცება არ ჭირდება. აქედან გამომდინარე ერთი შეხედვით სრულიად ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისათვის საქართველოს სხვადასხვა დროის ხელისუფალთა ისტორიული ძალისხმევა.

უცხოური ინვესტიციების მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას თუნდაც ის ფაქტი ცხადყოფს, რომ აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი პირველი საკანონმდებლო აქტი, კერძოდ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი, ქვეყნის პარლამენტის მიერ, პრაქტიკულად დამოკიდებლობის აღდგენის პარალელურად, 1991 წლის 25 ივლისს იქნა მიღებული.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ აღნიშნული დოკუმენტის მიღების მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ქვეყნის ეკონომიკის მარეგულირებელი ისეთი ფუძემდებლური საკანონმდებლო აქტები როგორებიცაა: ფიზიკურ პირთა საშემოსავლო; საწარმოთა მოგების; დამატებული ღირებულებისა და აქციზური გადასახადის შესახებ (მიღებულია, 1993 წლის 21 და 24 დეკემბერს); „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ (მიღებულია, 1993 წლის 30 მარტს); „მეწარმეთა შესახებ“ (მიღებულია, 1994 წლის 28 ოქტომბერს); „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ (მიღებულია, 1996 წლის 25 ივნისს) და „საბაჟო გადასახადის შესახებ“ (მიღებულია, 1996 წლის 27 დეკემბერს) საქართველოს კანონები, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პრობლემებზე ქვეყნის ხელისუფლების ზრუნვის პრიორიტეტული ხასიათი მტკიცებას არ საჭიროებს.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი საკანონმდებლო ბაზა

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვითარებული არასასურველი პროცესების, მათ შორის „ტრადიციული“ ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების რღვევით გამოწვეული უმძიმესი ეკონომიკური კრიზისის დაძლევისათვის უცხოური კაპიტალის გამოყენების ლოგიკა აბსოლუტურად გასაგებია. ამდენად სრულიად მართებულად უნდა მივიჩნიოთ შექმნილ სიტუაციაში „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება.

აღნიშნულ გადაწყვეტილების დადებით შეფასებას კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის ის გარემოება, რომ უცხოელი ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა-დეკლარირების დატვირთვის მატარებელი ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის პარალელურად, საქართველოს ხელისუფლების მიერ არც ადგილობრივი ინვესტორები და მათი ხელშეწყობის აუცილებლობა იყო დავიწყებული. საქმე ისაა, რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან თოთხმეტი დღის შემდგომ, ქვეყნის პარლამენტის მიერ „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი იქნა მიღებული.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული კანონები თითქმის იდენტური სტრუქტურის დოკუმენტებს წარმოადგენდნენ. მათ ტექსტებში ზოგადად ინვესტიციებისა და უცხოური ინვესტიციების; საინვესტიციო საქმიანობისა და უცხოელ ინვესტორთა საქმიანობის განმარტებების პარალელურად, როგორც ინვესტიციების, ისე უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ დებულებები ფიქსირდებოდა.

ამასთან ერთად, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლში <u>უცხოელ ინვესტორთა მოვალეობები,</u> ხოლო „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ კანონის ასევე მე-6 მუხლში <u>ინვესტორთა უფლებები</u> იყო დეკლარირებული.

აღნიშნულის პარალელურად თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს, რომ:

-„უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს კანონში ფისკალური დატვირთვის ერთად-ერთ დებულებად, უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმო(ებ)ის საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონების, საქართველოში შემოტანისას, ამ ქონების მხოლოდ საბაჟო გადასახადიდან განთავისუფლება ფიქსირდებოდა. (მე-18 მუხლის პირველი პუნქტი);

-ხოლო „საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით დეკლარირებული, სავარაუდოდ მისაღები საგადასახადო შეღავათები თანაბრად უნდა შეხებოდა როგორც რეზიდენტ ისე არარეზიდენ ინვესტორებს, სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტები, შემდგომ მიღებული საკანონმდებლო აქტებისაგან

განსხვავებით, არ ითვალისწინებენ უცხოელ ინვესტორთა მიმართ იმ გაუმართლებლად „ლოიალურ“ დამოკიდებულებას რომელთა არსებობაც ქვეყანაში არაკონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირებას განაპირობებდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში ამოქმედებული ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტები უდად იმსახურებენ იმ დადებით შეფასებას, რასაც ვერ ვიტყვით შემდგომ პერიოდში მიღებულ გადაწყვეტილებებზე (მათ შორის საკანონმდებლო აქტზე), რომლებიც უცხოელი ინვესტორებისადმი გაუმართლებლი პრივილეგიების მინიჭებით ხასიათდებოდნენ.

აღნიშნულს დასტურებს ქვეყნის პარლამენტის მიერ რეზიდენტ ინვესტორთა სრული იგნორირებით-მხოლოდ უცხოელ ინვესტორებზე ორიენტირებული ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღება როგორადაც გვევლინებოდა, „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონი და ამ დოკუმენტით ამავე სახელწოდების საქართველოს 1991 წლის 25 ივლისის ზემოგანხილული კანონის გაუქმება.

საქმე ისაა, რომ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული პრაქტიკულად ყოვლისმომცველი საგადასახადო შეღავათები მხოლოდ უცხოელი ინვესტორებისა და მათი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე ვრცელდებოდა და იმდენად ეწინააღმდეგებოდა კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირების ელემენტარულ პრინციპებს, რომ პრაქტიკულად გამორიცხავდა რეზიდენტი მეწარმ(ებ)ის ლეგეტიმური საქმიანობის შესაძლებლობას.

„უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონის გამოუსწორებელი ნაკლოვანებების აღიარებას წარმოადგენს კანონის არსებობის მეტად ხანმოკლე პერიოდი, კერძოდ ამოქმედებიდან სულ რაღაც ერთი წლისა და ოთხი თვის შემდგომ, ქვეყნის პარლამენტის მიერ „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბერის კანონის მიღებით, მისი ძალადაკარგულად გამოცხადება.

აღნიშნული ფაქტის უდად პოზიტიური შეფასების მიუხედავად ახლი კანონის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსებად, ჩვენი აზრით მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ის დებულება წარმოადგენდა სადაც დაფიქსირდა, რომ: -„საინვესტიციო და სამეწარმეო სამიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდილი პირი“.

საქმე ისაა, რომ აღნიშნულმა ფორმულირებამ რადიკალურად შეცვლა უცხოელი ინვესტორ(ებ)ის მიმართ დამკვიდრებული „კაპიტულანტური“ დამოკიდებულება და დასაბამი მისცა ცივილიზებულ სამყაროში დამკვიდრებულ პრინციპს რომლის შესაბამისად,

უცხოელი ინვესტორისათვის არ შეიძლება არსებობდეს იმაზე დიდი პრივილეგია, ვიდრე მისი რეზიდენტის რეჟიმში მოქცევა გვევლინება.

მართალია „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბერის კანონმა ძალადაკარგულად მიიჩნია, მხოლოდ უცხოელი ინვესტორებისათვის დაწესებული შეღავათები, თუმცა ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციის გათვალისწინებით, უკვე განხორციელებული უცხოური ინვესტიციების მიმართ ხუთი წლის ვადით შეინარჩუნა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონით გათვალისწინებული შეღავათები. აღნიშნული ნაბიჯი ქვეყანაში კონკურენტული სამეწარმეო გარემოს ფორმირების თვალსაზრისით გაუმართლებელ, თუმცა ზემოაღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით იძულებით მიღებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულის პარალელურად განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ უცხოური ინვეტიციების მოზიდვისა და ქვეყნის საერთაშორისო რეპუტაციის ხელშეწყობის დატვირთვის მატარებელი საკანონმდებლო ნორმების პარალელურად, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე ითვალისწინებდა სტაბილუტრი სამეწარმეო გარემოს ფორმირებისაკენ მიმართულ მეტად მნიშვნელოვან დებულებას. კერძოდ, უკვე განხორციელებული ინვესტიციების მიმართ, ათი წლის ვადით არ ვრცელდებოდა არც ერთი ახალი საკანონმდებლო ნორმა, რომელსაც შეეძლო გაუარესებია ინვესტიციის განხორციელების მომენტისათვის არსებული გარემო.

პროგნოზირებადი სამეწარმეო გარემოს ფორმირებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი, ზემოაღნიშნული მიდგომის მოქმედება შეაჩერებული იქნა 1997 წლის 13 ივნისის საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიღებით. ხოლო 2009 წლის 17 ივლისს, „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა შესწორებებმა საერთოდ ამოიღო აღნიშნული დებულება დოკუმენტის ტექსტიდან.

საინვესტიციო საქმიანობის, მათ შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების პარალელურად ქვეყანაში წლების მანძილზე მოქმედებდა და მოქმედებს, სამეწარმეო გარემოს ლიბერალიზება-გაუმჯობესებაზე ორიენტირებული და აქედან გამომდინარე საინვესტიციო საქმიანობის მასტიმულირებელი ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტები როგორებიცაა:

-„საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს 1998 წლის 5 მარტის კანონი (ძალადაკარგულია 2004 წლის 9 მარტიდან), რომელიც ჩანაცვლებული იქნა „სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 13 თებერვლის კანონით;

-„ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონი;

-„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონი;

-„ქობულეთის თავისუფალი ტურისტული ზონის განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს 2010 წლის 2 ნოემბერის კანონი, რომელიც 2010 წლის 17 დეკემბრიდან ჩანაცვლდა-„ქობულეთის და ანაკლიის თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით. ხოლო 2011 წლის 5 მაისიდან შეიცვალა - „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით;

-„ოლიმპიური მოძრაობის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 15 მაისის კანონი;

-„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 16 ივლისის კანონი.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტების პარალელურად საინვესტიციო საქმიანობის მასტიმულირებელ მეტად მნიშვნელოვან ფაქტორებად გვევლინებიან „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ის რიგი დებულებებით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით „აწარმოე საქართველოში“ გათვალისწინებული შეღავათები.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების დინამიკა

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის, განსაკუთრებით უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის მიღებული და მოქმედი ზემოაღნიშნული ნორმატიული ბაზის ფონზე მეტად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მობილიზების თვალსაზრისით, უკანასკნელ პერიოდში შექმნილი მდგომარეობა. (იხ. ცხრილი#1).

ცხრილი #1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლრდ. აშშ. დოლარი)

	2015	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	1,7	1,7	2,0	1,4	1,4	0,6	1,3	2,1
ზრდა/კლება 2015-100%	100,0	100,0	117,6	82,4	82,4	35,3	76,5	123,5
მშპ	15,2	15,4	16,5	17,9	17,6	16,0	18,9	25,0

ზრდა/კლება 2015-100%	100,0	101,3	108,6	117,8	115,8	105,3	124,3	164,5
ხვედრითი წილი მშპ-თან	11,2	10,0	12,1	7,8	8,0	3,7	6,9	8,4

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tsesdeuli
საქართველოს ეროვნული ბანკი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები https://nbg.gov.ge/statistics/international-rating

როგორც ცხრილი#1-ით წარმოდგენილი მონაცემებიდან ვრწმუნდებით, 2015 წლიდან 2023 წლამდე, ქვეყანაში განხორციელებული, აშშ დოლარებში ნომინირებული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 23,5 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი და ერთი შეხედვით დადებით მოვლენად გვევლინება.

თუმცა, თუ მხდველობაში მივიღებთ ამავე წლებში აშშ დოლარის ინფლაციის ყოველწლიურ მაჩვენებლებს, (იხ. დიაგრამა #1), აღნიშნულ ვალუტაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნომინალური ზრდის, ცხრილი#1-ით წარმოდგენილი მაჩვენებლები ძნელია საკმარისად პოზიტიურ ტენდენციად იქნეს მიჩნეული.

აღნიშნულის გათვალისწინებით, 2015-2022 წლებში საქართველოში აშშ დოლარში განხორციელებული, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკის შეფასებისათვის, ჩვენი აზრით გაცილებით მნიშვნელოვანია, ცხრილი#1-ით წარმოდგენილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის მაჩვენებლების განხილვა.

აშშ დოლარის ინფლაცია *დიაგრამა #1*



წყარო: Current US Inflation Rates :2000-2024 https://www.usinflationcalculator.com/inflation/current-inflation-rates/

როგორც აღნიშნული მონაცემის დინამიკა ცხადყოფს, ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობის მაჩვენებელი, 2015-2022 წლებში, 11,2 პროცენტული ერთეულიდან 8,4 პროცენტულ ერთეულამდე, ანუ 2,8%-ით არის შემცირებული. რაც უცხოური ინვესტიციების მობილიზების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებულ ნაკლოვანებებზე და ამ თვალსაზრისით სახელისუფლებო სტრუქტურების ძალისხმევის გააქტიურების აუცლებლობაზე მიგვანიშნებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი შეხედვით სრულიად ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ საქართველოს საგადასახადო კოდექსში, მ/წლის 29 მაისს შეტანილი ის ცვლილებები რომელთა მიზანს შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნებში („ოფშორებში“) რეგისტრირებული კომპანიების აქტივების (მათ შორის წილების, აქციების) საქართველოში გადმოტანის (უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვის) პროცესის სტიმულირება წარმოადგენდა.

სამეწარმეო აქტივების უცხოეთიდან საქართველოში გადმოტანის მასტიმულირებელი ზემოაღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყნებში რეგისტრირებული საწარმოების აქტივების საქართველოს რეზიდენტი მეწარმე სუბიექტ(ებ)ის საკუთრებაში გადაცემით შემოსავლის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირები, თავისუფლდებიან საშემოსავლო და მოგების გადასახადების ვალდებულებებიდან.

ამასთან ერთად, აღნიშნული აქტივების საქართველოში შემოტანა 2028 წლამდე თავისუფლდება იმპორტის, ხოლო 2030 წლის პირველ იანვრამდე ქონების გადასახადიდან.

განხილული საგადასახადო სიახლეების ამოქმედების შედეგად, თუ რამდენად რეალურია, განუსაზღვრელი ვადით დაწესებული შეღავათების (ოფშორული) მოქმედების ზონ(ებ)იდან, მხოლოდ გარკვეული პერიოდით დაწესებული შეღავათების არეალში (საქართველოში) აქტივების გადმოტანის მოლოდინი, აღნიშნულზე მსჯელობა სცილდება ჩვენს კონპეტენციას. თუმცა, არაკეთილსინდისიერი „მეწარმეების“ მიერ დაწესებული საგადასახადო შეღავათების, გადასახადებიდან თავის დაღწევის უკანონო საშუალებებად გამოყენების საშიშროების შესახებ ვარაუდი სავსებით შეესაბამება ჩვენს სამეწარმეო პრაქტიკაში დაგროვილ გამოცდილებას.

საქმე ისაა, რომ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ტენდენციების თანახმად, ხშირად პოზიტიური მიზნ(ებ)ის მიღწევისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები, (მაგ. საშემოსავლო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმი), „მეწარმეთა“ გარკვეული ნაწილის მიერ გადასახადების არ გადახდის „მექანიზმებად“ გამოიყენებოდა.

აღნიშნული გარემოებისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ „ოფშორულ ზონებში“ რეგისტრირებული საწარმოების მონაცემები, როგორც წესი კონფიდენციალურ ინფორმაციად არის მიჩნეული, ადვილი წარმოსადგენია რა სირთულეების წინაშე შეიძლება აღმოჩდნენ

გადასახადების მობილიზებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურები აღნიშნული შეღავათების ამოქმედების შედეგად.

ამოქმედებული საგადასახადო შეღავათების ძვირადღირებული საწარმოო საშუალებების (სამეწარმეო აქტივების) იმპორტის და/ან ქონების გადასახადებიდან განთავისუფლების უკანონო „საშუალებებად“ გამოყენების საშიშროების პარალელურად თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებებს, რომ:

-ოფშორული ზონებიდან საქართველოში შემოტანილი, იმპორტისა და ქონების გადასახადებიდან განთავისუფლებული ძვირადღირებული წარმოების (დაუშვად ტექნოლოგიური ხაზები, საფრენი და მცურავი) საშუალებების გამოყენებით შექმნილი პროდუქციის დაბალი თვითღირებულებით განპირობებული კონკურენტული უპირატესობა, სავსებით შესაძლებელია მნიშვნელოვანი სირთულეების მომტანი აღმოჩდეს მსგავსი შეღავათების არ მქონე სხვა მეწარმეებისათვის;

-ხოლო შეღავათიანი დაბეგვრის ქვეყანებში (ოფშორებში) რეგისტრირებული პირების მიმართ საგადასახადო შეღავათების დაწესება, გაურკვეველია რა რეაქციას გამოიწვევს უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი საერთაშორისო (“FATF”-ი; “MONEYVAL”-ი) ორგანიზაციებიდან, ამოქმედებული საგადასახადო სიახლეების ეფექტიანობა საკმაოდ საკამათო საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული. აღნიშნული მოსაზრების ლოგიკურობას ადასტურებს, „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსით, (არა ვადით, არამედ უვადოდ) დაწესებული საგადასახადო შეღავათების (იხ. ცხრილი#2) პირობებში ქვეყანაში მობილიზებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უკანასკენელი პერიოდის (ცხრილი#1-ით წარმოდგენილი) ტენდენციები.

ცხრილი #2

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოებისათვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები

შეღავათის მომღები პირი	საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდება	მოგების გადასახადიდან	დღგ-საგან თავისუფლდება	იმპორტის გადასახადიდან თავისუფლდება	ქონების გადასახადიდან თავისუფლდება
	-თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და ამ დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. *მუხლი 130.7.*	-მოგების გადასახადისაგან თავისუფლდება: ნ) თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში	-დღგ-ისაგან ჩათვლის უფლების გარეშე განთავისუფლებულია:	-იმპორტის გადასახადისაგან განთავისუფლებულია: მ)თავისუფალ ინდუსტრიულ	-შესაბამისი დაბეგვრის ობიექტის მიხედვით ქონების გადასახადისაგან

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო	-თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული პროცენტი გადასახადის წყაროსთან არ იბეგრება და ამ პროცენტის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. ***მუხლი 131.9.*** -გადასახადის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ: ა) პირი, რომელიც დაქირავებულ უხდის ხელფასს, გარდა: ა.ა) თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს რეზიდენტი დაქირავებულისათვის გადახდილი ხელფასისა. ***მუხლი 154.1.“ა.ა“.***	ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“-„დ“ ქვეპუნქტებით. ***მუხლი 99.1.“ზ“.***	რ) თიზ-ის საწარმოს მიერ თიზ-ის სხვა საწარმოსათვის საქონლის მიწოდება; ს) თიზ-ის საწარმოს მიერ იმავე თიზ-ის სხვა საწარმოსათვის მომსახურების გაწევა; ***მუხლი 171.1. “რ“ და „ს“+***	ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუქტიული ზონიდან იმპორტი. ***მუხლი 199. “მ“***	განთავისუფლებულია: ჩ) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება; ***მუხლი 206.1. “ჩ“***

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექს

ყოველივე ზემოაღნიშნული ჩვენი აზრით აბსოლუტურად ცხადყოფს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისათვის, მხოლოდ საგადასახადო შეღავათების არსებობის ნაკლებად ეფექტურ ხასიათს და განსაკუთრებულ აქტუალობას ძენს, არსებული შეღავათების გამოყენებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებული კომპლექსური მიზნობრივი პროგრამების (პროექტების) შემუშავება-ამოქმედების აუცილებლობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მეტად საყურადღებოდ უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს წარმომადგენელთა ეკონომიკური აქტივობის ცენტრის (ზონის) ფორმირების შესახებ, იმ დროისათვის ახალგაზრდა მკვლევარის, ჯერ კიდევ 2012 წელს გამოქვეყნებული მოსაზრების გააქტიურება.

კერძოდ საქართველოს ისტორიული ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის საზღვრის თავმოყრის, იშვიათი გეოგრაფიული არეალის, (იხ. დანართი #1) „რეგიონის ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ცენტრად“[2] გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

თუ მხედველობაში მივიღებთ აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის წლების მანძილზე არსებული საომარი მდგომარეობის პრაქტიკულად დასრულების ფაქტით

განპირობებულ სადღეისო ტენდენციებს, ზემოაღნიშნული მოსაზრება საკმაოდ პერსპექტიულ მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამიერკავკასიის სამი ქვეყნის სასაზღვრო კონტაქტის არეალში, (იხ. დანართი#1) რეგიონის ეკონომიკური აქტივობის ცენტრის, (დაუშვად თავისუფალი ინდუსტრიული, სავაჭრო და ტურისტული ზონებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული შეღავათების გამაერთიანებელ არეალად-ზონად) ჩამოყალიბების გზით, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზრდის, აღნიშნულ ზონაში წარმოებული საქონლის და ამ საქონლის საწარმოებლად საჭირო ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის საქართველოს საზღვაო პორტების შეღვათიანი რეჟიმის ამოქმედების პერსპექტივა.

ზემოაღნიშნული ზონის შექმნის პირველი ეტაპის დაფინანსებისათვის მიზანშეწონილია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კაპიტალური პროექტების დაფინანსების წესის გამოყენება. ხოლო, პროექტის შემდგომი ეტაპ(ებ)ის (საჭიროების შემთხვევაში) დასაფინანსებლად „ქვეყნის მთავრობამ უნდა მოახდინოს აღნიშნული ზონის წილების რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის საჯარო შეთავაზება“ [2]. ახალგაზრდა მკვლევარის მიერ, წლების წინ შემუშავებული დაფინანსების აღნიშნული წესი საბიუჯეტო ხარჯების დაზოგვის პარალელურად დადებით იმპულსს მისცემს ზონის საქმიანობაზე მიუკერძოებელი და ობიექტური საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის ამოქმედებას.

ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის წარმომადგენელთა (იურიდიული და ფიზიკურ პირები) ეკონომიკური საქმიანობის, ერთ-შეღავათიანი სამეწარმეო სივრცეში მოქცევა-ფუნქციონირების შესახებ წარმოდგენილი მოსაზრების რეალიზებისათვის უაღრესად საყურადღებოდ მიგვაჩნია, პროექტის განხორციელების პირველივე ეტაპიდან მიმდინარე პროცესებში აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების როგორც სახელისუფლებო სტრუქტურების ისე სამეწარმეო წრეების ჩართვის უზრუნველყოფა, რაც დამატებით იმპულსს მისცემს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პროცესის გააქტიურებას.

გამოყენებული ლიტერატურა

-Campbell R. McConnell., Stanley L. Brue,. Sean M. Flynn,. “Economics Problems, and Policies ELGHTEENTH EDITION The Balance of payments p. 765-769

https://www.academia.edu/43634432/Principles_Problems_and_Policies

-ლ. ჭელიძე., დ. ჭელიძე „კონკურენტული სამეწარმეო გარემო და საგადასახადო შეღავათები“ კონკურენციის პოლიტიკის მეორე საერთაშორისო კონფერენცია “კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები “ შრომების კრებული თბილისი 2018 +

-L. Chelidze “Free Economic Zones as the Levar to Regional Development” International Students Scientifical Conference The Perspectives of the Integration of South Caucasus Region to European Area in the XXI century Tbilisi, 5-6 May, 2012

-„საგარეო სექტორის სატატისტიკა“ მეთოდოლოგიური განმარტებები https://nbg.gov.ge/fm/external_sector/geo/external-sectorgeo-bpm-6-updated-1.pdf?v=ejkef

-უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 25 ივლისის კანონი;

-„საინვესტიციო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 1991 წლის 10 აგვისტოს კანონი;

-„უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს 1995 წლის 30 ივნისის კანონი;

-„საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ’ საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის კანონი;

-„თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის კანონი;

-„საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ საქართველოს 2010 წლის 10 დეკემბრის კანონი;

-„თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს 2011 წლის 5 მაისიდან კანონი;

-საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის #365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამით „აწარმოე საქართველოში“;

-საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli

-საქართველოს ეროვნული ბანკი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები https://nbg.gov.ge/statistics/international-rating

-Current US Inflation Rate: 2000-2024 https://www.usinflationcalculator.com/inflation/current-inflation-rates/

Business activity preferential zone as stimulating factor for attracting investments (including foreign ones)

David Chelidze
Doctor of Economics
St. of the Patriarchate of Georgia
Andrew the first named
Georgian University guest lecturer
d_chelidze14@yahoo.com

Summary

In the presence of a deeply deficit balance of payments for years, in parallel with emphasizing the importance of attracting foreign direct investments in the country, the first part of the paper discusses in chronological order the legislative acts adopted for the purpose of attracting foreign investments and

promoting investment activities in general, from the restoration of Georgia's political independence to the present. Following the review of the mentioned documents, the author's opinions on their evaluation are presented. Based on the analysis of recent years' statistical data on the mobilization of foreign investments and legislative innovations stimulating the transfer of assets of companies registered in countries with preferential taxation to Georgia, an opinion is presented on considering the "mechanism" of attracting foreign investments to the country only through the establishment of tax incentives to be insufficiently effective. Considering the above, in the final part of the work, the opinion published years ago by one of the economic researchers, regarding the creation of the center of economic activity of all three Transcaucasian countries in Georgia, is activated. In particular, in the territory of historical Kvemo Kartli, in the geographical area of the connection of the state borders of Georgia, Azerbaijan and Armenia, regarding the formation of a preferential regime for the economic activities of the representatives of the three countries, (permitting free industrial, trade and tourist zones) as a unifying zone. In order to further stimulate the attraction of foreign investments in the mentioned zone, an opinion on the implementation of the privileges of the sea ports of Georgia for the investors of the zone (for the transportation of the goods produced in the zone and the raw materials necessary for the production of these goods) has been discussed. In order to finance the first stage of the establishment of the zone of economic activity of the representatives of the three states of Transcaucasia, the opinion of the above-mentioned researcher has been activated, regarding the method of financing capital projects of the state budget of Georgia, and the use of securities issued by entrepreneurs of the zone to finance the next stage of the zone's operation (if necessary).

Keywords: foreign investments; Preferential business zone of Transcaucasia.

დანართი #1

ინოვაციური ბიზნესის ზეგავლენა კომპანიების მდგრად განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე

ხათუნა ბერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახისვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
khatuna.berishvili@tsu.ge

მარიკა გოგუაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახისვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
goguadzem1990@gmail.com

ანოტაცია. *გლობალიზაციისა და დიგიტალიზაციის ეპოქაში ბიზნესსამყარო, უნიკალური გამოწვევებისა და შესაძლებლობების წინაშე დგას. ბიზნესინოვაცია ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ფაქტორია ყველა კომპანიისთვის, რათა მათ შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა და მოწინავე პოზიციები დღევანდელ ბიზნეს გარემოში. ინოვაციური სტრატეგია, განსაზღვრავს, თუ სად უნდა მოხდეს ინოვაციური ძალისხმევის ფოკუსირება. ცხადია, უნდა არსებობდეს მკაფიო და შედეგზე ორიენტირებული სტრატეგია, რომელსაც შეუძლია კომპანიის მოგების დინამიური ზრდა (Makadia, 2021). სტატია ფოკუსირებულია ინოვაციის სამ ფაქტორზე: ორგანიზაციის მდგრადობაზე, მეწარმეობაზე და ინოვაციურ ბიზნეს მოდელზე. ნაშრომის მთავარი მიზანია გავაანალიზოთ და შევაფასოთ, ინოვაციების ორგანიზაციის მდგრადობისა და კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედების მექანიზმი. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია როგორც საერთაშორისო კომპანიის გამოცდილებაზე, ასევე საქართველოში მოქმედი კომპანიების ინოვაციურ აქტიურობაზე.*

საკვანძო სიტყვები: *ბიზნეს ინოვაცია, მეწარმეობა, ინოვაციური ბიზნეს მოდელი, ხელოვნური ინტელექტი და ბიზნეს ინოვაციები.*

2024 წლის BBC მიერ ჩატარებული კვლევით (Joost N, Kok E. 2024). გამოვლინდა, რომ კომპანიების 83% მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინოვაციას, როგორც მათი განვითარების მთავარ პრიორიტეტს, მაგრამ მხოლოდ 3% არის მზად ამ პრიორიტეტის შედეგად გადაქცევისთვის.

კომპანიების ბიზნეს სტრატეგია ფოკუსირებული უნდა იყოს ინოვაციურ ინვესტიციებთან. ინოვაციური სტრატეგიით მართული ინოვატორული კომპანიების შემოსავლის წილი ახალი პროდუქტებიდან 74%-ით უფრო მაღალია, ვიდრე იმ კომპანიების, რომლებშიც სუსტი კავშირია სტრატეგიასა და ინოვაციებს შორის. ზოგადად, კომპანიების სიცოცხლის ხანგრძლივობა და კონკურენტუნარიანობა დიდწილადაა დამოკიდებული ბიზნეს ინოვაციებზე. მომხმარებელთა პრეფერენციების სწრაფი ცვლილებისა და გლობალური კონკურენციის გათვალისწინებით ინოვაციური ბიზნესკომპანიები იკავებენ მოწინავე ადგილს საერთაშორისო ბიზნესში. მომავალში, ტექნოლოგიური კონკურენციის სამყაროში, ინოვაციური ბიზნესის მოდელი და მისი განვითარება კი არ შეჩერდება, არამედ უფრო მზარდი გახდება. თანამედროვე ბიზნეს გარემოში, გაჩნდა კონცეფცია, რომელიც ინტენსიურად ცვლის წარმოების პროცესს. კომპანიების განვითარების ობიექტურმა აუცილებლობამ მოითხოვა, რომ ბიზნესინდუსტრიაში საჭიროა, რომ თითოეულმა მონაწილემ განაახლოს საკუთარი პროდუქტები და სერვისები.

არსებობს ოთხი განსხვავებული ტიპის ინოვაცია: ინოვაციური პროდუქტები,ინოვაციური პროცესები, ინოვაცური მარკეტინგი და ბიზნესინოვაციები.

ინოვაციური პროცესის კონცეფციასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ტექნოლოგიური პროდუქტისა და ტექნიკური პროცესის ინოვაციები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბიზნესის მფლობელებისთვის პრიორიტეტი მიენიჭოს ყველა ტიპის ინოვაციას, რათა შეინარჩუნოს ბაზარზე მდგრადი პოზიცია. ინოვაციური ბიზნესი იძლევა შესაძლებლობას, რომ კომპანია გახდეს თავის დარგში მოწინავე, კონკურენტუნარიანი და წარმატებული. თანამედროვე ბიზნეს გარემოში თითქმის შეუძლებელია ინოვაციის გარეშე გრძელვადიანი ფუნქციონირება. ზოგადად, ახალი ინოვაციები კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა და ძირითადი ბირთვია. ამიტომ ბუნებრივია, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ ბიზნესის წარმატებას. მეწარმეები არიან ნოვატორები ეკონომიკაში და ზოგადად ბიზნეს გარემოში, რომლებიც ეძებენ გზებს,რათა გადაჭრან პრობლემები, არა ლოკალურად, არამედ გლობალურად. ეპოქაში, სადაც ხელოვნური ინტელექტი (AI) რევოლუციას ახდენს ბიზნეს პარადიგმებში, ინოვაციები ხელს უწყობენ ხელოვნური ინტელექტის როლის ყოვლისმომცველ გააზრებასა და

დამკვიდრებას. ბიზნესის ინოვაციებში, განიხილავენ როგორც მის შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს. AI-ზე ორიენტირებული ბიზნეს მოდელები ხასიათდება გაუმჯობესებული ოპერაციული ეფექტიანობით, მონაცემების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და მომხმარებელზე ორიენტირებული მიდგომებით. ეს მოდელები ნიშნავს ტრანსფორმაციულ ცვლილებას ჩვეულებრივი ბიზნეს სტრატეგიებიდან, რაც მოითხოვს ლიდერის როლის გადაფასებას და ეთიკური მოსაზრების დამკვიდრებას ციფრულ ეპოქაში. ხელოვნური ინტელექტის (AI) გაჩენა თანამედროვე ბიზნესში იყო გარდამტეხი ძალა, სწორედ რომ AI-ის ინტეგრაცია ბიზნეს მოდელებში გახდა თანამედროვე ბიზნესის გადამწყვეტი ფაქტორი (Gordon, 2021).

ინოვაცია ორგანიზაციას აძლევს საშუალებას მძაფრი კონკურენცია გაუწიოს ბაზარზე ორიენტირებულ კომპანიებს,ასევე ხელს უშლის იმ კომპანიების ხანგრძლივვადიან არსებობას, რომელთაც არ შესწევთ უნარი გაუმკლავდნენ არსებულ გამოწვევებს. თანამედროვე ბიზნეს გარემოში ტექნოლოგია საშუალებას აძლევს ბიზნესს გადავიდეს ტრადიციული რეჟიმიდან თანამედროვე სტანდარტებზე. ციფრული ტრანსფორმაცია მცირე, საშუალო და განსაკუთრებით მსხვილი ბინესისთვის გახდა ძირითადი ტენდენცია.

საქართველოში, ინოვაციური ბიზნესის განვითარებას საფუძველი ჩაეყარა 2014 წელს, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ჩამოყალიბების შედეგად. მისი მიზანი იყო ისეთი ეკოსისტემის ფორმირება, რომელიც ხელს შეუწყობდა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარებას. GITA-ს ინიციატივით, ქვეყანაში შემოვიდა მსოფლიოს ტოპ სამ აქსელერატორში შემავალი, მძლავრი გლობალური ვენჩურული კაპიტალის პლატფორმა „500 Global“, რომელიც საერთაშორისო დონის აქსელერაციის პროგრამას ახორციელებს ქართულ სტარტაპებთან ერთად, საერთაშორისო სტარტაპების მონაწილეობით. ამასთან, ქვეყანაში შეიქმნა პირველი ვენჩურული ფონდი 20 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით, სადაც სააგენტო 25%-იანი თანამონაწილეობით არის წარმოდგენილი. IT კომპანიებისთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების შედეგად, ქვეყანაში 120 საერთაშორისო IT კომპანია შემოვიდა, რომელთაც, 2023 წლის 12 თვის მონაცემებით, ხელფასის სახით მილიარდი ლარი გასცეს, შეიქმნა 10 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შემდგომი განვითარების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივაა დაგეგმილი: განისაზღვრება ინოვაციური სტარტაპის სტატუსი და ამ სტატუსის მქონე კომპანიებს 3 წლის განმავლობაში გაუნულდებათ საშემოსავლო და მოგების გადასახადები; ასევე დამატებით განისაზღვრება ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსი და ამ სტატუსის მქონე კომპანიებს შეეძლებათ,

თავიანთი R&D დანახარჯები 500%-ით გამოქვითონ მოგების დასაბეგრი ბაზიდან და R&D დანახარჯების 30% დაიბრუნონ გრანტის სახით; კომპანიები, რომლებიც R&D საქმიანობას ეწევიან, გათანაბრდებიან საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე კომპანიებთან და მოგებისა და საშემოსავლო გადასახადი შეუმცირდებათ 5%-მდე. განისაზღვრა ქვეყნის 3 ძირითადი ტექნოლოგიური მიმართულება: ხელოვნური ინტელექტი; ფაგები; აგროტექნოლოგიები. მათი განვითარება-ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკის სამინისტრო და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო აქტიურად იმუშავებენ. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გლობალური მასშტაბის პოტენციალის მქონე 200-ზე მეტი სტარტაპი, საგრანტო დაფინანსების ოდენობამ კი 38 მილიონი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ შედეგად, დაფინანსებულმა სტარტაპებმა ნახევარი მილიარდი ლარის კერძო ფინანსური სარგებელი მოიპოვეს და 3000-მდე ახალი სამუშაო ადგილი შექმნეს. ამასთან, საქართველოს მასშტაბით, შეიქმნა 9 ტექნოპარკი, საგრანტო პროგრამის „25 000 ლარამდე ინოვაციების გრანტები რეგიონებისთვის“ ფარგლებში, საერთო ჯამში 80 პროექტი დაფინანსდა. [1]

2016 წლის 22 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ინოვაციების შესახებ“, რომლის მიზანია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის შექმნა და სრულყოფა, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა, სხვა სახელმწიფოებში შექმნილი ტექნოლოგიების საქართველოში ათვისების ხელშეწყობა, საქართველოში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრებისა და ტექნოლოგიების დანერგვისა და ექსპორტის ხელშეწყობა, მოწინავე ტექნოლოგიების მეცნიერებისა და ეკონომიკის ყველა სფეროში შეღწევა ამ სფეროთა კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით. [2]

ინოვაციების გლობალურ ინდექსში, საქართველოს მაჩვენებლები გაუმჯობესდა. ამ მხრივ ქვეყნის მთავარი მიღწევებია ინსტიტუციური მოწყობა და მარეგულირებელი პოლიტიკა. თუმცა, მთავარ სისუსტეებად რჩება ხელისუფლების და კერძო სექტორის მიერ განათლებისა და კვლევითი მიმართულებების მხარდაჭერის ნაკლებობა და ბიზნესის მიერ ინოვაციების შეზღუდული გამოყენება.[2]

2023 წელს, საქართველოს რეიტინგი 2022 წელთან შედარებით 9 პოზიციით გაუმჯობესდა, 74-ე ადგილიდან 65-ე ადგილზე გადაინაცვლა. თუმცა, მიუხედავად საგრძნობი პოზიციური წინსვლისა, ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა მიიღო (29.9) და ამ შეფასებით მხოლოდ 2022 წლის რეკორდულად დაბალ შედეგს (27.9) უსწრებს.

2023 წელს საქართველოს ქულა გაუმჯობესდა ხუთ კომპონენტში - ბაზრის განვითარების დონე, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, საბაზრო გარემო, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები. რეგრესი დაფიქსირდა დანარჩენ 2 კომპონენტში - ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. (იხ.ცხრილი1). მცირე პროგრესის მიუხედავად, ქვეყანას ჯერ კიდევ დაბალი ქულა (29.9) აქვს ინოვაციების გლობალურ ინდექსში. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2023 წლის შედეგებით, ქვეყანა 9 პოზიციით დაწინაურდა მსოფლიო რეიტინგში, რაც ინდექსის მეთოდოლოგიურმა ცვლილებამაც განაპირობა. ასევე აღსანიშნავია, რომ რიგმა ქვეყნებმა, რომლებიც 2022 წლის შედეგებით საქართველოს უსწრებდნენ, 2023 წლის შეფასებით საქართველოზე დაბალი ქულა მიიღეს, მაგალითად, პერუ, რომელიც 2022 წელს 29.1 ქულით 65-ე ადგილს იკავებდა წელს 27.1 ქულით 76-ზე გადაინაცვლა; მსგავსი ტენდენციაა ტუნისის (73-ე ადგილიდან (27.9 ქულით) 79-ე ადგილზე (26.9) გადაინაცვლა), ბოსნიისა და ჰერცოგოვინის (70-დან (28.5 ქულით) 77-ზე (27.1) გადაინაცვლა) და სხვა რამდენიმე ქვეყნის შემთხვევაშიც. [2]

ცხრილი 1

საქართველო ინოვაციების გლობალურ ინდექსში - 2023 წელს

	2022 რეიტინგი	2023 რეიტინგი	ცვლილება
ინსტიტუტები	30	25	+5
ბიზნესის განვითარების დონე	64	58	+6
ადამიანური კაპიტალი და კვლევები	70	69	+1
საბაზრო გარემო	72	77	-5
ცოდნა და ტექნოლოგიები	75	72	+3
ინფრასტრუტურა	83	80	+3
შემოქმედებითი პროდუქტები	86	81	+5

წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

საქართველოს ქულა კატეგორიების მიხედვით გამოიყურება შემდეგი სახით (იხ:ცხრილი 2)

ცხრილი 2



წყარო: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

2023 წელს საქართველომ მაღალი შედეგი აჩვენა 7-დან მხოლოდ 3 კატეგორიაში. კერძოდ, ინსტიტუტები, ადამიანური კაპიტალი და ბიზნესის განვითარების დონე შეფასდა ზედა-საშუალო შემოსავლის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მაღალი ქულებით. 2022 წელს მსგავსი შეფასება საქართველომ მხოლოდ პირველ ორ კატეგორიაში მიიღო. დანარჩენ ოთხ კატეგორიაში კი - საბაზრო გარემო, ინფრასტრუქტურა, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები - საქართველო საშუალოზე დაბალი ქულით შეფასდა. ამ შედეგებით საქართველო ზედა-საშუალო შემოსავლის 33 ქვეყნიდან მე-14 ადგილს იკავებს. ქვეყნების ამ ჯგუფში ინოვაციური განვითარების დონით გამოირჩევა ჩინეთი, ტაილანდი, ბრაზილია, ჩრ. მაკედონია, სამ. აფრიკა, მოლდოვა, იამაიკა და იორდანია. [2]

ქვეყანაში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ზოგადი ტენდენციების დადგენის მიზნით კომპანიებში: „დადარი“, „სხივი“, „ჩუ“, „ჰერა“ ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა, რომელმაც გამოავლინა ამ სფეროში მიმდინარე ზოგადი ტენდენცია. კვლევის შედეგად გამოკითხულ იქნა ამ კომპანიების 25 მენეჯერი და ფინანსური დირექტორი.

შეკითხვაზე 2024 წლის პირველი კვარტლისთვის, რომელი შემდეგი სტრატეგიები იყო თქვენი საწარმოს ეკონომიკური საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი? რესპონდენტებმა შემდეგნაირად უპასუხეს: ფოკუსირება ახალი საქონლის/მომსახურების შემოღებაზე 16.1 %; ფოკუსირება ერთ ან მცირე რაოდენობის საკვანძო საქონელზე ან მომსახურებაზე 38.7.%;

ფოკუსირება მცირე რაოდენობის საქონელზე 45.2% (იხ.დიაგრამა 1)

დიაგრამა 1

1. 2024 წლის პირველი კვარტლისვთის, რომელი შემდეგი სტრატეგიები იყო თქვენი საწარმოს ეკონომიკური საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი?



შემდეგ კითხვაზე: რომელი ფაქტორები აღწერენ იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა თქვენი საწარმო 2024 წლის პირველი კვარტლისთვის? რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტორებია: მომავალი ტექნოლოგიური პროგრესის პროგნოზირების სირთულე 56.%; ახალი კონკურენტების გამოჩენა 16 %, საქონლის/მომსახურების შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან 28%; (იხ.დიაგრამა 2)

დიაგრამა 2

2.რომელი ფაქტორები აღწერენ შემდეგი იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც აღმოჩნდა თქვენი საწარმო 2024 წლის პირეველი კვარტლისთის?



საინტერესო სურათს გვაძლევს შემდეგ შეკითხვაზე გაცემული პასუხები: 2023 წელს თქვენმა საწარმომ იყიდა დანადგარები, მოწყობილობა ან პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც დაფუძნებულია: იგივე ან გაუმჯობესებულ ტექნოლოგიაზე, რაც უკვე გამოიყენებოდა მანამდე საწარმოში 62.5%; ახალ ტექნოლოგიაზე, რომელიც არ გამოიყენებოდა მანამდე თქვენს საწარმოში 37.5%. ახალი კონკურენტების გამოჩენა ბაზარზე 16%.(იხ.დიაგრამა 3)

დიაგრამა 3



გამოკითხულთა 87.5 % თვლის რომ ინოვაციებმა გააუმჯობესა მათი საწარმოს მონაცემები, ხოლო 12.5 %-ს კი მიაჩნია რომ არ მოახდინა გავლენა,რადგან ინოვაციების დანერგვას და შემდეგ შედეგის მიღებას გარკვეული დრო სჭირდება. (იხ.დიაგრამა 4).

დიაგრამა 4



კითხვაზე, თუ რა ტიპის ინოვაცია დანერგა საწარმომ, პასუხები შემდეგნაირად გადახაწილდა საქონლის წარმოების, განვითარების ან მომსახურების მიწოდების ახალი, გაუმჯობესებული მეთოდები 16.7 %, ინფორმაციის დამუშავების ან კომუნიკაციის ახალი ან გაუმჯობესებული მეთოდები 58.3%, ორგანიზების გაუმჯობესებული ბიზნეს პრაქტიკა გაუმჯობესებული ურთიერთობები 25. (იხ.დიაგრამა 5).

დიაგრამა 5



კითხვაზე,თუ რა ტიპის ინოვაცია დანერგა საწარმომ, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა საქონლის წარმოების, განვითარების ან მომსახურების მიწოდების ახალი, გაუმჯობესებული მეთოდები 16.7 % ,ინფორმაციის დამუშავების ან კომუნიკაციის ახალი ან გაუმჯობესებული მეთოდები 58.3%, ორგანიზების გაუმჯობესებული, ბიზნეს პრაქტიკა გაუმჯობესებული ურთიერთობები 25.

დიაგრამა 6



კითხვაზე თუ რა სახის დაფინანსებით ისარგებლა თქვენმა ორგანიზაციამ, პასუხები გადანაწილდა შემდეგი სახით: ადგილობრივი ხელისუფლებიდან 32.%; ფინანსური დახმარება ევროკავშირის ინსტიტუტებისგან 56%; ცენტრალური ხელისუფლებისგან
12. % (იხ,დიაგრამა 6).

ამდენად ჩატარებული კვლევა ასახავს იმ ზოგად ტენდენციას, რომლითაც ხასიათდება საწარმოები ინოვაციური განვითარების დარგში, რომელიც ვლინდება ამ სფეროში არსებულ არამდგრად დინამიკაში.

დასკვნა

ინოვაცია, უპირველეს ყოვლისა, კომპანიის ეფექტიანი პასუხია საგარეო გამოწვევებზე. მუდმივი ცვლილებები კანონმდებლობაში, ბიზნესის კეთების პირობებსა და წესებში, კონკურენციის ზრდა, მოითხოვს, რომ კომპანიებს ჰქონდეთ ადაპტირებული შესაძლებლობები. უკანასკნელი კი ხორციელდება მენეჯერული ინოვაციის მეშვეობით, რაც განსაზღვრავს ინოვაციური კომპონენტის მნიშვნელობას ბიზნესის მართვის სისტემაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ქვეყნის წინაშე დგას ამოცანა - გადავიდეს ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე - ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბებაზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ მხოლოდ მეცნიერების, ბიზნესის, საზოგადოების, სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების ნაყოფიერი ურთიერთქმედებითაა შესაძლებელი ინოვაციური ბიზნესის ჩამოყალიბება.

საქართველოსათვის ინოვაციური ბიზნესების განვითარება არის შესაძლებლობა იმპორტიორი ქვეყნიდან გახდეს პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყანა. საწარმოო სფეროში ინოვაციების დანერგვა აამაღლებს არა მხოლოდ წარმოებული პროდუქციის ხარისხს და შეამცირებს დანახარჯებს, არამედ შეიქმნება პრინციპულად ახალი სახის პროდუქცია და მომსახურება, გაჩნდება გასაღების ახალი ბაზრები, გაიზრდება კომპანიების კონკურენტუნარიანობა, რითაც ქვეყანა დაიკავებს ღირსეულ ადგილს ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს შესახებ.2024
2. ინფორმაციის განვითარების თავისუფლების ინსტიტუტი (IDFI) 2023
3. საქართველოს მთავრობა. კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. მთავრობის დადგენილება №32

4. საქართველოს კანონი. ინოვაციების შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.16/05/2023
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბრძანება №1-1/66. 5 მარტი 2014 წელი. https://- matsne.gov.ge/ka/document/view/2269957
6. Berishvili Kh. Using of scenario technologies in the process of anti-crisis regulation of small business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,2023.
7. Gordon, C. (2021). The Rise Of AI In The Transportation And Logistics Industry. Forbs.
8. Christopher, M. P. (2006). A taxonomy for selecting global supply chain strategies. The International Journal of Logistics Management, 17(2), 277-287(11).
9. Conn, A. (2018 წლის 26 06). Artificial intelligence: The challenge to keep. Retrieved from Future of Life Institute:.
10. Joost N. Kok, E. J. (2009). Artificial Intelligence: Definition, Trends, Techniques, And Cases. In Artificial Intelligence. In Artificial Intelligence, 270-299.
11. Makadia, M. (2021). Artificial Intelligence in Logistics Maximising Operational Efficiency. Business 2 Community.
12. Shengelia T. Berishvili KH. (2018). Influence of Cultural Determinants on theProcess of Business Innovations Management. Ecoforum Journal. Vol.7. Issue 1.
13. Shengelia T. (2022). INFLUENCE OF MULTICULTURAL FACTORS ON INNOVATIVE DEVELOPMENT OF THE COUNRY Sciences of Europe.Issue 107.
14. Shengelia T. (2016). Culture, as „Perceptual Prism "of Knowledge Generation and its Role in International Business. T Shengelia,Age 5 (62), 5
15. .Shengelia T. Berishvili KH . (2014). The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment. Journal of Social Sciences 3 (2)
16. Shengelia T. (2013). Influence of role of international business on formation of international relations policy. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 5 (3/4)
17. Shengelia T., Y. Kozak , Z. Kirkitadze.,(2020) .FDI motivation effects on Host countries. World economy and international economic relations 3, 15-20
18. http://fablab.gov.ge/geo/static/51/GITA
19. https://www.globalinnovationindex.org/
20. https://www.globalinnovationindex.org/

Impact of innovative business on the sustainable development and competitiveness of companies

Khatuna Berishvili
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhisvili Tbilisi State University
khatuna.berishvili@tsu.ge

Marika Goguadze
PhD student
Ivane Javakhisvili Tbilisi State University
goguadzem1990@gmail.com

Summary

In the current era of globalization and digitalization, businesses are navigating through distinct challenges and opportunities. Business innovation stands out as a crucial factor for companies striving to maintain competitiveness and leadership in today's dynamic market landscape. Central to effective innovation is a well-defined strategy that directs where and how innovation efforts should be concentrated, ultimately driving profitability and growth (Makadia, 2021). This article explores three pivotal aspects of innovation: organizational sustainability, entrepreneurship, and innovative business models. Its primary objective is to analyze and assess how these factors contribute to the sustainability of organizational innovation and its impact on competitiveness. The study focuses on the international business environment and the innovative practices of companies operating within Georgia.

Keywords: business innovation, entrepreneurship, innovative business model, artificial intelligence and business innovations.

„მწვანე“ ბანკინგი მდგრადი განვითარებისთვის

გოგა გელიტაშვილი
დოქტორანტი
571 999971
g.gelitashvili@gtu.ge

ნინო ჩიკვილაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
593 300765
n.chikviladze@gtu.ge

მზევინარ ნოზაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი
571 150541
m.nozadze@gtu.ge

მედეა ჭელიძე
ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
599 583888
m.chelidze@gtu.ge
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია. *დღეს მსოფლიოში ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევას „მწვანე“ და ინკლუზიური ეკონომიკის დაფინანსება წარმოადგენს. ფინანსური ნაკადების ლიბერალიზაციამ, საფინანსო-ეკონომიკური სისტემების ინტეგრაციამ და გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად დააჩქარა ფულადი სახსრების ტრანსსასაზღვრო მოძრაობა და საერთაშორისო საბანკო სექტორის განვითარება, რაც აფართოვებს გარე კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობებს. ფართოდ გავრცელდა „მწვანე“ ბანკინგის, როგორც გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური ინსტრუმენტის კონცეფცია, რაც გამომდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობიდან გარემოსდაცვითი გამოწვევების დაძლევაში. ჩამოყალიბდა „მწვანე“ ბანკინგის ექვსი პრინციპი, რომლებიც გახდა*

ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და კაპიტალის განთავსებისადმი მათი მიდგომების საფუძველი მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შესაბამისობაში მოსაყვანად, რისთვისაც საჭიროა შემუშავდეს ფინანსური მხარდაჭერის პრიორიტეტების განსაზღვრის მექანიზმები. სტატიაში გაანალიზებულია „მწვანე“ ობლიგაციების ბაზრის დინამიკა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) საქმიანობა „მწვანე“ ინვესტიციების გამოყოფის კუთხით, აგრეთვე საქართველოში „მწვანე“ სესხების მიმართულებით არსებული მდგომარეობა. ჩვენი აზრით, ბანკების მიერ „მწვანე“ და ინკლუზიური დაკრედიტების, აგრეთვე რისკების მართვის ახალი მეთოდების უფრო ეფექტიანად ინტეგრირებისთვის, საჭიროა სათანადო მარეგულირებელი გარემოს შექმნა, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი პირობები ბაზრის ყველა სუბიექტისათვის და შესაბამისი ეკონომიკური სტიმულები.

საკვანძო სიტყვები: *„მწვანე“ ბანკინგი, „მწვანე“ სესხი, საბანკო რეგულირება, კლიმატის ცვლილება, ცენტრალური ბანკი.*

გლობალურ დონეზე, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, ხელსაყრელი პირობები ჩნდება „მწვანე“ ინოვაციების დანერგვისთვის, რაც ქმნის შესაძლებლობებს ეკოლოგიური გამოწვევების დასაძლევად. ასეთი ინიციატივების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია ფინანსური რესურსების არსებობაზე. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) მონაცემებით, გლობალური მიზნის მისაღწევად, 2030 წლისთვის მავნე ემისიების 45%-ით და 2050 წლისთვის მათი ნულოვან დონემდე შესამცირებლად, საჭიროა ინვესტიციების თითქმის გასამმაგება (2019 წელს 760 მლრდ აშშ დოლარიდან 2,2 ტრლნ აშშ დოლარამდე 2030 წლისთვის)[25]. განვითარებადი ქვეყნების გადასასვლელად ნულოვანი ემისიის ეკონომიკაზე, საჭიროა წელიწადში დაახლოებით 1 ტრლნ აშშ დოლარი.

„მწვანე“ ბანკინგის ექვსი პრინციპი გახდა მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) შესაბამისობაში მოსაყვანად ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობისა და კაპიტალის განთავსებისადმი მათი მიდგომების საფუძველი. სულ უფრო მეტი ბანკი უერთდება აღნიშნულ ტენდენციას და მოჰყავს თავისი პოლიტიკა თანხვედრაში მდგრადი განვითარების მიზნებთან, უპირველეს ყოვლისა, მომსახურების გაციფრულების გზით, რაც ხელს უწყობს ენერგიის და რესურსების დაზოგვას.

[25] https://www.un.org/en/climatechange/net-zero-coalition

ვთვლით, რომ აუცილებელია კაპიტალის შემოდინება პროექტებში, რათა ხელი შეეწყოს „მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლას. ამავდროულად, ფიქსირდება მოთხოვნის ზრდა „მწვანე“ აქტივებზე, მათ შორის კერძო ინვესტორების მხრიდან. თანამედროვე გამოწვევა არის ის, თუ როგორ შეიქმნას მეტი „მწვანე“ აქტივები, კერძოდ ბაზრის განვითარების გზით. ამაში შეიძლება თავისი წვლილი შეიტანონ ცენტრალურმა ბანკებმა და მარეგულირებლებმა, მაგ., ბაზრის ახალი სტანდარტების მხარდაჭერით.

უღარიბესი და ღარიბი ქვეყნები გაცილებით ხშირად იღებენ შეღავათიან დაფინანსებას ან გრანტებს SDG მიზნების მისაღწევად. ამგვარი საქმიანობის განხორციელება, გარდა გარემოზე პირდაპირი დადებითი ზემოქმედებისა, აყალიბებს საზოგადოების მიერ ბანკების ახალ აღქმას, როგორც სუბიექტებზე, რომლებიც ორიენტირებული არიან არამარტო მოგებაზე, არამედ დიდი წვლილი შეაქვთ გარემოს დაცვასა და გაჯანსაღებაში.

ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, Sveriges Riksbank-მა და ინგლისის ბანკმა განაცხადეს, რომ მათი დაბანდებები კორპორაციულ ობლიგაციებში განხორციელდება კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით. ბევრი ცენტრალური ბანკი და სუვერენული კეთილდღეობის ფონდი ყიდულობს „მწვანე“ ობლიგაციებს. რთული დებატებია მოსალოდნელი იმის თაობაზე, გამოიყენონ თუ არა ცენტრალურმა ბანკებმა თავიანთი გაფართოებული ბალანსები „მწვანე“ აქტივებში აქტიური ინვესტირებისთვის, თუ პირდაპირ არა, ობლიგაციების შეძენით მაინც. ეს მოიცავს როგორც სავალუტო რეზერვებს, ასევე შიდა პორტფელებს. ზოგიერთმა სუვერენულმა კეთილდღეობის ფონდმა (SWF), კერძოდ კი ნორვეგიის საპენსიო ფონდმა, უკვე საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია ამ მიმართულებით.

ხაზგასასმელია, რომ ბაზრის განვითარების სტიმულირების და ფულის „მწვანე გათეთრების“ თავიდან აცილების მიზნით მდგრადი დაფინანსების საკითხებში ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია „მწვანე ტაქსონომიის“ მიღებას, როგორც ფინანსური პროდუქტების რეგულირების და მარკირების გამარტივების საშუალებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „მწვანე“ ობლიგაციების[26] ბაზრის დინამიკა, რომლის სტატისტიკა ყველაზე სრულად არის წარმოდგენილი Climate Bonds Initiative-ს (CBI) ანგარიშებში. მის თანახმად, 2021 წელს ბაზრის მოცულობამ შეადგინა 517,4 მლრდ აშშ დოლარი (CBI, 2022); ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალს წარმოადგენს „მწვანე“ ბაზრის შექმნის დღიდან და ყოველწლიურად მზარდი

[26] მიზნობრივი ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია პროექტებისთვის, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებას ან გარემოსთვის მიყენებული ზიანის მინიმუმამდე შემცირებას

ტენდენცია გააჩნია. თუ აღნიშნული დინამიკა შენარჩუნდება, 2024 წელს, სავარაუდოდ, მიაღწევს 2,5 „მწვანე ტრილიონს“,[27] ხოლო 2025 წლისთვის დაგეგმილია ეპოქალური ზღვრის - 5 ტრლნ აშშ დოლარის გადალახვა (იხ. ნახაზი 1).

ნახაზი 1. „მწვანე“ ობლიგაციების ემისია (ტრლნ აშშ დოლარი)



წყარო: Climate Bonds Initiative, 2022

ექსპერტები სხვადასხვაგვარად აფასებენ „მწვანე“ ობლიგაციების ემისიის წლიურ მოცულობას. როგორც უკვე აღინიშნა, Climate Bonds Initiative-ს თანახმად, გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად 2025 წლისთვის მწვანე ობლიგაციების გამოშვების მოცულობა გაიზრდება 5 ტრლნ აშშ დოლარამდე წელიწადში; საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და IEA-ის შეფასებით, 2050 წლისათვის CO_2-ის ნულოვანი ემისიის მისაღწევად მომდევნო ათწლეულების განმავლობაში საჭიროა დამატებითი ინვესტიციები გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტის 0.6-1%-ის, საერთო ჯამში 12-20 ტრლნ აშშ დოლარის მოცულობით; McKinsey[28]-ის გათვლების მიხედვით, 2050 წლისთვის აღნიშნული მიზნის მისაღწევად „მწვანე“ ინვესტიციების სახით საჭირო იქნება საერთო ჯამში 9 ტრლნ აშშ დოლარი წელიწადში.

2021 წელს Reuters-ის მიერ ჩატარებულმა ეკონომისტების გამოკითხვამ გამოავლინა მნიშვნელოვანი განსხვავებები ჯამური აუცილებელი ინვესტიციების

[27] ეს მიზანი პირველად გამოიკვეთა „მხარეთა კონფერენციის“ ფარგლებში (Conference of Parties, CoP) 2016 წ.

[28] საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, სპეციალიზებულია სტრატეგიულ მართვასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაზე. კონსულტანტის რანგში თანამშრომლობს მსოფლიოს უდიდეს კომპანიებთან, სამთავრობო უწყებებთან და არაკომერციულ ორგანიზაციებთან

თაობაზე (რაც ასახავს გამოყენებული მეთოდოლოგიების მრავალფეროვნებას). ამ გამოკითხვის თანახმად, დასახელდა ინვესტიციების აუცილებელი ოდენობა - 44 ტრლნ აშშ დოლარი. თავის მხრივ, Oxford Economics-ის ექსპერტები თვლიან, რომ 2050 წლისთვის სხვადასხვა სექტორებში საჭიროა განხორციელდეს თითქმის 140 ტრლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. ეს არის ყველაზე მაღალი ციფრი, რომელიც გაჟღერდა კვლევის ფარგლებში.

2022 წლის მონაცემებით, „მწვანე“ ობლიგაციების ემისიის მხრივ წამყვან ქვეყნებს წარმოადგენდნენ აშშ, გერმანია, საფრანგეთი და ჩინეთი (მთლიანი მოცულობის დაახლოებით 54%).

ინსტიტუციური თვალსაზრისით, მათი ემისიის 3/4-ზე მეტი მოდის უმსხვილეს ბანკებსა და კორპორაციებზე, რომელთა პირველი ათეული წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1. „მწვანე“ ობლიგაციების 10 უმსხვილესი სერტიფიცირებული ემიტენტი (2021 წლის შედეგებით)

N	ემიტენტი	მლრდ აშშ დოლარი
1	China Development Bank (China)	7,4
2	Société du Grand Paris (France)	5,8
3	ICBC (China)	4,2
4	Queensland Treasury Corp (Australia)	2,2
5	ABN AMRO Bank NV (Netherlands)	2,2
6	DNB ASA (Norway)	1,8
7	Westpac Bank (Australia)	1,2
8	Ferrovie dello Stato Italiane (Italy)	1,2
9	Republic of Chile	1,2
10	ReNew Power (India)	1,0

წყარო: CBI, 2022

2021 წლის ბოლოსთვის გამოშვებული „მწვანე“ ობლიგაციების მთლიანმა მოცულობამ 210 მლრდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 75%-ით აღემატება 2020 წლის შესაბამის მაჩვენებელს. ეს დაეხმარა „მწვანე“ ბაზრის საინვესტიციო სტანდარტების დადგენას და დეფინიციების ჰარმონიზაციას სხვადასხვა იურისდიქციებში როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

ბოლო წლების განმავლობაში, გარემოსდაცვითი მდგრადობის უზრუნველყოფის ძირითადი წყარო საერთაშორისო ბანკები იყვნენ. ასე,

„მწვანე“ ინვესტიციების გამოყოფაში მოწინავე ადგილს ინარჩუნებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)[29].

2023 წლის დეკემბერში გამოქვეყნდა დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფდა ბანკი მის მიერ აღებული ვალდებულებების და საქმიანობის შესაბამისობას პარიზის შეთანხმების მიზნებთან 2021 წლის განმავლობაში. ამიერიდან, ბანკის ყველა ინვესტიცია - კლიენტების პირდაპირი დაფინანსება თუ ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით ქვეპროექტების არაპირდაპირი დაფინანსება - შეთანხმებული და შეფასებული იქნება კლიმატურ მიზნებთან მიმართებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნას მდგრადობა კლიმატის ცვლილების შედეგების მიმართ.

ბანკი ასევე იღებს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ემისიები მისი შენობებიდან, მგზავრობებიდან, შესყიდვებიდან, ხაზინის და სხვა საქმიანობიდან შეესაბამებოდეს პარიზის შეთანხმების მიზნებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ EBRD-ის პროგრამას პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექნება კატალიზატორის ეფექტი, რომელიც წაახალისებს ბანკის კლიენტებს, შეუსაბამონ თავიანთი საქმიანობა პარიზის შეთანხმების მიზნებს.

ბანკის ტრანსფორმაციული მიდგომა მოიცავს მუშაობას EBRD-ის 300-ზე მეტ პარტნიორ ბანკთან და მათ ქვეკლიენტებთან სამ კონტინენტზე. ბანკის გარემოსდაცვითი რეფორმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარტნიორმა ბანკმა, რომელიც იზიდავს EBRD-გან კრედიტებს, უნდა გამოიყენოს ეს თანხები გაცხადებული მიზნებისთვის და ვერ შეძლებს მათ გამოყენებას ინვესტიციებისთვის, რომელიც ეწინააღმდეგება ბანკის პრინციპებს. ამგვარად EBRD მხარს დაუჭერს პარტნიორი ბანკების ბიზნეს პრაქტიკის რეფორმებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი პორტფელის შესაბამისობა „მწვანე“ გადასვლის პრინციპებთან.

EBRD-მა უკვე გააფორმა შეთანხმება რამდენიმე ბანკთან მათი საქმიანობის „გამწვანებასთან“ დაკავშირებით. 2027 წლისთვის მიზანია - პარტნიორი ბანკების აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ახალი მიდგომის გამოყენება. მხარდაჭერას ჰპოვებენ პროექტები ენერგეტიკის, „მწვანე“ მშენებლობისა და შენობების რეკონსტრუქციის, განახლებადი ენერგიის წყაროების, წყლის გადამუშავების, ჩამდინარე წყლების გაწმენდის, მყარი ნარჩენების უტილიზაციის და სხვა სფეროებში. „მწვანე“ ეკონომიკის მიმართულებით უკვე გამოყოფილია EBRD-ის ჯამური ინვესტიციების 50%-ზე მეტი.

საქართველოში, 2022 წელს „მწვანე“ სესხების ჯამური მოცულობა შეადგენდა 1.4 მლრდ ლარს (530 მლნ აშშ დოლარს), დაფიქსირდა 15%-ანი ზრდა. დავძენთ, რომ 13

[29] EBRD Green - https://www.ebrd.com/what-we-do/ebrd-green.html

კომერციული ბანკიდან ჯერ მარტო 7-ის მიერ მოხდა აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება.

2022 წელს სესხების ჯამურ მოცულობაში „მწვანე“ სესხების მაჩვენებელი 1.2%-ს აღწევს (იხ. ნახაზი 2). აღნიშნული 2021 წლის მაჩვენებელზე 0.2 პ.პ.-ით პუნქტით მეტია. ასევე გაიზარდა აშშ დოლარში გაცემული „მწვანე“ სესხების ოდენობა (სულ - 65%). წლის ბოლოს ამ სახის სესხებმა ჯამური პორტფელის 3.2% შეადგინა (შედარებისთვის: 2021 წელს - 2.9%, 2020 წელს - 2.2%).

ნახაზი 2. „მწვანე“ სესხების ჯამური მოცულობა ბანკების მიხედვით[30]
(2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში „მწვანე“ სესხების მოცულობა ბანკების მთლიან პორტფელში საშუალოდ 6%-ს შეადგენდა. ამ მიმართულებით ლიდერობს 3 საბანკო დაწესებულება: „თიბისი ბანკს“ პორტფელის 45% „მწვანე“ აქვს, „საქართველოს ბანკს“ - პორტფელის 35%-ანი წილი გააჩნია. მესამე ადგილს იკავებს „პროკრედიტ ბანკი“, რომლის მაჩვენებელი 13%-ია. „თიბისი ბანკის“ მიერ 2022 წლის განმავლობაში „მწვანე“ სესხების სახით სულ გაიცა სესხების 55%, „საქართველოს ბანკის“ მიერ - 19%, ხოლო „პროკრედიტ ბანკის“ მიერ - 18%.

[30] გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით

გამოყენებული ლიტერატურა

Bennett, V. (2023, January 10). How EBRD Paris alignment will help emerging market banks' green transition. Retrieved from The European Bank for Reconstruction and Development (EBRD): https://www.ebrd.com/news/2023/how-ebrd-paris-alignment-will-help-emerging-market-banks-green-transition.html

Bhardwaj, B., & Malhotra, A. (2013). Green Banking Strategies: Sustainability Through Corporate Entrepreneurship. Journal of Business and Management Studies, 3(4)., 180–193.

Bingham, G., Large, A., & Fisher, P. (2023, April 23). Climate change and the role for central banks. From Central Banking, Financial Stability: https://www.centralbanking.com/central-banks/financial-stability/7958485/climate-change-and-the-role-for-central-banks

CBI. (2022, January 31). $1 Trillion Annual Green Issuance in Sight. Retrieved from Climate Bonds Initiative.: https://www.climatebonds.net/2022/01/500bn-green-issuance-2021-social-and-sustainable-acceleration-annual-green-1tn-sight-market

EU taxonomy for sustainable activities. (2020, July 12). Retrieved from European Commission.:https://finance.ec.europa.eu/sustainable-finance/tools-and-standards/eu-taxonomy-sustainable-activities_en

Hsu, C., Quang-Thanh, N., Chien, F., Li, L., & Mohsin, M. (2021). Evaluating Green Innovation and Performance of Financial Development: Mediating Concerns of Environmental Regulation. Environmental Science and Pollution Research, 28., 386–397.

IMF. (2021, June). G20 Background Note: Reaching Net Zero Emissions. Retrieved from International Monetary Fund, Washington, DC: https://www.imf.org/external/np/g20/pdf/2021/062221.pdf

IMF. (2023, October). Global Financial Stability Report: Financial and Climate Policies for a High-Interest-Rate Era. Retrieved from International Monetary Fund. Washington, DC: https://www.imf.org/en/Publications/GFSR/Issues/2023/10/10/global-financial-stability-report-october-2023

Malliga, A., & Revathy, K. (2016). Customer Awareness on Green Banking – An Initiative by Private Sector Banks in Theni District. International Journal of Economic and Business Review, 4(5)., 58–66.

MGI. (2022). The Net-zero Transition: What it would cost, what it could bring. New York: McKinsey Global Institute.

Murshudli, F. (2023). Green Banking for Sustainable Development. Foresight and STI Governance, №17(2), 82–94.

Taghizadeh-Hesary, F., & Yoshino, N. (2020). Sustainable Solutions for Green Financing and Investment in Renewable Energy Projects. Journal of Energies, 13(4)., 1–18.

Zapotichna, R. (2023). Green Trend in International Banking Business: Opportunities for Ukraine. Economy of Ukraine, №3., 58–72.

მდგრადი დაფინანსება საქართველოში 2023. (2023 წლის 14 ნოემბერი). მოპოვებული საქართველოს ეროვნული ბანკი: https://inlnk.ru/PmzaxO -დან

საბანკო ზედამხედველობა. (2023 წლის დეკემბერი). მოპოვებული საქართველოს ეროვნული ბანკი: https://inlnk.ru/XOzOVz-დან

წლიური ანგარიში 2022. (2023). მოპოვებული საქართველოს ეროვნული ბანკი: https://inlnk.ru/dnPQmn-დან

Green Banking for Sustainable Development

Goga Gelitashvili
PhD Student
Georgian Technical University
g.gelitashvili@gtu.ge

Nino Chikviladze
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
n.chikviladze@gtu.ge

Mzevinar Nozadze
Doctor of Economics, Associate Professor
Georgian Technical University
m.nozadze@gtu.ge

Medea Chelidze
Doctor of Economics, Professor
Georgian Technical University
m.chelidze@gtu.ge

Summary

One of the main challenges in today is financing a green and inclusive economy. Liberalization of financial flows, integration of financial and economic systems and globalization have significantly accelerated the cross-border movement of funds and the development of the international banking sector, which expands the possibilities of attracting external capital. The concept of "green" banking as the most innovative instrument of environmental policy has become widespread, due to the active participation of international financial institutions in overcoming environmental problems. Six green banking principles have been established to guide financial institutions and their capital allocation approaches in line with the Sustainable Development Goals (SDGs). Accordingly, it is necessary to develop mechanisms for determining priorities for financial support. The article analyzes the dynamics of the green bond market, the activities of the European Bank for Reconstruction and Development (EBRD) in placing green investments, as well as the current situation regarding green loans in Georgia. In our view, in order for banks to more effectively integrate green and inclusive lending, as well as new risk management methods, it is necessary to create an appropriate regulatory environment that will provide a level playing field for all market participants and appropriate economic incentives.

Keywords: green banking, green loan, banking regulation, climate change, central bank.

ბიზნესის მიკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესების ძირითადი ინსტრუმენტები

ზურაბ წერეთელი
ეკონომიკის მაგისტრი, მეცნიერი თანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის
ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე
zurab.tsereteli@tsu.ge

ანოტაცია. *მსოფლიოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის პერიოდში, როდესაც ხდება ეკონომიკური არასტაბილურობის ზრდა და ეკონომიკის მდგრადი განვითარების შესაძლებლობის მკვეთრი შემცირება, ფირმის მართვის ეფექტური სისტემის შექმნის აუცილებლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნულიდან გამომდინარე ფირმები საჭიროებენ მუდმივ მონიტორინგს, აუცილებელი ხდება მაკრო და მიკროეკონომიკური გარემოებების შესწავლა, შეფასება და ანალიზი. ნებისმიერი ფირმა ფუნქციონირებს გარკვეულ ბიზნეს-გარემოში. ბიზნესგარემო არის ფირმის ფუნქციონირების პირობებისა და მის საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებენ ფირმაზე, ან შეძლებისდაგვარად ფირმა ზემოქმედებს მათზე. ფირმის ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეუძლია მის მმართველ პერსონალს (მენეჯერებს) და სპეციალისტებს თავიდან აიცილონ შესაძლო საფრთხეები და აღმოფხვრან მაკრო და მიკრო გარემოს უარყოფითი ზემოქმედების შედეგები. ნაშრომში განხილულია ბიზნესის მაკრო და მიკრო გარემოს არსი, მათზე მოქმედი ფაქტორები. გაუმჯობესების ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებიც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობენ ბიზნესის სტაბილურ და ეკონომიკურად მომგებიან ფუნქციონირებას.*

საკვანძო სიტყვები: *ბიზნესის მაკრო და მიკრო გარემო; მიკრო გარემოზე მოქმედი ფაქტორები, საწარმოს მიკრო გარემოს გაუმჯობესების ინსტრუმენტები, მარკეტინგი, გაყიდვები, ინოვაცია, ინვესტიციები, ადამიანური რესურსები.*

შესავალი

თანამედროვე პირობებში წარმატებული ბიზნესი მოითხოვს შესაბამისი, სრულყოფილი მაკრო და მიკრო გარემოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც სისტემატიურად უნდა უმჯობესდებოდეს სხვადასხვა ინსტრუმენტების საშუალებით.

საწარმოს საუკეთესო ეკონომიკური შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს კარგად ორგანიზებული მიკრო გარემო, რომლის ოპტიმიზაცია დაკავშირებულია მრავალი ფაქტორის გაუმჯობესებასთან: კერძოდ, ფინანსური და მარკეტინგული კომპონენტები, პერსონალთან ყოველდღიური მუშაობა, დაგეგმვა, აღრიცხვა და სხვა.

სტატიის აქტუალობა განპირობებულია საბაზრო ეკონომიკაში საწარმოთა რეგულირების ყველა ინსტრუმენტის მიკრო დონეზე შესწავლის აუცილებლობით.

საწარმოებში მიკრო გარემოს ეფექტურობა მენეჯმენტის ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა. მიკრო გარემო შეიცავს იმ პოტენციალს, რომელიც ორგანიზაციას აძლევს საშუალებას იმოქმედოს და, შესაბამისად, იარსებოს ანუ გადარჩეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მაგრამ მიკრო გარემო ასევე შეიძლება იყოს პრობლემების წყარო და საწარმოს გაკოტრებაც კი გამოიწვიოს, თუ ის არ უზრუნველყოფს მის აუცილებელ ფუნქციონირებას.

საწარმოს მიკრო გარემოს ოპტიმიზაციაზე მუშაობა არასტაბილურ ბაზარზე, გულისხმობს ეკონომიური მექანიზმის გამოყენებას, კერძოდ, ფოკუსირებას დაზოგვის ეფექტური საშუალებების განხორციელების დაჩქარებას, მომგებიანობის გაზრდას და ყველა რესურსის, მათ შორის სასაქონლო რესურსის სწორად გამოყენების უზრუნველყოფას.

უაღრესად კონკურენტულ გარემოში, ინვენტარის ოპტიმიზაციის საკითხი უკიდურესად აქტუალური ხდება. საწყობში არსებული ვითარება პირდაპირ აისახება კომპანიის მიმდინარე ანგარიშის მდგომარეობაზე, ანუ მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე. ეს ყველაფერი ასევე წყდება საწარმოს მიკრო გარემოს შეფასებით.

ბიზნესით დაკავებული საწარმოს ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია მის საქმიანობაზე მაკრო გარემოს გავლენის მუდმივი შეფასებაც და შესწავლაც. ამისათვის საჭიროა საწარმოში შემუშავდეს გარკვეული მეთოდოლოგია მაკრო გარემოში არსებული საფრთხეებისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის, იმ ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩინებისათვის, რაც კომპანიას გააჩნია. ფირმის მიერ მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს საწარმოს ძლიერი მხარეები, მცდელობა არ მოაკლოს, რათა დაძლიოს სისუსტეები, ისარგებლოს შესაძლებლობებით და დაიცვას პოტენციური საფრთხეები.

ბიზნესის ინტენსიური განვითარებისთვის საჭიროა გარკვეული პირობები და ფაქტორები:

1) სამეწარმეო უნარი, პირადი ინტერესები, შემოქმედებითი იდეები, სარგებელი;

2) ბაზარზე თავისუფალი სივრცის არსებობა ან ბაზრის გაფართოების ალბათობა;

3) მოგების გაზრდის შესაძლებლობა;

4) რესურსების ეკონომიურად გამოყენებისა და ინოვაციების დანერგვის უნარი;

5) კრიზისული სიტუაციების პროგნოზირების უნარი და მათი გადაჭრის გზები.

ბიზნესის განვითარება არის პროცესი, რომელიც გამოიყენება ახალი მომხმარებლებისა და ბიზნეს შესაძლებლობების შესაქმნელად და მოსაზიდად.

შესაძლებლობები, რომლებიც ასტიმულირებს კომპანიის ზრდას და მომგებიანობას [9].

მაკრო გარემოსთან ერთად გასათვალისწინებელია მარკეტინგული გარემო, რაც გულისხმობს აქტიური სუბიექტებისა და ძალების ერთობლიობას, რომლებიც მოქმედებენ კომპანიის გარეთ და გავლენას ახდენენ მარკეტინგის მენეჯმენტის უნარზე დაამყარონ და შეინარჩუნონ წარმატებული თანამშრომლობითი ურთიერთობები სამიზნე კლიენტებთან.

***

თანამედროვე ბიზნესი დამოკიდებულია რთულ სისტემებსა და ტექნოლოგიებზე, რომლებიც მუდმივად ვითარდება. აღნიშნულ პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია საწარმოს მარკენტინგული გარემოს შეფასება და შესწავლა.

მარკეტინგული გარემო არის აქტიური სუბიექტებისა და ძალების ერთობლიობა, რომლებიც მოქმედებენ საწარმოს გარეთ და გავლენას ახდენენ მარკეტინგის მენეჯმენტის უნარზე, დაამყარონ და შეინარჩუნონ წარმატებული თანამშრომლობითი ურთიერთობები სამიზნე კლიენტებთან. გარემოს გათვალისწინება, რომელშიც საწარმო მუშაობს, მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1) შიდა (მიკრო) გარემოს შესწავლა, 2) გარე (მაკრო) გარემოს შესწავლა.[1].

მიკრო და მაკრო გარემო მოიცავს უამრავ ძირითად ფაქტორს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის დივერსიფიცირებულ განვითარებაზე. განსხვავება მაკრო და მიკრო ბიზნეს გარემოს შორის ის არის, რომ მაკროგარემო მოიცავს ბიზნესის გარე გარემოში არსებულ ყველა ფაქტორს, რომლებიც საწარმოს(ფირმის) ფარგლებს გარეთ არიან და შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მის საქმიანობასა და შედეგებზე. ის ხასიათდება ფართო გარემოთი. მიკროგარემო კი - მოიცავს ფაქტორებს, რომლებიც

უფრო ახლოს არიან თავად ბიზნესთან და პირდაპირ გავლენას ახდენენ მის საქმიანობაზე. იმის გასაგებად, თუ როგორ მუშაობს ბიზნესის ესა თუ ის ნაწილი,

ზოგადად მიღებულია, რომ საწარმოს მიკროგარემოში მოქმედი ძალები მოიცავს თავად საწარმოს, მომწოდებლებს, კონკურენტებს, შუამავლებს, კლიენტურას და, ზოგადად, ორგანიზაციის ყველა საკონტაქტო აუდიტორიას.[1].

საწარმოს გარე გარემო მოიცავს მიკროგარემოს ყველა ელემენტს, ბუნებრივია, გარდა თავად ორგანიზაციისა, რადგან ეს არის შიდა გარემო, ისევე როგორც მაკროგარემოში მოქმედი ფაქტორები. მაკროგარემო წარმოდგენილია უფრო ფართო სოციალური ძალებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მიკროგარემოზე.

საწარმოს მიზნები ტრადიციულად იყოფა სამ კატეგორიად: 1) ადამიანებთან 2) მანქანებთან, ნედლეულთან, ხელსაწყოებთან და 3) ინფორმაციასთან მუშაობა.

მაკროეკონომიკური გარემოს შესასწავლად აუცილებელია საწარმოს მუშაობის ანალიზის ჩატარება, რაც გამოიყენება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში მომავალი ბიზნესის განვითარების სტრატეგიის დაგეგმვასა და საერთაშორისო ბაზარზე გასვლის შესაძლებლობების გამოვლენაში. გარდა აღნიშნულისა აუცილებელია. ანალიზის გამოყენებით სისუსტეების, ძლიერი მხარეების, რისკებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირება.

შიდა გარემოს შესწავლის მიზანია საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა. შიდა გარემოს ანალიზი ყველაზე რთული ამოცანაა. აუცილებელია საქმიანობის ყველა სფეროს (რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ნორმალურ ფუნქციონირებას) შესწავლა, კერძოდ, სიტუაციური ანალიზის ჩატარება. სიტუაციური ანალიზი შესაძლებელს ხდის შეაფასოს საწარმოს შიდა შესაძლებლობები და რესურსები, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვროს ტენდენციები გარე გარემოში ცვლილებებისა და ადაპტაციის ხარისხი. აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია მივიღოთ პასუხები ორ სტრატეგიულ კითხვაზე: 1) როგორია საწარმოს ამჟამინდელი მდგომარეობა? და 2) რა მიმართულებით ვითარდება საწარმო? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ კიდევ ერთი კითხვის პასუხი თუ რაზე უნდა იყოს მიმართული საწარმოს საქმიანობა?

მიკრო გარემოს შესწავლის მიზანია საწარმოს ძლიერი და სუსტი მხარეების გაგება. გამოვლენილი ძლიერი მხარეები ემსახურება საფუძველს, რომელსაც საწარმო საქმიანობა ეყრდნობა და ეს უნდა იყოს კონკურენცია, მისი გაფართოება და გაძლიერება. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მაქსიმალურად მოვიშოროთ სუსტი მხარეები. ასევე აუცილებელია საწარმოს კულტურის ყველაზე სერიოზული ანალიზი.[2].

საწარმოს კულტურა შედგება მრავალი ნორმისგან, წესებისგან და ღირებულებებისგან, რომლებიც წარმართავს მის საქმიანობას. კულტურა მოიცავს საწარმოში ადამიანებს შორის ურთიერთობის არსებულ სისტემას, ძალაუფლების განაწილებას, მართვის სტილს, საკადრო საკითხებს და განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას. კულტურის მიღწეულ დონეს შეუძლია დაეხმაროს საწარმოს კომპეტენტურად ფუნქციონირებაში. კულტურის არარსებობა, პირიქით, ხელს შეუშლის მისი საქმიანი ქცევის ნორმალურ განხორციელებას. ვინაიდან საწარმოს კულტურას არ აქვს საკმარისად გამოხატული გამოვლინება, მისი შესწავლა საკმაოდ რთულია. თუმცა, არსებობს რამდენიმე თანმიმდევრული პუნქტი, რომელთა გარკვევაც მნიშვნელოვანია, რათა შევეცადოთ აღვნიშნოთ ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებსაც კულტურა აძლევს საწარმოს.

საწარმოს კულტურის შესწავლისას გასათვალისწინებელია, რომ: 1) ძლიერი კულტურის მქონე საწარმოებში დიდი ყურადღება ექცევა კორპორატიული ღირებულებების პოპულარიზაციას; 2) საწარმოს კულტურა შეიძლება შეფასდეს იმით, თუ როგორ ამყარებს ის ურთიერთობას კონკურენტებთან და როგორ ექცევა კლიენტებს; 3) საწარმოს კულტურის იდეა იძლევა წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ თანამშრომლები თავიანთ სამუშაო ადგილებზე; 4) კულტურის გაგებას ხელს უწყობს იმის შესწავლა, არის თუ არა საწარმოში სტაბილური ქცევის ნორმები, რამდენად სერიოზულად აცნობიერებენ ამას თანამშრომლები. საწარმოს კულტურის განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ ის არა მხოლოდ განსაზღვრავს შიდაკომპანიურ ურთიერთობებს, არამედ, თუ როგორ ამყარებს საწარმო ურთიერთობას მაკრო გარემოსთან. მაკროგარემო ჩვეულებრივ უფრო რთულია ვიდრე მიკროგარემო. საწარმოს მენეჯმენტი ხშირად იძულებულია დაეყრდნოს ვარაუდებს, ცდილობს წინასწარ განსაზღვროს საწარმოსთვის შესაძლო შედეგები.

თითოეული ფირმა განიცდის მაკრო გარემოს გავლენას, მაგრამ ვერ აკონტროლებს მას. ეს არის საწარმოს მიერ უკონტროლო გარემო. საწარმოს გარე მარკეტინგულ გარემოს ახასიათებს: ა) სირთულე; ბ) მობილურობა და გაურკვევლობა.

ბიზნესის მაკროგარემო და მიკროგარემო გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობასა და შედეგებზე[3}.

მაკროგარემოს ფაქტორების გავლენა ბიზნესზე შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. მაგალითად, წარმოებაში:

- **ტექნოლოგიური ინოვაციების** გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა, მაგრამ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კრიზისი უარყოფით შედეგებს მოიტანს;

- **ეკონომიკურმა ფაქტორებმა** – უმუშევრობის დონემ, ინფლაციამ, გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთების მკვეთრმა ცვლილებებმა, შემოსავლის დონემ, ნედლეულის ფასებმა და ა.შ. შეუძლიათ გამოიწვიოს ადამიანთა მოთხოვნისა და მსყიდველუნარიანობის ცვლილება, რაც შესაბამისად პროდუქტის წარმოების ღირებულების და მისი საბოლოო ფასის ზრდას შეუწყობს ხელს, რამაც შესაძლოა გაართულოს გაყიდვები;
- **პოლიტიკურმა ფაქტორებმა** (კანონები, რეგულაციები, მთავრობის გადაწყვეტილებები, მარეგულირებელი პოლიტიკა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და სხვა) შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ბიზნესის საოპერაციო პირობებსა და შესაძლებლობებზე;
- **სოციალურმა ფაქტორებმა** (დემოგრაფიული მდგომარეობა, შეხედულებები, პრეფერენციები და მყიდველების ქცევა, განათლების დონე, ტენდენციები და ა.შ.) და **სოციალურ-კულტურულმა ტენდენციებმა**, გარკვეული ტიპის საქონლისა და მომსახურების მოთხოვნაზე შესაძლოა სამიზნე აუდიტორიაზე იმოქმედოს. მაგალითად, დღეისთვის მოქმედებს დისტანციური მუშაობის ტენდენცია და შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა სახლის ოფისისთვის პროდუქტებზე. ასევე არსებობს ტექნოლოგიური ფაქტორები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ინოვაციებს და ახალ ტექნოლოგიებს საქონლის წარმოებასა და მიწოდებაში. ყველა ამ მაკროგარემოს ფაქტორმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ნებისმიერი კომპანიის განვითარებაზე. ამიტომ მათ სჭირდებათ მუდმივი მონიტორინგი, რეაგირება ცვლილებებზე და ბიზნესის ახალ პირობებთან ადაპტირება. ასევე მნიშვნელოვანია განვითარების სტრატეგიის შემუშავება ბაზარზე წარმატებული კონკურენციის მიზნით.

კონკურენტები, მომწოდებლები და მომხმარებლები, კონკურენტული ანალიზი, მომწოდებლებთან ურთიერთობის დამყარების უნარი და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მიკროგარემოს მნიშვნელოვანი ფაქტორებია, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის მუშაობაზე.

1. კონკურენტები არიან სხვა კომპანიები, რომლებიც სთავაზობენ მსგავს პროდუქტებს ან მომსახურებას ბაზარზე და შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ კლიენტებს და რესურსებს, შექმნან კონკურენტული გარემო.

2. მომწოდებლები არიან ორგანიზაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესისთვის საჭირო რესურსებს, აღჭურვილობას და მასალებს. ამ რესურსების ხარისხი, ფასი, ხელმისაწვდომობა და მიწოდების სიჩქარე გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე.

3. მომხმარებლები არიან ადამიანები ან ორგანიზაციები, რომლებიც ყიდულობენ საქონელს ან მომსახურებას ბიზნესისგან. ისინი განსაზღვრავენ მოთხოვნას პროდუქტებზე. მომხმარებელთა საჭიროებებისა და პრეფერენციების განსაზღვრა ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია.

მიკროგარემო ასევე შეიძლება მოიცავდეს პარტნიორებს - სხვა კომპანიებს ან ორგანიზაციებს, რომლებთანაც ბიზნესი თანამშრომლობს საერთო მიზნების მისაღწევად. პარტნიორობა შეიძლება მოიცავდეს ერთობლივ წარმოებას, ერთობლივ მარკეტინგის ან ახალ ბაზრებზე წვდომას.

მიკროგარემოს უნიკალურობა ის არის, რომ ყველა ბიზნესს ჰყავს თავისი კონკურენტები, მომწოდებლები და მომხმარებლები. თითოეული მათგანის უნიკალური მახასიათებლები შეიძლება იყოს ბიზნესის განვითარების გასაღები.

ბიზნესის წარმატება პირდაპირ დამოკიდებულია ბაზრის კვლევაზე, მისი ანალიზისა და მაკრო და მიკროგარემოს შესახებ მიღებული ცოდნის გამოყენების უნარზე. მიკრო გარემო მოიცავს კლიენტებს, კონკურენტებს და მომწოდებლებს, ხოლო მაკროგარემო მოიცავს ფაქტორებს ორგანიზაციის გარეთ. მაკროგარემო ჩვეულებრივ იცვლება მოულოდნელად. მაგალითად, გამოჩნდა ახალი ტენდენციური ტექნოლოგია, რომელიც იძლევა ახალი პროდუქტის ან სერვისის წარმოების საშუალებას. ბიზნესის განვითარება დამოკიდებული იქნება მის გამოყენებაზე ან გამოუყენებლობაზე. გარემოს ცვლილებებთან ადაპტაცია გაზრდის მოგებას და მოიყვანს ახალ მომხმარებლებს, ხოლო შესაძლებლობების გამოუყენებლობა გამოიწვევს კონკურენტებთან ჩამორჩენას, კლიენტებისა და მოგების დაკარგვას.[9]

ბიზნესის მაკროგარემოს ანალიზისთვის აუცილებელია:

1. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გააზრება და ცვლილებებთან ადაპტაცია; 2. კანონებისა და სამართლებრივი აქტების, საერთაშორისო ურთიერთობებისა და ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესწავლა, რადგან ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ ბიზნესის ბევრ ინდიკატორზე; 3. მომხმარებელთა ქცევისა და ტენდენციების პროგნოზირება.

ბიზნესის ადაპტირება მის მაკრო გარემოსთან საკმარისი არ არის ყველა პრობლემის გადასაჭრელად, ამიტომ აუცილებელია მიკრო გარემოს შეფასება (კონკურენტების ძლიერი და სუსტი მხარეების, მართვის პროცესების შეფასება და ა.შ.) მიკროგარემოს შესახებ ცოდნა შეიძლება გამოყენებულ იქნას: ა) კონკურენტების ბიზნესის შესასწავლად ბ) კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის; გ) სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბებისთვის; დ) მიწოდების სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის; ე) კლიენტებისა და პოტენციური მყიდველების ტენდენციების, პრეფერენციებისა და საჭიროებების შესწავლისთვის.

ბიზნესის პერსპექტივები ასევე დამოკიდებულია კომპეტენტურ სტრატეგიულ დაგეგმვაზე, რისკების გათვალისწინების უნარზე და ჭკვიანური გადაწყვეტილებების მიღებაზე. საუკეთესო შედეგების მისაღწევად. ნებისმიერი წარმატებული ბიზნესი მოითხოვს მუდმივ მონიტორინგს, ანალიზს და ადაპტაციას მაკრო და მიკროგარემოს ცვლილებებთან. ამ ფაქტორების შესახებ ცოდნა საშუალებას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ შესაძლო რისკები და ვისარგებლოთ ახალი შესაძლებლობებით.
ნებისმიერი საწარმო მუშაობს და წარმატებას აღწევს არა ვაკუუმში, არამედ გარკვეულ გარემოში.

მარკეტინგის თვალსაზრისით, გარემო ფაქტორები, რომლებიც ქმნიან საწარმოს არსებობის პირობებს, შეიძლება იყოს დამოკიდებული ამა თუ იმ ხარისხზე (კონტროლირებადი) ან სრულიად დამოუკიდებელი იყოს თავად საწარმოსგან (უკონტროლო).

ამრიგად, მარკეტინგის გარემო შეიძლება დაიყოს 2 ნაწილად:

1) გარე მარკეტინგული გარემო;
2) შიდა მარკეტინგული გარემო.

გარემო ფაქტორები კი იყოფა:

მიკროგარემოდ და მაკროგარემოდ.

მიკროგარემოს ფაქტორებისგან განსხვავებით, რომლებიც საწარმოზე ზემოქმედებისას ერთდროულად განიცდიან საპირისპირო გავლენას, მაკროგარემოს ძალების გავლენა საწარმოზე ცალმხრივია და საწარმო უნდა მოერგოს მათ. საწარმოს წარმატებული არსებობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არის საკმარისი ცოდნა გარემოს შესახებ,

ამრიგად, საწარმო ბაზარზე არ მოქმედებს იზოლირებულად, არამედ ის სხვადასხვა ძალების გავლენის ქვეშაა, რომლებიც ქმნიან გარე მარკეტინგულ გარემოს და დიდწილად განსაზღვრავენ მისი საქმიანობის ხასიათს. აქედან გამომდინარე, საჭიროა გარე გარემოს ძირითადი მახასიათებლების შეფასება, საფუძვლიანი ანალიზი და მათი გათვალისწინება. [11].

ბიზნეს ინსტრუმენტების გამოყენების მიზანია ბიზნესის დაწყებისა და შენარჩუნების ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით პროდუქციის გაზრდა. ბიზნეს გეგმა უნდა მოიცავდეს ბიზნესის ფინანსურ ინსტრუმენტს, როგორც მისი შემდგომი განვითარების მექანიზმს.[15].

თანამედროვე ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, დღეისთვის შეგვიძლია გამოვყოთ ბიზნესის ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებისა და ბიზნესის ეფექტიანობის ზრდის ხუთი ძირითადი ინსტრუმენტი: **1) ინოვაციები; 2) ინვესტიციები; 3) მარკეტინგი; 4) ლოჯისტიკა და 5) კვალიფიციური თანამშრომლები.**

ეს ხუთივე ინსტრუმენტი მუდმივ ურთიერთკავშირში უნდა იყოს, რათა მიღწეული იქნეს ბიზნესის სტაბილური განვითარება.

დასკვნა

ნებისმიერი ბიზნეს გარემო გამუდმებით განიცდის ცვლილებას, რადგან სწრაფად იცვლებიან იმ ფაქტორების მნიშვნელობები, რომლებიც განსაზღვრავენ ბიზნეს გარემოს ამა თუ იმ მდგომარეობას. მაგრამ ნაშრომში საუბარია ბიზნეს გარემოს ცვლილებაზე ეკონომიკური განვითარების კონტექსტში.

ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტები (**ინოვაციები**, **ინვესტიციები**, **მარკეტინგი**, **ლოჯისტიკა** და **ადამიანური რესურსები**) ბიზნესის განვითარების განუყოფელი ნაწილია. ამასთან ისინი უზრუნველყოფენ:

- ჯანსაღი კონკურენციის ზრდას;
- მიკროეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებას;
- ფინანსური მაჩვენებლების ზრდას;
- ბიზნესის სტაბილურობას და ეფექტიანობას;
- ბიზნესის გაფართოვების პერსპექტივებს და სხვა.

ლიტერატურა

1. **აბესაძე რ., ბიბილაშვილი ნ., გლობალური ეკონომიკური უსაფრთხოება. ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები.** თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ინტერნეტკონფერენციის მასალათა კრებული, თბილისი, 2018;
2. **ასათიანი რ., გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო.** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, შრომების კრებული, თბ., 2010;
3. **ასათიანი რ., მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმი.** ჟურნალი სოციალური ეკონომიკა. სპეც. №1. თბილისი. 2011;
4. **რევაზ გერაძე, „ინვესტიცია და რისკი“.** 2016;
5. **აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ., საინოვაციო მენეჯმენტი**, თბილისი, 2015;
6. **კიწმარიშვილი ქ., ინოვაციური მენეჯმენტი, თბილისი,** 2016;
7. **მერმანიშვილი თ., სტატია „ციფრული მარკეტინგის ფენომენი თანამედროვე ბიზნესში“**, თბილისი, 2018;
8. **ერქომაიშვილი გ., ბიზნესი _ ფირმის ფუნქციონირების ძირითადი ასპექტები.** თბილისი (2007), თსუ.

9. **წერეთელი ზ.,** **საწარმოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები და მათი დაძლევის გზები.** თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალი "ეკონომისტი", თბილისი, 2024. გვ. 50-56.

10. **წერეთელი ზ., საინვესტიციო მიკროგარემო საქართველოში და მასთან დაკავშირებული ფირმის ეკონომიკური საფრთხეები.** თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კონფერენციის მასალათა კრებული, ტომი XVI, თბილისი, 2023. გვ. 524-547.

11. **წერეთელი ზ., გლობალური ეკონომიკური საფრთხეები და მისი გავლენა საწარმოს ეკონომიკური განვითარების სტაბილურობაზე.** ეკონომიკის ინოვაციური განვითარება: მსოფლიო გამოცდილება და პესპექტივები. თსუ, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის კონფერენციის მასალათა კრებული, თბილისი, 2022. გვ. 219.

12. **Абрамов В.С., Абрамов С.В.** Стратегический менеджмент: в 2 ч. Ч. 1: Сущность и содержание. М.: Юрайт, 2018.

13. Доля малого бизнеса в обороте предприятий в России. URL: https://www.vedomosti.ru/economics/articles/2021/11/14/895810-dolya-malogo-biznesa-v-oborote-dostigla-minimuma.

14. Инвестиции. Понятие и сущность. URL:https://www.investopedia.com/terms/i/investing.asp.

15. Инструменты управления бизнесом. URL: http://varcom.ru/business-tools.html .

16. Логистика. Понятие и сущность. URL: https://www.shopify.com/encyclopedia/logistics.

17. Маркетинговые воронки. URL: https://www.getresponse.ru/blog/marketingovye-voronki-vse-chto-vy-hoteli-znat.

18. https://www.economy.ge

19. http://forbes.ge/blog/187/investicia-da-riski

The main tools for improvement microeconomic environment of business

Zurab Tsereteli
MSc (Econ), Scientific employee,
Tbilisi State UniversityPaata Gugushvili Institute
of Economics Deputy Director
zurab.tsereteli@tsu.ge

Summary

In the current period of severe economic situation that is created in the world, when there is seriously increased economic instability and also are sharp decreased possibilities of sustainable development of economy, the need to create an effective management system of the firm is especially a very important issue. Based on that, the company needs a constant monitoring, therefore it becomes necessary to study, evaluate and analyze macro and microeconomic circumstances. Any firm that operates in a certain business environment, which is a combination of the conditions in operational process and the factors influence it's activity, but in the same time, they affect the firm's functioning, or as much as it's possible the firm affects to all of them. The level of economic security of firm depends on how effectively work it's management(managers) and specialists who can prevent possible threats and eliminate the consequences of negative effects of the macro and micro environment. All business environmental issues are constantly changing, because the values of these factors that determine it or state on the business environment nowadays are rapidly changing. But in the paper is talked about the concrete changing of business environmental issues only in the context of economic development. In the paper also is discussed the essence of macro and micro environmental issues as well as about the factors which are affecting them and are shown the main tools for their improvement (1. Innovations; 2. Investments; 3. Marketing; 4. Logistics and 5. Human resources), which will be ultimately contributed to the stable and economically profitable operation of the firm.

Keywords: Business macro and micro environmental issues; factors which are affecting them, the tools for improving the microenvironment of the enterprise. Marketing, Sales, Innovation, Investments, Human Resources.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა- ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი

ლია დვალიშვილი
მეცნიერი თანამშრომელი
თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტი
lia.dvalishvili@tsu.ge

ანოტაცია. *ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უდიდეს გავლენას ახდენს ბუნებათსარგებლობის პრობლემები. ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთ წამყვან პრობლემად მსოფლიო მასშტაბით ჰაერის დაბინძურებაა მიჩნეული, რის შედეგადაც მაღალია სიკვდილიანობით გამოწვეული ზარალისა და ცხოვრების ხარისხის გაუარესებით მიყენებული ზიანის ამსახველი მონაცემები. ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული საფრთხეების უმთავრესი მიზეზი არის გამონაბოლქვი. პრობლემის მართვა მოითხოვს გარემოს დაცვის მართვის საუკეთესო უნარებს. საერთაშორისო ორგანიზაციების და ეროვნული მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, რეფორმები და მდგრადი ინიციატივები წარმოადგენს ქვაკუთხედს, ქვეყანა გახდეს სუფთა, მწვანე და ეკოლოგიურად უსაფრთხო.*

საკვანძო სიტყვები: *ჰაერის ხარისხი, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ნარჩენების მართვა, ემისია.*

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და უდიდეს გავლენას ახდენს თავდაცვით, ეკოლოგიურ, ინფორმაციულ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, სოციალურ, სასურსათო, დემოგრაფიულ, ინვესტიციურ, საგარეო და ა.შ უსაფრთხოებაზე და მათთან ერთად ქმნის ეროვნულ

უსაფრთხოებას.ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ბუნაბათსარგებლობის პრობლემები. (ასათიანი, 2017).

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების, ეკოლოგიური კატაკლიზმების გაღრმავების კვალობაზე, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემები. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიოს ყველა ქვეყნის განვითარების უმთავრესი პირობა ხდება სამყაროზე მისი გავლენის შეფასებისა და მასზე ადეკვატური რეაგირების პოლიტიკის შემუშავება. (დვალიშვილი, ჰაერის დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის განვითარების საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, 2020).

XXI საუკუნეს თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ „ეკოლოგიური ეპოქა“, რადგან დღეს კაცობრიობისთვის განსაკუთრებით აქტუალური და მწვავე ეკოლოგიური პრობლემებია, მატერიალური წარმოების თითქმის ყველა დარგში და პლანეტის თითქმის ყველა რეგიონში გამოვლენილი. მარტივი ჭეშმარიტებაა, ადამიანის არსებობისთვის საჭიროა ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტექნოგენური განვითარების ტიპი სხვადასხვა დონის, ხასიათის, მასშტაბის მქონე ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობისა და გამწვავების მიზეზია. ეკოლოგიური სიტუაცია დედამიწაზე პერმანენტულად უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლის და ატმოსფერული ჰაერის ანთროპოგენური გაჭუჭყიანება. ეკოლოგიური უსაფრთხოება პრობლემასთან მიმართებით უკავშირდება საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესების დაცვას. გლობალური მნიშვნელობის ეს პრობლემა მსოფლიოს ეკონომიკური უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილი და ზოგადსაკაცობრიო პრიორიტეტული მიმართულებაა.

ატმოსფერული ჰაერის დაჩქარებულ გაჭუჭყიანებას დასაბამი დაედო XIX საუკუნიდან, როცა მკვეთრად გაიზარდა სხვადასხვა სახის საწვავის მოხმარება, თუმცა სრულიად შეუმჩნეველი დარჩა XX საუკუნის დასაწყისამდე, როცა პირველად დაისვა ატმოსფერული ჰაერის დაცვის პრობლემა. (წერეთელი, 1987).

ატმოსფერული ჰაერის დაცვის შიდა სახელმწიფოებრივ რეგულირებას საფუძველი ჩაუყარა საკანონმდებლო აქტებმა, რომელიც თანდათან გადაიზარდა სახელმწიფოთაშორის და რეგიონალურ თანამშრომლობაში. თავდაპირველად ჰაერის დაცვის სფეროში კანონმდებლობის შექმნის აუცილებლობა განპირობებული იყო სანიტარული ნორმებითა და ჯანდაცვის მოთხოვნებით. თანამედროვე ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტის შესახებ

მიღებული კანონები უმეტესწილად არის რეაქცია მძაფრ ეკოლოგიურ პრობლემაზე. კანონმდებლობა და ფორმატი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. (დვალიშვილი, ჰაერის დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის განვითარების საერთაშორისო გამოცდილების შესახებ, 2020).

ცხოვრების მაღალი ხარისხი დამოკიდებულია ჰაერის მაღალ ხარისხზე. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ პერიოდში, როცა მოსახლეობის მკვეთრი ზრდა, ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ემისიების ზრდასთან ერთად, პირდაპირ უკავშირდება ჰაერის ხარისხის გაუარესებას.

თანამედროვე მსოფლიოში საწვავის წვას ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ჰაერის დაბინძურებაში. წამყვან დამბინძურებელთა შორისაა ენერგეტიკული ობიექტები, სატრანსპორტო სექტორი და სოფლის მეურნეობა. გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების დანარჩენ სახეებს შორისაა: დაბინძურება საშიში ნარჩენებით, ელექტრომაგნიტური ველებისა და გამოსხივების ზემოქმედება, ბიოლოგიური ზემოქმედება და სხვა. ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელი ანთროპოგენური წყაროების გარდა არსებობს დაბინძურების ბუნებრივი წყაროებიც. აქ აღსანიშნავია ტყის ხანძრები, ვულკანური ამოფრქვევები, კოსმოსური მტვერი და სხვა.

ადამიანის მხრიდან გარემოზე უკონტროლო ზემოქმედების მიზანი, მასზე მორგებული და მისი ინტერესების შესაბამისი ქმედებებების განხორციელებაა მათივე კეთილდღეობისთვის, შედეგი კი მთელი რიგი საშიში და შეუქცევადი პროცესების ამოქმედება. მსოფლიოს მასშტაბით ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პროცესი აშკარად დისჰარმონიული და წინააღმდეგობრივია, ამასთან ერთად, ადამიანის ევოლუციის კვალდაკვალ მუდმივად ცვალებადი.

დაბინძურებული ჰაერი არის მთავარი და ხშირად უხილავი მკვლელი, რომელსაც მსოფლიოში ყოველი მეცხრე გარდაცვალება უკავშირდება. მათ შორის ფილტვის კიბოთი სიკვდილიანობის - 36, ინსულტის - 34, გულის დაავადებების - 27 და ფილტვის ქრონიკული დაავადებების - 35 პროცენტი. (დვალიშვილი, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში, 2021).

სიკვდილის გამომწვევ რისკფაქტორებს შორის დაბინძურებულ ჰაერს რიგით მეოთხე ადგილი უჭირავს. ყოველწლიურად მსოფლიოში ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული დაავადებებით 7 მილიონი ადამიანი იღუპება. (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, 2021).

ჰაერის ხარისხი და კლიმატის ცვლილება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. სექტორები, რომლებსაც სათბურის აირების ემისიებში შეაქვთ ყველაზე დიდი წვლილი, ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროებიცაა და

შესაბამისი ძალისხმევით ორივე პრობლემის ერთდროულად მოგვარებაა შესაძლებელი.

ენერგიის მოხმარებას, ნარჩენების ზრდას, ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების შექმნას და არასწორად წარმოებულ სოფლის მეურნეობას თან ახლავს სხვადასხვა ნივთიერებების და მათ შორის სათბურის გაზების გაფრქვევა ატმოსფეროში, რაც არის გლობალური დათბობისა და წლების მანძილზე ჩამოყალიბებული გლობალური კლიმატისა და კლიმატური ზონების ცვლილების ძირითადი მიზეზი. გლობალური დათბობა დედამიწაზე და მის ატმოსფეროში მიმდინარე პროცესია, კლიმატის ცვლილება კი ამ დათბობის შედეგი. ნიშანდობლივია, რომ „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა ყოველწლიურად მატულობს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის პრობლემის მოგვარების აუცილებლობას. ცხადია, არც საქართველოა გამონაკლისი და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული არასასურველი შედეგები მტკივნეულად აისახება ჩვენს ქვეყანაზეც. სათბურის გაზების ჭარბად დაგროვებას კიდევ უფრო ამძაფრებს ის, რომ სამრეწველო პროცესების სწრაფ განვითარებასა და მოსახლეობის ზრდასთან ერთად, დაიწყო ტყეებისა და ბიომრავალფეროვნების სხვა ელემენტების სწრაფი ტემპებითა და დიდი რაოდენობით მოხმარება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხაზი გაესვას პროცესის გლობალურ ხასიათს.

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბოლო ათწლეულში კლიმატის ცვლილებამ, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ. (დვალიშვილი, ინოვაციები ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოში:, 2020).

საქართველოში ჰაერის ხარისხიანობას დიდწილად განაპირობებს სატრანსპორტო სექტორი, ელექტროენერგიის წარმოება, სამშენებლო სექტორი, ცემენტის წარმოება, სამთო მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მუნიციპალური და სოფლის მეურნეობის ნარჩენების განთავსების არეალები. არსებული მონაცემების თანახმად, საქართველოს უმსხვილეს ქალაქებში, მსხვილ სამრეწველო ობიექტებსა და სამრეწველო ზონებთან მუდმივად მაღალია ჰაერის დაბინძურების დონე. ამის ძირითადი მიზეზი, ავტოტრანსპორტისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების გამონაბოლქვის გარდა, მათ ტერიტორიებზე ე.წ. ,,მშენებლობის ბუმია“, რომლის დროსაც ჰაერში დიდი რაოდენობით მტვერი გაიფრქვევა. მიზეზთა შორის აღსანიშნავია ასევე მინერალური რესურსების, განსაკუთრებით კი მძიმე ლითონების მოპოვების შედეგად გარემოს დაბინძურება, რაც ზიანს აყენებს არა

მარტო ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ ადგილობრივ ეკოსისტემებს და ტრანსსასაზრვრო ეფექტიც კი შეიძლება შეიძინინოს.

საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორიდან ჰაერის დაბინძურება სხვა სექტორების ფონზე შედარებით ნაკლები ხარისხობრივი გავლენით გამოირჩევა.

საყურადღებოა წარმოებისა და სხვა სახის ნარჩენებით(ყველა აგრეგატული მდგომარეობით) გარემოს დაბინძურება. იგი მოიცავს როგორც საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, პესტიციდები, რომელთა ნარჩენები დიდი რაოდენობითაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე საბჭოთა მემკვიდრეობიდან დარჩენილი. ნაგავსაყრელებზე ხშირად ხდება ნარჩენების ღიად წვა, რაც იწვევს ჰაერში მავნე დამბინძურებლების გაფრქვევას. ქვეყანაში არსებული მუნიციპალური ნარჩენების ძველი, ოფიციალური ნაგავსაყრელები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და გარემოში დამაბინძურებელი ნივთიერებების ემისიების წყაროს წარმოადგენს. სპეციფიკური ნარჩენების არასწორი მართვა ხელს უწყობს ატმოსფერულ ჰაერში ტოქსიკური აირების ზრდას. მნიშვნელოვანია, ე.წ. კუდსაცავებში დაგროვილი ნარჩენებისა და ტოქსიკური ნაერთების გაუვნებელყოფისა და კონტროლის საკითხები. ნედლეულის გამოყენება პროდუქციის საწარმოებლად, მისი მოხმარება და არაგადამუშავებული ნარჩენების გარემოში ჩაშვება კომპლექსური პრობლემაა. ნარჩენების ზრდა რესურსებზე გაზრდილ მოთხოვნას და მისი მოპოვების გაძნელებას უკავშირდება. (აბესაძე რ. , 2022).

ჰაერის დაბინძურების კუთხით ემისიებში ლიდერად სატრანსპორტო და ენერგოსექტორი მოიაზრება. რეგიონების მიხედვით ლიდერად კი მიჩნეულია იმერეთი თავისი მარგანეცით, ქვანახშირით, მეტალურგიული და ფეროშენადნობი ინდუსტრიით, შემდეგ ქვემო ქართლი, მისი სპილენძისა და ოქროს სამთო-მოპოვებითი მრეწველობით, მეტალურგიული, ქიმიური და ცემენტის წარმოებით.

ავტოტრანსპორტიდან გაფრქვევების დიდი მოცულობა განპირობებულია არამხოლოდ ავტომობილების რაოდენობით და მოძრაობის ინტენსივობით, არამედ საავტომობილო პარკის თავისებურებებითაც. მანქანების უმრავლესობა 10 წელზე მეტი ხნის არის. მათი ტექნიკური გაუმართაობა ზრდის გამონაბოლქვის სიდიდეს. ენერგოსექტორთან დაკავშირებული ემისიების მიმართებით აღსანიშნავია, რომ თბოელექტროსადგურს აქვს ძალიან სპეციფიკური ინფრასტრუქტურა და მახასიათებლები იმისათვის, რომ გარემოზე მაქსიმალურად შემცირებული ზემოქმედებით გამოიმუშავოს ელექტროენერგია. რადგან თბოელექტროსადგურები წიაღისეული საწვავის (ნავთობი, ნახშირი, ბუნებრივი

აირი) წვით და სითბოს გამოყოფით წარმოქმნის ელექტროენერგიას, საყურადღებოა წვის პროცესების ჰაერის ხარისხზე გავლენის სისტემატური კონტროლი.

ჰაერის დაბინძურებაზე საუბრისას ძირითადად ატმოსფერულ ჰაერს, მისი დაბინძურების მიზეზებსა და შედეგებს განვიხილავთ, თუმცა შიდა ჰაერის დაბინძურება ადამიანის ჯანმრთელობაზე არანაკლებ უარყოფით ზემოქმედებას ახდენს, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დროის 90 %-ს შენობებში ვატარებთ. შიდა ჰაერის დაბინძურების მინიმუმ სამოცი წყარო არსებობს. ამ წყაროებს შორის ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით აღსანიშნავია: სახიფათო ნივთიერებების შემცველი სამშენებლო მასალა, პესტიციდები და ქიმიკატები, რომლებიც გამოიყენება შენობების დასასუფთავებლად, კოღოებისა და მწერების საწინააღმდეგო საშუალებები, ადგილები, რომლებიც ქმნიან სველ, ტენიან გარემოს ობის წარმოქმნისთვის და სხვა. (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, 2021).

ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვითი საფრთხეების გადასაჭრელად საქართველოს მთავრობა იყენებს მონიტორინგის სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მიღებული ინდიკატორული გაზომვის სტანდარტებზე. 2016 წლიდან როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში დაიწყო არაავტომატური სადგურების შეცვლა თანამედროვე ავტომატური სადგურებით. ჰაერის ხარისხის ახალი ავტომატური მონიტორინგის ქსელი შექმნილია საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი, ზესტაფონი, ახალციხე, ხოლო ჰაერის ნიმუშების შედგენა ხდება კვარტალურად ქვეყნის 25 მუნიციპალიტეტში. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგურები გაზომვისთვის იყენებს მაღალტექნოლოგიურ ნაწილაკთა სენსორებს. სხვადასხვა სტაციონარული სადგურებიდან ავტომატური კავშირისა და ინდიკატორული გაზომვების შედეგად მიღებული ჰაერის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ მონაცემები თავს იყრის ერთ სივრცეში, პორტალზე - ,,Air.gov.ge”.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოსთან (EEA) მუშაობის შედეგად საქართველოს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონაცემების ნახვა უკვე ევროპულ პორტალზეც უწყვეტ რეჟიმშია შესაძლებელი.

ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების დონის გასაზომად საუკეთესო სტანდარტია ჰაერის ხარისხის ინდექსი - AQI. იგი გარე ჰაერის დაბინძურების საზომადაა მიჩნეული. (დვალიშვილი, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში, 2021).

AQI ეფუძნება მყარი ნაწილაკების ($PM_{2.5}$ და PM_{10}), ოზონის (O_3) , აზოტის დიოქსიდის (NO_2), გოგირდის დიოქსიდის (SO_2) და ნახშირბადის მონოოქსიდის (CO) ემისიების გაზომვას.

საქართველოში ჰაერის ხარისხის ინდექსი - AQI განისაზღვრება ზემოთხსენებული დამბინძურებლების მონაცემების გაზომვისას და ასახავს მიმდინარე პერიოდში ჰაერის ხარისხის მდგომარეობას ავტომატური მონიტორინგის თითოეულ სადგურზე.

2022 წლის მონაცემების საფუძველზე საქართველოში ჰაერის ხარისხის ინდექსი (AQI) ზომიერი იყო, კერძოდ - 61, $PM_{2,5}$ -ის კონცენტრაცია კი 3,4-ჯერ მაღალი ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებით გათვალისწინებულ სიდიდესთან შედარებით. (Air pollution, 2023).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით საქართველოში ყოველწლიურად 3741 ადამიანი იღუპება ჰაერის დაბინძურების გამო. (Air quality in Tbilisi, 2024).

2022 წლის მონაცემების საფუძველზე საქართველოს ყველაზე სუფთა ქალაქად მიჩნეული იყო ბათუმი (AQI – 55), ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად კი რუსთავი (AQI –81). 2023 წლის მონაცემების საფუძველზე ყველაზე სუფთა ქალაქი გახდა თბილისი (AQI-58), დაბინძურებულ ქალაქად კი კვლავ რუსთავი იქნა მიჩნეული (AQI-76). აღსანიშნავია რუსთავში ჰაერის ხარისხის ოდნავ გაუმჯობესება ერთი წლის მანძილზე. ქვეყნის მასშტაბით, სუფთა ჰაერის კუთხით განსაკუთრებით გამოსაყოფია აბასთუმანი, სადაც ზღვარი ნორმაზე 50%-ით ნაკლებია. (დვალიშვილი, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში, 2024).

2022 წელს ქვეყნების გლობალური დაბინძურების რეიტინგში საქართველოს 131 ქვეყანას შორის 61-ე პოზიცია ეკავა.

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში ბუნებრივი წყაროების შედეგად წარმოშობილ მყარ ნაწილაკებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საჰარიდან, არაბეთის ნახევარკუნძულიდან და შუა აზიის უდაბნოებიდან პერიოდულად შემოჭრილი მტვრის მასები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქვეყნის პრაქტიკულად მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება, მათ შორის, თბილისში, რუსთავში და სხვა დიდ ქალაქებში, რომლებშიც ანთროპოგენური წყაროებიდან დაბინძურების დონეც საკმაოდ მაღალია.

ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული საფრთხეების უმთავრესი მიზეზი არის გამონაბოლქვი , მიუხედავად იმისა, თუ რომელ სეგმენტში წარმოიქმნება ის.

პრობლემის მართვა მოითხოვს გარემოს დაცვის მართვის საუკეთესო უნარებს. საერთაშორისო ორგანიზაციების და ეროვნული მთავრობის მიერ განხორციელებული პოლიტიკა, რეფორმები და მდგრადი ინიციატივები წარმოადგენს ქვაკუთხედს, ქვეყანა გახდეს უკეთესი, სუფთა, მწვანე.

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბით გარემოსდაცვითი სექტორის ღრმა რეორგანიზაცია დაიწყო 2011 წელს. შესაბამისად, ინოვაციებიც ჰაერის დაცვის სფეროში სათავეს ამ პერიოდიდან იღებს.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად საქართველოს მთავრობის მიერ ელექტრონული მანქანების გამოყენების წახალისება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და მოდერნიზაცია, ავტობუსების ,,პარკის განახლება და ეკოლოგიურად უფრო სუფთა ტექნიკაზე გადასვლა“, დედაქალაქის რეკრეაციული სივრცეების მდგრადი განვითარება, ნარჩენების მართვის სფეროში მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, სატრანსპორტო სექტორიდან გაფრქვევების რეგულირებასთან მიმართებით პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შემოღება, რომელსაც 2019 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს ტერიტორიაზე დადგენილი წესით რეგისტრირებული ყველა კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება, საწვავის ხარისხის გაუმჯობესება, გამონაბოლქვის ტოქსიკურობის შემცირების მიზნით, კერძოდ: საავტომობილო დიზელის საწვავის ხარისხის სტანდარტი გაუტოლდა EURO 4-ს და საავტომობილო ბენზინის საწვავის ხარისხის სტანდარტი EURO 5-ს. (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, 2021).

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური ზემოქმედებისაგან არეგულირებს საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“. თავდაპირველად ეს კანონი მიღებულ იქნა 1999 წელს. ამ პერიოდიდან 2022 წლამდე „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ კანონში 22 ცვლილებაა შესული. ბოლოდროინდელი ცვლილებები, ძირითადად, ჰაერდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასა და მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მცდელობაა.

მთავრობის 2022 წლის 7 სექტემბრის N 1629 განკარგულებით დამტკიცდა 2022-2026 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა (NEAP-4), რომელიც წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში ქვეყნის ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტს, განსაზღვრავს დარგის გრძელვადიან სტრატეგიულ პრიორიტეტებსა და შესაბამის სამოქმედო გეგმას. პროგრამის მიხედვით მდგრადი განვითარების მიზნებისა და გარემოს დაცვის

სფეროში აღებული საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით გარემოს დაცვის სფეროში განისაზღვრა შემდეგი გრძელვადიანი ხედვა: ადამიანის ჯანმრთელობისთვის და ბუნებრივი ეკოსისტემისთვის სუფთა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით.

აღნიშნული სამოქმედო პროგრამის მიხედვით ჰაერის დაცვის სფეროში, არსებული გამოწვევების გადაჭრის მიზნით განისაზღვრა ერთი მთავარი მიზანი: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ჰაერის უზრუნველყოფა (მიზანი 7). (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა 2022-2026 წწ, 2022).

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, სამოქმედო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები, განსახორციელებელი რჩება ნაწილი ღონისძიებებისა.

საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება წარმოადგენს ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და მასთან დაკავშირებული დაავადებების რისკის შემცირების მთავარ ინსტრუმენტს. ამ შეთანხმების თანახმად, ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში ევროკავშირის ხუთი დირექტივით განსაზღვრულ დებულებებთან ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა სრულად თანხვედრაში უნდა იყოს.

საქართველოს ნარჩენების მართვის სფეროში გააჩნია საერთაშორისო ვალდებულებები. კერძოდ, საქართველო არის „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“ ბაზელის კონვენციის მხარე.

ბოლო წლებში, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გაუმჯობესების მიმართულებით, მთავრობის მხრიდან არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ღონისძიებების გატარების მიმართულებით, თუმცა, დღესდღეობით ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებადი ატმოფერული ჰაერის მონიტორინგის სადგურები არასაკმარია. საქართველოს ტერიტორიის ფართობის იდენტურია ჩეხეთი, სადაც 200 ავტომატური სადგური ფუნქციონირებს, 14-ჯერ მეტი, ვიდრე ჩვენთან.

რეკრეაციული სივრცეები, ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად ერთნაირად საჭიროა საქართველოს ყველა ქალაქისთვის, რადგან დამაბინძურებელი, მომწამლავი ნივთიერებებისაგან თავის დაცვა ერთნაირად სჭირდება ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს. სპეციალისტთა აზრით, ერთ სულ მოსახლეზე 15 კვ.მ და მეტი გამწვანება უნდა მოდიოდეს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ცალკე აღებული თითოეული ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სუფთა ჰაერის ხარისხის შესახებ მოაზრებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის მასშტაბით ტყის რესურსების მარაგს, რადგან იგი უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხის მაღალი დონით შენარჩუნებას.

არსებული მონაცემების მიხედვით სახელმწიფო ტყის ფონდს თავის უჩვეულო განლაგებით ქვეყნის ტერიტორიის 40% უჭირავს . მისი 97% თავმოყრილია კავკასიონის მცირე და დიდ ქედებზე, დანარჩენი კი აღმოსავლეთ საქართველოსა და კოლხეთის დაბლობზე. (environmental perfomence reviews, 2016).

თანამედროვე ეტაპზე არსებული კლიმატური ცვლილებების ფონზე ტყის რესურსების მოვლის თვალსაზრისით ქვეყანაში არასახარბიელო მდგომარეობაა. მკვეთრად შესამჩვევი გახდა ტყის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესება , ტყის არასათანადო მართვა. ბევრი რეგიონი ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზეა.

ქვეყნის მასშტაბით ტყის ეკოსისტემის მკაცრი დაზიანების მიზეზი ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად მისი უკანონო და უკონტროლო მოპოვებაა.მაგრამ დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ძალიან ძნელია სხვადასხვა მიმართულებით ტყის გამოყენებაზე რადიკალური უარის თქმა, რადგან საოჯახო მეურნეობების უმეტესი ნაწილი მას იყენებს გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად.

ტყის მდგრადი მართვის მიდგომების დანერგვის ვალდებულება საქართველომ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებითაც აიღო, რომლის თანახმად საჭიროა ტყის საფარის დაცვა, უკანონო ჭრებისა და მასთან დაკავშირებული ვაჭრობის აღკვეთის ღონისძიებების გატარება.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის წევრს, აღებული აქვს გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ვალდებულებაც, რაც სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მოიცავს ტყის მდგრად მართვას, ტყის საფარის ზრდას და დეგრადირებული ტყეების აღდგენას 2030 წლისათვის (მიზანი 15). (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა 2022-2026 წწ, 2022).

ჰაერის დაცვასთან დაკავშირებული მიზნები არის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ პრიორიტეტებს შორის. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მწვანე ეკონომიკური ინიციატივის შესაბამისად, მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც გვთავაზობს მდგრად განვითარებაზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების

გამოყენებას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისთვის. ამ პროცესში სხვა ქვეყნებთან ერთად ჩართულია საქართველოც.

გარემოსთვის გამოუსწორებელი ზიანის მიყენებით ქვეყნის მდგრადი განვითარება შეუძლებელია, ოქროს შუალედის პოვნა ქვეყნის განვითარებასა და ეკოლოგიას შორის კი ურთულესი ამოცანა.

ატმოსფერულ დაბინძურებას საზღვრები არ გააჩნია. შექმნილი მდგომარების გაუმჯობესების მიზნით საკმარისი არ არის ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებელ, სტაბილურ ეკოლოგიურ მდგომარეობაზე იზრუნოს. აქ საჭიროა ყველა სახელმწიფოს ჩართულობა, რადგან ბუნებათსარგებლობის გლობალური ხასიათი ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტაში ითხოვს სახელმწიფოთა მხრიდან ერთობლივ მოქმედებას. ზოგიერთი ევროპული ქვეყანა ცდილობს 2030 წლისათვის გახდეს ნულოვანი გამონაბოლქვის სამრეწველო ქვეყანა. სასურველია ჩვენმა ქვეყანამ გაიზიაროს ამ ქვეყნების გამოცდილება, ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში.

ჰაერის დაბინძურების პრობლემა არცერთ ქვეყანაში არ არის ბოლომდე მოგვარებული, თუმცა ევროპის ბევრ ქვეყანაში, აშშ-ში, კანადასა და იაპონიაში მკაცრი პოლიტიკის, რეგულაციებისა და რეგულარული მონიტორინგის სისტემების დანერგვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ემისიები და დამბინძურებლების კონცენტრაცია ჰაერში. ბევრ ქვეყანაში ჰაერის ხარისხი ეკონომიკური განვითარების და სიმდიდრის ზრდის პარალელურად მოხდა, რაც ნიშნავს, რომ ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე ზრუნვა არ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის და მისგან გამომდინარე ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

განახლებადი, ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარება, რაც ძირეულად შეამცირებს ენერგორესურსების მოხმარებას და მასთან დაკავშირებულ ემისიებს. ავტომობილების გამონაბოლქვის ნორმების ეტაპობრივი გამკაცრება და მათი კონტროლი.

საწარმოებში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების თვითმონიტორინგის სისტემის, ასევე , ფილტრების(გამწმენდი მოწყობილობების) არსებობა. გარდა ამისა, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვა,პროდუქციის არამიზნობრივად გამოყენების და მისი ნარჩენებად ქცევის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. ნარჩენების გადამუშავების და მისი ხელახლა გამოყენების ოპტიმალური გზების ძიება, რაც ჰარმონიულად ერწყმის წრიული ეკონომიკის პრინციპს.

ნარჩენების პრობლემის გადაჭრა ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვით, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, ნარჩენების წარმოშობის თავიდან აცილებას და შემცირებას, მეორე მხრივ, ნარჩენების გაცალკავებულად შეგროვებას, ხელმეორედ გამოყენებას და რეციკლირებას, რაც ქმნის ახალ ინოვაციურ ბიზნეს შესაძლებლობებს.

ჰაერის დაბინძურების შემცირების მიზნით ინფრასტრუქტურის განვითარება, უმთავრესად , მონიტორინგის სისტემის დანერგვა ქვეყნის იმ ქალაქებსა და რეგიონებში, სადაც არსებობს დაბინძურების მაღალი რისკები.

მტვრის გავრცელების მინიმიზაციის მიზნით გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

შეიქმას ევროპული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ჰაერის დაცვის განსხვავებული - ინტეგრირებული მიდგომა , რაც ემყარება კონკრეტულ რეგიონში ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების იმგვარად გატარებას, რომ ის არ იწვევდეს ჰაერის დაბინძურების ზრდას სხვა რეგიონში. (დვალიშვილი, ინოვაციები ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოში:, 2020).

ქვეყანაში ინოვაციური ეკონომიკის გაძლიერება და მის ფარგლებში „მწვანე“ და „წრიული“ ეკონომიკის ფორმირება და განვითარება იქნება ქვეყნის ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა

Air pollution. (2023, April 16). Retrieved from https://www.iamat.org/risks/air-pollution

Air quality in Tbilisi. (2024). Retrieved from https://www.iqair.com/georgia/t-bilisi/tbilisi

environmental performance reviews. (2016). Geneva.

აბესაძე, რ. (2022). წრიული ეკონომიკა და ნარჩენების მართვა. თბილისი.

ასათიანი, რ. (2017). საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. თბილისი.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი. (2021). მოპოვებული https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&opi=89978449&url=https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_ambient-air-quality-2021_geo.pdf&ved=2ahUKEwiive623vGGAxWicfEDHcXaCgYQFnoECBQQAQ&usg=AOvVaw20apPtp_ubQz-t_LaySsIr-დან

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი. (2021). მოპოვებული https://www.google.com/url?sa=t&source=web&rct=j&opi=89978449&url=https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_ambient-air-quality-2021_geo.pdf&ved=2ahUKEwiive623vGGAxWicfEDHcXaCgYQFnoECBQQAQ&usg=AOvVaw20apPtp_ubQz-t_LaySsIr-დან

ატმოსფერული ჰაერის ხარისხი. (2021). თბილისი.

დვალიშვილი, ლ. (2020). ინოვაციები ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოში: (ტ.XIII გამ.). თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

დვალიშვილი, ლ. (2020). ჰაერის დაცვის სფეროში საკანონმდებლო სისტემის განვითარების საერთაშორისო გამოცდილების შესახებ. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

დვალიშვილი, ლ. (2021). ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში. თბილისი: თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

დვალიშვილი, ლ. (2024). ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და დაბინძურება საქართველოში.

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამა 2022-2026 წწ. (2022). თბილისი.

წერეთელი, გ. (1987). გარემო ბუნების დაცვის ეკონომიკური პრობლემები. თბილისი.

The protection of atmospheric air - is one of the factors determining the ecological security of the country.

Lia Dvalishvili
Researcher
TSU Paata Gugushvili Institute of Economics
lia.dvalishvili@tsu.ge

Summary

The problems of nature use greatly influence the country's economic security. The aggravation of environmental problems threatens world development. Among the environmental problems, air pollution is considered one of the leading problems worldwide due to the data showing the high damage caused by the loss of mortality and the deterioration of the quality of life. Air pollution also threatens sustainable development, as it simultaneously affects various social, environmental, and economic criteria related to equitable human development, such as healthy living, food security, gender equality, climate stability, and poverty reduction. Georgia, like the modern world as a whole, faces a lot of environmental problems and challenges in the background of development and technological progress. Emissions are the leading cause of air pollution threats across the country. Among the segments where it occurs, the transport sector, electricity production, construction sector, cement production, mining industry, agriculture, and municipal and agricultural waste disposal areas are worth noting. Managing the problem requires the best environmental management skills. Policies, reforms, and sustainable initiatives implemented by international organizations and the national government are the cornerstones to making the country better, cleaner, greener, and more environmentally safe.

Keywords: air quality, ecological security, waste management, emission.

ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმის გამოწვევები საქართველოში: დამსაქმებლებზე და დასაქმებულებზე გავლენის ანალიზი

თამილა ნუცუბიძე
ეკონომიკის აკადადემიური დოქტორი, პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი
tamila.nutsubidze@unik.edu.ge

მიხეილი ჯიქიძე
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

ანოტაცია. *კვლევის ძირითადი მიზანია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების რეფორმის გამოწვევების და ეკონომიკაზე მისი გავლენის შესწავლა. ნაშრომში წარმოდგენილია სამეცნიერო და ანალიტიკური ლიტერატურის მიმოხილვა, შესწავლილია საქართველოს საპენსიო სისტემის საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა, და საპენსიო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ასევე, განხილულია სტატისტიკური მონაცემები საპენსიო რეფორმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ანალიზის და შეფასების წარმოების მიზნით. სტატიის მიზანია გაამახვილოს ყურადღება რეფორმის გავლენაზე დამსაქმებლებზე და დასაქმებულებზე საქართველოში. ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარება არის მნიშვნელოვანი მრავალ-სვეტიანი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისათვის საქართველოში. მიუხედავად იმისა რომ, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარებას საქართველოშო აქვს პოტენციალი, რეფორმის საწყის ეტაპზე, აღნიშნული სქემები ძირითადად ხელმისაწვდომი იქნება მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის და შესაბამისად, მაღალი შემოსავლების მქონე დასაქმებულთათვის. შედეგად, ყურადღების გარეშე რჩებიან დაბალ და საშუალო შემოსავლიანი დასქმებულები და მცირე და საშუალო ზომის საწარმოები. აღნიშნული ფაქტორი განსაკუთრებულად უნდა ახდენდეს გავლენას სახელმწიფო პოლიტიკაზე რათა ხელი შეეწყოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების დინამიურ განვითარებას საქართველოში.*

საკვანძო სიტყვები: *ფინანსური მომსახურება, ნებაყოფლობითი პენსია, საპენსიო რეფორმა*

სახელმწიფო ბოლო ათი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობს საპენსიო რეფორმაზე, რომლის ძირითადი მიზანია განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემების განვითარება საქართველოში. 2019 წლიდან შევიდა ძალაში „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი. დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა სავალდებულო გახდა ყველა დასაქმებულისათვის და დამსაქმებლისთვის. მოცემულ საპენსიო სისტემაში კონტრიბუციას ახორციელებს დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო შემდეგი განაწილებით. დამსაქმებელი სპეციალური ელექქტრონული სისტემის მეშვეობით, დასაქმებულის სპეციალურ საპენსიო ანგარიშზე ანთავსებს დასაბეგრი ხელფასის 2 პროცენტს. დასაქმებული ასევე გასცემს ხელფასის 2 პროცენტს. ხოლო, სახელმწიფო თავის მხრივ დასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე რიცხავს კიდევ 2 პროცენტს. (თვითდასაქმებული, რომელიც ნებაყოფლიბით მონაწილეობს დაგროვებით სქემაში ახორციელებს წლიური შემოსავლის 4 პროცენტის შეტანას საპენსიო ანგარიშზე. ხოლო სახელმწიფო, ასევე, ახორციელებს 2 პროცენტის გადარიცხვას თვითდასაქმებულის საპენსიო ანგარიშზე.) მოცემული საპენსიო სქემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ქვეყნის წინაშე მოსალოდნელი ფისკალური რისკების შესამცირებლად. აღნიშნული რეფორმა აპრობირებულია მსოფლიოს სხვა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. მისი ძირითადი მიზანი არის დასაქმებულთა საპენსიო შენატანების და საპენსიო შემოსავლების შორის მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება.

ზემოთ აღნიშნული რეფორმის განხორციელების შემდგომ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით განპირობებული, სახელმწიფომ წამოიწყო საპენსიო რეფორმის ხარისხობრივად ახალი სისტემის დანერგვა. საქართველოს კანონი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ ძალაში შევიდა 2023 წელს. კანონის მიზანია საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ბაზრის განვითარება, ამ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და მონაწილეთა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვა.

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები შეადგენენ თანამედროვე საპენსიო სისტემის მესამე სვეტს, რომელიც შექმნილია სქემაში მონაწილეთათვის იმ მიზნებისთვის რომ დასაქმებულთათვის პენსიაზე გასვლის შემდგომ შესაძლებელი იყოს ცხოვრების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება. ეს სისტემა მუშაობს სახელმწიფოსგან სრულად დამოუკიდებლად, საპენსიო სქემის და ფონდის ჩამოყალიბება შეუძლია ნებისმიერ იურდიულ პირს რომელიც დააკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სისტემა

ჯერ კიდევ უცხოა საქართველოს მოსახლეობისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონის მიღებამდე (2023 წ.) უკვე დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა კერძო საპენსიო სქემები, თუმცა საქართველოში ბენეფიციართა რაოდენობა მაინც მცირეა.

2024 წლის მდგომარეობით, კერძო საპენსიო სქემების ბაზარს უმნიშვნელო წილი უკავია, დღეისათვის მხოლოდ 3 კერძო საპენსიო სქემა ფუნქციონირებს, მათგან 2 სადაზღვევო კომპანიების (სს „ირაო“ და სს „ალდაგი“) მიერ არის შემოთავაზებული, ხოლო 1 სქემა, მსხვილი კომპანიის (შპს „საქაერონავიგაცია„) მიერ არის დაფუძნებული თავისი თანამშრომლებისთვის.

ქვემოდ მოცემული ცხრილი 1 აღწერს ნაბაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განვითარების დინამიკას საქართველოში 2012 წლიდან 2023 წლის ჩათვლით. აღსანიშნავია რომ შემცირების მკაფიო ტენდენცია, რომელიც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აისახა, 2019 წლიდან დაწყებული, გამოწვეულია დაგროვებითი სავალდებულო პენსიის დანერგვით და ასევე 2023 წელს ახალი კანონის მიღებით.

მიუხედავად იმისა, რომ ნებაყოფლობით სქემებს საქართველოში ღრმა ფესვები არა აქვთ, აღსანიშნავია რომ, მათი განვითარების სტიმულირება მიზანშეწონილია და უნდა ხდებოდეს სავალდებულო დაგროვებითი საპენსიო სქემების განვითარებასთან ერთად. ორივე სისტემის განვითარება გააძლიერებს საპენსიო სისტემის მდგრადობას და გაზრდის დასაქმებულების ფინანსურ უსაფრთხოებას. ამასთან ერთად, საპენსიო სისტემის განვითარება წაახალისებს კაპიტალის ბაზარს; დროებით თავისუფალი სახსრები მიმართული იქნება ინვესტიციებში, ფასიან ქაღალდებში და ობლიგაციებში, რაც გაზრდის დანაზოგების მოცულობას და ამავდროულად განავითარებს ადგილობრივ კაპიტალის ბაზარს.

ცხრილი 1.

კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების განვითარება საქართველოში, 2012 – 2023 წწ.

წელი	მონაწილეთა რაოდენობა	მონაწილეთა რაოდენობა, ვინც იღებს პენსიას	გაცემული პენსიის ოდენობა	საპენსიო სქემიდან გატანილი სახსრები	საპენსიო რეზერვები წლის ბოლოს	საპენსიო სქემების საინვესტიციო შემოსავალი
2012	18 397	0	0	990 468	11 289 694	1 006 177
2013	18 909	0	0	1 866 308	12 924 893	1 117 963
2014	19 632	0	0	1 897 170	15 289 649	1 144 803
2015	20 653	0	0	2 056 660	18 831 828	1 369 511
2016	21 822	0	0	1 936 559	22 221 102	1 863 236
2017	23 077	0	0	3 209 294	26 740 038	1 997 782
2018	21 924	0	0	7 710 593	27 604 907	2 472 167
2019	15 957	0	0	16 405 783	16 724 785	1 616 883

2020	15 842	0	0	1 430 863	21 948 831	2 002 585
2021	15 790	0	0	1 557 108	27 236 786	2 355 782
2022	15 723	18	197 260	740 315	33 723 584	2 831 804
2023	15 672	29	439 804	1 460 185	42 021 499	3 957 873

წყარო: ავტორების მიერ შედგენილი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის, სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით, 2024 წ.

თუმცა აღსანიშნავია რომ, ახალი რეფორმა მრავალი გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც შესაძლებელია დავყოთ სამი მსხვილი ჯგუფის მიხედვით: (1) მაკროეკონომიკური გამოწვევები; (2) საპენსიო შემოსავლებთან ასოცირებული გამოწვევები; და (3) დამსაქმებლების მიერ დასაქმებულებისთვის საპენსიო სქემების შეთავაზების გამოწვევები. განვიხილოთ რეფორმის ძირითადი გამოწვევები.

მაკროეკონომიკური გამოწვევები

როგორც ზემოდ აღნიშნულია, მაკროეკონომიკური თვალსაზრისით დაგროვებითი საპენსიო სისტემები ხელს უწყობენ დანაზოგების ზრდას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წლის საპენსიო რეფორმამდე დანაზოგები ქვეყანაში უმნიშვნელო იყო (მშპ-ს დაახლოვებით 10 პროცენტი), რაც საკმაოდ მტკივნეულია ეკონომიკური თვალსაზრისით. ახალი რეფორმები მნიშვნელოვან მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ეფექტს ქმნიან; სახელმწიფოს ნაკლები ფისკალური ტვირთი ექნება პენსიების სახით, მოქალაქე სოციალური კუთხით ბევრად დაცული იქნება პენსიაზე გასვლის შემდგომ. შესაბამისად დანაზოგების სისტემის ჩამოყალიბება ქმნის ეკომონიკური განვითარების მყარ საფუძველს, რაც მომგებიანია როგორც სახელმწიფოსთვის ისე დამზოგავისთვის (დევდარიანი, 2011).

თუმცა რეფორმის განხორციელება დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, შესაძლებელია შეიქმნას მნიშვნელოვანი ეკონომიკური რისკები. ეკონომისტები თვლიან რომ, შენატანების ოდენობა შესაძლებელია არ იყოს საკმარისი იმისთვის რომ დაგროვილი კაპიტალის მომავალში გამოყენება მოხდეს ეფექტიანად. აკუმულირებული ფინანსური რესურსების დაბანდებაც წარმოადგენს გარკვეულ პრობლემას. ქვეყანაში არ არის საკმარისად განვითარებული კაპიტალის ბაზარი. აგრეთვე მნიშვნელოვან გამოწვევად შესაძლებელია ჩავთვალოთ ეროვნული ვალუტის ინფლაცია. მაკროეკონომიკური რისკები წარმოადგენენ ბენეფიციართა გარკვეული უნდობლობის საფუძველს. რაც ნამდვილად მნიშვნელოვანია რომ მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. საერთაშორისო გამოცდილება ადასტურებს რომ საპენსიო ფონდებთან

დაკავშირებულია მნიშვნელოვანი შესაძლებლობები, თუმცა ასევე, შესაძლებელია წარმოიშვას სერიოზული მაკროეკონომიკური რისკებიც. მაგალითად, აღმოსავლური ევროპის არა ერთმა ქვეყანამ განიცადა დაგროვებითი საპენსიო სისტემების კრიზისი მსოფლიო საფინანსო კრიზისის და შემდგომი რეცესიის გავლენის გამო.

საპენსიო შემოსავლებთან ასოცირებული გამოწვევები

აღსანიშნავია რომ, მნიშვნელოვანი გამოწვევები უკავშირდება ბენეფიციართა საპენსიო შემოსავლებს. მომავალში, დაგროვებითი სავალდებულო საპენსიო სისტემა განსაკუთრებით მომგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს დაბალშემოსავლიანი დასაქმებულების სეგმენტს რადგან მათ გაუჩნდებათ შესაძლებლობა მიიღონ უფრო მაღალი შემოსავალი ვიდრე მათ წინაპრებს ჰქონდათ (რომლებიც ღებულობდნენ მხოლოდ სახელმწიფო პენსიას). ამავდროულად, მაღალშემოსავლიან დასაქმებულებს, რომლებსაც გააჩნიათ დაგროვებით სავალდებულო საპენსიო ფონდში მხოლოდ ორ-პროცენტიანი შენატანების გაკეთების შესაძლებლობა, ეზღუდებათ და უმცირდებათ საპენსიო შემოსავლების ზრდის შესაძლებლობები. მაღალშემოსავლიანი მოსახლეობისათვის (მაგალითად, 3000 - 5000 ლარის შემოსავლების მქონე პირთათვის) შესაძლებელია არ იყოს საკმარისი მხოლოდ სავალდებულო საპენსიო სქემაში დანაზოგების ინვესტირება. ნაბაყოფლობითი საპენსიო სქემები მათთვის შექმნის დამატებით შესაძლებლობებს გაზარდონ მომავალი პენსიის ოდენობა და შეინარჩუნონ ჩვეული ცხოვრების დონე ხანდაზმულობისას.

დამსაქმებლების მიერ დასაქმებულებისთვის საპენსიო სქემების შეთავაზების გამოწვევები

კერძო საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისთვის და განვითარებისთვის ლომის წილი მოდის კომპანიებზე, იმ ქვეყნებში სადაც დიდი ხნის დანერგილი და განვითარებულია კერძო საპენსი სქემები. კომპანიები კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების მთავარ კონტრიბუტორებს წარმოადგენენ. კომპანიები დასაქმებულებზე ზრუნვისთვის და კეთილდღეობისთვის თანამშრომლებს სთავაზობენ საპენსიო ფონდში ჩართვას. დღეისათვის საქართველოში მხოლოდ ერთი კომპანია („საქაერონავიგაცია“) არის, რომელსაც კერძო საპესიო ფონდი აქვს შექმნილი საკუთარი დასაქმებულებისთვის. თანამედროვე ეტაპზე, სავარაუდოთ, საშუალო და მცირე კომპანიებისთვის რთული იქნება ახალ რეფორმაში ჩაერთონ. საწყის ეტაპზე, კერძო საპენსიო სქემების ჩამოყალიბებისთვის საქათველოში მთავარი როლი უნდა შეასრულონ მსხვილმა კომპანიებმა.

მიუხედავად ყველა ზემოდ აღწერილი გამოწვევისა, აღსანიშნავია რომ, განსაზღვრული შენატანების საპენსიო სქემების განვითარება საქართველოში არის მნიშვნელოვანი მრავალ-სვეტიანი საპენსიო სისტემის ჩამოყალიბებისთვის. ნებაყოფლობთი კერძო საპენსიო სქემების რეფორმა შესაძლებლობას მისცემს ყველა მოქალაქეს, დამსაქმებლებს, დასაქმებულებსა და ნებისმიერ სხვა პირს, დასაქმების სტატუსის განურჩევლად, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გაწევრიანდნენ კერძო საპენსიო სქემებში. ნებაყოფლობითი საპენსიო სქემების სისტემის მნიშვნელობა მაღალია როგორც საპენსიო სისტემის ინსტიტუციური განვითარებისთვის, ასევე ქვეყნის სამუშაო ძალის განვითარებისთვის, დანაზოგების მოცულობის ზრდისთვის და ასევე ეკონომიკური ზრდისთვის.

მთლიანობაში, ახალი რეფორმა მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკაზე და ქვეყნის ინსტიტუციურ განვითარებაზე:

- *საპენსიო კანონმდელობაზე;*
- *საფინანსო ბაზარზე;*
- *დანაზოგებზე;*
- *კაპიტალის ბაზარზე;*
- *დამსაქმებლებზე, დასაქმებულებზე და ყველა სხვა ფიზიკურ პირზე.*

რეფორმის შედეგად შეიქმნება ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ახალი მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა და იგი დაუახლოვდება ევროკავშირში მოქმედ პრინციპებსა და ჩარჩოს. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობის პირობებში, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზარი მიმზიდველი და სანდო გახდება საქართველოს მოქალაქეებისათვის.

ახალი რეფორმა ხელს შეუწყობს სადაზღვევო სექტორისა და აქტივების მმართველი კომპანიების ბაზრის განვითარებას, რადგან მათ გაუჩნდებათ დამატებითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. აღნიშნული ბაზრების განვითარება კი თავის მხრივ გაზრდის კონკურენციას საფინანსო ბაზარზე, რაც საბოლოოდ აისახება ქვეყანაში ეფექტური ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სისტემის ამოქმედებასა და განვითარებაში.

რეფორმა წაახალისებს ქვეყანაში გრძელვადიანი დანაზოგების აკუმულირებას, რაც წარმოადგენს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარების შესაძლებლობას, რადგან აკუმულირებული თანხების ინვესტირება შესაძლებელი იქნება სწორედ ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე გრძელვადიანად, რაც აისახება უფრო ეფექტურ კაპიტალის ალოკაციაში და თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკის გაზრდის ერთ-ერთი წინაპირობაა.

რეფორმა გავლენას მოახდენს საქართველოს ყველა მოქალაქეზე რადგან მათ შესაძლებლობა ექნებათ გაწევრიანდნენ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებში ან თავად დააფუძნონ ის. ამგვარი უფლება ენიჭება სუბიექტთა ფართო სპექტრს მათ შორის, დამსაქმებლებს, დამსაქმებელთა გაერთიანებებს, დასაქმებულთა გაერთიანებებს, პროფესიულ ორგანიზაციებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამგვარი უფლება ენიჭება ნებისმიერ პირს გაწევრიანდნენ ინდივიდუალურ საპენსიო სქემებში, დასაქმებისაგან დამოუკიდებლად. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რეფორმა იძლევა საშულუალებას რამდენიმე საპენსიო სქემაში გაწევრიანების. აღნიშნული ცხადჰყოფს, რომ ამგვარი წესების გაჩენით, მოცულ იქნება სუბიექტების ყველა კატეგორია და ყველას გაუჩნდება გრძელვადიანი დანაზოგების შექმნის შესაძლებლობა (განმარტებითი ბარათი: „საქართველოს კანონპროექტზე ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“, საქართველოს პარლამენტი, 2023).

ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმის გავლენა დასაქმებულებზე

ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები დიდი გამოწვევების წინაშე დგანან, რადგან საკმაოდ ჭრელი და დაბალია მოსახლეობის შემოსავლები. თანამედროვე ეტაპზე, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების მთავარ ბენეფიციარებს წარმოადგენენ მაღალ-შემოსავლიანი მოსახლეობა, რომელთა წილი არაა საკმარისი კონკურენტუნარიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად. დაბალი შემოსავლების მქონე და დამოუკიდებელი მუშაკები მოკლებულნი არიან სქემებში ჩართვის ფაქტობრივ შესაძლებობას.

მოცემული ცხრილი (ცხრილი 2) გვჩვენებს, რომ დასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება, არა იმდენად, რომ მათ შეძლონ კერძო საპენსიო ფონდში შენატანების განხორციელება. საშუალო შემოსავლის ზრდა პერსპექტიულად გამოიყურება, რადგან გასულ წელთან შედარებით ზრდა შეადგენს დაახლოებით 15 პროცენტს, ხოლო ბოლო 5 წლის მიხედვით შემოსავლის ზრდა მოხდა დაახხლოებით 42 პროცენტით. უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ეს მონაცემები არის საშუალო ოდენობა, ხოლო რეალურად სულ სხვა სურათი გვხვდება, დიდი საშემოსავლო სხვაობებით; მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა მცირეა, ხოლო მოსახლეობის უმეტესობას, რომელთაც საშუალო პოზიციები უკავიათ სამსახურებში 1000 ლარის სახელფასო დიაპაზონში აქვთ შემოსავალი.

ცხრილი 2.

საქართველოს მოსახლეობის შემოსავლები: დაქირავებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასები (2018-2023 წწ.)

წლები	**2018**	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
სულ	1068,3	1129,5	1191,0	1304,5	1543,0	1858,2
სქესი						
ქალი	822,6	869,1	952,2	1055,5	1247,7	
კაცი	1280,7	1361,8	1407,7	1537,9	1827,0	
საკუთრების ფორმა						
სახელმწიფო	892,1	973,7	1024,4	1117,2	1285,6	
არასახელმწიფო	1164,0	1211,1	1284,9	1408,7	1675,1	
სექტორი						
სამეწარმეო	1101,3	1161,7	1222,9	1347,6	1605,9	
არასამეწარმეო	1008,1	1068,5	1135,7	1228,0	1423,5	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საშემოსავლო ნიხრი განსხვავებულია ქალსა და მამაკაცს შორის, საჯარო სამსახურსა და კერძო სექტორებში დასაქმებულებს შორის. ქალების საშუალო თვიური შემოსავალი 1247 ლარს შეადგენს, ხოლო კაცების 1827 ლარს. საჯარო სამსახურში დასაქმებულთა საშუალო თვიური შემოსავალი 973,7 ლარია, ხოლო არასასხემწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა - 1211,1 ლარს შეადგენს. სხვაობა საგრძნობია, და ამცირებს იმ სუბიექტთა რიცხვს, ვისაც შესწევს შესაძლებლობა ახალ კერძო საპენსიო პროგრამაში ჩაერთონ.

მნიშვნელოვანია შევაფასოთ დასაქმების დონე ქვეყანაში, რათა თვალსაჩინო გახდეს პერსპექტივა რომელიც უკავშირდება საპენსიო სქემაში ჩარმრთველი მოსახლეობის ოდენობას. ცხრილი 3 გვიჩვენებს მნიშვნელოვან მაჩვებებლებს სამუშაო ძალის შესახებ. წლების მიხედვით დასაქმებულთა სრული რაოდენობა უმინშვნელოდ იზრდება, რაც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, და შესაბამისად საფრთხეა საპენსიო რეფორმის წარმატებისთვის. 2023 წლისთვის სამუშაო ძალა 2997,1 ათას შეადგენს, დასაქმებულთა სრული რაოდენობა 1334,6 ათასი ადამიანია. ხოლო, ოფიციალურად დასაქმებული 920,4 ათას ადამიანს შეადგენს, 413,6 ათას თვითდასაქმებულები შეადგენენ, ხოლო 0,5 ათასი ადამიანის დასაქმების ტიპი გაურკვეველია. 261,7 ათასი ადამიანი დაუსაქმებელია, რაც მთელი სამუშაო ძალის 16,4 პროცენტს წარმოადგენს. უმუშევრობის დონე მაღალია და სავარაუდოა რომ მომავალშიც საპენსიო და სოციალური პოლიტიკის თვალსაზრისით, დასაქმებული მოსახლეობა აფინანსებდეს დაუსაქმებელ

მოსახლეობას, რაც მათ ფინანსურ შესაძლებლობებზე აისახება. ბოლო ხუთი წლის მონაცემებში დიდი სხვაობა არ გვხვდება, მონაცემები მცირედით მერყეობს. უნდა ვივარაუდოთ, რომ, მომავალშიც დიდი გარღვევა არაა მოსალოდნელი. დაქირავებით დასაქმებულები ჩართულნი არიან სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ საპენსიო სქემაში. შესაბამისად, რეფორმის საწყის ეტაპზე, არ უნდა ველოდეთ მათ დიდ აქტიურობას კერძო საპენსიო სქემაში ჩართვის კუთხით.

თვითდასაქმებულების წილი სრულ დასაქმებაში საკმაოდ მაღალია, მათი რიცხვი სრული დასაქმების დაახლოებით 31 პროცენტს შეადგენს, მათი უდიდესი წილი არც ერთ საპენსიო სქემაში არ არის ჩართული, რაც აჩენს პოტენციურ შესაძლებობას მოხდეს მათი დაინტერესება ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებში ჩართვისთვის.

ცხრილი 3.

სამუშაო ძალა საქართველოში (2019-2023 წწ.)

სამუშაო ძალის მაჩვენებელი ათასი კაცი					
წლები	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**
სულ 15+	3037,1	3018,5	3010,3	2988,9	2997,1
სამუშაო ძალა	1572,8	1523,7	1533,7	1551,6	1596,3
დასაქმებული	1295,9	1241,8	1217,4	1283,7	1334,6
დაქირავებული	897,5	845,3	829,4	870,9	920,4
თვითდასაქმებული	397,9	395,9	387,1	412,1	413,6
გაურკვეველი	0,5	0,7	0,9	0,8	0,5
უმუშევარი	276,9	281,9	316,9	267,9	261,7
მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ	1464,3	1494,8	1476,7	1437,4	1400,8
უმუშევრობის დონე პროცენტი	17,6	18,5	20,6	17,3	16,4
სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე პროცენტი	51,8	50,5	50,9	51,9	53,3
დასაქმების დონე, პროცენტი	40,7	41,1	40,4	42,9	44,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკუს ეროვნული სამსახური

შევაჯამოთ, კერძო საპენსიო ფონდები დგანან დიდი გამოწვევების წინაში, რაც განპირობებულია საშუალო და მცირე შემოსავლების მქონე პირთა სიჭარბით, და აგრეთვე თვით დასაქმებული მოსახლეობის ფინანსური სიმტკიცის უნარმოკლებულობით შეძლონ ჩაერთონ კერძო საპენსიო სქემაში. მაღალ

შემოსავლიანი მოსახლეობის წილი მთლიან დასაქმებაში მწირია, და მათგანაც გარკვეული ნაწილი სხვა საინვესტიციო შესაძლებლობებით არის დაინტერესებული.

ნებაყოფლობითი კერძო პენსიის რეფორმის გავლენა დამსაქმებლებზე

ქვემოდ მოცემული ცხრილი (ცხრილი 4) გვიჩვენებს კომპანიათა ფორმებსა და მათ მასშტაბებს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი კვლევის მიმართულებას წარმოადგენს მსხვილ ბიზნესში ჩართული კომპანიები, რადგან მათ შესწევთ ძალა ჩამოაყალიბონ კერძო საპენსიო ფონდები საკუთარი თანამშრომელთათვის. დღეისათვის მსხვილ ბიზნესში ჩართულია 772 სუბიექტი, რაც მთლიანი კერძო სექტორის დაახლოებით 0,3 პროცენტს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს მოცემული მონაცემები საკმაოდ მცირეა. მოსალოდნელია, ამ მოცემულობით, კერძო საპენსიო სქემის განვითარება დინამიური პროცესით წარიმართოს, თუმცა ამავდროულად, სრული ბაზრის მცირე წილი დაიკავოს.

ცხრილი 4.

საქართველოში რეგისტრირებულ აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ზომების მიხედვით (2023 წ.)

ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმა	მსხვილი		საშუალო		მცირე	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
სულ	772	100	3063	100	253044	100
კომერციული იურდიული პირი	594	76,94	2212	72,22	81475	32,20
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	511	66,19	2101	68,59	80467	31,8
სააქციო საზოგადოება	83	10,75	109	3,56	669	0,26
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	0	0,00	1	0,03	143	0,06
კომანდიტური საზოგადოება	0	0,00	1	0,03	18	0,01
კოოპერატივი	0	0,00	0	0,00	178	0,07
არასამეწრმეო (არაკომერციული იურდიული პირი)	63	81,16	367	11,98	3546	1,40
ინდივიდუალური მეწარმე	1	0,13	16	0,52	165222	65,29
სხვა	14	1,81	41	1,34	691	0,27
საჯარო სამართლის სუბიექტი	100	12,95	427	13,94	2110	0,83

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო, 2024

მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს რომ, მსხვილი ეროვნული, საერთოშარისო თუ რეგიონალური კომპანიების დასაქმებულთათვის მნიშვნელოვან ბენეფიტს

წარმოადგენს კომპანიის მხრიდან შემოთავაზებულ კერძო საპენსიო სქემაში მონაწილეობა. შესაძლებელია ვივარაუდოდ რომ, საქართველოში მოღვაწე მსხვილი ბიზნესის წარმომადგენელთა მიერ მოხდება საპენსიო შეთავაზებების ზრდა და შესაბამისად, დასაქმებული თანამშრომლებისთვის საინტერესო იქნება შეუერთდნენ კომპანიის მიერ შეთავაზებულ კერძო საპენსიო სქემას. დასაქბულთათვის საინტერესო და დასაფასებელი იქნება კომპანიის მხრიდან თანამშრომლებზე მსგავსი ზრუნვა. მსხვილ ბიზნესში დასაქმებულები გამოირჩევიან მაღალი ხელფასით, რაც მათთვის ორმაგი მოტივაცია ინება კომპნიასთან ერთად, კომპანიის ისტოიაში ახალი თავის დაწერისთვის და მისი გაძლიერებისთვის. საქართველოში მოღვაწეობენ საერთაშორისო კომპანიებიც, რომელთა დიდი საერთაშორისო გამოცდილება აქვთ მოცემული მიმართულებით, რაც იმედის მომცემია, რომ დაინტერესდებიან მათი გამოცდილება მიმართონ კერძო საპენსიო სქემების ჩამოაყალიბებისაკენ საკუთარი დასაქმებულთათვის. ქვეყანაში მსხვილ ბიზნესს გააჩნია რესურსი და პერსპექტივები აქტიურად ჩაერთონ მესამე სვეტის საპენსიო სისტემაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Eugeorgia.info, 2016. დაგროვებითი საპენსიო სისტემა და მისი გამოწვევები. http://eugeorgia.info/ka/article/493/dagrovebiti-sapensio-sistema-da-misi-gamowvevebi/.

დევდარიანი, დ., ხელმისაწვდომია, 2024, დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმის ანალიზი, https://idfi.ge/ge/analysis-of-accumulative-pension-system

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2017. საქართველოს საპენსიო რეფორმა: რეგულირების გავლენის ანალიზი. თბილისი.

საკანონმდებლო მაცნე: კანონი "ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ".

საქართველოს პარლამენტი, Parliament.ge, მედია და საზოგადოება: 11 მაისი 2023.

საქართველოს პარლამენტი, 2023. კანონპროექტი "ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ".

საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სახელმწიფო სამსახური, 2023 საპენსიო სქემები, სტატისტიკა.
სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2024. სამუშაო ძალა და დასაქმება.

ჯიქიძე მიხეილი, 2024. „საპენსიო რეფორმა საქართველოში: ნებაყოფლობითი კერძო პენსიის დანერგვის შესაძლებლობების ანალიზი“, ქუთაისის უნივერსიტეტი, ქუთაისი.
Rochlitz, Kathrin, 2015. “Net Pension Replacement Rates.” GES-IFO DICE Report 2 / June, pp. 70-72, Munich, Germany.
Rudolph, Heinz P., Pension Funds with Automatic Enrollment Schemes: Lessons for Emerging Economies (February 5, 2019). World Bank Policy Research Working Paper No. 8726
Schwarz, Anita, Omar S. Arias, et al. 2014. “The Inverting Pyramid: Pension Systems Facing Demographic Challenges in Europe and Central Asia.” Europe and Central Asia Reports. Washington, DC: The World Bank.

Voluntary Private Pension Reform Challenges in Georgia: An Analysis of the Impact on Employers and Employees

Tamila Nutsubidze
Academic Doctor of Economics, Professor
Kutaisi University
tamila.nutsubidze@unik.edu.ge

Mikheili Jikidze
Master of Business Administration

Summary

The main objective of the research is to study the challenges of the voluntary private pension schemes' reform in Georgia and its impact on the economy. The paper presents a review of the scientific and analytical literature, the legislative and regulatory base of the Georgian pension system, and the main directions of the pension policy. Also, statistical data were studied in order to make a quantitative and qualitative analysis and evaluation the pension reform. The purpose of the article is to focus on the impact of the reform on employers and employees in Georgia. The development of voluntary private pension schemes is important for the establishment of a multi-pillar pension system in Georgia. Although there is potential for the development of voluntary private pension schemes in Georgia, at the initial stage of the reform, these schemes will be available mainly to representatives of large businesses and, accordingly, to high-income employees. As a result, low- and middle-income workers and small and medium-sized enterprises remain neglected. The mentioned factor should especially influence the state policy in order to facilitate the dynamic development of voluntary private pension schemes in Georgia.

Keywords: financial service, voluntary pension, pension reform

თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების გავლენა საქართველოს საფინანსო ბაზარზე

ერეკლე მეშველიანი
დოქტორანტი
აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
erekle.meshveliani@eeu.edu.ge

ანოტაცია. *ეს ნაშრომი აანალიზებს საქართველოში თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების (ფინტექ) გავლენას ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებზე (ბანკებზე). კვლევისთვის ჩატარდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევა. ქართული წამყვანი ტრადიციული ბანკის ფინანსური მაჩვენებლების, ტრადიციული ბანკი მომხმარებელთა გამოკითხვის, საქართველოს ეროვნული ბანკის სპეციალისტების გამოკითხვის და ფინანსური ინსტიტუტების მაღალი რანგის ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთდა ვარაუდები ფინტექის გავლენის შესახებ ტრადიციული ბანკებზე, კონკრეტულად მოახერხეს თუ არა ბანკებმა თანამედროვე ფინანსურ გარემოში ადაპტაცია, რა გავლენა იქონია ფინტექმა მათ ფინანსურ სტაბილურობაზე და ახერხებს თუ არ ეროვნული ბანკი ფინტექთან ასოცირებული რისკების გადაჭრას შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დანერგვით. სტატიის ბოლოს მოცემულია შესაბამისი დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები.*

საკვანძო სიტყვები: *ტრადიციული ბანკები, ფინტექ, ფინანსები, საქართველო, ტექნოლოგიები*

შესავალი

i. კვლევის აქტუალობა

ფინანსურ ინდუსტრიას, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ სექტორმა განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციები საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკურ და გეოგრაფიულ რეჟიმებსა და კანონმდებლობაში ცვლილებების გამო, რამდენიმე ავტორი აცხადებს, რომ ბანკებისთვის ახალი ერა იბადება ფინანსური ტექნოლოგიების („ფინტექი“) ამაღლებით. (Berger, Allen N., 2002), (Yongwoon Shim, Dong-Hee Shin, 2016). ფინტექი არის კავშირი ფინანსურ ინდუსტრიას, საინფორმაციო ტექნოლოგიებს (IT) და ინოვაციებს შორის. ტერმინი „ფინტექი“ მომდინარეობს სიტყვების - ფინანსებისა და ტექნოლოგიების გაერთიანებიდან და გულისხმობს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარებას საბანკო და ფინანსური უნარების მხარდასაჭერად. ფინტექი ასევე აღწერს ტექნოლოგიების - ღრუბლოვანი გამოთვლების (cloud computing) და მობილური ინტერნეტის კავშირს ისეთ ფინანსურ სერვისებთან, როგორიცაა სესხები, გადახდები, ფულის გადარიცხვები და სხვა საბანკო სერვისები (Ferdinando Giglio, 2021). ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, რომლებიც არღვევენ ფინანსურ ბაზრებს, ტრადიციული ბანკები, სავარაუდოდ, კონკურენციას გაუწევენ ან რესტრუქტურიზდებიან (Xavier Vives, 2018). იმისათვის რომ ფეხი აუწყონ მიმდინარე ტენდენციებს და სწრაფად მზარდ კონკურენტულ გარემოში არ დაკარგონ კონკურენტუნარიანობა, ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტები იღებენ ცვლილებებს და ცდილობენ დააკმაყოფილონ ბაზარზე არსებული საჭიროებები. ახალ ამბებში ფინტექი არის დამშლელი, რევოლუციური და შეიარაღებული „ციფრული იარაღით“, რომელიც დაანგრევს ბარიერებს და ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებს (World Eonomic Forum, 2017). თუ ბაზარზე ახალი შემომსვლელებისა და ინოვაციების სარგებელი მრავალრიცხოვანია, მარეგულირებლებმა უნდა გააკონტროლონ წარმოშობილი რისკები. ფინტექს მოაქვს შესაძლებლობები ბაზარზე, მაგრამ ამავდროულად გარკვეული რისკებიც. ეს რისკები უნდა გადაიჭრას მარეგულირებლების მიერ, რათა მომხმარებლებმა ისარგებლონ ინოვაციებით ფინანსური სექტორის სტაბილურობის შესუსტების გარეშე (Maxime Delabarre, 2021).

ii. კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი იყო საქართველოს საფინანსო ბაზარზე თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების გავლენის დადგენა. კერძოდ, განგვესაზღვრა შემდეგი: (1) რა რისკის ფაქტორები ახლავს განვითარებულ ფინანსურ

ტექნოლოგიებს საქართველოში და ახერხებს თუ არა მარეგულირებელი ორგანო (საქართველოს ეროვნული ბანკი) ამ რისკების გადაჭრას შესაბამისი მარეგულირებელი ნორმების დანერგვით. (2) მოახერხეს თუ არა ბანკებმა ადაპტაცია გარემოში და რა გავლენა იქონია ბანკებზე ახალი ფინანსური პროდუქტების და სერვისების შეთავაზებამ მომხმარებლებისათვის თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების დახმარებით.

ლიტერატურის მიმოხილვა

i. ფინტექის განმარტება

ტერმინი ფინანსური ტექნოლოგიები ან „ფინტექი" გამოიყენება სხვადასხვა ინოვაციური ბიზნეს მოდელებისა და განვითარებადი ტექნოლოგიების აღსაწერად, რომლებსაც აქვთ ფინანსური მომსახურების ინდუსტრიის გარდაქმნის პოტენციალი (IOSCO, 2017). ფინტექი ეხება ახალ პროცესებსა და პროდუქტებს, რომლებიც ხელმისაწვდომი ხდება ფინანსური სერვისებისთვის ციფრული ტექნოლოგიური მიღწევების წყალობით. უფრო ზუსტად, ფინანსური სტაბილურობის საბჭო (FSB) განსაზღვრავს ფინტექს, როგორც „ტექნოლოგიურად გააქტიურებულ ფინანსურ ინოვაციას, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ახალი ბიზნეს მოდელები, აპლიკაციები, პროცესები ან პროდუქტები, რომელებიც მატერიალურადაა დაკავშირებული ფინანსურ ბაზრებზე და ინსტიტუტებზე'' (The Financial Stability Board, 2017).

ii. ფინტექის შესაძლებლობები და საფრთხეები

ფინტექს მოაქვს შესაძლებლობები და სარგებელი ბაზრის მოთამაშეებისათვის და მომხმარებლებისათვის, მაგრამ ამავე დროს, მას მოაქვს რისკები, რომლებიც ადეკვატურად უნდა შეფასდეს და იმართოს. ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტებისთვის, როგორიცაა ბანკები, არსებითად ყველა სერვისზე ზემოქმედების შესაძლებლობა მოდის ხარჯების შემცირებით, რაც გამოწვეულია ციფრული ტექნოლოგიების მიღწევებით, გაუმჯობესებული და ახალი პროდუქტების შეთავაზებით მომხმარებლებისთვის. შესაძლებლობების გარდა, არსებობს საფრთხეები ფინტექ კომპანიებისგან (Ahmed T.Al Ajlouni et al, 2018): ფინტექ კონკურენცია აძლიერებს საბაზრო ზეწოლას ბანკების საბაზრო წილზე და მოგების მარჟაზე. ფინტექ ფირმები დიდწილად ეყრდნობიან საინფორმაციო ტექნოლოგიებს (IT), ზრდის IT დამოკიდებულებას ბაზრის ყველა მოთამაშეს შორის (ბანკები, დაზღვევა, ფინტექ), რითაც ზრდის IT კონტროლის წარუმატებლობის რისკს შეზღუდული ექსპერტიზისა და მოძველებული

ინფრასტრუქტურის გამო. ფინტექის სერვისების ავტომატიზაცია და სირთულე აძლიერებს გამოწვევებს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო (AML) და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (CFT) რეგულაციებისთვის. პლატფორმაზე დაფუძნებული ფინტექის სერვისები წარმოშობს რისკებს, როგორიცაა პლატფორმის წარუმატებლობა და მომხმარებლის თაღლითობა. იმავდროულად, კიბერ საფრთხეები იზრდება API-ს და Cloud Computing-ის უფრო დიდი დამოკიდებულებით ფინანსურ ინსტიტუტებს შორის.

iii. ფინტექ ბაზარი საქართველოში

საქართველოში ფინანსური ტექნოლოგიების ბაზარი განვითარების საწყის ეტაპზეა. დღევანდელი ინფორმაციით ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს "საქართველოს ფინტექის ასოციაცია", მასში 2022 წლის მონაცემებით წარმოდგენილია 21 ფინტექ კომპანია. ხსენებული ასოციაციის შეფასებით საქართველოს ბაზარზე ოპერირებს დაახლოებით 50 კომპანია. გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო მოთამაშეების ბაზრისადმი ინტერესის მზარდი ტენდენცია. დადგინდა, რომ ფინტექის გავლენა ქართულ ბაზარზე იზრდება და კიდევ უფრო დიდი გრძელვადიანი პერსპექტივები აქვს (Lashkhi, 2023).

მეთოდოლოგია

გამოყენებული კვლევის მეთოდი აერთიანებს თვისებრივ და რაოდენობრივ მიდგომებს საქართველოში ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებზე ფინანსური ტექნოლოგიების გავლენის გამოსაკვლევად. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ თემაზე აკადემიური ლიტერატურისა და სტატისტიკური მონაცემების სიმწირეა. თვისებრივ კვლევის მეთოდით ჩატარებული ინტერვიუსათვის სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმა შეირჩა, რომელიც გვთავაზობდა ფორმალიზებულ მიდგომას წინასწარ განსაზღვრული კითხვებით, როგორც ღია, ასევე დახურული, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა შეგროვების თანმიმდევრულობას (Collis, J., & Hussey, R., 2013). ინტერვიუ განკუთვნილი იყო საქართველოში არსებული ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების და მარეგულირებელი ორგანოს (საქართველოს ეროვნული ბანკი) წარმომადგენლებისთვის. წინამდებარე ნაშრომის რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია ეყრდნობოდა საქართველოში არსებული წამყვანი ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტის („თიბისი ბანკი“) მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლების/ინდიკატორების შესწავლას, რომელიც მიზნად ისახავდა გამოეკვლია, თუ რა გავლენას ახდენს და სავარაუდოა, რომ მოახდენს

თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიები ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების ფინანსურ სტაბილურობაზე. რაოდენობრივი კვლევა ასევე დაფუძნებული იყო კითხვარზე, რომელიც მომზადდა ლიკერტის სკალის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს მონაცემთა ეფექტურ შეგროვებას 97 რესპონდენტისგან შერჩეული ზომით, რომელიც გამოითვლება Raosoft პლატფორმის მეშვეობით. ეს მეთოდი გვთავაზობს ხარჯთეფექტურ და დროულ მიდგომას ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით (Andrew T. Jebb, L.T., 2021). გამოკითხვის კითხვარი გავრცელდება ინტერნეტისა და Google დოკუმენტების გამოყენებით.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, სამი ჰიპოთეზა გამოიკვეთა:

- *ჰიპოთეზა 1: საქართველოში არსებული ტრადიციული ბანკები ახერხებენ განვითარებად გარემოში ადაპტაციას თანამედროვე ფინანსური ტექონოლოგიების დანერგვით.*
- *ჰიპოთეზა 2: საქართველოში არსებული მარეგულირებელი გარემო, წარმატებით უზრუნველყოფს თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რისკების მართვას.*
- *ჰიპოთეზა 3: ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული კონკურენციის ზრდა საქართველოს ფინანსურ ბაზარზე ზრდის ტრადიციული ბანკების ფინანსურ სტაბილურობას.*

რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგები

ბანკის მომხმარებლების გამოკითხვის შედეგად მიღებული ეკონომეტრიკული მიგნებები

როგორც ზევით ავღნიშნეთ, კვლევისთვის საჭირო მონაცემების მისაღებად და „ჰიპოთეზა 1“ - ის დასამტკიცებლად, შემუშავდა კითხვარის მოდელი ლიკერტის სკალაზე დაფუძნებული, რომელიც არის 5-ბალიანი სკალა (1. სრულიად არ ვეთანხმები 2. არ ვეთანხმები 3. ნეიტრალურად ვარ განწყობილი 4. ვეთანხმები, 5 სრულიად ვეთანხმები). შერჩეული მეთოდოლოგიის მიხედვით, შერჩევის ზომა განისაზღვრა 97 ადამიანი (ტრადიციული ბანკების სერვისების მომხმარებლები), მაგრამ მთლიანობაში, კითხვარიდან შეგროვდა 105 პასუხი. კითხვარში განაწილებული იყო დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები. ზოგადად, კვლევის მოდელმა მიიღო შემდეგი ფორმა:

ცვლადი	დასახელება	N
დამოუკიდებული ცვლადი	მრავალფეროვანი თანამედროვე ფინანსური მომსახურების და ტექნოლოგიების შეთავაზება	X1
დამოუკიდებული ცვლადი	ფინანსური ტექნოლოგიების დახმარებით გაუმჯობესებული მომხმარებლის საერთო საბანკო გამოცდილება	X2
დამოუკიდებული ცვლადი	ფინანსური ტექნოლოგიებით შემოთავაზებული სერვისების გაუმჯობესება	X3
დამოუკიდებული ცვლადი	ფინანსური ტექნოლოგიებით შემოთავაზებული სერვისების გაუმჯობესება	X4
დამოუკიდებული ცვლადი	ფინანსური ტექნოლოგიებით უზრუნველყოფილი მაღალი უსაფრთხოების დონე	X5
დამოუკიდებული ცვლადი	გამარტივებული საბანკო პროცესების უზრუნველყოფა	X6
დამოკიდებული ცვლადი	ტრადიციული ბანკების წარმატებით ადაპტაცია გარემოში	Y1

რაც შეეხება სტატისტიკურ ანალიზს, კითხვარის საშუალებით მიღებული პასუხები სტატისტიკურად დამუშავდა SPSS-ის გამოყენებით. სტატისტიკურად, ცვლადები შემოწმებული იყო კორელაციისთვის.

Correlations							
	Y1	X1	X2	X3	X4	X5	X6
Y1	1,000						
X1	0,968	1,000					
X2	0,951	0,966	1,000				
X3	0,916	0,925	0,919	1,000			
X4	0,932	0,941	0,958	0,901	1,000		
X5	0,948	0,951	0,946	0,901	0,933	1,000	
X6	0,948	0,950	0,973	0,895	0,965	0,931	1,000

შედეგები რეგრესიის ანალიზზე:

მაღალი კორელაციები Y1-სა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის ვარაუდობს, რომ ეს ცვლადები შეიძლება იყოს Y1-ის მნიშვნელოვანი პროგნოზირებადი რეგრესიის მოდელში. თუმცა, დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მულტიკოლინეარობის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები რეგრესიის კოეფიციენტების ინტერპრეტაციაში. მოწოდებულ სტატისტიკაზე დაყრდნობით ცვლადებს X1, X2, X4 და X6 აქვთ დაბალი ტოლერანტობის მნიშვნელობები (0,032-დან 0,129-მდე), რაც მიუთითებს პოტენციურ მულტიკოლნეარულობაზე. X1, X2, X4 და X6 ცვლადებს ასევე აქვთ მაღალი VIF მნიშვნელობები (17,824-დან 30,948-მდე), რაც კიდევ უფრო მიუთითებს მრავალკოლნეარულობაზე. მაშასადამე, როგორც ჩანს, მოდელში არის მულტიკოლინიარულობა, განსაკუთრებით X1, X2, X4 და X6 ცვლადებს შორის. მულტიკოლინეარობის გადასაჭრელად, ჩვენ გავაერთიანეთ ეს დამოუკიდებელი

ცვლადები (X1,X2,X3,X4,X5,X6) „საშუალო სარეიტინგო ქულის“ სახელის ქვეშ და შედეგად გვაქვს შემდეგი სტატისტიკა:

Model Summary[b]				
Model	R	R Square	Adjusted R Square	Std. Error of the Estimate
1	.969[a]	0,940	0,939	0,315
a. Predictors: (Constant), average rating score				
b. Dependent Variable: Y1				

შედეგებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, მოდელში შემავალ პროგნოზირ ცვლად(ებ)ს აქვს ძალიან ძლიერი წრფივი კავშირი დამოკიდებულ ცვლადთან. მოდელი ითვალისწინებს დამოკიდებული ცვლადის დისპერსიის დიდ ნაწილს და მოდელის მიერ გაკეთებული პროგნოზები შედარებით ზუსტია (standard erorro of the estimate is low).

ANOVA[a]						
Model		Sum of Squares	df	Mean Square	F	Sig.
1	Regression	157,558	1	157,558	1591,815	<.001[b]
	Residual	10,096	102	0,099		
	Total	167,654	103			
a. Dependent Variable: Y1						
b. Predictors: (Constant), average rating score						

მოკლედ, ANOVA-ს შედეგები ადასტურებს, რომ რეგრესიის მოდელი ძალზე მნიშვნელოვანია.

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.	Correlations		
		B	Std. Error	Beta			Zero-order	Partial	Part
1	(Constant)	0,166	0,102		1,625	0,107			
	average rating score	0,964	0,024	0,9694	39,898	0,000	0,9694	0,9694	0,9694
a. Dependent Variable: Y1									

მოკლედ, საშუალო სარეიტინგო ქულას აქვს ძალიან მნიშვნელოვანი და ძლიერი დადებითი კავშირი Y1-თან. მისი სტანდარტიზებული კოეფიციენტი მიუთითებს მის შედარებით მნიშვნელობაზე Y1-ის პროგნოზირებაში, ხოლო მისი მაღალი t-მნიშვნელობა და დაბალი p-მნიშვნელობა ვარაუდობს, რომ ის არის გადამწყვეტი განმსაზღვრელი მოდელში. აქედან გამომდინარე, დასაბუთებულია დავასკვნათ, რომ დამოკიდებული ცვლადი (Y1) მიღებულია დამოუკიდებელი

ცვლადიდან (საშუალო რეიტინგის ქულა), რაც ნიშნავს, რომ საშუალო შეფასების ქულის ცვლილებები ასოცირდება Y1-ის პროგნოზირებად ცვლილებებთან.

თიბისი ბანკის ფინანსური მაჩვენებლების კვლევის შედეგად მიღებული მიგნებები

როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევისთვის საჭირო მონაცემების მისაღებად და მე-3 ჰიპოთეზის შესამოწმებლად, ასევე გაანალიზებულია წამყვანი ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტის („თი ბი სი“) მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილი ფინანსური მაჩვენებლები. ანალიზისთვის განისაზღვრა დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადები შემდეგნაირად: რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიაში დამოუკიდებელი ცვლადია „საქართველოს ფინანსურ ბაზარზე ფინანსური ტექნოლოგიების განვითარებით გამოწვეული კონკურენციის ზრდა“, ხოლო დამოკიდებული ცვლადი არის „ტრადიციული ბანკების ფინანსური სტაბილურობა“. ამ სტაბილურობას ადასტურებს შემდეგი ფინანსური მაჩვენებლები: „ROE“, „ROA“, „ღირებულება-შემოსავლის თანაფარდობა“ და „წმინდა მოგების მარჟა“. შედეგები ასეთია:

ცხრილი 1: თიბისი ბანკის უკუგება კაპიტალზე 2018 -2022 წლამდე



წყარო: თიბისი ბანკის, 2022 წლის დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება

ცხრილი 2: თიბისი ბანკის უკუგება საშუალო მთლიან აქტივებზე 2018 - 2022 წლამდე



წყარო: თიბისი ბანკის, 2022 წლის დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება

ცხრილი 3: თიბისი ბანკის ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობა 2018 - 2022 წლამდე



წყარო: თიბისი ბანკის, 2022 წლის დასრულებული წლის მმართველობითი ანგარიშგება

ზემოაღნიშნული ცხრილების საფუძველზე დადგინდა, რომ თიბისი ბანკმა შემოსავლები ხარჯების მინიმიზაციის გზით გაზარდა. 2018 წლიდან 2022 წლამდე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობაში. 2018 წლის შემდგომ თიბისი ბანკმა მოახერხე ROE-ს მნიშვნელოვნად ზრდა.

წმინდა მოგების ზრდის ძირითადი ფაქტორი იყო წმინდა საპროცენტო შემოსავლის ზრდა, რომელმაც 2022 წელს მიაღწია 1,243.1 მლნ ლარს, რაც 24.8%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. საპროცენტო შემოსავლის მნიშვნელოვანი ზრდა 356.7 მლნ ლარით ან 19.1%-ით წინა წელთან შედარებით, უპირველეს ყოვლისა განპირობებულია სესხებიდან საპროცენტო შემოსავლების ზრდით. აღნიშნული ზრდა დაკავშირებულია საკრედიტო პორტფელის 902.7 მლნ ლარით, ანუ 5.3%-ით გაფართოებასთან, შესაბამისი საპროცენტო განაკვეთების 1.0 პროცენტული პუნქტით ზრდასთან ერთად. საპროცენტო ხარჯი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 109.4 მლნ ლარით, ანუ 12.6%-ით გაიზარდა. ეს ზრდა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია სადეპოზიტო პორტფელის 19.9%-იანი ზრდით, ანუ 2,957.2 მლნ ლარით და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების 0.2 პროცენტული პუნქტით ზრდით. შედეგად, წმინდა საპროცენტო მარჟამ (NIM) მთელი 2022 წლისთვის მიაღწია 5.9%-ს, რაც წინა წელთან შედარებით 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

ტრადიციულ ფინანსურ ინსტიტუტებთან დაკავშირებული თვისებრივი კლვევის მიგნებები

ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების ხელმძღვანელობასთან სიღრმისეული ინტერვიუები ცხადყოფს: რესპონდენტები ფინტექს განმარტავენ,

როგორც ინოვაციურ ტექნოლოგიებს, როგორიცაა აპლიკაციები ფინანსური სერვისების გასაუმჯობესებლად, ტრადიციული მეთოდების ჩანაცვლება უფრო სწრაფი ტრანზაქციებისთვის. საქართველოს ფინანსურ ბაზარზე კონკურენცია გაძლიერდა, როდესაც ტრადიციული ბანკები იღებენ თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებს და ბაზარზე შემოდიან ახალი ფინტექ ფირმები. ამის მიუხედავად, რესპონდენტები ვერ ხედავენ ფინტექ ფირმებს მთავარ საფრთხედ საქართველოს განუვითარებელი სტარტაპ ეკოსისტემის გამო, რომელსაც აკლია ისეთი ელემენტები, როგორიცაა ინოვაციური სამუშაო ძალა და ვენჩურული კაპიტალი. რესპონდენტები ფინტექ ფირმებს უფრო პარტნიორებად მიიჩნევენ, ვიდრე კონკურენტებად, რომლებიც მხარს უჭერენ თანამშრომლობას ციფრულ ეპოქაში. ტრადიციული ბანკები პრიორიტეტს ანიჭებენ მომხმარებელთა ნდობას, ხარჯების შემცირებას, პერსონალიზებულ მომსახურებას, სიჩქარეს, გამოყენებადობას, ხელმისაწვდომობას და მოქნილ დიზაინს, რათა შეინარჩუნონ მომხმარებლები ფინტექ კონკურენციის პირობებში. უსაფრთხოება და მონაცემთა კონფიდენციალურობა არის კრიტიკული საზრუნავი ფინტექ-ჩართული სერვისებში, რომლებიც საჭიროებენ მარეგულირებელ ზედამხედველობას მომხმარებლების დასაცავად. რესპონდენტები ხაზს უსვამენ მომხმარებელთა ნდობის საკითხებს ფინტექ კომპანიების მიმართ და გვთავაზობენ ქმედებებს საქართველოს ფინტექ სექტორის მიმართ ნდობის გასაძლიერებლად. ტრადიციული ბანკები აქტიურები არიან ინოვაციებში, სწრაფად იღებენ წარმატებულ საბაზრო პროდუქტებს, რომლებიც შეესაბამება მომხმარებელთა საჭიროებებს, რაც უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანობას განვითარებად ფინტექ გარემოში.

მარეგულირებელ ორგანოსთან (სებ) დაკავშირებული თვისებრივი კლვევის მიგნებები

საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან სტრუქტურირებულმა ინტერვიუმ დაადასტურა ფინანსური ტექნოლოგიების მარეგულირებელი ზომები და პრაქტიკა:

1. მარეგულირებელი ჩარჩოები მოიცავს: (1) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეგულირების ლაბორატორიის ჩარჩოს შექმნისა და მისი გამოყენების შესახებ დებულება“, ბრძანება №110/04, 2020 წლის 25 მაისი; (2)„ღია ბანკინგში ჩართვის წესის დამტკიცების თაობაზე“, ბრძანება №80/04, 2023 წლის 3 მაისი; (3) „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი“, ბრძანება

№193/04, 2018 წლის 27 აგვისტო; (4) „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულება“, ბრძანება №151/04, 2020 წლის 17 აგვისტო; (5) „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო რეესტრის შექმნისა და მისი გამოყენების წესი“, ბრძანება №88/04, 2021 წლის 6 ივლისი; (6) „საქართველოს ტერიტორიაზე საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდების, საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ბაზაში ინფორმაციის აღრიცხვის და ხელმისაწვდომობის წესი“, ბრძანება №195/04, 2018 წლის 27 აგვისტო; (7). „ციფრული ბანკი“ და „ფინანსური ინოვაციების ოფისი“.

2. მოთხოვნები საინფორმაციო სისტემებისთვის: (1) საერთაშორისო სტანდარტებთან (NIST, ISACA, ISO) სისტემის ადეკვატურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკა; (2) მორგებული სისტემის დანერგვა და რეგულარული შეფასებები; (3) მიუკერძოებელი აუდიტი სისტემის ეფექტურობის შესანარჩუნებლად; (4) ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის ინტეგრაცია ბიზნეს სტრატეგიებთან.
3. ცალკეული ერთეულები სრულყოფილად განიხილავენ ფინტექ რეგულირების, კიბერუსაფრთხოების და მონაცემთა კონფიდენციალურობის რისკებს.
4. მომხმარებელთა დაცვის რეგულაციები: (1) მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესები (ბრძანება No32/04, ბრძანება No01/04); (2) კანონი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ უზრუნველყოფს ფინანსური მომსახურების გამჭვირვალობას.
5. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია, რომელიც რეგულირდება AML კანონით.
6. მუდმივი კომუნიკაცია ანგარიშვალდებულ მხარეებთან სემინარების, გაიდლაინების და გამოყოფილი პორტალის საშუალებით, მხარს უჭერს რისკის მართვისა და შესაბამისობის მცდელობებს.

დასკვნა

რაოდენობრივი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოში ტრადიციული ბანკები წარმატებით ადაპტირდებიან განვითარებად გარემოსთან თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების ინტეგრირებით. მომხმარებლები თვლიან, რომ ამ ბანკებს აქვთ გაუმჯობესებული საბანკო გამოცდილება, გაუმჯობესებული

მომსახურების ხარისხი, გაძლიერებული ფინანსური მენეჯმენტი, უზრუნველყოფილია ძლიერი უსაფრთხოება და გამარტივებულია პროცესები. ეს ადაპტაცია აკმაყოფილებს მომხმარებლის ცვალებად მოლოდინებს ციფრულ ეპოქაში. გარდა ამისა, ბანკებმა საგრძნობლად გაზარდეს საკრედიტო პორტფელი ციფრული არხების საშუალებით, გაზრდილი საბაზრო კონკურენციის ფონზე, რაც ხელს უწყობს წმინდა მოგებას და მთლიან სტაბილურობას. რესპონდენტები აღნიშნავენ გაზრდილ კონკურენციას ბაზარზე ფინტექ ფირმებთან, მაგრამ ისინი არ თვლიან, რომ ეს ფირმები მალე დიდ საფრთხეს შეუქმნიან საქართველოს ახალდაწყებული სტარტაპის ეკოსისტემისა და მომხმარებელთა ნდობის პრობლემების გამო. ტრადიციულ ბანკებსა და ფინტექ ფირმებს შორის თანამშრომლობა მიჩნეულია, როგორც მომგებიანი კონკურენტუნარიანობისთვის ციფრულ სფეროში. საქართველოს ეროვნული ბანკი ავალდებულებს კიბერუსაფრთხოების ზომების დაცვას და აწვდის მუდმივ სახელმძღვანელოს საბანკო სექტორის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კვლევა მხარს უჭერს ჰიპოთეზებს, რომ ბანკებს შეუძლიათ ახალ ტექნოლოგიებთან ადაპტირება, მარეგულირებელი ჩარჩოები ეფექტურად მართავენ დაკავშირებულ რისკებს და საბაზრო კონკურენცია ზრდის ბანკების სტაბილურობას.

გამოყენებული ლიტერატურა

Agustín Carstens. (2018). *Big tech in finance and new challenges for public policy.* London.

Andrew T. Jebb, L.T. (2021). *A Review of Key Likert Scale Development Advances: 1995–2019.*

Berger, Allen N. (2002). *The Economic Effects of Technological Progress: Evidence from the Banking Industry.*

Collis, J., & Hussey, R. (2013). *A Practical Guide for Undergraduate and Postgraduate Students.* London: Palgrave Macmillan.

DGregor Dorfleitner, L. H. (2016). *The FinTech Market in Germany.*

Ferdinando Giglio. (2021). *Review, Fintech: A Literature.*

IOSCO. (2017). *IOSCO Research Report on Financial Technologies (Fintech).*

Lashkhi, M. (2023). *The Impact of Fintech on Financial Institutions: The Case of Georgia.*

Maxime Delabarre. (2021). *FinTech in the Financial Market.*

Milena Vučinić. (2020). *Fintech and Financial Stability Potential Influence of FinTech on Financial Stability, Risks and Benefits.*

The Financial Stability Board. (2017). *Financial Stability Implications from FinTech.*

Tsotne Zhghenti, Vakhtang Chkareuli. (2023). *Digital ecosystem digest - fintech market in Georgia - structure and mainc trends.*

World Eonomic Forum. (2017). *Beyond Fintech: A Pragmatic Assessment Of Disruptive Potential In Financial Services.*

Xavier Vives. (2018). *Competition and Stability in Modern Banking: A Post-Crisis Perspective.*

Yongwoon Shim, Dong-Hee Shin. (2016). *Analyzing China's Fintech Industry from the Perspective of Actor–Network.*

The impact of modern financial technologies on the financial market of Georgia

Erekle Meshveliani
PhD student
Eastern European University
erekle.meshveliani@eeu.edu.ge

Summary

This paper analyzes the impact of modern financial technologies (fintech) on traditional financial institutions (banks) in Georgia. The research involved both quantitative and qualitative methods. Assumptions were made based on the analysis of the financial indicators of the leading traditional Georgian bank, results of surveys with traditional bank customers, results of structured interviews with specialists of the National Bank of Georgia, and results of structured interviews with top management of financial institutions. These assumptions focus on whether banks have managed to adapt to the modern financial environment, what impact fintech has had on their financial stability, and whether the National Bank is capable of addressing the risks associated with fintech by introducing relevant regulatory norms. The article concludes with pertinent findings and recommendations.

Keywords: traditional banks, fintech, finance, Georgia, technologies